K 3366
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფილიპე მახარაძე

თხზულებათა
კრებული

ტომი VIII

ეკონომიური საკითხები

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი—1932

პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფილიპე მახარაძე

თხზულებათა კრებული

ტომი VIII

ეკონომიური საკითხები

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი—1931

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქარ. სახკომ-
საბჭოს საკმეთა
მმართველობის
ფოტო-ლიტო-
ტიპოგრაფია

მთავლიტი 1226

ტირაჟი 3000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

ქვემდებარე ტომი ამხ. ფილიპე მახარაძის თხზულებების ებება, როგორც თვით წიგნის სათაურიდან სჩანს, ეკონომიურ საკითხებს. აქ თავმოყრილია ყველა ის წერილები ეკონომიურ საკითხებზე, რომლებიც დაუწერია ავტორს მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან ვიდრე დღემდე.

როგორც პირველი ტომის წინასიტყვაობაში იყო აღნიშნული, ამხ. ფილიპეს ცალკე ტომები შედგენილია არა ქრონოლოგიური წესის მიხედვით, არამედ თვით წერილების ხასიათის, თუმცა თვითეულ ცალკე აღებულ ტომში წერილები დალაგებულია ქრონოლოგიურად. ეს ტომიც, მაშასადამე ამ წესითაა შედგენილი, ასე რომ ჩვენ აქ ვნახავთ წერილს, რომელიც დათარიღებულია 1898 წლით და აგრეთვე წერილსაც, რომელიც ეკუთვნის 1930 წელს.

მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი წერილი მეტად ადრინდელია (ეკუთვნის 1898 და 1900-ან წლებს), მაინც დღესაც მეტად ნიშვნელოვანია, ვინაიდან ებება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებას და მეტად ძვირფას მასალას წარმოადგენს. ასეთებია მაგალითად: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება“, სადაც გადმოშლილია ავტორის მიერ სურათი ჩვენი ქვეყნის საგარეო აღებ-მიცემობისა, საშინაო აღებ-მიცემობისა და მრეწველობის. შემდეგ „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში“ ბოკლე მიმოხილვით საქართველოს ეკონომიური მდგომარეობისა ძველეს დროიდან მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდე, და აგრეთვე წერილიც „ამიერ-კავკასიის მეურნეობის შესახებ“.

იმის მიხედვით, თუ რა პირობებში იყო დაწერილი და საითკენ იყო ავტორის მთავარი ყურადღება მიქცეული, ამ ტომში მოთავსებული ნაწერები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფათ. პირველ ჯგუფში მოქცეულია წერილები მოკიდებული 1898 წლიდან ვიდრე 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამდე. მეორე ჯგუფში შეიძლება მოთავსებულ იქნეს ორი წერილი, სახელდობრ: „ომი და ეკონომიური კატასტროფა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „ფულის კრიზისის შესახებ ამიერ-კავკასიაში“, რომლებიც დაწერილია ამხ. ფილიპეს მიერ 1921 წლის 25 თებერვლის გადატრიალების მოხდენამდე საქართველოში. მესამე, თავის შინაარსით ყველაზე მდიდარ ჯგუფს წარმოადგენს ამ წერილების კრებული, რომლებიც დამუშავებულია ავტორის მიერ უკვე პროლეტარიატის დიქტატურის (საქართველოში) პერიოდში.

თავისთავად ცხადია, რომ თვალსაზრისი, რომელიც დაცულია აქ ავტორის მიერ და რომლის მიხედვით არის გაშუქებული სხვადასხვა საკითხები, არის მარქსისტული თავიდან ბოლომდე.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება

ჩვენი დრო კრიზისების ხანაა წარმოებაში. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, როცა ამიერ-კავკასიის წარმოება საკმარისათ გაიზარდა და მსოფლიო ბაზარზე ფეხი მოიკიდა, ჩვენშიაც დაიწყეს კრიზისებზე სჯა-ბაასი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სიტყვა კრიზისს ხმარობენ იქ, სადაც ეს ყოვლად შეუძლებელია. პოლიტიკური ეკონომია გვეუბნება, რომ კრიზისი წარმოებაში და აღებ-მიცემობაში მაშინ ჩნდება, როცა დამზადებულ საქონელს ბაზარზე, არც შინ და არც გარეთ, გასავალი აღარ აქვს. აბა ახლა დამისახელეთ ის დარგი წარმოებისა, რომელიც ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენში. ვგონებთ, დღეს თქვენ ვერ მოძებნით ჩვენში იმისთანა საქონელს, რომელსაც, ან შინ ან გარეთ, გასავალი, ე. ი. ბაზარი არ ჰქონდეს. მართალია, ზოგიერთები გაიძახიან, რომ კრიზისი მძვინვარებს დღეს ჩვენი სიმინდის აღებ-მიცემობაში და ჭიათურის შავი ქვის (მარგანეცის) წარმოებაშიო,—მაგრამ ეს ან განზრახ გამოგონილი ჭორია და ან პირდაპირ უვიცობის ნიშანი. საქმე იმაშია, რომ ამ ვაჟბატონებია აზრით, საქონლის ფასის დაწევა კრიზისს ნიშნავს! განა ამაზე მეტი გაუგებრობა და გზა-კვალის აბნევა შესაძლებელია? სიმინდის ფასმა დაიწია მსოფლიო ბაზარზე; ამიტომ ჩვენ სიმინდში წინანდელ ფასს აღარ იძლევიან საზღვარ-გარეთ და იმავე დროს ჩვენში გაიძახიან: სიმინდს კრიზისი გაუჩნდაო! თუ მაინცადამაინც კრიზისი გნებავთ, იგი სიმინდის აღებ-მიცემობაში კი არ უნდა ეძებოთ, არამედ მთელი ჩვენი მეურნეობის სისტემაში, რომელიც თავის ძველი იარაღებით სრულებით აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნილებას. სხვა ქვეყნებმა გააუმჯობესეს სიმინდის მოყვანის და საზოგადოთ მთელი მეურნეობის ტეხნიკური პირობები, და ამიტომ ჩვენზე ნაკლებათაც ყიდიან და კიდეეაც იგებენ. მაგრამ რამდენათ შესაძლებელია ჩვენი სიმინდის აღებ-მიცემობაში კრიზისის გაჩენაზე ლაპარაკი, ამას სიმინდის გატანის სტატისტიკა დაგვანახვებს.

საზღვარ-გარეთ სიმინდის გატანა იმერეთიდან:

წ ლ ე ბ ი	რაოდენობა ფუთებათ	ღირებულება მანეთებით
1886	4.444,826	2.915,444
1890	3.660,000	2.250,000
1893	6.309,900	3.451,569
1895	4.071,445	2.479,560 *)

*) 1890 და 1895 წლის ციფრები შეიცავენ მბოლოთ ფოთიდან გატანილი სიმინდის რაოდენობას. წყაროები სტატიის ბოლოშია ნაჩვენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ჭიათურის მარგანეცის წარმოებას, აი ამის შესახებ ფაქტები: საზღვარ-გარეთ მარგანეცი გაუტანიათ:

1880	წელს	250	ათასი	ფუთი
1885	„	2.656	„	„
1890	„	8.012	„	„
1897	„	12.000	„	„

ესე იგი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მარგანეცის წარმოება 4700% გაზრდილა. ასეთი სწრაფი ზრდის მაგალითი ჩვენ მეორეც არ ვიცით წარმოების ისტორიაში. „მიუხედავათ იმისა, რომ დღეს უკანასკნელ წერტილამდეა კრიზისი, ჭიათურის სადგურზე კვირაში კიდეე ჩამოდის შუათანა რიცხვით 300,000 ფუთი მარგანეცი“, — მწერს ამ დღეებში ერთი ჭიათურელი მეგობარი, რომელიც მარგანეცის წარმოებას დაახლოვებით იცნობს. ახლა თქვენ გასაგეთ: განა იქ, სადაც წარმოება ასეთი თავბრუდამსხმელ სიჩქარით იზრდება, სადაც ასეთი გაფაციცებით მოძრაობაა, კრიზისზე ლაპარაკი შესაძლებელია, რომელიც საზოგადოთ წარმოების ან სრულიად შეჩერებას *) ნიშნავს ან და მის შემცირებას? მაგრამ საქმე იმაშია, რომ მარგანეცის ფასი ჭიათურის სადგურზე ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევათ დაეცა **). რომ ამ ფასის დაცემასთან ერთად მარგანეცის გატანა საზღვარ-გარეთ შემცირებულიყო ან და ერთ დონეზე გაჩერებულიყო, მარგანეცის კრიზისზე ლაპარაკს მხოლოდ მაშინ ექნებოდა საფუძველი. ფასის დაცემა კი წარმოების გადიდების აუცილებელი შედეგია, და ჭიათურის შავი ქვის წარმოება შესანიშნავათ დიდდება, ეს ჩვენ დავინახეთ. თავის მხრით წარმოების გადიდება თანამედროვე პირობებში იმის მომასწავებელია, რომ წარმოებაში მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტებს რჩებათ ბურთი და მოედანი. წვრილი და შუათანა მწარმოებელნი კი სულ უფრო და უფრო მარცხდებიან მსხვილებთან ბრძოლაში. და სწორეთ ეს დღე დადგომიათ ამჟამათ ჭიათურის შავი ქვის წვრილ და შუათანა მწარმოებელთ, და თუ გნებავთ ეს ხანა მათ ცხოვრებაში კრიზისის ხანაა, მაგრამ მათი ცხოვრება მარგანეცის წარმოების სიცოცხლეს ხომ არ შეადგენს. ამიტომ ერთი მხრით სრულებით გასაკვირალი არ არის, თუ ამ კრიზისის დროს შუათანა მწარმოებელი, წინანდელი უზომო მოგებით გაუზნეურებული, ბურანში მყოფ კაცსავით გაიძახის: კრიზისი, კრიზისი! მაგრამ იმათ რამდენიც უნდა იყვირონ, შემდეგი ფაქტი მაინც ფაქტათ დარჩება: ჭიათურის შავი ქვის წარმოება შეუჩერებლათ იზრდება და თანდათან მსხვილი წარმოების ხასიათს ღებულობს ***).

---

*) ზოგიერთებს მართლაც შეჩერებული გონიათ დღეს ჭიათურის მარგანეცის წარმოება.

**) დღეს ფუთი მარგანეცი ჭიათურის სადგურზე 5 კაპ. ღირს; შარშან 6 კაპ. ღირდა და 1895 წელს კი 7—8 კაპ.

***) ეს ფაქტი კარგათ შეუგნიათ „Проект устава Синдиката Кавк. марганцепромышленников“-ის შემდგენლებს (იხ. §§ 6 და 45 პროექტისა) ამ წესდებას ბევრი საერთო აქვს ბაქოს ნავთის მწარმოებლების წესდებასთან: „Общий союз бакин. керосинозаводчиков,.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ ჩვენ აქ მარგანეცის წარმოებაზე და სომინდის აღებ-მიცემობაზე შეეაჩერეთ მკითხველის ყურადღება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგი ფაქტის აღნიშნა გვსურდა: ეკონომიურათ ჩვენი ქვეყანა დღეს საერთაშორისო წარმოების ყალაბოტშია ჩაყენებული. ეს ჩარევმოება ძალაუნებურათ გვაახლოებს ჩვენ დაწინაურებულ ქვეყნებთან, გვხდის მოზიარეთ ერთი და იგივე ცივილიზაციისა და გვიადვილებს ახალი იდეების მიღებას. ამ მხრით ძლიერ საინტერესოა გავიგოთ ამ დაახლოვების წარსული. რომ ეს დაახლოვება მხოლოდ ნივთიერ ნიადაგზე, ე. ი. საქონლის ტრიალზე, აღებ მიცემობაზე, აღორძინდა და განვითარდა, ამას ლაპარაკი არ უნდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან დაახლოვების ისტორიამ უნდა გაგვაგებინოს, ერთი მხრით, თუ როგორ თანდათან იმატა და გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საგარეო აღებ-მიცემობა და, მეორე მხრით, თუ როგორ განვითარდა შინაური აღებ-მიცემობა და მრეწველობა. ეს საგანი მეტათ რთულია და ღირსი ერცელი გამოკვლევისა. მიეხედავათ ამისა ჩვენ გვსურს აქ წარვუდგინოთ მკითხველს რამდენიმე სტატისტიკური და სხვა ცნობები ჩვენი ქვეყნის საალებ-მიცემო და სამრეწველო ისტორიიდან.

I. საგარეო აღებ-მიცემობა

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როცა საქართველო შეეერთდა რუსეთს, ჩვენში არ არსებობდა არც აღებ-მიცემობა და არც მრეწველობა, ამ სიტყვების დღევანდელი მნიშვნელობით. წარმოება წმინდა პატრიარქალურ-ნატურალური იყო: თითეული ოჯახი, თითეული მაზრა თავისივე ნაწარმოებით იკმაყოფილებდა თავის ყოველგვარ მოთხოვნილებას. საქართველო იმ დროს არ იყო შეზღუდული დამოუნებით და ერთნაირათ საგარეო აღებ-მიცემობას სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ, მეორე მხრით, თვით ეს გარემოება ამკარათ გვითითებს ჩვენი ქვეყნის მაშინდელ სისუსტეზე და ეკონომიურათ დაქვეითებაზე. სულ სხვას წარმოადგენდა იმ დროს რუსეთი. მართალია, მთელ ამ ვეებერთელა ქვეყანას ჯერ კიდევ პატრიარქალურ-ნატურალური წარმოების ფერი ედვა, მაგრამ აღებ-მიცემობას და მრეწველობას უკვე საკმარისათ ჰქონდა თავი ნაჩენი, და აი სწორედ ამ ახლათ დაბადებული „სამშობლო მრეწველობის“ (отечественная промышленность) ასაღორძინებლათ და გასაძლიერებლათ რუსეთის მთავრობამ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეშივე შემოიღო ეგრეთ წოდებული აკრძალვითი სისტემა (запретительн. система), რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ უცხოეთიდან ფაბრიკულ და ქარხნულ ნაწარმოებთა შემოტანა აკრძალული იყო, და თუ შემოტანის ნება იქნებოდა, დიდ ბაჟს ახდევინებდენ.

ცხადია, რომ ასეთი ასტიკი სადამოენო წესდება საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში ჩვენში ვერ გამოდგებოდა. ამიტომ თუმც 1803 წელს შემოღებულ იქნა აქაც რუსეთის სადამოენო წესდება, მაგრამ 1807 წელს მთავრობამვე შეაჩერა დროებით მისი მოქმედება. შემდეგ რომელ წელში იქნა იგი ხელახლა შემოღებული, ჩვენ ამის ცნობა არა გვაქვს. ვიცით მხოლოთ, რომ 1821 წელს მაშინდელმა მთავარმართებელმა ერმოლოვმა უცხოეთის ნაწარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემოტანის გასაძლიერებლათ გამოითხოვა უმაღლესი მთავრობისაგან ამიერ-კავკასიისათვის შეღავათიანი სადამოწნო ტარიფი ათი წლის ვადით. ამ ტარიფის ძალით უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე უნდა გადაეხადათ მხოლოდ 5% ბაჟი გამოცხადებულ ფასზე. 1821 წელს ახალი სადამოწნო წესდებით უცხოეთიდან შემოტანილ იქნა ამიერ-კავკასიაში სულ 825.985 მანეთის საქონელი და გაიტანეს სახლვარ-გარეთ სულ 463.135 მანეთის. შვიდი წლის შემდეგ, ე. ი. 1828 წელს სახლვარ-გარეთიდან საქონლის შემოტანამ მიაღწია 2.968.090 მანეთამდე. 1832 წელს ამიერ-კავკასიაზე გავრცელდა რუსეთის სადამოწნო ტარიფი, რამაც შესამჩნევათ დასცა როგორც შემოტანა, ისე გატანა: 1832 წელს შემოტანა ჩამოვიდა 631.653 მანეთამდე; ხოლო გატანას ეს შემდეგ წელში დაეტყო, ვინაიდან 1832 წ. იგი 1.355.519 მანეთით გამოიხატებოდა და 1833 წელს კი 336.724 მანეთამდე ჩამოვიდა.

1846 წელს თ-დმა ვარახკოვმა ხელახლა იშუამდგომლა სადამოწნო ბაჟების შემცირება ამიერ-კავკასიისათვის.

	შემოიტანეს	გაიტანეს
1846 წელს	3.892.468	735.465
1849 „	4.533.888	725.180

1850 წელს ისევ შემოღებულ იქნა რუსეთის სადამოწნო ტარიფი, ე. ი. უცხოეთიდან შემოსატან საქონელს ბაჟი მოემატა, მაგრამ მიუხედავათ ამისა უცხოეთის საქონლის მოთხოვნილება იმდენათ გაიზარდა, რომ შემდეგ წლებში შემოტანამ ასე იმატა:

წლები	შემოიტანეს სახლვარ-გარეთიდან	გაიტანეს სახლვარ-გარეთ
1851	4.193.433 მ.	1.104.800 მ.
1864	7.476.000 „	4.665.000 „
1870	11.477.000 „	3.932.000 „

ეს ციფრები ნათლად გვიმტკიცებს, თუ როგორ იმატა მესამოცე წლებში სახლვარ-გარეთიდან საქონლის შემოტანამ: 4 მილიონიდან 1851 წელს ის ავიდა $11\frac{1}{2}$ მილიონამდე 1870 წელს. ამავე ხნის განმავლობაში გატანამაც იმატა, სახელდობრ 255,9%, მაშინ როცა შემოტანა მხოლოდ 173,69% გაიზარდა. ამნაირათ მესამოცე წლებში გატანას აბსოლიუტურათ უფრო უმატია, ვინემ შემოტანას, თუმც ეს უკანასკნელი მაინც ბევრით ჭარბობდა მას. ახლა ვიკითხოთ: 1870 წლამდის უმეტესათ რა საქონელი შემოქონდათ და რა გაჰქონდათ სახლვარ-გარეთ. შემოქონდათ: ბამბეულობა, ლითონი და ლითონის ნაწარმოებნი, შალეულობა, აბრეშუმეულობა (ფარჩა), შაქარი, ჩაი და სხვ. გაჰქონდათ ჩვენგან: აბრეშუმის ბარკი, ამოხვეული აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, ლითონი, ტყავი, ხორბალი (უმეტეს ნაწილად სიმინდი) და სხვ.

აქ ყურადღების ღირსია შემდეგი გარემოება: 1870 წლამდის სახლვარ-გარეთიდან შემოტანა თანდათან მატულობს და ადის $11\frac{1}{2}$ მილიონ მანეთამდის. ამ წლიდან დაწყებული სახლვარ-გარეთიდან შემოტანა შესამჩნევათ კლებულობს და მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში აჭარბებს ამ რიცხვს. ეს გარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოება იმით კი არ აიხსნება, რომ ამიერ-კავკასიაში საქონლის მოთხოვნილება შემცირებულიყოს. სრულებითაც არა: პირიქით, მოთხოვნილებამ თითქმის ერთიორათ იმატა, მაგრამ 1870 წლის შემდეგ საზღვარ-გარეთის საქონლის მაგიერობას რუსეთიდან მოტანილი საქონელი ასრულებს. 1871 წელს 14 აგვისტოს გაიხსნა ფოთი-თბილისის რკინის გზა. სხვათა შორის ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი ამიერ-კავკასიასა და რუსეთს შორის აღებ-მიცემობის გაძლიერებას. მოვიყვანოთ აქ ამის შესახებ სტატისტიკური ცნობები:

აღებ-მიცემობა რუსეთთან (მანეთებით).

წლები	შემოტანა	გატანა
1872	5.333.783	2.908.141
1876	11.923.262	2.871.856

იმავე წლებში აღებ-მიცემობა უცხოეთთან (მანეთებით):

წლები	შემოტანა	გატანა
1872	9.451.029	5.629.413
1876	8.310.546	6.118.453

ამნაირათ თუმც საზღვარ-გარეთიდან შემოტანილმა საქონელმა იკლო რამდენიმეთ, მაგრამ სამაგიეროთ იმავე ხნის განმავლობაში შესამჩნევათ იმატა რუსეთიდან შემოტანილ საქონლის რიცხვმა, ასე რომ ხუთი წლის განმავლობაში შემოტანა (რუსეთიდან) გადიდდა 6.589.479 მანეთით, ე. ი. $123^1/_2$%.

თუ საერთო შემოტანას საერთო გატანას შევუფარდებთ იმავე წლებში, გამოვა:

წ ლ ე ბ ი	საერთო შემოტანა	საერთო გატანა
1872	14.784,812 მ.	7.537,554 მ.
1876	20.233,807 „	8.990,309 „

–

მაშასადამე, 1872 წელს ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ და რუსეთში გაუტანიათ მხოლოდ იმის ნახევარი, რაც შემოუტანიათ, 1876 წელს კი შემოტანა ბევრათ მეტია გატანაზე. ამნაირათ საქონლის საერთო შემოტანა ამიერკავკასიაში პირველათ საზღვარ-გარეთიდან და შემდეგ რუსეთიდანაც მეოთხმოცე წლებამდის ბევრათ მეტია საერთო გატანაზე. ამასთანავე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ მაშინ როცა საზღვარ-გარეთიდან შემოტანა მესამოცდაათე წლებში ცოტ-ცოტათი კლებულობს, რუსეთიდან შემოტანა თანდათან მატულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ლ ე ბ ი	შემოტანა ევროპის ნაწარმოებთა	შემოტანა რუსეთის ნაწარმოებთა შავი ზღვით
1873	7.826,790 მ.	4.992,296 მ.
1881	7.951,421 *) „	15.835,133 „

ახლა რომ ავიღოთ 1862-1881 წლები და გამოვიანგარიშოთ წლიური შუათანა აღებ-მიცემობა საზღვარ-გარეთთან, ე. ი. შემოტანა და გატანა, აი რას დავინახავთ:

1862-1882 წლები:

მთელი აღებ-მიცემობა	გატანა	შემოტანა
13.353.000 მან.;	5.274.000 მან.	8.079.000 მან.

ხუთი წლის შემდეგ გარემოება ასე შეიცვალა:

1886 წ.

საზღვარ-გარეთიდან

მთელი აღებმიცემობა	შემოტანა	გატანა
39.264.547 მ.;	11.452.145 მ.	27.812.402 მ.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ თუ მეოთხმოცე წლების დასაწყისში შუათანა წლიური შემოტანა საზღვარ-გარეთიდან აღემატებოდა გატანას 2.805.000 მანეთით, 1886 წელს პირიქით, გატანამ საზღვარგარეთ 16.360.257 მანეთით გადააჭარბა შემოტანას. ამ ცვლილების მნიშვნელობას რამდენიმეთ წარმოვიდგენთ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საზღვარგარეთ გატანის ასეთი გაღიდება დამოკიდებულია უმთავრესათ ნავთეულობის და მარგანეცის წარმოებაზე. ავიღოთ ახლა კიდევ 1893 წელი, რომელზედაც ჩვენ უფრო სრული ცნობები გვაქვს, გავსინჯოთ ამ წლის ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობა საზღვარ-გარეთთან და მაშინ ჩვენ ნათლად დავინახავთ, თუ, ერთი მხრით, როგორ თანდათან იზრდება ამიერ-კავკასიის საგარეო აღებ-მიცემობა და, მეორე მხრით, თუ როგორ ძირიანათ შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ევროპასთან და საზოგადოთ საზღვარ-გარეთთან ამ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში.

1893 წ.

საზღვარგარეთთან

მთელი აღებმიცემობა	შემოტანა	გატანა
55.895.000 მან.	16.477.000 მ.	39.358.000 მ.

მაშასადამე, შუათანა რიცხვით ამიერ-კავკასიიდან დღეს $2^1/_2$-ჯერ მეტი გააქვთ, ვინემ შემოაქვთ საზღვარ-გარეთიდან. თუ ამიერ-კავკასიის საგარეო აღებ-მიცემობას შეუფარდებთ მთელი რუსეთის საგარეო აღებ-მიცემობას, დავინახავთ:

*) როცა საზღვარ-გარეთიდან საქონლის შემოტანის კლებაზე ვლაპარაკობთ, აქ მხოლოდ სამოცდაათი წლები გვაქვს მხედველობაში; მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლებში იგი თანდათან მატულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიღოთ 1870 და 1893 წლები. 1870 წელს საქონლის გატანა საზღვარ-გარეთ მთელი რუსეთიდან 360 მილიონ მანეთით გამოიხატებოდა, შემოტანა კი 335,9 მილიონით, ე. ი. გატანა 24 მილიონით აღემატებოდა შემოტანას. 1893 წელს მთელი რუსეთიდან გაუტანიათ 599,2 მილიონი მანეთის საქონელი და შემოუტანიათ იმავე წელს საზღვარ-გარეთიდან 449,6 მილიონისა. მაშასადამე, ოცდა სამი წლის განმავლობაში რუსეთიდან საქონლის გატანას უმატია 66,44% და შემოტანას კი 33,84%. ამიერკავკასიის საგარეო აღებმიცემობას კი შემდეგი პროცენტებით უმატია: გატანას 900,9% და შემოტანას 43½%. თუ როგორ გაიზარდა რუსეთის საგარეო აღებ-მიცემობასთან შედარებით ამიერ-კავკასიის საგარეო აღებ-მიცემობა, ეს კიდევ უფრო ნათლად იმ გარემოებიდან სჩანს, რომ 1870 წელს ამიერ-კავკასიის საგარეო აღებ-მიცემობა მთელი რუსეთის საგარეო აღებ-მიცემობის 1/45 ნაწილს შეადგენდა და 1893 წ. 1/15. თუ მარტო გატანას ვიქონიებთ მხედველობაში, 1870 წ. ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ საქონლის გატანა შეადგენდა 1/91 ნაწილს მთელი გატანისას რუსეთიდან, 1893 წელს კი 1/15.

რომ დაახლოვებით მართალი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რა და რა საქონელი ან რა სახით გააქვთ დღეს ამიერ-კავკასიიდან საზღვარ-გარეთ, მოვიყვანოთ აქ უმთავრეს საქონელთა სია, რომლებიც გაიტანეს 1893 წელს ბათომის და ფოთის ბოლაზებიდან საზღვარ-გარეთ.

ბ ა თ ო მ ი დ ა ნ:

რა და რა საქონელი	რაოდენობა ფუთებათ	ღირებულება მანეთებით
ნავთეულება	55.398,994	18.219,472
ძირტკბილა	1.110,698	1.110,698
გაურეცხელი მატყლი .	175,745	1.238,007
სიმინდი	203,256	121,667
შალის ხალიჩები . . .	22,114	53.161
აბრეშუმი სხვა და სხვა სახით	20.112	849,240
ტყავი	46,505	450,380

ფ ო თ ი დ ა ნ:

მარგანეცი	7.140,067	2.966,436
სიმინდი	4.288,693	2.249,094
ხე-ტყე	64,155	42,198

იმავე წელს შემოიტანეს საზღვარ-გარეთიდან ამიერ-კავკასიაში ბათომის ბოლაზით

რა და რა საქონელი	რაოდენობა ფუთებათ	ღირებულება მანეთებით
ხის ფიცრები და კუნძები	2.350,268	596,287
ქესტი	2.002,581	5.721,160
თუნუქი	38,883½	437,780
რკინა	162,662	328,558
გოგირდი	308,108½	133,314
ტყვია	56,346	123,012
ნატრი და ყალი . . .	75,437½	124,673

ეს ცხრილები ნათლად გველაპარაკება, თუ რა და რა საქონელი გააქვთ ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ და რა შემოაქვთ იქედან ჩვენში. წინათ საზღვარგარეთიდან შემოქონდათ ჩვენში უმეტეს ნაწილათ მანუფაქტურული ნაწარმოები და სხვადასხვა წვრილი ბორაგი; დღეს კი არც ერთი ამ ნაწარმოებთაგანი აღარ მოაქვთ იქედან. ყოველივე ამას გვიგზავნიან ჩვენ დღეს რუსეთი და პოლონეთი. სამწუხაროდ ამჟამად ჩვენ არ გვაქვს ხელში ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მანეთის საქონელი შემოაქვთ დღეს ამიერკავკასიაში რუსეთიდან და ან რამდენი გააქვთ იქ. თუ რა აღებ-მიცემობითი ურთიერთობა არსებობს რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის, ამას ჩვენ ვხედავთ რამდენიმეთ შემდეგი ფაქტიდან: 1893 წელს საზღვარგარეთიდან ბათომისა და ფოთის ბოლაზებში შემოვიდენ გემები:

ბ ა თ ო მ ი ს ა შ ი

	ორთქლიანი	იალქნიანი	სულ
უცხოეთის	1071	468	1.539
რუსეთის (კაბოტაჟი)	1.087	125	1.212

ფ ო თ ი ს ა შ ი:

უცხოეთის	95	12	107
რუსეთის	419	64	483

მაშასადამე, უცხოეთიდან ბათომის და ფოთის ბოლაზებში 1893 წელს სულ 1.646 გემი შემოსულა და რუსეთიდან კი 1.695, ე. ი. რუსეთიდან 49 გემით მეტი შემოსულა ამ ორ ბოლაზში. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს ამიერკავკასიის აღებ-მიცემობაში რუსეთს, რასაც კიდევ უფრო თვალსაჩინოთ ბაქოს ბოლაზი გვიმტკიცებს. 1893 წელს ბაქოში შემოვიდა გემები: რუსეთის ბოლაზებიდან: ორთქლიანი 3,758, იალქნიანი 2,405, სულ 6,163. საზღვარგარეთის (სპარსეთის): ორთქლიანი 302, იალქნიანი 216, სულ 518. იმავე წელს რუსეთის ბოლაზებიდან ყოველგვარი საქონელი შემოვიდა ბაქოში 12.214,636 ფუთი, ე. ი. წინანდელ წელიწადზე მეტი 678,338 ფუთით. გატანილ იქნა რუსეთის ბოლაზებში 172.103.000 ფუთი საქონელი 28.341,785 მანეთის საღირალი, ანუ 19% მეტი, ვინემ 1892 წელს. იმავე წელს ბაქოში შემოტანილ იქნა საზღვარგარეთიდან (სპარსეთიდან) 4.726,986 მანეთის საქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი, ანუ ერთი მილიონით მეტი, ვინემ 1892 წელს; გაიტანეს სპარსეთში 8.040,220 მანეთის, წინანდელ წელიწადზე 96,048 მანეთით მეტი

ასეთი უზარმაზარი, კოლოსალური ზრდა ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობისა დიდი ხნის ამბავი როდია: ეს რაღაც ათი-თოთხმეტი წლის საქმეა. რომ ამ უკანასკნელი წლების ანგარიშიც გვქონოდა ხელში, ამ ზრდას უფრო თვალსაჩინოთ და ნათლად დავანახვებდით მკითხველს. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, ერთი მხრით, იმ გარემოებას, რომ თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება ყოველ წამში აფართოებს თავის მოქმედებას და, მეორე მხრით, იმ ფაქტს, რომ დღეს ამიერ-კავკასიის რკინის გზა თავისი შტოებით, როგორც მგზავრების გადაყვან-გადმოყვანაში, ისე საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვაში, უმაღლეს ხარისხამდეა მიყული *). ვიმეორებთ თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, იმ უტყუარ დასკვნამდე მივალთ, რომ ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობა საზღვარ-გარეთთან და რუსეთთან შეუჩერებელი ნაბიჯით მიდის წინ, რომ ის შესანიშნავი სისწრაფით იზრდება.

2. საშინაო აღებ-მიცემობა

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობას ჩვენ აქ იმდენათ ვეხებით, რამდენადაც ეს საჭიროა მისი საზოგადო მიმართულების დასახასიათებლათ. თორემ მთელი ამ აღებ-მიცემობის განხილვა, მისი დაწვრილებით შესწავლა, მოკლე წერილში კი არა, სქელ წიგნშიაც ძნელია. თუ არ ვცდებით, ეს საზოგადო ხასიათი ჩვენ დავადგინეთ, ე. ი. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში შესანიშნავათ გაიზარდა. ერთი სიტყვით, ჩვენ დავადგინეთ, რომ დღეს ამიერ-კავკასია გზავნის აურაცხელ საქონელს, როგორც საზღვარ-გარეთ, ისე რუსეთში და სამაგიეროთ თვითონაც, თუმც შედარებით ბევრათ ნაკლებს, ღებულობს, როგორც საზღვარ-გარეთიდან, ისე რუსეთიდან (უფრო კი ამ უკანასკნელიდან) სხვადასხვა საქონელს თავის არსებით მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ის, რაც ჩვენგან გააქვთ, საინტერესოა ჩვენთვის იმდენათ, რამდენათაც ჩვენს მუშა ხალხს სამუშაოს აძლევს, რამდენათაც მას საერთო მოქმედების ნიადაგს უმზადებს. ხოლო ის, რაც ჩვენში შემოაქვთ, საინტერესოა ჩვენთვის იმ მხრით, თუ რამდენათ ვითარდება ჩვენში შინაური აღებ-მიცემობა. მართალია, აღებ-მიცემობაში გარედან შემოტანილ საქონელს გარდა შინ დამზადებული საქონელიც დიდ მონაწილეობას ღებულობს, მაგრამ პირველათ ეს ასე არ იყო. ჩვენ დღეს დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შინ დამზადებული საქონლის მი-

*) ამას წინათ გაზეთებში შემდეგი ამბავი იყო დაბეჭდილი, უკანასკნელ დროს ნავთის გატანა რკინის გზით ისე გაძლიერდა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა მას ვეღარ აკმაყოფილებსო. ელოდებიან, რომ ახლო მომავალში ნავთის მილი დაიწყებს მოქმედებასო. ამის შესახებ ბ-ნი არლუთაშვილი-მხარგრძელი ერთი წლის წინეთ წერდა: „მოძრაობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბათომის და ფოთის ნაწილზე იმდენათ დიდია, რომ გრაფიკი სრულებით გავსებულია.... და იმავე დროს კი მოძრაობა, ეკონომიური განვითარების მიერ გამოწვეული, ყოველწლივ იზრდება. „История сооружения и эксплоатации зак. жел. дор.“ стр. 433.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქცევა, ე. ი. შინაური აღებ-მიცემობა ჩვენში, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ისტორიულათ საზღვარ-გარეთის საქონლის მიმოქცევამ გამოიწვია. ამიტომ შინაური აღებ-მიცემობის და შინაური მრეწველობის განვითარება ჩვენში მჭიდროთ შეკავშირებულია საგარეო აღებ-მიცემობის განვითარებასთან. ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ როგორც ჩვენი ქვეყნის შინაურ აღებ-მიცემობაზე, ისე მის მრეწველობაზედაც. თავისთავად იგულისხმება, რომ შინაური აღებ-მიცემობა კიდევ უფრო რთული საგანია და, მეორე მხრით, მის შესახებ ჩვენ ბევრათ უფრო ნაკლები ცნობები გვაქვს.

ყველამ უწყის, რომ დღეს ჩვენში ყოველგვარი ნაწარმოების ღირსება ფულით იზომება. ქალაქში თუ სოფელში, დუქანში თუ ოჯახის წრეში ყოველგან პირველ ადგილზე ფულია დაყენებული. მაგრამ ფული სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ იმის საშუალებით რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი საგანი იშოვოთ. მაშასადამე, დღეს ყოველგვარი ნაწარმოები, რომელიც ამ თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ არის გაკეთებული, ფულზე იცვლება. ასეთი წესი ჩვენში დიდი ხნის ამბავი არ არის: ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. წინეთ, ნატურალური წარმოების დროს, თუ ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლაში საჭიროება იქნებოდა, პირდაპირ ნაწარმოებს ცვლიდენ ერთი მეორეზე. ეს დრო ჩვენში კიდევ ბევრს ახსოვს. ასეთი გაცვლა-გამოცვლა, ასეთი ნატურალური გაცვლა-გამოცვლა, ასეთი ნატურალური აღებ-მიცემობა (თუ სიტყვა აღებ-მიცემობა შეიძლება აქ ვიხმაროთ), სხვა ველურ და ბარბაროსულ ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, კავკასიის მთიულებშიაც არსებობს დღეს, თუმც ამ უკანასკნელ დროს, როგორც ჩანს *), იქაც ბოლო ეღება. ჩვენ აქ არც ადგილი ნებას გვაძლევს და არც მასალა გვაქვს, რომ ჩვენი შინაური აღებ-მიცემობის განვითარებას კვალ-და-კვალ მივდიოთ ამ უკანასკნელ დრომდე და გამოვიკვლიოთ ის, თუ ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში შინაურმა აღებ-მიცემობამ საგარეო აღებ-მიცემობის დახმარებით როგორ თანდათან გააქარწყლა საოჯახო ნატურალური წარმოება. ჩვენ აქ მხოლოდ დავასახელებთ რამდენიმე მომენტს ჩვენი ქვეყნის აღებ-მიცემობის ისტორიიდან.

ვინაიდან ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობა პირველ ხანებში უმეტეს ნაწილათ საზღვარ-გარეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი საქონლით იკვებებოდა და თითქმის დღესაც იმით იკვებება, ამიტომ საზღვარ-გარეთიდან საქონლის შემოტანის გაძლიერება იმავე დროს შინაური აღებ-მიცემობის გაძლიერებასაც ნიშნავს. ასეთ გაძლიერებას ეამჩნევთ პირველათ მესამოცე წლების მიწურულში, სახელდობრ 1870 წელს, როცა საზღვარ-გარეთიდან შემოიტანეს ამიერ-კავკასიაში $11^1/_2$ მილიონ მანეთის საქონელი. 1844 წლიდან საქონლის და მგზავრების მოძრაობას, რაც იმავე დროს აღებ-მიცემობას გამოხატავს, ყველაზე უფრო კარგათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის წლიური ანგარიშები დაგვანახვებს. მივმართოთ ფაქტებს.

---

*) იხ. ამის შესახებ ძლიერ საინტერესო წერილი გაზ. „Новое Обозр."-ში ამ სათაურით: „Переходное состояние горцев Северного Кавказа".

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლები	მგზავრების რიცხვი	საქონლის გადატანა-გადმოტანა ფუთებ.
1874	367.798	9.836.759
1880	633.983	28.659.241
1885	842.349	76.490.902
1890	1.134.473	118.516.704
1896	2.179.459	152.162.303

ამნაირათ ამიერ-კავკასიის რკინის გზას 1896 წელს თითქმის ექვსჯერ მეტი მგზავრი გადაუყვანია, ვინემ 1874 წელს. რაც შეეხება საქონლის გადაზიდვის მატებას 1896 წელს, ის 15 ჯერ უფრო მეტია 1874 წლისაზე. სხვა სიტყვებით: ოცდა ორი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მგზავრების რიცხვმა იმატა 492,57%; იმავე დროს საქონლის გადატანამ კი 1.446,87% იმატა. გავიგოთ ახლა, თუ როგორ იმატა ამ ოცდა ორი წლის განმავლობაში რკინის გზის შემოსავალმა და კერძოთ ამ მატებაში რა მონაწილეობას ღებულობს მგზავრების გადაყვანა და საქონლის გადატანა. 1874 წელს მთელი შემოსავალი ამიერ-კავკასიის რკინის გზისა იყო 1.403.656 მანეთი. ამაში მგზავრებიდან და დიდი სიჩქარით გადასატანი საგნებისაგან შემოსავალი 561.375 მანეთს შეადგენდა, ანუ მთელი შემოსავლის 40,1%; პატარა სიჩქარის საქონლის გადატანა კი 780,690 მან. ანუ 55,8%. 1893 წელს რკინის გზის შემოსავლის პირველი წყარო (მგზავრები და დიდი სიჩქარის საქონელი) 1.386.846 მანეთს შეადგენდა, მეორე წყარო კი (ე. ი. პატარა სიჩქარის საქონელი) 17.091,624 მანეთამდე ავიდა. ესე იგი, დღეს საქონლის გადატანა აძლევს ამიერ-კავკასიის რკინის გზას 86% მთელი შემოსავლისას, მგზავრების გადაყვანა კი ამ შემოსავალში სულ მცირე როლს თამაშობს: იგი მხოლოთ 71% შეადგენს მთელი შემოსავლისას. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის რკინის გზის შემოსავალს და წმინდა მოგებას უკანასკნელ წლებში, ამას შემდეგი ცხრილი დაგვანახვებს:

წლები	მთელი შემოსავალი	წმინდა მოგება
1894	15.319,823 მან.	7.621,692 მან.
1895	16.753,346 „	8.761,486 „
1896	19.091,756 „	10.128,101 „

ეს ცნობები, ვგონებთ, ყველაზე უფრო აშკარათ ლაპარაკობს, თუ ამიერ-კავკასიაში საქონლის მიმოქცევა როგორი სისწრაფით განვითარდა. მართალია უმეტეს ნაწილათ ჩვენ აქ საზღვარ-გარეთ გასაგზავნ საქონელთან გვაქვს საქმე, როგორც მაგ., ნავთი, მარგანეცი და სიმინდი, მაგრამ ამავე დროს შინაური აღებ-მიცემობაც რომ შესანიშნავათ იზრდება, ესეც ცხადია. ყველაფერს რომ თავი დაანებოთ, რას ნიშნავს ეს შეუჩერებელი ზრდა მგზავრების რიცხვისა? რას ნიშნავს ის გარემოება, რომ დღეს ორ მილიონზე მეტი ხალხი მოგზაურობს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე? სად მიდის, რისთვის დაძრულა ამოდენა ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მამა-პაპების მიერ ნაანდერძევი კუნჭულებიდან? ჩვენ აქ ამის შესახებ არაფერს ვიტყვით, თვით მკითხველი დაფიქრდეს ამაზე. ჩვენ აქ დავასახელებთ უმთავრეს ცენტრებს, საიდანაც მოდის ან სადაც მიდის ეს აუარებელი ხალხი და აურაცხელი საქონელი. ამ შემთხვევაშიაც ამიერ-კავკასიის რკინის გზა, როგორც უმთავრესი მილი, რომელსაც ყოველი მხრიდან ერთვის სხვა პატარა მილები, ჩვენთვის ერთად ერთი სწორი მაჩვენებელია.

1874 წელს იმ სადგურების რიცხვი, რომლებიც ასი ათას ფუთზე მეტ საქონელს გზავნიდა, ასეთი იყო: ფოთი, ახალსენაკი, სამტრედია, რიონი (მაშინ ქუთაისათ წოდებული), ყვირილა, ხაშური, სურამი, ქარელი, გორი და თბილისი. იმათში თბილისი გზავნიდა 500 ათასიდან 1 მილიონამდე; ფოთი 1—3 მილიონამდე და ახალსენაკი 3—5 მილიონამდე. იმ სადგურების რიცხვი, რომლებიც ასი ათას ფუთზე ზევით ღებულობდა, 1874 წელს მხოლოდ ხუთი იყო: ფოთი, ახალ-სენაკი, რიონი, სურამი და თბილისი. იმათში თბილისი ღებულობდა 1—3 მილიონამდე და ფოთი 3—10 მილიონამდე. 1894 წელს კი პირველი რიგის სადგურების რიცხვი, ე. ი. რომლებიც ასი ათას ფუთზე ზევით გზავნიდა, 44 იყო: იმათში 500 ათასიდან 1 მილიონამდე, 12 სადგური გზავნიდა: სუფსა, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ქუთაისი, ტყიბული, გომი, აქსტაფა, განჯა, ევლახი, ლიაკი, საბუნჩი. 1—3 მილიონამდე ოთხი: ბათომი, ყვირილა, თბილისი, ბაქო. 10 მილიონს ზევით გზავნიდა მხოლოთ ბაქო-ბოლაზი. ამავე წელს იმ სადგურების რიცხვი, რომლებიც ასი ათას ფუთზე ზევით ღებულობდენ, 27 იყო. იმათში 500 ათასიდან 1 მილიონამდე ექვსი სადგური ღებულობდა: ყვირილა, ხაშური, ნავთლუღი, დოლიარი, განჯა, ევლახი; 1—3 მილიონამდე ორი: ქუთაისი და აქსტაფა; 3—5 მილიონამდე ორი: ფოთი და ბაქო; 5—10 მილიონამდე შორაპანი; 10 მილიონს ზევით: ბათომი, ფოთი—პორტი, თბილისი, ბაქო-ბოლაზი.

აი უმთავრესი ცენტრები ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობისა, სადაც თავს იყრის, როგორც გასატანი, ისე შემოსატანი საქონელი: თითოეული იმათგანი პირველათ გზავნის თავის ნაწარმოებს და შემდეგ თითონაც ღებულობს. ამ საალებ-მიცემო ცენტრებში უპირველესი ალაგი უჭირავს, რასაკვირველია ბაქოს, თბილისს, ბათომს და ფოთს, მაგრამ ამ მხრით იმათშიაც განსხვავებაა. თბილისს, მაგ., როგორც ამიერ-კავკასიის შუა ადგილზე მდებარე ქალაქს, უპირველესი მნიშვნელობა აქვს შინაურ აღებ-მიცემობაში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზამ, რომელმაც ორი ზღვა ერთმანეთს შეუერთა, ბევრათ შეაფერხა თბილისის აღებ-მიცემობის ზრდა; მეორე მხრივ, თბილისის აღებ-მიცემობა, რომ თანდათან იზრდება თუმც შედარებით ძლიერ ნელი ნაბიჯით, ამას ვერავინ ვერ უარჰყოფს. იმავე დროს ეს აღებ-მიცემობა მდიდარ, უფრო შეძლებულ ვაჭრებს უვარდება ხელში. სხვათა შორის, თბილისის აღებ-მიცემობის ასეთ მიმართულებას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: 1876 წელს თბილისში ირიცხებოდა 11 ათასი ხელოსანი. ათ წელს შემდეგ, ე. ი. 1887 წელს, ხელოსნების რიცხვი $5^1/_2$ ათასამდე ჩამოვიდა. მართალია, ეს ფაქტი უფრო წვრილი მრეწველობის დაცემას მოწმობს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე მრეწველობა და აღებ-მიცემობა თავის განვითარებაში ორივე ერთ

II-3366

და იმავე კანონს ემორჩილება. რაც შეეხება თბილისის აღებ-მიცემობის სიდიდეს, ამაზე 1890 წლის ანგარიში გვეუბნება, რომ ხსენებულ წელს თბილისის მთელი აღებ-მიცემობა (весь оборот) 37.586,795 მანეთს შეადგენდა, და ამასთანავე მოქმედებდა 2,866 სავაჭრო დაწესებულება.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ბაქო და ბათომი, რომლებიც იზრდება ჩვენ თვალ წინ ნამდვილი ამერიკული სიჩქარით. ამ ორ მოცილეებში საალებ-მიცემო და სამრეწველო ასპარეზზე, ჩვენ არ ვიცით, რომელ მათგანს დავუთმოთ უპირატესობა. ყოველ შემთხვევაში ამ მხრით ბაქოს ღღეს პირველი ალაგი უჭირავს, რასაც აშკარათ ამტკიცებს ყველა ზევით მოყვანილი ცნობები. ყურადღების ღირსია აქ აგრეთვე ბაქოს მცხოვრებლების რიცხვის მატება. მეოთხმოცე წლებში ბაქოში ძლივს 15 ათასი მცხოვრები ირიცხებოდა. 1893 წელს კი პოლიციის ცნობებით უკვე 112,207 მცხოვრები იყო. მაშასადამე რაღაც ათი წლის განმავლობაში ბაქოს მცხოვრებლების რიცხვმა იმატა 617,98%, რაც თვით ამერიკაშიაც იშვიათ მაგალითს წარმოადგენს.

დაგვრჩა რამდენიმე სიტყვის თქმა ბათომზე და ფოთზე, ამ ორ არა თანატოლ მოცილეებზე. შემდეგი ცხრილი წარმოგვიდგენს იმათ საალებ-მიცემო მნიშვნელობას ღღეს და ამ თვრამეტი წლის წინეთ.

საგარეო აღებ-მიცემობა.

ფ ო თ ი

წლები	გატანა	შემოტანა (მანეთებათ)
1879	4.454,772	4.527,146
1893	5.277,072	2,239¹/₂

ბ ა თ ო მ ი

წლები	გატანა	შემოტანა (მანეთებათ)
1879	497,349 *)	1.398,968 **)
1893	23.556,654	9.701,774

აქედან ცხადია, თუ როგორ შეიცვალა ამ ორი საალებ-მიცემო ქალაქების ბედი. თითქმის მთელი ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობა, რომელიც შავი ზღვის ნაპირზე სწარმოებს, ბათომში გადადის. ფოთს ცოტაოდენი მნიშვნელობა მხოლოდ საზღვარ-გარეთ გატანაში აქვს; რაც შეეხება საზღვარ-გარეთიდან შემოტანას, ამ მხრით ფოთის მნიშვნელობა თანდათან მცირდება. ამას კიდევ უფრო სადამოწმო შემოსავალი გვიმტკიცებს.

*) ამ რიცხვში 269,520 მანეთის საქონელი გატანილია რუსეთში.

**) ამ რიცხვში 1.206,368 მანეთის საქონელი რუსეთიდან არის შემოტანილი. იხ. Кавк. Кален. 1881, გვ. 43—4

წლები	ბათომში	ფოთში
1881	56 ათასი მან.	250 ათასი მან.
1885	751 „ „	17 „ „
1890	1.977 „ „	6 „ „

1893 წელს ბათომის მთელმა აღებ-მიცემობამ მიაღწია 33.983,500 მანეთამდე, მაშინ როცა ქუთაისის მხოლოთ 4.511,000 მანეთს შეადგენდა. ამავე წელს მთელი ქუთაისის გუბერნიის აღებ-მიცემობა 50.154,114 მანეთს შეადგენდა. ამიტომ ბ-ნი არღუთაშვილი-მხარგრძელი სამართლიანათ ამბობს, რომ ქუთაისის გუბერნია მთელ ამიერ-კავკასიაში შესანიშნავია თავის აღებ-მიცემობითი და მრეწველობითი მიმართულების უდიდესი განვითარებით.

3. მრეწველობა

ამნაირათ, მთელი ამიერ-კავკასიის სივრცეზე დღეს აურაცხელი საქონელი მოძრაობს. თუ ამ საქონლის მოძრაობაზე ჩვენ კიდევ არა გვაქვს სრული ცნობები, თვით საქონლის წარმოება ჩვენში ამ მხრით კიდევ უფრო სამწუხარო მდგომარეობაშია: ამის შესახებ ჩვენ არა თუ ღარიბი ვარ ცნობებით, არამედ ის თითო ოროლა სტატისტიკური ცნობებიც, რომლებიც ოფიციალურ გამოცემებში მოიბოვება, დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს მიღებული *). მეორე მხრით, ლაპარაკი არ უნდა, რომ საქონლის წარმოების შესწავლა, მისი ასეთი თუ ისეთი პირობების დაბლოვებით ცოდნა, ყველაზე უფრო დიდი ყურადღების ღირსია, ჩვენში დიდი ხნიდან გავრცელებულია ის აზრი, რომ ამიერ-კავკასია მიწადმოქმედების კუთხე არისო. ამ ათი-თხუთმეტი წლის წინეთ, ეს მართლაც ასე იყო; შეიძლება რამდენიმე პატარა კუნჭულებისათვის ეს დღესაც მართალია; მაგრამ საერთოთ მთელი ამიერ-კავკასია დღეს უფრო სამრეწველო ქვეყანაა, ვინემ სამიწად-მოქმედო. აქ ადგილი ნებას არ გვაძლევს, მოვიყვანოთ

*) აი ამის მაგალითი. 1893 წლის ამიერ-კავკასიის კალენდარში მოყვანილია ცნობები (გვ. 90—1) ამიერ-კავკასიის ფაბრიკებზე და კარხნებზე. სპეათა შორის ჩითახოვის ბამბის საქსოვ ფაბრიკაზე, რომელიც თბილისში არსებობს 1870 წლიდან. იქ ნათქვამია, რომ 1891 წ. ამ ფაბრიკაში მუშაობდა 404 კაცი, რომლებიც წლის განმავლობაში აქზადებდენ 35,000 მანეთის საქონელს. აკედან გამოდის, რომ შეათანა რიცხვით ერთ მუშას წლის განმავლობაში მხოლოთ 86 მანეთის საქმე გაუკეთებია, ე. ი. თავის დღიური ჯირაც ვერ გამოუმუშავებია, ალბათ დანარჩენს ფაბრიკანტი თავის ჯიბიდან აძლევდა მათ. ჩვენ წინ ძევს მეორე წიგნი ბ-ნ ს. გულიშამბაროვის სინდიკური გამოკვლევა: „Обзор фабрик и заводов Тифлисск. губ." გულიშამბაროვის გამოკვლევით, 1886 წელს ჩითახოვის ფაბრიკაში მუშაობდა 380 კაცი, რომლებიც წლის განმავლობაში აშზადებდენ 500,000 მანეთის საქონელს, ე. ი. თითო მუშა აკეთებდა 1,315 მანეთის საქმეს, რასაკვირველია, ნედლი მასალის ფასი და წარმოების ხარჯების ღირებულებაც რომ მხედველობაში მივიღოთ. მაგრამ რაც უნდა იყოს, სად 86 მანეთი და სად 1,315.

მართალია, კავკასიის კალენდრის ცნობა 1891 წელს ეკუთვნის და ბ-ნ გულიშამბაროვისა კი 1886 წელს, მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვერწმუნოთ იმაზე, რომ ჩითახოვის ფაბრიკაში ამ ხნის განმავლობაში მუშების რიცხვმა იმატა, წარმოებამ კი იკლო; პირიქით, წინაალმდეგი უფრო დასაჯერებელი იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები ერთი მხრით იმის შესახებ, თუ შედარებით როგორ მცირდება ჩვენში პურის მოყვანა, და მეორე მხრით, როგორ თანდათან იზრდება მრეწველობა. ამასთანავე ყველასათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ თუ ჩვენი ქვეყნიდან საზ-ღვარ-გარეთ პურის გატანა კლებულობს, იმავე დროს რუსეთის პურის შემოტანა ჩვენში დღითი დღე მატულობს.

ჩვენ აქ წარვუდგენთ მკითხველს რამდენიმე ცნობას ამიერ-კავკასიის მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობაზე, რამდენათაც არსებული მასალა ნებას მოგვცემს. წინდაწინვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთელი ეს მრეწველობა ამ უკანასკნელი ოცი-ოცდა ხუთი წლის საქმეა*).

სწორეთ ამ ათი წლის წინეთ, ე. ი. 1887 წელს, მთელი ამიერ-კავკასიის მრეწველობის (ფაბრიკული, ქარხნული და სამთო წარმოება) მდგომარეობა ოფიციალური წყაროების ცნობებით, შემდეგ სურათს წარმოადგენდა: **)

გუბერნიები	ფაბრიკების და ქარხნების რიცხვი	წარმოების რაოდენობა მანეთებათ	მუშების რიცხვი
თბილისის ***) . . .	1,543	4.944,737	6,107
ქუთაისის	610	5.237,254	6,208
განჯის	1,724	1.997,707	7,715
ბაქოს	1,075	20.410,228	5,768
ერევანის	563	432,239	2,388
დაღესტნის	1	69,000	100
შავი ზღვის პირის საოლქო	10	717,591	492
სულ . . .	5,526	33.808,756	28,778

*) საინტერესოა ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიაში პირველი ფაბრიკის დაარსების აზრი კერძო პირს კი არ ეკუთვნის, არამედ მთავრობას, ესე რომ 1803 წელს თავად პ. ციციანოვმა, მაშინდელმა გამგემ საქართველოისამ, განიზრახა პირველათ თბილისში მაუდის ფაბრიკის გახსნა, მაგრამ უმაღლესმა მთავრობამ ამის ნება არ მისცა. ციციანოვის განზრახვა რამდენიმეთ განმორციელდა მეორმოცე წლებში, როცა ჯ-დი ვარანცოვის დახმარებით თბილისის მაზრაში, სოფ. დრეში, ვილაც ანდრეევაკის გახსნა მაუდის ფაბრიკა, რომელსაც დიდი ხანი არ უცოცხლია. საზოგადოთ მთავრობა იმ ხანებშიაც დიდ დახმარებას უწევდა მრეწველობის აღორძინებას, მაგრამ სანამ კერძო შემძლე და გამოცდილი პირები არ გამოვიდენ სამრეწველო ასპარეზზე, მანამ ამიერ-კავკასიაში მრეწველობამ ფეხი ვერ მოიკიდა.

**) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოდ ბაქოს გუბერნიის სამთო მრეწველობაა მეტადველობაში მიღებული.

***) ბ-ნ გულიშამბაროვის ცნობით 1886 წ. თბილისის გუბერნიაში სულ 253 ქარხანა და ფაბრიკა იყო 3,800 მუშით და 4.725,791 მანეთის წარმოებით. იხ. მისი „Обзор" გვ. 229. ასეთი წინააღმდეგობა ქარხნების და ფაბრიკების რიცხვში იქიდან წარმოდგება, რომ სხვადასხვა ნაირათ ესმით ტერმინები: ფაბრიკა და ქარხანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შემდეგ წლებში იმატა მრეწველობამ, ამას გავიგებთ შემდეგი ცხრილიდან, რომლისათვის ცნობები ჩვენ სხვადასხვა წყაროებიდან ამოვკრიბეთ *).

გუბერნიები	წელიწადი	ფაბრიკების და ქარხნების რიცხვი	წარმოების რაოდენობა მანეთებათ	მუშების რიცხვი
თბილისის **) .	1894	1,500	4.500,000	12,500
ქუთაისის ***) .	1893	1,297	28.078,089	10,328
განჯის	1894	2,568	2.906,655	12,649
ერევნის	1894	4,117	1.752,578	8,480
ყარსის	1893	17	30,725	37
ბაქოს . . .	1891	1,071	23.199,597	7,675
დაღესტანის . .	1894	70	297,434	—
სულ****) .		10,640	60.765,078	51,669

ამნაირათ მთელ ამიერ-კავკასიაში, თბილისის გუბერნიას გარდა, რომლის შესახებ ცნობები მეტად საეჭვოა, ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში მრეწველობა შესამჩნევათ გაზრდილა, მაგრამ უმეტესათ კი ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ხუთი მილიონიდან 1887 წელს 1893 წელს ის 28 მილიონს გადაცილებია. საერთო წარმოების მატება ამ ხანში 26.956,322 მანეთით გამოიხატება, ე. ი. მთელ ამიერ-კავკასიის მრეწველობას სულ რაღაც ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში 79,43% უმატია. ამავე ხნის განმავლობაში ფაბრიკების და ქარხნების მუშების რიცხვი 28,778-დან 51,669 ასულა, ე. ი. მუშების რიცხვსაც თითქმის იმავე პროცენტით (79,56%, განსხვავება—0,10%) უმატია, როგორც მთელი წარმოების საერთო ღირებულებას. მაგრამ ასეთი დასკვნა ჭეშმარიტებასთან ახლო არ არის.

როგორც ვიცით, ჩვენში, ე. ი. ამიერ-კავკასიაში, მრეწველობა მოკლებულია ჯეროვან ზედამხედველობას, ინსპექციას, თითქმის იმ ზედამხედველობასაც, რომელიც რუსეთის სხვა სამრეწველო გუბერნიებში არსებობს. ამის გამო ამიერ-კავკასიაში ცნობების შეკრება მრეწველობის შესახებ უმრავლეს შემთხვევაში პოლი-

*) ვინაიდან ჩვენ ვერაად ვიპოვეთ ყველა გუბერნიების ანგარიში ერთი წლისთვის, ამიტომ სხვადასხვა წლების ანგარიშით ვისარგებლეთ.

**) აქედან გამოდის, რომ თბილისის გუბერნიაში 1894 წელს მრეწველობას 1887 წელთან შედარებით ეკლია და იმავე დროს მუშების რიცხვს კი უმატია, რაც დასაჯერებელი არ არის.

***) ფაბრიკების და ქარხნების რიცხვში აქ არ შედის 723 სპირტის საბადო ქარხანა. რაც შეეხება მუშების რიცხვს, ჩვენ აქ მიღებული გვაქვს სამთო მრეწველობის მუშებიც, მაგრამ წარმოების რაოდენობის აღრიცხვაში სამთო მრეწველობა არ არის შეტანილი.

****) გარდა შავი ზღვის პირის ოლქისა, დღეს შავი ზღვის პირის გუბერნიისა, რომლის ცნობები ვერსად ვიშოვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციაზეა დამოკიდებული. თქვენ წარმოიდგინეთ რა შედეგი ექნება ასეთ გარემოებას. კაპიტალისტები, საზოგადოთ თავაწეულნი და ამპარტავანნი, ერთობ ისაწყლებენ და იმდაბლებენ თავს მთავრობის წინაშე, როცა ეს უკანასკნელი გადასახადს ადებს იმათ ქონებას. როცა პოლიცია თხოულობს მათგან ცნობებს, ისინი (ფაბრიკანტები და მექარხნეები) მარტო გადასახადებზე ფიქრობენ. ამიტომ ცხადია, თუ რათ ამცირებენ ისინი ამ წარმოების რაოდენობას. რაც შეეხება რიცხვს, ამის დამალვა უფრო საძნელოც არის, და, მეორე მხრით, ამის დამალვა არც საჭიროა*). ამიტომ ჩვენი მოსაზრებით, მთელი მრეწველობითი წარმოების საერთო რაოდენობა ამიერ-კავკასიაში დღეს ბევრად აღემატება 60 მილიონს. რაც შეეხება მუშების რიცხვს, იგი რასაკვირველია მატულობს საზოგადოთ, აბსოლიუტურად, მაგრამ წარმოების გადიდებასთან შედარებით, იგი მუდამ კლებულობს; ასეთია კაპიტალისტური წარმოების კანონი.

საჭიროთ ვთელი შევნიშნო, რომ მუშების საერთო რიცხვში, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, არ შედიან ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშები, და არც იმათი წარმოების ღირებულებაა იქ მიღებული. რომ რკინის გზის საქმე დღეს ჩვენში ყველაზერთელა წარმოებაა, ეს ყველასათვის ცხადია. რკინის გზა საზოგადოთ საჭიროებს აურაცხელ მუშა ხელს. რკინის გზის მუშები ორ კატეგორიად არიან დაყოფილი: ერთი ნაწილი რკინის გზის ქარხნებში, სახელოსნოებში მუდამ მუშაობს, მეორე კი დროგამოშვებით. ამიერ-კავკასიის უმთავრესი ქარხნები და სახელოსნოები არსებობენ თბილისში, რომლებშიაც 1890 წელს დაახლოვებით 2,158 მუდმივი მუშა ირიცხებოდა; 1893 წელს კი ეს რიცხვი უკვე 3,306 ავიდა.

ამნაირად ამიერ-კავკასიის მრეწველობის კოლოსალური ზრდა ყოველ ეტაპს გარეშეა; ყოველ ეტაპს გარეშეა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ეს ზრდა ხდება მსხვილი წარმოების სასარგებლოთ და მხოლოდ მახვილის, ვინაიდან წვრილი წარმოება დღეს ისტორიულად უარყოფილია. მაგრამ მივმართოთ ფაქტებს. ქუთაისის გუბერნიაში, როგორც ვიცით, 1893 წელს მთელი ფაბრიკული და ქარხნული წარმოება 28 მილიონ მანეთს გადაცილდა. მაგრამ ამ რიცხვში 26.600,000 მანეთის ღირებულებას მარტო ბათომის ქარხნები აბზადებდენ. თქვენ შეიძლება გაინტერესებთ, თუ რა არის ეს ბათომის ქარხნები? პრაქტიკამ დაარწმუნა ნავთის გამტანელები, რომ ამ საქონლის გადატანა ზღვაზე და შორეულ ქვეყნებში გავრცელება უფრო მოსახერხებელია ქესტის ან ხის ყუთებით, ვინემ სანავთე გემებით (наливные пароходы). პირველ ხანებში ამნაირ ყუთებს ბათომში უმეტეს ნაწილათ ხელოსნები, ანუ წვრილი მწარმოებელნი, აკეთებდენ. მაგრამ 1886 წლიდან ეს საქმე ერთბაშათ უვარდება ხელში მსხვილ მწარმოებლებს, რომლებიც აარსებენ უზარ-მაზარ ქარხნებს, რომლებშიაც შემოღებულია გაუმჯობესებული სისტემა მანქანური წარმოებისა. პირველი ადგილი ბათომის ქარხნებში უჭირავს როტჩილდის ქარხანას, შემდეგ რიხნეირისას და ბანთაშოვისას. თუ

*) ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1891 წელს ბათუმის ბაბის საქმოვ დაბრიკაში ერთი წლის განმავლობაში ყოველ დღე 404 კაცი მეწამობდა და წლიური ნაწარმოების რაოდენობა კი მხოლოდ 35,000 მანეთს შეადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომიდან გამოვყვებით და თბილისში ჩამოვალთ, აქაც იმავე ფაქტებს ამოვაჩენთ, ე. ი. წვრილი წარმოების თანდათან გაქრობას, თუმც არა ისეთი სიჩქარით, როგორც ბათომში. ჩვენ ვიცით, თუ როგორ იკლო თბილისში 1876—87 წლებში ხელოსნების რიცხვმა. ამავე პროცესს ვამჩნევთ დღესაც. მაგრამ ხელოსნების რიცხვის შემცირება იმას კი არ ნიშნავს, რომ წარმოებაც მცირდება. პირიქით, წარმოება დიდდება, მასში მანქანური სისტემა იკიდებს თანდათან ფეხს, რომლის გვერდით წვრილი, ხელოსნური წარმოების არსებობა ყოველად შეუძლებელია. რომელ სახელოსნოს შეუძლია დღეს მოცილეობა გაუწიოს ტყავეულობის და ნედლეულობის წარმოებაში თუნდ მაგალითად ადელხანოვის ფაბრიკას, რომელსაც გაუმჯობესებული იარაღების, მანქანების ხმარება წარმოებაში ნებას აძლევს შედარებით ცოტა ხარჯით დიდი მასალა დაამუშაოს. ასევე ხდება მრეწველობის სხვა დარგშიაც, როგორც, მაგ., რკინეულობის და თუჯის წარმოებაში.

გადავიდეთ ახლა ბაქოზე, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ნავთის სამეფოში მხოლოდ მსხვილ კაპიტალს აქვს ადგილი წარმოებაში. ყოველ შემთხვევაში, ამ მხრით იქაც ბევრ საინტერესო რამეს გავიგებთ. ბ-ნი არლუთაშვილი-მხარგრძელი თავის გამოკვლევაში ამბობს: „ქარხნების რიცხვი (ბაქოს ნავთის ქარხნებზეა ლაპარაკი) ყოველ წლივ მცირდება... ეს აიხსნება მ ს ხ ვ ი ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი თ. დიდი კაპიტალის ხმარება ბევრათ ამცირებს წარმოების ხარჯს და ბაზარზე წვრილი კაპიტალისტები ვერ უძლებენ მსხვილების მოცილეობას, რომლებსაც საშუალება აქვთ განაგრძონ წარმოება, როცა ფასი დაცემულია, ვინაიდან ისინი ამ შემთხვევაშიაც საკმარისათ იგებენ". ჩვენ მოგვყავს აქ პატარა ცხრილი, რომელიც ერთი მხრით გვიმტკიცებს ქარხნების რიცხვის თანდათან შემცირებას, და მეორე მხრით თუ რა გავლენა ჰქონდა ამ შემცირებას წარმოების რაოდენობაზე.

წლები	რიცხვი ქარხნებისა	ნაწარმოები ნავთის რაოდენობა ფუთებათ
1889	161	205 მილიონი
1890	97	239 „
1891	90	289 „
1892	88	298 „
1893	67	337 „
1894	63	309 „

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ თუმც ქარხნების რიცხვს ხუთი წლის განმავლობაში 155,55% დაუკლია, მაგრამ იმავე წლის განმავლობაში, თუ ორი უკანასკნელი წლების შეათანა რიცხვს ავიღებთ, ნავთის წარმოებას 57,56% უმატია. საინტერესოა კიდევ აქ ის გარემოება, რომ 1889 წელს იმ ქარხნების რიცხვი, რომლებიც ასი ათას ფუთზე ნაკლებს აბზადებენ, 93 იყო, 1894 წელს კი მხოლოდ 15. აბნაირათ წვრილი ქარხნების რიცხვი დღითი-დღე კლებულობს, კლებულობს აგრეთვე წვრილი წარმოების მნიშვნელობაც ნავთის საქმეში. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოთ 1893 წელს შემდეგ, როცა პეტერბურგში შედგა ეგრეთ წოდებული „საერთო კავშირი ბაქოს ნავთის მრეწველთა" (Общий союз бакинских керосино-заводчиков). ბაქოს ნავთის გატანა და გასაღება საგარეო ბაზარზე სამი უდიდესი მწარმოებლის ხელშია, სახელდობრ: როტჩილდის, ნობელის და ეგრეთ წოდებულ „ბაქოს სტანდარტისა" (Бакинский стандарт *).

ამნაირათ ზეკით მოყვანილ ცნობებიდან, რომლებიც პირდაპირ ოფიციალური წყაროებიდან არის აღებული, ჩვენ ვგონებთ, მკითხველი შემდეგ დასკვნას გამოიყვანს: ამ უკანასკნელ დროს შესანიშნავათ იზრდება ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალა. ეს დასკვნა შეიძლება კიდევ ასე გამოვხატოთ: ერთი მხრით კოლოსალური ზრდა აღებ-მიცემობის და მრეწველობისა და მეორე მხრით ყოველ ფეხის ნაბიჯზე მსხვილ წარმოების გამარჯვება წვრილ წარმოებაზე. ასეთია ჩვენი ქვეყნის დღეანდელი ეკონომიური მიმართულება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა საქმის ვითარებისა. ამის მეორე მხარეს, ბევრათ უფრო საინტერესოს, ე. ი. იმას, თუ კაპიტალისტური წარმოების პირობებმა როგორ დაპყვეს ძველი პატრიარქალური-წოდებრივი საზოგადოება და უმეტესათ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში მუშა ხალხი, რომლის მარჯვენამ შექმნა ეს ეეებერთელა კაპიტალისტური სიმდიდრე,—ვინეორებთ ყოველსავე ამას ჩვენ ამ წერილში არ შეეხებივართ. იმედი გვაქვს ახლო მომავალში დავუბრუნდეთ ამ საინტერესო საგანს.

ამ სტატიის წყაროები:

1) Кавказский календарь за 1880, 1881, 1889, 1890, 1893, 1895 и 1896 წლების.

2) Краткий очерк экономического положения Кавказа, под ред. Кондратенко. Тифлис 1888 г.

3) Л. Аргутинский-Долгоруков. История сооружения и эксплоатации Закавкасской железной дороги. Тифлис, 1896 г.

4) С. Гулишамбаров. Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии. Тифлис, 1888 г.

5) Н. Макаров. Закавказье в торговом отношении. Москва, 1884 г.

6) Статистические сведения о внешней торговле России. Издание департамента тамож. сборов. СПБ, 1896 г.

7) ინგლისის ელჩის ანგარიში 1890 და 1895 წლისათვის.

8) Газ. „Кавказ", за 1874 № 32.

9) Газ. „Новое Обозрение" № 4792.

ჟურნალი „ქვალი".
1898 წლის №№ 1, 2 და 4.

*) ეს „სტანდარტი" ამხანაგობაა, რომლის წევრები უმეტეს ნაწილად შედარებით ეფრო წვრილი მწარმოებელნი არიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საქართველომ განიცადა ღრმა ცვლილებანი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ხასიათისა. ის, რაც საუკუნეების განმავლობაში შეურწყველად და უცვლელათ რჩებოდა, ამ საუკუნეში ძირიანათ შეირყა და სრულიად სხვა სახე, სხვა ფერი მიიღო. საქართველოს ძველი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება, აგებული ბატონ-ყმურ და ფეოდალურ ნიადაგზე, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სამუდამოთ დაინგრა.

ეკონომიურმა წარმატებამ შექმნა ახალი ხანა, საიდანაც იწყება ქართველი ხალხის გამოსვლა თანამედროვე მოქალაქობრივი ცხოვრების სარბიელზე. ჩვენ გვსურს „კვალის“ [1]) მკითხველებს გავაცნოთ, რამდენათაც გარემოება და ჩვენი საკუთარი ძალა ნებას მოგვცემს, საქართველოს ეკონომიური ვითარება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მის ბოლომდე. ეს ჩვენ დაგვანახვებს, რანი ვიყავით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, რა გავაკეთეთ მის განმავლობაში და რით გადავდგით ფეხი მეოცე საუკუნეში.

* * *

I. მოკლე მიმოხილვა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობისა უძველეს დროდან მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდე.

რას წარმოადგენდა ეკონომიურათ ჩვენი ქვეყანა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს? სანამ ამ საგანს გავიცნობდეთ, განვიხილოთ მოკლეთ, თუ რა იყო ამ მხრით დღევანდელი საქართველო ძველსა და საშუალო საუკუნოებში.

გეოგრაფიულმა ნდგომარეობამ ერთი მხრით ორ უშესანიშნაველეს ხმელეთს: აზიასა და ევროპის შორის და მეორე მხრით ორ ზღვას: შავსა და კასპიის შუა და იმავე დროს ბუნების გასაოცარმა ნაყოფიერებამ და სიმდიდრემ, საქართველო ცნობილ ჰყვეს ჯერ კიდევ ისტორიის წინა ხანებში. დღევანდელი საქართველოს ტერიტორია უხსოვარ დროდან შეიქმნა შემაერთებელ ძაფათ ალმოსავლეთს და დასავლეთს შორის. ძველმა ერებმა კავკასიის საშუალებით გაიცნეს ერთმანეთი, მათი ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და აღებმიცემობა საქართველოს საშუალებით ხდებოდა. გადმოცემა გვეუბნება, რომ დასავლეთ საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოში, რომელსაც ძველათ კოლხიდა ერქვა, შავი ზღვით შემოვიდენ ეგვიპტელები და გააერთიანეს ჩვენში კანაფის მოშენება. ეს იყო დაახლოებით მეთოთხმეტე საუკუნეში ქრისტეს წინ. შემდეგ ეგვიპტელებისა საქართველოში შემოდიოდენ შავი ზღვითვე ფინიკიელნი [2]) თავის მხრით. უხსოვარ დროდან კოლხიდელ ვაჭრებს ჰქონებიათ აღებ-მიცემობითი მისვლა-მოსვლა აღმოსავლეთ აზიასთან და განსაკუთრებით ინდოეთთან. ამაში სხვათა შორის, ჩვენ ის გარემოება გვარწმუნებს, რომ როცა ელინები (ბერძნები) შემოვიდენ კოლხიდაში, ისინი გაკვირვებული დარჩენ იმ სიმდიდრით და ინ კულტურით, რომელიც მათ აქ დახვდათ. ყველასათვის ცნობილია მიფი არგონავტების მოგზაურობაზე კოლხიდაში ოქროს მატყლოვან ვერძის მოსაპოვებლათ, მიფი, რომელშიაც სიმბოლიური ფორმით გამოხატულია კოლხიდის ბუნების სიმდიდრე და მისი აღებ-მიცემობა. კ. რიტტერის აზრით, ბერძნებმა მხოლოთ ისარგებლეს იმით, რაც შემოღებული ჰქონდათ და რასაც აწარმოებდენ კოლხიდელი ვაჭრები, რომლებსაც აგრეთვე მიეწერება რუქების ხატვის გამოგონება *).

არგონავტების მოგზაურობას, რომლის საშუალებით გავრცელდა რამდენიმე გეოგრაფიული ცნობები მცირე აზიასა და ამიერ-კავკასიის შესახებ, მოჰყვა ერთი მხრით ის შედეგი, რომ ბერძნების ხომალდებმა უშიშრათ იწყეს მიმოსვლა შავ ზღვაზე, და მეორე მხრით ის რომ შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირები, კოლხიდა და რამდენიმეთ ძველი ქართლი მოიფინენ მდიდარი ქალაქებით, როგორც, მაგ., სინდიკი, სადაც შეხვდებოდით ინდოეთიდან მოსულ ვაჭრებს, ეა, ზეტრა, პიტიუსი, ფაზისი, და უმეტესათ დიოსკურია, მდებარე აწინდელი სოხუმის მახლობლათ, სადაც აღებ-მიცემობისთვის იკრიბებოდენ სამასამდე სხვადასხვა თემთა წარმომადგენელნი (სტრაბონი). ამნაირათ აღებ-მიცემობა და მისვლა-მოსვლა აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის საქართველოს საშუალებით გაძლიერდა და გაფართოვდა უფრო მას შემდეგ, რაც მილიტელ ბერძნებმა ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს **). უმთავრეს როლს ამ აღებ-მიცემობაში თამაშობდა კოლხიდა, საქართველოს დასავლეთი ნაწილი. იქ იყო უმთავრესი ქალაქები და საქონლის საწყობები, იქ არსებობდა ტილოს საქსოვი ქარხნები, რომელიც საბერძნეთში გაჰქონდათ, მის (კოლხიდის) მეზობლათ სახლობდენ ხალიბები, რომელნიც განთქმული იყვნენ რკინის და ფოლადის კეთებით.

საზოგადოთ საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ წარმატებას ძველ დროში მოწმობს შემდეგი ფაქტები: 1) კოლხიდის გზებზე მგზავრი შეხვდებოდა ქვის ფიცრებს, რომლებზედაც ნაჩვენები იყო გზების მიმართულება და ლამის გასათვალი ალაგები, 2) სტრაბონის და პლინის მოწმობით რიონზე გაკეთებული

---

*) აპოლ. როდოელის სიტყვით კოლხებს ძველათვე შეუსწავლიათ თავიანთ წინაპრებისაგან ხმელეთისა და ზღვის გზებია გამოხატვა ქვის ფიცრებზე (იხ. Риттер. „История землеведения" გვ. 52).

**) გზა, რომლითაც საქონელი გადაჰქონ-გადმოჰქონდათ ინდოეთსა და შავ ზღვას შუა, ასე გაიგლიდა: ინდოეთიდან ბაქტრიამდის მდ. იკართი, რომელიც უერთდებოდა ოქსუს; აქედან თქალსი, კაპპის ხევი, შემდეგ მტკვარი, მტკვრიდან საქონელი გადაჰქონდათ: მდ. რიონამდის (ფაზისი) ხუთი დღის განმავლობაში, შემდეგ რიონი შავ ზღვამდის (სტრაბონი, პლინი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო 120 ხიდი: 3) სტრაბონი ქართლის აღწერაში შენიშნავს: „იბერია უნეტეს ნაწილათ მდიდარია ქალაქებით და სოფლებით, იქ თქვენ შეხვდებით ხელოვნურათ გაკეთებულ სახლებს, კრამიტით დახურულებს, ბაზრებს და სხვა საჯარო შენობებს". ყოველივე ეს შედეგი უნდა ყოფილიყო საკმარისათ განვითარებული კულტურისა, მაგრამ ჩვენ წელთა აღრიცხვის პირველ საუკუნეში ამ კულტურის მხოლოთ ნაშთები იყო დარჩენილი.

ახლა ვიკითხოთ რა იყო ძველი საქართველოს კულტურის აყვავების, მისი ეკონომიური წარმატების მიზეზი და სად უნდა ვეძიოთ ამ კულტურის დაცემის მიზეზი. საქართველოს წარმატების ერთი უპირველეს მიზეზთაგანი ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, ეს მისი გეოგრაფიული მდებარეობა და აგრეთვე ბუნების ნაყოფიერება და სიმდიდრე. მაგრამ ამ წარმატებას ხელი შეუწყო აგრეთვე თვით მაშინდელმა საქართველოს წეს-წყობილებამაც. ეს წეს-წყობილება წარმოადგენდა თავისუფალ და დამოუკიდებელ თემთა კრებულს. თითოეული თემი ცხოვრობდა განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ჰყავდა თავისი საკუთარი მამასახლისი და საბჭო, შემდგარი ღარსეულ და ბრძენ პირთაგან, რომლებიც განაგებდენ ყოველგვარ სათემო საქმეებს. ყოველგვარი შინაური ურთიერთობა თემისა თავისუფლებაზე და თანასწორობაზე იყო აგებული; წოდებრივ თუ კლასიურ განხეთქილებას იქ ადგილი არ ჰქონდა. ნივთიერი წარმოებაც, თუმც ჩაყენებული თემის ვიწრო საზღვრებში, საკმარისათ იყო განვითარებული: პურის მოყვანას, შინაურ საქონლის მოშენებას, ღვინის დაყენებას და სხვა ამგვარ საქმეებს მეტნაკლებათ მისდევდა ყველა თემი *). ეს თავისუფალი თემები ხელს უწყობდენ იმ ალებ-მიცემობას და მისვლა-მოსვლას, რომელიც უხსოვარ დროდან პირველათ კოლხიდელ და შემდეგ მილეტელ ვაჭართა მეოხებით წარმოებდა ევროპასა და აღმოსავლეთ აზიას შორის და თუ მაინცა და მაინც ეს ალებ-მიცემობა და მიმოსვლა შეწყდა, გამდიდრებული და აყვავებული ქალაქები გაქრენ, ასე რომ შემდეგ ხანებში მათ კვალსაც ვეღარ პოულობდენ და თვით საქართველოს თემთა კეთილდღეობაც დაეცა, ამის მიზეზი სულ სხვა იყო.

სამი საუკუნის წინ ჩვენ წელთა აღრიცხვამდის ალექსანდრე მაკედონელმა *) შეარყია თითქმის ყველა მაშინდელი სახელმწიფოები. ის შეეიდა სხვათა შორის ინდოეთშიაც და თავის ძლიერების და გენიოსობის ძალი დაასვა ყოველივეს, რასაც კი შეეხო: მან დაარსა ახალი სახელმწიფოები, გაიყვანა ახალი გზები და გააშენა ახალი ქალაქები. ერთმა იმათგანმა, ალექსანდრიამ, გაშენებულმა ჩრდილოეთ აფრიკაში, ხმელთა შუა ზღვის ნაპირას, სადაც მდ. ნილოსი მას ეროვის, თავისი შესანიშნავი მდებარეობით ჩქარა მიიპყრო მთელი მაშინდელი კაცობრიობის ყურადღება. ალექსანდრია შეიქნა არა მარტო კლასიკური სწავლის თავშესაფარებელ ალაგათ, არამედ იგი გახდა მსოფლიო ალებ-მიცემობის ცენტრათ. რაღა თქმა უნდა ამას შემდეგ ალებ-მიცემობა და მიმოსვლა ინდოეთთან და საზოგადოთ აღმოსავლეთ აზიასთან ბევრათ უფრო მოსახერხებელი შეიქნა ალექსანდრიის საშუალებით, ძველი გზა შავი ზღვით და საქართველოთი

*) ოვიდ. თავათ იგულისხმება, რომ ეს თემები განვითარებია სხვადასხვა საფეხურზე იდგენ, და ეს განსხვავება დღემდისაც დაცულია ჩვენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატოვებულ იქნა, რითაც ჩვენმა მხარემ დაკარგა ის უპირატესობა, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მეოხებით. მეორე მხრით თვით საქართველოს ხალხის ისტორიული ცხოვრება ამ ხნიდან დაწყებული ისეთ მიმართულებას ღებულობს, რომ მისი კულტურული ზრდა და ეკონომიური წარმატება ფერხდება და ამასთანავე წინა საუკუნოებში შეძენილიც ირღვევა.

დაახლოვებით ამავე დროს (სამი საუკუნის წინ ქრისტემდის) საქართველოში არსდება პოლიტიკური სახელმწიფო, რომელსაც საფუძვლათ ედება სპარსეთის სახელმწიფო წეს-წყობილება. „ფარნაოზმა (სახელი საქართველოს პირველი მეფისა) გაამრავლა მხედარნი ქართლოსიანნი, რომელთაც განუწესა სპასალარნი და ათისთავნი; დაარიგა აქა-იქ აზონის მხედარნი, რომელთაც უწოდა აზნაურ; შემოხლუდა ქალაქი მცხეთა და სხვა ქალაქები ქართლისა; დაჰყო მთელი სამეფო საერისთაოებათ" *). ამას შემდეგ საქართველო აზიის სახელმწიფოთა მიხედვით უნდა გამხდარიყო სამხედრო დესპოტიათ, რაც ნიშნავდა თავისუფალ თემთა მოსპობას და უმრავლესობის დამონებას. საქართველო სამხედრო დესპოტიათ არ გარდაიქმნა, აქ თანდათან განვითარდა წეს-წყობილება, მსგავსი ევროპის საშუალო საუკუნოების ფეოდალური წეს-წყობილებისა: ამასთან საქართველო დაიყო რამდენსამე სამეფოთ და სამთავროთ, რომელთა შორის მტრობა, შუღლი, განხეთქილება და შფოთი რაც ხანი გადიოდა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. შინაურ შფოთს და შუღლს ხელს უწყობდენ და იმავე დროს მით სარგებლობდენ გარეშე მტრები. სხვადასხვა მტრები, სხვადასხვა დროს აოერებდენ და აწიოკებდენ საქართველოს, ასე რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე მისი ისტორიის მთელი შინაარსი წარმოადგენს ან შინაურ და ან საგარეო ომების აღწერას. ასეთი მდგომარეობის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ აღებ-მიცემობა, რომელიც ნატურალური წარმოების დროს განსაკუთრებით უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელით საბრდოობდა, მისუსტდა. რამდენად შეუძლებელი შეიქნა აღებ-მიცემობითი მოძრაობა და ცოტათ თუ ბევრათ თავისუფალი მიმოსვლა საქართველოში, ამას ყველაზე უფრო შემდეგი გარემოება გვიმტკიცებს. მას შემდეგ რაც არაბებმა დაიპყრეს ეგვიპტე და ალექსანდრია, რის გამო იტალიის ვაჭრებს აღმოსავლეთ აზიასთან საქმის დაჭერა გაუძნელდათ, უკანასკნელნი გადმოსახლდენ სტამბოლში და შავი ზღვის საშუალებით ისევ ძველ გზას მიმართეს, მაგრამ რადგანაც საქართველოში მიმოსვლა მეტათ საშიშარი იყო, მას გვერდი აუქციეს და ბევრათ უფრო შორი გზა არჩიეს სამხრეთ რუსეთის საშუალებით. ვენეციელი [4]) და გენუელი [5]) ვაჭრები ამ გზით სარგებლობდენ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და ამ ხანში ერთხელაც არ უსარგებლიათ საქართველოთი. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ხალხის საწარმოო ძალას არა თუ წარმატება ეტყობოდა, არამედ იგი სულ უკან მიდიოდა. გლეხი ანუ ყმა, რომელიც შეადგენდა წარმოების სუბიექტურ ფაქტორს, მთელი თავისი ქონებით და ძალ-ღონით გადაიქცა ბატონის საკუთრებათ. „ყმისა ყველა ბა-

*) ცხადია, რომ ნემატიანე ერთ პირს, ამ შემთხვევაში ფარნაოზს, აწერს იმას, რაც ცხოვრებაში უკვე განსორციელებული იყო. მაგრამ ჩვენთვის აქ მხოლოთ ფაქტია საპირო.

ტონისა არის“ (ვახტ. კან. § 258), დააკანონა ვახტანგ მეექვსემ*) და ამით მისცა სრული სანქცია იმას, რაც ცხოვრებაში უკვე დიდი ხანია განხორციელებული იყო. ის მცირეოდენი უფლებაც, რომლითაც აღბუღას*) დროს კიდევ სარგებლობდა ყმა, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში უკვე კაი ხანია მოსპობილი იყო: ყმას ამ დროს აღარ ჰქონდა საკუთრების შეძენის უფლება და საზოგადოთ ამ დროს კანონი მას უყურებს, როგორც ობიექტს და არა როგორც სუბიექტს (ხახანაშვილი [7]).

ამნაირათ ყმას ჩამორთმეული ჰქონდა ყოველგვარი ადამიანური უფლება; გამოდიოდა, რომ ის მხოლოთ ბატონის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ იყო გაჩენილი; ბატონი სარგებლობდა ყმით, როგორც ენდოდა, ჰყიდდა, გაჩუქებდა, იგი იყო მისი მსაჯული, მხოლოთ სიკვდილით დასჯა ჰქონდა მას აკრძალული, მაგრამ de facto მას ესეც შეეძლო, —ერთი სიტყვით, ბატონის უფლებას ყმაზე საზღვარი არ ჰქონდა. თავისუფალი მიწის მუშის ყმათ გადაქცევა ერთბაშათ არ მომხდარა და რამდენათ ამ გარდაქმნის პროცესი ხდებოდა, იმდენათ ხალხის ნივთიერი მდგომარეობა უკან მიდიოდა. ან რა საჭირო იყო მისთვის სიმდიდრე, როცა ის დარწმუნებული იყო, რომ ამ სიმდიდრეს უეჭველათ ვინმე სხვა დაეპატრონებოდა. მთელ წარმოებას ბატონყმობის დროს, რომელსაც სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა შეადგენდა, მხოლოთ ბატონის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჰქონდა მხედველობაში. სახელმწიფო მოთხოვნილება მეორე ხარისხზე იდგა; მეფეს თავისი საკუთარი ყმები ჰყავდა და სახელმწიფო ხარჯებიც თავისი შემოსავლით უნდა დაეფარა, ანუ მოკლეთ რომ ვთქვათ, ისიც ფეოდალური ბატონი იყო. წინეთ როცა ბატონყმური პრინციპი —„ყმისა ყოველივე ბატონისა არის“— ცხოვრებაში განმტკიცებული არ იყო, ყმა შედარებით ადვილათ იტანდა თავის უღელს, მაგრამ როცა ცხოვრებაში ამ პრინციპმა სრული განხორციელება მიიღო, ყმების მდგომარეობა მეტად გაჭირდა. ამ გაჭირვებიდან თავის დასაღწევათ ხალხი გარბოდა ოსმალეთში, სადაც ბატონყმობა არ არსებობდა. ეს გაბშირდა უმეტესათ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთ-გურია-სამეგრელოში. ამ პროვინციების ეკონომიურ განადგურების და იმავე დროს ზნეობრივ დაცემას მოწმობს ის გარემოება, რომ იმათი მთავრები ოსმალეთის ხარკს ადამიანებით, ე. ი. ორმაი ქალებით, იხდიდენ. ეს კიდევ არაფერი: იმერეთ-გურია-სამეგრელოს ბატონები აშკარათ ჰყიდდენ თავიანთ ყმებს ოსმალეთში და ამ გაყიდულთა რიცხვი ყოველ წლივ რამდენიმე ათასამდის აღიოდა. ქართლ-კახეთში კი ასეთი ამბავი ჩუმათ თუ ხდებოდა და ისიც ძლიერ იშვიათათ.

ხალხის ეკონომიურმა დაქვეითებამ, რაც ბატონ-ყმური დამოკიდებულების პირდაპირი შედეგი იყო, საზოგადოებრივი ცხოვრება უკან დააქანა და სახელმწიფო ძალა სრულიათ შეასუსტა.

პოლიტიკურათ საქართველო მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში წარმოადგენდა ორ სამეფოს: ქართლ-კახეთისას და იმერეთისას და სამ სამთავროს: გურიისას, სამეგრელოსას და სვანეთისას*). შინაური წყობილება ყველაკი ერთ და

*) ამას გარდა ქ. ფოთი, აჭარა და ჭანეთი ოსმალეთს ეკუთვნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგიეე საფუძველზე იყო აგებული. ეკონომიურმა ვითარებამ იქამდის მიიყვანა საქართველოს ყველა ნაწილები მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, რომ არც ერთ იმათგანს პოლიტიკური თვით-არსებობის დაცვა აღარ შეეძლო და ამას ეველარ მიანიჭებდენ მათ ვერც გონიერი და გულადი მეფენი, როგორიც იყვნენ ერეკლე II [8]) და სოლომონ [9]) დიდი, და ვერც მამაცათ მებრძოლი ჯარი. მაგრამ სადღა იყო ეს ჯარი. ეეფუ ერეკლე შინაურ შფოთის და ამბოხების დასათრგუნავათ და გარეშე მტრების მოსაგერებლათ იძულებული შეიქმნა დაექირავებია დაღესტნის ლეკები, რაც წლიურათ თხოულობდა 60—100 ათას მანეთამდის ხარჯს. ეს ნიშნავდა ხალხის შემცირებას. ხალხის რიცხვის მოძრაობა არის ულტეუარი საზომი მისი ეკონომიური ვითარებისა. ქართველი ხალხის რიცხვი, რომელიც წინა საუკუნოებში რამდენიმე მილიონამდის ადიოდა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს სამას ათას არ აღემატებოდა, ეს გარეშეობა ცუდი ნიშანი იყო. ორივე საქართველოს სამეფოს [10]) დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა: ქართლ-კახეთის სამეფო დიდი ხნიდან სპარსეთის პროვინციათ ითვლებოდა, იმერეთი ოსმალეთს ემორჩილებოდა. თუმც ჯერ კიდევ პოლიტიკური დამოუკიდებლობის სახე ჰქონდათ შერჩენილი, მაგრამ სახელმწიფო შემოსავალი სახელმწიფო ხარჯებს ვეღარ ფარავდა. ერეკლე II სახელმწიფო შემოსავლის გასადიდებლათ ართმევდა ძალით თავადებს მამულს, რის გამო მას ბევრი წარჩინებული თავადები გადაეტერენ *). მთელი ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავალი მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ძლივს ადიოდა 90,000 მანეთამდის **). ამ შემოსავლის გადიდება მაშინდელი წარმოების პირობებში ყოველათ შეუძლებელი იყო, რადგანაც წარმოება თანდათან ეცემოდა. მაგალითათ, აბრეშუმის მოყვანა, რომლითაც ერთ დროს საქართველო ოდიარუსის სიტყვით ძლიერ მდიდარი იყო, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ძლიერ შემცირდა. ესევე ბედი ეწვია სამთო მრეწველობასაც. 1763 წელს მეფე ერეკლე II-ის წინადადებით ბერძნებმა დაიწყეს ბორჩალოში ვერცხლის და სპილენძის წარმოება, რომელიც ხაზინას პირველ ხანებში 15,000 მანეთამდის შემოსავალს აძლევდა. მაგრამ 1800 წ. ეს წარმოება უკვე გაუქმებული იყო. რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, იმის მდგომარეობა ეკონომიურათ კიდევ უარესი იყო. ხალხის ნაწარმოებს მძლავრი თავადობა ისაკუთრებდა, რომლის წინაშე თვით მეფეც ქედს იხრიდა. იმ კუთხეში, სადაც 22 საუკუნის წინეთ ყვაოდენ ქალაქები, რომელთა სიმდიდრე და მსოფლიო აღებ-მიცემობა განთქმული იყო, გარდა ქუთაისისა, რომელიც უფრო სოფელს გავდა, არ არსებობდა არც ქალაქი და არც მჭიდროთ დასახლებული დაბა; და თვით ხალხი მეპატრონეთა მტაციობისა და დამცირებისაგან წელში გატეხილი იყო. რომ საქართველოს ხალხი სრულიად არ განადგურებულიყო და არ აღმოფხვრილიყო, საჭირო იყო: 1) კერძო ფეოდალების თავ-გასულობის და თვითნებობის თუ სრულიად მოსპობა არა, ალაგმვა მაინც; 2) ეზრუნველყოფა გარეშე მტრების აკლებისაგან; 3) უწინარეს ყოვლისა თვით ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში ახალი წყაროების აღმოჩენა. საუბედუროთ არც ერთი ამ

*) Акты. Архив К. Т. I. გვ. 426.
**) „ „ „ „ 197.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობის სისრულეში მოყვანა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს შინაური ღონისძიებით შესაძლებელი არ იყო.

ამნაირათ ორი ათასი წლის ცხოვრებამ საქართველო მიიყვანა საშიშარ კრიზისამდის: მას წინ ედგა ან სრულიად აღმოუბვრა და ან გარდაქმნა. მეცხრამეტე საუკუნემ გადაწყვიტა ეს დილემა მეორეს სასარგებლოთ. რუსეთის მთავრობის დაფუძნება საქართველოში არ იყო ერთი კაცის ნების შესრულება, ეს იყო ისტორიული აუცილებლობა.

თუ ახლა უკან დავიხევთ და ჩვენ თვალს მივაპყრობთ საქართველოს ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ჩვენ წარმოგვიდგება ორი სურათი: ერთი მხრით თავისუფალი თემები, მდიდარი ქალაქები, კოლხიდელი ვაჭრები, რომლებიც აწარმოებდენ მსოფლიო აღებ-მიცემობას, გზები, რომლებზედაც მიმოსვლა მშვიდობიანათ შეიძლებოდა, და მეორე მხრით ქვეყანა, შეწუხებული გარეშე და შინაური მტრებისაგან, დაცემული ეკონომიურათ და დასახლებული ხალხით, რომლის უმრავლესობა, მოკლებული ყოველგვარ ადამიანურ უფლებას, ნივთიერ და გონებრივ სიღატაკეში იყო ჩაფლული. მაშასადამე, ეს ორი ათასის წლის ცხოვრება საჭირო იყო მხოლოთ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა დაქვეითებულიყო. ასეა თუ ისე, თავისუფალ თემთა მოსპობა ყოველგან განვითარების შედეგი იყო. მხოლოთ ჩვენი ქვეყანა დიდხანს შეჩერდა მეორე საფეხურზე. სამაგიეროთ მისი ეკონომიური წარმატება მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენ გვეუბნება, თუ როგორი სისწრაფით ტოვებს იგი ძველ ფორმებს.

II. მცხოვრებნი

როგორც პირველ წერილში გვქონდა მოხსენებული, ჩვენი მიზანი არის იმის შესწავლა, თუ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საქართველომ როგორ იცვალა ფერი, თუ როგორ გაჩნდენ და თანდათან განვითარდენ მასში ახალი საზოგადოებრივი პირობები. მაგრამ ის გარემოება, რომ ნთელი ამიერ-კავკასია ნივთიერი წარმოების პირობებმა ერთ კალაპოტში ჩააყენეს და მიუხედავათ მისი სხვადასხვა ნაწილების როგორც ფიზიკურათ, ისე ტომებრივათ განსხვავებისა, ეკონომიურათ ერთ მთელათ აქციეს, ეს გარემოება, ვიმეორებთ, გვაიძულებს განვიხილოთ მთელი ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა და საქართველო გამოვაცალკეოთ მხოლოთ იქ, სადაც ეს საჭირო იქნება. ერთი შენიშვნა კიდევ. ჩვენი შრომა შეიცავს უმთავრესათ ფაქტიურ მასალას ისტორიულ და სტატისტიკურ ცნობებს, რომელნიც ამ მიზნით პირველათ ნხოლოთ ჩვენ მიერ არის შესწავლილი და გამოკრებილი თავ წყაროებისაგან. ჩვენ კარგათ ვგრძნობთ, თუ რა ნაკლულევანება აქვს ამ სტატისტიკურ მასალას, თუ რამდენათ შორს არის ის სინამდვილესთან,—მაგრამ რა გაეწყობა. ჩვენ შეგვიძლიან ვეცადოთ, რომ მომავალში ავიცდინოთ ეს ნაკლულევანება. რაც შეეხება წარსულს, ჭნდა ვისარგებლოთ მით, რაც სხვადასხვა ოფიციალურ თუ კერძო გამოცემებში არსებობს და რაც ჯერ ხელუხლებელია. ჩვენ ვეცდებით, სადაც შესაძლებელი იქნება, მარტო ერთ წყაროს არ დავემყაროთ, არამედ ერთი და იგივე საგნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსარკვევით სხვადასხვა წყაროს ან საშუალებას მივმართოთ, რათა სინამდვილესთან უფრო ახლო მივიდეთ. ასეთია ჩვენი განზრახვა და რამდენათ მის სისრულეში მოყვანას შეეძლებთ, ამას მკითხველი დააფასებს.

ჩ ვ ე ნ ვ ი წ ყ ე ბ თ მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ი თ *). მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა-მატება არის უტყუარი მაჩვენებელი თვით ხალხის ძალღონის ზრდა-მატებისა, მისი საწარმოო ძალთა განვითარებისა. ხალხის რაოდენობის შეტყობას ყოველთვის და ყოველგან უპირატესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ყოველგვარი ბეგარის თუ ხარკის რაოდენობის გასაგებათ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ამ საგნის შესახებაც არ არსებობს სწორი სტატისტიკა **). და თუ დღეს ეს ასეა, როცა სტატისტიკურ კვლევაში გაუმჯობესებული წესებია შემოღებული, ამ ერთი საუკუნის წინეთ რაღა უნდა ყოფილიყო. ძველ, ფეოდალურ საქართველოში, სამეფო წესწყობილების დროს მცხოვრებთა საერთო აღწერა არ ხდებოდა. მეფემ და ფეოდალურმა ბატონებმა, ყველამ თავისთვის ვარაუდით იცოდნენ რამდენი ქვეშევრდომი ანუ ხარჯის და ბეგარის გადამხდელი ყმა ყავდათ და ეს საკმარისი იყო. რუსეთის მთავრობის დაფუძნებისთანავე ჩვენში ასეთი აღწერის მოხდენა აუცილებელი შეიქნა. მეორე მხრით ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი უნდა ყოფილიყო საერთო აღწერილობის მოხდენა ახლათ დაარსებული მთავრობისთვის, რომელიც უამისოთაც ათას გვარ ეჯეს ბადებდა ხალხში. მაგრამ მთავრობა არ შეუშინდა ამას და დაფუძნების პირველსავე წლებში ორჯერ, სახელდობრ 1806 წ. და 1811 წ. მოახდინა ქართლ-კახეთის და ზოგიერთ მაბლობელ პროვინციების გადამხდელ წოდებათა აღწერა, რომლის ცნობები, ჩვენი აზრით, ძლიერ დაახლოებით განსაზღვრავენ ქართლ-კახეთის სამეფოს მცხოვრებთ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს. სამწუხაროთ იმ დროისთვის ასეთი ცნობები არა გვაქვს არც იმერეთზე და არც ამიერ-კავკასიის დანარჩენ პროვინციებზე. მართალია ოფიციალურ მოხსენებებში აღნიშნულია ამ პროვინციებზე მცხოვრებთა რაოდენობაც, მაგრამ ეს ცნობები მეტათ საეჭვონი არიან. კერძოთ იმერეთის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ მას 1811 წელს დიდი შიმშილობა ეწვია, რაც საზოგადოთ ძველ საქართველოში ხშირი მოვლენა იყო. შიმშილს ყამიც მოყვა. ამიხ შესახებ იმერეთის მაშინდელი მმართველი, ბ. სიმონოვიჩი, წერს: „იმერეთი დიდ უბედურებაში ჩავარდა; შიმშილმა და ყამმა მცხოვრებთა რიცხვი გაანახევრესო“ ***). თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მარტო ოფიციალური გამოანგარიშებით იმერეთმა ერთი წლის განმავლობაში სტიქიურ უბედურებათა მეო-

*) ჩვენ უნდა დაგვეწყო წარმოების ფორმათა განვითარების წესწავლით, მაგრამ ეს შემდეგისთვის გადავდეთ.

**) მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, 1886 წელს მოხდა ამ.-კავკასიის მცხოვრებთა საერთო აღწერა, რომლისგანაც აღმოჩნდა, რომ 1886 წ. თბილისში სულ 78,445 სული ცხოვრობდა, მაშინ როცა 1876 წ. ერთი დღის აღწერით ირიცხებოდა, მოსწავლეებს, ჯარებს და ტუსაღებს გარდა 89,951 სულ (იხ. Свод. стат. дан. о насел. Закавк. Края 1893 წ.). გამოდია, რომ 1876-1886 წლებში თბილისის მცხოვრებთა რიცხვი შემცირებულა, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგება.

***) Акты т. V. стр. 98.

ხებით დაჰკარგა 42,200 სული, სიმონოვიჩი მართალი იყო როცა ამბობდა, რომ „შიმშილმა და ყამმა იმერეთის მცხოვრებთა რიცხვი გაანახევრესო". იმავე 1811 წელს შიმშილობა ეწვია კახეთსაც, თუმც არა ისე ძლიერი, როგორც იმერეთს. ყოველივე ეს არა თუ აფერხებდა ხალხის გამრავლებას, არამედ კიდევ უფრო ამცირებდა მის რაოდენობას. მაგრამ ხალხის გამრავლება საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის პირველი ოცი წლის განმავლობაში დაბრკოლებული იყო იმიტომაც, რომ ამ ხანებში ხალხში ჩაბოვარდა საერთო მოუსვენრობა, შიში და ძრწოლა, გამოწვეული ალბათ უცხო წესების შემოღებით და უცხო ზნე-ჩვეულებათა გავრცელებით, რაც სამუდამოთ ძირს უთხრიდა საუკუნეთა განმავლობაში არსებულ და შესისხლხორცებულ ზნე-ჩვეულებათა და საზოგადოებრივ წყობილებას. ასეთი ხანა არსად და არასოდეს არ ყოფილა კეთილსაყოფელი ხალხის კეთილდღეობისთვის. მაგრამ განვლო დრომ და ხალხში თანდათან გაქრა ეს უიმედობა და შიში; იმავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ნივთიერ პირობებში მოხდა ღრმა ცვლილებანი თანამედროვე აღებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარების მეოხებით, რამაც თავისთავათ გამოიწვია ხალხის გამრავლებაც.

მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ს ა ე რ თ ო რ ი ც ხ ვ ი. ჩვენი გამოანგარიშებით, რომელიც დაწერილებით ქვევით მოგვყავს, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის და იმერეთ-გურია-სამეგრელოს მცხოვრებთა საერთო რაოდენობა დაახლოვებით უდრიდა 413,929 სულს:

ქართლ-კახეთი (1806 წ.) . .	168,929 სული *)
იმერეთი (1810 წ.)	120,000 სული **)
გურია (1810 წ.)	25,000 სული
სამეგრელო (1804 წ.) . . .	100,000 სული ***)
სულ . .	413,929 სული.

*) იხ. Акты, т. III, стр. 714. ტექსტში მოყვანილი ციფრი 168,929 შემდგარია ამნაირათ: 1806 წლის აღწერით ქართლ-კახეთის, ბორჩალოს, კახაბის, პამბაკის და შამშადილოს გადამხდელ წოდებათა რიცხვი შეადგენდა სულ 153,572 სულს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, რაც უნდა დიდძალი ყოფილიყო ჩვენში თავისუფალ წოდებათა რაოდენობა, გადამხდელ წოდებებთან შედარებით 10% მეტი მაინც აღარ უნდა ყოფილიყო. ეს შეადგენს 168,357 სულს.

**) ეს ციფრი ნაკლებია იმაზე, რომელსაც ბ. ეფეცკი იძლევა 1835 წლისთვის (იხ. Стат. Опис. Зак. Края, О. Евецкого. С. II. Б. 1835 г.), რაც იმას მოასწავებს, რომ ამ ხნის განმავლობაში იმერეთის ხალხის რიცხვი შეცირდა. ტექსტში მოყვანილი ციფრი დამყარებულია იმაზე რომ ერთ მოხსენებაში (Акты т. IV) ნათქვამია: იმერეთში არსებობს 40,000 ოჯახით, სამეგრელოში 12,000 და გურიაში 5,000. იმერეთისათვის 40,000 ოჯახი 1810 წელს ჩვენ გადაჭარბებული მიგვანნია და ამიტომ ვფიქრობთ თითოეულ ოჯახისთვის უმცირეს რაოდენობას, ე. ი. სამ სულა ოჯახზე. საინტერესოა აგრეთვე შემდეგი ცნობები: 1817 წ. დიუბას ცნობით იმერეთში იყო 12,730 სახლი, თითო სახლზე რომ 6 სული მივიღოთ, გამოვა 76,380 სული. ეს რიცხვი ძლიერ ფაქლოვდება იმას, რომელსაც იძლევა საფრანგეთის ელჩი თბილისში, ბ. გამბა, 1821 წლისთვის, სახელდობრ 80,793.

***) იხ. Акты, т. IV стр. 952—3. იქ მოხსენებულია, რომ 1805 წ. სამეგრელოში მარტო მამაკაცის რიცხვი უდრიდა 60,000 სულს, მაგრამ მეორე მხრით იგივე ცნობა გვეუბნება, რომ მაშინ სამეგრელოში ირიცხებოდა 12,000 ოჯახი. და თითოეულ ოჯახზე რომ უდიდესი ციფრი ავიღოთ, საველდობრ 8 სული, გამოვა 96,000 სული. ანგარიშისათვის ჩვენ ვფიქრობთ სამეგრელოსთვის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში 100,000 სულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რიცხვი სინამდვილესთან ახლო ღნდა იყოს; რაც შეეხება შემდეგ ციფრებს, ისინი ბევრათ უფრო საეჭვონი არიან:

ჭარი და ბელაქარნი	90,000	სული მამ. სქეს.
შირვანის სახანო (შემახა) . .	120,000	„ „ „
შექის სახანო (ნუხა)	75,000	„ „ „
ელისუის სასულტანო . . .	60,000	„ „ „
ყარაბაღის სახანო	5,079	„ „ „
შურაგელის	2,773	„ „ „
სულ . . .	372,852	ს. მ. სქ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზეით დასახელებულ რაიონებში უფრო მაჰმადიანები ცხოვრობენ, სადაც დედაკაცები მცხოვრებთა საერთო რაოდენობასთან შედარებით 80% შეადგენენ, გამოვა, რომ იქ კიდევ 298,281 სული დედაკაცი ცხოვრობდა. ანუ სულ ერთათ მამაკაცებიანათ 671,133 სული. გარდა ამისა ბაქოში, ყუბაში და იმათ ახლო-მახლო მიდამოებში ცხოვრობდა 13,951 სული ორივე სქესისა *). მაშასადამე, დღევანდელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი, აბხაზეთის, დაღესტანის, ახალციხის, ბათომის და ყარსის ოლქებს გარდა, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დაახლოებით უდრიდა 1.099,013 სულს, 1835 წლიდან ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებზე ჩვენ გვაქვს უკვე უფრო მართალი და ამასთანავე უფრო დაწვრილებითი ცნობები. აი ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ზრდას მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ 65 წლის განმავლობაში **).

წელი	მცხოვრებთა რაოდენობა	ოთხკეცის ვერსზე რამდენი სული
1835 ***)	1.550,000	—
1858 ****)	2.705,395	14,52
1865 *****)	3.115,164	16,30
1873 ******) . . .	3.521,203	—
1886 *******) . . .	4.684,773	22,23
1897 ********) . .	5.461,911	95,91
1899 *********) . .	5.578,587	26,84

*) Акты, т. IV ნგ. 953.

**) ამ ცხრილში არ შედის შავი ზღვის გუბერნია წინანდელი შავი ზღვის პირის ოლქი, ვინაიდან ამიერ-კავკასია იგი მხოლოთ ადმინისტრატიულათ ეკუთვნის.

***) О. Евецкий, Ст. опис. Закав. края.

****) И. Стебникий, Стат. таблица Кавк. края.

*****) Сборник стат. свед. о Кавказе, т. I. 1869.

******) Сборник свед. о Кавказе т. VII.

*******) Свод ст. дан. о насел. Закавк. края, извлеч. из пос. сп. 1886 г., Тиф., 1893.

********) Кавкасский Кален. за 1899 г.

*********) Кавкасский Кален. за 1900 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი ერთ მილიონ და ასი ათასიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს მის დასასრულს ხუთ მილიონ ნახევარს გადასცილდა, ე. ი. გადიდდა ხუთჯერ; პროცენტებით ეს ზრდა გამოიხატება 416,69%. რასაკვირველია ასეთი ზრდა არ მიეწერება მარტო ადგილობრივ მკვიდრთა ბუნებრივ გამრავლებას. ეს შესამჩნევი ზრდა აიხსნება აგრეთვე როგორც ახალი პროვინციების შემოერთებით, ისე უცხო ტომთა ჩამოსახლებით*) მაგ., სლავიანების, სომხების და სხ. ყოველ შემთხვევაში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი, შემდეგ ხანებში შემოერთებულ პროვინციების მცხოვრებთა და ჩამოსახლებულთ გარდა, სამჯერ მაინც გადიდდა; თუ მეტათ არა, მაშინ როცა იმავე ხნის განმავლობაში მთელი დედამიწის მცხოვრებთა რიცხვი გადიდდა მხოლოთ $2^1/_2$-ჯერ. მოყვანოთ აქ კიდევ ერთი ცხრილი, რომელიც დაგვანახვებს ამიერ-კავკასიის თითოეულ გუბერნიის მცხოვრებთა რაოდენობას ცალ-ცალკე 1899 წელს, თითოეული მათგანის სივრცის, სიმჭიდროების და მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში მონაწილეობის ჩვენებით.

სახელი გუბერნიების	სივრცე ოთხკუთხ. ვერსებათ	მცხოვრებთა რაოდენობა	სიმჭიდროება ოთხკ. ვერს.	% მონაწილეობა საერთო რიცხ.
ქუთაისის . . .	31.789,37	1.099,056	34,57	19,70
თბილისის . . .	34.828,12	984,613	28,27	17,65
განჯის	37.963,73	887,425	23,37	15,91
ერევნის	22.829,02	832,682	36,31	14,93
ბაქოს	34.353,62	800,826	23,31	14,35
დაღესტნის . .	25.787, 7	589,809	22,87	10,57
ყარსის	16.630,71	302,008	18,76	5,41
ზაქათალ. ოლქ.	3.507,24	82,168	23,43	1,48
სულ . .	207.789,51	5.578,587	26,84	100,00

ამნაირათ მცხოვრებთა რაოდენობით დღეს ქუთაისის და თბილისის გუბერნიებს პირველი ადგილი უჭირავთ, იმათი მცხოვრებნი შეადგენენ 37,35% მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რაოდენობისას; სიმჭიდროებით კი პირველი ალაგი ერევნის გუბერნიას უჭირავს, 36,31 კაცი თითო ოთხკ. ვერსზე, შემდეგ ქუთაისისას, 34,57 კაცი თითო ოთხკ. ვერსზე. ყველაზე უფრო მეჩხრათ დასახლებულია ყარსის გუბერნია, ე. ი. 18,76 კაცი ოთხ-კუთხ ვერსზე.

მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა ა მ ი ე რ - კ ა ვ კ ა ს ი ი ს ზ მ თ ა ვ რ ე ს ე რ ე ბ შ ი. ჩვენ ვიცით, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში

*) თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიიდანაც მრავალი მკვიდრი გადასახლდა ოსმალეთში ამავე ხნის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხის რიცხვი დაახლოვებით უდრიდა 380,000 სულს. დანარჩენ ერთა შესახებ ამ ხანებისთვის ჩვენ არავითარი სარწმუნო ცნობა არა გვაქვს. მხოლოთ 1835 წლიდან შეგვიძლია გავითვალისწინოთ მცხოვრებთა მოძრაობა ამიერ-კავკასიის უმთავრეს ერებში, რასაც შემდეგი ცხრილი წარმოგვიდგენს:

წლები	საერთო რიცხვი	რუსები	ქართველები	სომხები	თათრები	ლეკები
1835 . .	1.550,000	—	432,000	370,000	—	320,000
1865 . .	3.115,164	67,529	852,319	561,734	977,191	—
1886 . .	4.684,773	122.257	1.261,701	939,131	1.139,659	588,733

აი კიდევ ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს ხუთ უმთავრეს ერების მცხოვრებთა საერთო რიცხვში მონაწილეობას იმავე წლებში %%-ებათ.

წლები	ქართველები	სომხები	რუსები	თათრები	ლეკები
1835 . . .	27,87	23,87	—	—	20,64
1865 . . .	27,88	18,03	2,17	31,36	—
1886 . . .	26,96	20,05	2,60	24,32	12,57

ამნაირათ თუმცა თითოეული დასახლებული ხალხის რიცხს აბსოლიუტურათ უმატია, მაგრამ შედარებით მცხოვრებთა საერთო რაოდენობის ზრდასთან უკლია, გარდა რუსებისა, რომელთაც მომატებია მცირეოდენი პროცენტი, ე. ი. 0,43%. ყველაზე უფრო უკლია ამ მხრით ლეკებს: 1835 წელს ისინი შეადგენდენ 20,64% ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვისას და 1886 წელს კი მხოლოთ 12,57%, მაშასადამე დაუკლიათ 8,07%; თათრებს დაუკლიათ (31,36—24,32) 7,04%, სომხებს (23,87—20,05) 3,82%, ყველაზე ცოტა დაუკლია ქართველებს (27,87—26,92) 0,91%. ზეით დასახელებულ ერთა ზრდა პროცენტებათ ასე გამოიხატება:

ქართველები 51 წ. განმრავლ.	— 192,06%	წლიური	მატ.	3,76%
სომხები . .	„ 153,81	„	„	3,01
ლეკები . .	„ 84,00	„	„	1,64
რუსები 21 წლ. განმავლობაში	— 81,04	„	„	3,86
თათრები .	„ 16,62	„	„	0,79

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე უფრო უმატია ქართველ ხალხს ე. ი. 192,06%, იგი გამრავლებულა 51 წლის განმავლობაში თითქმის სამჯერ (2,9), ორთა შუა რიცხვით ყოველ წლივ მას უმატია 3,76%, ამათ მოსდევენ სომხები, რომელთაც უმატიათ იმავე ხნის განმავლობაში 153,81%, ყოველ წლივ 3,01%-ყველაზე ნაკლებათ უმატია თათრებს, 21 წლის განმავლობაში მხოლოთ 16,62%,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ წლივ 0,79%. რუსებს უმატიათ ქართველებზე ცოტა მეტი, 21 წლის განმავლობაში 81,04%, ყოველ წლივ 3,86%. მაგრამ იმათი მატების ასეთი დიდი პროცენტი მიეწერება რუსების ახალ ელემენტების ჩამოსახლებას, იმიგრაციას ამიერ-კავკასიაში. ესევე უნდა ითქვას სომხებზედაც, რომელთა დენა ოსმალეთიდან და სპარსეთიდან ამიერ-კავკასიაში თანდათან მატულობს. მეორე მხრით თუ თათრების და ლეკების რიცხვს გაცილებით ნაკლებათ უმატია (ყოველ წლივი მატება პირველებისა 0,79%, მეორეთა 1,64%) ეს აიხსნება იმით, რომ ისინი ვერ შეეგუენ რუსეთის მთავრობას და ამის გამო იმათი რამდენიმე ნაწილი გადასახლდა ოსმალეთში.

პირველი ადგილი ამიერ-კავკასიაში დასახლებულ ხალხთა შორის ქართველებს უჭირავთ; ისინი შეადგენენ დაახლოვებით 27% ამიერ-კავკასიის საერთო მცხოვრებლებისას. ქართველი ხალხი დასახლებულია განსაკუთრებით ორ გუბერნიაში: თბილისის და ქუთაისის, პირველში იგი შეადგენს 49,08% და მეორეში 89,02% საერთო მცხოვრებთა რიცხვისას*). ამნაირათ ქართველი ხალხის რიცხვით ქუთაისის გუბერნიას პირველი ადგილი უჭირავს. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომელსაც ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა სტატისტიკური მასალის შესწავლა აშკარათ ყოფს: ჩვენ ვამბობთ ქართველ მთიელებზე. ქართველი მთიელები იყვენ:

	1835 წ.	1886 წ.	მეტი%%	ნაკლები%%
ფშავნი . .	5,180 სული	9,155 ს.	76,54	—
ხევს . . .	6.200 „	6,560 „	5,48	—
თუშნი . .	6,120 „	5,624 „	—	8,10
სულ . .	17,500 „	21,339 „	21,93	—

მაშასადამე, თუშ-ფშავ- ხევსურთ 51 წლის განმავლობაში მოუმატიათ მხოლოთ 21,93%, წლიურათ 0,43%: კერძოთ თუშების რიცხვს ამ ხნის განმავლობაში მოკლებია 496 სული, ე. ი. 8,10%. მაგრამ ბევრათ უფრო სამწუხარო მდგომარეობაში სვანეთი იმყოფება: 1835 წელს იქ ითვლებოდა 30,000 სული, 1886 წელს კი მხოლოთ 14,035, ე. ი. 51 წლის განმავლობაში მოკლებულია 15,465 მცხოვრები ანუ 53,21%. აქედან ცხადათ ჩანს, რომ ქართველი ხალხის ზრდაში ქართველ მთიელთ თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

1886 წლის შემდეგ ჩვენ არა გვაქვს ისეთი სტატისტიკა, რომელიც ამიერ-კავკასიის ერთა რაოდენობას განსაზღვრავდეს. და თუ ჩვენ მაინცა და მაინც მოვისურვებთ ქართველი ხალხის რაოდენობის განსაზღვრას 1899 წელს, ამისთვის ჩვენ ორი საშუალება გვაქვს: პირველათ ქართველი ხალხის წლიური მატებები და მეორეთ მისი მონაწილეობა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო

*) ასე იყო 1886 წელს იხ. Свод. ст. дан. о насел. Закав. края, Тифлис. 1893 г. როგორ შეიცვალა შემდეგში ეს განწყობილება, ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობაში. როგორც ვიცით, ქართველების საერთო რიცხვი 1886 წელს იყო 1.261,701; თუ მივიღებთ, რომ ქართველი ხალხის წლიური მატება 1,5% მაინც იქნება (1886 წლამდის ქართველების წლიური მატება 3,76% იყო), 13 წლის განმავლობაში მას უნდა მომატებოდა დაახლოებით 250.000 სული, რომელიც უნდა მიემატოს 1.261,701 გამოვა 1899 წლისთვის ქართველების რიცხვი 1.511,701. თუ მეორე მხრით მივიღებთ, რომ ქართველები შეადგენენ მთელ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა 27,57%*) და ავიღებთ 1899 წლის ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა მთელ რიცხვს, მივიღებთ 1.538,017, ე. ი. ციფრს, რომელიც ძლიერ უახლოვდება პირველი გამოანგარიშებით მიღებულს. ამნაირად ქართველი ხალხის რიცხვი უნდა უდრიდეს ამ ორთა დაახლოებით $\left(\frac{1.511,701+1.538,017}{2}\right)$ ანუ 1.524,859 სულს. მაშასადამე ქართველი ხალხის რიცხვი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ოთხჯერ მეტი გამხდარა, მოუმატია 301,58%, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა ხალხთა გამრავლების ისტორიაში. მაგ. ევროპის მცხოვრებთა რიცხვი იმავე ხნის განმავლობაში ძლიეს ორჯელ მეტი გახდა. კერძოთ, ბელგიის ხალხმა, რომელიც გამრავლების მხრით ყველაზე წინ დგას ევროპაში, 59 წლის განმავლობაში (1831—1890) მხოლოთ 60% მოიმატა. მიუხედავად ამისა, როგორც საქართველო ისე კიდევ უფრო მთელი ამიერ-კავკასია ევროპისთან შედარებით ძლიერ მეჩხრად არის დასახლებული: თითოეულ ოთხკუთხედ კილომეტრზე (კილომეტრი ვერსზე ცოტა ნაკლებია) ამიერ-კავკასიაში მოდის 24 კაცი, მაშინ როცა ევროპაში შუათანა რიცხვით იმავე სივრცეზე 115 კაცი ცხოვრობს.

ქალაქების მცხოვრებთა მოძრაობა. განვიხილოთ ახლა ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა მოძრაობა საზოგადოთ და კერძოთ უმთავრეს ქალაქებში. ახალი დროის ერთ უმთავრეს დამახასიათებელ მოვლენას შეადგენს ქალაქების მცხოვრებთა მომეტებული ზრდა სოფლის მცხოვრებთა ზრდასთან შედარებით. რას წარმოადგენენ ამ მხრით ამიერ-კავკასიის ქალაქები? მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ამიერ-კავკასიაში ჩვენ ვხედავთ ცოტაოდენი განსხვავებით იმავე ქალაქებს, რომლებიც დღესაც არსებობენ. უმთავრესი ამათგანი არიან: თბილისი, ბაქო, განჯა, ქუთაისი, ბათომი, ერევანი, ალექსანდროპოლი, ნუხა, შემახა, ახალციხე, სიღნაღი, თელავი, გორი და სხვ. მაგრამ ამათი მომეტებული ნაწილი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მხოლოთ ქალაქის სახელს ატარებდა. მაშინდელი ქალაქები მოკლებული იყვენ არა თუ მრეწველობას, არამედ უმეტეს შემთხვევაში აღებ-მიცემობასაც. ქალაქის ცხოვრება დიდით არაფრით განსხვავდებოდა სოფლის ცხოვრებისაგან. სამწუხაროთ, ამიერ-კავკასიის ქალაქების ისტორია ჯერ კიდევ ნამდვილი terra incognita არის სრულიად უცნობი საგანი: ჩვენ არა თუ არ ვიცით იმათი საზოგადოებრივი დაწყობილება, არამედ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდის არა გვაქვს ცოტათ თუ ბევრათ სარწმუნო ცნობები იმათ მცხოვრებთა რაოდენობაზე. ვიცით მხოლოთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ითვლებოდა:

*) $\left(\frac{27,87+27,88+26,96}{3}\right)=27,57\%$

თბილისში (1803 წ.) . . .	20,000 *)	სული
ბაქოში (1809 წ.)	5,007 **)	„
განჯაში (1804 წ.)	4,939 ***)	„

ამას გარდა გადამბდელ წოდებათა რიცხვი იყო 1806 წელს ****):

თელავში	1,258	სული
სიღნაღში	1,346	„
გორში	1,144	„
ანანაურში	308	„

მხოლოთ 1835 წლიდან შეგვიძლია ცოტათ თუ ბევრათ უფრო დაახლოებით გავითვალისწინოთ ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა მოძრაობა. აი ცხრილი ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა მოძრაობისა, დაყოფილი გუბერნიებათ.

გუბერნიების სახელები	წ ლ ე ბ ი			
	1835	1865	1896	1897
თბილისის *****)	42,370	107,775	131,183	218,242
ქუთაისის ******)	15,800	29,305	52,626	88,500
ბაქოსი	—	97,808	139,652	168,566
ერევნის	—	45,728	57,594	83,332
განჯის *******) .	—		72,994	83,557
დაღესტნის . .	—	24,483	20,599	33,035
ყარსის ********)	—	—	8,825	25,983
სულ . .	—	305,099	483,473	701,215

*) Акты, etc; т. II, стр. 1046. ჩვენ აქ მოგვყავს ეს ციფრი, თუმცა იგი საეჭვოთ მიგვაჩნია, და აი რათა: 1806 წლის აღწერით თბილისში გადამბდელ წოდებათა რიცხვი შეადგენდა სულ 10.324 (Акты. т. III, стр. 714). ამათში ხელოსნები და ვაჭრები 3921, დანარჩენი სხვადასხვა კატეგორიის გლეხები. 1811 წლის აღწერით ამავე წოდებათა რიცხვი თბილისში კიდევ ნაკლებია ნაჩვენები, სახელდობრ 8137 სული (Акты, т. V, стр. 199). ასევა თუ ისე, ის კი აშკარაა, რომ თავისუფალ წოდებათა რიცხვი არას შემთხვევაში იმდენი არ იქნებოდა, რაც გადამბდელთა, და სწორეთ ამიტომ ტექსტში მოყვანილ ციფრს 1806 წლისთვის ჩვენ გადაჭარბებულად ვიღებთ.

**) Акты. etc. т. IV, გვ. 81—2.

***) Акты, etc, т. II, გვ. 599 – 600.

****) ibid. т. III, გვ. 714,

*****) 1866 წლამდი განჯით, ამას შემდეგ ზაქათალით.

******) 1865 წლიდან სობუმით და 1836 წლიდან ბათომის ოლქით.

*******) განჯის გუბერნია ცალკე გამოიყო მხოლოდ 1868 წ. (19 თებერვალს; იგი შედგენილი იქმნა თბილისისა და ბაკოს გუბერნიების ნაწილებისაგან.

********) ყარსის გუბერნია შემოერთდა ამიერ-კავკასიას მხოლოდ 1878 წელს.

ეს ცხრილი აი რას გვეუბნება: უკანასკნელი 32 წლის განმავლობაში (1865- 1897) ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი 305,099 სულიდან ავიდა 701,215 სულამდე, ე. ი. გადიდდა 129,72%, მაშინ როცა იმავე ხნის განმავლობაში ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 3.115,164 ავიდა 5.461,911, ე. ი. მოიმატა 75,33%. მაშასადამე ქალაქების ასეთი ზრდა იქიდან აიხსნება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში სოფლის ხალხი სულ უფრო-და-უფრო ეტანება ქალაქებს. რომ კიდევ უფრო ნათლათ წარმოვიდგინოთ ჩვენი ქალაქების მცხოვრებთა ბატება, ამათი პროცენტული ზრდა შეეფარდოთ მცხოვრებთა საერთო ზრდას:

1865—1897 წლებში ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ უმატიათ 75,33%, ამასთანავე:

1865—1886 წ. მოუმატიათ 50,38%; წლიურათ 2,44%.
1886—1897 წ. „ 16,59%; წლიურათ 1,50%.

ამავე ხანებში ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთ უმატიათ 129,72%, ამასთანავე:

1865—1886 წ. მოუმატიათ 57,05%; წლიურათ 2,17%.
1886—1897 წ. მოუმატიათ 45,40%; წლიურათ 4,12%.

ამნაირათ, 1865—1886 წლებში ქალაქების მცხოვრებთა რიცხვს მოუმატია 6,67% მეტი და 1886—1897 წლებში კი 28,81% მეტი, ვინემ მცხოვრებთა საერთო რიცხვს ამავე ხანებში. ევროპის რუსეთის ქალაქებთან შედარებით ამიერ-კავკასიის ქალაქებს უმატიათ 26,70% მეტი, რადგანაც იქ 1885—1897 წ., ე. ი. 12 წლის განმავლობაში ქალაქების მცხოვრებთა რიცხს მოუმატია მხოლოთ 18,7% *). ეს ამმავე აჩვარათ მოწმობს იმას, რომ ცხოვრება ჩვენ ქალაქებში, მეტადრე ამ უკანასკნელ ხანებში, მომეტებული სიჩქარით იზრდება და ფართო სარბიელს ღებულობს. ამასვე გვიმტკიცებს აგრეთვე ქალაქების მცხოვრებთა პროცენტული მონაწილეობა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში უკანასკნელ 32 წ. განმავლობაში. ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით:

1865 წელს	9,47%
1886 „	10,32 „
1897 „	12,83 „

მაშასადამე ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობას ამიერ-კავკასიაში უმატია როგორც აბსოლიუტურათ, ისე შედარებითაც: 1865 წელს იმათი რიცხვი შეადგენდა 9,47% მცხოვრებთა საერთო რიცხვისას, 1897 წელს კი 12,83%, ანუ 3,36% მეტს. ამ მხრით ამიერ-კავკასიამ თითქმის გაუსწრო ევროპის რუსეთს, სადაც 1897 წელს ქალაქების მცხოვრებნი შეადგენდენ 12,5% მცხოვრებთა საერთო რიცხვისას.

*) ნაბ. „Русск. Ведомости". 1898 г. № 60.

ახლა გავსინჯოთ ქალაქების მცხოვრებთა მოძრაობა კერძოთ, ე. ი. ზოგიერთ უმთავრეს ქალაქებში:

ქალაქების სახელები	წ ლ ე ბ ი			
	1835	1865	1886	1897
თბილისი . . .	25,290*)	67,770	78,445**)	160,645
ბაქო	—	14,715	86,611	112,253
განჯა	16,200	15,081	20,294	33,090
ქუთაისი . . .	2,000	11,807***)	22,643	32,492
ერევანი	—	14,070	14,738	29,033
ბათომი . . .	—	—	14,803	28,512
ალექსანდრ. . .	—	16,814	24,230	32,018
ახალციხე . . .	13,000	11,617	16,116	15,387
ნუხა	—	—	25,899	24,811
შემახა	—	—	22,139	20,008
შუშა	—	—	26,805	25,656
ყუბა	—	—	13,917	15,346
ყარსი	—	—	3,939	20,891
ფოთი	—	1,039	4,709	7.666
სოხუმი ****) . .	—	1,612	412	7,809

*) О. Евецкий, стат. Оп. etc, გვ. 145.

**) ეს რიცხვი მიღებულია 1886 წლის აღწერით, მაგრამ იგი მართალი არ არის, რადგანაც ჯერ კიდევ 1876 წელს თბილისის მცხოვრებთა რიცხვი ადიოდა ჯარებით, შეგირდებით და ტუსაღებით 104,024 სულამდის. მეორე მხრით 1891 წელს თბილისში უკვე 145,731 მცხოვრებნი იყო, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს 1886 წლის ცნობას.

***) Сбор. стат. свед. о Кавказе, т. I, 1869 г. ამ წყაროში ქუთაისზე მოყვანილია ორგვარი ცნობა: ერთი ამბობს, რომ 1864 წ. ქუთაისში ცხოვრობდა 4340 სული, ხოლო თუ მეორეზე დავუმყარებით 1865 წელს ქუთაისში 11,807 სული მცხოვრები იყო. ჩვენ ვიღებულობთ ამ უკანასკნელ რიცხვს.

****) საინტერესოა პატარა ქალაქების ხარდაც:

სახელები	წ ლ ე ბ ი			
	1835	1865	1886	1897
გორი	3,000	5,054	7,243	10,457
თელავი	2,680	7,240	11,214	11,810
სიღნაღი	3,500	9,687	10,604	8,998
დუშეთი	1,700	2,525	2,027	2,456
ახალქალაქი . . .	—	2,260	4,303	5,443
ოსურგეთი	300	700	1,472	4,694

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ოცდა-ათი წლის წინეთ ამიერ-კავკასიაში ერთი ქალაქი არ იყო ასი ათასი მცხოვრებით, დღეს კი ასეთი ქალაქი ორია: თბილისი და ბაქო. სამოცდა ორი წლის განმავლობაში (1835—1897) თბილისში მცხოვრებნი ექვსჯერ გამრავლდენ, ე. ი. მოიმატეს 535,21%. ბაქოს ზრდა კიდევ უფრო განსაცვიფრებელია: ოცდა თორმეტი წლის განმავლობაში (1865—1897) იგი გადიდდა 7,½-ჯერ, ე. ი. მოიმატა 664,2%. არა ნაკლებ თვალსაჩინოა ქუთაისის ზრდაც. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ის უფრო სოფელი იყო, ვინემ ქალაქი. 1835 წელს იქ 2,000 სული ძლივს ითვლებოდა, 1897 წელს კი ეს რიცხვი ავიდა 32,472, ე. ი. 16-ჯერ მეტი გახდა; მაშასადამე, 62 წლის განმავლობაში მოიმატა 1524,6%. შესანიშნავია აგრეთვე ერევნის და ბათომის ზრდა. პირველმა თერთმეტი წლის განმავლობაში (1886—1897) მოიმატა 97%, მეორემ იმავე ხანებში 92,61%, ანუ თითქმის ორჯერ მეტი გახდენ. მეტი ყურადღების ღირსია ყარსი. 1886 წ. იქ მხოლოთ 3,939 მცხოვრები იყო, თერთმეტ წელს შემდეგ, ე. ი. 1897 წელს 20,891, ე. ი. მეტი 430% *). რა თქმა უნდა, ყველა ქალაქები არ იზრდებიან ასეთი სიჩქარით, მაგ., განჯამ 62 წლის განმავლობაში მხოლოთ 104,2% მოიმატა. მეორე მხრით არიან ისეთი ქალაქებიც, რომლებშიაც მცხოვრებთა რიცხვი ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევათ კლებულობს, ასეთია მაგ., ნუხა, შემახა, შუშა და ახალციხე. უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში (1886—1897) პირველმა იკლო 4,18%, მეორემ 9,6%, მესამემ 4,29% და მეოთხემ 4,5%.

ამ განხილვისაგან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ საზოგადოთ უფრო იზრდებიან და მატულობენ დასავლეთ ამიერ-კავკასიის ქალაქები, ე. ი. ისინი, რომლებიც გაშენებულია საქართველოში. ამ დასკვნამდის მიეყვანართ იმ გარემოებასაც, რომ ყველა ელემენტებთან შედარებით ქართველების რიცხვი უფრო მატულობს ქალაქებში. სამწუხაროთ ამ საგნის შესახებ მხოლოთ თბილისზე გვაქვს უფრო დაწვრილებით ცნობები.

თბილისში იყვნენ:

	1835 წ.	1865 წ.	1876 წ.	1891 წ.
რუსები		12,462	19,574	36,113
ქართველები . .	4,217	14,878	21,623	38,357
სომხები . . .	18,820 **)	28,488	37,308	55,553

მაშასადამე, მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით შეადგენდენ:

	1835 წ.	1865 წ.	1876 წ.	1891 წ.
რუსები	—	18,30%	21,85%	24,78%
ქართველები .	16,67%	21,85 „	24,14 „	26,32 „
სომხები . . .	74,41 „	41,85 „	41,64 „	38,12 „

*) ცხადია, რომ ყარსის ასეთი გასაოცარი ზრდა ჯარების გამრავლებას უნდა მიეწეროს თორემ სხვა მხრით ეს ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მიყრუებული ადგილისთვის, როგორიც ყარსია, რომელიც არ არის არც საალებ-მიცემო და არც სამრეწველო პუნქტი.

**) 1835 წლის ცნობები ჩვენ ამოღებული გვაქვს ბ. ყეფეცის წიგნიდან, დიუბუას ცნობებით კი 1834 წელს თბილისში 17,834 სომეხი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისის ზრდაში ყველაზე დიდი მონაწილეობა ქართველ ხალხს მიუღია: თბილისში 1835 წელს 4,217 ქართველი მცხოვრები იყო, ხოლო 1891 წელს კი 38,357, ე. ი. 56 წლის განმავლობაში ქართველების რიცხვს თბილისში მოუმატია 609,58%, მაშინ როცა ამავე ხნის განმავლობაში სომხებს მოუმატიათ მხოლოთ 195,18%, ე. ი. ქართველებზე 614,40% ნაკლები. იმავე დროს ქართველების პროცენტული მონაწილეობაც თბილისში თანდათან მატულობს: 1835 წელს ქართველები შეადგენდენ 16,67% თბილისის მცხოვრებთა საერთო რიცხვისას, 1891 წელს კი 26,32%; მაშინ როცა სომხები 74,41% 1835 წელს, ჩამოვიდენ 38,12% 1891 წელს, ე. ი. ქართველების პროცენტული მონაწილეობა თბილისში გადიდდა შედარებით 9,65%, მაშინ როცა სომხებმა შედარებით დანარჩენ ელემენტებთან იკლეს 36,29%. თუ ეს ასე მოხდა თბილისში, სადაც ქართველების გაშრავლება თავიდანვე ცუდ პირობებში იყო ჩაყენებული, რადგანაც უცხო ელემენტები მას ყველაზე უფრო ეტანებოდენ და დღესაც ეტანებიან *), ადვილი წარმოსადგენია, რომ საქართველოს დანარჩენ ქალაქების ზრდაში თითქმის მხოლოთ ქართველობა ღებულობდა და იღებს მონაწილეობას. მაშასადამე, რამდენათ წინა საუკუნეებში ქართველობა გაურბოდა ქალაქებს **), ვაჭრობა-აღებ-მიცემობას და მრეწველობას, იმდენათ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იგი სულ უფრო-და-უფრო დაეწაფა ქალაქებში ცხოვრებას, იწყო გზის გაკაფვა თანამედროვე საალებ-მიცემო და სამრეწველო სარბიელზე, შეაღო განათლების კარი და იქ საპატიო ადგილი დაიჭირა ამიერ-კავკასიაში დასახლებულ ერთა შორის.

მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა წ ო დ ე ბ რ ი ვ ე რ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა მ ი ხ ე დ ვ ი თ. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის დასახასიათებლათ დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა წოდებრივათ დაყოფას. მართალია, ძველი წოდებრივი ერთიერთობანი, რომელთა საფუძველს შეადგენდა ფეოდალურ-ბატონყმური წეს-წყობილება, თანდათან ჰქრებიან და ცხოვრებაში ყოველგვარ რეალურ მნიშვნელობას ჰკარგავენ, მაგრამ იმათი გავლენა ჯერ კიდევ საგრძნობელია. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ეს მხარე სრულიად უყურადღებოთ დავტოვოთ. საბუნებაროდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა წოდებრივ მოძრაობაზე მეტათ ღარიბი მასალა გვაქვს, და სანამ 1897 წლის ერთი დღის აღწერის დაწვრილებითი ცნობები არ გამოქვეყნდება, ამ მოძრაობაზე ჩვენ სრულ წარმოდგენას ვერ შეავადგენთ. დღეს-დღეობით ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ერთი მხრით მით, რასაც იძლევა ამ საგნის შესახებ 1886 წლის ცნობები საერთოთ ამიერ-კავკასიის შესახებ, და მეორე მხრით მით,

*) სომხებს გარდა უცხო ელემენტების რიცხვმა თბილისში 15 წლის განმავლობაში (1876—1891 წ.) 123% მოიმატა.

**) ჩვენ ვიცით, რომ 1835 წელს თბილისში 4,217 ქართველი იყო (16,67% საერთო რიცხვისა). მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში კი ბევრათ ამაზე ნაკლები იყო ქართველების რიცხვი. რაც შეეხება ღანარჩენ ქალაქებს მაგ. ახალციხეს, გორს, იმათში თითქმის სულ სომხობა იყო (იხ. Dubois de-montpereux. Voyage autouz du Caukaset. 11, p. 263), და შემდეგ რაც შეეხება ქუთაისს მეოცე წლებში იქ 1.600 მცხოვრები ძლივს იყო, ამათში 800 მარტო ებრაელი იყო, შემდეგ სომხობა, და მხოლოთ სულ მცირე ნაწილი ქართველობა. (Camba. Voyage, etc. t. I, p. 170).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ვპოულობთ მესამოცე წლებიდან კერძოთ თბილისის და ქუთაისის გუბერნიების შესახებ.

1886 წელს ამიერ-კავკასიაში ირიცხებოდა *):

I. თავად-აზნაურობა 135,791 სული, ანუ 2,89%, ამათში

თავადები	17,766	სული
აზნაურები . . .	70,888	„
ბეგები, აღალარები და მელიქები **)	47,137	„

II. ყველა სარწმუნოების სამღვდელოება—50,672 სული; ანუ 1,12%.

III. საპატიო მოქალაქენი, ვაჭრები და ხელოსნები ერთათ 369,353 სული; ანუ 7,87%.

IV. ყველა კატეგორიის გლეხკაცობა—3.954,774***) სული; ანუ 84,09%.

ამათში 1) სახელმწიფო გლეხები:

ა) სახაზინო მიწაზე	2.098,496
ბ) მეგატონეთა მიწაზე ****)	752,971
სულ	2.852,467
2) მესაკუთრენი	363,106
3) დროებით ვალდებულნი . .	75,457
4) ხიზნები	48,997
5) უცხოელნი	7,805

სული; ანუ 0,10%.

*) Свод Стат. данных о нас. Зак. края. არ შეგვიძლია აქ კიდევ არ აღვნიშნოთ ამ წყაროს შეცდომები წოდებათა რაოდენობის აღნუსხვის მხრითაც. მაგალითათ, თუ 1886 წელს ყველა წოდებათა საერთო რიცხვს ავიღებთ, გამოვა, რომ ეს რიცხვი ნაკლებია ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით. ჩვენ ვიცით, საიდან არის წარმომდგარი ეს უთანხმობა, საქმე ის არის, რომ ამ წყაროში სრულებით ნახვენები არ არის, თუ რამდენი დროებით ვალდებული გლეხი ირიცხებოდა 1886 წელს თბილისის გუბერნიის გორის, ახალქალაქის და სიღნაღის მაზრებში და ქუთაისის გუბერნიის შორაპნის, რაჭის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში.

**) ბეგი თათრულად ნიშნავს მბრძანებელს, აღალარი ბატონს, მელიქი არაბულათ—მფლობელს.

***) ნამდვილათ კი გლეხ-კაცობის რიცხვი ამიერ-კავკასიაში აღნიშნულ წელს აბაზე მეტი უნდა ყოფილიყო.

****) არ შეგვიძლია აქ მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ იმ სახელმწიფო გლეხების ბედს, რომელნიც დასახლებული არიან მეგატონეთა მიწაზე (на владельческой земле). ისინი ცხოვრობენ განსაკუთრებით იმ პროვინციებში, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს სპარსეთის და ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენდენ, გარდა ბორჩალოს მაზრისა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა. ეს პროვინციები, ე. ი. დღევანდელი ბაქოს, ერევნის და გაოჯის გუბერნიები და რამდენიმე ნაწილი თბილისის და ქუთაისის გუბერნიებისაც, დასახლებული იყვენ თათრებით და სომხებით. ცნობილია, რომ არც თათრებში და არც სომხებში არ განვითარებულა ის წეს-წყობილება, რომელსაც ბატონ-ყმობა ანუ ფეოდალიზმი ეწოდება. დაპყრობილი მიწა ომშია განკარგულების ქვეშ იყო. სოფლის მცხოვრებთ, მიწის მომუშაველთ, განსა ზღვრული გადასახადი, ბარჯი ჰქონდათ დადებული ხაზინის სასარგებლოთ. თითოეულ პროვინციას განაგებდა და მართავდა პირდაპირ იმპერიისაგან დაყენებული პირი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ახლა ამიერ-კავკასიის წოდებათა პროცენტულ ურთიერთობას შევადარებთ მთელი რუსეთისას, დავინახავთ, რომ რუსეთში 1870 წელს მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით შეადგენდა:

თავად-აზნაურობა	1, 2%
სამღვდელოება	0, 9 „
ქალაქის წოდებანი	9, 2 „
სოფლის წოდებანი	81, 5 „
უცხოელნი	0,25 „

მაშასადამე რუსეთთან შედარებით ამიერ-კავკასიაში თავად-აზნაურობა მეტია 1,69%, სამღვდელოება—0,22%, სოფლის წოდებანი—2,59%, სამაგიეროთ ქალაქის წოდებანი და უცხოელნი ნაკლებია: პირველი 2,67% და მეორენი 0,11%. ეს იყო მეოთხმოცე წლებში.

განვიხილოთ ახლა ამ მხრით კერძოთ თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება არსებული მასალის საშუალებით.

თბილისის და ქუთაისის გუბერნიები 1859—1861 წ.წ.

გუბერნ. სახელები	თავად-აზ. ნაურობა	სამღვდ-ელოება	მოქალაქენი	ბ ლ ე ხ ე ბ ი					
				სახელმწიფო		საეკლესიო		საბატონო	
				კომლი	სული	კომლი	სული	კომლი	სული
თბილისის	21538	8993	25535	—	342400	8305	55399	17281*)	122247
ქუთაისის	23524	—	—	15030	117001	6209	46481	24524	181387
სულ . .	45062	8993	25535	15030	459401	14514	101880	41805	303634

*) ბ. ალ. ფრონელის ცნობებით („იბერია" № 250 1899 წ.) 1864 წელს იყო 14,230 კომლი საბატონო ბლები. ბ-ი ფრონელი არ ასახელებს წყაროს; ჩვენი ცნობები კი ამოღებულია „Сборник стат. свед. о Кав. т. I".

სახელმწიფო მოხელე, რომელიც ამისთვის ბაზინიდან ჯამაგირს არ დებულობდა: მისთვის გადაკეთილი იყო პროვინციის გადასახადის ერთი ნაწილი, რომელსაც იგი პირდაპირ მცხოვრებთაგან იღებდა. ეს მოხელეობა არ იყო საშვილიშვილო, და თუმცა ხშირათ მამისაგან შვილზე გადადიოდა, მაგრამ ეს თხოულობდა ბარათის ჯანახლებას, რაც აგრეთვე თვით იმამის გამოცვლის შემდეგაც ხდებოდა. მაშასადამე, თვით მიწაზე იმათ არაფითარი უფლება არ ჰქონდათ, მათ არ შეეძლოთ მისი გადაცემა, გაჩუქება, ან გაყიდვა; ერთი სიტყვით იგი არ შეადგენდა მათ საკუთრებას, მაგრამ ასე არ უყურებდენ ამ საქმეს. იმათი შეუფუძულებითა ბეგები, აღალარები და ბელიქები იყენენ ნამდვილი მებატონენი ფეოდალის უფლებებით ყმებზე და მიწაზე. ასეთი მმართველობა დაბადა პირველათ კავკასიის მთავარ გამგე ერმოლოვმა (1816—1826). ამნაირათ ერმოლოვის წყალობით ესენებულ პროვინციებში უნდა ჩამოყალიბებულიყო ბატონ-ყმური წეს-წყობილება, და რამდენსამე ხანს ეს მართლა ასეც მოხდა, მხოლოთ მეორმოცე წლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ მესამოცე წლებში თბილისის და ქუთაისის (ქუთაისის მხოლოთ ხუთი მაზრის) გლეხ-კაცობა ერთათ შეადგენდა დაახლოვებით 864,915 სულს, თავად-აზნაურობა 45,062 სულს, მაშასადამე ორივე გუბერნიაში მაშინ ერთ თავადზე ან აზნაურზე მოდიოდა დაახლოვებით 19 გლეხი, ამასთანავე თბილისის გუბერნიაში 1 თავად-აზნაურზე მოდიოდა 24 გლეხი და ქუთაისისაში 14 გლეხი. ვნახოთ ახლა რას წარმოადგენენ იგივე გუბერნიები 1886 წელს *).

გუბერნიების სახელები	თავად-აზნაურობა	სამღვდ-ელობა	მოქალაქენი	სახელმწიფო გლეხები		გ ლ ე ხ ე ბ ი		
				სახაზინო მიწაზე	მებატონ. მიწაზე	მესაკუთ-რენი	დროებით ვალდებ.	ხიზ-ნები
თბილისის . .	23,327	10.655	82,378	415,114	127,984	24,379	61,841	33,747
ქუთაისის . . .	62,004	16,325	47,421	217,468	211,855	328,674	13,616	15,250
სულ . .	85,331	26,980	129,799	632,280	339,839	353,053	75,457	48,997

სამწუხაროდ ამ ცნობებისაგან არავითარი დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, რადგანაც დროებით-ვალდებულ გლეხთა რიცხვის სულ მცირედი ნაწილია მოყვანილი, გარდა იმისა, რომ როგორც დროებით ვალდებული გლეხები, ისე ხიზნები მხოლოთ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ცხოვრობენ. მაგრამ 1890 წლისთვის ჩვენ გვაქვს ამ საგანზე კიდევ სხვა ცნობები, სახელდობრ **): თავად-აზნაურობა თბილისის გუბერნიაში შეადგენდა 25,846 სულს და ქუთაისისაში 51,110 სულს. გარდა ამისა იმავე წელს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 19,937 კომლი დროებით ვალდებულ გლეხთა. ქუთაისის გუბერნიაში 1869 წელს ამავე კატეგორიის გლეხები 48,261 კომლი იყო, 1889

*) ამ წლის განმავლობაში ხსენებულ გუბერნიებში დიდი ტერიტორიალური ცვლილება მოხდა: თბილისის გუბერნიას მოაკლდა განჯის მაზრა, სადაც უმრავლესობა სახელმწიფო გლეხებისაგან შედგება, ქუთაისს—ახალციხის მაზრა, რომელიც შემოეერთდა თბილისისას, სამაგიეროთ ქუთაისის გუბერნიას მოემატა ბათომის ოლქი.

**) Свод стат. данных землевладения в Тиф. и Кут. губерн. Тифлис, 1893 г.

შეხედეს ამ საქმეს სხვა თვალით. პირველათ სენატორმა ბარონ განმა გარკვევით და ნათლათ წარმოთქვა ის აზრი, რომ ბეგები, აღალარები და მელიქები სრულებით არ იყვნენ ბატონები, არამედ უბრალო სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ჯამაგირის მაგიერათ სოფლებისაგან იღებდენ გადასახადს, ამიტომ იმათ უნდა ჰამოერთვათ მიწა, რომელიც სახაზინოთ უნდა ჩაირიცხოს და სამაგიეროთ სიკვდილამდის დაენიშნოთ პენსია. ამიერ-კავკასიის უმაღლესი მთავრობა მიეწერო ამ აზრს. 1844 წლის გასულს ბეგები, აღალარები და სხვები იცნეს მიწის მესაკუთრეებათ, ხოლო მათ მამულზე დასახლებული გლეხები არა ყმებათ, არამედ თავისუფალ მცხოვრებლებათ, რომლებიც დასახლებული არიან ვერძო მებატონეთა მიწაზე. ასეთ ნიადაგზე შემუშავდა 1847 წლის „დებულება“ და შემდეგ „Поселянское Положение“ 1870 და 1877 წლების (იხ. ამის შესახებ Свод материалов по изуч. экон. быта. Гос. кр. Зак. края. т. I. ч. II).

წლამდის ამათგან თავი დაისხნა 23,407 კომლმა *). რაც შეეხება მესაკუთრე გლეხებს, თბილისის გუბერნიაში 1890 წ. იყო 8,363 კომლი, ქუთაისისაში 96,912 კომლი, 245,308 სული. მაშასადამე ეს ცნობები არ ეთანხმებიან 1886 წლის ცნობებს.

ზემოთ მოყვანილ ცნობებისაგან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ მხოლოთ ერთი დასკვნა, სახელდობრ ისა, რომ ეს ცნობები არა თუ მეტათ არეულ-დარეულია და სრულებით სანდო არ არის, არამედ იმათი საშუალებით ძნელია ვიწმეშ ნამდვილი წარმოდგენა შეადგინოს წოდებათა რაოდენობის მოძრაობაზე ჩვენში. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვეცდებით რამდენიმეთ მაინც გამოვარკვიოთ ეს მოძრაობა.

1865 **) წელს თბილისის გუბერნიაში გლეხკაცობა შეადგენდა 86%, სამხედრო 4,2%, თავად-აზნაურობა 3,5%, სამღვდელოება 1,5% და ქალაქის წოდებანი 4,21%. 1886 წელს კი პირველი შეადგენდა 84,55%, თავად-აზნაურობა 2,89%, სამღვდელოება 1,34% და ქალაქის წოდებანი 10,20%. ქუთაისის გუბერნიის შესახებ არც ასეთი დაახლოვებითი გამოანგარიშებაა შესაძლებელი. მხოლოთ თბილისის გუბერნიასთან შედარებით 1886 წელს იქ იყო: თავად-აზნაურობა 6,73%, სამღვდელოება 1,77%, სოფლის წოდებანი 85,91%, ქალაქის 5,13%. რა თქმა უნდა ამ უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში ასეთი ურთიერთობა შესამჩნევათ შეიცვლებოდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ არა გვაქვს ფაქტიური მასალა. ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება საქართველოში დიდ პროცენტს შეადგენს არა თუ რუსეთთან შედარებით, არაფედ საერთოთ ამიერ-კავკასიასთანაც. პირველთან შედარებით თავად-აზნაურობა საქართველოში მეტია 3,73%, მეორესთან—2,04%. ამ მხრით დიდი განსხვავებაა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს შორისაც: პირველში თავად-აზნაურობა შეადგენს 2,89%, მეორეში—6,73%. ამ ცნობებისაგან სხვა დასკვნის გამოყვანას ჩვენ არ ავუჩქარდებით. მაგრამ სანამ ამ თავს გავათავებდეთ ჩვენ უნდა შევეხოთ კიდევ გლეხ-კაცობის ერთ ნაწილს, სახელდობრ სახელმწიფო გლეხობას, მაგრამ არა ბოლოთ, არამედ იმ ნაწილს, რომელიც დასახლებულია სახაზინო მიწაზე და რომელსაც მთავრობაც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს. სახაზინო გლეხები იყვენ ამიერ-კავკასიაში:

გუბერნიების სახელები	1873 წ.		1884—1885 წ.წ.		მატება და კლება. %
	კომლი	სული	კომლი	სული	
თბილისის . .	42,757	327,966	48,250	309,090	— 5,75
ბაქოს . . .	61,850	383,345	64,650	424,644	+ 10,76
განჯის . . .	43,968	286,158	49,486	350,918	+ 23,63
ქუთაისის . .	17,930	123,719	20,997	138,848	+ 12,22
ერევნის . . .	46,749	373,803	53,182	447,729	+ 19,77
სულ . . .	213,275	1.494,991	236,565	1.671,229	+ 11,79

*) თბილისის გუბერნიაში 1899 წლის პირველ იანვრამდის თავი დაეხსნა სულ 3,466 კომლს მთავრობის შემწეობით (იხ. „ივერია" № 250, 1899 წ.)

**) Сбор. стат. свед. о Кавказе, т. I.

ე. ი. 12 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სახაზინო გლეხებს მოუმატია 176,238 სული, ანუ 11,79%. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა წონაწილეობას ღებულობდა ამ მატებაში სამი უმთავრესი ერი: თათრები, სომხები და ქართველები.

ერები	1873 წ.		1884—1885 წ.წ.		მატება და კლება. %
	კომლი	სული	კომლი	სული	
თათრები . .	75,653	476,898	80,416	547,444	14,73
სომხები . . .	47,304	390,187	56,446	478,809	22,71
ქართველები .	46,805	302,580	52,924	323,344	5,85

მაშასადამე ყველაზე დიდი პროცენტი ამ ხნის განმავლობაში მოუმატია სომხებს (22,71%), შემდეგ თათრებს (14,73%). ყველაზე ნაკლები ქართველებს (5,85%). თუ ახლა თითოეული ამათგანის შედარებით ზრდას მივაქცევთ ყურადღებას, შევნიშნავთ რომ ერთი მხრით თათრებსა და სომხებს და მეორე მხრით ქართველებს შორის კიდევ უფრო მეტი განსხვავებაა: სახაზინო გლეხები საერთო რიცხვთან შედარებით შეადგენენ:

	1873 წ.	1884-85 წ.
თათრები	31,90%	32,75%
სომხები	26,09 „	28,63 „
ქართველები . . .	20,23 „	19,30 „

მაშასადამე, საერთო რიცხვთან შედარებით ქართველ სახაზინო გლეხებს დაუკლია 0,93%, და თუმცა ეს მცირე პროცენტია, მაგრამ ჩვენი აზრით ეს გარემოება მეტათ საყურადღებოა. რით უნდა ავხსნათ ეს, რას უნდა მივაწეროთ ქართველ სახაზინო გლეხების არა თუ მეტათ სუსტი ზრდა, არაუდ შედარებით სხვა ტომთა იმავე კატეგორიის გლეხ-კაცობასთან შემცირებაც, მაშინ როცა ჩვენ დავადგინეთ ის ფაქტი, რომ ამიერ-კავკასიაში დასახლებულ ხალხთა შორის მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ყველაზე უფრო ქართველებმა იმატეს. ჩვენის აზრით ამ გარემოებას შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს: პირიქით, ჩვენ ეფიქრობთ, რომ ამ ამბავში გამოიხატება ის საზოგადოებრივი მოძრაობა, ის სოციალური გარდაქმნა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში ხდება. ჩვენ ვამბობთ იმას, რომ სწორმოო ძალთა გასაოცარი ზრდა, ე. ი. წარმოების კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრება სპობს და აქარწყლებს ძველ წოდებრივობას, აცლის კანა ძველ ფეოდალურ მებატონეს და მის მონას, თანდათან სპობს მათ შორის ყოველგვარ განსხვავებას, ურევს და თქვეფს იმათ

ერთმანეთში და ატარებს ერთ საერთო დარჯაკში, საიდანაც ისინი გამოდიან სხვადასხვა სოციალური მდგომარეობით, მაგრამ არა ძველი ფორმით, არამედ ახლით: ერთი გამოდის როგორც წარმოების ნივთიერი მასალის პატრონი, ხოლო მეორე როგორც თავისი საკუთარი სამუშაო ძალლონის მქონებელი. ასეთია თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა დედაძარღვი. აქ სამუდამოთ ისპობიან ძველი წოდებები და იმათ მაგიერ ვითარდებიან თანამედროვე საზოგადოებრივი კლასები, რომელთაც არა თუ არაფერი აღარ აკავშირებთ ძველ წოდებრიობასთან, არამედ სათაკილოთაც მიაჩნიათ, რომ ოდესმე იმათ ეკუთვნოდენ. ამ პროცესში სოფლის ხალხს თანდათან აკლდება თავისი წევრები, რომლებიც მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიაში ეწერებიან. ცხადია, რომ წინანდელი წოდებრიობის მოსპობა უფრო აჩქარებით ხდება იქ, სადაც ეს პროცესი უფრო აჩქარებული ნაბიჯით მიდის წინ. ამიტომ თუ საქართველოში სახაზინო გლეხთა რაოდენობამ შედარებით იკლო, ეს ჩვენი აზრით, იმას მიეწერება, რომ თანამედროვე განვითარებული წარმოების სისტემა აქ უფრო დამკვიდრებულა და იმავე დროს ძველ წოდებრივ დაყოფასაც აქ უფრო დაუკარგავს საფუძველი, ვინემ ამიერ-კავკასიის დანარჩენ პროვინციებში. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ დანარჩენ გლეხ-კაცობაზედაც ისეთი გარკვეული ცნობები გვქონდეს, როგორც სახაზინო გლეხებზე, იქაც ასეთსავე ფაქტს ამოვაჩენდით.

ასე და ამნაირათ, თუ საქართველოში ამ ნახევარი საუკუნის წინ წოდებრიობას უკიდურეს ხარისხამდე ძირი ჰქონდა გადგმული, დღეს ამ ძველი წოდებრიობის პრინციპი ცხოვრებაში ყველაზე უფრო ჩქარა ისპობა. ეს გარემოება ჩვენ კიდევ იმას გვეუბნება, რომ ძველ წოდებრივ დაყოფაზე დამყარებულ სტატისტიკას დღეს მნიშვნელობა აღარ აქვს, და ევროპაში ხომ წოდებრივი სტატისტიკა სრულებით აღარ არსებობს.

ჟურნალი: „აკვალი"
1900 წლის №№ 1, 8, 9 და 12.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის შესახებ.

I.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დღემდის სასოფლო მეურნეობის ქვეყნათ ითვლება და საზოგადოების და მწერლობის ყურადღება განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე იყო მიქცეული და დღესაც არის, დღემდის ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ჩვენთვის თითქმის სრულიად უცნობია. ჩვენ არა გვაქვს ცოტათ თუ ბევრათ დაახლოებული ცნობა ამიერ-კავკასიის სამეურნეო წარმოების რაოდენობაზე, წვრილი, შუათანა და სხვილი მიწათმფლობელობის და მეურნეობის სივრცეზე, მიწის მობილიზაციაზე, სრულებით უმიწაწყლო ოჯახებზე ანუ სოფლის ბოგანოებზე და სოფლის ცხოვრების სხვა საჭირო კითხვებზე. ამის მაგივრათ ჩვენ გვაქვს ურიცხვი გამოკვლევები და მონოგრაფიები ამა თუ იმ სამეურნეო მცენარის სარგებლობაზე და მოშენებაზე, რომლებსაც „არავინ არ კითხულობს და რომლებიც ამძიმებენ მხოლოთ სწავლულ სპეციალისტთა შკაფების თაროებს. გარდა ამისა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში თქვენ ხშირათ შეხვდებით მრავალ წერილებს სასოფლო მეურნეობის უაღრეს მნიშვნელობაზე და მის საჭიროებაზე, მეურნეთა გაჭირვებულ მდგომარეობაზე და იმ ზომებზე, რომლებიც ხმარებულ უნდა იქნან იმათ საკეთილდღეოთ და რა ვიცი კიდევ რაზე.

ერთი სიტყვით, სასოფლო მეურნეობას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის სრულიად გამოურკვეველია. ასე წარმოიდგინეთ, თვით იმ დაწესებულებასაც კი, რომლის უმთავრესი დანიშნულება ჩვენი ქვეყნის მეურნეობის შესწავლაში მდგომარეობს, ამ საქმისთვის დღემდის არ უზრუნავს. მე ვამბობ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაზე, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ იქნა დაარსებული. ნეტარ ოდენ კავშირის მაგივრათ სოფლის მეურნეობასთან და მის ჭირვარამთან, ეს საზოგადოება თავიდანვე კანცელიარულ გზას დაადგა, ე. ი. სხვადასხვა განუხორციელებელი პროექტის და მოხსენების შედგენას; მეორე მხრით, საზოგადოებამ გადაუხვია პირდაპირ თავის დანიშნულებას მით, რომ თითონ მან ნოიწადინა გაუმჯობესებული მეურნეობის დამკვიდრება ჩვენში მით, რომ კერძო პირებს აძლევდა დიდძალ შემწეობას რაიმე სამეურნეო საქმის საწარმოებლათ. თუ რა შედეგი მოყვა საზოგადოების ასეთ მიმართულებას, ამას ჩვენ დავინახავთ ბ. ი. ხატისოვის [1]) შემდეგი სიტყვებიდან: „რა გაკეთა საზოგადოებამ და რაზე დაიხარჯა ამოდენა ფული?—კითხულობს ის.—ჩვენ არ ვუარეყოფთ საზოგადოების სამსახურს აბრეშუმის მოყვანის გასაუმჯობესებლათ, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საზოგადოება ულიდეს ლროს ახმარებდა სხვადასხვა პირთა აურაცელი თხოვნების განხილვას შემწეობის აღმოჩენის შესახებ ან და სხვადასხვა ვამოფენებზე კავკასიის განყოფილებათა მომხადებას... საზოგადოებას მოდიოდა იმოდენა თხოვნები შემწეობის აღმოჩენის შესახებ, რომ ერთ ლროს საზოგადოების მიზანი სრულებით მივიწყებულ იქნა. ყველა შემწეობათა ჩამოთვლა ძნელი იქნება, დავასახელოთ რამდენიმე. გამოჩნდა ვინმე გერმანელი, რომელმაც მოიწადინა ყარაიაზში მერინოსის ჯიშის ცხვრის მოშენება; იმას მიეცა 20 ათასი მანეთი. მაგრამ ამნაირ ცხვარის კვალი იქ არაფის არ უნახავს. იყო ვინმე ფრანცი დიეფფური, რომელიც რამდენიმე წელიწადს ეძებდა კავკასიაში ადგილს საბრეშუმო სკოლის გასაკეთებლათ და, გაფლანგა რა 15 ათასი მანეთი სახაზინო ფული, სადღაც გაქრა. იყო კიდეე ინგლისელი, გვარათ ვალი, რომელსაც სამიწათმოქმედო მანქანების საწყობი უნდოდა გაეხსნა თბილისში, რისთვისაც 12 ათასი მანეთი მიიღო ხაზინიდან და შემდეგ.... იგი სხვებს გაყვა" *). მაგრამ ყველას აქ ხომ ვერ ჩამოვთვლით. შემდეგ ამ სიტყვების ავტორი ურჩევდა, რომ თუ საზოგადოებას სურს სარგებლობის მოტანა, ის „უწინარეს ყოვლისა უნდა შეუდგეს სასოფლო მეურნეობის თითოეული დარგის თანამედროვე მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლასა" **). სამწუხაროთ ყველა ამგვარმა რჩევამ დღემდის ფუჭათ ჩაიარა. თუ წინანდულათ სუბსიდიების ძლევას და განუხორციელებელ პროექტების შედგენას რამდენიმეთ უმტყუნა, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ აუფერმანის და კრაუზების კომისიონერობა ეკისრა. მაგრამ დავიანებოთ ამას თავი და დაუბრუნდეთ ისევ ჩვენი საუბრის უმთავრეს საგანს.

თუმცა, როგორც ზეკითაც მოვიხსენიეთ, ჩვენ არა გვაქვს სწორი ცნობები საერთოთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის შესახებ, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ გვაქვს ნამდვილი ცნობები სოფლის მეურნეობის იმ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადააქვთ. ჩვენ ვამბობთ იმ ცნობებზე, რომლებსაც იძლევა ამიერ-კავკასიის რკინის გზა. რადგანაც ამ ნაწარმოებია შორის ბორბლეულობას უჭირავს პირველი ალაგი, ამიტომ განვიხილოთ იმის გადატან-გადმოტანა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

უწინარეს ყოველისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გადააქვთ როგორც ადგილობრივი ბორბლეულობა, ისე რუსეთიდან შემოტანილიც. რომ გავიგოთ დაახლოებით როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთიდან შემოტანილი პურის მოძრაობა ჩვენს რკინის გზებზე, მივიღოთ ასეთი ანგარიში: რუსეთიდან შემოტანილათ ჩავთვალოთ ყველა ის პური, რომელსაც გზავნიან ბათომი, ფოთი და ბაქო ჩვენი რკინის გზის შინაგან სადგურებზე და პირიქით: ადგილობრივ ნაწარმოებათ ჩავთვალოთ, რასაც დანარჩენი სადგურები გზავნიან, თუმცა, მაგ., თბილისი ალბათ დიდძალ რუსეთიდან შემოტანილ პურსაც გზავნის. ნაშინ ჩვენ მივიღებთ:

---

*) И. Иоселиани. Обзор деятельности Имп. Кав. об. Сельского хозяйства за 50 лет. 1901 г. Ст. 21-2.

**) იქვე გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი ხორბლეულობა გაუგზავნიათ:

1899 წ.	3.981,4	ათასი ფ.	ანუ 69,73%	საერ. რიც.
1898 წ.	4.452,0	„ „	70,44 „	„ „
1890-1899 (საშ. რიც.)	5.153,0	„ „	71,81 „	„ „ „ *)

ამნაირათ ადგილობრივი ხორბლეულობის გადატან-გადმოტანა ჩვენ რკინის გზაზე თანდათან მცირდება; ამავე დროს შემოტანილი პური კი მატულობს, რასაც აშკარათ გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

წლები	შემოტანა ათას ფუთობით
1899	3.784,0
1898	2.730,2
1890-1899	2.403,0

ახლა განვიხილოთ, თუ რა ცვლილება მოხდა ერთი მხრით იმ პურის რაოდენობაში, რომელიც მიაქვთ შინაგან სადგურებზე, და მეორე მხრით იმაში, რომელსაც ღებულობენ ფოთი და ბათომი.

ათას ფუთებათ:

წლები	მიტანა		%%-ებათ	
	შინაგან სადგურებზე	ბათომში და ფოთში	შინაგან სადგურებზე	ბათომში და ფოთში
1899	6.210,8	1.557,1	79,95	20,05
1898	5.417,0	1.765,0	75,42	24,58
1890-99 . . .	5.285,0	2.271,0	69,94	30,06

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ მაშინ, როცა შინაგან სადგურებზე მიტანა თანდათან იზრდება, ფოთში და ბათომში მიტანა თანდათან კლებულობს. პირველის ზრდა იმის მომასწავებელია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე თანდათან ადგილობრივ ნოთბოენილებათა დასაკმაყოფილებლათ გადააქვთ პური; ხოლო მეორეს შემცირება იმას ნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიიდან პურის გატანა სულ უფრო და უფრო კლებულობს. ეს ცვლილება ჩვენთვის უფრო თვალში საძგერი იქნება, თუ 1899 წელს შევადარებთ ამ მხრით 1886 წელთან. ამ უკა-

*) როგორც ეს, ისე შემდეგი ცნობები ამოღებულია: „Краткий обзор комм. деятельности з. ж. д.“ 1900 г.

ნასკნელ წელს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყველა სადგურებიდან გაუგზავნიათ სულ 10,733 ათასი ფუთი სხვადასხვა ხორბალი, ე. ი. მეტი ვიდრე 1899 წელს 5,023 ათასი ფუთი. ამ რიცხვიდან ფოთში და ბათომში გაუგზავნიათ ამიერ-კავკასიიდან გასატანათ 8,404 ათასი ფუთი ანუ 78,35%, და მხოლოთ დანარჩენი, ე. ი. 2,329 ათასი ფუთი ანუ 21,65% ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ყოფილა დანიშნული. რომ კიდევ უფრო მართალი წარმოდგენა ვიქონიოთ ხორბლეულობის და პურის ნაწარმოებთა მოძრაობაზე ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ღღეს და 10—15 წლის წინათ, მოვიხსენიოთ აქ ისიც, რომ იმ 10,733 ათასი ფუთი პურიდან, რომელიც 1886 წელს გაუგზავნიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებს, ფოთს და ბათომს გაუგზავნიათ შინაგან სადგურებზე მხოლოთ 276 ათასი ფ. ანუ 2,57%, მაშინ როცა 1899 წელს ამ ორ სადგურს 5,709 ათასი ფუთიდან გაუგზავნია იმავე სადგურებზე 1,507 ათასი ფუთი, ანუ 26,39%. საინტერესოა აგრეთვე ვიცოდეთ, თუ რა და რა ხორბალს ღებულობდენ ფოთი და ბათომი ამ 10—15 წლის წინეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებიდან. ფოთში და ბათომში მოუტანია 1886 წელს:

პური	5,765	ათასი	ფუთი	ანუ	68,69%
სიმინდი	1,865	„	„	„	22,11 „
ქერი	649	„	„	„	7,69 „
დანარჩენი . . .	125	„	„	„	1,51 „
სულ . .	8,404	ათასი	ფუთი	ანუ	100,00

1899 წელს კი ფოთში და ბათომში ამიერ-კავკასიის რკინის გზით პური ალარ მოუტანიათ, თითქმის ერთი ფუთიც, ქერი მოუტანიათ სულ 9 ათასი ფუთი, ალბათ ადგილობრივ სახმარებლათ.

ყველა ამ ცნობებიდან ჩვენ ის საერთო დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ პურის მოყვანა ამიერ-კავკასიაში შედარებით კლებულობს, ე. ი. ჩვენი ქვეყანა, რომლიდანაც ამ 10—15 წლის წინათ გაქონდათ 10 მილიონამდე სხვადასხვა ხორბლეულობა და სხვა ქვეყნებს ავსებდა პურით, ღღეს გარედან შემოტანილ პურს საჭიროებს.

ამნაირათ რკინის გზის სტატისტიკური ცნობები ჩვენ საშუალებას გვაძლევენ აღვნიშნოთ ჩვენ მეურნეობაში ეს მეტათ საინტერესო მოვლენა. თუ რას მოასწავებს ეს მოვლენა, ნიშნავს იგი ჩვენი მეურნეობის დაცემას თუ მის ახალ გზაზე დადგომას, ამას ჩვენ შემდეგ განვიხილავთ.

II.

ჩემს საუბარში ამიერ-კავკასიის მეურნეობის შესახებ, ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივედით: 1) ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ადგილობრივი ნაწარმოების ხორბლეულობის გადაზიდვა თანდათან კლებულობს, მაშასადამე კლებულობს ადგილობრივი ხორბლეულობის საზღვარ-გარეთ გატანაც; 2) ამავე დროს ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავთ, რომ, რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო მეტი პური გადმოაქვთ ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ; 3) ეს უკანასკნელი გარემოება შეუძლებელი იქნებოდა, რომ რუსეთიდან შემოტანილი პურის რაოდენობა ყოველ წლივ არ მატულობდეს. ასეთია რკინის გზის სტატისტიკის ცნობები, რომლებიც ჩვენ წინანდელ საუბარში გავაცანით მკითხველს. ამასთანავე ჩვენ იქვე დავაყენეთ შემდეგი კითხვა: რას ნიშნავს ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიიდან საზღვარ-გარეთ პურის გატანა თანდათან კლებულობს და პირიქით, შესამჩნევათ მატულობს იმ პურის რაოდენობა, რომელიც ჩვენში რუსეთიდან შემოაქვთ? ნიშნავს ეს მოვლენა ჩვენი მეურნეობის დაცემას, თუ ის სულ სხვა რისამე მომასწავებელია? სანამ პირდაპირ ამ საგნის გამორკვევას შეუდგებოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ აქ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა ამ ნახევარი საუკუნის წინ და დღეს. აღვნიშნოთ მოკლეთ, თუ რა განსხვავება არსებობს ძველსა და ახალს შორის და ან რა მიმართულება მიიღო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ ამ უკანასკნელ დროს.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ ჩვენი მხარე წარმოადგენდა ნატურალური წარმოების ქვეყანას: მან არ იცოდა, თუ რა იყო არც თანამედროვე მრეწველობა და არც განვითარებული აღებ-მიცემობა; გარდა ორიოდე უმნიშვნელო საგნისა თითოეული ოჯახი თუ სოფელი ყოველგვარ მოთხოვნილებას თავისავე შრომით იკმაყოფილებდა, იგი გარედან შემოტანილ საქონელს არ საჭიროებდა და ან საჭიროებდა სულ მცირეოდენათ. ერთი სიტყვით თითოეული ოჯახი ან სოფელი მაშინ წარმოადგენდა ეკონომიურ ერთეულს, რომელიც დამოუკიდებლათ ცხოვრობდა. ასეთ მდგომარეობაში, რასაკვირველია, ფული არ შეადგენს ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებას. ამ დროს, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, სოფლის მეურნეობა ერთთავათ ბატონ-ყმურ შრომაზე იყო დამყარებული; მიწა, ეს მაშინდელი სიმდიდრის ერთათ ერთი წყარო, სამი მეპატრონეს კუთვნილებას შეადგენდა: თავად-აზნაურობის, ეკლესია-მონასტრის და ხაზინისას. რაც შეეხება მაშინდელ ქალაქებს, იმათაც სოფლური ცხოვრების ელფერი ქონდათ; იმათ უმთავრეს ძარღვს შეადგენდენ ხელოსნები თავისი შემოზღუდული, კარჩაკეტილი ცხოვრებით. მაგრამ გასული საუკუნის მესამოცე წლებში ასეთი ეკონომიური წეს-წყობილების და მაზე აშენებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დღენი უკვე დათვლილი იყო. ბატონ-ყმობის გაუქმება კანონმდებლობითი გზით მხოლოთ დაჩქარება იყო იმ პროცესის, რომელიც თვით ცხოვრებაში ხდებოდა. ახალი ეკონომიური წესწყობილების და, მაშასადამე, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის კერა შეიქნა ქალაქი. ქალაქების აღორძინებამ და განვითარებამ თანდათან გამოიყვანა სოფელი კარჩაკეტილობიდან და დაუკავშირა იგი საერთაშორისო ბაზარს. თუ რა მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალაქები, ამას ჩვენ ნათლათ დაგვანახვებს შემდეგი გარემოება. ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 3.115,164-დან 1865 წელს ავიდა 5.461,911-მდე 1897 წელს, ე. ი. 32 წლის განმავლობაში მოიმატა 75%, იმავე დროს ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა საერთო რიცხვი იყო: 1866 წელს 305,099, ხოლო 1897 წელს კი 701,215; ე. ი. 31 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხეს მოუმატნია 129%, მაგრამ ქალაქებს უმატია არა მარტო აბსოლუტურათ; უფრო შესანიშნავია ქალაქების ზრდა სოფლებთან შედარებით. ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით:

1866	წელს	9%
1886	„	10 „
1897	„	12 „

ყურადღების ღირსი აქ ის გარემოებაა, რომ მაშინ, როცა პირველი ოცი წლის განმავლობაში (1866—1886) ეს ქალაქების შედარებითი ზრდა მხოლოთ 10%-ით გამოიხატება, უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში ეს განსხვავება 2%-ს უდრის, ისე რომ ჩვენი ქალაქების ზრდა-განვითარება განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ხნის ამბავია *).

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება ბატონ-ყმობის გაუქმებიდან ასე მოხდა. ბატონ-ყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებისთანავე ხალხმა ხელი მიყო განსაკუთრებით მიწის მუშაობას, რადგანაც მრეწველობა იმ დროს ჩვენში თითქმის სრულებით არ არსებობდა, და აღებ-მიცემობაც ძლიერ სუსტათ იყო განვითარებული. მას მოყავდა უმეტეს ნაწილათ პური, ქერი, სიმინდი და ღომი და მისდევდა აგრეთვე ვაზის მოშენებას; ყოველივე ეს ხდებოდა ძველებურ წესზე. ვინ იცის ეს რამდენ ხანს გასტანდა, რომ ჩქარა ხალხში ფულის მოთხოვნილება არ გაჩენილიყო. ეს მოთხოვნილება ორი გზიდან წარმოდგა. გლეხკაცობა დღიდან განთავისუფლებისა მარტო იმაზე ფიქრობდა, რომ რამე ნაირათ მესაკუთრე გამხდარიყო, გამოეყიდა მებატონესაგან თავისი „ნადელი", ე. ი. თავი დაეხსნა. ამისათვის კი ფული იყო საჭირო. მეორე მხრით რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი ფაბრიკულმა და ქარხნულმა საქონელმა თანდათან გაუთხარა ძირი ადგილობრივ ნატურალურ წარმოებას და ბოლოს სრულიად მოსპო იგი. ამნაირათ ის მოთხოვნილებანი, რომლებსაც წინეთ გლეხის ოჯახი თავისი შრომით, შინამრეწველობით იკმაყოფილებდა, შემდეგ ხანებში იძულებული შეიქნა ნაყიდი საქონელით დაეკმაყოფილებია, რისთვისაც, რასაკვირველია, კიდევ ფული იყო საჭირო. გარდა ამისა გლეხ-კაცობას აწვა თავზე კიდევ სხვადასხვა თუ სახელმწიფო, თუ საერობო გადასახადი ფულათ. პირველ ხანებში ყველა ამ მოთხოვნილებას სოფლის ხალხი მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმოების: პურის, ქერის, სიმინდის და ღვინის გაყიდვით იკმაყოფილებდა. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რომ მამა-პაპულ წესზე დაყენებული მეურნეობა ამას დიდხანს ვერ გაუძღებდა. ხალხი დაიძრა სოფლებიდან და „გარეთ" იწყო ფულის შოვნა. დაახლოვებით ამ დროს მოხდა რკინის გზის გახსნა ჩვენში, რამაც ხელი შეუწყო და გაადვილა ხალხის მისვლა-მოსვლა. ამავე დროს გაძლიერდა ჩვენში და მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა მარგანეცის

*) ეს ცნობები ამოღებული გვაქვს წერილიდან „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მე-XIX საუკუნეში", ფ. მაზარაძისა (იხ. „კვალი", 1900 წ. № 9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განსაკუთრებით ნავთის წარმოებამ, შემდეგ ქვა-ნახშირის, სპილენძის და სხვა გვარმა წარმოებამ; განვითარდა აღებ-მიცემობაც და ხალხი სოფლებიდან გაეშურა ქალაქებში და სხვა სამრეწველო და სააღებ-მიცემო ადგილებში. ამნაირათ თუ ამ 40—50 წლის წინეთ ჩვენი მხარე ნატურალურ მეურნეობის და მიწათმოქმედების ქვეყნათ ითვლებოდა, დღეს უკვე ეს ასე აღარ არის; ყველასათვის აშკარაა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედების და მეურნეობის ელფერს კარგავს და ხდება სააღებ-მიცემო და სამრეწველო ქვეყნათ, რაც აშკარათ ჩანს როგორც ქალაქების მცხოვრებთა გამრავლებით, ისე სხვადასხვა სამრეწველო და სააღებ-მიცემო ცენტრების აღორძინებით და განვითარებით, როგორც მაგ., ბაქო, ბათომი, ჭიათურა და სხვ. ერთი სიტყვით სასოფლო მეურნეობა, განსაკუთრებით პურის მოყვანა, რომელიც უწინ ჩვენში ცხოვრების უპირველეს და თითქმის ერთათ ერო წყაროთ ითვლებოდა, თანდათან კარგავს ასეთ მნიშვნელობას და ჩვენ ცხოვრებაში უპირატესი თუ არა თანასწორი უფლება ჰაინც ეძლევა მრეწველობას და აღებ-მიცემობას. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში სოფლის მეურნეობა უკან მიდის. პირიქით, მრეწველობის და აღებ-მიცემობის განვითარებამ ჩვენი სასოფლო მეურნეობა წინ წაწია მით, რომ მის ნაწარმოებს ბაზარი გაუჩინა, რითაც საშუალება მიეცა მეურნეი მეურნეობაში სხვადასხვა გაუმჯობესების შესატანათ.

რაც შეეხება კერძოთ იმ გარემოებას, რომ პურის გატანა საზღვარ-გარეთ ამიერ-კავკასიიდან თანდათან კლებულობს და სამაგიეროთ თანდათან მატულობს მისი შემოტანა რუსეთიდან, ამის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ეს გარემოება სრულებით არ ნიშნავს ჩვენი პურის მოსავლის შემცირებას. მართალია, ამ საგნის შესახებ ჩვენ არა გვაქვს საკმარო სტატისტიკური ცნობები, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ პურის მოყვანა ჩვენში არ შემცირებულა. ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი შესამჩნევათ გაიზარდა და ამის დაკვალათ დღეს გაცილებით მეტი პურია საჭირო. მაგრამ შედარებით წინანდელ დროსთან, ოღონ არ უნდა, რომ პურის მოყვანა ჩვენში შემცირდა, ე. ი. იმის მოყვანას დღეს ისე აღარ მისდევენ ჩვენში, როგორც წინეთ ჩვენში რომ სელოსნობის სტატისტიკა (промысловая статист.) იყოს შემოღებული, აშკარათ დავინახავდით, თუ როგორ კლებულობს იმ მეურნეთა რიცხვი, რასაკვირველია შედარებით, რომლებიც განსაკუთრებით ხორბლეულობის მოყვანას მისდევენ და იმავე დროს, თუ როგორ მატულობს მეურნეობის სხვა დარგში მომუშავეთა რიცხვი. გარდა ამისა ამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში სოფლის ხალხს გამოეყო საკმარისათ დიდი ნაწილი მისი წევრებისა, რომელიც ქალაქებში და სხვა სამრეწველო და სააღებ-მიცემო ადგილებში დაესახლა და რომელიც ბურჟუაკაპიტალისტის თუ დღიური მუშის სახით თითონ ხდება სამეურნეო ნაწარმოებთა მუდმივი მუშტარი.

თუ ახლა ხორბლეულობის მოყვანას თავს დავანებებთ და მეურნეობის სხვა დარგს მივმართავთ, დავინახავთ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში ფეხს იკიდებს ერთი მხრით მებაღეობა და მებოსტნეობა, და მეორე მხრით სხვადასხვა სამრეწველო მცენარეთა მოშენება, როგორც მაგალითად თამბაქო, ბამბა და ჩაის ხე; ამას ერთვის მეაბრეშუმეობა და რაციო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალური მერძეობა. მაგრამ ის დარგი, რომელსაც პურის მოყვანის შემდეგ უპირველესი მნიშვნელობა აქვს სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში, არის მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა დ ა მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ა. მართალია მევენახეობის და მეღვინეობის განვითარებას დიდათ შეუშალა ხელი ფილოქსერის და ვაზის სხვა ავადმყოფობათა გაჩენამ, მაგრამ მეორე მხრით უნდა აღვიაროთ, რომ ამავე გარემოებამ დააყენა დღეს ჩვენში მევენახეობის და მეღვინეობის საქმე ნამდვილ მკვიდრ ნიადაგზე. იმ გაჭირვებამ და განსაცდელმა, რომელშიაც ჩავარდა მეღვინეობის საქმე ჩვენში დასახელებულ გარემოებათა გამო, ჩვენი მეღვინე-მევენახენი თითქო ერთბაშათ გამოიყვანა ღრმა ძილისაგან. ვაზის მოშენებას და ღვინის დაყენებას აქამდინ არაფითარი გაუმჯობესება არ დატყობია. როგორც ზევით შევნიშნეთ, ერთი ხნობით ძლიერ შეფერხდა ღვინის კეთების საქმე, მაგრამ იგი ჩქარა გამოკეთდა და ბევრათ უფრო გაუმჯობესებულ გზაზე დაადგა. ვენახის პატრონები ჩქარა დარწმუნდენ, რომ წინანდულათ საქმის წარმოება ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ მეღვინეობის გასაუმჯობესებლათ საჭირო იყო ფული, კაპიტალი. კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა ბ ა ნ დ ვ ა მ მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა-მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ა შ ი ღ რ მ ა ცვლილება მოახდინა მეურნეობის ამ დარგში. ვენახის მოყლის და ღვინის კეთების საქმე დღეს გაუმჯობესებულია ჩვენში იმდენათ, რ ა მ დ ე ნ ა თ მ ა ს შ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ წ ა რ მ ო ე ბ ა ს ა ქ ვ ს ა დ გ ი ლ ი... ამჟარაა, რომ ასეთ წესწყობილებაში გამარჯვებული, როგორც ყოველგან, სხვილი და შეძლებული მეურნეა. ვისაც თვალ-ყური ეჭერებია მევენახეობის და მეღვინეობის საქმისთვის კახეთში, გინდ ზემო იმერეთში, იმისთვის ამ ჩვენ ნათქვამში არაფერი ახალი არ არის. მეორე მხრით ვინ არ იცის ჩვენ წვრილ მესაკუთრეთა უკიდურესი გაჭირვება და იმათი პაწაწკინა ვენახების საბრალო მდგომარეობა დღევანდელ პირობებში. ასეთ მესაკუთრეთ არაფითარი სახსარი არა აქვთ ვენახს უწამლონ ან მეურნეობაში რაიმე გაუმჯობესება შეიტანონ.

ამნაირათ ჩვენი მეურნეობა წარმატებაში შედის დღეს იმდენათ, რამდენათაც იგი წ მ ი ნ დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა ს ი ა თ ს ღ ებ ულ ობ ს. კაპიტალისტური მეურნეობა მოასწავებს წარმოების გაუმჯობესებას, საუკეთესო იარაღების და მაშინების შემოღებას, მიწის გაპოხიერებას და სხვ. რომ ჩვენი მეურნეობა ადგას ამ გზას, ეს ჩვენთვის უტყუარი ნიშანია, ამას გვიმტკიცებს სხვათა შორის ს ა მ ე უ რ ნ ე ო ი ა რ ა ღ ე ბ ი ს დ ა მ ა შ ი ნ ე ბ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა ჩ ვ ე ნ შ ი. აი რა ცნობებს გვაძლევს ამის შესახებ რკინის გზის სტატისტიკა. ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გადაუტანიათ:

	წ ლ ე ბ ი			1899 წ. მეტი (+) თუ ნაკლები (—) %	
	1899	1898	1894	1898	1894
	ფ.	ფ.	ფ.	შედარებით	
სამეურნეო იარაღები	58,849	47,448	27,927	24,03	110
„ მაშინები .	9,997	8,767	3,993	14,03	150
სულ . . .	68,846	56,215	31,919	22	115

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაბის თავათ იგულისხმება, რომ, როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, სამეურნეო მაშინების რიცხვი ჩვენში ჯერ კიდევ მცირეა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს რიცხვი შესამჩნევათ იზრდება. ეს კი იმის ნიშანია, რომ ჩვენი მეურნეობა გაუმჯობესებისაკენ მიისწრაფის. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ პურის მოყვანა შემცირდეს, როგორც ეს მართლა მოხდა ჩვენში. ასევე მოხდა ფინლიანდიაშიც, სადაც გაუმჯობესებულმა მეურნეობამ შესამჩნევათ შეამცირა პურის მოყვანა. მაგრამ ყველაზე უფრო ედრება ამ მხრით ჩვენ ქვეყანას პოლონეთი. აი, რას ვკითხულობთ ერთ პოლონურ ჟურნალში ამ ქვეყნის ეკონომიური განვითარების შესახებ: „მრეწველობის დიდი ცენტრების აღორძინებას და იმათში მცხოვრებთა საერთო რიცხვის 22%-ს დაბინავებას ის შედეგი მოყვა, რომ ჩვენი ბაზრის პირობები სრულიად შეიცვალენ... რომ ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის ხასიათს კარგავს და ხდება მრეწველობის მხარეთ, ეს ყველამ კარგად უწყის. მაგრამ ეს არ კმარა, რადგანაც ცელილება უფრო შორს წავიდა. დღეს ჩვენ ვართ იმ დროსთან, როცა ჩვენი მიწის ნაყოფი ძლივს დაკმაყოფილებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებას და ვინ იცის შეიძლება იძულებულიც შევიქნეთ გარედან შემოტანილი ნაწარმოებით დავაკმაყოფილოთ იგიო“. შემდეგ მოყვანილია ვლ. ჟუკოვსკის სიტყვები: „პოლონეთს დღეს აღარ გააქვს გარეთ ხორბლეულობა, არამედ შემოაქვს, ეს არის ბუნებრივი და მასთან აუცილებელი შედეგი ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარებისა. ვტყობილობთ რა ამ ფაქტს, ყალდებული ვართ იქიდან განსაზღვრული პრაქტიკული დასკვნა გამოვიყვანოთ“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ *). იქვე ვკითხულობთ კიდევ: „ამ 10—15 წლის წინეთ სასოფლო მეურნეობამ უკვე დაკარგა მსგავილ მრეწველობის წინაშე პირველი ადგილი, რომელიც მას ეჭირა ჩვენი ქვეყნის (ლაპარაკი პოლონეთზეა) ეკონომიურ ცხოვრებაში; მისი ადგილი დაიჭირა დიდმა მრეწველობამო“**). ამ სიტყვების შემდეგ შეუძლებელია, რომ პოლონეთს და ჩვენ ქვეყანას შორის, რომლებიც სხვა მხრით ასე დაშორებული არიან ერთმანეთზე, ეკონომიური განვითარების მხრით სრული მსგავსება არ აღმოვაჩინოთ, რასაკვირველია, პოლონეთი ამიერ-კავკასიასთან შედარებით გაცილებით წინ არის წასული; მისი ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობა მაღლა დგას არა თუ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასთან შედარებით, არამედ იგი ამ მხრით, ჯობია თვით ევროპის ნრავალ სახელმწიფოსაც კი.

ჟურნალი „ქვალი“
1901 წ. №№ 42 და 45,
„მოსაუბრეს“-ს ფსევდონიმით.

*) იხ. პოლ. ჟურნალი „Prawda“, 1901 წ. № 3, გვ. 37—38.
**) იქვე, გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთის მრეწველობა და თანამედროვე წარმოების სისტემა

I.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ოდესღაც გვასწავლიდა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება უმაღლესი ჰარმონიის განხორციელებაა. ამ ჰარმონიის საფუძველს ბურჟუაზიული ეკონომისტების აზრით შეადგენდა ერთი მხრით საყოველთაო კონკურენცია ანუ მეტოქეობა, როგორც კაპიტალისტებში, ისე მუშებშიაც და, ნეორე მხრით სახელმწიფოს ჩაურეველობა კერძო პირთა საქმეში. თავის დროზე, კაპიტალისტური წარმოების განვითარების პირველ ხანებში, ასეთი მოძრაობა საფუძვლიანათ მიაჩნდათ და იგი მტკიცეთ გაყავდათ ცხოვრებაში. და მართლაც, იგი დიდათ შეეფერებოდა ბურჟუაზიის განვითარების მაშინდელ პირობებს. ეს ის ხანა იყო, როცა კონკურენცია კაპიტალისტებს შორის წარმოების ნიადაგზე კაპიტალიზმის განვითარებას არა თუ არ აფერხებდა, არამედ კიდევ უფრო ხელს უწყობდა. სამაგიეროთ კონკურენცია მუშებში ღუპავდა მუშა ხალხს და იმავე დროს ეხმარებოდა და ხელს უწყობდა კაპიტალის ზრდას. საუბედუროთ, კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის პირველ ხანებში მუშა ხალხი მეტათ დაქსაქსულ და შეუგნებელ მასსას წარმოადგენდა, რომელიც სრულებით მოუმზადებელი იყო თავის ინტერესების დასაცავათ.

ბურჟუაზიამ საესებით გამოიყენა ეს გარემოება. ბურჟუაზიული კანონმდებლობა ხაზგასმით ამბობდა, რომ ყოველნაირი შეთანხმება და მით უფრო შეკავშირება საერთო ინტერესების დასაცავათ ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფლებას, იგი ბოჭავს მის მოქმედებას და ამ რიგათ ხელს უშლის ადამიანის, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებასო.

ამნაირათ, თავისუფლების და სამართლიანობის სახელით აკრძალული იყო თითქმის ყოველგვარი შეთანხმება ანუ შეკავშირება ეკონომიური წარმოების ნიადაგზე. სახელმწიფოც არ უნდა ჩარეულიყო კერძო პირთა მოქმედებაში, ვინაიდან ამ ჩარევასაც ხსნიდენ, როგორც პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას. რა იყო ამის შედეგი? ეისთვის იყო ხელსაყრელი ამნაირი პოლიტიკა?

ისტორია მოწმობს, თუ რა გამოუთქმელი სისწრაფით გაიზარდა ბურჟუაზია, თუ რა კოლოსსალური სიმდიდრე მოგროვდა მის ხელში სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში. იგივე ისტორია მოწმობს აგრეთვე იმასაც, თუ რა განსაცდელი დაადგა მუშა ხალხს, თუ რა უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა იგი. ბურჟუაზიის აყვავება და კაპიტალისტური სიმდიდრის სწრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდა ნიშნავდა პროლეტარიატის უზომო გაყვლეფას და დაჯაბნებას. მაგრამ ამნაირი მდგომარეობა დიდ ხანს ვერ გაგრძელდებოდა. დაიწყო მუშების სტიქიური არეულობები და აჯანყებები ორგანიზაციით, უგეგმოთ და საერთო მიზნის დაუსახავათ. კაპიტალისტების კლასი და მათი დამცველ დარაჯნი— მთავრობანი მუშების ამბოხებას მეტის-მეტი სიმკაცრით და სასტიკათ უმასპინძლდებოდენ. მაგრამ მუშათა არეულობები და აჯანყებები ამით არა თუ არ შესუსტდენ, არამედ კიდევ უფრო მეტათ გაძლიერდენ. ამასთანავე აღნუსხვის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ სტიქიურ არეულობათა დროს მუშათა კლასში თანდათან და ნელნელა, თუმცა იმავე დროს დიდი გაჭირვებით, იღვიძებს კლასობრივი შეგნება; პროლეტარიატი, მისი მოწინავე ანუ მებრძოლი ნაწილი იწყებს, რამდენიმეთ მაინც, იმის შეგნებას, რომ მისი ძალა მუშების ერთობაშია, რომ მხოლოთ შეკავშირებით და სოლიდარობით და არა დაქსაქსვით და ერთიმეორეს მეტოქეობით, შეუძლიათ მუშებს თავის გაჭირვებული და უბედური მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

და აი იწყება მედგარი და შეუპოვარი ბრძოლა კავშირების თავისუფლების მოსაპოვებლათ. მუშებმა უკვე XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მოიპოვეს რამდენიმეთ მაინც შეკავშირების უფლება *) და მათ ძირი გამოუთხარეს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიის იმ დებულებას, რომელიც ეკონომიურ კეთილდღეობის საფუძვლათ კონკურენციას აცხადებდა. ჩქარა დაემხო აგრეთვე მისი მეორე ძირითადი დებულება, რომელიც საყოველთაო ეკონომიური კეთილდღეობის სახელით აღიარებდა სახელმწიფოს ჩაურეველობას კერძო პირების მოქმედებაში. ახლათ აღორძინებულმა მუშათა მოძრაობამ ბურჟუაზიული მთავრობა იძულებულ ჰყო ჩარეულიყო კაპიტალისტების და მუშების ურთიერთობაში, რის შედეგი საფაბრიკო კანონმდებლობა შეიქნა.

ამნაირათ ის, რასაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია შეურყეველ და სამუდამო ჭეშმარიტებათ სახავდა, ცხოვრებამ უარყო და გააბათილა, და მით საესებით გაკოტრდა თვით ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიაც. ცნობენ თუ არა ამ უტყუარ ფაქტს თანამედროვე კაპიტალისტები, მათი დარაჯები და ვექილები? რა თქმა უნდა, იმათ აკ ღალატობს ლოგიკა. თუ წინეთ საყოველთაო კეთილ-დღეობის საფუძვლათ კონკურენცია იყო აღიარებული, ახლა ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე იგი შეასუსტონ, თუ საესებით ვერ მოსპობენ მაინც. ამ მიზნის მისაღწევათ გასულ საუკუნის მეორე ნახევრიდან კაპიტალისტები ცვლიან ტაქტიკას. ერთი დარგის მრეწველები აწყობენ სხვადასხვა ორგანიზაციებს: კარტელებს, სინდიკატებს და ტრესტებს; ამ ორგანიზაციების მიზანს შეადგენს ფასების მოწესრიგება საქონელზე. მიწოდების მოწყობა ისე, რომ იგი არ აღემატებოდეს მოთხოვნას, ე. ი. ბრძოლა საქონლის მომხმარებლების წინააღმდეგ ანუ საქონლის აწეულ ფასებში გასაღება. კაპიტალისტების ასეთი ორგანიზაცია თავის ულმაღლეს საფეხურს აღწევს ტრესტებში, რომლებიც პირველათ ამერიკაში გაჩნდენ. კაპიტალისტები აქ კავშირს ამბობენ

*) თავის თავად იგულისხმება, რომ აქ მხედველობაში მაქვს დასავლეთი ევროპა, განსაკუთრებით კი ინგლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო საქონლის დამზადება-ბიწოდებაში, არამედ მის გაყიდვა-გასაღებაში. რისთვისაც ისინი იგდებენ ხელში საქონლის გადასაზიდ საშუალებებს, რკინის გზებს, გემებს და სხვა. აქ საქონლის რაოდენობა და ფასები წინდაწინ დადგენილი და განსაზღვრულია. მწარმოებელს მეტი გზა არა აქვს, საქონელი იმ ფასში უნდა შეიძინოს, რა ფასშიაც მას ტრესტი აწვდის. სადღაა აქ წინანდელი თავისუფალი კონკურენციის ხსენება? მაგრამ ყოველივე ეს კაპიტალისტებს სწამთ მაოლოთ თავისთვის და ვერ ურიგდებიან, როცა მუშებშიაც ვითარდება და იზრდება სოლიდარობა. ასევეა როცა სახელმწიფოს ჩარევაზე მიდგება საქმე.

კაპიტალისტები და მათი დაბეველები გაიძახიან, რომ სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს ნუშათა გაფიცვებში, არ მისცეს მათ საშუალება კაპიტალის ბატონობას ებრძოლონ, შეზღუდოს და წეასუსტოს მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციები და სხვ. და იმავე დროს იგივე კაპიტალისტები გაიძახიან, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს კაპიტალისტების საქმეში, მან ხელი არ უნდა ახლოს იმათ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშების და მომხმარებლების ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული; მან გულზე ხელდაკრეფილი უნდა უყუროს კაპიტალისტების გაფიცვებს და შეთქმულობათ და მხოლოთ მუშების გაფიცვებს უნდა ებრძოლოსო.

ასეთი წინააღმდეგობა, ულოლიკობა და ჰოტენტოტური ზნეობა თანდაყოლილი აქვს ბურჟუაზიულ საზოგადოებას. მაგრამ საქმე ამაში კი არ არის. კაპიტალიზმის განვითარებამ ვერ გაამართლა ბურჟუაზიული ეკონომიის ძირითადი დებულებანი, პირიქით, კაპიტალიზმის განვითარების ისტორია გვიმტკიცებს, რომ ერთი მხრით თანდათან სუსტდება კაპიტალისტებში კონკურენცია და სამაგიეროთ ფეხს იკიდებს სოლიდარული მოქმედება, რაიცა გამოიხატა სინდიკატების, კარტელების და ტრესტების, ე. ი. მრეწველთა ეკონომიურ კავშირების გაძლიერებაში; ერთი სიტყვით, მრეწველობის განვითარებას ჩვენ მივყევართ იქამდე, რომ წარმოების მთელი დარგნი რამდენიმე პირის მონოპოლიათ ხდება და იქ ყოველგვარი კონკურენცია მრეწველებს შორის ან სრულებით ისპობა, ან მეტის მეტათ სუსტდება. ეს ის საერთო ტენდენციაა, რომელიც აშკარათ ემჩნევა თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებას.

საჭიროა მხოლოთ აღვნიშნოთ, რომ ამ მოვლენამ თავი იჩინა ჯერ-ჯერობით მხოლოთ მრეწველობის და აღებ-მიცემობის ზოგიერთ დარგში, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო საყურადღებო დარგებში. ეს ის დარგებია, რომლებიც ერთი ან რამდენიმე პირის მონოპოლიათ გახდენას რამდენიმეთ ბუნებრივი პირობებიც უწყობენ ხელს და რომლებიც აგრეთვე დიდ კაპიტალს თხოულობენ საქმის მოსაწყობად. ასეთებია, მაგ., სამთამადნო მრეწველობა (ნავთი, ქვანახშირი, ოქროს მაღაროები), რკინის გზები და სანაოსნო საქმე; და აი ჩვენ ვხედავთ, რომ პირველათ მონოპოლიურ ხასიათს იღებენ გაესაკუთრებით ეს დარგნი, და მხოლოთ შემდეგში ამავე მოვლენას ვამჩნევთ წარმოების სხვა დარგებშიაც.

ამ მხრით გაესაკუთრებული ყურადღების ღირსია, ჩვენთვის მაინც, ნავთის მრეწველობა, რომელიც თავის განვითარებით და დღევანდელი მდგომარეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო მაგალითს იძლევა იმისას, თუ რა ბედი მოელის მთელ კაპიტალისტურ წარმოებას ახლო მომავალში.

მაგრამ ამას უფრო დაწვრილებით ჩვენ განვიხილავთ შემდეგ წერილში.

II.

ნავთის მრეწველობა შედარებით სულ ახალი დარგია თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში: მისი სწრაფი და პირდაპირ თავბრუდამხვევი ზრდა მოხდა მხოლოთ ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში. ნავთის თანამედროვე მრეწველობა პირველათ ჩნდება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გასულ საუკუნის მეორმოცდაათე წლების დასასრულს და მაშინვე იღებს თანამედროვე მსხვილი წარმოების ხასიათს: ესე იგი, მთელი ეს წარმოება ჩქარა უვარდება ხელში ერთ მუჭა კაპიტალისტებს. მართალია, ნავთის მრეწველობას, როგორც მეტათ დიდ-მოსაგებ საქმეს, ეწაფებოდა და ეწაფება დიდძალი ხალხი, მაგრამ ამათი უმეტესობა ან ჩქარა კოტრდება ან რამდენიმე პირის ბრჭყალებში ვარდებოდა და ვარდება.

ნავთის მრეწველობა რუსეთში (ბაქოს რაიონში) დაახლოვებით იმავე ხანებში იწყება, მაგრამ მესამოცდაათე წლამდე იგი ძლივსღა ბეჟუტავდა კაპიტალის უქონლობის გამო, ასე რომ, რუსეთის ბაზარზე გაბატონებული იყო იმ ხანებში ამერიკის ნავთის საქონელი. მაგრამ მსხვილი კაპიტალის დაბანდვა რუსეთის ნავთის მრეწველობაში მდგომარეობას სწრაფად ცვლის. შესამჩნევი როლი ითამაშა ამ მხრით, განსაკუთრებით, ნობელმა. უცხოეთის კაპიტალს თან მოყვა წარმოების ტექნიკური გაუმჯობესება და მასთან ერთათ მისი საოცარი ზრდა. რუსეთის ნავთმა ჩქარა გააძევა რუსეთის ბაზრიდან უცხოეთის ნავთი. ეს კიდევ არაფერი. ჩქარა რუსეთის ნავთი მეტათ სერიოზული მეტოქე შეიქნა ამერიკის ნავთის მრეწველობისათვის, რომლის ძლევა-მოსილებას იმ ხანებში ვერავინ ვერ ეღობებოდა წინ.

ამ გარემოებას ხელი შეუწყო ერთი მხრით ბაქო-ბათუმის რკინის გზის გაყვანამ 1883 წ. და მეორე მხრით ცნობილი როტშილდის შემოსვლამ ბაქოს სამრეწველო რაიონში. სულ რაღაც 15 წლის განმავლობაში რუსეთის ნავთის მრეწველობამ ბევრათ წინ გაუსწრო ამერიკის მრეწველობას, და 1901 წ. იგი აღემატებოდა მთელი მსოფლიოს ნავთის მრეწველობას. ნავთის ამოღება რუსეთში შეადგენდა ყველა ქვეყნების ამოღების 53%. სამაგიეროთ ამ დღიდან იწყება მისი თანდათანი და შეუწყვეტელი ჩამოქვეითება: რუსეთში თანდათან კლებულობს მიწიდან ამოღებული ნავთის რაოდენობა. ეს გრძელდებოდა დღემდე, მაშინ როცა, როგორც ამერიკაში, ისე სხვა ქვეყნებშიაც, სადაც ნავთის მრეწველობა არსებობს (ჰოლანდიის ინდოეთი, გალიცია, რუმინია), ნავთის მრეწველობა საოცარი სისწრაფით იზრდება ამ უკანასკნელ წლებში.

ამ დაკლებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ ფასები ნავთის საქონელზე სულ უფრო და უფრო მატულობენ, თუმცა არა ისეთი თანდათანობით და შეურყეველობით, როგორც თვით ნავთის წარმოება. რაში უნდა ვეძიოთ ამ პირველი შეხედვით, უფრო გაუგებარ მოვლენათა მთავარი მიზეზი? რით აიხ-

სნება ის ახირებული ფაქტი, რომ რუსეთში, სადაც ნავთის ყველაზე უფრო მდიდარი და შედარებით დაუშრეტელი წყაროებია, ნავთის მრეწველობა კლებულობს, ეცემა და იმავე დროს კი ფასები ნავთის საქონელზე მაღლა იწევს, ასე რომ, ეს უკანასკნელი ხალხის დიდი უმრავლესობისთვის ხელმიუწდომელი ხდება?

პირველ რიგზე ჩვენ აქ უნდა დავაყენოთ თანამედროვე წარმოების ძირითადი სისტემა, ე. ი. მისი კერძო ხასიათი, რომელსაც მიზნათ აქვს კერძო პირთა მოგება და არა საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. და თუ კერძო პირთა, ე. ი. მრეწველთა მოგება წარმოების შემოკლების დროსაც იზრდება, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ რუსეთის ნავთის მრეწველობაში, მაშინ მრეწველებს ეკარგებათ სტიმული მრეწველობის გასადიდებლათ. მაგრამ ეს მიზეზი მოქმედებს როგორც ჩვენში, ისე საზღვარ-გარეთაც, ამ უკანასკნელში კი ნავთის მრეწველობა მატულობს და ფართოვდება და არა კლებულობს, ვიწროვდება როგორც ჩვენში. მაშასადამე, ნავთის მრეწველობის შემცირების პირდაპირი მიზეზები რუსეთში ჩვენ სხვაგან უნდა ვეძიოთ. რა თქმა უნდა, მთავარი როლი ითამაშა ამ საქმეში წარმოების ტექნიკურმა გაუმჯობესებამ.

იმ დროს, როცა რუსეთის კაპიტალისტები უმთავრეს თავის იმედებს საქმის წაყვანის დროს მთავრობის დახმარებაზე და შელავათებზე ამყარებდენ, ამერიკის კაპიტალისტები დღე-დღეზე იგონებდენ სულ ახალ-ახალ საშუალებებს და ზომებს, როგორც ნავთის წარმოების გასაფართოებლათ, ისე საქონლის გადატან-გადმოტანის და მისი მუშტრისთვის პირდაპირ მიწოდების ნოსაწყობათ. ეს იყო უზარ-მაზარი სისტემა, წინდაწინ შემუშავებულ გეგმაზე აგებული, სადაც არაფერი არ იყო დავიწყებული; ეს არის წარმოების ძლევა-მოსილი ორგანიზაცია, რომელიც ტრესტების სახით შექმნა თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების განვითარების უმაღლესმა საფეხურმა. პირველი ტრესტი „Standard Oil C°" ჩაისახა და გაიფურჩქნა სწორეთ ნავთის მრეწველობაში. ჩქარა ამ ძლევა-მოსილმა ტრესტმა ხელში ჩაიგდო და თავის გავლენას დაუმორჩილა ერთი მხრით ამერიკის ნავთის მრეწველობის $^3/_4$ ნაწილი და მეორე მხრით თითქმის მთელი საზღვარ-გარეთის ნავთის მრეწველობაც, გარდა რუსეთისა. გადატან-გადმოტანის საუცხოვო ორგანიზაციის მეოხებით ამერიკის ტრესტმა თანდათან შესძლო რუსეთის ნავთის საქონლის გაძევება საზღვარ-გარეთის მრავალ ადგილებიდან; გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა უცხო ბაზრების დასაპყრობათ და შესანარჩუნებლათ ერთი მხრით ამერიკის ტრესტსა და მეორე მხრით რუსეთის ნავთის მსხვილ ექსპორტიორებს შორის. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული, რა თქმა უნდა, ამერიკელი ტრესტი გამოვიდა. მაგრამ, მეორე მხრით რუსეთის მრეწველებიც საკმარისათ ძლიერები იყვენ, რომ საესებით იმათ დამარცხება ან უცხოეთის ბაზრებიდან სრულებით გაძევება შესაძლებელი ყოფილიყო. და აი მეოცე საუკუნის დასაწყისში (1904-6 წ. წ.) ამერიკელ ტრესტსა ერთი მხრით და რუსეთის მსხვილ მრეწველთა შორის (ნობელი, როტშილდი, მანთაშევი) მეორე მხრით მოხდა ერთნაირი შეთანხმება, რომელსაც შედეგათ მოყვა უცხო ბაზრის ურთიერთ შორის დაყოფა. რა თქმა უნდა, უფრო მოზრდილი ლუკმა ამ შემთხვევაში ამერიკელ Stand. Oil C°-ის ერგო წილათ; რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთის საქონლის ბაზარი უცხოეთში შედარებით თითქო შეეიწროვდა, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ უცხოეთის ბაზარზე გადის უმთავრესათ ნავთის მრეწველობის უფრო ძვირათ ღირებული საქონელი, როგორიც არის მაგ., გაწმენდილი ნავთი, ბენზინი და სხვ., რაც მოგების მხრით უფრო ნაკლებათ ხელსაყრელია კაპიტალისტებისთვის, ვინემ მაგ., დაუმუშავებელი ნავთი ან კიდევ უფრო მაზუთი. ასეთი საქონელი კი საზღვარ-გარეთ არც წინეთ გაქონდათ და არც ახლა გააქვთ. იგი საღდება განსაკუთრებით შინაურ ბაზარზე, რომელიც, რა თქმა უნდა, სავსებით ადგილობრივ მრეწველების ხელშია.

თავის თავად იგულისხმება, რომ ის, რაც ჩვენმა მრეწველებმა დაკარგეს საზღვარ-გარეთის ბაზარზე თავისი მოუმზადებლობის და ტეხნიკური ჩამორჩენის მეოხებით, იმათ ერთი ხუთათ და ერთი ათათ აინაზღაურეს შინაურ ბაზარზე. როგორ, რა საშუალებით მოხდა ეს? საქმე იმაშია, რომ თუ საზღვარ-გარეთელ ბაზარზე ნავთის მრეწველებს წინ გადაეღობა ნავთის მრეწველობის უდიდესი და უძლიერესი ორგანიზაცია—ნავთის ტრესტის სახით,—შინაურ ბაზარზე მათ ასეთი მოცილე აღარ ყავდათ. და რაც ამერიკის ნავთის ტრესტმა მოიმოქმედა ნავთის მსოფლიო მრეწველობის ხელში ჩასაგდებათ, ის განახორციელეს ადგილობრივმა მსხვილმა მრეწველებმა შინ, რა თქმა უნდა, უფრო ვიწრო ფარგლებში.

ამ უკანასკნელ დროს ბევრს ლაპარაკობენ, როგორც საზოგადოებაში, ისე ჟურნალ-გაზეთებში და საკანონმდებლო დაწესებულებებშიაც ნავთის გაძვირებაზე. ბევრი ითქვა ნავთის სინდიკატის წინააღმდეგ ერთი მხრით და ლატაკი ხალხის სასარგებლოთ მეორე მხრით. ყოველივე ეს მხოლოთ წყლის ნაყვაა. ზოგიერთები უარყოფენ ნავთის სინდიკატის არსებობას; სხვები კიდევ დარწმუნებული არიან მის არსებობაში, და შესაძლებლათ მიაჩნიათ ნის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე წარმოების პირობებში. ყოველივე ეს საჭიროებს საქმის ნათელ, სწორს და კატეგორიულ გარკვევას, რასაც ჩვენ შემდეგ წერილში შევეხებით.

ჟურნალი „ჩვენი წყარო"
№ 3—13 და 4—14.
1913 წლის 7 და 10 აპრილი.
„ძველი დასტლის" ფსევდონიმით

გაუგებარი გაუგებრობა.

როგორც მკითხველებმა იციან, ამ ცოტა ხნის წინეთ ქ. პეტროგრადში თათბირი გაიმართა პურზე და საზოგადოთ ხორბლეულობაზე მტკიცე ფასების დაწესების შესახებ. თათბირი მოიწვია საბჭოს და მრეწველობის სამინისტრომ, და მასზე თავმჯდომარეობდა თვით ამ სამინისტროს დღევანდელი მეთაური და იმავე დროს მსხვილი მემამულე და შაქრის მრეწველი გრაფი ან. პობრინსკი. თათბირზე მიიწვიეს ერთი მხრით მსხვილი მიწათმფლობელობის წარმომადგენლები, ე. ი. მემამულე აგრარიები, და მეორე მხრით საერობო, საქალაქო და ზოგიერთ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებიც.

საჭიროა მოკლეთ ვიცოდეთ, რამ გამოიწვია ეს თათბირი ან რისთვის დასჭირდა მთავრობას პურზე ფასების მოწესრიგება? როგორც ვიცით, ომმა ზღაპრულად გაადიდა ხაზინის მხრით სხვადასხვა საგნებია მოთხოვნა. ომი ნთქავს და ანადგურებს აუარებელ საქონელს: ხორბლეულობას, ხორცს, ხორაგეულობას, ფართლეულობას, ტყავეულობას, ლითონს და სხვ. ამავე დროს მწარმოებელი მუშახელის რაოდენობა მკირდება, დიდძალი საწარმოო საშუალებანი და იარაღები ნადგურდება, ე. ი. საქონლის წარმოება კლებულობს, მიწოდება მკირდება და იმავე დროს მოთხოვნა კი იზრდება. აქაა ერთვის საქონლის გადატანგადმოტანის ძალზე შეფერხება. რაც საქონლის მიწოდებაში იწვევს დიდ ალიაქოთს და არევ-დარევას და რაც გზას უხსნის სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტების აღვირაასნილ და გამანადგურებელ მოქმედებას. ყველა ამის შედეგი საქონლის ზღაპრული გაძვირებაა.[12]) . . . . . .

. . . . . .

დღევანდელი სიძვირის სიმწვავემ ამ ზომამდე მიაღწია, რომ მისი სიმძიმე, რაოდენიმეთ ხაზინამაც კი იგვმა. მთავრობა თითქო ებრძვის კიდეეაც ამ სიძვირეს, მაგრამ იგი აქ უძლურია. და რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ყველი თქმულების არ იყოს: „ღმერთმა ერთი რად აკეთნოს, თუ მეორე არ წაწყმინდოს", და აი ჩვენ თვალ წინ ხდება ვაჭარ-მრეწველთა და სოფლის მსხვილ მეურნეთა ზღაპრული გამდიდრება. თავის თავად იგულისხმება, რომ ერთი დარგის მრეწველ—ვაჭრები გაცილებით ეფრო მდიდრდებიან საერთო ვაკანალიის და არევ-დარევის დროს, ვინემ მეორე დარგის; და აი ამ ნიადაგზე იბადება და ზალდება ბრძოლა სხვადასხვა დარგის მრეწველ—ვაჭართა შორის. ცნობილია, რომ ყველაზე უფრო მკაცრ ხასიათს ღებულობს ეს ბრძოლა ერთი მხრით სოფლის მსხვილ მეურნეთა და მეორე მხრით საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობის წარმომადგენელთა შორის. აგრარიებსა და მრეწველ კაპიტალისტებს შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის წინააღმდეგობა ძველი ამბავია და მას გრძელი ისტორიაც აქვს. რუსეთმაც რამოდენიმეჯერ განიცადა ამ ორ მქონებელ კლასთა შორის ბრძოლის გამწვავება, და რასაკვირველია, რომ ამასვე ვეღდავდეთ დღესაც, როცა მრეწველთა და სოფლის მეურნეთა გამდიდრების საქმე არასოდეს არ ყოფილა ისეთ ხელსაყრელ პირობებში, როგორც ეს დღეს არის. ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ აგრარიები და ვაჭარ-მრეწველები ერთმანეთს ეჭიშპებიან და მეცადინეობენ, რომ ნადავლიდან, რომელსაც მოგებას ეძახიან, მეტი წილი მიითვისონ. თითოეული იმათგანი ფიქრობს, საჯაროთაც გაიძახის, რომ მეორე უფრო მოგებას იძენს, ვინემ იგი. ვაჭარ-მრეწველები ხომ ძალზე და საოცრათ მდიდრდებიან, მაგრამ არც სოფლის მეურნეთა საქმეა ცუდათ. პური ყველაზე უსაჭიროესი საარსებო საგანია, რომელიც ასი და ათასი მილიონობით სჭირდება ხალხს და ჯარს. საკმარისია ფუთზე რამდენიმე კაპეიკის მომატებაც კი, რომ სოფლის მეურნეებმა და პურის ვაჭრებმა მილიონები მიითვისონ, გაჭირვებული მუშა-ხელისაგან ანაგლეჯი. და როგორც ვიცით, ეს სწორედ ასე მოხდა ომის გამოცხადების დღიდანვე. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთიდან საზღვარ გარეთ გასატანი პური ისევ რუსეთშივე დარჩა, პური შინაურ ბაზარზე რაღაც მანქანებით გაქრა და იმავე დროს ერთ ორათ გაძვირდა. თუ რა გასაჭირი დაადგა ამის გამო როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშა ხალხს ეს ყველამ კარგათ იცის, და ამაზე აქ სრულებით მეტია ლაპარაკი. მაგრამ აგრარიებმა ეს არ იკმარეს: იმათ არ აკმაყოფილებს დღევანდელი აწეული ფასები პურზე. ისინი მეცადინეობენ პურზე კიდევ უფრო აწეული ფასების განმტკიცებას. დღევანდელი განსაკუთრებული მდგომარეობა [13]) . . . . . .

. . . . . .

მათ ამ საქმეში ხელს უწყობს. მაგრამ ისინი ამ გზით შეტად შორს მიდიან, ინაზი მადა უზომოა. და აი, როცა აგრარიების სულის-კვეთება სავსებით გამოაშკარავდა, მათ წინააღმდეგ ამხედრდენ სამრეწველო წრეები და ბურჟუაზიულ-ლიბერალური პრესა. პურის გაძვირება იწვევს ყველა საქონლის და იმათ შორის სამუშაო ძალის, როგორც საქონლის გაძვირებას, თუმცა არა იმ ზომამდე, რა ზომამდე პური ძვირდება. თავის თავად იგულისხმება, რომ ეს ხელსაყრელი არ არის მრეწველთა კლასისთვის. ამიტომაც არის, რომ კაპიტალისტების კლასი მუდამ ებრძოდა და ებრძვის პურის გაძვირებას. ამიტომაც იყო, რომ როცა რუსეთის აგრარიების სულის კვეთება გამოაშკარავდა, მათ აღუდგა მთელი ბურჟუაზიული პრესა, თუმცა სამრეწველო კაპიტალისტური ბურჟუაზია არა ნაკლებ მდიდრდება თავის საქონელზე ფასების უზომო აწევით. რა თქმა უნდა, მუშათა დემოკრატია, თუმცა სრულებით სხვა მოსაზრებით, ვინემ კაპიტალისტთა კლასი, პურის გაძვირების ენერგიული მოწინააღმდეგეა. მუშების ინტერესი მოითხოვს, რომ ყველა სახმარი საქონელი, და უწინარეს ყოვლისა, პური, რაც შეიძლება გაიაფდეს. და არც შეიძლება, რომ ეს სხვაფერ იყოს. მაგრამ დაეუბრუნდეთ საგანს.

როგორც ვიცით, პურზე ფასების მომატების გამო ერომანეთის შეებრძოლა ორი მქონებელი კლასი: მემამულეები და მრეწველები, მთავრობაც, როგორც ხაზინის ინტერესების დამცველი და როგორც უმთავრესი მუშტარი, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო, ისე საქარხნო და საფაბრიკო ნაწარმოებისა, იძულებული შეიქნა ამ დავაში ჩარეულიყო და ორი მოქიშპე, თუმც არსებითად ერთი და იგივე კლასი, ერთმანეთში მოერიგებია. სწორედ ამ მიზნით მოხდა ზევით დასახელებული თათბირის მოწვევა. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ თათბირის თავმჯდომარე თითონ დაინტერესებული პირი გამოდგა, როგორც კერძო მსხვილი ბემამეულე. როგორც მოსალოდნელი იყო, თათბირზე აგრარიებმა გაიმარჯვეს: იმათი მოთხოვნა, რომ წლევანდელი მოსავლის ხორბლეულობაზე წარწანდელთან შედარებით უფრო მაღალი ფასები დაწესდეს, დაკმაყოფილებულ იქნა ცოტაოდენი გამონაკლისით, რაც ნიშნავს ერთი ფუთი პურის ფასის 30 – 40 პროც. გადიდებას.

თავის თავად იგულისხმება, რომ თათბირის ასეთმა დადგენილებამ მეტათ ააწფოთა ბურჟუაზიულ-ლიბერალური წრეები. ნრავალმა საზოგადოებრივმა დაწესებულებამ, ერობებმა, ქალაქის თვითმართველობებმა, კოოპერატივებმა უკვე დაგმეს აგრარიების გამარჯვება,[14] . . . . . .

. . . . . .

მუშებმაც, სადაც კი ეს მოსახერხებელი იყო, პროტესტით უპასუხეს აგრარიების ამ ოდიანობას. თათბირის დადგენილება ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის, ასე რომ ჯერ კიდევ არ შეიძლება დანამდვილებით იქის თქმა, თუ მას რა ბოლო ეკნება. თუ ჩვენ ამ ჯამათ მკითხველის ყურადღება შევაჩერეთ ან საკითხზე ეს სულ სხვა გარემოებით აიხსნება.

ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული ის ფაქტი, რომ ჩვენში საზოგადოთ დიდი არევ-დარევა და გაურკვეველობა სუფევს. ამ გაურკვეველობის და არევ-დარევის საუკეთესო ნიმუშს იძლევა ახვათა შორის „სახ. ფურცლის[15]" № 670, სადაც მოთავსებულია ბ-ნ თედო ღლონტის[16] წერილი სათაურით „მაღალი ფასები". წერილი ეხება ზევით დასახელებულ თათბირს და მის დადგენილებას პურის ფასების მომატებისა შესახებ, მაგრამ რაღაც მინქანებით, თათბირის არსებით მხარეს ავტორი სრულებით უმალავს მკითხველებს. ეს კიდევ არაფერი. წერილის ავტორი ყოველივე სინამდვილის წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ ქართველი ხალხის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ პურზე და ხორცეულობაზე მაღალი ფასების დაწესებაშიაო. ბ-ნი ღლონტი „სახალხო ფურცლის" საწყალ მკითხველებს არწმუნებს იმაში, რომ საქართველოში სოფლის და ქალაქის მუშა ხალხი ხორბლეულობით ვაჭრობს და ამიტომ, თუ აგრარიების სულის კვეთება განხორციელდა, სოფლის ხალხი სამუშაოთ აღარსად წავა, პურს ძვირად გაყიდის და თავის სახლში ფეხმოკეცილი დაჯდება.

როგორც ხედავთ, ქართველი ხალხი და საქართველო გამონაკლისია მთელ დედამიწაზე. ყოველგან მუშა-ხალხის და აგრარიების ინტერესები სხვადასხვაა. ყოველგან მუშა ხალხი არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც პურს ყიდულობს და არა ყიდის. რა თქმა უნდა, არც საქართველო და არც ქართველი მუშა ხალხი არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ჩვენშიაც მუშა ხალხი, როგორც ქალაქად, ისე სოფლათაც ყიდულობს პურს უმეტეს ნაწილად რუსეთიდან მოტანილს, ე. ი. იმ პურს, რომელზედაც დღეს რუსეთის აგრარიები კიდევ უმატებენ ფასს, რასაც ასე შეხარის ბ-ნი ღლონტი „აზკარაა, გაიძახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ავტორი, ქართულ ეროვნულ ძალთა მიზანია ყოველ საშუალებით ხელი შეუწყოს სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების ფასების მომატებას, რომ ხალხისთვის სარაკამიშსა[17]) და ტრაპიზონში[18]) უფრო სასარგებლო არ იყოს შრომა, ვიდრე შინო".

ერთი სიტყვით, პურის გაძვირება ქართველ მუშებისათვის მეტად სასარგებლო მოვლენა ყოფილა. თურმე გარეთ სამუშაოთ იმიტომ გარბის ჩვენი ხალხი, რომ შინ პური იაფი ყოფილა. არც ბ-ნ ლლონტს და არც „სახალხო ფურცელს" ალბათ არ სცოდნიათ, რომ ფუთი პური ჩვენში სამ მანეთზე ხევით ფასობს და სიმინდი ორ მანეთ ნახევარი. და ხშირათ ამ ფასებშიაც ვერ შოულობენ. ჩვენს ავტორს და მასთან ერთად „სახ. ფურცელის" მთელ შეკრებულობას გამოპარვია ის დიდი მოვლენა, რომ ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა იკვებება დღეს რუსეთიდან მოტანილი პურით. და აბა სცადეთ და ერთ დღეს მოაკლით მას ეს გარედან შემოტანილი პური და მაშინ დაინახავთ, თუ რა მოხდება. მაშინ პურის ფასი არა თუ ერთი ხუთით გაიზრდება, არამედ ნამდვილი შიმშილობა ჩამოვარდება. ერთი ვკითხოთ „სახ. ფურცლის" ბრძენთ, რა მოხდებოდა ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რომ დასავლეთ საქართველოში რუსეთის პური და სიმინდი არ მოეტანაოთ? და მერე განა ეს მოტანა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ პური და სიმინდი ადგილობრივად იაფად ფასობდა?

ჩვენთვის გასაგები იქნებოდა, რომ ლლონტი და კომპანია პირდაპირ და აშკარათ აგრარიების ინტერესს იცავდეს, მაგრამ როცა პურზე ფასების მომატებას და პურის გაძვირებას ისინი ქართველ ხალხის ინტერესს უკავშირებენ, მაშინ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ეუწოდოთ იმათ საქციელს—უვიცობა თუ მატყუარობა?

გაზეთი „თანამედროვე აზრი",
1916 წ. 16 სექტემბერი, № 204.
„მ. მონიძის" ფსევდონიმით.

„ეროვნული ეკონომისტი".

1

კუმ ფეხი გამოყო—მეც ნახირ-ნახირაო. ბ-ნ თედო ღლონტის საქმეც სწორეთ ასეა: მას არა თუ დიდი სურვილი აქვს ეროვნულ ეკონომისტათ გაბდომის, არამედ მისი წარმოდგენით იგი უკვე დიდი ეკონომისტია და ეროვნულ ეკონომიკასაც საუცხოოთ იცნობს. ყოველივე ეს გვაგონებს ზევით მოყვანილ ხალხურ თქმულებას და კრილოვის [19]) არაკების ცნობილ გმირებს. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სულ ერთია, რანაირი წარმოდგენაც არ უნდა ჰქონდეს თავის თავზე ბ-ნ თედო ღლონტს. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. როცა ბ-ნი თედო ღლონტი სერიოზულ ეკონომიურ საკითხებზე მსჯელობს, როცა იგი ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას ეხება, შეუძლებელია მისი „ეკონომიური მსჯელობანი" უყურადღებოთ დავტოვოთ და იმათი ავტორი გონს არ მოვიყვანოთ.

ამ ხნობით ჩვენ ავიღებთ მარტოთ მარტო ერთ მაგალითს ბ-ნ ღლონტის ეკონომიურ მსჯელობათაგან. ჩვენმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს ეაქბატონი, რომელიც ხანდისხან დემოკრატობასაც კი ჩემულობს, ხორბლეულობაზე, ე. ი. პურზე და სიმინდზე ფასების მომატების მომხრეთ გამოვიდა (იხ. „ს. ფურცელი" 670). მისი ახრით უბედურება ის არის, რომ „თანამედროვე სიძვირეში ყველაზე ნაკლებად სოფლის ნაწარმოები გაძვირდა". როგორც ხედავთ, ბ-ნ ღლონტს არ აკმაყოფილებენ დღევანდელი ფასები სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებზე. სიმართლე თქოულობს აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ავტორს აქ საკმარისად დიდი შესწორება შეუმოაქვს. საქმე იმაშია, რომ ყველა მის ახირებულ დებულებათ ძალა და მნიშვნელობა მხოლოდ საქართველოსთვის აქვთ, და რახან საქართველოს საზღვრებს გავსცილდებით, ისინი მყისვე თავის მნიშვნელობას კარგავენ. „ჩვენი ქვეყანა—ამტკიცებს ბ-ნი ღლონტი—ვერ შეედრება ვორონეჟის [20]) და კურსკის [21]) გუბერნიებს, ჩვენ სულ სხვა მდგომარეობაში ვიმყოფებით... ვორონეჟის გლეხს ადვილად შეუძლიან კარ-მიდამო მიატოვოს და სადაც მეტი ხელფასია, იქ წავიდეს, მშობლიური კერა ამით არაფერს დაკარგავს, პურსაც წედარებით ადვილად იშოვნიან შინ დარჩენილები. მაგრამ ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ოჯახის დატოვება პირდაპირ დანაშაულად მიგვაჩნიაო", ე. ი. ვორონეჟის გლეხს თამამაო შეუძლია თავის კერის მოსწყდეს და სხვაგან გადიხვეწოს, ამით არც თვით გლეხი და არც მისი სამშობლო არაფერს დაკარგავენ; ვორონეჟის გუბერნიაში შეიძლება პური იაფათ ფასობდეს, ეს იქაური გლეხების ინტერესებს არ ავნებს; მაგრამ მდგომარეობა დიამეტრალურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცელება, როცა საქართველოში გადავდიეართ: აქ ყერას დატოვება დანაშაულია, იაფი პური კი კულტურის განმანადგურებელია. ასეთია ჩვენი „ეროვნული ეკონომისტის" პირველი დებულება.

აქედან გამომდინარეობენ სხვა დებულებანიც და სხვათა შორის ის მთავარი დებულებაც, რომ ქართველი ხალხის საკეთილდღეოთ აუცილებლად საჭიროა პურზე და სიმინდზე ფასების აწევა. ნუ დაიეიწყებთ, რომ ამას ამბობს ბ-ნი ლლონტი იმ დროს, როცა ყოველგვარი სანოვაგე უამისოდაც ზღაპრულად გაძვირდა. ამნაირად ჩვენმა ავტორმა და მასთან ერთად ფედერალისტთა [21]) მთელმა ბანაკმა სრული სოლიდარობა გამოიჩინა აგრარიების კლასთან ერთად. საქართველო ამ ვაგბატონებისათვის განსაკუთრებული ქვეყანაა; ის დგას გარეშე ბურჟუაზიული წყობილებისა. აქ აგრარიების და დემოკრატიული მასის ინტერესები როდი ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, პირიქით, ეს ინტერესები შეთანხმებული არიან; პურის გაძვირება სულ ყოველგან დემოკრატიისათვის მავნებელია, აქ, ჩვენ კურთხეულ საქართველოში, თურმე მეტად სასარგებლოა. ერთი სიტყვით აქ მთელი წყებაა ყალბ აზრებისა. ჩვენ ამ აზრებს მაშინვე ფარდა ავხადეთ (იხ. „თანამედროვე აზრი" [22]) № 205). ჩვენ ვამბობდით, რომ დღევანდელი საქართველო ისეთივე ქვეყანაა, როგორც სხვა ქვეყნები, რომ ჩვენშიაც აგრარიებსა და დემოკრატიას შორის ისეთივე წინააღმდეგობაა, როგორც სხვა ქვეყნებში, რომ პურის გაძვირება არასოდეს ქართველი დემოკრატიისათვის სანატრელი არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. ჩვენ დავგმეთ ბ-ნ თედო ლლონტის და კომპანიის პირდაპირ ანტიდემოკრატიული სულის კვეთება, რომელიც სავსებით შეეფერება მხოლოდ საზოგადოების მდიდარ და გაბატონებულ კლასებს. ამასთანავე ჩვენ დავსძენდით, რომ პირდაპირ გასაოცარია, ბ-ნ ლლონტის და კომპანიის სურვილი პურზე და სიმინდზე ფასების ზომატების შესახებ იმ დროს, როცა ეს საგნები გასაოცარი სისწრაფით გაძვირდენ. რითაც გნებავთ იმით ახსენით აგრარიების და ფედერალისტების ასეთი ერთსულოვნება და მჭიდრო დაახლოვება, მაგრამ ერთი კი ცხადზე უცხადესია: დემოკრატიის ინტერესების დაცვა აქ არაფერ შუაშია, პირიქით, ასეთი თანხმობა და სოლიდარობა აგრარიებსა და ფედერალისტებს შორის დემოკრატიის აშკარა ღალატს მოასწავებს.

აშკარაა: დემოკრატობა და გაბატონებულ კლასების ინტერესების დაცვა ერთ და იმავე დროს წარმოუდგენელია. მართალია, ასეთი წინააღმდეგობა და ორ სკამს შუა ჯდომა ჩვენი ფედერალისტების თანდაყოლილი სენია. ჯერ კიდევ განსვენებული არ. ჯორჯაძე [23]) სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეუდგა მუშების და ბურჟუა—კაპიტალისტების ინტერესების შერიგებას. ეს წაჯეჭ-უკუჯეჭობა და წინააღმდეგობა, როგორც ვიცით, გათავდა სოციალიზმის უარყოფით და ბურჟუაზიული განვითარების კანონების სრული შეთვისებით და კაპიტალისტურ წყობილებასთან შერიგებით. ასე მოუვიდა ჯორჯაძეს, რომელიც ხანდისხან მაინც ლოგიკას არ ღალატობდა. მაგრამ ჩვენი ფედერალისტების უმთავრესი უბედურება სწორედ იმაშია, რომ მათ მოქმედებაში ლოგიკა არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩვენ ფარდა ავხადეთ ბ-ნ თედო ღლონტის და „სახ. ფურცლის“ პოზიციას პურზე და სიმინდზე ფასების მონატების გამო, როცა ჩვენ საკუთარი გამოვამჟღავნეთ ამ პოზიციის სრული ანტიდემოკრატიული ხასიათი, ჩვენ მოველოდით ორში ერთს: ეს ეაჟბატონები ან საჯაროთ გამოტყდებოდენ თავის შეცდომაში (ეს იქნებოდა იმათთვის სუუკეთესო გამოსავალი). მაგრამ ჩვენ, იმათ საუბედუროთ, მოვსტყუედით; ბ-მა თედო ღლონტმა დაარღვია ეს სიჩუმე, და დაარღვია არა თავის წინანდელ პოზიციის უარყოფით, არამედ მის გასამართლებლად.

„სახ. ფურცლის“ № 704-ში ჩვენი უებარი აკტორი კვლავ თავგამოდებით იცავს პურისა და სიმინდის ფასების მომატებას და დასასრულ აცხადებს: „მალალი ფასების საკითხი მშრომელი გლეხკაცობის, დემოკრატიულ „აგრარიების“ სასიცოცხლო საკითხია და ჩვენ, როგორც ეროვნულ თვალსაზრისის ხალხს, არ შეგვიძლიან ამ ძალების ინტერესებით არ ვაეიმჭვალოთ და არ მოვითხოვოთ მათი ინტერესების დაცვაო“. მაშასადამე, ბ-ნი ღლონტი პურისა და სიმინდის ფასების მომატების მოითხოვს, ერთი მარით როგორც დამცველი „მშრომელი გლეხკაცობის“, ანუ როგორც იგი ამბობს: „დემოკრატიულ აგრარიების“, და მეორე მხრით როგორც „ეროვნულ თვალსაზრისზე მდგომი“.

ამნაირათ ხალხის დიდი უმეტესობა, ე. ი. ქალაქის და სოფლის პროლეტარული მასა, ანუ ნამდვილი დემოკრატია ბ-ნ თედო ღლონტების „ეროვნული თვალსაზრიაის“ გარეთ არის დარჩენილი. აქედან თქვეს ხედავთ, რომ ბ-ნი ღლონტის და კომპანიის „ეროვნული თვალსაზრისი“ არის თვალსაზრისი ეროვნული მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის საერთოდ და კერძოდ ეროვნულ აგრარიების. რაც შეეხება სიტყვა „დემოკრატიული“, იგი აქ სრულებით უადგილოთ არის ჩაჩხირებული.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ეროვნულ ბურჟუაზიის იდეოლოგთან. მაგრამ ასეთი როლით როდი კმაყოფილდება ბ-ნი თედო ღლონტი. იმავე დროს იგი დემოკრატიის ინტერესების დაცვასაც ჩემულობს და თვით პურის ფასების მომატებასაც დემოკრატიის, მუშა ხალხის ინტერესებით ამართლებს. აი აქედან მომდინარეობს მთელი მისი პოზიციის სიყალბე. მაგრამ საქმე ამით როდი თავდება.

ბ-ნ ღლონტის ყალბი პოზიცია ორკეცდება მეორე გარემოებით. მთელი მისი მსჯელობა პურზე და სიმინდზე ფასების მომატების შესახებ დაფუძნებულია იმ შემცდარ შეხედულებაზე, რომ იმერეთი თითქო პურის ქვეყანა იყოს, რომ იქ თითქო ყველა გლეხს პური და სიმინდი თავზე სყარელათ ქონდეს და გარეთ ეზიდებოდეა გასაყიდათ. საერთოდ ბ-ნ ღლონტის მსჯელობა აღძრულ საკითხის შესახებ საჭიროებს უფრო დაწვრილებით განხილვას.

II

ბ-ნი თედო ღლონტი ჩვენ ორ გარემოებას გვიკიჟინებს: 1) თითქო ჩვენ „ყოველთვის განყენებულათ ემსჯელობდეთ“ და 2) თითქო ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები პურის და სიმინდის სიძვირის შესახებ „ტყუილებზე და სიყალბეზე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს აშენებული. ამიტომ ჩვენ არ დავიწყებთ თავის მართლებას „განყენებულათ". ვეცდებით ავალაპარაკოთ ფაქტები.

ბ-ნ ლლონტს ჩვენ გასაწბილებლათ მოყავს რამდენიმე სტატისტიკური ცნობა, რომლის საშუალებით იგი ცდილობს დაუმტკიცოს მკითხველებს, რომ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლები თითქო სრულებით არ საჭიროებდენ გარედან შემოტანილ პურს, პირიქით, ქუთაისის გუბერნიიდან გააქვთ დიდ ძალი ხორბლეულობა სხვა ქვეყნებშიო. გარდა ამისა ბ-ნი ლლონტი კატეგორიულად უარყოფს, რომ დღეს ჩვენში სადმე ფუთი სიმინდი ფასობდეს 2 მანეთი და პური—3 მან. და ჩვენი შეუდარებელი რაინდი, გამხნევებული ალბათ თავისივე კატეგორიული განცხადებით, თამამათ გაიძახის, რომ „მონიძეს" [24]) არავითარი წარმოდგენა არ აქვს საქართველოს ეკონომიკის და რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ მისი შეხედულებაც ყალბი იყოსო". მართალია ეს? გავიხალოთ, თუ რომელი ჩვენგანი აწყდის მკითხველებს ტყუილ ცნობებს და ან თუ რომელ ჩვენგანს ყალბი წარმოდგენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე.

ეწინარეს ყოვლისა საჭირია განვაცხადოთ, რომ თავის პირველ წერილში ბ-ნ თეოდო ლლონტის შესახებ სტატისტიკურ ცნობებს არ ვიმოწმებდით იმის დასამტკიცებლად, რომ მუშა ხალხი ჩვენშიც, ისე როგორც სხვაგან, პურს ყიდულობს და არა ყიდის. ეს ისეთი აშკარა ფაქტია, რომ იმის დასამტკიცებლად არავითარი ციფრები საჭირო არ' არის. ბ-ნი ლლონტი უარყოფს ამ ფაქტს; უარყოფს, რა თქმა უნდა, არა სავსებით, ვინაიდან ქალაქის მუშების შესახებ ვინ დაიჯერებს, რომ ისინი პურს ყიდიან და არა ყიდულობენ. ჩვენი ავტორი ქალაქის მუშა ხალხის შესახებ სდუმს, ხოლო სოფლის მუშა ხალხის შესახებ ჩვენი სიტყვები ნან ასე შეცვლა: „სოფლის ხალხი პურს კი არ ყიდია, ყიდულობსო", და შემდგომ ამისა იგი დასძენს: „ეს კი უდიდესი ტყუილია და სიყალბე, რომელსაც „თან. ეზრის" განათლებული მკითხველები თუ დაიჯერებენ მხოლოდ. აეიღოთ ნამდვილი მაგალითი ცნობა და არა ზღაპარი. იმერეთი სოფლის ხალხის და პურის ქვეყანაა"-ო.

აი თურმე როგორი ყოფილა სინამდვილე და არა ზღაპარი! ჩვენ კი გვეგონა, რომ პურის ქვეყანაა საერთოდ რუსეთი; ჩვენში პუოის ქვეყნათ შეიძლება ჩითვალოს რამდენიმედ მხოლოდ ქართლი, ქიზიყი. იმერეთის შესახებ ჩვენ გვეგონა, რომ იგი არის სიმინდის ქვეყანა და ისიც არა მთელი იმერეთი, არამედ ერთი მისი ნაწილი, სახელდობრ ქვემო იმერეთი, სამეგრელო და გურიის ერთი ნაწილი; ზემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ეფრო ლეინის ქვეყანაა, რომელიც ლვინით ცხოვრობს, ე. ი. ყიდის ლვინოს და ყიდულობს პურს და სიმინდს. ვინც ცოტაო თუ ბევრათ დაახლოებით იცნობს ქუთაისის გუბერნიას, იმას ისიც ეცოდინება, რომ ზემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და გურიის საკმარისად მოზრდილი ნაწილი ჩვეულებრივ დროსაც ნიყიდი სიმინდით და პურით იკვებება.

ვინც ჩვენ სასოფლო მეურნეობას უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა, იგი ადვილად შეამჩნევდა შემდეგ მოვლენას: ზემო იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში მეკვენახეობა სულ უფრო და უფრო ვრცელდება; ქვემო იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში იმავე დროს თანდათან ფესს იკიდებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ახალი სამეურნეო კულტურა: ერთი მხრით ბოსტნეულობა, მეორე მხრით ხეხილის, დაფნის და ჩაის მოშენება. თავის თავად იგულისხმება, რომ ამის კვალობაზე შედარებით კლებულობს პურის და სიმინდის მოყვანა.

ყველა ამის შედეგი ის არის, რომ იმერეთში თანდათან სულ უფრო და უფრო ხმარებაში შემოდის პური, რომელიც სიმინდის ადგილს იჭერს თვითმივარდნილ სოფლებშიაც კი. სამწუხაროდ, ყველა ამის გაშუქება სტატისტიკური ცნობებით შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენ ასეთი მასალა არ მოგვეპოვება. მაგრამ, მეორე მხრით, არის ისეთი საკითხები ჩვენი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებიდან, რომელთა გაშუქება შეიძლება სტატისტიკური ცნობებითაც. ასეთ ცნობებს იძლევა ხორბლეულობის გადატან-გადმოტანის სტატისტიკა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე.

აქეთ ამ კამათ მხოლოდ ქუთაისის გუბერნია. ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენ პურს და სიმინდს გზავნის და იღებს ქუთაისის გუბერნია რკინის გზით, შეგვიძლია გავიგოთ, თუ რამდენს გზავნია დასახელებული გუბერნია ფოთსა და ბათომში, ერთი მხრით, და იმ სადგურებზე, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის საზღვრებს გარეთ მდებარეობენ. ამავე დროს უნდა აღინუსხოს ისიც, თუ რამდენი ფუთი პურის ფქვილი იგზავნება ფოთიდან და ბათომიდან ქუთაისის გუბერნიის სადგურებზე. ყველა ამ ცნობებიდან ჩვენ შეგვიძლია შევიტყოთ ცოტათ თუ ბევრათ ძაახლოებით ხორბლეულობის გატანა და შემოტანა ქუთაისის გუბერნიაში რკინის გზის საშუალებით. აქედან კი ჩვენ ადვილად გავიგებთ, თუ რამდენათ აკმაყოფილებს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ ადგილობრივი ხორბალი, თუ რამდენათ საჭიროებენ ისინი გარედან შემოტანილ ხორბლეულობას. სანამ ამაზე გადავიდოდეთ, საჭიროა ერთი საკმარისათ კურიოზული ამბავი გავაცნოთ.

III

ბ-ნ თედო ღლონტსაც მოუწადინებია სტატისტიკური ცნობების დამოწმება ჩვენ გასაწბილებლად. ჩვენ ავტორს მოკავს ზოგიერთი სტატისტიკური ცნობები, რომლებიც, მისი აზრით, ახასიათებენ ხორბლეულობის გატანას და შემოტანას ქუთაისის გუბერნიაში. ამავე დროს იგი არ ასახელებს არც წელიწადს, რომელსაც ეს ცნობები ეკუთვნიან და არც წყაროს, საიდანაც ისინი ამოღებულია. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი ცნობები ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული მრიან. მკითხველი გაოცებული რჩება, თუ რისთვის უმალავს მას ჩვენი ავტორი ყველა ამას. შეიძლება მან იფიქრა, რომ ის წყარო, რომლიდანაც მან რამდენიმე ცნობა ამოიღო, ამტკიცებს სრულებით იმის წინააღმდეგ, რის დამტკიცებას იგი ლამობდა. ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ. ჯერჯერობით კი აღვნიშნავ, რომ ბ-ნ ღლონტის მიერ მოკვანილი ცნობები ეკუთვნიან 1912 წელს და ისინი ამოღებულია ამიერ-კავკასიის რკინის გზის სტატისტიკიდან*). ქუთაისის გუბერნიის რკ. გზის 36 სადგურიდან ბ-ნ ღლონტს ამოურჩეია მხოლოდ 9 სადგური, სახელდობრ: სუფსა, ჯუმათი, ლანჩხუთი, ნიგო-

*) Статистика движения хлебных грузов.

ითი, საჯავახო, სამტრედია, აბაშა, სენაკი და ქვალონი. ასე მოქცეულა იგი იმიტომ, რომ მისი აზრით „იმერეთში ხორბლეულობის გატანა და შემოტანა ხდება უმთავრესად დასახელებულ სადგურებიდან“.

აქ უწინარეს ყოველისა ღნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის ზემო მოყვანილი სიტყვები სიმართლეს მოკლებულნი არ არიან; მაგრამ ისინი მართალია მხოლოდ რამდენიმეთ. უპირველეს ყოველისა ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ბ-მა ღლონტმა ნიგოითის და საჯავახოს გვერდით არ მოიხსენია არც ქობულეთი და არც ნატანები, რომლებიც სიმინდის გაგზავნით ბევრად წინ არიან ზეგით დასახელებულ ორ სადგურზე, და რაც შეეხება შემოტანას (მიღება), მარტო ნატანები რომ ავიღოთ, ის მაღლა დგას ჩვენი ავტორის მიერ ყველა ზევით დასახელებულ სადგურებზე გარდა სამტრედიისა და სენაკისა.

ასე, მაგ. 1912 წ. გაუგზავნიათ სიმინდი:

ქობულეთიდან	64.018	ფუთი
ნატანებიდან	47.868	„

იმავე წელს გაუგზავნიათ სიმინდი:

ნიგოითიდან	42,928	„
საჯავახოდან	8.700	„

ავიღოთ ახლა მიღება ანუ შემოტანა. ინავე 1912 წელს ბ-ნ ღლონტის მიერ დასახელებულ სადგურებზე მიუტანიათ პურის ფქვილი:

სუფსაში	12,9	ათასი
ჯუმათში	11,0	„
ლანჩხუთში	32,0	„
ნიგოითში	8,4	„
საჯავახოში	44,5	„
სამტრედიაში	209,3	„
აბაშაში	60,7	„
სენაკში	126,9	„
ქვალონში	3,0	„
ს ულ	508,7	ათასი

ამნაირად, ამ ცხრა სადგურზე მიუტანიათ სულ 508,7 ათასი ფუთი პურის ფქვილი. ინავე დროს ამავე სადგურებიდან გაუგზავნიათ სულ 1.758,7 ათასი ფუთი სიმინდი, ბ-ნ თედო ღლონტის ტერმინოლოგიით ეს ნიშნავს იმავე დროს გატანას. თუ ჩვენ ავტორს დავეთანხმებით, მაშინ გამოვა ხორბლეულობის გატანა დასახელებულ სადგურებიდან აღემატება შემოტანას მთელ ქუთაისის გუბერნიაში 1.278,3 ათასი ფუთით, ანუ 254,5 პროც. „აქედან ჩვენ ეხედავთ— დაასკვნის ბ-ნი ღლონტი, რომ ჩვენი სასოფლო სამეურნეო ცენტრები პურის (თუ სიმინდის?) გაყიდვით ცხოვრობენ და არა ყიდვით, რომ ბ-ნ მონიძეს არავითარი წარმოდგენა არ აქვს საქართველოს ეკონომიკაზეო“. გამოდის, რომ ბ-ნი ღლონტი სრულ ჭეშმარიტებას ლაღადებს, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, საიდან, რომელი ანალიზიდან გამოიყვანა ჩვენმა ავტორმა ასეთი რიხიანი დასკვნა?

ტყუილა კი არ ამბობენ, რომ ზოგჯერ სტატისტიკური ციფრების მეოხებით ყველაფრის დამტკიცება შეიძლებაო. მაგრამ სტატისტიკაც არის და სტატისტიკაც. სტატისტიკურ დასკვნებს მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა და ძალა, როცა თითეული სტატისტიკური ფაქტი ახუ ცხობა შემოწმებულია, ის შედეგია მასიური დაკვირვებისა და იმავე დროს იმას ზონიერულად აწონ-დაწონით იყენებენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სტატისტიკურ ცნობებიდან სწორი და უტყუარი დასკვნების გამოყვანა. აიღოთ ასეთი მაგალითი. 1912 წლის რკინის გზის სტატისტიკიდან ჩვენ ვიცით, რომ სად. სუფსას ნიუღია 12,9 ათასი ფუთი პურის ფქვილი. თავის თავად ეს სტატისტიკური ფაქტი სრული ნეშმარიტებაა, მაგრამ ეს ფაქტი ამბობს მხოლოდ იმას, რომ 1912 წლის განმაელობაში სუფსაში რკინის გზით მოუტანიათ ამდენი და ამდენი ფუთი პურის ფქვილი; მორჩა და გათავდა. ნაგრამ ხუ თუ ჩვენ სავსებით უნდა დავკმაყოფილდეთ ამ ცნობით? შეიძლება სუფსა კიდევ სხვა გზითაც ღებულობს ამ საქონელს? და მართლაც, იმავე რკინის გზის სტატისტიკიდან ჩვენ სხვათა შორის ვიცით, რომ ფოთი გზავნია ამიერ-კავკასიის სადგურებზე დიდძალ პურის ფქვილს, რომელსაც იგი ზღვით ღებულობს რუსეთიდან*). ფოთი დამორებულია სუფსაზე 15 ვერსით და იმათ აერთებს გზა-ტკეცილი: რკინის გზით კი შორი მოსავლელია, და მართლაც რკინის გზით სუფსა ფოთიდან არაფერს არ ღებულობს. მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, რომ გურიის სოფლებიდან ურმებით დიდძალ ნაწარმოებს ეზიდებიან ფოთში. ეს გზა პირდაპირ სად. სუფსაზე გაივლის. ფოთიდან ურმები არასოდეს ცარიელი არ ბრუნდებიან. ვინ არ იცის, რომ ფოთიდან ურმებით ეზიდებიან საერთოდ გურიაში დიდძალ საქონელს, მაგ., თევზს, მარილს, პურის ფქვილს და სხვ., ნაწილი ამ საქონელისა ბიდის, რა თქმა უნდა სუფსაშიაც, და სხვათა შორის პურის ფქვილიც. მაგრამ ამას ხომ რკინის გზის სტატისტიკა არ აღნუსხავს. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ რკინის გზის სტატისტიკა სწორია იმ შემთხვევაში, როცა რკინის გზის საშვალებით გადატანილ საქონელს ვეხებით. მორჩა და გათავდა.

აიღოთ კიდევ სხვა მაგალითი. რას იტყვის თედო ღლონტი ისეთ კუთხეებზე, როგორიც არიან, მაგ. რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. გამოაქვთ თუ შეაქვთ იქ ბორბლეულობა? არა გვგონია, რომ ოლნდ ბ-ნმა ღლონტმა გაბედოს და თქვას, რომ რაჭა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან გამოაქვთ და არა შეაქვთ ალბინდი და პური. მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია იმის გამოანგარიშება, თუ რანდენი შეაქვთ ამ ადგილებში სხვადასხვა სასურსათო საქონელი, მაგრამ მეორე მხრით ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ უმთავრესად რომელი სადგური ღებულობს ქუთაისის გუბერნიაში ხორბლეულობას. თუ თედო ღლონტს დავუჯერეთ, ასეთია ის სადგურები, რომლებიდანაც უმთავრესად გააქვთ ხორბლეულობა. როგორ ხდება ის, რომ უმთავრესად სწორედ ის სადგურები იღებენ ხორბლეულობას, რომლებიც ამ ნაწარმოებს თითონ აგზავნიან სხვა ადგილებში, ეს ალბათ მარტო თედო ღლონტმა უწყის. სინამდვილე კი სულ სხვას ამბობს. 1912 წელს ქუთაისის გუბერნიის ყველა სადგურებზე რკინის გზით მიუტანიათ სულ 4.261.498

*) ეს ასე იყო ომის დაწყებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუთი სხვადასხვა ხორბლეულობა. ამ რიცხვში შედის პირველად ის ხორბლეულობა, რომელიც გამოგზავნილი იყო სხვა რკინის გზების სადგურებიდან —510,409 ფუთი; მეორე ის ხორბლეულობა, რომელიც გამოგზავნილი იყო ამიერ-კავკასიის იმ სადგურებიდან, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის საზღვრებს გარეშე მდებარეობენ, დაახლოებით 550,000 ფუთი. მაშასადამე, ზევით მოყვანილ რაოდენობიდან დაახლოებით ბილიონ ფუთზე მეტი ხორბლეულობა ქუთაისის გუბერნიის გარედან იყო გამოგზავნილი. ქვეყით ჩვენ მოგვყავს ის სადგურები, რომლებიც ქუთაისის გუბერნიაში ხორბლეულობის მიღებაში ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ამასთანავე ჩვენ განვგებ ვყოფთ იმათ ორ ჯგუფათ: პირველში შეტანილია ის სადგურები, რომლებიც ბ-ნ ღლონტმა დაახასიათა, როგორც ხორბლეულობის უმთავრესი მიმღები სადგურები; მეორეში ისინი, რომლებსაც ჩვენ ვსცნობთ ასეთებათ. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ იმ ცხრა სადგურზე მიტანილ ხორბლეულობის მთელი ჯამი უდრის 510 ათას ფუთს. მეორე ჯგუფში შედიან:

ნატანები	80,7	ათასი ფუთი
ქუთაისი	630,7*)	„ „
ყვირილა	135,8**)	„ „
ჭიათურა	124,8**)	„ „
საჩხერე	29,5***)	„ „
ძირული	14,7****)	„ „
ს უ ლ . . .	1.016,2	ათასი ფუთი

ამნაირათ როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ მიერ დასახელებულ 6 სადგურზე მოუტანიათ სხვადასხვა ხორბლეულობა 1.016 ათასი ფუთი, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვინემ ბ-ნ ღლონტის მიერ ნაჩვენებ 9 სადგურზე. ახლა ვიკითხოთ, თუ რა საბუთით ამბობდა ბ-ნი ღლონტი, რომ ხორბლეულობის შემოტანა ქუთაისის გუბერნიაში უმთავრესად ქვალონის და ნიგოითის საშუალებით ხდებოდა. საიდან მოუვიდა ჩვენ ავტორს თავში ის, რომ იმ სადგურების სიაში, რომელთა საშუალებით ხორბლეულობა შემოდის ქუთაისის გუბერნიაში, შეეტანა ისეთი სადგურები, როგორიც საჯავახო და ნიგოითია, რომლებიც წლიურათ ლებულობდენ ნორმალურ დროს ხორბლეულობის სულ უმნიშვნელო რაოდენობას, და იმავე დროს ამ სიიდან მან გამორიცხა ისეთი სადგურები, როგორიც არიან ქუთაისი, ყვირილა, ჭიათურა და სხვები, რომლებიც ღებულობენ დიდძალ ჰპურს და სიმინდს? მაშ, შეიძლება ბ-ნ ღლონტს ქონებია მიზეზი დაეფარა მკითხველებისათვის ის წყარო, საიდანაც მან თითო-ოროლა ცნობები ამოგლიჯა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მკითხველს ახლა შეუძლია რამოდენიმეთ მაინც დააფასოს, თუ ვინ აწვდის მას ყალბ ცნობებს, ბ-ნი თედო ღლონტი, თუ მე ჩავყვეთ ქვევით.

*) ნაჩვენებია ჰპურის ფქვილი, სიმინდი და ქერი.
**) მარტო ჰპურის ფქვილი და სიმინდი
***) მარტო ჰპურის ფქვილი.
****) მარტო სიმინდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნი ღლონტი აცხადებს, რომ „სულ ქუთაისის გუბერნიაში შემოუტანიათ 2,4 მილ. ფუთი პურის ფქვილი და სიმინდი, გაუტანიათ კი გაცილებით მეტი, ე. ი. 7,2 მილიონი ფუთიო". ჯერჯერობით ჩვენ ყურადღება მივაქციოთ მარტო გატანილი ხორბლეულობის რაოდენობას. უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ ქუთაისის გუბერნიიდან გაქონდათ აქამდის მარტო სიმინდი. ბ-ნ თედო ღლონტის სიტყვებიდან ჩანს, რომ 1912 წელს ქუთაისის გუბერნიიდან გაუტანიათ 7,2 მილ. ფუთი ხორბლეულობა, ე. ი. განსაკუთრებით თითქმის მარტო სიმინდი. სამწუხაროდ, ბ-ნი ღლონტი არ ასახელებს არც იმას, თუ საიდან გაიტანეს ამოდენა სიმინდი და არც იმ წყაროს, თუ საიდან ამოიღო მან ეს ცნობა. ამიტომ ბ-ნ ღლონტის სიტყვები ზღაპარს მოგვაგონებს. მართლაც, როგორც ვიცით, სიმინდი მიაქვთ ქუთაისის გუბერნიიდან განსაკუთრებით თითქმის მარტო ბათომის და ფოთის საშუალებით. დასახელებული პუნქტები ღებულობენ ამ ნაწარმოებს უმეტეს ნაწილად რკინის გზის სადგურებიდან. მართალია, ფოთში შედის სიმინდი ურმებითაც, მაგრამ რკინის გზით შემოტანილთან შედარებით, იმის რაოდენობა სრულებით უმნიშვნელოა. ამავე დროს ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში, ერთი მხრით ის, რომ ფოთში და ბათომში ადგილობრივ საჭიროებისათვისაც იხარჯება სიმინდი და, მეორე მხრით ის, რომ ეს სადგურები თავის მხრით გზავნიან სიმინდს ქუთაისის გუბერნიის სხვა სადგურებზე. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ყველა ის სიმინდი, რომელიც ფოთში და ბათომში მიაქვთ რკინის გზის საშვალებით, საზღვარ გარეთ გატანილათ რომ ჩავთვალოთ, ჩვენ მივიღებთ დაახლოვებით ქუთაისის გუბერნიიდან გატანილი სიმინდის რაოდენობას. ამისათვის ჩვენ ვიღებთ ორ წელიწადს, 1912 და 1914. ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სადგურებიდან გაუგზავნიათ სიმინდი:

	1912 წ.		1914 წ.	
ბათომში	1.000.025	ფუთი	303.815	ფუთი.
ფოთში	790.410	„	73.661	„
ს უ ლ .	1.790.435	„	377.476	„

მაშასადამე, ქუთაისის გუბერნიიდან გატანილ სიმინდის რაოდენობა დაახლოებით უდრის: 1912 წელს 1.790.435 ფუთს და 1914 წ. 377.436 ფუთს. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ 1914 წელს სიმინდის გატანა 1912 წელთან შედარებით ძალზე შემცირებულა, რაც იმით აიხსნება, რომ 1914 წლის შემოდგომის დასაწყისში ომის გამოცხადების გამო შავ ზღვაში მიმოსვლა თითქმის სრულებით შეწყდა. რაც შეეხება 1915 წელს, ბათომში და ფოთში სიმინდის გზავნა სრულებით შეწყდა**). ეს, რა თქმა უნდა, აიხსნება ერთ და იმავე დროს როგორც ომიანობით, ისე მოუსაველობითაც. სამაგიეროთ, 1913 წელს, როცა შედარებით ნორმალური პირობები იყო, როგორც მოსაველიანობის, ისე მიმოსვლის მხრით, ქუთაისის გუბერნიის სადგურებიდან გაუგზავნიათ:

ბათომში	833.781 ფუთი
ფოთში	1.142.191 „
ს უ ლ	1.975.972 ფუთი

*) წელიწადი არ არის დასახელებული, მაგრამ იგი უნდა ამბობდეს 1912 წელზე.

**) სიმინდი გაუგზავნიათ რკინის გზის სადგურებიდან: ფოთში 5.672 ფ. აქედან მარტო ქუთაისიდან 5.060 ფ. ბათომში 7.375 ფ. ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ ეს სიმინდიც გაგზავნილია არა აბაშიდან, სენაკიდან, არამედ ქუთაისიდან და ყვირილიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას რომ მიუმატოთ კიდევ ის სიმინდი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სადგურებიდან გაუგზავნიათ ამავე 1913 წელს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სხვა სადგურებზე 24.235 ფუთი, მაშინ ჩვენ მივიღებთ, რომ მთელი გატანა ქუთაისის გუბერნიიდან შეადგენს დაახლოვებით 2 მილ. ფუთ სიმინდს. ეს არის უდიდესი რიცხვი, რომელსაც უდრის ქუთაისის გუბერნიიდან გატანილი სიმინდის რაოდენობა. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ 1912 წ. ეს რაოდენობა დიდათ არ უახლოვდებოდა 2 მილ. ფუთსაც. ბ-ნ თედო ღლონტის სიტყვებით კი, არ ვიცით რა საბუთით, ეს გატანა 7,2 მილ. ფუთს უდრის. ეს პირდაპირ გასაკვირალია. მაგრამ არა ნაკლებ გასაკვირალია მეორე ამბავი, რომელსაც იგივე თედო ღლონტი გადმოგვცემს. ჩვენი ავტორის სიტყვით, სიმინდის მთელი მოსავალი იმერეთში (რომელ წელს, ნაჩვენები არ არის; ერთი სიტყვით დროს დასახელება როგორღაც არ უყვარს ბ-ნ ღლონტს) შეადგენდა 7,8 მილ. ფუთს. მაგრამ, ვინაიდან მისივე სიტყვით, იმავე დროს იმერეთიდან გაუტანიათ 7,2 ფუთი სიმინდი, გამოდის, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს დარჩენიათ მხოლოდ 400.000 ფუთი სიმინდი. თუ ამას მივუმატებთ კიდევ პურის მოსავალს, რაც ბ-ნ ღლონტის სიტყვით უდრიდა 422 ათას ფუთს, მაშინ გამოვა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების გამოსაკვებათ დარჩენილა დაახლოვებით 822 ათასი ფუთი ხორბლეულობა. თუ მივიღებთ, რომ სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა ქუთაისის გუბერნიაში შეადგენს არა ნაკლებ 800,000 სულისა, გამოვა, რომ თითო სულზე წლიურათ ბ-ნ თედო ღლონტის ანგარიშით, მოდის დაახლოვებით თითო ფუთი ხორბლეულობა. მინიმალური ნორმა წლიურათ თითოეულ სულზე უნდა მივიღოთ არა ნაკლებ 20 ფუთისა. მაშასადამე, ბ-ნ ღლონტის ანგარიში რომ მივიღოთ, 1912 წ. იმერეთის ხალხი შიმშილისაგან უნდა ამოწყვეტილიყო. ამას არ უშველიდა არც ის პური, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში ყოველ წლივ შემოიაქვთ.

აქედან აშკარათ ჩანს, თუ რამდენათ ყალბია ის ცნობები, რომლითაც ბ-ნი თედო ღლონტი უმასპინძლდებოდა „სახალხო ფურცლის“ ბეჭავ მკითხველებს, მაგრამ ეს ალბათ მას ეპატიება, ვინაიდან ყველა ამ სიყალბეს იგი ჩადის ეროვნული თვალსაზრისით.

IV.

განვიხილოთ ახლა შემოტანილი და ადგილობრივი ხორბლეულობის მოძრაობა ქუთაისის გუბერნიის რკინის გზის სადგურებზე. ავიღოთ ჯერ 1912 წელი.

ბ-ნ თედო ღლონტის სიტყვით, ამ წელს ქუთაისის გუბერნიაში შემოუტანიათ გარედან სულ 2 მილ. ფუთი პურის ფქვილი და სიმინდი.*) ეს ერთად ერთი შემთხვევაა, როცა ჩვენი ავტორი სინამდვილეს უახლოვდება. მაგრამ ეს არ არის მაინც მთელი შემოტანა. ბ-ნ ღლონტს, როგორც ჩანს, აუღია მხოლოდ შემდეგი ციფრები: 1) 568.221 ფუთი პურის ფქვილი, რომელიც ბათომის სადგურს გაუგზავნია ქუთაისის გუბერნიის სადგურებზე; 2) 1.357.881 ფუთი პუ-

*) სიმინდის შესახებ ჩვენი ავტორი აქ სასტიკათ ცდება; ვინაიდან 1915 წლამდე ის ჩვენში არ შემოდინდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ფქვილი, რომელიც ამავე სადგურებზე გაუგზავნია ფოთს; და 3) 510.409 ფუთი სხვადასხვა ხორბლეულობა, რომელიც ადგილობრივ სადგურებს მიუტანიათ რუსეთის სხვადასხვა რკინის გზების სადგურებიდან, ეს შეადგენს სწორედ 2.436.511 ფუთს, ე. ი. იმ რიცხვს, რომელსაც იძლევა ბ-ნი ლლონტი. ბაგრამ არ უნდა დავიიწყოთ ის გარემოება, რომ ქუთაისის გუბერნიის რკინის გზის სადგურებზე შემოაქვთ ხორბლეულობა აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზის იმ სადგურებიდან, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის გარეშე მდებარეობენ. ასე, მაგ. რკინის გზის სტატისტიკა გვეუბნება, რომ იმავე 1912 წელს, მარტო ბათომში, ქუთაისში და ფოთში დასახელებულ სადგურებიდან მიუტანიათ 523.581 ფუთი ხორბლეულობა; ასე რომ 1912 წელს ქუთაისის გუბერნიაში გარედან შემოტანილი ხორბლეულობის რაოდენობა ულრის არა ნაკლებ 3 მილ. ფუთს.

ახლა განვიხილოთ ის, თუ ადგილობრივათ ნაწარმოები ხორბლეულობა რამდენი იგზავნება ან იგზავნებოდა ამ ორი-სამი წლის წინეთ ქუთაისის გუბერნიის სადგურებიდან. იგი შეადგენდა:

1912 წელს	4.191.866 ფუთა
1914 წელს	4.176.031 „
1915 წელს	1.157.188 „

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზეგით მოყვანილი რაოდენობა მარტო ადგილობრივ ნაწარმოებ ხორბლეულობას როდი შეიცავს; ია პურის ფქვილი, რომელსაც გზავნის რკინის გზით ფოთი და ბათომი, ყოველ ეჭვს გარეშე ადგილობრივი ნაწარმოები არ არის, არამედ შემოტანილია რუსეთიდან ზღვით. ამიტომ ადგილობრივ ნაწარმოებ ხორბლეულობის რაოდენობის გასაგებათ საერთო რაოდენობიდან უნდა გამოვაკლოთ ის პურის ფქვილი, რომელიც დასახელებულ წლებში რკინის გზით გაუგზავნიათ ბათომიდან და ფოთიდან, სახელდობრ გაუგზავნიათ პურის ფქვილი:

	1912 წ.	1914 წ.	1915 წ.
ბათომიდან	568.221 ფ.	547.211 ფ.	26.905 ფ.
ფოთიდან	1.357.881 ფ.	1.306.143 ფ.	485.714 ფ.
	1.926.102 ფ.	1.853.354 ფ.	512.619 ფ.

აქედან ადგილობრივათ ნაწარმოები ხორბლეულობით მოძრაობა ქუთაისის გუბერნიის სადგურებზე ულრის:

1912 წ.	2.265.764 ფუთს
1914 წ.	2.322.677 „
1915 წ.	644.569 „

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზეგით მოყვანილი ციფრებიც საესებით არ გამოხატავენ ადგილობრივათ ნაწარმოები ხორბლეულობის მოძრაობას რკინის გზის სადგურებზე ქუთაისის გუბერნიაში, ვინაიდან გარდა ფოთისა და ბათომისა სხვა სადგურებიც გზავნიან გარედან შემოტანილ ხორბლეულობას ანუ უფრო მართლათ რომ ვთქვათ პურის ფქვილს, ეს ითქმის ყველაზე უფრო 1915 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, როცა ადგილობრივი სადგურები გზაუნიდენ რუსეთიდან მოტანილს არა მარტო პურის ფქვილს, არამედ სიმინდსაც.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში რკინის გზის სადგურებზე ადგილობრივათ ნაწარმოები ხორბლეულობის მოძრაობა თავისი რაოდენობით მეორათ უფრო ნაკლებია გარედან შემოტანილზე. აგილოთ შემდეგი ციფრები: 1) ის ხორბლეულობა, რომელიც მიეღლია რკინის გზის სადგურებს ქუთაისის გუბერნიაში ამიერ-კავკასიის რკინის გზის იმ სადგურებიდან, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის საზღვრებს გარეშე მდებარეობენ, 2) ის ხორბლეულობა, რომელსაც იღებს იგივე სადგურები პირდაპირ რუსეთის რკინის გზის სადგურებიდან: და 3) ის პურის ფქვილი, რომელიც იგზავნება ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებზე ფოთიდან და ბათომიდან, ბაზინ ჩვენ მივიღებთ შემდეგს:

1) ნიტანა ხორბლეულობის ამიერ-კავკ. სადგურებ.	593.898 ფ.	269.297 ფ.
2) რუსეთის რკ. გზ. სადგ.	514.415 ფ.	659.008 ფ.
3) გაგზ. პურის ფქვილის ფოთიდ. და ბათომ, .	1.926.101 ფ.	1,683.586 ფ.
ს უ ლ	3.034.415 ფ.	2.611.891 ფ.

ნართალია, როგორც ზევით მოყვანილ ცნობებიდან ჩანს, გარედან შემოტანილი ხორბლეულობის მოძრაობას 1914 წელს 1912 წელთან შედარებით საკმარისად საგრძნობლად დაუკლია, მაგრამ ადგილობრივად ნაწარმოებ ხორბლეულობის მოძრაობას ის მაინც საგრძნობლად აღემატება. ყოველ შემთხვევაში აქ არ კნარა მარტო ორი წლის ცნობები. ანისათვის საჭიროა ხორბლეულობის მოძრაობის შესწავლა უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში. ასეთი შესწავლა ჩვენ მოგვცემდა უტყუარ ცნობებს იმის შესახებ, თუ რას განიცდის ჩვენში ხორბლეულობის ნაწარმოები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საკანს ჩვენ ისევ დაუბრუნდებით ახლო მომავალში; აქ კი იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ზევით მოყვანილი ცნობებით რკინის გზის სტატისტიკიდან ხორბლეულობის მოძრაობის შესახებ 1915 წელს ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებიდან ხორბლეულობა გაიგზავნა 1915 წელს.

ამავე რკ. გზის სად.	5.202.895 ფუთი
სხვა რკ. გზების სად.	257.698 ფუთი
ს უ ლ	5.460.593 ფუთი

აქედან ქუთაისის გუბერნიის სადგ. გაუგზავნიათ სულ 1.157.188 ფუთი, ანუ საერთო რიცხვის 21,2 პროც. მაგრამ აქედან უნდა გამოირიცხოს: 1) ის პურის ფქვილი, რომელიც ხსენებულ წელს გაუგზავნია ამიერ-კავკასიის ყველა სადგურებზე ბათომსა და ფოთს და 2) ის ხორბლეულობა, რომელიც გაუგზავნია სად. ქუთაისს. პირველი შეადგენს 762.297 ფუთს, მეორე 162.284 ფუთს, ერთად 924.581. მაშასადამე, ადგილობრივად ნაწარმოები ხორბლეულობის მოძრაობა (გაგზავნა) ქუთაისის გუბერნიის სადგურებიდან უდრის მხოლოდ 232,607 ფუთს. ასეთი კოლოსალური დაცემა გამოიწვია, რა თქმა უნდა, მოსავლობამ, რაც თავის მხრით შედეგია სხვადასხვა მიზეზების. მაგრამ ხორბლეულობის წარმო-

ების შედარებით შემცირება ჩვენში სრულებით შემთხვევითი მოვლენა არ არის. ეს შეიძლება საერთოდ ითქვას მთელ ამიერ-კავკასიაზედაც და არა მარტო ქუთაისის გუბერნიაზე. იმავე 1915 წელს ბალაჯარის საშუალებით ამიერ-კავკასიის რკ. გზის სადგურებზე მიუღიათ: *)

1) პურის ფქვილი	10.023.409 ფ.
2) პური (ხორბალი)	3.476,726 ფ.
3) ქვავი	144.259 ფ.
4) ქერი	2.638.958 ფ.
5) სიმინდი	2.267.868 ფ.
სულ	18.542.230 ფ.

ამნაირათ, დასახელებულ ნაწარმოებთა შემოტანა შეადგენს 18,5 მილ. ფუთს. მაგრამ აქ კიდევ ნაჩვენები არ არის მრავალი სხვა ნაწარმოები, როგორც, მაგ., შვრია, სხვადასხვა კრუპა და სხვ., აგრეთვე უნდა ვიგულისხმოთ, რომ კასპიის ზღვის საშვალებითაც შემოდიოდა ამიერ-კავკასიაში სხვადასხვა ხორბლეულობა, ამიტომ ჩვენ შეცდომას არ დაუშვებთ, თუ ვიტყვით, რომ გასულ 1915 წელს რუსეთიდან შემოტანილი სხვადასხვა ხორბლეულობა აღემატებოდა 20 მილ. ფუთს. სხვათა შორის, სიმინდი სულ ქუთაისის გუბერნიამ მიიღო. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი გაძლიერებული შემოტანა უმთავრესად ჯარის მოთხოვნილებით აიხსნება, მაგრამ ეამისოდაც ამიერ-კავკასია უკანასკნელ წლების განმავლობაში ღებულობდა რუსეთიდან წლიურად საშუალო რიცხვით 10-12 მილ. ფუთ ხორბლეულობას.

ყველა ზეგით ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ როგორც მთელი ამიერ-კავკასია საერთოდ, ისე ქუთაისის გუბერნია კერძოთ პურის ქვეყნათ ამ ჟამად არას შემთხვევაში აღარ ჩაითვლება. ამ ფაქტს ვერ შეცვლის ვერც კარგი მოსავალი და ვერც სხვა მიზეზი. ჩვენ ვიცით, მაგ., რომ წელს იმერეთში სიმინდის კარგი მოსავალი იყო, მაგრამ აბა შეუძლია ვისმეს თქვას, რომ ქუთაისის გუბერნია ახლა აღარ საჭიროებს გარედან შემოტანილ ხორბლეულობას? საჭიროებს და მერე როგორ. მოაკელით ამიერ-კავკასიას რუსეთის პური და ის ჩვეულებრივ დროსაც დაიმშევა. ერთი სიტყვით ბაზარი რუსეთის პურისთვის ჩვენში თანდათან და შეუჩერებლად ფართოვდება. ეს ჩვეულებრივი და სრულიად ნორმალური მოვლენაა ჩვენში. პურს ყიდულობს ჩვენში არა მარტო ქალაქის მცხოვრები, არამედ სოფლის მკვიდრებთა დიდი ნაწილი. ამიტომ როცა ბ-ნი თედო ღლონტი პურზე და სიმინდზე მაღალი ფასების დაწესებას თბოულობს, ამით იგი იცავს იმდენათ არა ქართველ მსხვილ და საშუალო გლეხ-კაცობას, რაც მას სწადია, არამედ მისდა უნებულათ რუსეთის სოფლის მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიულ კლასებს. უნდა გამოუტყდეთ, რომ ასეთი ტიპის ეროვნული ეკონომისტი როგორც ბ-ნი თედო ღლონტი გამოდგა ქართველი ბურჟუაზიისათვის არც ერთ სხვა ერს ეს ჯერ არ მოვლინებია. აქეთ და არიან ეროვნული ეკონომისტები, რომლებიც ეროვნულ კაპიტა-

*) ამ წერილის შედგენის დროს ხორბლეულობის მილების სტატისტიკა ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ იყო, ამიტომ დაწერილებით ჩვენ იგი ვერ გამოვიყენეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტების, ეროვნული მსხვილი მეურნეობის და მრეწველობის ინტერესებს იცავენ, მოდი და მეც ვიკისრებ ამ სასახელო საქმესო, ალბათ იფიქრა ჩვენმა ავტორმა. მაგრამ ბ-ნმა თედო ლლონტმა დაიგიწყა ამ შემთხვევაში ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ამისთვისაც საჭიროა ცოდნა და ნიჭი, და იგი ყოველივე ამას მოკლებულია.

V.

ყოველივე ის, რაც ჩვენ ზევით ვთქვით ბ-ნ თედო ლლონტს შეუძლია არ იცოდეს, და ხომ იცით, ზოგიერთ შემთხვევაში არ ცოდნა მისატევებელია. მაგრამ რას იტყვით იმის შესახებ, როცა ბ-ნი ლლონტი ეარყოფს ისეთ ფაქტს, რომლის არსებობა იმან თითონაც კარგათ იცის? — თავის პირველ წერილში (იხ. „თინ. ალ." № 205) ჩვენ სხვათა შორის ვამბობდით, რომ არც ბ-ნ ლლონტს და არც „სახ. ფურცელის" რედაქციას ალბათ არა სცოდნიათ, რომ ეუთი პური ჩვენში სამ მანეთზე ზევით ფასობს და სიმინდი ორი მანეთი და ორ მანეთ ნახევარი. ამას ვწერდით ჩვენ სექტემბრის შუა რიცხვებში[25]). მას შემდეგ არც პურის და არც სიმინდის ფასს არ დაუკლია, დაბლა არ დაწეულა, პირიქით, იწია კიდეც უფრო მაღლა. და აი, ჩვენი გაბედული ავტორი, თვენახევარის სიჩუმის შემდეგ გაიძახის: ბ-ნ მონიძის ფიქრით, პურის ფასი ეხლაც მაღალი ყოფილა*), სიმინდი ორი მანეთი ღირს, პურის ფქვილი სანი მანეთიო. ჩვენ სიმინდზე ვლაპარაკობთ, რომ სიმინდის ფასი ორ მანეთს არ უდრის ეს ბალღმაც იცისო. (იხ. „სახალხო ფურცელი" № 704).

მაშ ასე: სიმინდი რომ ორი მანეთი ფასობს ეს ბალღმაც კი იცის! მაგრამ ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: რისთვის ჩვენ დღეს მარტო სიმინდზე უნდა ეილაპარაკოთ? ნუ თუ ბ-ნი ლლონტი ფიქრობს, რომ პურის ხმარება ჩვენში ამ ჟამად ისე უმნიშვნელოა, რომ იმაზე ლაპარაკიც არა ღირს? მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ პური, როგორც საკვები მასალა, მეტად დიდ როლს თამაშობს დღეს ჩვენში, რომ მისი ფასი ჩვენ არ გვაინტერესებდეს. მაშ, რისთვის არ სურს ბ-ნ ლლონტს ლაპარაკი პურის გაძვირების შესახებ? ამის მიზეზი ერთად ერთია: პურის გაძვირების გადაფუჩეჩება ალბათ გაუძნელდა. მაგრამ იგი მოსტყუვდა ანგარიშში: დღეს სიმინდის ფასიც ისე აინტერესებს ყველას, როგორც პურის. გარდა ამისა დამახასიათებელია ჩვენი ავტორის შემდეგი სიტყვები: ბ-ნ მონიძის ფიქრით პურის ფასი ეხლაც მაღალი ყოფილაო. გამოდის თითქო, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი წერილი დაიწერა ყველა სანოვაგეზე საზოგადოდ და პურზე კერძოთ ფასებმა დაბლა დაიწია. მაშ, ბ-ნმა ლლონტმა ერთი გვიჩვენოს, რომ დღეს პურის ფასი (და მერე როგორი პურის თუ იცით!) ნაღალი არ არის? მართლაც რომ ბალღმაც კი იცის დღეს ის, რომ ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში პურის ფასი 3 მანეთიდან 4 და 5 მანეთი შეიქნა, იმ პურის ფასი,

*) ავტორის სიტყვებს ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც წინათ 1-50 და 2 მანეთი იყო და კიდევ უფრო ნაკლები. ასე მაგ., კავკასიის სამეურნეო ხაზოგადოების ცნობებით ფუთი პური ფასობდა *)

	ტფ. გუბერნ.	ქუთ. გუბერნ.
1912 წ.	105—136 კაპ.	129—153 კაპ.
1913 წ.	114—121 „	159—165 „
1915 წ.	171 „	203 „
1916 წ.**)	20—400 „	280—480 „

1916 წლის ცნობები შეიცავენ მხოლოდ აპრილის ცნობებს, მას შემდეგ ფასებმა კიდევ უფრო აიწიეს ზევით, და მასთან ერთად პურის ღირსება სრულებით წახდა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, 1912 და 1916 წლის ფასების შედარება პურზე გვეუბნება, რომ ისინი გაიზარდენ ამ ხნის განმავლობაში 109,5% და 198% თბილისის გუბერნიაში და 117,1% და 213,7% ქუთაისის გუბერნიაში. უკანასკნელი თვეების ცნობები რომ გვქონდეს ხელთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ზრდა გამოიხატებოდა სულ უკანასკნელი რომ ეთქვათ 300 პროც. ეს კი ბ-ნ ღლონტს და კომპანიას სრულებით არ მიაჩნია აწეულ ფასად.

გადავიდეთ ახლა სიმინდზე. ბ-ნ თედო ღლონტის მდგომარეობა მაინც და მაინც აქ არ არის სახარბიელო. ის ამას თითონაც გრძნობს. ეს ჩანს, სხვათა შორის, შემდეგი მისი სიტყვებიდან: „ჩვენ კარგათ ვიცით,—აცხადებს ავტორი,—რომ სიმინდის ფასი აქა-იქ აღწევდა და სჭარბობდა 2 მანეთს, მაგრამ ეს იყო სპეკულიაციის ნაყოფი და ფასის ანორმალური პირობაო“. რა დასკვნა უნდა გამოიყვანოთ ამ სიტყვებიდან? ეს არის ერთად ერთი დასკვნა, სახელდობრ ის, რომ ბ-ნი თედო ღლონტი ადასტურებს იმას, რასაც ჩვენ ვამბობდით და დღესაც ვამბობთ სიმინდის ფასის შესახებ. მაგრამ ბ-ნი თედო ღლონტი ივიწყებს იმას, რასაც იგი რამდენიმე სტრიქონით ზევით ამბობდა, სახელდობრ ეი რას: „რომ სიმინდის ფასი ორ მანეთს არ უდრის, ეს ბალღმაც იცისო“. ერთი მხრით, სიმინდის ფასი „აღწეედა და სჭარბობდა 2 მანეთს“, და მეორე მხრით, „ბალღმაც კი იცის, რომ სიმინდის ფასი ორ მანეთს არ უდრისო“. თედო ღლონტი ამბა რის თედო ღლონტი იქნებოდა, რომ ასეთ აშკარა წინააღმდეგობას არ ჩადიოდეს. ბ-ნ თედო ღლონტის მეტად უხერხული მდგომარეობა ჩვენ დიახაც გვწამს; ეს მდგომარეობა მეტად სამწუხაროა, მეტი რონ არა ვთქვათ, მაგრამ დამნაშავე, გარდა საკუთარი მისი პიროვნებისა, აქ არავინაა. რაც მოგვივა დავითმინეთ, ყველა შენი თავითათ. ჩვენ ფარდა ავხადეთ მის ნამდვილ სულისკვეთებას, და მან კი მოინდომა იმის დამტკიცება, რომ სანოვაგე ჩვენში ამ უკანასკნელ დროს ოდნავაც არ გაძვირებულა. და ეი იგი უსირცხვილოთ გაიძახის, რომ „სიმინდის ფასი ომის დროს არ აღემატებოდა სამ აბაზს, ხოლო მოტანის და სამხედრო ბაჟის დადებით ჩვენში სიმინდი იყიდებოდა 1 მან. და 1 მან 20 კაპ. ნორმალურ მოსაელის დროს ფასი არ აღემატებოდა 70 კაპ. ასე ტკბილ ხმაზე ღიღინებს ბ-ნი ღლონტი.

*). იხ Сельско-хозяйств. Обзор по Закавказью на 1912 и 1913 г. აგრეთვე „Экем. бюл. цен. на сельско-хозяйств. прод. за апрель 1916 г.

**) ცნობები ეკუთვნის აპრილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მივმართოთ ფაქტებს. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ცნობებით ფუთი სიმინდი ფასობდა:

	ტფ. გუბ.	ქუთ. გუბ.
1912 წ.	71— 88 კ.	71— 99 კ.
1913 წ.	79 — 88 „	83— 96 „
1915 წ. *)	107 „	141 „
1916 წ. *)	180—300 „	140—300 „

1916 წლის ცნობები აპრილით თავდება. მას შემდეგ სიმინდის ფასი თანდათან და ჩქარი ნაბიჯით იზრდებოდა; ეს ზრდა ვერ შეაჩერა წრეევანდელმა კარგმა მოსავალმაც კი იმერეთში. ამ ჟამად, მაგ. ბალღმაც კი იცის, რომ იმერეთში სიმინდის ფასი უდრის 2 მ. 50 კ.—3 მ. ქუთაისში სიმინდის ფქვილი იყიდება 4 მანეთათაც. ეს ნიშნავს სიმინდის ფასის ზრდას ამ უკანასკნელ 3-4 წლის განმავლობაში სულ უმცირესი რომ ვთქვათ, 300-400 პროც. მაგრამ ბ-ნ თეოდო ღლონტისათვის ფაქტს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მას გონია, რომ რახან იგი რაღაცნაირ თავისებურ „ეროვნულ თვალსაზრისზე“ დადგა, მას ყველაფერი ეპატიება. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბ-ნ ღლონტის „ეროვნული თვალსაზრისი“ ეს მარტოოდენ ფიქციაა, თავისი თავის დატყუილება და სხვა არაფერი.

ბ-ნ ღლონტს საესებით შეუძლია თქვას თავის თავზე, რომ მან ნახა უძაღლო ქვეყანა და შიგ გაიარა უჯობოთ. ეს უძაღლო ქვეყანა გახლავთ „სახ. ფურცელი“. „ეროვნული თვალსაზრისით“ ვაჭრობენ იქ, როგორც იტყვიან ხოლმე, ნარდათაც და ნაჭრობითაც. ბ-ნმა ღლონტმაც იფიქრა, რომ რახან მან დაიკერა ბუბლზე ასეთი განცხადება, მას თამამათ შეუძლია ვამოაცხადოს თავისი თავი „ეროვნულ ეკონომისტათ“, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას იკვლევს. ჩვენ უკვე ვიცით იმის მაგალითი, თუ სადამდის მიიყვანა ჩვენი ავტორი ასეთმა ცდამ.

ვაზეთი: „თანამედროვე აზრი,“
1916 წლის 11, 13 და 15 დეკემბერი,
№№ 277, 278 და 280.
„მ. ზონიძის“ ფსევდონიმით.

*) ცნობები ეკუთვნის აპრილს

ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ.

ჩვენ ვიმყოფებით უდიდესი კატასტროფის წინაშე. მოსკოველი კაპიტალისტის და კონტრ-რევოლიუციონერი რიაბუშინსკის სიტყვები: „შიმშილის გამხმარი ხელი გამოახრჩობს რევოლიუციას და მის მეგობრესო" (Костлявая рука голода задушит революцию и ея друзей), რომლებიც მან წარმოსთქვა საჯაროთ კაპიტალისტების და მემამულეების კრებაზე, საკმაოთ გამოხატავს იმ საშიშარ მდგომარეობას, რომელშიაც რიაბუშინსკებს შიმშილი ვერას დააკლებს, ამაში ისინი დარწმუნებული არიან. შიმშილი ემუქრება უპირველესად დემოკრატიას, მუშებს, გლეხებს, სალდათებს. ხალხის დამშევაში ბურჟუაზია ხედავს რევოლიუციის დასასრულს და კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას. ამას ბურჟუა-კაპიტალისტები და მემამულეები დღეს აღარ მალავენ. ამიტომ ისინი შეგნებულად ამზადებენ და უწყობენ ხელს ქვეყნის დამშევას. ამიტომ კაპიტალისტები და მემამულეები ამცირებენ წარმოებას, კეტავენ ფაბრიკა-ქარხნებს, ტოვებენ დაუთესელათ თეალუწედენელ მინდვრებს. ამით ისინი ამცირებენ საქონლის რაოდენობას ბაზარზე და იმავე დროს ზღაპრულათ ადიდებენ ფასებს ყველა საქონელზე. კაპიტალისტები ამ შემთხვევაში იმდენ ულმობლობას იჩენენ, რომ ისინი არ ზოგავენ ისეთი ქარხნების და ფაბრიკების დაკეტვასაც კი, რომლებიც ყაომარ იარაღებს ამზადებენ. აი სწორედ აქ ჩნდება იმათი ნამდვილი სულისკვეთება, იმათი პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული, რაზედაც ისინი წამდაუწუმ გაიძახიან. იმათი სამშობლო — ეს იმათი ჯიბეა და სხვა არაფერი. ომის საშუალებით ბურჟუაზია უზომოთ გამდიდრდა, გამდიდრდა იმ ხარისხამდე, რომ დღეს მას იმდენათ მოგება არ აინტერესებს, რამდენათ იმის შენარჩუნება, რაც ომის განმავლობაში შეიძინა; მით უმეტეს, რომ რევოლიუციას შეუძლია ეს სიმდიდრე მას ხელიდან გამოაცალოს. აქედან აიხსნება ბურჟუაზიის შიში რევოლიუციის წინაშე, მისი სურვილი რევოლიუციას ბოლო მოუღოს, ე. ი. დაამარცხოს მუშები, გლეხები, სალდათები და დაიბრუნოს ძველი დრო, როცა ის განუკითხავად ბატონობდა მუშა ხალხზე. ამისთვის საუკეთესო საშუალებათ მას მიაჩნია ხალხის დაშევა, იმ ზომამდე მიყვანა, როცა „შიმშილის გამხმარი ხელი რევოლიუციას გამოახრჩობს". მაგრამ ბურჟუაზია, კაპიტალისტები და მემამულეები ვერ მოესწრებიან ამ დღეს.

რუსეთის პროლეტარიატი იმდენათ ფხიზელია, რომ კაპიტალისტებს და მემამულეებს საშუალებას არ მისცემს ასეთი წყეული განზრახვა სისრულეში მოაყვანოს. პროლეტარიატი, უღარიბესი გლეხობა და სალდათები ახლა აშკარათ ხედავენ, თუ რა წინააღმდეგობა არსებობს ერთი მხრით მშრომელ ხალხსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნახრით კაპიტალისტებსა და მემამულეებს შორის. თუ ეს წინააღმდეგობა წინეთ ბუნდოვანი იყო, თუ იგი წინეთ ხალხისთვის გაუგებარი იყო, დღეს ამას სავსებით ეხდება ფარდა და აშკარავდება იმათი ინტერესების სრული შეურიგებლობა.

პროლეტარიატი, ულარიბესი გლეხობა ებრძვის ფაბრიკა-ქარხნების დაკეტვას, მინდვრებია დაუთესავათ დატოვებას; პროლეტარიატი და გლეხკაცობა კარგათ ხედავს, თუ რა უბედურება მოელის ქვეყანას იმ ტაქტიკისაგან, რომელსაც დღეს ამხარათ მემამულეები და კაპიტალისტები ადგანან. აქ საქმეს ვერ შველის ასეთი ტაქტიკის მარტო სიტყვით დაგმობა, საჭიროა აქტიური მოქმედება კაპიტალისტების წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, ეს უკანასკნელები თავის დამღუპველ ტაქტიკას ორი გზერემოებით ამართლებენ: 1) ვითომც ნათ არ აქვთ ნედლი მასალა წარმოებისთვის, და 2) ვითომც მუშების გადამეტებული მოთხოვნილების მეოხებით წარმოება მათ დღეს მოგების მაგიერ ზარალს აძლევა. გამოდის, რომ კაპიტალისტები ცამდის მართალი არიან, როცა ამცირებენ, ან კეტავენ და აჩერებენ წარმოებას და იმავე დროს მთელ პასუხისმგებლობას მუშებს ახვევენ თავზე. მაგრამ ნამდვილი მათი განზრახვა—ეს რევოლიუციის სახელის გატეხა და მისი დასამარებაა. ისინი სტყუიან და სიყალბეს ჩადიან. საჭიროა ან ტყუილის და სიყალბის გამოაშკარავება. ეს შეუძლია მხოლოდ შეგნებულ მუშებს. და ამიტომაც იყო, რომ შეგნებული მუშები მაშინვე მიხვდენ, თუ რაშიაც იყო საქმე და კაპიტალისტების სიყალბე რომ გამოეაშკარავებინათ წამოაყენეს წარმოებაზე მუშების კონტროლის დაწესება, და სადაც საჭიროა და მოსახერხებელი თვით წარმოების ორგანიზაციაც. ეს მრეწველობაში, მაგრამ კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობას. გლეხების ულარიბესი ნაწილი, რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას შეადგენს, მოკლებულია წარმოების უმთავრეს იარაღს—მიწას, რომელიც კერძო მემამულეების ხელშია და დღეს დაუმუშავებელი რჩება, ვინაიდან მემამულეები დღეს უმეტეს ნაწილათ არც თვითონ ამუშავებენ მიწას და არც გლეხებს აძლევენ დასამუშავებლათ, საჭიროა ეს მიწები ახლავე გადავიდენ გლეხების განკარგულებაში.

ასეთია ერთად ერთი ნამდვილი ღონისძიება, რომელიც დღევანდელ ეკონომიურ კრიზისს,—კრიზისს, გამოწვეულს საქონლის ნაკლებობით თუ სრული უქონლობით, რამდენიმეთ მაინც შეასუსტებს, ვინაიდან ძირითადი მიზეზი ეკონ. კრიზისისა კაპიტალისტების მიერ გამოწვეული ავანტიურა ომია. კაპიტალისტები გვეუბნებიან ჩვენ „შიმშილის გამხმარი ხელებით“ მოსპობას; ნათელია არ კმარა ის, რომ ომში რამდენიმე ათეული მილიონი ახალგაზრდა სიცოცხლე დაიღუპა; ისინი ფიქრობენ კიდევ შიმშილის საშუალებით მუსრი გაავლონ პროლეტარიატს და სოფლის ღარიბ ხალხს. ყოველივე საჭიროა მათთვის რევოლიუციის დასამარცხებლათ და ძველი წყობილების დასაბრუნებლათ, ე. ი. კონტრრევოლიუციის გასამარჯვებლად, ვინაიდან რამდენ მეტ სისხლს დაღვრიან ისინი დემოკრატიისას, იმდენათ უფრო მეტი იმედი ექნებათ დემოკრატიაზე გასამარჯვებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, იმათ სამწუხაროთ, აქ ისინი შეხვდებიან პროლეტარიატის მედგარ წინააღმდეგობას. კაპიტალისტები და მემამულეები ღალატობენ და ღუბავენ ქვეყანას, რომ თავიანთი კერძო კლასობრივი ინტერესები დაიცვან. პროლეტარიატი და გლეხობის ულარიბესი ნაწილი იძულებული ხდებიან ამ ნიადაგზე იმათ ებრძოლონ. ისინი არა თუ თხოულობენ წარმოებაზე კონტროლის დაწესებას, არამედ საქმით ანხორციელებენ ამ კონტროლს და მიდიან კიდევ უფრო შორს: თითონ აწყობენ წარმოებას.

მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს ვერ მოუღებს ბოლოს დღეანდელ ეკონომიურ კრიზისს, რომლის მთავარი მიზეზი დღეანდელი მსოფლიო ომია. ომი ნთქავს სულ უფრო და უფრო მეტ სიმდიდრეს, გარდა ადამიანთა აუარებელ მსხვერპლისა ომის დღიური ბარჯი ამჟამად აღწევს უკვე 50 მილიონ მანეთს. მთელი ეს ხარჯი იკვებება ორი წყაროთი: 1) სესხით და 2) ქაღალდის ფულის გამოშვებით. თუ როგორ იზრდება სახელმწიფოს სესხი, ამას ჩვენ ვხედავთ შემდეგი ცნობებიდან: სახელმწიფოს სესხი უდრიდა 1915 წლის პირველ იანვარს—10 ნახევარ მილიარდ მანეთს, 1916 წელს—19 ნახევარ მილიარდ მან., 1917 წელს—35 მილიარდ მანეთს, ხოლო 1918 წლის იანვრის სესხი მიაღწევს უკვე 60 მილიარდ მანეთს. ასე რომ სახელმწიფოს წლიური შემოსავალი აღარ იკმარებს მარტო ამ სესხის სარგებლის გასასტუმრებლათაც. რაც შეეხება ქაღალდის ფულის გამოშვების ზრდას, იგი ყოველივე საზღვარს გადაცდა: იგი იზრდება წარმოუდგენელის სისწრაფით, და მასთან ერთათ ეცემა ქაღალდის ფულის ღირებულება. ამ მარით სახელმწიფოს ორგვარი კრახი მოელის, თუ მდგომარეობა კიდევ ასე გაგრძელდა: ქაღალდის ფული სრულებით დაკარგავს ღირებულებას, მას გასაველი აღარ ექნება; მეორე მხრით სახელმწიფო ბანკი ველარ შესძლებს ქაღალდის ფულის გამოშვებას, ხაზინა დაცარიელდება და ველარ შესძლებს დღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ასეთ კრახს სახელმწიფო უკვე უახლოვდება, ამას აღარ მალავენ დროებითი მთავრობის წარმომადგენლები, და იმავე დროს მის თავიდან ასაცილებლათ არავითარ რადიკალურ ზომას არ ამარობენ. დროებითი მთავრობა [27]) განაგრძობს იმ დამლუპველ პოლიტიკას ყველაფერში, რომელსაც ადგა დამხობილი მეფის მთავრობა.

ხსნა ყველა ამ უბედურებისაგან მხოლოდ ომის დამთავრებაში უნდა ვეძიოთ.

გაზ. „ბრძოლა"
1917 წ. 27 აგვისტო
№ 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულის პრიზისის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

ჩვენი მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების დამლუპველი ტაქტიკის წყალობით ამიერ-კავკასია მოწყვეტილი დარჩა რუსეთის ცენტრიდან. აქ მოწყობილ იქნა ადგილობრივი ხელისუფლება, მაგრამ იგი არსებობს მხოლოდ სიტყვით, სოლო ნამდვილად კი ჩვენში სრული ანარქიაა გამეფებული. არსებითად ჩვენში ობორონცებმა ა.—კ-ია მოსწყვიტეს არა მარტო ცენტრალურ რუსეთს, არამედ ჩრდილო კავკასიასაც, სადაც ყაზაკების, ჩეჩნებისა და ინგუშების ზედა წრეებმა კადეტების კარნახით კავშირი შეკრეს რევოლიუციასა და მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად კონტრ-რევოლიუციონერი კადეტების წინამძღოლობით ჩეჩნები თავს დაესხნენ გროზნას, გუდერმეს და სხვა სადგურებს, ააოხრეს და დასწვეს ყველაფერი და მოსპეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. ამის გამო რკინის გზით მიმოსვლა ვლადიკავკაზის რკინის გზაზე არა თუ შეფერხდა, არამედ ფაქტიურად შესწყდა.

ჩვენში გაბატონებულმა პარტიებმა, მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა, დონსკოის [28], ყორდანიას [29] და გეგეჭკორის [30] სახით, არა თუ არაფერი გააკეთეს ჩრდილო კავკასიაში კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად— მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის საშუალება ჰქონდათ,—არამედ, პირიქით, ყველა ისინი სისტემატიურ დახმარებას უწევდენ კონტრ-რევოლიუციას ჩრდილო კავკასიაში, უგზავნიდენ კარაულოვს [31]) და მის დამკაშებს იარაღსა და პატრონებს და ამავე დროს კი ხმამაღლა გაჰკვიროდენ რევოლიუციისადმი თავის ერთგულებაზე და სხვა.

ჩვენი ობორონცების ასეთ ტაქტიკას ორგვარი მიზანი ჰქონდა: ერთის მხრით სრულიად ძირი გამოეთხარათ სახალხო კომისართა საბჭოს მნიშვნელობისა და გავლენისათვის, ხოლო, მეორეს მხრით კი, პური მიეღოთ ჩრდილო კავკასიიდან კალედინებისა [32]) და კორნილოვების [33]) ლოკვა-კურთხევით, მაგრამ ამ ტაქტიკამ სრული დამარცხება განიცადა. ა.—კ-იის ობორონცებმა ვერ შესძლეს ვერც სახალხო კომისართა საბჭოს დაცემა და ვერც პურის მიღება. ნაცვლად სახალხო კომისართა საბჭოს ავტორიტეტის დაცემისა, მათ თავისი საკუთარი ავტორიტეტი დაჰკარგეს.

მართლაც და რა შედეგი მოჰყვა ამიერ-კავკასიის კომისარიატის ორ თვეზე მეტ მოღვაწეობას? რომელ დარგში ან რომელ სფეროში გამოიჩინა მან თავისი რევოლიუციონერი შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომ არაფერი ვსთქვათ სოციალისტურ მოღვაწეობაზე? საითაც არ გაიხედავ ყველგან გახრწნა, სრული ანარქია მეფობს. ობორონცები სიტყვით დაგვპირდენ ა. კ-იის კეთილად მოწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას და ნამდვილად კი სავსებით გაანადგურეს იგი. მათი დეზორგანიზატორული და ანარქიული მოღვაწეობის ერთი საუკეთესო დამამტკიცებელია ფულის ის საშინელი კრიზისი, რომელიც დღითი-დღე მწვავდება.

მთელი ამ საშინელი სისტლის ღვრის განმავლობაში ჩვენ განვიცდიდით ბაზრის ზედმეტად გავსებას ქაღალდის ფულებით, ქაღალდის მანეთის ფასის სავსებით დაცემას და ეს მაშინ, როდესაც უჩვეულოდ იზრდებოდა ფასები ყველა სხვა საქონელზე. ყოველივე ამას ჩვენ მივყავდით ფინანსიერ კრახამდე, გაკოტრებამდე. მაგრამ ეხლა ა.კ-სია განსაკუთრებულ რამეს განიცდის: იმ დროს, როდესაც შეუწყვეტლივ იზრდება ფასები ყველა საქონელზე, ე. ი. ფართო მოხმარების საგნებზე, ჩვენ საოცრად განვიცდით ფულის ნიშნების ნაკლებობას, ე. ი. თვით ამ ფასდაკარგული ფულების უქონლობას. ეჭვს გარეშეა, რომ აგ მოვლენას მეტად და მეტად სამწუხარო შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ფული გაცვლა-გამოცვლის იარაღს წარმოადგენს და გასაგებია, რომ მის ნაკლებობას შეუძლია სავსებით დაშალოს საზოგადოებრივი ორგანიზმი.

რით არის გამოწვეული ფულის ეს ნაკლებობა? როგორც ვიცით, ფულის წყაროები—ბანკები განუწყვეტლივ მოძრაობაში არიან. აქ სწარმოებს მუდმივი დაგროვება და გაცემა ფულის ნიშნებისა. რა ხდება ეხლა ჩვენში—ამიერ-კავკასიაში? ადგილობრივი ცენტრისაგან დამოუკიდებელმ ხელისუფლების შედგენის შემდეგ, ფულის ცენტრალურ წყაროდან, ე. ი. სახელმწიფო ბანკიდან თითქმის შეწყდა ფულის ნიშნების მიღება (კრიზისის დასაწყისში მიღებული იქნა მხოლოდ 80 მილიონი მანეთი). ამავე დროს კი ადგილობრივ ფულის წყაროებიდან ფულის ნიშნების გაცემა არ შეიძლებოდა შეწყვეტილიყო, სანამ ასეთი ნიშნები მოიპოვებოდა, ნაგრამ ასეთი გაცემა არ შეიძლებოდა დაუსრულებლად გაგრძელებულიყო; რაკი ფულის ნიშნები არ შემოდიოდა, მათი გაცვლაც უნდა შეწყვეტილიყო და შეწყდა კიდეც. სწორედ ეს გარემოება იწვევს იმ მოვლენას, რომელსაც ფულის კრიზისი ეწოდება.

წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა ა.—კ-იის კომისარიატს ასეთი მოვლენის წარმოშობის შესაძლებლობა? როგორც სჩანს არა, ვინაიდან მას არ მიუღია არავითარი ზომა ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლად, ხოლო მას შემდეგ, რაც ფულის კრიზისი საკმარისად გამწვავდა, ა.—კ-იის კომისარიატი გამოფხიზლდა და ბონების გამოშვების პროექტის შედგენას შეუდგა.

არსებითად ეს ულაზრო ნაბიჯია, ვინაიდან რით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ეს ბონები? ასე რომ ფინანსიური გაკოტრების თავიდან აუცილებლობა აქ წინასწარ უზრუნველყოფილია.

მაგრამ ეს სხვა საკითხია. საქმე იმაშია, რომ ბონების გამოშვების საკითხშიაც ა.—კ-იის კომისარიატმა სრული უილაჯობა გამოიჩინა. მაგალითად: როდესაც კომისარიატი ადგენდა პროექტს ბონების გამოშვების შესახებ და სათანადო სტრათის გამოძებნაში იყო, მას სრულებით არ უფიქრია იმის შესახებ, თუ როგორ და რაზე უნდა დაებეჭდა ისინი. და აი, როდესაც საქმე თვით პროექტის განხორციელებაზე მივიდა, მაშინ კომისარიატს არ აღმოაჩნდა არც სათანათო ქაღალდი, არც სტამბა და არც საღებავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგათ, ის ბაესიც კი, რომელსაც ხელი ჩაჰკიდეს წყალწაღებულმა ა.—კ-იის ოპორონცებმა, მათთვის მიუღწეველი აღმოჩნდა.

მაშ სად არის გამოსავალი?—იკითხავს მკითხველი. ა.—კ-იის კომისარიატმა ისეთი კვანძი დაბლართა, რომლის გახსნა თვით მასაც აღარ შეუძლია. მან შექმნა ანარქია, გააძლიერა და გაამწვავა ეკონომიური გაპარტახება და ფინანსიური კრიზისი. ეხლა მას სურს დასტოვოს სცენა და თავისი ადგილი ა. კ-იის სეიმს[34]) დაუთმოს, რომელსაც მემკვიდრეობათ უტოვებს სრულ ანარქიას და გაპარტახებას. მაგრამ ა.—კ-იის სეიმიც და მის მიერ შექმნილი მთავრობაც ჰაერში გამოკიდებული დარჩება. ა.—კ-იის კომისარიატმა უკვე მოახდინა უკანასკნელი ცდა და გამოსწურა ბანკიდან ყოველივე, რაც კი იქ დარჩენილიყო, მაგრამ რა იქნება შემდეგ? შემდეგში მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი გაპარტახება, კიდევ უფრო მეტი გაძლიერება და გამწვავება ეკონომიური და ფინანსიური კრიზისისა.

ა.—კ-იის მენშევიკების მთელ პოლიტიკას მივყევარო სახალხო საზოგადოებრივი ცხოვრების საბოლოოდ განადგურებამდე და გაპარტახებამდე. თავისი ტყავის შენარჩუნებისათვის ისინი მზათ არიან სამსხვერპლოზე მიიტანონ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ინტერესები. დასკვნა ნათელია: ა.—კ-იის მოსახლეობამ, მუშებმა და გლეხებმა, თვითვე უნდა მოჰკიდონ ხელი საკუთარი ბედის გამოქედას.

გახლეთი „კავკაზსკი რაბოჩი"
1918 წლის 21 იანვარი, № 15.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნავთის მრეწველობა საქართველოში.

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ერთ და იმავე დროს საქართველოს რევოლიუციონერი მთავრობის დადგენილება ნავთის კამპანიის დაწყების შესახებ საქართველოზე და თელავის ეკონომიური განყოფილების დებეზა ნავთის ამოღების პირველ ცდაზე სოფელ ზემოხოდაშენში. ეს ორი ცნობა, მოთავსებული გაზეთის ერთ და იმავე ნომერში („კომუნისტი" № 98, 2 ივლისი) შემთხვევით არ მომხდარა. საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ნამდვილმა საბალხო მთავრობამ, დაინტერესებულმა ხალხის კეთილდღეობით, მუშათა სახელმწიფოს საწარმოო ძალების აღდგენით და ზრდით, გადასწყვიტა ბოლო მოუღოს იმ ქაოსანს და იმ ორჭოფობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნავთის მრეწველობის გარშემო ჩვენში.

მიუხედავათ იმ დიდი გაჭირვებისა, რომელსაც დღეს ჩვენი მშრომელი ხალხი განიცდის, მიუხედავათ იმ ეკონომიური კრიზისისა, რომელიც ჩვენ სულს გვიხუთავს, საბჭოთა ხელისუფლება პირველათ იწყებს ჩვენში ისეთ დიდ საქმეს, რომელსაც ნავთის მრეწველობა წარმოადგენს, ვინაიდან იგი ლრმათ დარწმუნებულია იმაში, რომ მხოლოდ ამ გზით საწარმოო ძალების აღდგენის საშუალებით, შესაძლებელია დაესძლიოთ დღეანდელი ეკონომიური კრიზისი და ეიხსნათ მშრომელი ხალხი გასაჭირისაგან.

ხალხის გასაჭირი დღეს იმდენათ დიდია, რომ საჭიროა პირდაპირ გმირული ზომები, მთელი მშრომელი მასსის ძალების დაჭიმვა, რომ ამ გაჭირვებას თავი დავახწიოთ. საბჭოთა ხელისუფლება მზათაა გადადგას ასეთი დიდი ნაბიჯები, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ მუშები და გლეხები მას გვერდში ამოუდგებიან და მიეშველებიან არა სიტყვით, არამედ საქმით. რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთის ნიშნები ცნობილი იყო, ეს არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ერთ დროს ნავთს კიდევაც იღებდენ მიწიდან (მაგ., შირაქში, სიღნაღის მაზრა), ეს ამბავიც იცოდენ. მაგრამ ვერც ერთმა წინანდელმა მთავრობამ, ვერც წმინდა ბურჟუაზიულმა, ვერც მენშევიკურმა, ვერ შესძლეს ამისთვის თავი გაერთმიათ და საქმე მოეწყოთ, მიუხედავად იმისა, რომ იმათ ამისთვის ბევრათ უფრო ხელსაყრელი პირობები ქონდათ. დღეს კი, როცა როგორც გარედან, ისე შიგნით ხელის შემშლელი პირობებია, როცა ჩვენ არ მოგვეპოვება პური, სურსათი, როცა ჩვენ არ გვაქვს ნავთის დასამუშავებელი მასალა, ხელსაწყო იარაღები და სხვ., საბჭოთა ხელისუფლება მაინც იწყებს უფრო დიდ საქმეს. საბჭოთა ხელისუფლებას კარგათ ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნავთის წარმოების გაჩაღებას იმ ეკონომიური კრიზისის დაძლევის საქმეში, რომელსაც ხალხი განიცდის. მორწყვასთან, ელექტროფიკაციასთან ერთად, ნავთის წარმოება დგას პირველ რიგში. კიდევ მეტი: ნავთის საქმე უნდა დავაყენოთ პირველ ადგილზე. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ ვაკეთებთ ერთნაირ რისკს, შეიძლება ნავთი არ აღმოჩნდეს იმდენი, რომ წარმოება ჩვენთვის სარფიანი შეიქმნეს და ამოდენა შრომამ უნაყოფოდ ჩაიაროს, მაგრამ ჩვენ ვემყარებით მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე, ისტორიულ სტატისტიკურ ცნობებზე და ვამბობთ, რომ ჩვენი შრომა და მეცადინეობა უნაყოფოთ არ ჩაიელის. საბჭდნიეროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მცოდნე პირები, სპეციალისტები, ინჟენერები, როგორც მაგ., ინჟენერები ყიფშიძე, ქურდიანი და სხვები, რომლებიც კომუნისტები არ არიან, ჩვენთან სიამოვნებით მოდიან და სახალხო საქმეს აღფრთოვანებით ეკიდებიან. საბჭოთა ხელისუფლება იზამს ყველაფერს, რათა ასეთი სპეციალისტების ინიციატივას, იმათ მოქმედებას თავისუფალი გზა მიეცეს. ჩვენ ახლა ვიწყებდ ნავთის მრეწველობას, ჩვენ ამ საქმეს ვიწყებთ პატარა ფარგლით და შეეცდებით ის თანდათან გავაფართოოთ. ჩვენ შევსძლებთ ამ საქმით დავაინტერესოთ მუშების და გლეხების ფართო მასები; ჩვენ შეეცდებით გამოვიწვიოთ მათში აღფრთოვანება, და ამას ჩვენ შევსძლებთ, ვინაიდან ამ საქმის გაჩაღება-გაჩენა განოიწვევს იმათ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამნაირათ მიუხედავათ ჩვენი დიდი გაჭირვებისა, ჩვენ უმწეობას მაინც არ ვგრძნობთ. სპეციალისტები, საქმის მცოდნე პირები ერთგულებით და აღფრთოვანებითაც ეგებებიან მრეწველობის აღდგენას და საბჭოთა ხელისუფლებას ხელს ეწვდიან დასახმარებლათ. რაც შეეხება მუშა ხალხს, ის ჩვენთან არის და მზათაა ყოველივე მსხვერპლის გაღებაზე, ოღონდ კი სახალხო საქმე გაკეთდეს და დაგვირგვინდეს. მეორე მხრით, მართალია, ჩვენ ნავთის მრეწველობის გასაჩაღებლათ გვაკლია ხელსაწყობი იარაღები, დახელოვნებული მუშები, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი მეზობელი და ძმური სახელმწიფო—საბჭოთა აზერბეიჯანი—ყველა ამით მეტათ მდიდარია და ეჭვი არაა, რომ ჩვენ საქართველოს მუშებს და გლეხებს ის ძმურს ხელს გამოუწვდის.

ასე და ამგვარათ საბჭოთა საქართველო ნავთის მრეწველობას პირველათ უყრის ჩვენში მკვიდრ საფუძველს. ეს თვით მშრომელი ხალხის საქმეა. ამ მრეწველობის განვითარებაზე და წარმატებაზე დიდათ დამოკიდებულია ახლო მომავალში მუშების და გლეხების კეთილდღეობა. ამიტომ თითოეული მუშა და თითოეული გლეხი უნდა დაინტერესდეს ამ საქმით და შეეცადოს მასში შეიტანოს თავისი წვლილი, სულ ერთია რა სახითაც ეს არ უნდა იყოს. ვეუსურვოთ ამ საქმეს სრული წარმატება.

გაზ. „კომუნისტი"
1921 წ. 6 ივლისი № 101.

ნატურალური გადასახადი და გლეხობა.

ამას წინაზე მოსკოვის გაზეთი „პრავდა„ (№ 203) სწერდა: „პროვინციებიდან მეტათ ნაკლები და მცირე ცნობებს ვლებულობთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების შესახებ ცხოვრებაშიო". თუ ასე ამბობენ რუსეთის პრესის შესახებ, რომელშიაც მუდამ მდიდარ ცნობებს ვკითხულობთ იმაზე, თუ რა ქეთდება როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში ეკონომიური ცხოვრების ირგვლივ, რაღა უნდა ითქვას ჩვენ ღარიბ პრესაზე ამ მხრით, შეგეიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩვენი მდგომარეობა ამ მხრით უნუგეშოა.

დღემდის ჩვენ შეესძელითთ მხოლოდ ის, რომ გამოვეცით რამდენიმე დეკრეტი ნატურალური გადასახადების დაწესების შესახებ პურზე, სიმინდზე, ხორცზე, რძის პროდუქტებზე და სხვა და სხვა და ამ გადასახადების ასაკრეფათ მობილიზაცია ვუყავით რამდენიმე ათეულ და ასეულ ამხანაგებს.

ამ რიგათ დეკრეტები გამოვეცით, ამხანაგები დავგზავნეთ სოფლად, მაგრამ რა ხდება ადგილობრივ, როგორ ითვისებს, ან როგორ გებულობს ამ გადასახადებს გლეხკაცობა, ან როგორ ეხსნიან მას ნატურალურ გადასახადის მნიშვნელობას და სხვა და სხვა, ყველა ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ნატურალური გადასახადი ხომ სრულიად ახალი საქმეა ჩვენში. რუსეთში ამ გადასახადის შემოღება ნიშნავდა დიდ შეღავათს, დიდ გაადვილებას, ვინაიდან მან დაიჭირა გაწერის („რაზვერსტკის") ადგილი, რაც ყოველ მხრით მეტათ მძიმე ტვირთათ აწვა რუსეთის გლეხობას სამოქალაქო ომის ხანაში. ჩვენში კი პირდაპირ ნატურალური გადასახადით ვიწყებთ. ამიტომ მისი ცხოვრებაში გატარების დროს გვმართებს დიდი სიფრთხილე და დიდი დაკვირვება; ჩვენი სიტყვიერი თუ წერილობითი პროპაგანდა არ უნდა იქნეს ერთი წუთით შეჩერებული, ვინაიდან ჩვენი მტრები ამ შემთხვევაა არ გაუშვებენ ისე, რომ თავის შავი მიზნებისათვის არ გამოიყენონ ის, როგორც ანას ქონებია ადგილი სხვათა შორის საზღერის რაიონში (იხ. „კომუნისტი" № 72). ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის გარემოება, რომ ასეთ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, გლეხისათვის საკმარისია სულ უბრალო საბაბი, რომ საღ შეხედულებას აცდეს და სრულებით ბრუნდეს წარმოდგენა შეადგინოს ამა თუ იმ საგანზე.

ამიტომ საჭიროა ცოცხალი და მჭიდრო კავშირი პროვინციასთან იმ ამხანაგების საშუალებით, რომლებიც პროვინციაში მუშაობენ. ამ მხრით მეტათ საინტერესოა ერთი კერძო ხასიათის წერილი, რომელიც მე ამ დღეებში მივიღე გურიიდან და რომელსაც ხელს აწერს ორი პასუხისმგებელი ამხანაგი. მომყავს ეს წერილი აქ სიტყვა სიტყვით ზოგიერთ ადგილების გამოკლებით, რომელთაც საკითხთან არაეითარი კავშირი არა აქვთ:

„პურზე და სიმინდზე დადებულმა გადასახადმა — სწერენ ამხანაგები — დადებითი გავლენა მოახდინა ხალხზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნატურალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადის ეს ნაწილი სასურველათ არის განაწილებული. საუბედურეთ ეს არ ითქმის ნატურ-გადასახადის სხვა დარგზე. გაზ. „კომუნისტის" № 150-ში რომაა მოთავსებული (დეკრეტი შინაურ საქონელზე, ძროხაზე და სხვა) ძროხაზე*) გადასახადის შესახებ: ეს დეკრეტები შეუსაბამოა წვრილ-გლეხურ ქვეყანაში (მისი ზოგიერთი მუხლები მაინც); მაგალითად, ორი ძროხის პატრონი უკვე გადასახადს იხდის; საჭირო კი იყო რომ 2 ძროხა გადასახადისაგან განთავისუფლებული ყოფილიყო დროებით მაინც. ასევეა დეკრეტი თხილზე და ნიგოზზე (კაკალზე). მეორენ ანუ უკეთ რომ ვთქვათ, წვრილი მესაკუთრე გლეხი, რომელსაც მოუვა 6-10 ფუთი (თხილი ან ნიგოზი) იხდის 20 გირ. თხილს ან კაკალს, 76—100 ფუთზე იხდის თითქმის მოსავლის მეათედს, ეს იმ დროს როცა თხილის ბაზარი დაცემულია, ძალიან ცუდი გასაღები აქვს და გლეხს მისი მოკრეფის შემდეგ ხელფასზე მეტი არაფერი რჩებოდა. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ბევრს უკვე სანახევროდ გაყიდული აქვს ის სიმინდის და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნების საყიდლათ. ასევეა გადასახადი ეაშლზე და სხვა ხილეულობაზე. საერთოდ მოსავლის პატარა რაოდენობაზე მაგ., ათი 20 ფუთზე ულდა იქნას სულ მოსპობილი ან შემცირებული... თვით სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭიროა უფრო საშუალო ნორმა, უფრო ზომიერი გადასახადი".

ვიმეორებ ზემოთ მოყვანილი წერილის ავტორები ჩვენი პარტიული ამხანაგებია და პასუხისმგებელი მუშაკები, და ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი გამოხატავენ თავის წერილში გლეხკაცობის ზოგიერთ ჯგუფების სულისკვეთებას. მაგრამ პროვინცია მოწყვეტილია ჩვენგან, ცენტრიდან, შიშველი დეკრეტის მეტი მათთან თითქმის არაფერი მიდის, და ყოველივე ეს სრულიად ახალი მოვლენაა, ან ძველ ბატონყმურ ურთი-ერთობას გვაგონებს. ერთი სიტყვით ის ღრმა აზრი და მნიშვნელობა, რომელიც აქვს ნატურალურ გადასახადს, საბჭოთა სახელმწიფოსათვის თითქმის სავსებით გაუგებარი რჩება.

გურული ამხანაგები, წერილის ავტორები, მართალი არიან იმ მხრივ, რომ სისწორით გამოხატავენ წვრილ და საშუალო მესაკუთრის ფსიქოლოგიას, მის სულისკვეთებას. მაგრამ ინაი უბედურება იმაშია, რომ ისინი შორს არიან თვით ნატურალურ გადასახადის დიადი მნიშვნელობის შეგნებისაგან მუშურ გლეხური სახელმწიფოსთვის, ე. ი. თვით მუშებისა და ცალკე გლეხობისათვის. მუშურ-გლეხურმა სახელმწიფომ ხომ უნდა იარსებოს, ეს სახელმწიფო ხომ უნდა განმტკიცდეს და გამაგრდეს; ამაში ხომ თვით მუშები და გლეხები უნდა იყვნენ უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულნი.

მაგრამ როგორ შეგვიძლია ამას მივაღწიოთ?

ქალაქის მუშები მშიერი და ტიტვლები არიან; ამიტომ ფაბრიკები და ქარხნები ვერ აგვიმუშავებია, და გლეხკაცობისათვის საჭირო საგნები ვერ შეგვიქმნია, ვერ დაგვიმზადებია. ამხანაგებმა უნდა იცოდენ, რომ ჩვენ მუშურ გლეხურ სახელმწიფოს არავითარი მარაგი, არავითარი ფონდი მუშებისა და წითელ არმიის შესანახად არ აქვს, თუ ეს ჩვენ ვერ შეკქმენით, თუ ჩვენ არ

*) ლაპარაკია ძროხის (და ცხვრის) რძის პროდუქტებზე დადებულ ნატურ. გადასახადის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქონიეთ სათესი ფონდი, ვერც მუშებს დაეარჩენთ და ვერც წითელ არმიას შევინახავთ. უამისოთ კი ვერც გლეხს მივაწვდით მისთვის საჭირო და აუცილებელ საგანს, ლურსმანს, ცელს, თოხს და სხვ. მაშასადამე, ასეთი მარაგის ანუ ფონდის შექმნა აუცილებელია. მაგრამ როგორ შეგვიძლია ამ მარაგის, ამ ფონდის შექმნა. თავის თავად იგულისხმება, რომ ერთად ერთი გზა, ერთად ერთი საშუალება ამ შემთხვევაში არის ნატურალური გადასახადის დადება სოფლის ნაწარმოებზე: პურზე, ხორცზე, ყველზე, ერბოზე, კაკალზე და სხვა, და სხვა. სიმართლე უნდა ვთქვათ: ამ უკანასკნელი წყეული იმპერიალისტური ომის დროს ერთი მხრით და შემდეგ რევოლიუციის ხანაში მეორე მხრივ, ხალხი ნივთიერათ გალატაკდა და დაეცა. მაგრამ თუ ერთმანეთს შეეადარებთ ჩვენში ქალაქის მუშებს ერთი მხრივ და გლეხებს მეორე მხრივ, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ გლეხკაცობამ შედარებით უფრო მოიგო: მან მიიღო მიწა, რომელიც მას სარჩოს აძლევს და შედარებით ქალაქის მუშასთან ნაკლებით განიცდის შიმშილს და სიცივეს. ამიტომაც სამართლიანობა მოითხოვს, რომ მან ამ შემთხვევაში ცოტა რამ უნდა დასთმოს ქალაქის მუშების და აგრეთვე წითელი ჯარის სასარგებლოდ, რომელიც მისი დამცველია.

მეორე მხრივ, გურული ამხანაგები ამბობენ, რომ დაწესებული ნორმა დიდია, საჭიროა უფრო ზომიერი ნორმაო და გვიჩვენებენ მაგალითებს. ორი ძროხის პატრონზე შეუძლებელია გადასახადის დაწესებაო. მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ გადასახადიც არის და გადასახადიც: თუ რომ ორი ძროხის პატრონი წელიწადში 4 გირ. ყველს ან მის სამაგიეროს სხვა რასმეს გადიხდის, ეს მაინც და მაინც დიდათ შესაწუხებელი არ უნდა დარჩეს. ამაში უნდა დაგვეთანხმონ ამხანაგები. ასევეა სხვა შემთხვევაშიაც. 6-10 ფუთ თხილზე ან კაკალზე სოფლის მეურნე იხდის 20 გირ. ე. ი. 100 გირვანქაზე დაახლოვებით 7-8 გირ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მძიმე ტვირთი არაა. რა თქმა უნდა კარგი იქნებოდა სრულებით არავითარი გადასახადი არ იყოს. და სწორეთ აქეთკენაა მიმართული მთელი ჩვენი მეცადინეობა. მაგრამ ჯერ ეს არ შეიძლება, ჯერ მუშურ-გლეხური სახელმწიფო დიდ გაჭირვებას განიცდის და ამ გაჭირვებაში ჩვენმა გლეხებმაც უნდა გაიზიარონ თავის თავზე საერთო გასაჭირი. აქ არაფერი სასირცხო და გასაწითლებელი ჩვენთვის არაა. პირიქით, სირცხვილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩვენი ისტორიული მოვალეობის შესრულება. წინეთაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ყველა ამ გადასახადებს დროებითი ხასიათი აქვთ, რომ თვით გადასახადები შეძლების კვალობაზე ედება, რომ ლარიბი და შეუძლო იქიდან სრულებით განთავისუფლებულია. საჭიროა მხოლოდ შეგნება, საჭიროა ამ გადასახადების აზრის და მნიშვნელობის გაგება და ამის ახსნა გლეხობისათვის.

მაშ, არავითარი ყოყმანი, არავითარი ეჭვი ნის სამართლიანობაში. სისწორე და სამართლიანობა მის ცხოვრებაში გატარების დროს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ყველა ლარიბები, ყველა წვრილი და საშუალო გლეხკაცობის მთელი თანაგრძნობა სიმპატია ჩვენ მხარეზე იქნება.

გაზ. „კომუნისტი"
1921 წ. 6 ოქტომბერი, № 178.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატყეო მეურნეობა ჩვენში.

რა არის ტყე, რას წარმოადგენს ის სახალხო მეურნეობისათვის, რა მნიშვნელობა აქვს მას სახალხო ჯანმრთელობისათვის და სხვა მრავალი ასეთი საკითხები პრაქტიკულად მხოლოდ ახლა დგებიან ჩვენ წინაშე და პირველად ელოდებიან ჩვენგან გარკვეულ პასუხს და ზომების მიღებას.

როცა, დაახლოვებით ამ წლინახევრის წინეთ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დაარსდა, დიდძალი ტყეები ჩვენში უკვე სანახევროდ გაჩეხილი და განადგურებული იყო.

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ტყეების გაჩეხამ პირდაპირ მტაცებლობითი ხასიათი მიიღო. ის ულრანი ან ხელუხლებელი ტყეები, რომლებითაც ასე მდიდარი იყო საქართველო წინეთ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს უკვე აღარ არსებობდენ.

მეორე მხრით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებშიაც ტყეების დაცვა მოსპობისაგან არა ხელსაყრელ პირობებში იქნა ჩაყენებული. უწინარეს ყოვლისა სატყეო მმართველობის ორგანოებს, რომლებიც ახალმა ხელისუფლებამ მიიღო როგორც მეწკვიდრეობა, თავისი გამგეებით და ტყის მცველებით, ხალხი პირდაპირ უნდობლობას უცხადებდა და ალაგ-ალაგ მათ იგი არ სცნობდა და აძევებდა კიდეც. იმავე დროს ტყეებს ერთბაშად შეესიენ გასაჩეხად სხვადასხვა მიზნით ათასნაირი ორგანიზაციები, რომლებიც უეცრივ სოკოსავით გაშრავლდენ. ამგვარად ტყეები თითქო უპატრონოდ დარჩენ მიტოვებული, და ვისაც უნდოდა ჩეხდა და ანადგურებდა მათ. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ტყის დაცვის საქმე ვერ წაიდოდა სასურველად. ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ ტყეები ნადგურდებიან და ისპობიან, რაც უთუოდ დიდ კატასტროფად გადაიქცეოდა, მაგრამ ერთ ხანს ჩვენ პირდაპირ ყმლური ვიყავით და შეიძლება დღესაც ვართ ეს მდგომარეობა არსებითად შეესცვალოთ.

ნათქვამია, სინამდვილეს პირდაპირ უნდა შეხედო თვალებშიო. ამ შემთხვევაში ჩვენ სინამდვილეს არ ვმალავთ.

ტყეების მდგომარეობა დღეს ჩვენში საშიშარია, და თუ ახლავე არ იქნება მიღებული უსასტიკესი ზომები ტყის დასაცავად, ჩვენ უტყეოდ დარჩენა მოგველის სულ მოკლე მომავალში. ხოლო თუ რა უბედურებას შეიცავს ჩვენი მთაგორიან და დაქანებულ ადგილებისათვის ტყის მოსპობა, ამის მაგალითებს ჩვენ დღეს უკვე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ თავისივე თვალებით არა თუ დიდი, არამედ პატარა წვიმების შემდეგაც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის საჭირო ანუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული ტყეების დასაცავათ? აი ერთი მთავარი საზრუნავი საგანი დღეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ეს საკითხი გულისხმობს არა მარტო არსებულ ტყეების შენახვას და იმათ რაციონალურად დახარჯვას, არამედ ტყეების მოშენებასაც იქ, სადაც ისინი ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში გაჩეხილ და განადგურებულ იქნენ. რა არის ყველა ამისათვის საჭირო?

ამას წინათ პროფ. ქურდიანს, რომელიც ამ დარგში მუშაობს, ფრიად საყურადღებო წერილები მოუთავსებია გაზ. „სოფლის მუშა„-ში შემდეგი სათაურით: „ჩვენი ტყე და სოფლის მეურნეობა"*). პატივცემული პროფესორი გადმოგვცემს მდაბიური ყველასათვის ადვილი გასაგები ენით ტყის მეურნეობის მნიშვნელობას, უხსნის მკითხველებს, თუ რა ვნებს და სპობს ტყეს და რა ზომები უნდა ვიხმაროთ, რომ ტყეების განადგურება შევაჩეროთ. ჩვენ არ ვიცით, მიახწიეს თუ არა ამ წერილებმა ხალხამდის, გლეხკაცობამდის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ არა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ პროფ. ქურდიანის წერილები ცალკე წიგნაკად უნდა იქნეს გამოცემული, რაც შეიძლება საჩქაროდ ხალხში გასავრცელებლად. ეს იმიტომ, რომ ტყის დაცვის საქმეში ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დაეინტერესოთ ჩვენი გლეხკაცობა. გლეხკაცობას უმეტეს შემთხვევაში არ ესმის ტყის მნიშვნელობა, ამიტომ იგი ასე შეუბრალებლად და დაუზოგავად ეკცეა მას. ეს სრულებით გასაკვირალი არაა, ვინაიდან წინათაც და ეხლაც მას ხშოლოდ უკრძალავენ ტყის გაჩეხვას და იმავე დროს კი იგი აშკარად ხედავა, რომ ტყეს მაინც ჩეხავენ, ეს ერთი და მეორეც მის თვალწინ აუარებელი ბოროტმოქმედება ხდება ტყის გარშემო. მაგრამ გლეხკაცობის დაინტერესება ტყით არც ისე ძნელი საქმეა. ახსნა გლეხკაცობისათვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მისთვის ტყეს, და იმავე დროს, თუ რა უბედურება იქნება მისთვისვე ტყის მოსპობა, ყოველივე ამის შეგნება დღეს გლეხკაცისათვის შესაძლებელია. პირადად ამ ზაფხულს ტყეების დათვალიერების დროს არა ერთხელ ნქონია შემთხვევა მესაუბრა გლეხებთან ტყეების მნიშვნელობაზე, და მე დიდი შრომა არ მეჭირდებოდა დამერწმუნებია ისინი იმაში, რომ ტყეების მოსპობა მათთვის უდიდესი უბედურება იქნებოდა. და ესენი იყვნენ შედარებით ჩვენი გლეხკაცობის უფრო შეუგნებელი ნაწილი. ტყე ნადგურდება და ისპობა უმეტეს ნაწილად ორი გარეშოებით: 1) პირუტყვის შეშეებით ტყეში საძოვრად, და 2) ტყეების გაჩეხვით საყანე და სათიბი მიწების გაფართოების მიზნით. ჩვენ ვიცით, რომ პირველი გარემოება უდიდესი ბოროტებაა. ტყე მუდამ უნდა ახლდებოდეს ახალი შოზარდი მცენარეებით, ხეებით, რომლებმაც დაბერებული და გაფუჭებული ხეების ადგილი უნდა დაიჭირონ. თუ ეს არ მოხდება, ტყე თავის თავად მოისპობა, მაგრამ ამის საშუალება არ იქნება, თუ საქონელი ტყეში საძოვრად შეუშვეთ, ვინაიდან ეს უკანასკნელი ანადგურებს და ახდენს სწორედ ახლად ამოსულ მცენარეებს, ხეებს, რომლებმაც დაბერებულ ხეების ადგილი უნდა დაიჭირონ. მეორე მხრით, ისიც მართალია, რომ ზოგ შემთხვევაში გლეხკაცობას მეტი გზა არა აქვს, თუ ტყეში არ მოაძოვა საქონელი. მაგრამ თუ სასწორის ერთ მხარეზე

*) იხ. „სოფლის ხმა" №№ 27, 28, 29, 30 და 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდებთ ტყის მნიშვნელობას და მეორეზე პირუტყვის, ტყე უთუოდ გადასწონის, მით უფრო, რომ საქონლის შენახვა ისედაც შეიძლება. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია, რომ საძოვრად მიჩნეულ იქნას ტყის განსაზღვრული რაიონი. სხვა გამოსავალი არაა; დანარჩენ ტყეებში სასტიკად უნდა აიკრძალოს საქონლის ძოვება.

რაც შეეხება ტყეების გაკაფვას და საყანე და სათიბ-მინდვრებად გადაქცევას, ამ საკითხს ორნაირი მხარე აქვს. დიდი ნაწილი ჩვენი ტყეებისა გაშენებულია მთა-გორებზე, ფერდობებზე და დაქანებულ ადგილებზე; გარდა ამისა გვაქვს ტყეები ვაკე და ჭაობ ადგილებზე. პირველი კატეგორიის ტყეების გაჩეხა ყანებად გადაქცევის მიზნით ყოველად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ასეთ ადგილებზე ყანების გაჩენა, ეს მხოლოდ თავის თავის დატყუვილებაა, შეიძლება პირველ ორ წელიწადს ცალკე ასეთმა მიწამ გლეხს მიცეს მცირეოდენი, სრულებით უშნიშვნელო მოსავალი, ხოლო შემდგ კი ასეთი ადგილები არავითარ მოსავალს არ გამოიღებენ, ისინი დაისერებიან, ნიაღვრებისაგან გაირეცხებიან და გაუვალ ადგილებად გადიქცევიან. ამავე დროს წვიმების დროს აქედან წამოვლენ ისეთი ნიაღვრები, რომ სულ წალეკავენ თავის გზაზე ყველაფერს. ამ უკანასკნელ დროს გახშირებულ ჯერ არ ნახულ წყალდიდობების შემდეგ ყველაფერი ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამაზე მეტია ლაპარაკი. მიაქციეთ ყურადღება უკანასკნელ წყალდიდობებს გურიაში, სამეგრელოში, რაჭაში და სხვ.

ნუთუ ამ გარემოებამ ჩვენი გლეხკაცობა არ უნდა დააფიქროს? ჩვეულებრივად ასეთი ტყეების განადგურებით მდინარეები ლეგბულობენ, წყაროები შრებიან და ბევრ ადგილას დიდი საფრთხე მოელის ჩვენ ძვირფასს მინერალურ წყლებს ბორჯომში, აბასთუმანში და სხვაგან, თუ ახლავე სასტიკი ზომები არ იქნა მიღებული იმათ დასაცავად. ერთი სიტყვით, მთა-გორიან და ფერდობ ადგილებზე ტყეების გაჩეხა საყანე თუ სათიბ მიწებად გადასაქცევად არა თუ ყოველად უაზრო და მიხანშეუწონელია, არამედ უდიდესი დანაშაულია არა მარტო დღევანდელ, არამედ კიდევ უფრო მომავალ თაობათა წინაშე.

სულ სხვაა ვაკე და ჭაობიან ადგილებში მდებარე ტყეები.

უმეტეს შემთხვევაში ასეთი ტყეების სისტემატიური გეგმით გაჩეხა ან გაკაფვა არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელი არის. ასეთ ტყეებს არ აქვს დაცვითი ხასიათი; იმათი გაჭრა წყალდიდობას და ნიაღვარს არ გამოიწვევს ისე როგორც დაქანებულ ადგილებში. გარდა ამისა ეს გამოიწვევს ჭაობების გაშრობას, რაც ბევრნაირად სასარგებლოა. აი როგორ დგას საკითხი.

უპირველეს ყოვლისა აუცილებლად საჭიროა ხალხში საღი და სწორი შეხედულების გავრცელება ტყეების შესახებ; საჭიროა, რომ ხალხს შეეგნებინოთ ტყეების მნიშვნელობა და ამნაირად დავინტერესოთ ის ტყის დაცვის საქმეში; საჭიროა, რომ თითოეულ თემში ან საზოგადოებაში შესდგეს კომისიები ამ მიზნით, როგორც ეს უკვე არსებობს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში, საჭიროა, რომ გამოიცეს პოპულიარული წიგნაკები ტყის მოვლა-პატრონობის შესახებ, საჭიროა სიტყვიერი პროპაგანდა ყველა ამ აზრების განსაკუთრებით გლეხკაცობაში.

ეს საქმის ერთი მხარეა. ამისათვის საჭიროა, რა თქმა უნდა ცოტად თუ ბევრად საკმარისი დრო. მაგრამ საქმის გარემოება ისეთია, რომ ის დაყოვნებას არ ითმენს. საჭიროა მთავრობამ ახლავე მიიღოს თავის მხრივ საჭირო ზომები ტყეების დასაცავად, უწინარეს ყოვლისა უნდა შემუშავებულ იქნას შესაფერი ზომები, რომლებიც სასტიკად უნდა გატარდეს ცხოვრებაში დაუყოვნებლივ. მიწათმოქმედების კომისარიატმა უკვე შეიმუშაა ასეთი ზომები და ისინი ჩქარა იქნებიან გამოქვეყნებული. ამავე დროს საჭიროა ტყის ადმინისტრაციის სათანადო დონეზე დაყენება. საჭიროა მისი გაწმენდა უვარგისი და მავნე ელემენტებისაგან.

დასასრულ, საჭიროა რომ ორგანიზაციებმა შეიგნონ, რომ გარეშე იმ ფარგლებისა და იმ ინსტრუქციებისა, რომლებიც არსებობენ ან შემდეგში იქნებიან შემოღებულნი, არავის არ მიეცემა ტყის გაჩეხის უფლება. არავითარი გამონაკლისი, არავითარი უპირატესობა ამ შემთხვევაში არავის არ მიენიჭება. ეს კარგად უნდა შეიგნოს ყველამ.

მხოლოდ ასეთ პირობებში ჩვენ დაეიფარავთ ტყეებს განადგურება-მოსპობისაგან და შევასრულებთ თავის მოვალეობას ქვეყნის და მშრომელი ხალხის წინაშე.

გაზეთი „კომუნისტი",
1922 წლის 26 ნოემბერი, № 220.

საქართველოს კომუნისტური პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. მარხარაძე

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ პოლიტიკის ახალი კურსი.

გამოცემა ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის

თბილისი

1922 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი.

„ჩვენ შეგვიძლია დაუშვათ თავისუფალი, ადგილობრივი გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ამავე დროს კი არ დავანგრიოთ, არამედ გავამაგროთ პროლეტარიატის პოლიტიკური ხელისუფლება".

ნ. ლენინის სიტყვიდან მე-X ყრილობაზე.

I

რ. კ. პ. მე-X ყრილობიდან[1] დაწყებული საკითხი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ ირჩევა პრესაში, ყრილობებზე, კონფერენციებზე, კრებებზე და სხვ. საქმე იმაშია, რომ 1921 წ. მარტიდან ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის კურსი შეიცვალა ძალიან საგრძნობლად. რაში გამოიხატება ეს ცვლილება? უპირველესად ყოველისა პურის სახელმწიფო მონოპოლიისა და გაწერის ნაცვლად ნატურალურ გადასახადის დაწესებაში პურზე და მასზე სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებაში, შემდეგ წვრილი კერძო ვაჭრობის აკრძალვის გაუქმებასა და წვრილ და საშუალო მრეწველობის დაშვებაში, ამას გარდა, კონფისკაციის და რეკვიზიციის შემცირებასა და ხანდახან მის პრაქტიკაზე ხელის აღებაში და გადასახადების დაწესებაში მდიდრებზე, მოსახლეობის შეძლებულ ნაწილზე, იმაზე, ვინც ვაჭრობა-მრეწველობას და სხვ. მისდევს; და ბოლოს კი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ზოგიერთ ნაწილის დენაციონალიზაციაში, აგრეთვე იმ ქარხნებისა და ფაბრიკების დენაციონალიზაციაშიც, რომლებსაც არ აქვს განსაკუთრებული დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და მათი იჯარით გადაცემაში მუშათა ამხანაგობების, კოოპერატივებისა და კერძო პირთათვის, მხოლოდ წარმოების მსხვილ და მნიშვნელოვან დარგების, ყველა ნადნების და მაღაროების, ყველა რკინის გზების, ხმელეთის და წყლის ტრანსპორტის და სხვ. პროლეტარული სახელმწიფოს ხელში დატოვებით; აი რაში გამოიხატება მოკლეთ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკის კურსის შეცვლა რ. კ. პ. მე-X ყრილობის შემდეგ. გასაგებია, რომ ამ კურსს ერთბაშად ვერ შეითვისებდენ პარტიის ყველა წევრები, რომელნიც მუშაობდენ და მოღვაწეობდენ 3 ნახევარ წლ. განმავლობაში სულ სხვა პირობებში, შეუწყვეტელ სამოქალაქო ომის პირობებში, ერთის მხრით და ბურჟუაზიასთან, მენამულეებთან, კაპიტალისტებთან და ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან დაუზოგველ ბრძოლაში, რომელნიც უსინდისოდ და ბოროტად საბოტაჟს უცხადებდენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, მეორეს მხრით. ბევრს, ჩვენი პარტიის არა უბრალო წევრებსაც ეგონა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აქ ხდება რაღაც სრულებით ახალი, რომელიც ეწინააღმდეგება არა მარტო კომუნიზმის პრინციპებს, არამედ საბჭოთა ხელისუფლებასაც, რომ ჩვენ თავ-ქუდ მოგლეჯილი მივდივართ პირდაპირ კაპიტალიზმისაკენ და იარაღს ვყრით ბურჟუაზიის წინაშე, რომელიც ჩვენ თვითონ ჩამოვაგდეთ. ამ ამხანაგების შეცდომის ძირითადი მიზეზი თვით ამხ. ლენინმა აღნიშნა, რომელიც ამბობს: „შეცდომა უმთავრესად იქიდან წარმოდგება, რომ არ უკვირდებიან გადასვლის არსებით მხარეს, არ ეკითხებიან თავიანთ თავს, რისაგან რისაკენ მივყევართ ამ გადასვლას. წარმოდგენილი აქვთ საქმე იმ რიგად, თითქოს გადასვლა იყოს საერთოდ კომუნიზმიდან საერთოდ ბურჟუაზიულობისაკენ". გამოდის ისე, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში უკვე განახორციელა სოციალიზმი და კომუნისტური საფუძვლები, სასურსათო გადასახადის შემოღების შემდეგ კი ხდება ყველა ამის ლიკვიდაცია და ეაჭრობის და მრეწველობის თავისუფლების აღდგენა, ერთი სიტყვით კაპიტალიზმის და ბურჟუაზიის ხელახლა აღდგენა.

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენი მტრები, უმთავრესად მენშევიკები და ესერები, ყოველნაირად ცდილობენ გამოიყენონ ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ მუშების თვალში, როგორც ბოლშევიზმს, ისე საბჭოთა ხელისუფლებას.

მართლაც, ბევრს მუშებს ცუდათ ესმით ჩვენი ეხლანდელი ეკონომიური პოლიტიკა: ბევრს იმათთაგანს მართლა ჰგონია, რომ ეს არის ჩვენი პროგრამის უარისყოფა და საბჭოთა ხელისუფლების ღალატი. ჩვენ, პირიქით, ვფიქრობთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნილ პირობებში ნახლოდ ასეთი პოლიტიკა არის სწორი და ერთად-ერთი შესაძლებელი კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ გადასასვლელად.

II.

უპირველესად ყოვლისა იბადება საკითხი: რა აზრით უწოდებთ ჩვენ ახალ კურსს იმ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც ეხლა ცუდათ თუ კარგათ ტარდება საბჭოთა ხელისუფლების ბიერ ჩვენს რესპუბლიკებში. მეორეს მხრით ჩვენ აუცილებლათ ნოკლედ მაინც უნდა დავახასიათოთ ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც არსებობდა საბჭოთა რესპუბლიკებში რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-X ყრილობამდის. ჩვენ ვიცით, რომ 1917 წ. ოქტომბერში პროლეტარიატის მიერ საბელმწიფოებრივი ხელისუფლების დაპყრობა სრულებით არ მოასწავებდა კაპიტალიზმის დალუპვას და სოციალიზმის დამყარებას. საბჭოთა მთავრობა არავის არაფერთან საბუთს არ აძლევდა, რომ ვისმეს ასეთი დასკვნა გამოეყვანა. ამხ. ლენინი თავის წერილებში და სტატიებში, რომელნიც მან დასწერა, როგორც ოქტომბრის წინ, ისე ამ რევოლიუციის დასაწყისში, ძალიან ნათლად და გარკვეულად აღნიშნავდა, რომ სოციალიზმისაკენ გადასვლა მოხდება ეკონომიურ ღონისძიებათა მთელი რიგის შემდეგ, რისთვისაც საჭირო იქნება ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივი დრო იმის და მიხედვით, თუ რამდენათ ადრე მოხდება დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლიუცია. გამოდიოდა რა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულებებისაგან და ანგარიშს უწევდა რა აგრეთვე 1871 პარიზის კომუნის გამოცდილებას, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომელიც მიმართული იყო, ერთის მხრით კაპიტალიზმის მოსპობისაკენ, მეორეს მხრით, სოციალიზმის დაწყებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად ნაციონალიზაცია უყო ყველა მთავარ იარაღებს და წარმოების საშუალებებს, როგორც მაგალითად მიწას, ნადნებს, მაღაროებს, რკინის გზებს, ბანკებს, დიდ ნნიშვნელოვან ფაბრიკებს და ქარხნებს; მაგრამ, უნდა ითქვას, ბევრი ფაბრიკები იქნა დატოვებული კერძო პირების ხელში; დატოვებულ იქნა ჯერჯერობით თავისუფალი კერძო ვაჭრობაც. მყარდება მხოლოდ საზოგადო სახალხო აღრიცხვა და კონტროლი წარმოებაზე და პროდუქტების მოხმარებაზე.

ამგვარად ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სრულიად არ შემოუღია დეკრეტების საშუალებით არც სოციალიზმი, არც კომუნიზმი, იგი ფიქრობდა, რომ სოციალიზმისაკენ გადასვლა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ თანდათანობით გასახელმწიფოებრიეობის, ე. ი. სოციალისტური წარმოების ბუნებრივი ზრდისა და გაფართოების საშუალებით, იმის მიხედვით, თუ როგორ გაიზრდება მისი ძალა, ძლიერება და ორგანიზაციულად შეკავშირება, რომელიც თანდათან ჩაიგდებს ხელში მთელ მრეწველობას, როგორც ქალაქისას, ისე სოფლისასაც. აქ წინდაწინ გათვალისწინებული და გამოანგარიშებული იყო ყველაფერი: რუსეთის ეკონომიურად ჩამორჩენილობაც და მასში გავრცელებული წვრილი მეურნეობაც წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიონით, სოციალიზმის ამ უდიდესი ნტრით. ეს იყო საკმაოდ ჩამოყალიბებული გეგმა ანუ გარდამავალი ხანის მთელი ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც უნდა მივყვანეთ სოციალისტურ წყობილებამდე. მაგრამ მაშინ ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელი შეიქნა იმიტომ, რომ მალე ბურჟუაზიამ მემამულეებთან და გენერლებთან ერთად დაიწყო სიტემატიურად კონტრ-რევოლიუციონერ აჯანყებების მოწყობა. იმავე დროს ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ (მოხელეებმა, ექიმებმა, პედაგოგებმა, და სხვ.) გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას ბოიკოტი ან და პირდაპირ საბოტაჟს უცხადებდა.

რა უნდა ექნა ასეთ პირობებში საბჭოთა ხელისუფლებას? განა შესაძლებელი იყო ასეთ პირობებში დასაბულ ეკონომიურ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებაზე ფიქრი, მით უფრო ამა თუ იმ მშვიდობიან აღმშენებლობაზე კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის მეკუთხორებთან ერთად? მუშათა კლასს, რომელსაც ეპყრა ხელში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, ნებსით თუ უნებლიეთ უნდა დაეწყო უსასტიკესი და ბანგრძლივი ბრძოლა ყველა ამ საძაგლებთან. რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატი, მშვიდობიან აღმშენებლობის და შემოქმედებითი მუშაობის მაგივრ, იძულებული შეიქნა მახვილი ეშიშვლა, რომ ფიზიკურად გაენადგურებია და მოეპო ექსპლოატატორთა კლასები: კაპიტალისტები და მემამულეები მათი მაჩანჩალებით და მომხრეებით. სამოქალაქო ომის განმავლობაში, რომელიც სამი წელიწადი გრძელდებოდა, ფართე ხმარებაში იყო რეკვიზიციები, კონფისკაციები და ნაციონალიზაციები, თავისუფალი ვაჭრობა სავსებით იქნა მოსპობილი, ყველა მაღაზიები და დუქნები დაიკეტა. იგივე სისტემა ტარდებოდა სოფელში. რომ რამდენადმე შესაძლებელი ყოფილიყო სახელმწიფოს უდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს საჭიროების დაკმაყოფილება, რომ შეენახათ დიდი არმია და სამხედრო მრეწველობა, რომელიც ამ არმიას ემსახურებოდა, საჭირო იყო გლეხებისაგან, რითაც გნებავთ რეკვიზიციის თუ გაწერის საშუალებით, არა მარტო პურის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზედმეტი ნაწილის აღება, არამედ ამ პროდუქტების იმ ნაწილისაც, რომელიც საჭირო იყო თვით გლეხების ოჯახების გამოსაკვებად.

თავის-თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ფიზიკურად ყოველად შეუძლებელია რაიმე გარკვეული ეკონომიური პოლიტიკის გატარება მოხერხდეს. ეს იყო სავსებით თავისებური სისტემა, რომელმაც შემდეგში მიიღო „სამხედრო კომუნიზმის" სახელწოდება. „ის, როგორც ამბობს ამხ. ლენინი, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პროლეტარიატის სამეურნეო ამოცანების ხელსაყრელად გადამჭრელ პოლიტიკად. ის იყო დროებითი ზომა". მაგრამ ეს დროებითი ზომა, რომელიც სამი წლის განმავლობაში ტარდებოდა, ბევრს ეგონა საბჭოთა ხელისუფლების ერთად-ერთ შესაძლებელ ეკონომიურ პოლიტიკად კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის ხანაში, ყოველ პირობებში და ყოველგან. მაგრამ სამხედრო კომუნიზმმა იხსნა საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში და უზრუნველყო პროლეტარიატის პოლიტიკური გამარჯვება,—ეს არის მისი უდიდესი და დაუფასებელი დამსახურება.

III.

მაგრამ თუ ასეთი დიდი შედეგები მოყვა სამხედრო კომუნიზმის პრაქტიკას პოლიტიკურ სფეროში, სამაგიეროდ მან ეკონომიურად მხოლოდ გააუარესა მდგომარეობა. სათბობი მასალის, ნედლეულობის და სხვა პროდუქტების ძველი მარაგი თანდათან დნებოდა და 1920 წლის დასასრულს სრულებით არ იყო ისინი, ახალ წარმოებას კი არ შეეძლო სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ეკონომიური, სასურსათო და სხვ. კრიზისი უფრო გაამწვავა მოუსავლობამ, საბალახოების გახმობამ და პირუტყვის დახოცვამ 1920 წელს; ამას არ შეეძლო არ გაეუარესებია გლეხობის ისედაც მძიმე მდგომარეობა. მდგომარეობა უფრო და უფრო კატასტროფიული ხდებოდა: მსხვილ განსაზოგადოებრივებულ წრეწველობის აღდგენის საქმე ან ფერხდებოდა სათბობი მასალის და სურსათის უქონლობის გამო, ან და კიდევ უფრო ღარესდებოდა; დათესილ ადგილების სიერცე აგრეთვე მცირდებოდა და შესაძლებელი იყო მისი უფრო შემცირება ემთავრესად იმის გამო, რომ შექმნილ პირობებში გლეხებისათვის არ იყო სტიმული, რათა დათესათ იმახე მეტი ადგილები, რაც მათ საზრდოდ იყო საჭირო.

საჭირო იყო, რა ფასადაც უნდა დამჯდარიყო გამოსავლის მონახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებდა არსებობას. კომუნისტურ პარტიას, რომელიც სამოქალაქო ომის დროს ყოველთვის ნახულობდა საშუალებას გამარჯვების მოსაპოვებლად, უნდა გამოენახა ასეთი გამოსავალი ეხლაც. ამ პირობებში საჭირო იყო შემდეგი გარემოებათა გათვალისწინება: 1) პროლეტარულ რევოლიუციის დაგვიანება სხვა, უფრო განვითარებულ, კაპიტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტურ ქვეყნებში: გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში, 2) კაპიტალიზმის შედარებით მცირე, თითქმის უნიშვნელო განვითარება რუსეთში და 3) წვრილი შინა-მრეწველობის და წვრილი და საშუალო გლეხობის მოჭარბებულად არსებობა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, რომლის განსახორციელებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარება, შეუძლებელი იყო მომხდარიყო ერთის ხელის დაკვრით, ეს გადასვლა მოითხოვდა ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივ დროს. როგორი უნდა ყოფილიყო კიდევ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა რუსეთში ამ გარდამავალ ხანაში? შეეძლო მას დაყრდნობოდა იმ საშუალებებს და მეთოდებს, რომელნიც ხმარებაში იყვნენ სამხედრო კომუნიზმის დროს? ცხადი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების გასამაგრებლად და განსამტკიცებლად რუსეთში აუცილებელი იყო, რაც უნდა დამჯდარიყო ეს, რომ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის დამყარებულიყო ცოტათ თუ ბევრად მჭიდრო შეთანხმება; ეს მით უფრო იყო აუცილებელი, რომ გლეხობა შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. მაგრამ ეს შეთანხმება შესაძლებელი იყო მომხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატი ცოტათ თუ ბევრათ სერიოზულად დაუთმობდა წვრილ ბურჟუაზიულ გლეხობას, რომ გლეხური მეურნეობა და თვით გლეხობის მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. მაგრამ გლეხური მეურნეობის გაუმჯობესება ნიშნავდა უპირველესად ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებას, პურის, ხორცის, სურსათის და სხვ. წარმოების ზრდას. თავის მხრივ მუშათა კლასს, რომელიც იტანჯება ეხლა, უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაკლებობით, შეეძლო მხოლოდ მოეგო ამ ზომისგან.

თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკა უნდა აშენდეს საბჭოთა რუსეთის სამეურნეო მდგომარეობის ობიექტიურ პირობებთან შეთანხმებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან გადაუხვია თავის პროგრამას—თანდათანობით გადასვლას სოციალიზმისაკენ. მართალია, სამხედრო კომუნიზმთან შედარებით, ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს ერთგვარ უკან დახევას კომუნიზმისაგან, მაგრამ სამხედრო კომუნიზმი ხომ დროებითი ზომა იყო, და სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ ეს ზომა ძირითადად უნდა შეცვლილიყო.

და აი 1921 წლის დასაწყისს საბჭოთა ხელისუფლება ეკონომიურ დარგში უბრუნდება გამოსავალ მდგომარეობას, ე. ი. იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა 1917 წლის დასასრულს და 1918 წლის დასაწყისს, მას მოუხდა კიდევ უფრო შორს წასვლა: შექმნილ ობიექტიურ პირობების გამო, რომელნიც მოითხოვდნენ სასწრაფო ზომებს, პირველ რიგში გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ერთის მხრით, და იმისათვის, რომ მიეცეს გლეხობას სტიმული სახნავ ადგილების გასადიდებლად, მეორეს მხრით, გაუქმებულ იქნა პურის სახელმწიფოებრივი მონოპოლიაც და გაწერაც, ეს უკანასკნელი შეიცვალა ნატურალური გადასახადით სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე და მიეცა გლეხებს თავის ზედმეტი წარმოების გაცვლის საშუალება ბაზარზე. ცხადია, რომ პურის მონოპოლიის და პურის გაწერის გაუქმება და მასთან ერთად გლეხურ სასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლო-სამეურნეო პროდუქტების თავისუფალ გაცვლის დამშვება ბაზარზე ლოგიკურად მოვიდოდნენ „ადგილობრივ ბრუნვის" თავისუფლების ცნობამდე, ე. ი. თავისუფალ წვრილ ვაჭრობის და მასთან ერთად წვრილი და საშუალო მრეწველობის დამყარებამდე, რომელსაც, უმთავრესად უნდა დაეკმაყოფილებია გლეხური მეურნეობა. ყველა ეს, რასაკვირველია, მოასწავებდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის და კაპიტალიზმის „აღორძინების„ შესაძლებლობას. ამაეე აზრისა იყო იმ თავითვე ამხ. ლენინიც, რომელიც ამბობდა, რომ თვალების დახუჭვა ამ გარემოებაზე ყოვლად შეუძლებელია. ის ითვალისწინებდა ამ მოვლენით მთელ საშიშროებას. ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა შემდეგი დილემა:

„ან საკვებით უნდა აღიკრძალოს კერძო არა სახელმწიფოებრივი გაცვლის, ე. ი. ვაჭრობის, ე. ი. კაპიტალიზმის ყოველივე განვითარება, რომელიც გარდაუვალი იქნება მილიონ წვრილ მწარმოებელთა არსებობის დროს. ასეთი პოლიტიკა იქნებოდა სისულელე და იმ პარტიის თვითმკვლელობა, რომელიც სცდიდა მის გატარებას ცხოვრებაში... ან არ უნდა აიკრძალოს ანუ ჩაიკეტოს კაპიტალიზმის განვითარება, არამედ მოექცეს იგი სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის კალაპოტში"...

ასე აყენებდა საკითხს ამხ. ლენინი და ის გადაჭრით იყო იმის მომხრე, რომ კაპიტალიზმი მოექცეს სახელმწიფოებრივ კალაპოტში, ამასთან კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა საბჭოთა სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურის შეგუება, შეერთება, შეთანხმება სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმთან, ის უპასუხებდა დადებითად რომ საკვებით შესაძლებელია. (იხ. მისი ბროშურა სასურსათო გადასახადის შესახებ, გვერ. 17, ტფილისში გამოცემული).

ამხ. ლენინი, ეყრდნობა რა ობიექტიურ ფაქტებს, რუსეთის ჩამორჩენილობას, საბჭოთა რუსეთში არსებულ ხუთ და სხვა სახოგადოებრივ-ეკონომიურ საფეხურებს, დაწყებული პატრიარქალურ წესწყობილებიდან და გათავებული სოციალიზმით (პატრიარქალური, ე. ი. ნატურალური გლეხური მეურნეობა, საქონლის წვრილი წარმოება, კერძო სამეურნეო კაპიტალიზმი, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი და სოციალიზმი) ლოგიკური სისწორით ამტკიცებს თავის აზრს, რომ აქ, უნდა ითქვას გადაჭრით, ბრძოლა სწარმოებს არა მეურნეობათა მეოთხესა და მეხუთე ტიპებს შორის, არამედ წვრილი ბურჟუაზია და კერძო სამეურნეო კაპიტალიზმი იბრძვიან ერთად, როგორც სახელმწიფო კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ისე სოციალიზმის წინააღმდეგაც.

IV.

რუსეთის თანამედროვე ეკონომიკის შესახებ ამხ. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში სწერდა:

„სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი იქნებოდა ნაბიჯი წინ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკის ეხლანდელ მდგომარეობასთან შედარებით. თუ, მაგალითად ჩვენში ნახევარი წლის შემდეგ დამყარდება სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, ეს იქნებოდა დიდი წარმატება და ნამდვილი იმის გარანტია, რომ ერთი წლის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში გამაგრდებოდა და უძლეველი იქნებოდა სოციალიზმი". ეს დებულება ამ ჟამად ურყეველია, ვინაიდან „სოციალიზმი წარმოუდგენელია მსხვილ კაპიტალისტურ ტექნიკისა და გეგმა შეწონილ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გარეშე, რომელიც ათეულ იდამიანებს უკვემდებარებს ერთგვარ ზომის უსასტიკეს შესრულებას, როგორც წარმოების, ისე პროდუქტების განაწილების საქმეში"...

თანამედროვე რუსეთი კი, ისე როგორც ყველა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, ყველაზე მეტად შეეიწროვებას განიცდის იმის გამო, რომ აქ არ არსებობს მსხვილი კაპიტალისტური ტექნიკა და სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ამ ჟამად საბჭოთა ხელისუფლების და სოციალიზმის უმთავრესი მტერი ჩვენში არის წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონი, რომელიც იჭრება ყველგან სპეკულიანტების, მეტომრეების და სხვათა სახით, რომელიც ადვილათ იმალება ჩვენგან, რომელიც არავითარ საზოგადოებრივ აღრიცხვას და კონტროლს არ ექვემდებარება. ამ სტიქიონის დაძლევა შეუძლია მხოლოდ მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, რომელიც ნოწყობილი იქნება სახელმწიფოებრივი მაშტაბით, ე. ი. სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს.

ჩვენ უნდა აშკარად ვსთქვათ, რომ სოციალისტურ წარმოების ორგანიზაციისათვის ჩვენ კიდევ უნდა ვისწავლოთ, და ამ სწავლისათვის უნდა მივსცეთ კაპიტალისტებს ერთგვარი ხარკი, უნდა გამოვიყიდოთ იმათგან ჩვენი თავი. და ესეც უნდა ვაღვიაროთ და თვალები არ უნდა დავხუჭოთ შწარე სინამდვილის წინაშე. და საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკა ერთგვარად უნდა გამაროლებულ იქნას ამ თვალსაზრისიდაც.

ამგვარად, ჩვენი ეხლანდელი ეკონომიური პოლიტიკა გვაყენებს ჩვენ ბურჟუაზიის და კაპიტალიზმის დროებითი აღორძინების ფაქტის წინაშე. შეუძლებელია თუ არა შეურიგდეს ამას კომუნისტური პარტია, რომელსაც უპყრია ხელისუფლება, რომელიც ანხორციელებს პროლეტარიატის დიქტატურასაც? ეგებ აქ არის ღრმა, შეურიგებელი წინააღმდეგობანი? ეს ერთის მხრით, მეორე მხრით კი: არის თუ არა აქ სერიოზული საფრთხე საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმისათვის? პირველ კითხვაზე ჩვენ უკვე უპასუხეთ ზემოდ, რომ არსებითად ჩვენში არ იყო გადასვლა კომუნიზმიდან ბურჟუაზიულ წესწყობილებისაკენ, რომ არავითარი სოციალიზმის ჯერ ჩვენში არ ყოფილა და არც არის, რომ ჩვენ მხოლოდ განვიცდით გარდამავალ ხანას კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ. დასასრულ ჩვენ აქ ვაკეთებთ ერთგვარ ტაქტიკურ უკან დახევას მტრის წინაშე, რომ დრო მოვიგოთ და მტერს ფლანგიდან დაეცეთ. წინააღმდეგობაზე ლაპარაკი აქ ყოვლად დაუშვებელია. სხვა საკმეა რამდენად საშიშია ახალი ეკონომიური პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამ საშიშროებას ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ და არ ვმალავთ. მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენ იგი არ უნდა გავაზვიადოთ.

უპირველესად ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ეხლანდელი ეკონომიური პოლიტიკა არის განსაკუთრებული ტაქტიკა, განსაკუთრებული სტრატეგია ჩვენ ეკონომიურ ბრძოლაში წარმოების აღსადგენად, ეკონომიური ფრონტზე იმპერიალისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამარჯვების მოსაპოვებლად. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა რუსეთის პროლეტარიატი იძულებული შეიქმნა დაეწყო სამოქალაქო ომი, როცა ის აწარმოებდა სასტიკ ბრძოლას მსოფლიო მტაცებელ-იმპერიალისტთა გაშმაგებულ შემოტევის წინააღმდეგ, მაშინაც ხომ იყო უდიდესი საშიშროება საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მაგრამ ჩვენი პარტიის მოთმინებამ, შეუდრეკელობამ და რკინის დისციპლინამ, ერთის მხრით, და მუშათა კლასის განუსაზღვრელმა გმირობამ, მეორეს მხრით, იხსნეს მდგომარეობა და შეინახეს საბჭოთა ხელისუფლება. ეხლაც გრძელდება ეს ბრძოლა, მაგრამ სხვა ფორმით და სხვა პირობებში. უმთავრესი ის არის, რომ ხელისუფლება დარჩეს მუშების და გლეხების ხელში. თუ სოციალისტურ პროლეტარიატის ხელში იქნება, ერთის მხრით, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება და მეორე მხრით კი წარმოების ყველა უმთავრესი იარაღები და საშუალებანი, როგორც მაგალ. მიწა, რკინის-გზები წყლის ტრანსპორტი, მადნები, მაღაროები, უმთავრესი ფაბრიკები, ქარხნები, ბანკები და სხვ., ამ პირობებში ბურჟუაზიის და კაპიტალიზმის არავითარი „აღორძინება" არ არის საშიშარი არც საბჭოთა ხელისუფლებისათვის და არც სოციალიზმისათვის. პირიქით, კაპიტალიზმის აღორძინება, რომელიც ამ პირობებში ბუნებრივად იქნება მოქცეული სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის კალაპოტში, მხოლოდ უფრო დაიჩქარებს და გაადვილებს სოციალიზმში გადასვლას. უეჭველია, აქ არის ძლიერ დიდი საშიშროება, ბრძოლა სწარმოებს განსაკუთრებულ რთულ პირობებში, და იგი გაგრძელდება, მაგრამ ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების ცხოველ-მყოფელობის და მუშათა კლასის გმირობის იმედი, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით, კომუნისტური პარტიის დისციპლინობის, შეუდრეკლობის და მოთმინების იმედი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ტიტანურ ბრძოლაში მთელ მუშათა კლასს. მართალია, ჩვენ რომ ვერ ვგრძნობდეთ და ვერ ვხედავდეთ ამ საშიშროებას, რომ ჩვენ ამის წინაშე თვალი დახუჭული გვქონდეს, მაშინ სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა. მაგრამ ჩვენ თვითონ ვყვირით და ეუთითებთ ყველას ასეთ საშიშროებას.

V.

ჩვენ ხშირად გვიხდება საყვედურების და საწინააღმდეგო აზრების ყოველ მხრიდან მოსმენა, როდესაც ლაპარაკია ჩვენს ახალ ეკონომიურს პოლიტიკაზე. ეს სადაური საბჭოთა ხელისუფლებაა,—ამბობენ ისინი,—როცა მაღაზიები და დუქნები ღიათ არის და თავისუფლათ ვაჭრობენ რითაც უნდათ, როცა წამოწყებანი უბრუნდება თავის ძველ მესაკუთრეებს, ან და იჯარით იცემა, მუშათა კლასი კი ისევ სიმშილს და სიცივეს განიცდის. ასეთი მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებშიდაც ხომ არის და იყო მენშევიკების დროს ჩვენში. სპეკულიაცია ვერ მოვსპეთ, ფასები უზომოდ იზრდება, მუშების ხელფასი კი უმნიშვნელოა. თითქოს ყველაფერი ეს მართალია. ჩვენ ხელმეტ ფასს ვაძლევთ ბურჟუაზიას ჩვენი მოუმზადებლობისათვის, იმისათვის, რომ ჩვენ ვისწავლოთ. ჩვენ უშვებთ თავისუფალ ვაჭრობას, ვინაიდან ჩვენ ვერ შეეკენით ისეთი აპარატი, რომელსაც შეეძლო ამ ვაჭრობის ადგილის დაკავება, ჩვენ იჯარით ვაძლევთ არტელებს და ყერძო კაპიტალისტებს ზოგიერთ ქარხნებს და ფაბრიკებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა გამოყენება სახელმწიფომ თავის საკუთარი ძალებით ვერ შესძლო. ჩვენ კი აუცილებლად გვინდა, რომ ისინი მუშაობდნენ და პროდუქტებს [illegible] მოგვდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მოწინააღმდეგენი ვერ ხედავენ იმ ღრმა განსხვავებას, რომელიც არსებობს ერთის მხრით, საბჭოთა სახელმწიფოსა და მეორე მხრით, ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის. ამ შემთხვევაში მოიჯარადრეთ ხომ კაპიტალისტი, ბურჟუა არის, იჯარით გამცემი კი პროლეტარული სახელმწიფო. კაპიტალისტი მიღებულ მოგების ნაწილს აძლევს პროდუქტების სახით პროლეტარულ სახელმწიფოს, რომელიც მოიხმარს მას მუშათა კლასის სასარგებლოდ. სოციალისტური სახელმწიფო მოიხმარს ამ მოგებას სოციალისტურ წარმოების ბაზის გასაფართოებლად, გაუმჯობესებულ მანქანების და იარაღების საყიდლად და შესაძენად, ელექტროფიკაციისათვის; ყველა ამით ის შესძლებს წვრილ მწარმოებლების, სპეკულიანტების და კერძო ვაჭრობის წოსპობას, მაშასადამე, არის ღრმა განსხვავება იმის შორის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და იმისა, რაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კეთდება: ჩვენ ვარღვევთ კაპიტალისტურ საზოგადოებას, ისინი კი მას ამაგრებენ. თავის თავად ცხადია, რომ აქ საჭიროა მეტი წინდახედულება და საქმის ცოდნა. თუ, სამხედრო კომუნიზმის ხანაში ჩვენ იძულებული ვიყავით ყველაფრისათვის ნაციონალიზაცია გეეტნა, ყველაფერი აღგვეკრძალა, ზედმეტად გადაგვეღუნა ჯოხი იმ მხარეზე, ახლა კი სამაგიეროდ ძალიან არ უნდა გადავღუნოთ ეს ჯოხი მეორე მხარეზე, ე. ი. ყველაფერს დენაციონალიზაცია არ უნდა უყოთ, ყველაფერი იჯარით არ გავცეთ და არ მივცეთ სპეკულიაციის სრული თავისუფლება. უეჭველია, სიძნელენი და შეცდომები იქნებიან, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება უნდა იყოს ფხიზლად. ცხადია რომ იჯარით უნდა გაიცეს მხოლოდ ის წამოწყებანი, ქარხნები და ფაბრიკები, რომელთა სათანადოთ ეზრუნველყოფა სათბობი მასალით, ნედლეულობით და სურსათით მუშებისათვის არ შეუძლია სახელმწიფოს ამ მომენტში.

სპეკულიაციის მიმართ ჩვენ გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე, ვინაიდან წესიერ ვაჭრობის გარჩევა უწესოსაგან ძალიან ძნელია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თავისუფალ ვაჭრობას უშვებთ, სპეკულიაციას ჩვენ თარეშობის ნებას არ მივსცემთ და მას დაუსჯელათ ვერ დავტოვებთ. რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ? უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რასაც ამ შემთხვევაში ამხანაგი ლენინი გვირჩევს, სახელდობრ: „უნდა გადავეჭინჯოთ და გადავაკეთოთ ყველა კანონები სპეკულიაციის შესახებ, გამოცხადდეს დასასჯელად ყოველგვარი მტაცებლობა და ყოველგვარი დამალვა, პირდაპირი თუ არა პირდაპირი, აშკარა თუ მალული, სახელმწიფოებრივი კანტროლის, ზედამხედველობისა, აღრიცხვისაგან...“ სწორედ ასე უნდა მოიქცეს საბჭოთა ხელისუფლება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ ჟამად აღებული კურსი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ პოლიტიკის დარგში განზრახულია, რასაკვირველია, ხანგრძლივ დროისათვის. ამ ხნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია უამრავ მიზეზებისგან, და უპირველესად ყოვლისა მსოფლიო მასშტაბით მებრძოლ ძალთა ურთიერთობისაგან, პროლეტარულ რევოლიუციის დაჩქარებისა თუ დაგვიანებისაგან ევროპაში და ამერიკაში. თუ ეს რევოლიუცია იფეთქებს ევროპაში ახლო მომავალში, რაც ძალიან მოსალოდნელია, ეს

საგრძნობლად დააჩქარებს ჩვენშიდაც სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციას საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბით, ვინაიდან ბაშინ ჩვენ დასახმარებლად მოვლენ კულტურულად უფრო განვითარებულ ქვეყნების ბუშები, მაგრამ ამ ჟამად არ შეგვიძლია ვაშენოთ ჩვენი ტაქტიკა ევროპის პროლეტარიატის მოსალოდნელ დახმარების მიხედვით. ჩვენ უპირველესად ყოველისა უნდა იმედი გვქონდეს ჩვენი საკუთარი ძალების. ამ გარდამავალ ხანაში მუშათა კლასის ტაქტიკა რუსეთში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში სავსებით უნდა იყოს მიმართული წარმოების აღსადგენად, პროდუქტთა რაოდენობის გასადიდებლად, ერთის მხრით და სოციალისტურ მეურნეობის ბაზის გასაფართოებლად მეორეს მხრით.

მისაღებია რა მხედველობაში, პირველად, გლეხურ მოსახლეობის უდიდესი ზედმეტობა ჩვენში, ერთის მხრით, წვრილ ბურჟუაზიულ წარმოების დიდად გავრცელება, მეორე მხრით, და მეორედ, საშინელი სიძნელე, რომ ასე თუ ისე მოკლე დროს განმავლობაში აღდგენილ იქნეს მსხვილი სოციალისტური მრეწველობა ისე, რომ მუშურ-გლეხურმა სახელმწიფომ შესძლოს დაუყონებლივ დაამყაროს პირდაპირ პროდუქტთა გაცვლა სოციალისტურ საფუძვლებზე, სოციალისტური პროლეტარიატი საბჭოთა ხელისუფლების დახსნისათვის, მის გამაგრებისა და დამკვიდრებისათვის, ვალდებულია დაუთმოს გლეხებს და დაამყაროს მათთან მჭიდრო კავშირი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ უდავო დებულებას, რომ წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი და აგრეთვე კოოპერატიული კაპიტალიზმი საბჭოთა ხელისუფლების ან პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის დროს საგრძნობლად გაადვილებს ჩვენში სოციალიზმში გადასვლას, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე კოოპერატიული კაპიტალიზმის სასწრაფოდ განვითარებისათვის, მხოლოდ ერთი პირობით, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება პროლეტარიატის და უღარიბეს გლეხების ხელში დარჩება.

აქედან აუცილებლად გამომდინარეობენ:

1) სახელმწიფოებრივ წამოწყებათა გადასვლა ახალ კალაპოტში; ეს ნიშნავს, რომ ისინი იწარმოებენ წინდაწინ შემუშავებულ სამეურნეო გეგმების მიხედვით, გასავალთა და შემოსავალთა უსასტიკესი აღნუსხვით.

2) პროლეტარულ სახელმწიფოს განტვირთვა იმ საწარმოთაგან, რომელნიც ეხლა არ მოქმედებენ ან და მოქმედებენ ნაწილობრივ ნედლეულობის, სათბობი მასალის, სურსათის და სხვ. უქონლობის გამო და მათი გაცემა იჯარით გარკვეულ სახელმწიფოსათვის სასარგებლო პირობებში.

3) გადასახადთა სისტემის ბოლომდე მიყვანა, ე. ი. რესპუბლიკის მოქალაქეთა ნატურით და ფულით დაბეგვრა მოსახლეობის უღარიბეს ნაწილის გადასახადისაგან განთავისუფლებით.

4) უარის თქმა სახელმწიფოს მიერ უფასოდ სამსახურის გაწევაზე, როგორც კერძო პირთა, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიმართ.

ყველა ეს ზომები სასურსათო გადასახადსა და ირტელებისადმი, კოოპერატივისადმი, აქსანაგობისადმი და თითქმის კერძო პირებისადმიც წარმოების დარგში ინიციატივის მინიჭებასთან ერთად, დაეხმარებიან საბჭოთა ხელისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას, რომ ის გამოვიდეს მძიმე კრიზისისგან, ასწევენ წარმოებას, ფულის ნიშნების კურსის დაცემას შეაჩერებენ,—ყველა ეს ერთად გაადიდებს პროლეტარიატის ძლიერებას და გაამაგრებს საბჭოთა ხელისუფლებას.

ყველა ამ ზომებმა, რომელნიც გამომდინარეობენ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკის ახალი კურსიდან და რომელნიც ნაცადნი არიან საბჭოთა რუსეთში, უკვე გამოიღეს განსაზღვრული დადებითი შედეგები; აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ პრაქტიკაზე გაამართლა თავისი თავი.

მიუხედავად იმისა, რომ ურიცხვი უბედურებანი თავს დაატეხა რუსეთის შუშათა კლასს ჯერ იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომმა, მიუხედავად ხალხის ფართე მასების განადგურებისა და გალატაკებისა, მიუხედავად სტიქიურ უბედურებათა, როგორც მაგალითად მოუსავლობა 1920 და 1921 წლებში, საქონლის დახოცვა და სხვ., საბჭოთა ხელისუფლება გადავიდა თავის არსებობის მეხუთე წელში, არა მარტო შუშათა კლასის თავის ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდეს გამოცდილებით განსწავლული, არამედ მოიპოვა ამ ოთხი წლის განმავლობაში უდიდესი ძალა, ძლიერება და გავლენა არა მარტო შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

საბჭოთა ხელისუფლება ამ ხნის განმავლობაში შეიქნა არა მარტო პოლიტიკური ფაქტორი პროლეტარიატის ხელში, არამედ აგრეთვე ეკონომიური ძალა ბურჟუაზიულ საზოგადოების სოციალისტურ წყობილებათა გარდაქმნის საქმეში. საბჭოთა ხელისუფლებამ ნეოთხე წელს მოგვცა წარმოების ეკონომიური ორგანიზაციის ახალი პირველი ცდა. მეხუთე წელში და შემდეგ მას არა მარტო პოლიტიკური ხელისუფლების ხელში დაჭერის უნარი აქვს, არამედ მას შეუძლია აგრეთვე მოაწყოს მეურნეობა სოციალისტურ საფუძველებზე და განახორციელოს ნამდვილი კომუნიზმი.

1921 წლის ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

I

დღეს მოსკოვს გარეგნობით ველარ იცნობთ, იმდენად გამოცველილა: სამი წლის განმავლობაში აკრძალვის შემდეგ ხელახლა გაღებულია მაღაზიები, ხელახლა ჩაღდება კერძო წარმოება, ე. ი. ბურჟუაზია და კაპიტალიზმი ისევ დგებიან ფეხზე, მაღაზიები გაესებულია საქონლით, რა გნებავთ, რომ იქ არ იყოს, დაწყებული ტკბილეულობიდან, ძვირფასი სასმელებიდან და გათავებული უძვირფასესი ფართლეულობით და კოსმეტიური საგნებით. მაგრამ ყოველივე ეს ხელმიუწდომელია უმრავლესობისათვის, ე. ი. ღარიბ-ღატაკი ხალხისათვის, მუშებისათვის. რას იზამთ, ყოველივე ეს ესაჭიროება გაუმაძღარ ბურჟუაზიას, რომელსაც ამ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში უსასტიკესათ ავიწროებდენ, სდევნიდნენ, ხერეტდენ. დღეს ამ ბურჟუაზიამ ისევ წამოჰყო თავი, ისევ გამოდის მრეწველობა-აღებ-მიცემობის ასპარეზზე და ისევ ძველებურად განცხრომას და ფუფუნებას ეწაფება, ერთი სიტყვით, იგი ხელახლა მაძღარია...

ასეთია ჩვენი დღევანდელი სინამდვილე, გაშიშვლებული სინამდვილე. და ეს ასე ხდება სოციალისტურ რეპუბლიკაში, სადაც პოლიტიკური ძალა-უფლება ხელთ უპყრია პროლეტარიატს. აი რა არის დამაფიქრებელი და ბევრს ჩვენს საუკეთესო ამხანაგებს აფიქრებს კიდეც, მაგრამ ამით საქმე კიდევ არ თავდება.

უსასტიკესი ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც გამოიწვია ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, ყველა სახელმწიფო ქარხნებში და ფაბრიკებში ხდება შტატების, ე. ი. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება, ე. ი. ზედმეტი ელემენტების დათხოვნა. და ამასთან კიდევ სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების, საბავშო ბაღების, თავშესაფრების, სკოლების, კლუბების სრულიად გაუქმება თუ არა, ძალზე შემცირება მაინც. ჩნდება სასტიკი, ულმობელი ბრძოლა, ქიშპობა, შეჯიბრება მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებათა, ქარხნებსა და ცალკე წარმოებათა შორის ერთი მხრით და სახელმწიფოს სამრეწველო და სააღებ-მიცემო დაწესებულებათა და კერძო კაპიტალისტებსა და ვაჭრებს შორის მეორე მხრით. უკანასკნელ ანგარიშში საკითხი ასე დგას: ვინ ვის დასძლევს, ვინ ვის მოერევა: მუშურ-გლეხური სოციალისტური სახელმწიფო დასძლევს კერძო ვაჭრებს და კაპიტალისტებს, თუ პირიქით, ეს უკანასკნელები დასძლევენ პირველს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი სურათის წინაშე ბევრი ამხანაგი ვარდება საგონებელში: ნუ თუ ყველაფერი დაიღუპა, ან თუ ყველაფერი დაიღუპა, ნუ თუ ამაოდ ჩაიარა ამდენმა ბრძოლამ, ამოდენა სისხლის ღვრამ. და მართლაც არის მიზეზი, ასეთ ფიქრებს რომ მიეცეს ადამიანი. ჩვენ გავარჩევთ, თუ რამდენად საფუძვლიანია ასეთი ფიქრები, მართლაც დაიღუპა ამოდენა შრომა, ამოდენა ბრძოლა, თუ ეს მხოლოდ დროებითი დახევაა უკან ახალი ძალების მოსაკრეფად, ახალი, უფრო მედგარი და ძლიერი შეტევის დასაწყებათ კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად. და ამავე დროს ამ გარდამავალ და მეტის-მეტ მძიმე ხანაში შევსძლებთ თუ არა კაპიტალიზმის სუსხის, მისი სიმწვავის შესუსტებას და შემცირებას იმდენად, რომ მუშა ხალხს გაუადვილდეს მეტის მეტად მძიმე პირობების ატანა და დაძლევა!

სანამ ამ კითხვების გარჩევას და მათზე პასუხის გაცემას შეუდგებოდეთ, მე მინდა აქ ერთ გარემოებას მივაქციო ყურადღება. თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკა პარტიის ზოგიერთ წევრებში იწვევს ერთნაირ დაღონებას და შეფიქრიანებას, ბადებს ანდისაან ევვსაც ჩვენი ტაქტიკის სისწორეში და სიმართლეში, ჩვენ მტრებს, მოწინააღმდეგეთ, მენშევიკებს და სხვებს, ის სამაგიეროთ ახარებს. ყველა ეს ეაებატონები სიხარულისაგან თითქო ცას ეწვეიან, რომ ბოლშევიზმი, ე. ი. სოციალიზმი თითქო დაბარცხდა და კაპიტალიზმი და ბურჟუაზია ისევ იმარჯვებენო. რა თქმა უნდა იქნებოდა თავისი თავის პირდაპირ დატყუილება და საქმისათვის მეტათ შეუგნებელი, ჩვენ რომ დავიჩემოთ იმის მტკიცება, რომ ყველა ჩვენი შეტევა კაპიტალიზმის ციხის ასაღებათ ამ ციხის აღებით ანუ კაპიტალიზმის სრული დამარცხებით გათავდა. არა, როგორც ამბობს ამბ. ლენინი ერთ თავის შესანიშნავ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა მოსკოვის გუბერნიის უკანასკნელ კონფერენციაზე (29 ოქტ. 1921 წ.), შეტევისათვის კაპიტალიზმის ციხე ამ ჟამად მიუდგომელი გამოდგა და ამიტომ აუცილებელი შეიქნა შეტევიდან ციხის გარედან ალყის შემორტყმაზე გადასვლა, რა თქმა უნდა, ესაა ერთგვარი სახეობითი გამოთქმა, და ის მართლაც ახასიათებს შექნილ მდგომარეობას. შეტევიდან გარედან ალყის შემორტყმაზე გადასვლა—ეს უკან დახევაა, მაგრამ ეს არაა საბოლოო დამარცხება. ეს უკან დახევა და ალყის შემორტყმა თხოულობს სხვადასხვა კომბინაციებს, თავისი ძალების ხელახლად გადაჯგუფებას, ბრძოლის უფრო გამწვავებას და გახანგრძლივებას, დროებით დამარცხებას და სხვ. და სხვ. ამიტომ ტყუილა ხარობენ ჩვენი მტრები და მოწინააღმდეგენი, ვინაიდან პროლეტარიატის უკან დახევა ბრძოლის დროს, და ბურჟუაზიის მხრით ისევ ძველი პოზიციების დაბრუნება რამდენიმეთ, ყოველივე ეს ერთად აღებული ოდნავადაც არ სწყვეტს საბოლოოთ საკითხს ბურჟუაზიის სასარგებლოთ. პირიქით, როგორიც არ უნდა იყოს ბურჟუაზიის დროებითი გამარჯვება, იგი შორსაა თავისი ძველი პოზიციების სავსებით და უკლებლივ დაბრუნებასთან; და იგი ამ პოზიციებს ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებს, ვინაიდან ბურჟუაზიის ბატონობის საფუძველი არა თუ შეირყა, არამედ მას მიყენებული აქვს ისოდენი დაზიანება, ისოდენი ჭრილობა, რომ მისი გამომთელება ყოვლად შეუძლებელია. მართალია, ბურჟუაზია წაქცეული იყო, პროლეტარიატმა ერთ დროს მუხლი დააბჯინა მას მკერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დხე და ხელები ყლონტში ჩასჭიდა დასახრჩობათ, მაგრამ რუსეთის ბურჟუაზიას მსოფლიო ბურჟუაზია მიეშველა, რის გამო რუსეთის პროლეტარიატი იძულებული შეიქნა მისთვის დროებით ხელი შეეშვა და დახრჩობისაგან გაეთავისუფლებია, და თუმც დღეს ბურჟუაზია რუსეთში ისევ ფეხზე წამოდგა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი ადარ არის, რაც იყო, იგი სასიკვდილოთ დაჭრილია, მისი არსებობა დაშვებულია იმდენათ, რამდენათ ეს საჭირო და სასარგებლოა პროლეტარული სახელმწიფოსათვის, მუშათა კლასის დიქტატურის გასამარჯვებლათ და სოციალიზმის დასაჩქარებლოთ.

მაშასადამე, ბურჟუაზია განწირულია და მისი დღეები უკვე დათვლილია. თუმცა დღეს ჩვენ ვხედავთ თვით საბჭოთა ხელისუფლების დაშვებით მის დროებით გაძლიერებას და მოღონიერებას, მაგრამ ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ბურჟუაზიის ეს დროებითი გაძლიერება თვით საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლათ არის საჭირო. მაგრამ გადავიდეთ უფრო ახლო საგანზე.

II

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ბუმრობა როდია. იგი ნავარაუდევია, როგორც ამბობდა ამის. ლენინი თავიდანვე, „სერიოზულათ და დიდი ხნით“. რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატი მას არ შესცვლის მყისვე, თუ კი დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვლება პროლეტარიატის სასარგებლოთ. მაგრამ სანამ ასეთი ცვლილება არ მომხდარა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა უნდა გატარდეს ცხოვრებაში სერიოზულათ მთელი თავისი ლოგიკური შედეგებით.

საბჭოთა ხელისუფლების წინანდელი ეკონომიური პოლიტიკა მარტო იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ აკრძალული იყო კერძო გაცვლა-გამოცვლის თავისუფლება, რომ გლეხ-ყაცობაზე დადებული იყო პურის და სხვა სამეურნეო საგნების განსაზღვრული რაოდენობა, რომ პურზე არსებობდა სახელმწიფო მონოპოლია, რომ თითქმის მთელი მრეწველობა სახელმწიფოს ხელში იყო გადასული და სხ. არამედ ეს პოლიტიკა მდგომარეობდა კიდევ იმაში, რომ სახელმწიფო წარმოებაში სწორი სამეურნეო ანგარიში სრულებით არ იყო. რას ნიშნავს ეს? ვთქვათ რომელიმე სახელმწიფო ქარხანა, ფაბრიკა ან რკინის გზა სახელმწიფო ხარჯზე ირიცხებოდა; მაშასადამე სახელმწიფო მას აძლევდა ნედლ და სათბობ მასალას, სურსათს, ტანსაცმელს, ფულის ნიშნებს მუშა-ნოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ. ქონდა სახელმწიფოს ამის შეძლება— დაწესებულებას აძლევდა იმდენს, რამდენიც საჭირო იყო, თუ არ ქონდა, მაშინ ფაბრიკა, რკინის გზა და სხვ. ამცირებდა ან სრულებით აჩერებდა თავის მოქმედებას. შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში მუშები თითონ თაობდენ საქმის გაუმჯობესებას, და თავისი მუყაითობით, თავისი შრომით და ენერგიით ახწევდენ წარმოების გაუმჯობესებას, დიდ წარმატებას, მაგრამ ეს იყო მთლოდ იშვიათი მოვლენა. საერთოდ კი, უმეტეს შემთხვევაში, წარმოება მცირდებოდა, კლებულობდა, და ეცემოდა იმიტომ, რომ არ იყო არც ნედლი და სათბობი მასალა, არც სურსათი მუშებისათვის. მაგრამ ამის გამკითხავი არავინ იყო, ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშს არავინ კითხულობდა, გამოდიოდა, რომ წარმოებას არ ჭყავდა ნამდვილი პატრონი. განა შესაძლებელია ქარხანამ, ფაბრიკამ, რკინის გზამ იმუშაოს ულარაუდოთ, უანგარიშოთ? განა შესაძლებელია, რომ რომელიმე საწარმოო საქმე ან დაწესებულება ვერ ამართლებდეს თავის თავს, რომ ის ზარალის მეტს არაფერს იძლეოდეს, და ის მაინც აგრძელებდეს თავის წარმოებას და მოქმედებას? რა თქმა უნდა, რომ ეს არ შეიძლება, მაგრამ ეს ასე იყო; გამოდის რომ ქარხანა, რომელიც წინეთ კერძო კაპიტალისტის ხელში იყო, იძლეოდა დიდ მოგებას, როცა ის მუშების ხელში გადავიდა, ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა, პირდაპირ საქველმომქმედო დაწესებულებად გადაიქცა. რა თქმა უნდა, თუ ასეთი ფაბრიკა, რომელიც ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა, გამონაკლისს შეადგენს, ან ასეთი ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი შედარებით მცირეა, საბჭოთა სახელმწიფოს შეუძლია დაფაროს იმათი ზარალი დანარჩენ ფაბრიკების და ქარხნების შემოსავლიდან, მაგრამ თუ საერთო სამრეწველო დაწესებულებათა დიდი უმრავლესობა ზარალს იძლევა, ე. ი. ისინი არა თუ არ იძლევიან მოგებას, არამედ თავის ხარჯებსაც ვერ ფარავენ, აშკარაა, ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, დროებით შეიძლება რომ სახელმწიფომ დაფაროს ამ საზარალო ფაბრიკა-ქარხნების ხარჯები- ერთი მხრით გადასახადებით და მეორე მხრით ქაღალდის ფულის ნიშნების გაძლიერებული გამოშვებით, მაგრამ ადრე თუ გვიან კატასტროფა აუცილებელია.

ერთი სიტყვით, აშკარა იყო, რომ ასეთ პირობებში არც ერთი სახელმწიფოს და მით უმეტეს მუშათა სახელმწიფოს და ისიც უკიდურესი ეკონომიური დარღვევის ხანაში არსებობა არ შეუძლია. მაგრამ სწორედ ასე იყო საქმე დაყენებული, და ამიტომ ომის მიერ გამოწვეული საერთო განადგურება და მშრომელი მასსის უკიდურესი გაღატაკება არა თუ არ კლებულობდა, არამედ კიდევ უფრო მწვავდებოდა. აუცილებლათ საჭირო იყო რაიმე რადიკალური ზომების მიღება, საჭირო იყო ძირითადი ცვლილებების მოხდენა, რომ ბოლო მოღებოდა იმ დაუღეურობას, იმ ბოროტებას, რომელიც გამოიხატებოდა სრულ უანგარიშობაში, რაც უდრიდა სახელმწიფოს ავლადიდების გაფლანგვას და იმავე დროს ხალხის კეთილდღეობისათვის ძირის გამოთხრას, აქ იყო მხოლოდ ერთათ ერთი გამოსავალი, ერთად ერთი საშუალება: ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა მ ე ურ ნ ე ო ა ნ გ ა რ ი შ ზ ე გ ა დ ა ყ ვ ა ნ ა დ ა დ ა ყ ე ნ ე ბ ა. ეს ნიშნავს ულბრალო რასმეს: ფაბრიკამ, ქარხანამ, რკინის გზამ უნდა გაამართლოს თავის თავი, მან უნდა დაფაროს თავისი წარმოებით თავისი ხარჯები და ზედმეტი ღირებულებაც უნდა დატოვოს სახელმწიფოს საერთო ხარჯების დასაფარავათ. ეს შეიცავს დიდ ნაბიჯს წინ. მართალია, მისი გატარება ცხოვრებაში, ნამეტურ პირველ ხანებში, გამოიწვევს ბევრ უსიამოვნებას, საჭირო შეიქნება რამდენიმე მსხვერპლის გაღება, მაგრამ რას იზამთ: წ ა რ მ ო ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ა ს უ ნ დ ა გ ა ე დ ე ს დ ა ა რ ა ქ ვ ე ლ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს. მხოლოდ ასეთი ზომით შეიძლება მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღდგენა და წარმატება, მხოლოდ წმინდა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლით შესაძლებელია საჭირო საგნების რაოდენობის გადიდება და მაშასადამე, ხალხის კეთილდღეობის მკვიდრ საფუძველზე დამყარება. და უმთავრესი ისაა, რომ მხოლოდ ასეთი ზომით მუშათა სახელმწი-

ფო შესძლებს სხვილი სოციალისტური მრეწველობის, მთამადნეულობის, ტრანსპორტის და სხვა დარგთა გაფართოებას და გადიდებას,

ასეთი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა იმას, რომ წარმოება წარმოებას დაემგვანოს, რომ მაზე მიწერილი მუშა იქ მუშაობდეს, ასრულებდეს სისწორით თავის მოვალეობას, თავის ფუნქციას, და უმთავრეს დროს არ ახმარდეს ისეთ საქმეს, რომელსაც დაწესებულებასთან არაეითარი კავშირი არ აქვს, რომ იგი საპატიო მიზეზის გარეშე მუშაობას არ აკლდებოდეს და სამუშაო დღეებს არ უშვებდეს, ე. ი. არ იქცეოდეს ისე, როგორც წინეთ, როდესაც მუშა მხოლოდ ქაღალდზე ითვლებოდა ქარხანაში, ნამდვილათ კი იგი ქარხნისთვის არაფერს აკეთებდა და სადღაც თავის პირად საქმისთვის ზრუნავდა. თავის თავათ იგულისხმება, რომ ასეთ პირობებში რომელიმე ქარხნის ამუშაევებას და სავსებით გამოყენებას შედარებით მუშების უფრო ნაკლები რიცხვი მოუნდება. ამიტომ აუცილებელია ზედმეტი მუშების ქარხნიდან დათხოვა. სამაგიეროთ ქარხანაში დატოვებული მუშები სავსებით უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი, რომ იმათ არ მოუხდეთ ქარხნის გარეშე დამატებით სამუშაოს ძებნა თავის სარჩენათ.

აშკარაა, რომ საბჭოთა ხალხმწიფო დღევანდელ პირობებში ვერ შესძლებს ყველა სამრეწველო დაწესებულებების, ქარხნების, ფაბრიკების, მაღაროების და სხვ. უზრუნველყოფას როგორც ნედლი და ათბობი მასალით, ისე სარჩო-საბადებელით, ე. ი. სურსათით და ტანსაცმელით. ყველა ეს დაწესებულებები იყოფიან სამ კატეგორიათ: პირველ კატეგორიაში შედიან ის დაწესებულებები (რკინის გზები, მაღაროები, უდიდესი ქარხნები), რომლების შენახვა და უზრუნველყოფა სავსებით სახელმწიფომ უნდა იკისროს. აქ ყველაფერი სისწორით უნდა იქნას გამოანგარიშებული და ნაკარაუდევი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომის გასწორება გაძნელდება. მთელი შემოსავალი როგორც ფულათ ისე საგნებით სახელმწიფოს უნდა გადაეცეს. მეორე კატეგორიაში შედიან ის ქარხნები, ფაბრიკები და სახელოსნოები, რომელთა შენახვას სახელმწიფო მხოლოდ ნაწილობრივ კისრულობს. დანარჩენ ხარჯების შესავსებლათ გადადებული უნდა იქნას ამავე ქარხნების ნაწარმოების განსაზღვრული ნაწილი, ე. ი. იმ ნაწარმოების განსაზღვრული პროცენტი; დანარჩენი ნაწილი კი სახელმწიფოს გადაეცემა. ბოლოს, მესამე კატეგორიის ქარხნები, ფაბრიკები და სხვ., ესენი გადაეცემიან საკუთრებით განსაზღვრულ პირობებით ხელშეკრულების თანახმათ კოოპერატივებს, მუშათა არტელებს ან კერძო პირებს.

და აი აქ ამ ნიადაგზე უნდა გაჩნდეს და გაჩენილია კიდეეაც სასტიკი და დაუზოგველი შეჯიბრება. შეჯიბრება არა მარტო კერძო მწარმოებელთა შორის, ან მარტო სახელმწიფო ქარხნებისა და ფაბრიკების შორის, არამედ ყველა კერძო მრეწველებსა და მწარმოებლებსა (აგრეთვე კოოპერატივებსა), ე. ი. კერძო კაპიტალისტებსა ერთი მხრით და სოციალისტურ მრეწველობას შორის მეორე მხრით. ესაა ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე კაპიტალისტური სისტემის, ყველა მეთოდებით, ყველა საშუალებებით. ჩვენ უნდა თანდათან სისტემატიურად გავაძლიეროთ და გავაფართოვოთ მსხვილი სოციალისტური მრეწველობა და სასოფლო მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა, ჩვენ უნდა გადავიტანოთ ის წარმოების ყველა დარგში, როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის; და აგრეთვე ალებ-მიცემობის დარგშიაც, რათა თანდათან ჩავიგდოთ ხელში მთელი ეაჭრობა. ყველგან და ყველაფერში უსასტიკესათ სწორი მათემატიკური ანგარიში, ანგარიში წარმოების, ანგარიში ნაწარმოების, ანგარიში ხარჯების, ანგარიში მოგების. ბოლოდ ამ გზით შეიძლება დღეს როგორც საწარმოო ძალების, ისე შრომის ნაყოფიერების ზრდა. ყოველივე ეს შეადგენს სოციალიზმის განხორციელების აუცილებელ პირობას; ვინაიდან მას მივაღწევთ მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარების გზით. მართალია, ეს განვითარება დროს თხოულობს, ჩვენ ერთბაშათ ვერ გადავხტებით სოციალიზმის სამფლობელოში. ჩვენ პირდაპირ და შეუწყვეტლათ ვამზადებთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლას, რამდენათაც შესაძლებელია ეამოკლებთ ამ გარდამავალ ხანას. ამას უნდა დავსძინოთ ის, რომ ეს გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის ანუ საბჭოთა ხელისუფლების საშუალებით, ასე რომ პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა შეუძლებელია. შესაძლებელია შემოკლება ან გაგრძელება ამ გარდამავალი დროის იმის მიხედვით, თუ რამდენათ განვითარებულია კაპიტალისტური მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე ეს გადასვლა არ მოხდება დღეანდელ პირობებში მაინც.

III.

საბჭოთა რუსეთში, როგორც ვთქვით ზეით, უკვე შეუდგნენ წარმოების სამეურნეო ახგარიშზე გადაყვანას, მაგრამ წარმოების ორგანიზაციას ამ საფუძველზე ჯერ ძლივს მხოლოდ რამდენიმე სულ 4-5 თვის პრაქტიკა აქვს. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ძნელია სავსებით დაფასება ყველა მიღწეულ შედეგებისა. როგორც ჩანს გაზეთებში თითქმის ყოველ დღე მოთავსებულ ცნობებიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ცხოვრებაში თითქმის ყველგან კარგი ნაყოფი მოაქვს: შრომის ნაყოფიერება მაღლა იწევს, წარმოების ხარჯები მცირდება და გარდა ამისა, რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, ეს ის, რომ თითქმის, ყველგან კარგს განწყობილებას ვხედავთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, ყველას სწამს და სჯერავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ გზით უფრო ჩქარა დაახწევს თავს ეკონომიურ კრიზისს, უფრო ჩქარა გავაბაგრებთ და გავაფართოებთ მსხვილ სოციალისტურ მრეწველობას და მით უფრო ჩქარა მივახწევთ სოციალიზმის სამეფოს.

მაგრამ არ უნდა დავმალოთ, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას თან სდევს ზოგიერთი უარყოფითი მხარეებიც, ის იწვევს თითქმის ყველგან მუშათა შტატების შემოკლებას.

პროლეტარული სახელმწიფო დგება ახალ საკითხის წინაშე,—ესაა უმუშევართა საკითხი.

სიმართლე თხოულობს ვთქვათ, რომ საბჭოთა რუსეთმა აქამდის არ იცოდა უმუშევართა საკითხი, ვინაიდან თვით უმუშევრები არ იყვნენ. ეს არც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყო, რადგან წარმოებაში არაეითარი სამეურნეო ანგარიში არ არსებობდა (ხშირად ბუშები მხოლოდ ქალალდზე ირიცხებოდენ), მუშაობდა, ვთქვათ, რომელიმე ფაბრიკა სრულად, სანახევროთ თუ სულ გაჩერებული იყო, ყველა ამ შემთხვევებში არსებობდა ერთხელ და სამუდამოდ მიღებული შტატი, სულ ერთია იყო სრული მუშაობა, სწარმოებდა სანახევროთ, თუ სრულებით არ სწარმოებდა რაიმე დაბრკოლების მეოხებით. ასეთ პირობებში ოფიციალურათ, ფორმალურათ უმუშევრობა არ იყო, მაგრამ თუ არსებითად შევხედავთ საკითხს უმუშევრობა შეიძლება, უფრო ძლიერიც მაშინაც არსებობდა; მაგრამ ეს მოვლენა მაშინ არ იჩენდა თავს, ვინაიდან სახელმწიფო ავად იყო თუ კარგათ ინახავდა ყველა იმათ, ვინც ქარხნებზე, ფაბრიკებზე, რკინის გზებზე და სხვ. იყო ასე თუ ისე მიწერილი. ეს იყო ქველმოქმედება სახელმწიფოს მხრით, მაგრამ ეს არ იყო ანგარიშიანი წარმოება.

მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენ დღეს საქმე გვაქვს ოფიციალურ უმუშევრობასთან, და თავის თავად იგულისხმება, რომ საბჭოთა მთავრობამ ამ მოვლენას სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს, დაუყონებლივ შესაფერისი ზომების მიღებით, მით უმეტეს, რომ უმუშევრების საკმარისათ დიდ პროც. შეადგენენ დედაკაცები, ხანში შესული დედაკაცები და ალბათ მოზარდებიც. სანამ ამ ზომების შესახებ ვიტყოდეთ რასმეს, ერთ გარემოებაზე უნდა შეეჩერდეთ. საერთო მოვლენაა, რომ როცა პირველათ ვიწყებთ საქმეს, თითქმის ყოველთვის გატაცებას ანუ გადაჭარბებას აქვს ადგილი, ე. ი. ხშირათ ვიცით გადამეტება. ისეა აქაც. წარმოების ხარჯების შემცირების მიზნით მუშების დათხოვნა გადაჭარბებულათ სდება, განსაკუთრებით დედაკაცების, ხანში შესულების და მოზარდებისაც. რუსეთში პირველი ნაბიჯის შემდეგ ახალი ეკონომიური პლიტიკის გატარებისა ცხოვრებაში, ამ მოვლენას, ე. ი. გადაჭარბებას მუშების რიცხვის შემცირების დროს უკვე მიქცეული აქვს სათანადო ყურადღება და მიღებულია ზომები, რათა მეტის-მეტ გადაჭარბებას ამ საქმეში ადგილი ალარ დაურჩეს. მაშასადამე, ასეთი გამაფრთხილებელი ზომით უთუოთ საგრძნობლათ შემცირდება დათხოვნილ ან დასათხოვარ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. ასევე ითქმის ბინებიდან გამოძევების და სხვადასხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა შემოკლების ან სრულიად გაუქმების შესახებ. აქ კიდევ უფრო დაუშვებელია ბუნების გასადიდებლათ რაიმე გადაჭარბება და გატაცება, და იქ, სადაც კი რაიმე საშუალება გამოინახება მუშა-მოსამსახურეთა ასაცილებლათ, ასეთი ზომები აუცილებლათ უნდა იქნეს მიღებული.

რა თქმა უნდა ეს არაა საკითხის გადაჭრა, საკმარისათ საგრძნობი რიცხვი მუშა-მოსამსახურეთა სხვადასხვა ეკონომიურ დაწესებულებათა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის გამო, რაც უნდა სიფრთხილე არ იქნას აქ გამოჩენილი, მაინც უადგილოთ დარჩება. ამიტომ ამ მიზეზით დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად ამას წინაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობამ დაადგინა: მიეცეს მათ შემწეობის სახით ორი კვირის ჯამაგირი, გამოანგარიშებული სამი უკანასკნელი თვის საშუალო ნორმის მიხედვით (დადგენ. 28 ნოემბრის 1921 წლის თარიღით, იხ. გაზ. „Изв. В. Ц. И. К.", № 175). რა თქმა უნდა, არც ესაა საკითხის გადაჭრა, ესაა მხოლოდ მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობის ცოტაოდენი შემსუბუქება, მაგრამ მთავრობას არ შეუძლია ამიზე უფრო შორს წასვლა. უნდა გამოინახოს იქნას სხვა ზომები. აქ ეძლევა ფართო საერბიელი როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ ორგანიზაციების თანასწორობას, ინიციატივას. შესაძლებელია სხვადასხვა ამხანაგობების, არტელების შედგენა ამა თუ იმ საქმის საწარმოებლათ, სამკურნალოების, სამრეცხველოების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაცია და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით თუ იქნებიან მოთავენი და საქმის მცოდნე და ერთგული ამხანაგები, ამ ნიადაგზე დიდი საქმეები შეიძლება გაკეთებულ იქნეს.

მეორე მხრით შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ დღეგანდელი კრიზისი ჩქარა გაივლის. თუ დღეს საბჭოთა მთავრობას არ ძალუძს ყველა ამ ფაბრიკა-ქარხნების, ყველა მაღაროების, ყველა რკინის გზების და სხვადასხვა ამუშავება, რომლებიც მის ხელშია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასე იქნება ბოლამდე-შიაც. სამეურნეო ასგარიშზე გადასვლასაც აწორეთ ამ კრიზისის რაც შეიძლება დაჩქარებით თავიდან აცილება აქვს თავის უმთავრეს მიზნათ დასახული. გაივლის სულ ცოტა დრო და ჩვენ დავინახავთ, რომ სოციალისტური წარმოების ფარგალი, როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო მეურნეობაში საგრძნობლათ გაფართოვდება, როცა ნთელი წარმოება ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში ფეხზე დადგება. და მაშინ, რა თქმა უნდა, ყველასათვის იქნება შესაფერი სამუშაო.

ყველაზე უფრო გასაჭირი საბჭოთა რესპუბლიკებს სწორედ ახლა აქვთ, როცა მათ უხდებათ ბრძოლა ეკონომიურ ფრონტზე, სახელმწიფო და კერძო კაპიტალიზმის ხანაში ყველაზე უფრო გიჟური კაპიტალისტური შეჯიბრების, კონკურენციის პირობებში. არ უნდა დავმალოთ ის გარემოება, რომ ბევრ ჩვენ ამხანაგებში და არა მარტო „მემარცხენეობით" შეპყრობილ კომუნისტებში, ყოველივე ეს იწვევა, როგორც ვამბობდით ზევით, გულისწყრომას და შეიძლება ეჭვსაც მთელი ჩვენი ტაქტიკის სიმართლეში საერთოდ. დასაფიქრებელი და საეალალო ბევრი გვაქვს, მაგრამ ტირილი და გოდება არ გვიხდება. ზევით დასახელებულ სიტყვაში ამბ. ლენინი, სხვათა შორის, ამბობს: „დავუშალოთ თავის თავს, შეშათა კლასს, მასსას ის, რომ ეკონომიურ დარგში 1921 წლის გაზაფხულშიაც და ახლაც შემოდგომა-ზამთარში 1921—1922 წელს, ჩვენ კიდევ განვაგრძობთ ომან დახეულს,—ეს იქნებოდა თავის თავის სრული შეეგნებლობა, უბედურებაით გამოცხადება. ეს იქნებოდა გაუბედავობა პირდაპირ შეხედო შექნილ მდგომარეობას. ასეთ პირობებში მუშაობა და ბრძოლა შეუძლებელი გახდება".

შემდეგ მას მოყავს ჯარის, არმიის მაგალითი, რომელსაც რითაც არ უნდა დაუჯდეს, დასაბული აქვს მიზნათ მტრის დამარცხება, სიმაგრის აღება. თუ ის დამარცხდა შეტევის დროს ვთქვათ, ის შეეცდება სხვა მეთოდებს მიმართოს. ის მტრის ცეცხლისათვის ალყის შემორტყმას მიმართავს, რაც ხანგრძლივ ბრძოლას და ჯარების ხელახალ გადაჯგუფებას თხოულობს. პროლეტარიატიც ჩაბმულია ასეთ ბრძოლაში, ამ უდიდეს ბრძოლის დროსაც აუცილებელია, როგორც გამარჯვებები, ისე დროებითი დამარცხებები, და ამიტომ აქ მით უმეტეს საჭიროა ერთი მეთოდის მაგიერ მეორეს მიმართოთ, შეუძლებელია ერთი დაკვრით კაპიტალიზმის ცეხის აღება, ეს რომ ასე ყოფილიყო შესაძლებელი, დიდი

ხანია უკვე მთელ ევროპაში და ამერიკაშიაც სოციალიზმი იქნებოდა დამყარებული.

აუცილებლად საჭიროა, რომ პარტიაში გამეფებული იყოს სრული სიმტკიცე, ერთსულოვნება და სიფხიზლე. მუდამ ყურს უნდა გვახსოვდეს ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსის ნათქვამი: „არც ტირილი, არც სიცილი, არამედ გაგებაო".

რუსები იტყვიან: „ცუდს კარგი მხარეც აქვსო" (Нет худа без добра).

დღევანდელ სინამდვილეშედაც ასე შეიძლება ითქვას. როგორ ცვლილებას განვიცდით? არ გამართლდა რუსეთის პროლეტარიატის ცდა ერთი შეტევით გიგანტისებურ ბრძოლაში კაპიტალიზმის დამარცხება. პროლეტარიატმა სცადა სოციალიზმის განხორციელება მოკლე გზით: მან ნაციონალიზაცია უყო თითქმის მთელ მრეწველობას უმნიშვნელო ნაწილის გარდა, გააუქმა ვაჭრობის თავისუფლება, მაგრამ სამი წლის გამოცდილებამ აშკარათ ჰყო, რომ პროლეტარიატმა ვერ გაართვა თავი რუსეთის მთელ მრეწველობას და მან ვერც ისეთი აპარატი შექმნა, რომელსაც კერძო ვაჭრობის მაგიერობა გაეწია. პროლეტარიატს ამ საქმეში გადაეღობა წინ არა მარტო ბურჟუაზია, კაპიტალისტები და მემამულეები, არა თუ მარტო ძველი მოხელეები, ინჟენერები, ტეხნიკოსები, ექიმები, პროფესორები, მასწავლებლები და სხ., არამედ თვით გლეხკაცობაც თავის წერილ-ბურჟუაზიული მოთხოვნილებებით. ყველა ამტყუნებდა და ბრალს დებდა პროლეტარიატს იმაში, რომ მან ერთი დაკვრით ვერ აღადგინა და ვერ მოაწყო, როგორც საჭირო იყო, მრეწველობა, ვერ მოაწესრიგა ვაჭრობის, გაცვლა-გამოცვლის და საგნების განაწილების საქმე და სხ. და სხვ., მაგრამ დახმარების მაგიერ, ყველანი ხელს უშლიდენ მას ამ საქმის მოგვარება-მოწყობაში.

არაეისათვის გასაკვირალი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ პროლეტარიატმა თავისი საკუთარი ძალებით დღევანდელ რუსეთში ვერ შესძლო დიადი ამოცანის წესრულება, მან განიცადა ეკონომიურ ნიადაგზე საკმარისი დიდი დამარცხება, ამას ჩვენ ვაცხადებთ ხმამაღლა, ყველას გასაგონათ. დღეს პროლეტარიატი მეორე მხრიდან უდგება საქმეს, მოწოდებულია წარმოების აღდგენის და წინ წაწევის საქმეში დასახმარებლათ სხვა ძალებიც, ამხანაგობები, კოოპერატივები და კერძო პირებიც გამოიყენონ. კოოპერატიულ და კერძო კაპიტალს გზა ეხსნება; ამასთანავე კერძო ვაჭრობაც დაშვებულია. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ კერძო მრეწველები საქმეს აჩაღებენ, ჩაკეტილი მაღაზიები კვლავ გაღებულია და ყოველგვარი საკონლით გავსებული. მაგრამ შეუმსუბუქთათ თუ არა ამით, ოდნავადაც მაინც არის, ბედი გაჭირვებულთ და დამშეულთ?

დარწმუნებული ვართ, რომ არა, და ეს ჩვენ წინათაც კარგათ ეიცოდით. როგორ იმოქმედებს კერძო წარმოების და ვაჭრობის თავისუფლება საერთოთ მუშათა მასსაზე? როგორ სულისკვეთებას დაბადებს იმ მასსაში? ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მიემართოთ შემდეგ ანალოგიას (შედარებას). ჩვენი დღევანდელი უკან დახევა (ეკონომიურ ფრონტებზე) შეიძლება შეედაროთ წითელი ჯარის უკან დახევასთან კოლჩაკის ან დენიკინის ლაშქართან ბრძოლის დროს. რა ხდებოდა მაშინ? როგორც კი წითელი ჯარი ტოვებდა რომელიმე ტერიტორიას და ეცემოდა საბჭოთა ხელისუფლება, იქ მაშინვე კოლჩაკი ან დენიკინი აფუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდა თავის ხელისუფლებას, ე. ი. აღდგენდა მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმს, ანუ ჟანდარმის და მემამულის რეჟიმს. მხოლოდ მაშინ გებულობდა გლეხ-კაცობა იმაზე, თუ რა განსხვავება ყოფილა საბჭოთა ხელისუფლებასა და კოლჩაკ-დენიკინის „წესწყობილებას" შორის. და მხოლოდ ამ გამოცდილების, მხოლოდ ამ თვალსაჩინო გაკვეთილის შემდეგ რუსი გლეხ-კაცობა გადაჭრით ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი მომხრე.

ასევე მოხდება ახლაც. მუშათა მასსა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ის მასსა, რომელიც საბოლოოდ არაა მენშევიზმით მოწამლული, უეჭველია, ამ ცოცხალ მაგალითზე ადვილათ დარწმუნდება იმაში, რომ მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ე რ თ ა დ-ე რ თ ი გ ზ ა და ე რ თ ა დ-ე რ თ ი ს ა შ უ ა ლ ებ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს დ ა მ ა რ ც ხ ებ ა და გ ა უ მ ა ძ ღ ა რ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს მ ო ს ა პ ო ბ ა ა. და აქედან დასკვნა: როგორც ლარიბ-ლატაკი გლეხ-კაცობა შველოდა წითელ ჯარს თეთრგვარდიელების დამარცხებაში, ისე მუშათა კლასმა უნდა აქტიურათ დაეხმაროს კომუნისტურ პარტიას ლა საბჭოთა ხელისუფლებას კაპიტალიზმის ციხის აღებაში, იქნება ეს ერთი მედგარი შეტევის საშუალებით, თუ ხანგრძლივი და შეუპოვარი ალყის შემორტყმის გზით. მაგრამ ეს დახმარება თხოულობს შესაფერ დონეს და შესაფერ გამოცდილებას. ლენინი თავის საპასუხო სიტყვაში მოსკოვის იმავე კონფერენციაზე აღნიშნავს, სხვათა შორის, ასეთ ფაქტს: როცა იგი თავის სიტყვაში ურკვევდა ამხანაგებს ვაჭრობის, ყიდვა-გაყიდვის და საერთოთ ფულის ტრიალისთვის დიდი ყურადღების მიქცევას მთელი ამ აპარატის ხელში ჩასაგდებათ, მან მიიღო ერთი ბარათი, ამხ. სიმკოვის მიერ ხელმოწერილი, რომელშიაც ეწერა: „საპყრობილეებში ჩვენ ვაჭრობას არ ვსწავლობდითო"!

ამხანაგებმა იციან, თუ რა პასუხი გასცა ლენინმა ამხ. სიმკოვის შეკითხვაზე, და აქ ამ პასუხზე მკითხველის ყურადღებას ჩვენ არ შევაჩერებთ. მართლა სად გვქონდა ჩვენ ვაჭრობის და სხვა ასეთ რამეების შესწავლის დრო. ამხ. სიმკოვმა ამ შემთხვევაში მწარე სინამდვილე გამოამჟღავნა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მას ვაჭრობის უცოდინარობა მიაჩნია დიდ ღირსებათ თუ არა, დიდ დამსახურებათ მაინც. პირადათ მეც თბილისში პარტიულ კრებაზე არა ერთხელ მიმღია ასეთივე შეკითხვები. საუბედუროთ ჩვენ ამხანაგებს აქამდის ვერ შეუგნიათ ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი მარცხის უახლოესი მიზეზები: ე ს ა ა ჩ ვ ე ნ ი გ ა მ ო უ ც დ ე ლ ო ბ ა, ჩ ვ ე ნ ი ნ ო უ მ ზ ა დ ე ბ ლ ო ბ ა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ცხოვრებაში. თუ გვინდა ჩვენ ბურჟუაზიის მოსპობა და სოციალიზმის დამყარება, ჩვენ იმ იარაღით, იმ ცოდნით, იმ გამოცდილებით უნდა აღვიჭურვოთ, რომლითაც აღჭურვილი და შეიარაღებულია ბურჟუაზია; უამისოთ იგი ჩვენ კიდევ არა ერთხელ დაგვამარცხებს. Клин клином вышибают. (პალოს ამოღება პალოთიეე შეიძლებაო) ამბობს რუსული ანდაზა. ასევეა ამ შემთხვევაშიც. ვაჭრობა უნდა ვისწავლოთ ჩვენ არა თავისი თავის გასაძლიერებლათ, არამედ იმ აპპარატის დასაპყრობათ, რომელიც დღეს ბურჟუას უჭირავს ხელში და რომლის საშუალებით იგი ჩვენ გვამარცხებს, რათა შემდეგში ჩვენ შეუსძლოთ ბურჟუაზიის საკუთარი დამარცხება. სხვათა შორის, ამაში ვხედავთ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ერთ დიდ მნიშვნელობას "[6]).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხის ერთი დიდი ნატვრის განხორციელება

(ოზურგეთის რკინის გზის გახსნის გამო)

ბევალ, 1923 წლის დეკემბრის 26-ს, ოზურგეთის რკინის გზის ზეტოზე იხსნება მიმოსვლა. ეს თარიღი დიდხანს დარჩება კიდეე ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში. ორმოცი წელიწადია, რაც გურიის ხალხი აწეოდ მოელოდა ამ გზას. როცა გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებში წყეული მეფის მოხელეებს გაეავდათ ბათომის შტო, გურული გლეხკაცობის ინტერესები გათელილი და გადალახული იქნენ. მთელი ამ ხანის განმავლობაში ამ დანაშაულის გამოსწორება არ მოხერხდა არც მეფის მთავრობის და არც მენშევიკების ბატონობის დროს. და როცა ამ ოცდა-ექვსი წლის წინეთ მე ვწერდი [1]) ოზურგეთის რკინის გზის ბედზე, მე ის აზრი გამყავდა მაშინ, რომ გურული გლეხკაცობა დეე ნურავისზე ამყარებს თავის იმედებს, გარდა თავისი საკუთარი თავისა. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს წინასწარმეტყველება სისწორით გამართლდა: ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ოზურგეთის რკინის გზა გააკეთა თვით მშრომელმა ხალხმა თავისი მუშურ-გლეხური მთავრობის და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დახმარებით.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ არავის არ შეუძლია რკინის გზის მნიშვნელობის დაფასება ისე, როგორც თვით მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს. და ეს ყველაზე უფრო უნდა ითქვას გურიის გლეხკაცობაზე, რომელიც თავისი პოლიტიკური შეგნებით, განვითარებით და მომზადებით გაცილებით მაღლა სდგას საქართველოს სხვა მაზრების გლეხკაცობასთან შედარებით. სადგ. ნატანებსა და ოზურგეთ შორის, რაღაც 18 ვერსის მანძილზე, რკინის გზის გაკეთება ერთი შეხედვით თითქო არაფერია, უმნიშვნელო რამეა; მაგრამ ჩვენ არ ვტყუვდებით, როცა ამას ჩვენ დიდ საქმეთ ვთვლით. მართალია, ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგანაც ეს გზა ვერ გაჩერდება იმ წერტილზე, სადამდის ის დღეს მიყვანილია, მაგრამ ეს ისეთი დასაწყისია, რომლის მეოხებით მთავარი დაბრკოლება უკვე დაძლეულია. ოზურგეთის რკინის გზის გაკეთებით ფართო და მკვიდრი საფუძველი ეყრება მთელ გურიაში საბჭოთა ხალხურ აღმშენებლობას. გზა უნდა გაგრძელდეს, უნდა დაუახლოვდეს აღმოსავლეთ გურიის სოფლებს და გურიის ფლრან ტყეებს. ხალხს, მშრომელ ბასსას გაუადვილდება მიმოსვლა ერთი მხრით, და სოფლის მეურნეობის გატანა ბაზარზე, მეორე მხრით. ამას მოყვება სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება, ძვირფას მცენარეების (ჩაის, აბრეშუმის, თამბაქოს, მანდარინის და სხვ.) გაშენების ზრდა. ამავე დროს გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის ხალხის წინაშე სდგას ახლავე მდინარეების მუქთა ძალის გამოყენება ელექტრონული ენერგიის სახით (ელექტროფიკაცია); ელექტრონული სინათლე, რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეიპრას გურიის ყველა სოფლებში (ქალაქებზე ალარ ვლაპარაკობთ) და ამან უნდა გაანათოს სულ ღღარიბესი გლეხის ქოხიც კი. მაგრამ იგივე მუქთა ძალა აამუშავებს და აამოძრავებს სულ ახლო მომავალში იმავე გურიაში ხე-ტყის და სხვადასხვა მადნეულობათა ქარხნებს და სახელოსნოებს. ყოველივე ეს სულ ახლო მომავალში მეტად საგრძნობლად ასწევს ბაღლა გურული გლეკაცობის ნიეთიერ მდგომარეობას, რაც თავის მხრით ერთი ათად და ერთი ასად გააძლიერებს და წინ წასწევს გურიის მშრომელი მასსის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, მის შეგნებას, აღზრდას, სწავლა-განათლებას და სხვ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს და დააჩქარებს სოციალისტურ აღმშენებლობას და შემოქმედებას.

აი მოკლეთ გურიის სურათი სულ ახლო მომავალში. დაახლოვებით ასეთივე სურათის მთელი საქართველოსი და საერთოდ ყველა საბჭოთა ქვეყნების. ამ სურათში არაა არც ერთი ნამცეცი გაზვიადება, ან ოცნება, ფანტაზია ან უტოპია, ესაა ნამდვილი, საღი სინამდვილე. ჩვენ არა გვწამს ის, არამედ ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავისი საკუთარი ხელებით, თავისი საკუთარი მუშაობით ვქმნით ამ სინამდვილეს. ერთი თვალსაჩინო საბუთი ამ სინამდვილისა—ეს ოზურგეთის რკინის გზაა, თითქმის არავის სჯეროდა მისი განხორციელება, მისი სინამდვილეთ ქცევა. მაგრამ ის უკვე ფაქტია. დღე ნურავინ იფიქრებს, რომ ყველა ეს ხელების გაუნძრეველათ და ან ადვილათ გაკეთდებოდა. დღე, ყველამ იცოდეს, რომ ეს მოითხოვს დიდ ჯაფას, დიდ შრომას, ვიტყვი კიდევ მეტს: ეს თხოულობს დიდ ბრძოლას, დიდ თავგანწირვას და დიდ მსაერბლსაც ჩვენგან. მაგრამ წყეული იყოს ის, ვინც შეუშინდება ამ ბრძოლას და ამ თავგანწირვას. ამხანაგებო, გურიის გლეხებო, დღეს თქვენთან ერთად ოზურგეთის რკინის გზის გახსნას ზეიმობს მთელი საქართველოს მშრომელი მასა, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა. თქვენთან ერთად ამ თქვენ სიხარულს ისინიც იზიარებენ მით უფრო, რომ იმათაც უძეთ წილი, როგორც ზნეობრივი, ისე ნიეთიერი, ამ დიდი საქმის დაგვირგვინებაში. მხურვალედ გილოცავთ დღევანდელ გამარჯვებას და გისურვებთ მომავალში მრავალ ასეთ გამარჯვებას.

მხურვალე სალამი ოზურგეთის რკინის გზის მკეთებლებს, იმ მუშა-გლეხებს, რომლებმაც თავის ოფლით მორწყეს მისი ლიანდაგი, და აგრეთვე ამ მუშაობის ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ საქმისათვის არ ზოგავდენ თავის ჯაფას, ცოდნას და გამოცდილებას.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა აღმშენებლობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაზეთი „კომუნისტი",
1923 წლის 25 დეკემბერი,
№ 297.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზა-ტკეცილის გაკვანა ზემო-სვანეთში

(ბჟანეშის ველოგვიანის ჩაბმულობის გამო ჯალილისში)

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ზემო-სვანეთი თავისი დაახლოებით*) 30.000 სული მცხოვრებით სრულიად მოწყვეტილი და გადაკარგული კუთხეა მთელ საქართველოში. მხოლოდ ზაფხულობით, 4-5 თვის განმავლობაში, და ისიც, რა თქმა უნდა, დიდის გაჭირვებით და ვაივაგლახით შესაძლებელია ამ კუთხესთან მიმოსვლის დაჭერა. ეს აიხსნება, რასაკვირველია, სრული უგზოობით. ზემო-სვანეთი მდებარეობს კავკასიონის მთების კალთებზე სამხრეთით მდინარე ენგურის ვიწრო ხეობაში. იქ, საიდანაც ეს მდინარე ღებულობს დასაწყისს, ის შემორტყმულია ირგვლივ მაღალი მიუდგომელი მთებით, და აქვს ერთად ერთი გამოსავალი მდინარე ენგურის გაყოლებით, რომელიც, ჩამოდის რა სვანეთიდან, გაივლის სამეგრელოში (ხუგდიდის მაზრა) და უერთდება შავ ზღვას. ამ მდინარეს ნაპირს მიყვება საცალფეხო გზა, თუ მას შეიძლება ეწოდოს ეს სახელი, გზა, რომელზედაც ზაფხულობით შეიძლება ფეხით ან ცხენით სიარული. ამ გზაზე სიარული ზაფხულობითაც დიდი გაბედულებაა და სხვა დროს ეს ხომ პირდაპირ თავის განწირვაა. ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი დაღუპულა და იღუპება ამ ოხერ გზაზე. ტყუილა კი არ ამბობენ, რომ ვინც სვანეთისკენ განიზრახავს გამგზავრებას ან იქიდან წამოსვლას მან წინდაწინ ანდერძი უნდა დატოვოსო.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, სვანები მაინც იძულებული არიან იმგზავრონ ამ გზით. ისინი ცხოვრობენ ბუნების მხრით მეტათ მძაფრ და სასტიკ პირობებში. ზემო-სვანეთი წარმოადგენს მეტათ მაღალ და, მაშასადამე, ცივ ადგილმიდამოს, სადაც ჰური და სიმინდი ვერ ასწრებს დამწიფებას და სადაც ალაგ-ალაგ თესვენ მხოლოდ ქერს. ამიტომ მცხოვრებლები უმთავრესათ მისდევენ საქონლის მოშენებას. მაშასადამე, სვანებმა რომ თავი გამოკვებონ, იმათ აუცილებლათ უნდა შემოიტანონ საიდანაც იქნება სურსათი, უმთავრესათ სიმინდი. ეს „საიდანაც", რა თქმა უნდა ისევ ის საცალფეხო გზაა**), რომელზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი. ახლა თქვენ შეგიძლიათ, რამოდენიმეთ მაინც წარმოიდგინოთ, თუ რამდენი წვალება და ტანჯვა უნდა განიცადონ სვანებმა სურსათის გადატანის დროს იმ გზაზე, რომელზედაც დაუტყორთავ ცხენსაც კი უჭირს სია-

*) აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემო-სვანეთის სტატისტიკური აღწერა არ მომხდარა, არც წინეთ, არც საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამის შესახებ სვანები სამართლიანად ჩვისაყვედურებენ, რომ სხვაგან საქონელს, ე. ი. პირუტყვს, თითქმის ქალმენსაც კი სთვლით, და ჩვენში კი ადამიანებიც არ არიან ნაკვარაუდევი და დათვლილი.

**) ამავე მიზნით სვანებს ბზირათ უხდებოდათ აგრეთვე გადალახვა, კიდევ ცუდი მეტი გაჭირვებით და წვალებით, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთისკენ თვით კავკასიონის ულელტეხილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ სვანები ჩვენს გვერდით მეოცე საუკუნეშიაც ცხოვრობენ პირველყოფილ პირობებში, კულტურულათ, სწავლა-განათლებით როგორც ძალზე ჩამორჩენილი ხალხი რომელიმე მივარდნილ კუნძულზე. მართალია, საქართველოში არის კიდევ სხვა მივარდნილი კუთხეები, როგორც, მაგ. ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, სამხრეთ-ოსეთი და რამდენიმეთ აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი ამ კუთხეთაგანი ამ მხრით ზემო-სვანეთს ვერ შეედრება. მთელ ზემო-სვანეთში არ მოიპოვება არც ერთი უბრალო სავაჭროც. მრავალ საყოველთაოთ სახმარ ნივთს, როგორც, მაგ., ნავთს, საპონს, ასანთს (სპიჩკა) და სხვა ასეთებს სვანეთში ვერსად იპოვნით, წამლათაც რომ დაგჭირდეთ.

უნდა ითქვას, როს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბევრი ნაბიჯი იქნა გადადგმული საბჭოდა ხელისუფლების მხრით ზემო-სვანეთთან დასაახლოვებლათ. ეჭვს გარეშეა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გულწრფელად მოიწადინა ამ კუთხესთან დაახლოვება და მასთან მჭიდრო კავშირის შექმნა, რათა ზემო-სვანეთის გლეხობა იხსნას გაჭირვებისაგან, გამოაფხიზლოს და გამოიყვანოს სიბეჩავისა და სიბნელისაგან. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ცენტრალური მთავრობა შეძლებისადაგვარად უწევს სხვადასხვა დახმარებას სვანეთის ხალხს, თითქმის ყველა 15 თემში გახსნილია სკოლა, ორ ადგილას მუშაობს სამკურნალო დაწესებულება და სხვა.

ყოველივე ეს მზრუნველობა არ შეიძლებოდა რომ არ ეგრძნოთ თვით სვანებსაც. იმათ პირველათ დაინახეს მთავრობის მხრით ასეთი დახმარება და მზრუნველობა და ამიტომაც ისინი დარწმუნდნენ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება მართლაც მოწადინებულია მათ გაუწოდოს ძმური ხელი დასახმარებლათ. ამას მოწმობს ყველაზე უფრო ზემო-სვანეთიდან ტფილისში ჩამოსული დელეგაცია 35 კაცისაგან შემდგარი. ამ დელეგაციამ თან მოიტანა სხვადასხვა შუამდგომლობა მთელი ზემო-სვანეთის ხალხისა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

სვანები გრძნობენ თავის უმწეობას, თავის დაბეჩავებას და უკან ჩამორჩენას, და ისინი მონდომებული არიან თავი დაახწიონ ამ მდგომარეობას, მაგრამ თავისი საკუთარი ძალით არ ძალუძთ აქედან გამოსვლა. და ამიტომ ისინი ემუდარებიან საქართველოს მთელ მოსახლეობას და მის მთავრობას გაუწოდონ მათ ძმური ხელი და დაიხსნან ისინი იმ გაჭირვებისაგან, რომელშიაც ისინი აქამდის იმყოფებიან. სხვადასხვა საგანს ეხება სვანების შუამდგომლობა, ახალი სკოლების გახსნას, საექიმო დაბეარების გაფართოებას, ღარიბ მოწაფეების დახმარებას, სამაზრო დაწესებულებებისათვის შენობის აგებას და სხვ. მაგრამ არის ყველა ამ შუამდგომლობათა შორის ერთი მთავარი საგანი, ესაა ზემო-სვანეთის გზა-ტკეცილის გაყვანა, უომისოდ ფუჭია სხვა საგნებზე ზრუნვა. თუ ზემო-სვანეთში გზატკეცილი არ იქნა გაკეთებული, შეუძლებელი იქნება ზემო-სვანეთის დაახლოვება და იქ რაიმე ცვლილების შეტანა.

ჩვენ ვამბობთ გადაჭრით ეს გზა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, რათაც ის არ უნდა დაჯდეს. ამ გზას სიგრძე ექნება სულ ასი ვერსი;

აქედან 30 ვერსი ხუგდიდის მაზრაშია. დანარჩენი 70 ვერსი თვით ზემო-სვანეთში, ერთი ბოლო ექნება სოფ. ჯვარში (ხუგდ. მაზ.), მეორე კი ბეჩოში (ზ. სვანეთი). ყოველგვარი მასალა, (ქვა, ხე-ტყე და სხვა) გარდა რკინეულობისა და ცემენტისა, უხვად მოიპოვება ადგილობრივ.

საჭიროა რამოდენიმე სიტყვის თქმა ამ გზის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობაზე. თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ გზას თვით ზემო-სვანეთის მცხოვრებთათვის როგორც ეკონომიურად, ამაზე ლაპარაკი, ვგონებ, მეტია, მაგრამ ჩვენ უნდა მივუთითოთ ზემო-სვანეთის გზატკეცილის საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზედაც. მე ვამბობ, რომ ამ მნიშვნელობის საესებით გათვალისწინება დღეს შეუძლებელია. მართალია, ზემო-სვანეთი დღეს საქართველოში ყველაზე უფრო დაშორებული და მივარდნილი კუთხეა; მართალია იქ სასტიკი და მძაფრი ბუნებაა, მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ, მიუხედავად ყველა ამისა, რომ ეს კუთხე ერთი უმშვენიერესი და შეიძლება უმდიდრესი კუთხეა არა თუ მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიის აქეთა ქვეყანაში. უპირველეს ყოვლისა ზემო-სვანეთი მდიდარია შესანიშნავი ტყით, რომლის ბადალი ჩვენში არსად არ მოიპოვება: ამავე დროს მას ახლავს საუკეთოვო საზაფხულო ალპიური საძოვრები, სადაც ზაფხულობით წვიძლება გადენილ იქნას საქონელი სამეგრელოდანაც. შემდეგ ზემო-სვანეთი მდიდარია როგორც სხვადასხვაგვარი მინერალური (სამკურნალო) წყლებით, ისე სხვადასხვა მადნეულობითაც. სამწუხაროდ, ზემო-სვანეთის მინერალური სიმდიდრე ჯერ სრულებით გამოუკვლეველი და უცნობია. შეგვიძლიან ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ეს სწორედ ის ქვეყანაა, რომელსაც ეხება ძველ ბერძნების გადმოცემა ოქროს ვერძზე. ამ გადმოცემას აქვს საფუძველი. როგორც ოქროს და ვერცხლის, ისე სხვა მადნების ნიშნები ხშირია დღესაც ზემო-სვანეთში. ყველა ამას მიუმატეთ ზემო-სვანეთის ბუნების მართლაც ზღაპრული და თვალწარმტაცი სილამაზე და სიმშვენიერე, რომლის მსგავსს ვერსად ვერ ნახავს ადამიანი მთელ ჩვენ ქვეყანაში. თუ ზ. სვანეთში გაყვანილი იქნა გზატკეცილი, მის სანახავად და დასათვალიერებლად ასობით და ათასობით წავლენ უცხოელი მგზავრებიც. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს იმავე დროს ძველისძველი ხალხის სვანების-ქვეყანაა, რომელზედაც ასე ბევრი უწერიათ ძველთ ბერძნების და რომაელების მწერლებს. ის აქამდის წარმოადგენს ჩვენთვის დაბურულ წიგნს.

დასასრულ, მდინარე ენგურზე სულ ადვილი იქნება ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგება, რომელიც სულ ადვილათ მოგვცემს ელექტრონულ ენერგიას მთელი ზემო-სვანეთის გასანათებლათ და აგრეთვე ხე-ტყის ქარხნების, აბანოების, წისქვილების და სხვ. ასამუშავებლათ. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ეს გზა გაყვანილი იქნა, სახელმწიფო შესძლებს ზემო-სვანეთის მდიდარ ბუნების გამოყენებას ყოველმხრივ. დღემდის ეს სიმდიდრე სრულებით ხელუხლებელია და გამოუყენებელია.

შეიძლება ჩვენ გვითხრან: ყველაფერი ეს მართალი და დასაჯერებელია, მაგრამ აბა დაგვისახელეთ ის წყარო, საიდანაც შესაძლებელი იქნება დასახელებული გზის გაყვანა, ეინაიდან მარტო ლაპარაკით ხომ საქმე არ გაკეთდებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა როცა მე დღეს ზემო-სვანეთის გზა-ტკეცილის გაყვანაზე ვლაპარაკობ, მსედველობაში მაქვს სწორედ ამ საქმის პრაქტიკული განხორციელება პირველ რიგში, ისე მე ამაზე ლაპარაკს არ დავიწყებდი. თავისთავად იგულისხმება, რომ ერთ წუთსაც არ ვივიწყებ იმას, რომ ჩვენ გარდა ამისა სხვა ბევრი ფრიად საჭირო საქმეები გვაქვს გასაკეთებელი; მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც ვაყენებ ზემო-სვანეთის გზის გაყვანას პირველ რიგში და ვამბობ, რომ ამ გზის გაკეთება შესაძლებელია. მხოლოდ უნდა შეუდგეთ საქმეს. საშუალება იშოვნება, თუმც ჩვენი სახელმწიფო ღატაკია. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახით უნდა დაუყოვნებლივ ხელი მოკიდოს ამ საქმეს და გაიღოს თავისი წვლილი. მას დაეხმარება, რა თქმა უნდა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოც, და როგორც ერთის, ისე მეორეს თანხმობით წინადადება უნდა მიეცეს ყველა ეკონომიურ კომისარიატებს და სამეურნეო ხასიათის დაწესებულებებს გაიღონ ამ საქმისათვის თავთავიანთი წვლილი. მე ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თუ ყველა კომისარიატები და დაწესებულებანი სავსებით გაითვალისწინებენ ერთი მხრით ზემო-სვანეთის ყოვლად უმწეო მდგომარეობას და მეორე მხრით იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ექნება გზა-ტკეცილს როგორც თვით სვანეთისათვის, ისე მთელი სახელმწიფოსთვის, ისინი არ დაიშურებენ ამ საქმისათვის ნივთიერ დახმარებას.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა აღვძრათ საზოგადოებაში და პრესაში ფართო აგიტაცია ამ გზის გარშემო, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მრავალი საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებები და აგრეთვე კერძო პირებიც გაიღებენ ამ საქმისათვის შეწირულებებს.

იტყვიან, რომ შეუძლებელია ასეთი საქმის დაწყება იმ იმედით, რომ შემოწირულებები იქნებაო. ჯერ მოგვეცით სწორი ხარჯთ-აღრიცხვა, დაგვისაბელეთ უტყუარი წყარო და ეხოლოდ მაშინ შეიძლება საქმეს შეუდგეთო. მე კი ვამბობ, ასე საკითხის დაყენება ნიშნავს ზემო-სვანეთის გზატკეცილის გაკეთების დიდი ხანით გადადებას. მაგრამ ეს შეუძლებელია. და ეს რომ ასე არ მოხდეს, აუცილებლათ საჭიროა განსაზღვრული გეგმით საქმის პრაქტიკულათ დაწყება მანამ, სანამ ჩვენ წინდაწინ გვექნება გადადებული ამისათვის საჭირო თანხა. ასე გავაკეთეთ ჩვენ სხვა საქმეები და გავაკეთებთ ამასაც.

მართლაც, რასა გავს ჩვენი მდგომარეობა, ერთი იკითხოს ვინმემ: ჩვენ ურთიერთობა და მიმოსვლა გვაქვს ისეთ ქვეყნებთან და ქალაქებთან, რომლებიც დაშორებულია ჩვენგან რამოდენიმე ათასი ვერსით და იმავე დროს ჩვენ მოწყვეტილი ვართ ჩვენ მეზობელ და მოძმე ხალხთან, რომელიც ზედ გვაკრავს. ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოელოს. საბჭოთა ხელისუფლება მეტს ვეღარ მოითმენს ასეთ მდგომარეობას. უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ არსებობს გერი და ის თანასწორათ ხრუნავს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ნაწილებზე.

და ამას დავამტკიცებთ.

გაზ. „კომუნისტი“.
1923 წლის 30 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.-კ. ს. ფ. ს. რ.

სახელმწიფო საგეგმო კომისია

ფილიპე მახარაძე

გეგმიანი მეურნეობა
და
სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამოცანები

გამოცემა
ა.-ვ. ს. ფ. ს. რ. სახელ. საგეგმო კომისიისა № 1.
ტფილისი — 1924

(1924 წლის გამოცემის გარეკანი)

გეგმიანი მეურნეობა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამოცანები.

„ყოველი დასაწყისი ძნელია,
—ეს ჭეშმარიტება სამართლიანია ყველა მეცნიერებისთვის".
კ. მარქსი.

რას წარმოადგენს საერთო სახელმწიფო საგეგმო კომისია („გოსპლანი"), რომელიც შეყვანილია დღეს ჩვენს საბჭოთა დაწესებულებების წრეში, და როგორია მისი ამოცანები?

ამ კითხვებს გვიყენებენ ჩვენ დღეს ყოველგან.

არა მარტო მუშებისა და გლეხების ფართო მასებს, არამედ პასუხისმგებელ ამხანაგების უფრო ვიწრო წრეებსაც კი ამ ორგანოს შესახებ საკმაოთ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ეს აიხსნება მით, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამ წელიწადზე მეტ მუშაობას გაცნობილია მხოლოდ ამხანაგების მეტად ვიწრო წრე, მასზე ლაპარაკობენ და სწერენ ძალიან ცოტას,—ერთი სიტყვით, ამ მუშაობას არ უშვებიან პოპულიარიზაციას. ამავე დროს კი ის დღევანდელ ხანაში მეტად დიდმნიშვნელოვანია, და მისი ეს მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო გაიზრდება, ყოველ შემთხვევაში, სრულ იმ მომენტამდე, როდესაც სოციალისტური მეურნეობა განხორციელებული იქნება უკვე სავსებით. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობა დღეიდან ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს დაყენებული. არსებობს მთელი სპეციალური ლიტერატურა საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის შესახებ—შრომები, ბიულეტენები და სხვა სპეციალური გამოცემები მის მუშაობის შესახებ,—მაგრამ ყველა ეს ძნელი მისაწვდომი ან და თითქმის სრულიად მიუწვდომელია ფართო მასებისათვის; ხოლო საერთოდ პრესაში გარდა მოკლე ცნობებისა საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის პრეზიდიუმის სხდომების შესახებ, მის მუშაობაზე თითქმის არაფერი არ არის, თვითონ საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის (მე სახეში მაქვს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისია) მუშაკები კი ჩაფლული არიან თავიანთ სპეციალურ მუშაობაში და ძალიან იშვიათათ თუ ვინმე მათგანი გამოდის პრესაში წერილებით საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის მოღვაწეობის შესახებ. ამბ. ამბ. კრეიანოვსკის[39]), სტრუმილინის[40]), გრომანისა[41]), და სხვების შრომები უმეტეს შემთხვევაში მიუწვდომელია მასებისათვის; ყოველ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხზულებაში ფითქმის ყველა მათი მოხსენებები, ნაწერები, ბროშურები და სხვა იწერება მკითხველების განსაზღვრული წრისთვის. ამავე დროს კი, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, დღეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასებისთვის არ შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საინტერესო სამუშაო, ვიდრე არის საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის სამუშაო, და ამ სამუშაოს პოპულიარიზაცია უნდა გაუწიოთ ხალხის ფართო მასებში.

მე წილად მხვდა საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ამიერ-კავკასიის მასშტაბში[12]), ამოცანა ძნელია და საპასუხისმგებლო, და მე ვგრძნობ, რომ ის აღემატება ჩემს ძალღონეს. მაგრამ მე მაინც დიდი აღფრთოვანებით ვკიდებ მას ხელს, ვინაიდან უწინარეს ყოველისა იმედი მაქვს იმის, რომ საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის ვებერთელა მუშაობაში ჩათრეული იქნებიან ახალი ცოცხალი ძალები, რომლებიც აგრეთვე აღფრთოვანებით მოკიდებენ ხელს ამ უდიდეს და მნიშვნელოვან საქმეს.

მაგრამ, საბედნიეროთ, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც თითქმის სანახევროთ, თუ უფრო მეტად არა, აადვილებს ჩვენს ამოცანას. ჩვენ ვიწყებთ აქ, ამიერ-კავკასიაში ამ მუშაობას იმ დროს, როდესაც უკვე გვაქვს საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის მუშაობისა და პრაქტიკის ორ წლისაზე მეტი გამოცდილება რუს სოც. ფედ. საბჭ. რეს. მასშტაბით. ჩვენ არ გვიხდება ყველაფრის ხელახლა დაწყება, ანდა განმეორება იმ შეცდომებისა, რომლებიც აუცილებელი იყო დასაწყისში, როდესაც ჩვენ გვიხდებოდა სვლა ჯერ კიდევ სრულებით გაუტკეპნელი გზით.

მე ვამბობ, რომ საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას უკვე აქვს თავისი ჭკუის მასწავლებელი ისტორია, თუ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში არა, ყოველ შემთხვევაში, რუსეთში მაინც, და საჭიროა ამ ისტორიასთან გაცნობა თუ გინდ მოკლეთ, სანამ ჩვენ ლაპარაკს დაიწყებდეთ საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის ამოცანების შესახებ ჩვენში.

როგორც ყველამ იცის, მშრომელთა მასების მიერ რუსეთში სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობა 1917 წლის ოქტომბერში სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ეს მასები ამაზე შეჩერდებოდენ. პირიქით, სახელმწიფო ხელისუფლება იყო მხოლოთ იარაღი, წინასწარი პირობა, ერთი მხრით, კაპიტალიზმის ლიკვიდაციისათვის, და მეორე მხრით, მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე მოწყობისათვის. რასაკვირველია ოქტომბრის რევოლიუციის ბელადებს მშვენივრათ ესმოდათ, რომ სოციალისტური მეურნეობა ისეთ მეტად ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი, არ შეიძლებოდა შემოღებული ყოფილიყო უბრალო დეკრეტით. ჯერ ერთი, ეს ქვეყანა იყო გლეხური, სადაც სპარბობდა წვრილი და საშვალო გლეხური მეურნეობა, რომელიც ისერებოდა შედარებით უმნიშვნელო ქალაქის პროლეტარიატისა და მსხვილ-კაპიტალისტურ ბურჟუაზიის წრეებით. მეორეთ, ოქტომბრის რევოლიუციის ხანებში ის უკვე დაყენილ იქნა არევ-დარევის უკანასკნელ წერტილამდე, ე. ი. მრეწველობა (ფაბრიკები და ქარხნები), ტრანსპორტი (უმთავრესათ რკინის გზები) და სასოფლო მეურნეობა დაშლილი და დანგრეული იყო, თუ სავსებით არა, ყოველ შემთხვევაში, სანახევროთ მაინც. რევოლიუციამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს დაშლა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანგრევა. ცხადია, ასეთ პირობებში უშუალოთ გადასვლაზე სოციალისტურ მეურნეობისაკენ, ე. ი. ისეთი მეურნეობისაკენ, რომელიც მოწყობილი იქნებოდა განსაზღვრული გეგმის მიხედვით, არც შეიძლებოდა ფიქრი. მაგრამ ეს გარემოება არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ოქტომბრის რევოლიუციით დაიწყო ჩვენში სოციალისტური გადატრიალება. სოციალიზმის დაუფონებლივ შემოღებაზე ცხოვრებაში არც შეიძლებოდა ფიქრი, მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციის თვით დაწყებიდანვე აღებულ იქნა გაბედული კურსი სოციალიზმისაკენ. უწინარეს ყოვლისა მოსპობილ იქნა კერძო საკუთრება მიწაზე. მიწა გამოცხადებულ იქნა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საკუთრებათ და გადაცემულ მშრომელთა სარგებლობაში. დღის წესრიგში იდგა საკითხი ბანკების, რკინის გზებისა და საზოგადოთ ტრანსპორტის, მსხვილი ფაბრიკებისა და ქარხნების ნაციონალიზაციის შესახებ. ხოლო, როგორც წინასწარი ზომა შვა სადგურის სახით კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ, მიღებულ იქნა საყოველთაო ანგარიშზე აღების და კონტროლის დაწესება წარმოებასა და მოსახმარი საგნებისა და საწარმოვო საშვალებების განაწილებაზე. მაგრამ აქ ჩვენ ვეხეჩებოდით თითქმის გარდუვალ წინააღმდეგობას ვებერთელა წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის მხრით, რომელიც სრულებით არ შეიძლებოდა მოქცეული ყოფილიყო რაიმე კონტროლის ქვეშ და მით უმეტეს ანგარიშზე აყვანილი.

კითხვა იბადება: როგორ იყო წარმოდგენილი მაინც გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ?

რომ ეთმსჯელოთ ამაზე, მე დავიმოწმებ აქ ამხ. ლენინის ერთ ბროშიურას, რომელიც გამოვიდა დაახლოვებით 1918 წელს მაისში, ამ ბროშიურის სათაურია: „მემარცხენე ბავშობასა და წვრილ-ბურჟუაზიულობაზე". აქ ჩვენ სხვათა შორის, ვკითხულობთ: „სახელმწიფო კაპიტალიზმი იქნებოდა ნაბიჯის გადადგმა წინ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში დღეს არსებულ საქმეთა ვითარების წინააღმდეგ: რომ, მაგალითად, ნახევარი წლის შემდეგ ჩვენში დაწესდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი, ეს იქნება უდიდესი წარმატება და ყველაზე უფრო საიმედო გარანტია იმისი, რომ ერთი წლის შემდეგ ჩვენში საბოლოოთ განმტკიცდება და უძლეველი გახდება სოციალიზმი". მიაქციეთ ყურადღება ამხ. ლენინის სიტყვებს: „რომ, მაგალითად, ნახევარი წლის შემდეგ ჩვენში დაწესდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი" და სხვ. მაშასადამე, იმ მომენტში, როდესაც ლენინი სწერდა ამ სიტყვებს, სახელმწიფო კაპიტალიზმი რუსეთის პირობებში მისთვის იდეალი იყო. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს „იდეალი" ხორციელდება არა ნახევარი წლის, არამედ მთელი სამი წლის შემდეგ, ვინაიდან 1918 წლის ზაფხულიდან ახალი სიძლიერით გაჩაღებულმა სასტიკმა სამოქალაქო ომმა შეუძლებელი გახადა სახელმწიფო კაპიტალიზმის დაწესება და განვითარება, რომლის მაგივრათ ცხოვრებაში გამოწვეულ იქნა სამხედრო კომუნიზმი. სამხედრო კომუნიზმის ყველაზე უფრო სწორი დახასიათება და ყველაზე უფრო სამართლიანი დაფასება მოგვცა ჩვენ ისევ ლენინმა. მისი სიტყვებით, სამხედრო კომუნიზმი მდგომარეობდა იმაში, „რომ ჩვენ ვიღებდით გლეხებისაგან ყველა ზედმეტს და ხანდახან თითქმის არა ზედმეტსაც, ხოლო გლეხისთვის აუცილებელი სურსათის ნაწილი კი მიგვქონდა არმიისა და მუშების გამოსაკვებათ საჭირო ხარჯების და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფარავათ... სხვანაირათ მემამულეებისა და კაპიტალისტების დამარცხება გავერანებულ წვრილ გლეხურ ქვეყანაში ჩვენ არ შეგვეძლო"... „სამხედრო კომუნიზმი—ამბობს შემდეგ ლენინი—გამოწვეული იყო ომისა და გავერანების მიერ. ის არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პროლეტარიატის პოლიტიკის სამეურნეო ამოცანა. ის იყო დროებითი ზომა. სწორი პოლიტიკა პროლეტარიატისა, რომელიც ანხორციელებს თავის დიქტატურას წვრილ გლეხურ ქვეყანაში, ეს არის პურის გაცვლა მრეწველობის ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც აუცილებელია გლეხობისათვის"...

ეს იწერებოდა 1921 წლის დასაწყისში. იმ დროს, როდესაც ჩვენ უკვე გადავედიოდით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, ე. ი. სამხედრო კომუნიზმიდან სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ. მაგრამ სამხედრო კომუნიზმი, იმას გარდა, რომ არ იყო სამეურნეო პოლიტიკა პროლეტარიატისა, რომელმაც დაიპყრო სახელმწიფო ხელისუფლება, შეუძლებელს ხდიდა პრაქტიკაზე რაიმე საგეგმო წესის შეტანას სახალხო მეურნეობაში.

ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ საჭირო იყო საკითხის გადაჭრა: როგორი გზით უნდა მომხდარიყო გადასვლა სოციალიზმისაკენ იმ კონკრეტულ პირობებში, რომლებიც იყო მაშინ რუსეთში? სწორეთ იმავე ბროშიურაში, საიდანაც ჩვენ მოვიყვანეთ ამონაწერები და რომელიც გამოვიდა 1918 წელს მაისში, ლენინი სწერდა შემდეგ საუცხოო სიტყვებს: „სოციალიზმი წარმოუდგენელია გარეშე უახლეს მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ მსხვილ-კაპიტალისტურ ტექნიკისა, გარეშე გეგმადაცულ სახელმწიფო ორგანიზაციისა, რომელიც უმორჩილებს ათეულ მილიონ ადამიანებს ერთიანი ნორმის უსასტიკესათ დაცვას პროდუქტების წარმოებისა და განაწილების საქმეში" („მემარცხენე ბავშვობასა" და სხვ. შესახებ).

ამ სიტყვებში უკვე ცნობილი იყო ის გზა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში: ეს, ჯერ ერთი, მსხვილი სახელმწიფო კაპიტალიზმია, რომელიც დაყრდნობილია უმაღლეს ტექნიკაზე, და, მეორეთ, გეგმადაცული სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელსაც თავის მორჩილებაში ყავს ათეული მილიონი ადამიანები, ე. ი. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, საყოველთაო გეგმიანი მეურნეობა, ე. ი. ის, რაც შეადგენს დღევანდელ საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის ამოცანას. ეს ორი ამოცანა თავდაპირველათ დაკისრებული ჰქონდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელიც დაარსებულ იქნა ჯერ კიდევ 1917 წლის დასასრულს. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკისრებოდა, როგორც ცენტრალიზაცია მთელი მრეწველობისა, ისე მისი გეგმადაცული ორგანიზაციაც. სახალხო მეურნეობის საბჭოთა სრულიად რუსეთის ჯერ კიდევ პირველ ყრილობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წლის მაისის დასასრულს, ამხ. რადეკი [43]) როგორც მომხსენებელი კითხულობდა: „რას ნიშნავს მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია?" და ასე უპასუხებდა: „მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია ნიშნავს არსებულ საწარმოო ძალთა გეგმადაცულ მოხმარას იმის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, რომ ხალხთა მასების საჭიროებანი დაკმაყოფილებულ იქნეს. და სწორეთ ეს არის შეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია. ამ სუსტ ეკონომიურ ძალების, რომლებიც კი მოგვეპოვება, გეგმადაცულ მოხმარის გარეშე ჩვენ არ ძალგვიძს გამოვიყენოთ ახალი ცხოვრებისთვის ვებერთელა საწარმოვო ძალები, რომლებიც ჩაბარხულია რუსეთის მიწაში". *)

აი თუ როგორი გრანდიოზული ამოცანები იყო დაყენებული იმ ბანებში დაარსებულ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე. მაგრამ ობიექტიურ პირობების გამო: ჯერ ერთი, იმის გამო, რომ დაქსაქსული იყო და სჭარბობდა წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია, იმის გამო, რომ ჩასახული იყო ბოლოდ ანუ თითქმის სრული ნაკლულევანებით იყო სავსე ნსხვილი სახელმწიფო კაპიტალიზმი, მეორეთ, იმის გამო, რომ საკვებით დანგრეულ და არეულ-დარეული იყო ისიც, რაც მოგვეპოვებოდა მაშინ ჩვენ სახალხო მეურნეობაში, და, მესამეთ, იმის გამო, რომ გაჩაღდა სამოქალაქო ომი, ეს ამოცანები რამდენიმე ხნით შეუსრულებელი აღმოჩნდენ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდ ხანს გაგრძელებულიყო. მას მივყავდით და კიდევაც მიგვიყვანა უკვე კრიზისამდე.

ეს აშკარა და ნათელი საგრძნობი გაადა ჯერ კიდევ 1920 წელს. ჩამოვარდა კრიზისების მთელი რიგი: სათბობი, სასურსათო, სატრანსპორტო და სხვ. ყოველგან სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგებში გამოაშკარავდა შეუფარდებლობა, შეუთანხმებლობა, შეუწყობლობა, ყველაფერი ეს ლოღიკური შედეგი იყო ხელმძღვანელობის გეგმიანი შეთანხმებული წესის უქონლობისა, როგორც ცალკე დარგებსა და საწარმოვო დაწესებულებებში, ისე მთელი სახალხო მეურნეობის ცალკე შემადგენელ ელემენტებს შორის.

აუცილებელი საჭირო იყო ბოლო მოდებოდა საქმეთა ასეთ ვითარებას. ჯერ კიდევ 1920 წლის თვით დასაწყისში სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოაქვს დადგენილება, რომელიც ამბობს: „ტრანსპორტის მოწყობისა, სათბობი მასალისა და სურსათის კრიზისების თავიდან აცილებისა, ეპიდემიებთან ბრძოლისა და ბრიგადის დისციპლინარულ არმიების ორგანიზაციის უახლოეს, საარსებო გადაუდებელ და პირველხარისხოვან ამოცანებთან ერთად, საბჭოთა რუსეთისათვის პირველათ იბადება შესაძლებლობა შეუდგეს უფრო გეგმადაცულ სამეურნეო აღმშენებლობას, მთელი სახალხო მეურნეობის სახელმწიფო გეგმის მეცნიერულათ გამომუშავებისა და შეურყევლათ გატარებას ცხოვრებაში"....

ამ დადგენილებაში იქნა პირველათ მონიშნული საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის დაარსება, მასთან ნათლად იყო ნაჩვენები ისიც, თუ რა უნდა აკეთოს ამ კომისიამ. ყურადღების მიქცევის ღირსია ისიც, რომ გადასვლას გეგმიანი შეურნეობისაკენ უკავშირებდენ აქ რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმას. დადგენილებაში აღნიშნული იყო „ელექტროფიკაციის პირველხარისხოვანი

*) სახალხო მეურნეობის საბჭოთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის შრომები. სტენოგრაფიული ანგარიშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა მრეწველობისა, მიწადმოქმედებისა, ტრანსპორტისა და მცხოვრებთა კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის" და სხვ. ამ დადგენილებაში არ იყო აღნიშნული ირიგაციის მნიშვნელობა, მაგრამ ამოცანა მთლიანათ სწორათ იყო მონიშნული.

ამასთან ერთად სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააკალა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად დაამუშაოს პროექტი ელექტრონის სადგურების ქსელის მოწყობის შესახებ და ორი თვის ვადაში წარმოადგინოს ის სახალხო კომისართა საბჭოში. ამ მიზნით 1920 წლის თებერვალში დაარსებულ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაერქვა სახელათ: „რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისია" („გოელრო"): მისი თავმჯდომარე იყო ამხ. გ. მ. კრეიციანოვსკი, რომელიც დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა. ეს კომისია შეუდგა მუშაობას 1920 წლის მარტიდან და იმავე წლის დასასრულს, საბჭოთა სრულიად რუსეთის მე-VIII ყრილობაზე მან უკვე წარმოადგინა თავისი მოხსენება სათაურით: „რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა", ეგზემპლარი ტომი 700 გვერდამდე, რომელიც წარმოადგენს მრავალ ათეულ პირველხარისხოვან მეცნიერების, სპეციალისტ-ინჟინერებისა და აგრონომების კოლექტიურ შრომას.

როგორც მე უკვე ვამბობდი, ძირითადი აზრი, რომელიც გატარებული იყო ამ შრომაში, მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფო მეურნეობის დაგეგმვა შესაძლებლათ იყო აღიარებული მხოლოდ რუსეთის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით და მისგან დამოკიდებულებით. ამაში იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ გეგმის აქილესის ქუსლი. ელექტროფიკაციის გეგმა ხომ გამოანგარიშებული იყო, სულ ცოტა, რომ ვთქვათ, ათი წლით და ისიც ყველაზე კარგ პირობებში. ხოლო რა უნდა ვქნათ ამ ხნის განმავლობაში? ცხოვრება, არსებობა ხომ გვინდა? საქმე ისაა, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა მაშინ ისეთი იყო, რომ არც მრეწველობას, არც ტრანსპორტს, არც სასოფლო მეურნეობას არ შეეძლო ეცადა ელექტროფიკაციის გეგმის განხორციელებისათვის და დაუყოვნებლივ რომ არ ყოფილიყო მიღებული ამ მხრივ შესაფერი ზომები, კატასტროფა აუცილებელი იქნებოდა. აუცილებელი საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება მაშინათვე, დღეს-ხვალ.

მერვე ყრილობამ მოიწონა ელექტროფიკაციის გეგმა. „ელექტროფიკაციის გეგმის გარეშე,—ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე ამ ყრილობაზე, ნამდვილ აღმშენებლობაზე გადასვლა ჩვენ არ შეგვეძლიან". ნაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს, როდესაც ვლადიმერ ილიას-ძე ამბობდა ამ სიტყვებს, ის უკვე ფიქრობდა სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის მეორე გეგმაზე. მისთვის სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა ის, რომ შექმნილ მდგომარეობაში ელექტროფიკაციის ერთი გეგმით დაკმაყოფილება ყოველად შეუძლებელი იყო. დეე ელექტროფიკაცია მიდიოდეს თავის რიგით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, თუ რა უნდა გავაკეთოთ დღეს-ხვალ. ვლადიმერ ილიას-ძეს თავში მწიფდებოდა სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი გეგმა, რომელშიაც ელექტროფიკაცია შედიოდა უკვე როგორც მთელის ნაწილი.

უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი ვლადიმერ ილიას-ძეს უშუალო მონაწილეობის მიღება დღეკანდელ საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის შექმნაში. მხოლოდ ამხ. კრჟიჟანოვსკის წყალობით, რომელმაც გამოაქვეყნა ეხლა-ხან ვლადიმერ ილიას-ძეს რამდენიმე კერძო წერილი მისდამი მიწერილი, აშკარავდება ეს როლი. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1920 წლის ნოემბერში ერთ წერილში ამხ. კრჟიჟანოვსკის ვლადიმერ ილიას-ძე სწერდა: *) „მართალი რომ ვთქვათ, „გოელრო" (რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისია) უნდა იყოს ერთიან საგეგმო ორგანოთ სახალხო კომისართა საბჭოსთან, მაგრამ ასე პირდაპირ და უხეშათ არ გავა ეს და არც სწორი იქნება. საჭიროა დაფიქრება, თუ როგორ აჯობებს"... და შემდეგ ის ასეთ მოსაზრებებს გადმოგვცემს: „შეიძლება 1) სახალხო კომისართა მცირე საბჭოს (MCHK) ეკონომიურ განყოფილებაში შევიყვანოთ სათათბირო ხმით „გოელრო"-ს თავმჯდომარე; 2) „გოელრო" გაეხადოთ მუდმივ კომისიათ სახალხო კომისართა საბჭოსთან, ეინაიდან ის ამზადებს და ატარებს, უნდა ატარებდეს ელექტროფიკაციას როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის, ისე გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატისათვისაც. და სხვ. 3) ყველა საგეგმო კომისიები ყველა სახალხო კომისარიატებთან არსებული გადაეცვალათ, თანადაუმორჩილოთ „გოელროს". მაგრამ როგორ? შევქმნათ კიდევ ერთი კომისია „გოელროსთან" ყველა ცალკე საგეგმო კომისიების წარმომადგენლებისაგან? ან სხვანაირათ როგორ?" ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებიდან და სიტყვებიდან სჩანს, რომ აზრი საერთო საგეგმო კომისიის მოწყობის შესახებ დაებადა ლენინს ჯერ კიდევ წინათ საბჭოთა სრულიად რუსეთის მერვე ყრილობამდე, მაგრამ საბოლოოთ ჩამოყალიბდა მხოლოთ ამ ყრილობის შემდეგ.

როგორც ვიცით 1921 წლის 22 თებერვალს ხელი მოაწერა ლენინმა დებულებას საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის შესახებ, ხოლო სამი დღის შემდეგ ამისა, ე. ი. 25 თებერვალს ის აძლევს ამხ. კრჟიჟანოვსკის კერძო წერილში დაწვრილებითი რჩევებს ამ კომისიის ორგანიზაციის შესახებ, მის უახლოეს ამოცანების შესახებ და სხვ., ხოლო „გოელრო" კი ამავე დროს საერთო საგეგმო კომისიის ქვეკომისიათ ხდება უკვე და სხვანაირათ არც შეიძლებოდა.

აქ საინტერესოა ჩვენთვის ეი რა. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორი ყურადღებით ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიას-ძე საბჭოთა მე-VIII ყრილობაზე ელექტროფიკაციის გეგმის შესახებ. დაახლოებით სამი თვის შემდეგ ამისა ის სწერდა შემდეგს ამხ. კრჟიჟანოვსკის სიტყვის გამო საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის პრეზიდიუმის გახსნაზე (1921 წლის 5 აპრილს):

„მისი მთავარი ნაკლულოვანება არის: მეტად ბევრი ელექტროფიკაციაზე, მეტად ცოტა მიმდინარე სამეურნეო გეგმაზე. ხაზგასმული არ ყოფილა ის, რომელიც უნდა ყოფილიყო. როდესაც მე ჩემს წინაშე

*) გ. მ. კრჟიჟანოვსკი. „საქონლის გაცვლა-გამოცვლა და გეგმიანი მეურნეობა", 1924 წ. გვერ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყავდა კომუნალური „ეუნნიკები“ (ლაპარაკია, ალბათ, საბჭოთა VIII ყრილობაზე, ფ. მ.). რომლებსაც არ წაეკითხათ წიგნი: „ელექტროფიკაციის გეგმა“ და არ გაეგოთ მისი მნიშვნელობა, სამაგიეროთ სისულელეს რომავდენ და სწერდენ გეგმის შესახებ საერთოდ, მე ცხვირით უნდა ჩამერგო ისინი ამ წიგნში, ვინაიდან სხვა გეგმა სერიოზული არ არის და არც შეიძლება იყოს. როდესაც მე მყავს წინაშე ისეთი ადამიანები, რომლებიც სწერდენ ამ წიგნს, მე მათ ცხვირით ჩავერგავდი არა ამ წიგნში, არამედ იქედან, –მიმდინარე სამეურნეო გეგმების საკითხებში. მოკიდეთ ამას ახლა ხელი ბატონნო პროფესორებო. თქვენი ელექტროფიკაცია in allem ehren (სრულ პატივისცემაშია)... საერთო საგეგმო კომისიამ ამას კი არ უნდა მოკიდოს ახლა ხელი, არამედ დაუყოვნებლივ მთელი თავის ძალებით მიმდინარე სამეურნეო გეგმებს. ნედლი მასალა დღეს 1921 წლისთვისაა. ახლა, გაზაფხულზე მოწევა არის ხლამის, ნაფლეთების მკვდარი მასალების. საჭიროა მათი გამოყენება პურზე გასაცვლელათ და სხვა ასეთი. ამაში უნდა ვაკრეკიოთ „მათ“ ცხვირი. ამისთვის ისინი უნდა დავაჯინოთ ახლა, დღეს, 1-2 ქვეკომისია ელექტროფიკაციაზე, 9-8 ქვეკომისია მიმდინარე სამეურნეო გეგმებზე. აი როგორ გავანაწილოთ ძალები 1921 წლისთვის“.

მე მოვიყვანე ეს წერილი სავსებით. აქ არ შეიძლება მძიმეს გამოტოვებაც კი. ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, თითოეული სიტყვა მასში ეს მთელი პრაქტიკული პროგრამაა მოქმედებისა განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში. ეს გენერალური მონიშვნაა რეალური, კონკრეტიული გეგმის. ლენინი უბრალო შენიშვნებში, გზადაგზა გადმოსროლილ სიტყვებში სახავდა სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის გეგმასაც და საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის ამოცანებსაც. მთელა აზრი აქ იმაშია, რომ ლენინი ღებულობს ცხოვრებას ისე, როგორც ის არსებობს და მოითხოვს საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიისაგან სავსებით საარსებო მომწიფებულ გეგმებს, და არა განყენებულსა და მშრალ ფრაზებს, და აგრეთვე ფაქტებს, ციფრებს, ცნობებს.

სამწუხაროთ აქ არ შეიძლება მოყვანა ყველა იმ წერილებისა, რომლებიც გამოაქვეყნა ამხ. კრჟიჟანოვსკიმ ბროშიურაში: „საქონლის გაცვლა-გამოცვლა და გეგმიანი მუშაობა“. მე ვურჩევდი ყველა იმათ, რომლებიც დაინტერესებული არიან მთელი სახალხო მეურნეობის რეალური, კონკრეტიული გეგმის ორგანიზაციით, გულდასმით წაიკითხონ ეს ბროშიურა და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ლენინის წერილებს, რომლებიც იქ არის დაბეჭდილი.

ჩვენ კვალ-და-კვალ გაეყევით საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის ჩასახვასა და ჩამოყალიბებას. ეს ჩამოყალიბება გამოიხატა განსაკუთრებულ დებულებაში, რომელიც გამოცემულ იქნა 1921 წ. დასაწყისში. მე ნებას მივსცემ ჩემს თავს მოვიყვანო აქ ამ დებულების პირველი ორი მუხლი, რომელიც შედგენილია ლენინის მიერ, რათა ნათლად და სრულიად წარმოვიდგინოთ ის ამოცანები, რომლების გატარება ევალებოდა მაშინ საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„1. შრომისა და თავდაცვის საბჭოსან (სტო) არსდება საერთო საგეგმო კომისია ერთიანი სახელმწიფო სამეურნეო გეგმის დასამუშავებლათ საბჭოთა მე-VIII ყრილობის მიერ მოწონებულ ცენტრალიზაციის საფუძველზე და საერთო თვალყურის სადევნებლათ ამ გეგმის განხორციელებისთვის:

პირველი რიგის სამეურნეო ამოცანები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც განხორციელებული უნდა იქნენ უახლოეს ვადაში, კერძოთ—1921 წლის განმავლობაში, უნდა იქნენ დამუშავებული საერთო საგეგმო კომისიის ანუ მის ქვეკომისიის მიერ უფრო დეტალურათ კონკრეტულ ეკონომიურ სინამდვილის არსებულ პირობების სრულ ანგარიშზე აღებით.

2. საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას ევალება:

ა) ერთიანი საერთო სახელმწიფო სამეურნეო გეგმისა და მისი განხორციელების საშვალების და წესების დამუშავება;

ბ) განხილვა და შეთანხმება საერთო სახელმწიფო გეგმასთან წარმოების პროგრამებისა და სხვადასხვა უწყებების გეგმიან მოსაზრებათა, და აგრეთვე საოლქო (სამეურნეო) ორგანიზაციებისა სახალხო მეურნეობის ყველა დარგების შესახებ და სამუშაოთა რიგ-რიგობის დაწესება.

გ) საერთო სახელმწიფო ხასიათის ზონების გამომუშაება გამოკვლევათა ორგანიზაციისა და ცოდნის განვითარებისთვის, რომლებიც აუცილებელი საჭიროა სახელმწიფო მეურნეობის გეგმის განსახორციელებლათ, და აგრეთვე საჭირო პერსონალის მომზადებისა და გამოყენებისათვის.

დ) ზონების გამომუშაება მცხოვრებთა ფართო წრეებში ცნობების გავრცელებისათვის სახალხო მეურნეობის გეგმისა, მისი განხორციელების წესისა და შრომის შესაფერი ორგანიზაციის წარმოების შესახებ".

ეს დებულება, როგორც იცით, შემდეგ რამდენჯერმე იცვლებოდა, მაგრამ მისი ძირითადი საფუძვლები, რომლებიც ასე ნათლად და ცხადათ არის ჩამოყალიბებული მასში, დარჩა არსებითად ძველ რედაქციაში. საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის ამოცანა მისი შემქნელის აზრით უწინარეს ყოვლისა იყოფა ორ კატეგორიათ: 1) საერთო სახელმწიფო გეგმის დამუშავება მერვე ყრილობის მიერ მოწონებულ ელექტროფიკაციის (ანუ, უფრო სწორათ, ცენტრალიზაციის) გეგმის საფუძველზე და თვალყურის დევნება ამ გეგმის განხორციელებისათვის. ეს არის გეგმა საერთო, პერსპექტიული, რომელიც გამოანგარიშებულია ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივი ვადით, 5,10 და სხვ. წლით; 2) ეს არის სამეურნეო ამოცანები პირველი რიგისა. ამოცანები, რომლებიც განხორციელებული უნდა იქნენ უახლოეს ვადაში, ნაგალითად, მიმდინარე წლის განმავლობაში. ასეთი გეგმა უნდა იქნეს დამუშავებული „რაც შეიძლება დეტალური კონკრეტულ ეკონომიურ სინამდვილის არსებულ პირობების სრულ ანგარიშზე აღებით".

შემდეგ, აკისრებს რა საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას, „საერთო სახელმწიფო ერთიანი სამეურნეო გეგმასა და მისი განსახორციელებელ საშვალებების და წესების დამუშავებას", დებულება ამით ავალებს მას მოახდინოს „განხილვა და შეთანხმება საერთო სახელმწიფო გეგმასთან სხვადასხვა უწყებათა საწარმოო მოსაზრებებისა, და აგრეთვე საოლქო ორგანიზაციებისა სახალხო მეურნეობის ყველა დარგების შესახებ და დაწესება სამუშაოების რიგ-რიგობისა",

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას ევალებოდა „საერთო სახელმწიფო ხასიათის ზომების გამომუშავება გამოკვლევათა ორგანიზაციის და ცოდნის განვითარებისათვის, რომლებიც აუცილებელი საჭიროა სახელმწიფო მეურნეობის გეგმის განსახორციელებლათ და აგრეთვე საჭირო პერსონალის მომზადებისა და გამოყენებისათვის".

აი საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის ძირითადი ამოცანები, როგორც გამოთქმული იყო ისინი მისი მოლაწეობის თვით დასაწყისში. ამ გზაზე ვებერთელა სიძნელენი იყო. უწინარეს ყოვლისა იბადებოდა საკითხი: საიდან ვიშოვოთ ისეთი მუშაკები, რომლებიც შესძლებენ შეასრულონ ის კოლოსალური სამუშაო, რომელიც ეკისრებოდა საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას? ისინი ალბათ უნდა მოგვეყვანა მეცნიერების ქვეყნიდან, უმაღლეს კვალიფიციურ სპეციალისტების: ინჟინრების, აგრონომების, ეკონომისტების, სტატისტიკოსებისა და სხვ. ქვეყნიდან, ხოლო ისინი სულ ყოველგან გამსჭვალული იყვენ ძვლიან-ზორციანათ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობით, ბურჟუაზიული იდეებით. საბჭოთა ხელისუფლებას უნდა გამოეყენებია, როგორათაც არ უნდა ყოფილიყო, ამ ბურჟუაზიულ სპეციალისტების გამოცდილება და ცოდნა მათი მსოფლმხედველობის სრულიად საწინააღმდეგო მიზნებისათვის, სახელდობრ, სოციალიზმის უშუალოთ მომზადების მიზნებისათვის. ეს კი ყოველთვის არ ხერხდებოდა, განსაკუთრებით კი, როდესაც არა სიფრთხილით უდგებოდენ ამ ბურჟუაზიულ მეცნიერებს. რაღა დასაფარავია, რომ თვითონ ეს მეცნიერები უმეტეს შემთხვევებში საკმაო ალმაცერათ და ეჭვით უყურებდენ საზოგადოთ მუშათა კლასსა და განსაკუთრებით კი მის გააფთრებულ ბრძოლას კაპიტალისტების და მემამულეების წინააღმდეგ, რათა დაემხოთ კაპიტალის ბატონობა და შეექმნათ სრულიად ახალი წყობილება სოციალიზმი. მაგრამ ახლა ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ასეთი შეხედულებანი თანდათან ქრება და ჩვენი მეცნიერები სულ უფრო და უფრო იმსჭვალებიან იმ შეგნებით, რომ ისინი უნდა ემსახურებოდენ თავისი ცოდნითა და გამოცდილებით სწორეთ მუშათა კლასის ინტერესებს და მიზასადამე, ეხმარებოდენ მათ სოციალისტური წყობილების განხორციელების საქმეში. ეს უდიდესი, თუმცა გარეგნული შეხედულებით შეუმჩნეველი, გადატრიალებაა, რომელშიაც ძალიან დიდი როლი ითამაშეს საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელებმა. შედეგათ ამისა ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი რიგი გამოჩენილ და მეტად ცნობილ მეცნიერ-სპეციალისტებისა ჩათრეულია სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხების დამუშავებაში მის სოციალისტურ საფუძვლებზე მოწყობის თვალსაზრისით.

მაგრამ იმ ამოცანების განხორციელების გზაზე, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას, სახელდობრ, საგეგმო საფუძვლების ცხოვრებაში გატარება, კიდევ უფრო მეტი დაბრკოლებანი იყო.

ეს დაბრკოლებანი და სიძნელენი წარმოსდგებოდა უწინარეს ყოვლისა იქედან, რომ 1921 წლის დასაწყისში მთელი ჩვენი მრეწველობა განიცდიდა კიდევ მძიმე კრიზისს, რომელიც შედეგი იყო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომისა, ხოლო ზოგიერთი დარგები კი ამ მრეწველობის, როგორც მაგალითად, სათბობი მასალა, ტრანსპორტი და სხვ. იმყოფებოდა პირდაპირ კატასტროფიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაში. ეს იყო ის დრო, როდესაც მდგომარეობის გადასარჩენათ საჭირო იყო მთელი ყურადღების მიქცევა მხოლოდ სათბობზე („ყველაფერი დონეცის „ბასეინისთვის"), ან ტრანსპორტზე („ყველაფერი ტრანსპორტისთვის"), ან და სურსათზე („ყველაფერი სურსათისთვის"). ეს იყო „დამკვრელ ამოცანების" დრო, როდესაც მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო რომელიმე ერთ დარგზე ანდა თითქმის ერთ რომელიმე საწარმოო დაწესებულებაზე თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთ პირობებში მეურნეობის საერთო დაგეგმის გატარება ძალიან ძნელი იყო, ხოლო ხანდისხან კი პირდაპირ შეუძლებელი. საუბედუროთ ჩვენი მრეწველობის ეს მძიმე კრიზისი არაჩვეულებრივათ გამწვავდა კიდევ ისეთი სტიქიური უბედურებით, როგორიც იყო 1921 წლის მოუსავლობა. ასეთ პირობებში სად იყო დრო საერთო სამეურნეო გეგმის გამომუშავებისათვის? გარშემო ყველაფერი არეულ-დარეული და დანგრეული იყო. შეიძლებოდა გონების დაკარგვა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მუშაობა წარმოების მართვისა და გეგმის შედგენისათვის მაინც გრძელდებოდა, თუმცა პირდაპირ წარმოუდგენელ მძიმე პირობებში.

იმავე დროს იყო სიძნელენი მეორე ხასიათისაც. საქმე იმაშია, რომ ერთის მხრით, გლავკიზმისა (მთავარი კომიტეტების ხანა) და, მეორე მხრით, სამხედრო კომუნიზმის დროს ჩვენს სამეურნეო დაწესებულებებში გამომუშავდა მუშაობის თავისებური მეთოდი, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ეს ორგანოები შეეჩვიენ პარტიზანულად მუშაობას და ანგარიშს არ უწევდენ მთელ სახალხო მეურნეობის საერთო საგეგმო ამოცანებს. საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას უხდებოდა ბრძოლა ყოველ ნაბიჯზე ცალკე უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ამ პარტიზანობასთან. ბრძოლა არც ისე ადვილი იყო: გეგმის შემდგენსა და მმართველ ორგანოებს დიდი შრომითა და მუყაითობით უხდებოდათ სახალხო მეურნეობის ინტერესების დაცვა მთლიანად.

მე არ ვილაპარაკებ აქ სხვა დაბრკოლებებზე, რომლების გადალახვა უხდებოდა საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიას ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლით, როგორიცაა, მაგალითად, ბიუროკრატიზმი, სიხარმაცე, უდისციპლინობა და დაუდევრობა. მაგრამ ახლა უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ თითქმის ყველა ეს სიძნელენი და დაბრკოლებანი საგრძნობლათ დაძლეული და გადალახულია; რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის საერთო საგეგმო სახელმწიფო კომისიის სამ წლისაზე მეტ სისტემატიურ და მწვავე ბრძოლის შედეგათ ჩვენ გვაქვს ვებერთელა მიღწევანი. უკეთებს რა რეზიუმეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მთელ ამ ვებერთელა მუშაობას, ამხ. კრჟიჟანოვსკი თავის „მოკლე ანგარიშში" ამბობს შემდეგს: „ჩვენ გადაუმეტებლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ყველა მნიშვნელოვან სამეურნეო დარგებში სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ უკვე ჩაყრილია საფუძველი გეგმიანი სამეურნეო სისტემის შესაქმნელად. ამის არ დანახვა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ბოროტი განზრახვით ზურგს აქცევს ციფრებსა და ფაქტებს" (კურსივი ავტორისაა). თითქმის ამასვე ამბობს ამხ. კრუმინი ბროშიურაში: „ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის გზები", რომელიც გამოვიდა ამ რამდენიმე თვის უკან. „ალბათ—ნათქვამია იქ,—ვისწავლეთ ჩვენ ცალკე დარგების გეგმების რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმეთ შეთანხმება სახალხო მეურნეობის სხვა ფაქტორებთან, დღევანდელი ჩვენი გეგმიანობა უკვე აღარ მიჩანჩალებს ცხოვრებას იმდენად, რამდენადაც ეს ამ ერთი წლის წინათ იყო". ერთი სიტყვით, გეგმიანობის მთავარი საფუძვლები უკვე ჩაყრილია. „დეე, ჩვენ, როგორც ამბობს ამხ. კრჟიჟანოვსკი, ვიყოთ მბოლოთ პირველ ეტაპზე" ამ გეგმიანობისა, საყურადღებო ის არის, რომ კოლოსალური მნიშვნელობის საქმე უკვე დაწყებულია, ნაბიჯი აქვს წინ გადადგმული. ეს საქმე არის გეგმიანი მეურნეობა, რომელიც საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მშრომელმა მასებმა სისტემატიურად უნდა დაიპყრონ ნაბიჯ-ნაბიჯობით".

ეს უკანასკნელი გარემოება, ე. ი. თანდათანობით (ნაჭრობითა და ნაბიჯ-ნაბიჯობით) და სისტემატიური დაპყრობა გეგმიანი მეურნეობისა განსაკუთრებული სიძლიერით უნდა იყოს აქ ხაზგასმული ჩვენგან. გეგმიანი მეურნეობის წარმოდგენა ხომ შეუძლებელია ისე, რომ ვითომ ჩვენ ერთ მშვენიერ დღეს უცბათ დავიწყებთ დაგეგმვას. ამ შემთხვევაში მივიღებთ ჩვენ სწორეთ წინააღმდეგ შედეგს. ნამდვილი გეგმიანობისა და ხელმძღვანელობის მაგივრათ გამოვიდოდა მხოლოდ მეტად მავნებელი მექანიკური ქაჩაობა ზევიდან და ბიუროკრატიული უტოპიები. ეს იქნებოდა ბიუროკრატიზმის შეტანა თვით გეგმაში, რაც დაამახინჯებდა მთელ მის აზრს, მთელ მის არსებას.

„დამახასიათებელია, რომ ასეთ ბიუროკრატიულ გატაცებაზე გეგმიანობის დაწყებით მითითებული იყო თვით ლენინის მიერ დასაწყისშივე. აი რას სწერდა ის ამხ. კრჟიჟანოვსკის ვინმე მ-ის გეგმის შესახებ:

„გეგმის შესახებ მ. სწერს სისულელეს. ყველაზე დიდი საფრთხე ეს სახელმწიფო მეურნეობის გეგმის საქმის გაბიუროკრატებაა. ეს ძალიან დიდი საფრთხეა. მას ვერ ხედავს მ. ძალიან მეშინია, რომ თქვენც ვერ ხედავთ ამას, ვინაიდან სხვანაირათ უდგებით საქმეს... მთლიანი ნამდვილი გეგმა ჩვენთვის ახლა „ბიუროკრატიული უტოპიაა". ნუ გამოეკიდებით მას, ახლავე, ნუ დააყოვნებთ ნურც დღეს და ნურც საათს, ნაჭერ-ნაჭრობით გამოყავით მნიშვნელოვანი, საწარმოო დაწესებულებათა მინიმუმი და ისინი დაიკენეთ"... *).

ამ სიტყვების აზრი მეტად ნათელია: უნდა გამოვდიოდეთ იქედან, რაც არის, ანგარიში უნდა გაუწიოთ სინამდვილეს. ყველაფერი ეს გვასწავლა ჩვენ ახლა მწარე გამოცდილებამ. ბაგრამ ჩვენი მუშაობის ასპარეზი მეურნეობის გეგმიანობისა და ხელმძღვანელობის დარგში თანდათან ფართოვდება და ამ პოზიციას, ე. ი. გეგმიანი მეურნეობის პოზიციას ჩვენ თანდათან ნაბიჯ-ნაბიჯზე ვიპყრობთ.

მაგრამ იბადება საკითხი: თუ დაუშვებელია სახალხო მეურნეობის მექანიკური ქაჩაობა ზევიდან და თუ ჩვენ უნდა გავექცეთ გეგმის „გაბიუროკრატების" საფრთხეს, მაშ როგორია მაინც რეალური შესაძლებლობანი ანუ ნამდვილი, ჭეშმარიტი წინასწარი პირობები გეგმიანი მეურნეობის შესაქმნელათ, როდესაც

*) იხ. კრჟიჟანოვსკის ბროშურა: „საქონლის გაცვლა-გამოცვლა და გეგმიანი მუშაობა", გვერ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს გარშემო უმთავრესათ წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიაა? რასაკვირველია, რომ არ ყოფილიყო ასეთი შესაძლებლობანი, მთელი ლაპარაკი გეგმის შესახებ უბრალო წყლის ნაყვა იქნებოდა. მაგრამ ეს შესაძლებლობანი, ეს წინასწარი პირობები არსებობს. ეს არის მიწის, მრეწველობის, ტრანსპორტის ნაციონალიზაცია, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ამ უკანასკნელ ხანებში კი შინა-ვაჭრობის თანდათანობითი დაპყრობა კერძო კაპიტალისაგან,—აი ის საბაზრო პუნქტები ანუ ბრძანებელი მაღლობები, რომელთა მფლობელობა შეძლებას აძლევს მუშათა კლასს მანევრები აკეთოს წარმოებითა და საწარმოვო საშვალებათა და მოსახმარი საგნების განაწილებით, და აგრეთვე სისტემატიურათ და თანდათანობით დაეუფლოს სახალხო მეურნეობას და ჩააყენოს ის გეგმიანი საფუძველით სოციალისტური მეურნეობის კალაპოტში. ამ მარით ჯერ რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის და შემდეგ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გაკეთებულია ვებერთელა სამუშაო, გამომუშავებულია არა მარტო მეთოდოლოგიური, პირდაპირ საგეგმო კომისიისთვის შესაფერი ხერხი სასოფლო მეურნეობის პრობლემების გადასაჭრელათ, არამედ დაგროვილია დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც, დაწყებულია სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა უმთავრესი დარგების ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმების დამუშავება. ეს კოლოსალური მუშაობა უკვე ბოლოვდება ახლა.

არც დრო და არც ადგილი არ მაძლევს მე ნებას უფრო დაწვრილებით გავჩერდე აქ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობაზე. მაგრამ როგორი დიდიც არ უნდა იყვეს მისი ბიღწევანი, მაინც უნდა აღინიშნოს აქ ერთი მეტად სერიოზული გარემოება. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის ყველა დანარჩენი სიძნელენიც კი რომ უყურადღებოთ დავტოვოთ და აგიღოთ თუ გინდ მარტო რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია და არა მთელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, ჩვენ აუცილებლად ვივალთ იმ დასკვნამდე, რომ მარტო ცენტრალური სახელმწიფო საგეგმო კომისიას, როგორი ძლიერი ორგანოებიც და მუშაკებიც არ უნდა ყავდეს მას, არ შეუძლია უცბათ მოხვიოს ხელი მთელ იმ ვებერთელა ტერიტორიას, რომელიც, როგორც— იცით, შეადგენს მთელი დედა-მიწის შეექვსედ ნაწილს. ამის გამო ცენტრალურ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასახმარებლათ ჯერ რუსეთის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის და შემდეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა საოლქო და რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიები, რომელთა ამოცანები საერთოდ ეგიყვეა, რაც ცენტრალური სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, მხოლოთ ისინი მოქმედებენ ცალკე ოლქებისა და რესპუბლიკების ფარგლებში ცენტრის დირექტივების მიხედვით.

მეტად ნათლად ცენტრალურ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ერთი მხრით, და მეორე მხრით, რაიონულ (რესპუბლიკანურ და საოლქო) საგეგმო კომისიების როლს და მათ ურთიერთ დამოკიდებულებას გვიხატავს ამხ. კრჟიჟანოვსკი თავის მოხსენების ერთ ადგილას, სადაც ის ამბობს:

„ჩვენ ცენტრალურ საგეგმო აპარატში ჩვენ ითქმოს ეაგებთ ძლიერ ცენტრალურ რადიო-სადგურს, რომელიც შესძლებს დროზე და საჭირო სიშორეზე გაგზავნოს აუცილებელი სიგნალები მთელ სამეურნეო ფრონტზე. მაგრამ ეს სიგნალები იქნებოდა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა, თუ მთელ საველმწიფოში არ იქნებოდა საკმარისათ დაგეგმილი და აგებული დამხმარე რადიო-სადგურები ჩვენი ეკონომიური რაიონების ცენტრალურ საგეგმო ორგანოების სახით. მხოლოდ გაგზავნისა და შესაფერი საპასუხო რადიოს მიღების გაცხოველებულ მუშაობას შეუძლია შექმნას ისეთი აპარატი, რომლის შემწეობითაც შეიძლება მართლაც ერთგვარი იმედით წარმატებაზე ბრძოლა წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის პროცესების კრიზისებთან და იმ დისპროპორციასთან, რომლებიც აუცილებლად თანა სდევს სტიქიურ ეკონომიკას" *). რასაკვირველია, ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ ამ იდეალისაგან, მაგრამ ასეთ სიგნალებს ცოტ-ცოტათი უკვე კიძლევით.

ასეთი სახელმწიფო საგეგმო კომისია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე ჩვენ გვაქვს რამდენიმე, და ყველაზე უკანასკნელი დაარსებია დროს მიხედვით არის ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია.

ამ გვარათ ჩვენ $3^1/_2$ წელზე მეტი ამიერ-კავკასიის მასშტაბით არ მოგვეპოვებოდა სახელმწიფო საგეგმო კომისია. ჩვენში დაწესდა სრულიად თავისებური პრაქტიკა სახალხო სამეურნეო საკითხების გადაჭრისა — პრაქტიკა წმინდა კუსტარული, რომელიც უარყოფს ყოველგვარ გეგმიანობის საფუძველს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არ გვქონებია არავითარი გეგმიანი მიდგომა სახელმწიფო-სამეურნეო საკითხების გადასაჭრელათ. მართალია, ამ ხნის განმავლობაში აღმშენებლობის, გზებისა და სარწყავ არხების გაყვანისა, ელექტრონის სადგურების მოწყობისა და სხვ. მხრით, ჩვენ არ ვრჩებოდით ჩვენი კავშირის სხვა ნაწილებს, მაგრამ ყველაფერი ეს კეთდებოდა და კეთდება დაუკავშირებლათ, როგორც სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებთან, ისე საერთო სახელმწიფო მეურნეობასთანაც. მოუვა თუ არა თავში რომელიმე სამაზრო აღმასკომს ან და ცალკე პასუხის მგებელ მუშაკებს რაიმე კარგი აზრი: გაიყვანონ არხი, ააგონ ელექტრონის სადგური, ხიდი, გაიყვანონ გზა და სხვ. და ისინიც ეიმედეს დაუკითხავათ იწყებენ მუშაობას, თუმცა არ აქვთ წინდაწინ არც გეგმა, არც ფული და მხოლოდ მას შემდეგ, რაც განსაზღვრული სამუშაო უკვე გაკეთებულია, იწყება ძებნა რესურსებისა მის დასაბოლოავებლათ. და აქაც ავრეთვე ყველაფერი დამოკიდებულია შემთხვევით გარემოებაზე, საქმის ინიციატორთა ენერგიასა და დაჟინებაზე. აქ არ არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი. ცენტრალური მთავრობა ფაქტის წინაშე დგება და იძულებულია მისჩანჩალებდეს მოვლენებს კუდში. აქ ნათლად გამოსჩენილია საგეგმო ორგანოების უქონლობა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პირველათ, დასაწყისში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოების შემდეგ ასეთი საგეგმო ორგანო უფრო ტორმაზი იქნებოდა აღმშენებლობისათვის, მაგრამ შემდეგ მისი უქონლობა საგრძნობელი ხდებოდა ყოველ ნაბიჯზე.

*) იხ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოკლე ანგარიში, გვერ. 11.

ახლა კი თუ მიუბრუნდებით ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებას, პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვს მასში, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ დღემდე ჩვენ არა გვაქვს ეს შესწავლილი. ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია მინეერობა, შეთანხმება და მით უფრო წინდაწინ განჭვრეტა. ხოლო ეს კი იმის ნიშნავს, რომ ეკონომიურ პროცესებს გვანაგებს ჯერ კიდევ სტიქია, რომ შეგნებული და მიზანთ გატაცებული ჩარევა მუშათა კლასისა ეკონომიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ მეტად უმნიშვნელოა. ხოლო თუ არ იქნა ასეთი ჩარევა სტიქიას შეუძლია დაგვამარცხოს ჩვენ, თუ გინდ დროებით. მოიგონეთ, თუ რას სწერდა ლენინი ჯერ კიდევ 1921 წელს.

„ან ჩვენ დაუმორჩილებთ ჩვენს კონტროლსა და ანგარიშზე აღებას ამ წვრილ ბურჟუას, ან და ის ჩამოაგდებს ჩვენს მუშათა ხელისუფლებას“....

ჩვენ წინაშე ახლა დგას უშუალო ამოცანა კერძო მწარმოებლისა და კერძო ვაჭრის გაძევებისა როგორც წარმოების, ისე გაცვლა-გამოცვლის სფეროდან, და ყოველმხრივი გაძლიერება სოციალისტური დაგროვებისა. ამ ამოცანის შეუსრულებლად სოციალიზმისაკენ გადასვლა ყოვლად შეუძლებელია. ხოლო ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენ ვიყოთ ყველა იმის კურსში, რაც ხდება წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში, გვქონდეს ანალიზი ყველა პროცესებისა, რომლებიც იქ ხდება, გვქონდეს თვალწინ დიაგრამებზე ბრუნდები ყველა ამ პროცესებისა წლიურად, თვიურად და თუ კი. შეიძლება-დეკადობითაც. როდესაც ჩვენ გვეცოდინება ყველა საიდუმლოება, რომლებიც ხდება ეკონომიურ პროცესებში, როდესაც ჩვენ გვეცოდინება ყოველი პატარა ვინტი ამ პროცესებისა, მაშინ ჩვენ შეძლება გვექნება ემართოთ ეს პროცესები. ამის გამოცდილება უკვე გვაქვს ჩვენ. მაგრამ, სამწუხაროთ, ეკონომიური ცხოვრების შესწავლა ამ მხრით დღემდე ძალიან ცუდად, გვქონდა დაყენებული. იყო ბევრი ლაპარაკი, მაგრამ საქმით კი არაფერი არ კეთდებოდა. შედგენილი და გამოცემული იყო ყებერთელა ტომები, მაგრამ საჭირო ცნობები და ციფრები არა გვაქვს.

ასეთ პირობებში იწყებს მუშაობას ჩვენი სახელმწიფო საგეგმო კომისია. უწინარეს ყოვლისა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის იმ მასალას, რომლისგანაც ის უნდა აშენდეს. ეს ყველაზე ძნელი საკითხია. ლენინი ჩვენ გვასწავლიდა, რომ „სოციალიზმი უნდა აეგოს იმ მასალიდან, იმ აგურებიდან, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ვინაიდან სხვა კომუნისტური მასალა ჩვენ არ მოგვეპოვება.“ ეს შეეხება უმთავრესათ საახელმწიფო საგეგმო კომისიას. როგორც ამბ. კრეიტანოვსკი ამბობს, სახელმწიფო საგეგმო კომისია ხომ თავის დანიშნულებით „ჩვენი ეკონომიური ფრონტია შტაბია“, მაშასადამე, მასში თავი უნდა შოვუყაროთ ჩვენ ყველაფერს, რაც კი საუკეთესოა ჩვენს მეცნიერების ქვეყანაში, ე. ი. სახალხო მეურნეობის ყველა უმთავრესი დარგების ყველა გამოჩენილ მეცნიერ სპეციალისტებს. ამ მეცნიერთა შორის, ყველასათვის გასაგები მიზეზებით, ჯერჯერობით თითქმის არა გვყავს კომუნისტური პარტიის წევრები, არა გვყავს მეტად მტკიცე გამოცდილი მარქსისტებიც კი, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისით უყურებდენ ყველაფერს. მაგრამ თუ ამ მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, ისე ჩვენი მუშაობა ფუჭი იქნება. ამიტომ ჩვენ უნდა ჩავითრიოთ ისინი სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგეგმო კომისიის მუშაობაში და მასთან ერთად შეექმნათ მათთვის ისეთი პირობები, რომლებშიაც მათ შეეძლოთ სრულიად თავისუფლად ყოფნა, რათა მათ იმუშაონ არა მარტო იძულებით, არამედ მოწოდებითაც, რათა მათ შეასრულონ ესა თუ ის დავალებანი არა მარტო ფორმალურათ ანუ ოფიციალურათ, არამედ, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩაებან შემოქმედებით მუშაობაში, რომელიც ესაჭიროება მუშათა კლასს ახლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის ხანაში. პროლეტარული ხელისუფლება შესძლებს შეუქმნას მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა პატიოსან მუშაკებს ამხანაგური პირობები და დააფასოს ისინი შესაფერისათ. წინდაწინვე ვამბობთ, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიას არ ესაჭიროება ისეთი სპეციალისტები, რომლებიც მხოლოთ ფორმალურათ ეკიდებიან თავის მოვალეობებს. ერთ და იმავე დროს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში უნდა იქნენ მიველინებული კომუნისტებიც, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობიდან, და აგრეთვე პროფკავშირების მუშაკებიც, რომ იმათ საქმეზე, პრაქტიკაზე დაინახონ, თუ როგორ საყურადღებო მუშაობას აქვს ადგილი სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, რათა შემდეგ თვითონ შეიძლონ უშუალოთ მისი ხელმძღვანელობა.

ამ გვარათ აშკარაა, რომ ცოტათ თუ ბევრათ მოხერხებულათ გადაწყვეტას საკითხისას ადამიანის მასალის შესახებ, რომლიდანაც უნდა აშენდეს სახელმწიფო საგეგმო კომისია, ე. ი. მისთვის შესაფერი პერსონალისათვის თავის მოყრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც დაკისრებული აქვს სახელმწიფო საგეგმო კომისიას. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ აქაც შეცდომები აუცილებელი იქნება მომზადებულ მუშაკების ნაკლულევანების გამო. სახელმწიფო საგეგმო კომისიას თვითონ მოუხდება ამ საქმისათვის საჭირო ადამიანების მომზადება.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი—ეს ის ურთიერთ დამოკიდებულებაა, რომელიც უნდა დამყარდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, როგორც საგეგმო სახელმძღვანელო და საკონტროლო ორგანოს, ერთი მხრით, და იმ დაწესებულებებსა და უწყებებს შორის, მეორე მხრით, რომლებთანაც მას მუშაობის პროცესში მეტად მჭიდრო დამოკიდებულება ექნება. წარსული გამოცდილებიდან ჩვენ ვიცით, რომ ეს უწყებები და დაწესებულებები ხშირათ უწევდენ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ხან აშკარა ხან ფარული წინააღმდეგობას, რაც მეტად აძნელებდა მის მუშაობას მით, რომ ართმევდა ფულ ტყვილა უბრალოთ დიდძალ დროსა და ენერგიას.

რუსეთში ყველაფერი ეს უკვე მოგვარებულია. განმეორდება თუ არა ჩვენში ეს ისტორია? მე ვფიქრობ, რომ არა. აუცილებელ საჭიროებად გეგმიანი მუშაობისას საერთოდ და განსაკუთრებით დამგეგმავი და ხელმძღვანელი ორგანოს არსებობას სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახით ახლა თითქმის არავინ არ უარყოფს. განსაკუთრებით მარწმუნებს მე ამაში ის პატარა გამოცდილება, რომელიც უკვე გვაქვს ჩვენ. მე მაქვს სახეში შექმნა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან საკონიუქტურო საბჭოსა, რომელსაც ადგილი ქონდა თვით სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოწყობის დასაწყისშიც. მე უნდა აღვნიშნო აქ, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ყოველმხრივათ უმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენ მხარს ამ საკითხში თითქმის ყველა დაწესებულებები და უწყებები. ეს კარგი დასაწყისია. და მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიაც ასევე მოიპყრობიან ეს დაწესებულებები და უწყებები. და მაშინ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამოცანა საგრძნობლათ გაადვილებული იქნება.

ახლა მე გადავდიეარ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამოცანებზე. ჯერ-ინარეს ყოვლისა მე უნდა ვთქვა აქ შემდეგი: მე ყოველ მხრიდან მომმართავენ კითხვებით, თუ რა ამოცანები უნდა მოიყვანოს სისრულეში სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ კერძოთ? ეს საკვლებით გასაგებია, ვინაიდან, როგორც ვამბობდი მე ჯერ კიდევ ამ სტატიის დასაწყისში, სახელმწიფო საგეგმო კომისია სრულიად ახალი დაწესებულებაა ჩვენში თავისი ამოცანების მიხედვით.

ამ კითხვის შესახებ მე ჯერ-ინარეს ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ჩვენი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამოცანები ივივეა, რაც ცენტრალური სახელმწიფო საგეგმო კომისიისა მოსკოვში იმ განსხვავებით მხოლოთ, რომ ჩვენი სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობა იწარმოებს ამიერ-კავკასიის ფარგლებში თანახმათ საერთო დირექტივებისა ცენტრიდან. ამიტომ ინის განმეორება, რაც უკვე ნათქვამი იყო ზეგით ამ ამოცანების შესახებ, სრულიად ზედმეტია. შეიძლება და საჭიროა ვილაპარაკოთ აქ მხოლოთ იმ თავისებურებობის ანდა იმ კონკრეტიულ ამოცანებზე, რომლებიც საერთო ამოცანებს გარდა ახლა, მუშაობის თვით დასაწყისში, დგას ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინაშე, სხვანაირათ რომ ვთქვათ, იმაზე თუ მუშაობის როგორ გეგმას ისახავს სახელმწიფო საგეგმო კომისია მახლობელ დროში.

თავის თავად ცხადია, რომ აქ სახეში არა გვაქვს ჩვეულებრივი მიმდინარე მუშაობა, ყოველგვარი დასკვნები ამა თუ იმ კითხვების შესახებ, რომლებიც კი შემოვა სახელმწიფო საგეგმო კომისიაში. აქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იმ მუშაობის გეგმის შესახებ, რომელიც თავისთვის უნდა მოინიშნოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, გაითვალისწინებს რა საკვლებით ყველა იმ ამოცანებს, რომლების სისრულეში მოყვანა მას აქვს დავალებული.

ამ მხრით ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თავის პირველ ამოცანათ უნდა დაისახოს რაც შეიძლება დეტალური შესწავლა მთელ იმ გამოცდილებისა, რომლებიც გარებული აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას ამ $3^1/_2$ წლის განმავლობაში, რათა მისი ყოველი წევრი და ყოველი თანამწრომელი იყოს ყოველ შემთხვევაში ყველა უმთავრეს მიღწევათა კურსში გეგმიანი მეურნეობის დარგში. ეს შესწავლა მეტის მეტად გაუადვილებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კოსისიას თავის ამოცანას: ის უჩვენებს იმ გზას, რომლითაც ის უნდა ვიდოდეს თავის მუშაობაში და დაბოლოს ეს შესწავლა საკმაოთ დაეხმარება მას იმ შეცდომების თავიდან აცილებაში, რომლებიც ყოველგვარ მუშაობის დასაწყისში აუცილებელია. ერთი სიტყვით, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ყოველნაირათ უნდა გამოიყენოს ის გამოცდილება, რომელიც განვლო, როგორც საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამ, ისე ყველა დანარჩენმა საგეგმო კომისიებმა (უკრაინის, თურქესტანისა და სხვა). მაგრამ ეს არაფითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ეს უნდა მოვიმოქმედოთ წინდაწინვე გამომუშავებულ შაბლონის მიხედვით და არაფითარი ინგარიში არ გაუწიოთ ადგილობრივ განსაკუთრებულ პირობებს. პირიქით, საჭიროა ინგარიში გაეწიოს ყოველთვის ამ განსაკუთრებულ პირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში არც იქნებოდა საჭირო ადგილობრივი სახელმწიფო საგეგმო კომისიებიც.

ამასთანავე ერთად უნდა შეუდგეთ სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენას, ჯერ იმ ერთი წლისას, რომელიც წინ უძღოდა იმპერიალისტურ ომს, და შემდეგ-კი 1923—24 წლის. მხოლოთ ამის შემდეგ და ძალიან დიდი სიფრთხილით შეიძლება შეუდგეთ საერთო სამეურნეო საპერსპექტივო გეგმის დამუშავებას და შემდეგ ჩვენ უნდა მივიღოთ სახეში მხოლოთ ის, რაც არსებობს, რასაკვირველია, გადაუნეტებლათ, და ნათლათ გაეითვალისწინოთ ის, რასაც ვესწრაფვით.

ჩვენ შევეჩვიეთ ლაპარაკს სახალხო მეურნეობის აღდგენაზე იმ დონემდე, რა დონემდეც იყო ის იმპერიალისტურ ომის წინა ხანებში. და ასეთ გეგმას ვისახავთ ჩვენ განსაზღვრული ვადით. ნამდვილათ კი ეს ორნაირათ არ არის სწორი და მართალი. ჯერ ერთი, ომამდე არსებულ დონეს საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ შეუძლია. ჩვენი იდეალი ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ჩვენ შევსძლებთ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მასების ყველა აუცილებელი მოთხოვნილებები, ამას კი ვერ შესძლებს ომამდე არსებული წარმოების ნორმა. ჩვენ წინ მივდივართ. მეორეთ, ჩვენი წარმოების გაფართოება ანუ ზრდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, სრულებითაც არ ნიშნავს წარმოების აღდგენას. ეს არის მხოლოთ რეკონსტრუქცია ჩვენი სახალხო მეურნეობის, სრულიად ახალ საფუძველზე და არა უბრალო აღდგენა. სახელმწიფო საგეგმო კომისიასაც სწორედ ეს რეკონსტრუქცია აქვს სახეში, ე. ი. ჩვენი სახალხო მეურნეობის ძირითადი რეორგანიზაცია. ეს რეკონსტრუქცია მიმართულია სოციალიზმისაკენ.

—სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა გამოარკვიოს ჯერ, დაგვანახოს „რა. გორც ტექნიკური, ისე ეკონომიური შესაძლებლობანი ამ გარდაქმნისა“ (პროფ. ნიკიტსკის სიტყვები ერთ მის მოხსენებაში სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმისადმი). არსებობს თუ არა, კერძოთ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში ეს შესაძლებლობანი? რა ობიექტიურ ცნობების მიხედვით შეგვიძლიან ჩვენ ახლა ვილაპარაკოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის, რომელიც უმეტეს ნაწილად შესდგება დაქსაქსულ, წვრილ-ბურჟუაზიულ, კერძო კაპიტალისტურ მეურნეობისაგან, და რომელშიც მხოლოდ ნაწილობრივათ, ეგერ-აგერ შეპარულია კოლექტივიზმის საფუძვლები, ამ მეურნეობის გარდაქმნაზე გეგმადაცულათ მოწყობილ მეურნეობათ, ე. ი. ბოლოსდაბოლოს სოციალისტურ მეურნეობათ. და აი აქ ჩვენ უნდა ვსთქვათ გარკვევით: რა ობიექტიური საბუთი გვაქვს ჩვენ ვილაპარაკოთ ამ გარდაქმნაზე. აქ ჩვენ ვაყენებთ პირველ ადგილზე ელექტროფიკაციის გეგმას, თეთრი ნახშირის—წყლის ენერგიის მაქსიმალურათ გამოყენებას, ასეთებით კი ჩვენ ისეთი მდიდარი ვართ, როგორც, შეიძლება, არც ერთი სხვა ქვეყანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ სახალხო მეურნეობის ყველა თავისი დარგებით განვითარებისთვის სტიმულის მისაცემათ, და აგრეთვე ირიგაციის გეგმას, როგორც დამატებას ელექტროფიკაციის გეგმაზე. აი ორი მეტად სანდო საფუძველი, რომლებზედაც შეგვიძლიან ჩვენ დაველყრდნოთ სახალხო მეურნეობის დაგეგმასა და მის რეკონსტრუქციაში სოციალისტურ საფუძველზე. ასე უდგებოდა ლენინი აღმშენებლობას საერთოდ და განსაკუთრებით კი ამიერ-კავკასიაში.

მაშასადამე, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ერთ უმახლობელესთაგან, თუ არა ყველაზე მახლობელ, ამოცანათ უნდა ჩაითვალოს მთელი ამიერ-კავკასიის ირიგაციისა და ელექტროფიკაციისათვის საპერსპექტიო გეგმის შედგენა.

ყველა ამ ამოცანების გვერდით დგება აგრეთვე ძალიან დიდმნიშვნელოვანი ამოცანა—მხარის შესწავლა, უმთავრესათ, მისი ბუნებრივი სიმდიდრის მხრით. მართალია, ეს შესწავლა დიდი ხანია დაწყებულია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულიად არ არის დამთავრებული, ხოლო რაც გამოკვლეულია,—არაა მოყვანილი სისტემაში. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მტკიცე და გარკვეული გეგმა უნდა შეიტანოს ამ შესწავლაში და დაასრულოს ის რაც შეიძლება მალე, რათა, დაბოლოს, ჩვენ შეგვეძლოს იმის თქმა, თუ რა გვაქვს ჩვენ და რამდენი. სხვათა შორის მე ვაყენებ აქ საკურორტო საქმეს და აღვნიშნავ აგრეთვე, თუ რამდენი სამკურნალო წყლებია ჩვენში, განსაკუთრებით საქართველოში, რომლებიც არაა დღემდე იმდენათ მოწყობილი და გამოყენებული, რამდენადაც ამის შეძლება არის.

რასაკვირველია, ყველა იმ კერძო საკითხებს, რომლების დამუშავებასაც უნდა შეუდგეს სახელმწიფო საგეგმო კომისია, ჩვენ არ ჩამოვთვლიო. ისინი წამოიჭრება თვით მუშაობის პროცესში. მიუხედავათ ამისა მე საჭიროთ მინაჩნია აღვნიშნო აქ ზოგიერთი მათგანი.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს გზათა აღმშენებლობა, ჩვენი ქვეყანა უმთავრესათ მთიანია, ის დასერილია, ერთი მხრით, მთაგრეხილებით და აუარებელი მთაკორტოხებით და მეორე მხრით, ველებით, ხეობებით და ხრამებით. ერთი მთავარი უბედურება ყოველთვის და ყოველ დროში მდგომარეობდა იმაში, რომ არა თუ ნაკლებობა იყო სამიმოსვლო გზების, არამედ ხშირად თითქმის სრულებით შეუძლებელი იყო რაიმე მისვლა-მოსვლა დასახლებულ ადგილებს შორის, რომლებიც დაყოფილი იყო ერთი მეორისაგან მაღალი მთის კორტოხებით, ჩქარი მთიანი მდინარეებით, ღრმა ხეობებითა და ხრამებით, ამიტომ საკითხი ტრანსპორტის შესახებ, გზათა შესახებ ამიერ-კავკასიის მასშტაბში, ერთი სერიოზული საკითხთაგანია. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების აღნიშნული ტოპოგრაფიული განსაკუთრებული პირობები, ერთი მხრით, და ნაკლებობა, ზოგიერთ ადგილას კი სრულიად უქონლობა ცოტათ თუ ბევრათ გამოსადეგ გზებისა, მეორე მხრით, არის განკერძოების მიზეზი არა თუ სხვადასხვა ერებს შორის, არამედ ერთ და იგივე ერის სხვადასხვა გვარებს შორისაც (მოხეველები, ფშაველები, ხევსურები, აჭარლები და სხვ. საქართველოში). ეს გარემოება არის აგრეთვე თუ ერთად ერთი არა, ყოველ შემთხვევაში, ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი მაინც მეტის-მეტ ჩამორჩენილობისა, ამიერ-კავკასიის ზოგიერ კუთხეების თით-

ქმის პირველ ყოფილ მდგომარეობისაც კი, როგორც მაგალითად, ხევსურეთისა და სვანეთისა საქართველოში, სადაც ადამიანები ცხოვრობენ დღემდე ისე, როგორც ცხოვრობდენ ჩვენი წინაპრები ათასი წლის წინათ. არავითარი კულტურა, არავითარი განათლება არ შევა იქ, თუ არ იქნება გაყვანილი რაიმე სამიმოსვლო გზები.

მთელ ამიერ-კავკასიაზე თავიდან ბოლომდის გადის რკინისგზის მაგისტრალური ხაზი, რომელიც აერთებს კასპის და შავს ზღვას. ამ მთავარი ხაზიდან ორ მოპირდაპირე მიმართულებით მიდის მოკლე გზები. ამ უკანასკნელთა რიცხვი შეიძლება გადიდებული იქნეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ მთიანი ადგილების გამო რკინის გზის გაყვანა ტეხნიკურათაც ძნელია და მეტად ძვირიც. აქედან უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ მთავარი ყურადღება, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც, უნდა მიექცეს გზა-ტკეცილების არსებული ქსელის შესწორებას და მათ შემდეგ გაფართოებას. ჩვენს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მოუხდება ალბათ უშვალოთ ყველა ამ კითხვების გარჩევა.

სხვა კერძო კითხვებს შორის, რომლებსაც აქვთ აგრეთვე დიდი მნიშვნელობა, აღსანიშნავია ბინის საკითხი. განსაკუთრებით მეტად გამწვავდა ეს საკითხი უკანასკნელი იმპერიალისტური ომის დროიდან. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საბინაო სახლების აშენება მეტის მეტად შემცირდა, ხოლო უმეტეს შემთხვევაში კი სავსებით შესწყდა. როდესაც ლაპარაკობენ საბინაო საკითხზე, სახეში აქვთ თითქმის მხოლოთ ქალაქები. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ეს საკითხი ასე შემოვზღუდოთ. ის უნდა გავაფართოვოთ და ეილაპარაკოთ საცხოვრებელ პირობებზე ყველა მშრომელთათვის, როგორც ქალაქის ისე სოფლის. ბინის საკითხის წარმოშობა უფრო ვიწრო მნიშვნელობით დაკავშირებულია თანამედროვე ქალაქებთან, სადაც ხალხი შეკუმშულათ ცხოვრობს, სადაც სარდაფიანი და ნახევრათ-სარდაფიანი სართულებია, სადაც მეფობს სიბინძურე და სილატაკე და გავრცელებულია ათასნაირი ეპიდემიური ავადმყოფობანი. თანამედროვე ქალაქი კაპიტალიზმის ნაყოფია. კაპიტალისტები თავს უყრიდენ ქალაქებში თავის ფაბრიკებსა და ქარხნებს, რის გამო იზრდებოდა ქალაქის მცხოვრებლები, მაგრამ ამავე დროს უარესდებოდა ქალაქების სანიტარული მდგომარეობა და ჰიგიენური პირობები. მართალია კაპიტალისტები და ქალაქის ბურჟუაზიული მამები ხარჯავდენ ჩვენში ბევრ ფულს ქალაქის შემოსაღლიდან ქალაქების კეთილმოწყობისა, ბაღებისა, ელექტრონის განათებისა, ტრამვაისა და სხვა ასეთებისათვის, მაგრამ 99 შემთხვევაში ეს იყო ზრუნვა მხოლოთ თავის თავზე, თავის სახლებზე, უკეთეს შემთხვევაში — იმ ქუჩებისა და უბნების შესახებ, სადაც ცხოვრობდენ პრივილეგიური კლასები. და ამიტომ ერთ უბანში ჩვენ ვხედავთ სიწმინდეს, სისუფთავეს, სასახლეებს და სხვ. სხვა (მუშათა) უბნებში კი — სილატაკეს, სიბინძურეს, ეპიდემიურ ავადმყოფთა მუდმივ კერას. სოფელი სავსებით დავიწყებული იყო კაპიტალიზმის მიერ, მასზე ის სრულებით არ ზრუნავდა, თუმცაღა სარგებლობდა მისი შრომით და პროდუქტებით; ამიტომაცაა, რომ ჩვენ მივიღეთ ის ასეთ გაეერანებული სახით. კაპიტალიზმი უპირდაპირებდა სოფელს ქალაქს და სრულ უპირატესობას აძლევდა ამ უკანასკნელს. პროლეტარიატმა ძირშივე უნდა შესცვალოს ასეთი დაპირდაპირება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქისა სოფლისადმი. ცნობილ გამოთქმას: „ქალაქისა და სოფლის კავშირი", რომელიც გადმოისროლა ლენინმა გაცილებით უფრო მეტი აზრი აქვს, ვიდრე მას ჩვეულებრივათ აწერენ.

ქალაქის და სოფლის მშრომელთა მასების წინაშე ასე მწვავეთ დასმულ საკითხის გადაჭრა უნდა დაუკავშიროთ საკითხს იმის შესახებ, ვტოვებთ თანამედროვე ქალაქებს იმ სახით, როგორათაც ისინი მიღებული გვაქვს ჩვენ კაპიტალიზმისაგან და ამასთანავე ვუშვებთ მათ შემდეგ ზრდას, თუ მუშათა სახელმწიფო უნდა შეუდგეს ქალაქის განტვირთვას ხედმეტი მცხოვრებლებისაგან, რათა გააუმჯობესოს მასში გიგიენური პირობები და სხვ.

კითხვის ასეთ დაყენებასთან დაკავშირებული იქნება მეორე საკითხიც, სახელდობრ: სად უნდა აეგოს ახალი ფაბრიკები და ქარხნები—არსებულ ძსნეილ ქალაქებში, პატარაში ასეა თუ ისე, მაგრამ არ შეგვიძლიან ამ საკითხში წავიდეთ იმავე გზით, რომლითაც მიდიოდენ კაპიტალისტები.

ამ გვარათ, პროლეტარიატი დგას პრობლემის წინაშე, თუ როგორ ააგოს და სად ააგოს მშრომელთა საცხოვრებელი შენობები. მუშათა სახელმწიფომ უნდა გამოიმუშაოს თავისი საალმშენებლო გეგმა, რომელიც სასტიკათ შეთანხმებული უნდა იყოს მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და განვითარების ყველა სხვა მხარეებთან. და ეს შეეხება არა მარტო საცხოვრებელ შენობებს, არამედ საზოგადოთ ყველა შენობებს, რომლებიც კი ხელახლა შენდება.

აქედან ცხადია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს ბინის საკითხია გადაწყვეტა არ ნიშნავს ორი სამი ახალი სახლის აშენებას, სრულებითაც არა: ამ საკითხის გადაწყვეტა ძალიან მჭიდროთაა დაკავშირებული იმ მეტად ღრმა ცვლილებებთან, რომლებიც უნდა მოხდეს მახლობელ წლებში ჩვენს სოციალურ სტრუქტურაში. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა გამოიჩინოს ამ საქმეში ინიციატივისა და სიფრთხილის მაქსიმუმი, ხოლო ყველა იმ დაწესებულებებმა კი, რომლებიც საალმშენებლო მუშაობას მისდევენ სასტიკათ უნდა დაიცვან ის დავალებანი, რომლებსაც დააკისრებენ მათ ხელისუფლების შესაფერი ორგანოები.

დაბოლოს როდესაც ელაპარაკობთ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის დღევანდელ და მომავალ პროგრამაზე, არ შეიძლება არ შევჩერდეთ კიდევ ერთ გარემოებაზე. მე ვამბობ ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოების ნაკლულევანებაზე—ეკონომიაზე სახელმწიფო საღსარის დახარჯვაში, არა საწარმოო და არა მიზანშეწონილ ხარჯებზე და სხვ. მართალია ამ დარგში მუშაობს კიდევ მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მაგრამ მას რამდენიმე სულ სხვანაირი მიდგომა აქვს ამ კითხვებთან: მე ვიტყოდი მუშათა და გლეხთა ინსპექციის როლი აქ უფრო ვიწროა, ვიდრე სახელმწიფო საგეგმო კომისიისა. საერთოდ კი ეს ორი ორგანო იმუშავებს რა ერთმანეთთან სრული თანხმობით, კონტაქტით, იქნება და კიდევაც უნდა იყოს ერთი მეორის დამატება. ყოველ შემთხვევაში პარალელიზმი აქაც აგრეთვე ისევე დაუშვებელია, როგორც ყველა სხვა დარგებში.

უკვე დიდი ხანია ნათქვამია, რომ საბჭოთა თითეული კაპეიკი მთელ მანეთს ინახავს. რას ნიშნავს ეს და როგორ უნდა გვესმოდეს ის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მეტად ღარიბი ვართ, ლატაკივით ღარიბი და უკულტურო. მეორე მხრივ, ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ მხოლოთ ჩვენი საკუთარი ძალებისა და საშვალების. რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს, რომ ყველა ჩვენი სახელმწიფო-სამეურნეო ორგანიზაციები უნდა იყვენ მეტის მეტად ეკონომიური, საბჭოთა ყოველი კაპეიკის მომჭირნე. რასაკვირველია, იმასთან შედარებით, თუ როგორი იყო და არის ბურჟუაზიული სახელმწიფოების არა საწარმოვო ხარჯები, ჩვენი არა საწარმოვო ხარჯები არაა დიდი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისინი მაინც არსებობს და ჩვენ ალარ შეგვიძლია დაუშვათ ისინი შემდეგაც.

თუ ჩვენ გაესინჯავთ რომელიმე ჩვენს სამეურნეო აპარატს, რომელიმე ჩვენს სამეურნეო დაწესებულებას, ჩვენ მაშინათვე წავაწყდებით მთელ რიგ არა საწარმოვო ხარჯებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გამომდინარეობს უწყების ამა თუ ის ხელმძღვანელის არა ბოროტი სურვილიდან, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ არ იციან საქმის გაძღოლა და ეს მოსდით გაუგებრობისა და დაუდევრობის გამო. მართალია, გვხვდება ბევრი ბოროტმოქმედება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ მაინც ულახგარიშობას, კალკულიაციისა და ვაჭრობის არ ცოდნას და სხვ.*) ჯერ კიდევ არ უსწავლიათ ვაჭრობა, არ უსწავლიათ ნამდვილი და სწორი კალკულიაციის წარმოება, არ უსწავლიათ, თუ როგორ გახდენ კარგი ორგანიზატორები, ამავე დროს კი ფულები იხარჯება ისეთი მიზნებისათვის, რომლებსაც არავითარი საერთო რამ არ აქვთ იმ დაწესებულებასთან, რომლებიც ამ ხარჯებს სწევენ. შეიძლება თქვან: ეს არ არის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საქმე, ამას უნდა მოკიდოს ხელი ნუშათა და გლეხთა ინსპექციამ, საკონტროლო კომისიამ და სხ. სახელმწიფო საგეგმო კომისია არის ორგანო საგეგმაი, სახელმძღვანელო, რომელიც იმუშავებს საერთო სახელმწიფო საპერსპექტივო გეგმას, მაგრამ არაა შემთხვევაში არა საკონტროლო. მაგრამ მაშინ რა უყოთ ფულების ეკონომიურათ ხარჯვას, საბჭოთა კაპეიკის მომჭირნეობას, მრეწველობის პროდუქტების წმინდა ღირებულების კალკულიაციას საწარმოვო დაწესებულებების რენტაბელობასა და სხვ.? აშკარაა, რომ ყველა ამას სახელმწიფო საგეგმო კომისია გვერდა ვერ აუხვევს. მასთან ბიუჯეტი, ე. ი. შემოსავალი და გასავალი, საერთო საგეგმო სახალხო მეურნეობის ერთი შემადგენელ ნაწილთაგანია, ხოლო ამათში კი შედის ყველა შემოსავალი და ყველა ხარჯები, როგორც მთელი სახალხო მეურნეობისა, ისე ცალკე დარგებისაც.

*) ამ დღეებში ამხ. **ნიკო კიკნაძემ** (ნუშა) მოათავსა წერილი გახეთ „რაბოჩაია პრავდაში" (№179) სათაურით: „რა უჯდება სახელმწიფოს მიკლინებები". ავტორი იღებს მივლინებათა მინიმალურ ოაოდენობას მარტო ერთ მოსკოვში და ერთ მიკლინებისათვის მინიმალურ ხარჯებს და მაინც გამოდის, რომ თვეში ერთი საქართველო ხარჯავა ამ მიკლინებისთვის 12.000 მანეთს — წელიწადში 144.000 მან. მე ვფიქრობ, რომ ეს ხარჯები მეტის მეტად შემცირებულია: ჩემი აზრით, ყველა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა და სხვა მივლინებასთან, მარტო ერთ საქართველოსათვის იქნება არა ნაკლები 500 — 600 ათასი მან. ხოლო რა სარგებლობაა აქედან? ამავე დროს ეს საქმე შეიძლება მოწყობილიყოს ძლიერ იაფად და სარგებლობა კი მეტი გვეკუნებოდა. მე ვიცი, მაგალითად ისეთი ფაქტები: ზოგიერთ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკებს ცალ-ცალკე ყავთ მოსკოვში რამდენიმე წარმომადგენელი — მათხე გაწეული ხარჯები არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, სახელმწიფო საგეგმო კომისიას ვერ გამოეპარება ვერავითარი ხარჯი სულ ერთია იქნება ის საწარმოვო თუ არა საწარმოვო.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აქ ის კოლოსალური მუშაობაც, რომელიც შეასრულა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შრომის განაწილებისა და ქირის მიცემის რაციონალიზაციის დარგში. ჯერ კიდევ 1921 წელს სექტემბერში სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინადადებით რაოდენობა სულისა, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფოს ხარჯზე (არმიის გარდა) 35 მილიონიდან დაყვანილი იქნა 7 მილიონამდე, ე. ი. შემცირებული იქნა 5 ჯერ: და ამასთან ერთად ერთ და იმავე დროს ძირითად მომხმარებელთა, ე. ი. მუშების ქირის ნორმები გადიდებულ იქნა. მაშასადამე, 28 მილიონ სულა სახელმწიფო სულ ტყვილა უბრალოთ აუმეტდა (თუმცა ძალიან ცუდათ, ჩვენ ეს ძალიან კარგათ ვიცით). მეორე შემცირება, რომელიც გაატარა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ჩვენ გვაქვს ტრანსპორტზე. ჯენ კიდევ 1921 წ. სანამ სახელმწიფო საგეგმო კომისია დაიწყებდა თავის მუშაობას, ტრანსპორტზე ითვლებოდა 1.580 ათასამდე მომუშავე. მათ რიცხვში 1.240 ათასი რკინისგზელი, რაც იძლეოდა 20 მომუშავეს 1 ვერსზე წინაალმდეგ 12,8, რომელიც 1913 წლის ნორმა იყო. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეამცირა ეს ციფრი პირველ წელს 922 ათასამდე, ხოლო მეოთხე წელა კი 750 ათასამდე, და გზების მუშაობა კი ამით სრულებითაც არ შემცირებულა, პირიქით, თითქმის კიდევაც გაიზარდა 50%.*).

მე მოვიყვანე ეს ციფრები ინფორმაციისათვის, რომ მეჩვენებინა სახელმწიფო საგეგმო კომისიის როლი შრომის რაციონალიზაციისა და სამუშაო ქირის რეგულიაციის დარგებში. საერთოდ არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელზედაც სახელმწიფო საგეგმო კომისია არ ავრცელებდეს თავის მოღვაწეობას ან და რომელიც ეპარებოდეს მას თავისი გავლენისაგან. ეს რომ სხვანაირათ იყოს სახელმწიფო საგეგმო კომისია სრულებითაც ვერ შეძლებდა თავის ამოცანების შესრულებას.

სანამ შეუდგებოდეს სამეურნეო ცხოვრების დაგეგმას და რეგულიაციას, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თავდაპირველათ უნდა გამოიმუშაოს და მოიხაზოს თავისი გეგმიანი მუშაობისათვის მტკიცე, მაგრამ ნათელი და გარკვეული გეგმა. ეს არის ის, რასაც ჩვეულებრივად უწოდებენ მოქმედების პროგრამას. ეს პროგრამა მონიშნულია ჩემ მიერ ზოლოდ ზეტად მოკლედ და საერთოდ. როგორც იცით, ყოველი პროგრამა ცხოვრებაში გატარების დროს მოითხოვს განსაზღვრული ტაქტიკისა და განსაზღვრული სტრატეგიის დაცვას. ასევე უნდა ითქვას სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროგრამის შესახებაც. უწინარეს ყოველისა უნდა იქნეს დაწესებული: საიდან და როგორ დავიწყოთ და როგორ მოვიქცეთ შემდეგ. ამის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე, მაგრამ ცუდი არ იქნება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშათა კლასის ხელშია ზეტად ძლიერი, ზეტად მაგარი და მტკიცე იარაღი ხალხების ეკონომიურ და სოციალურ

*) სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოკლე ანგარიში, გვ. 36

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაზე გავლენის მოხდენისა. ეს არის საბელმწიფო ხელისუფლება პროლეტარიატის დიქტატურის ფორმაში. პროლეტარიატის დიქტატურა ეს მეტად ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლებაა, რომელსაც იცნობს მთელი მსოფლიო ისტორია. ის განუკითხავად განაგებს ყველა მიწებს, მთელ მსხვილ მრეწველობას, მთელ ტრანსპორტს (რკინის-გზები, გზატკეცილები, წყლის ტრანსპორტი და სხვ), მთელ საგარეო და უმეტეს ნაწილათ შინა ვაჭრობას (პითუმათ).

ვითომ ერთი შეხედვით ამის გარეშე იმყოფება 20 მილიონამდე გლეხთა მეურნეობანი, მილიონამდე შინა-მრეწველები, რამდენიმე მილიონი ქალაქის საშუალო და წვრილი ბურჟუაზიისა (მეშჩანობა). პირველ შეხედვით ვეგონება ვითომ მთელი ეს ვებერთელა წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია ცხოვრობს თავის დამოუკიდებელი განკერძოებული ცხოვრებით და არ გრძნობს არავითარ გავლენას იმ ძლიერ ფაქტორებისას, რომლებიც მე ეს — ესაა ჩამოვთვალე ზევით. მაგრამ ეს მხოლოთ პირველ შეხედვით, ნამდვილათ კი ყველა ეს ფაქტორები უდიდეს გავლენას ახდენდა მთელ ამ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიაზე და საერთოდ მთელს ჩვენს ეკონომიკაზე, გარდამავალი ხანის ეკონომიკაზე. ფიგურალურათ ამ ფაქტორებს უწოდებთ ჩვენ საბრძანებლო მაღლობებს. და ეს მოხერხებული შედარებაა. ეს „საბრძანებლო მაღლობები", რომლებსაც უკავიათ ყველგან გაბატონებული მდგომარეობა, ხელში იგდებენ მთელ ამ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიას ყოველი მხრიდან და თავის ჩარევით მიმართავენ მთელ ეკონომიურ ცხოვრებას განსაზღვრული მიმართულებისაკენ. თავის თავად იგულისხმება, ამ ჩარევას არ უნდა ქონდეს „მაგარი ადმინისტრაციობის" („жесткое администрирование") ხასიათი, როგორც ეს იყო სამხედრო კომუნიზმის დროს. ეს უნდა გვესმოდეს, როგორც „შანეერობა, გადაწევ-გადმოწევა და შეთანხმება ბაზრის პირობებში" (ტროცკი [4]), ხოლო ამას კი კოლოსალური მნიშვნელობა აქვს.

ყოველ საბელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია და კიდევაც უნდა ერეოდეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და მიმართავდეს მას თანახმათ თავის მიზნებისა და სურვილების. ბურჟუაზია, კაპიტალისტები და მემამულეები ერეოდენ ამ ცხოვრებაში თავისი კლასის ინტერესებისათვის; პროლეტარიატი, დგას რა საბელმწიფო ხელისუფლების სათავეში, ვალდებულია ჩაერიოს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში ადამიანის ბიერ ადამიანის ყვლეფის საბოლოოთ მოსპობის მიზნისათვის, ე. ი. მშრომელთა ინტერესებისათვის. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს კაპიტალიზმის დროს მბრძანებელი კლასების ჩარევისას ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში იძლევა გერმანია იმპერიალისტური ომის დროს. „პირველმა კვირეებმა ომის დაწყების შემდეგ, ამბობს ჰუსტავ ექშტეინი*), დაგვანახა თუ ფასების როგორ ზღაპრულ ზრდამდე შეუძლია მიგვიყვანოს „ძალთა თავისუფალ თამაშს" პანიკის დღეებში. რომ საბელმწიფო ხელისუფლება არ ჩარეულიყო ენერგიულათ საქმეთა ვითარება არ გაუმჯობესდებოდა, შემდეგ კი თვით წარ-

*) იხ. მისი ბროშიურა: „ომი და საბალხო მეურნეობის მომავალი". დაწერილია ის 1916 წ., გადათარგმნილია რუსულ ენაზე 1917 წ. ავტორი იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთი თეორეტიკოსთაგანი, რომელიც რევოლიუციონური მარქსიზმის ერთგული დარჩა. საბუნებოოთ გარდაიცვალა ის ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოება სავსებით შეჩერდებოდა"... „კაპიტალიზმი რომ, — ამბობს შემდეგ ავტორი, — თავის ალალბედზე ყოფილიყო დატოვებული ომის დასაწყისში, ის მაშინვე დამარცხდებოდა და თავის ნანგრევების ქვეშ დამარხავდა სახელმწიფო ხელისუფლებას"... (კურსივი ყველგან ჩემია ფ. მ.). როგორც იცით გერმანიის კაპიტალისტურმა ბურჟუაზიამ კარგათ გაითვალიწინა მაშინ ეს გარემოება და მით გადაირჩინა თავი დიდი ხნით. წარმოების რეგულიაციისა და მოსახმარ საგნების განაწილების მეთოდები, რომლებსაც ხმაროობდა მაშინ კაპიტალისტური ბურჟუაზია, მონათლულ იქნა „სამხედრო სოციალიზმათ". ნამდვილათ კი ეს „სამხედრო სოციალიზმი" მხოლოთ შირმა იყო იმპერიალისტური ბურჟუაზიის მეტად ცინიკური და მეტად უტიფარი დიქტატურის დასაფარავათ.

ჩვენთვის ძალიან საგულისხმიერია ის, რომ იგივე ექმტეინი, რომლის სიტყვები მომყავდა მე ახლა, ჯერ კიდევ 1916 წ. უპირდაპირებდა იმპერიალისტურ მძარცველთა „სამხედრო სოციალიზმს" მუშათა კლასის ნამდვილ სოციალიზმს, ერთი მხრით, და ბურჟუაზიის დიქტატურას კი — მუშათა სახელმწიფოს. აღნიშნავს რა, რომ თითქმის სოციალისტები შორისაც კი გაისმის ხმები იმაზე, რომ გერმანიის ეკონომიური წყობილება ჯერ კიდევ სრულებითაც არ მომწიფებულა სოციალიზმისათვის და რომ პროლეტარიატის ბატონობა, კიდევაც რომ ქონებოდა ადგილი ასეთს, აუცილებლათ მიგვიყვანდა გაკოტრებამდე, ის ამბობს: „უკანასკნელი წლის ამბებმა დაამტკიცა წინაალმდეგი. პროლეტარული მთავრობა რომ იყოს საკმარისათ ძლიერი, რათა გამოვიდეს ისე დიქტატორულათ, როგორც დღეს გამოდის სამხედრო (უფრო სწორათ რომ ვთქვათ, იმპერიალისტური ბურჟუაზიის სამხედრო ბლოკის ფ. მ.) ხელისუფლება, მაშინ ნიეთიერი და ორგანიზაციული წინასწარი პირობები კი იქნებოდა უმახლობელეს ხანში მეურნეობის საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაქმნელათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის რაც შეიძლება ფართო მასშტაბით".

დიახ, უეჭველია, რომ მეურნეობის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეს ნიეთიერი და ორგანიზაციული წინასწარი პირობები გერმანიაშიც, ინგლისშიც, საფრანგეთშიც, ამერიკაშიც უკვე დიდი ხანია, რაც მომწიფდა. მაგრამ მხოლოდ პროლეტარიატმა ვერ შესძლო ჯერ კიდევ სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობა იქ უმთავრესათ მეორე ინტერნაციონალის ბელადების ღალატის გამო. ხოლო როგორ უნდა მოვქცეულიყავით რუსეთში, სადაც ეს პირობები ჯერ კიდევ ისე არ მომწიფებულიყო, მაგრამ სადაც პროლეტარიატმა მთელ რიგ მის საკარგებლოთ მოწყობილ პირობათა და გარემოებათა გამო ჩაიგდო ხელში სახელმწიფო ხელისუფლება? ნუ თუ მას უარი უნდა ეთქვა ამ სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენებაზე გეგმიანი მეურნეობის მოწყობისა და სოციალიზმისაკენ გადასვლის მიზნისთვის?

თუ დაუჯერებთ შემთანხმებლებსა და მუშათა კლასის გამცემლებს, მენშევიკებსა და ესერებს, პროლეტარიატს რუსეთში სრულებითაც არ უნდა ჩაეგდო ხელში სახელმწიფო ხელისუფლება და მით უფრო არ უნდა შედგომოდა სახელ-

ხო მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე. მაგრამ პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობა უკვე რეალური, ისტორიული ფაქტია და ამ ფაქტორის მნიშვნელობა მთელს მსოფლიოში ახლა უკვე საბოლოოთაა დაწესებული.

რასაკვირველია, პოლიტიკური რევოლიუცია შედარებით უფრო იოლი მოსახდენია, ვიდრე საზოგადოების ეკონომიური გარდაქმნა. მაგრამ ეს გარდაქმნა უკვე დაწყებულია. ჩვენ მივდივართ სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით სოციალიზმისკენ, ე. ი. იმ გზით, რომელზედაც მიგვითითა თავდაპირველათ ლენინმა.[1]) აქ ძალიან ბევრ სიძნელეა დასაძლეველი. ხანდისხან გვიხდება მიხვეულ-მოხვეული გზით სიარული, გვიხდება თავის შემორება შორიდან, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც მივდივართ დასასრული მიზნისაკენ, და ჩვენი გამარჯვება სახალხო მეურნეობის სფეროში სტიქიაზე სულ ახლო მომავალში, ესეც აგრეთვე ვებერთელა მნიშვნელობის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი გახდება.

ეს გამარჯვება მოხდება გეგმიანი მეურნეობის გზით სტიქიური ხასიათის ეკონომიურ პროცესებთან ბრძოლით, ამ პროცესების თანდათანობითი შეცვლებითა და მათი დამორჩილებით გამარჯვებული პროლეტარიატის შეგნებულ და შემოქმედ ნებისათვის. ამ ამოცანის სისრულეში მოყვანა საკვლევით შესაძლებელია.

უმუშევრობის პროგლება

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მორიგ ამოცანას შეადგენს ყოველგვარ უმუშევრობასთან ბრძოლა. ეს ამოცანა მდგომარეობს ყოველგვარ უმუშევრობის მოსპობაში. მართლადაც სრულიად არანორმალური ისეთი მდგომარეობა, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოში მშრომელი ადამიანი მოკლებულია საშუალებას გამოიყენოს თავისი საზოგადოებრივი — სასარგებლო შრომა: ამის გამო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან არა მარტო უმუშევრები, არამედ გაჭირვებას განიცდის თვით მშრომელთა სახელმწიფოც, ვინაიდან მას მოსპობილი აქვს ის მატერიალური საკეთენი, რომელიც უნდა შექმნილიყო დღევანდელ მომენტში დარჩენილ უმუშევრების მიერ.

უმუშევრობის საკითხი ძალიან ძნელი და რთულია კაპიტალისტურ საზოგადოების ჩარჩოებში. იქ, სადაც გაბატონებულია კაპიტალი, იგი გადაუჭრელია, ე. ი. კაპიტალისტურ სახელმწიფოში უმუშევრობის თავიდან აცილება არ შეიძლება ისე, როგორც არ შეიძლება იქ სამრეწველო და სხვა ყოველგვარი კრიზისების დაძლევა.

მაგრამ სულ სხვაგვარად სდგას ეს საკითხი ჩვენში, საბჭოთა წესწყობილების დროს: აქ უმუშევრობა წარმოადგენს ერთის მხრივ კაპიტალიზმის და მეორეს მხრივ ფეოდალურ — თავად-აზნაურულ მიწადმფლობელობის ნაშთების მძიმე მემკვიდრეობას. კაპიტალისტების და მემამულეების პოლიტიკურ ძალა-უფლების მოსპობით ჩვენ ერთის დაკვრით მაინც ვერ მოუღეთ ბოლო ამ მძიმე მემკვიდრეობას, მით უმეტეს, როდესაც საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალები ძალიან ჩამორჩენილი და განუკითარებელია.

ჩვენ არ შევეხებით ამ საკითხის გადაჭრას არსებითად, არამედ ამ წერილში გავაშუქებთ იმ ღონისძიებებს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება იღებს უმუშევრობის სიმწვავის შესუსტების და განელების მიზნით, რადგან ეს უმუშევრობა საგრძნობი ხდება ყველგან. ეხლა ჩვენ ვაყენებთ კითხვას ამ მოვლენის სიმწვავის განელების და არა მის სრულიად მოსპობის შესახებ, რაც ჩვენ უნდა ვეცადოთ ყოველგვარი ძალებით და საშუალებებით.

ამ დღეებში მოსკოვის „პრავდა"-ში მოთავსებული იყო ამს. განდინის ძალიან საინტერესო წერილი: „პროლეტარულ სახელმწიფოს დახმარება უმუშევართათვის" (№ 279, 7 დეკემბ.). მე საჭიროთ მიმაჩნია მოვიყვანო ამ წერილიდან ზოგიერთი ცნობები იმ დახმარების შეახებ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება უწევს უმუშევრებს. უწინარეს ყოვლისა საინტერესოა ის ფაქტი, რომ შრომის სახ. კომისარიატის მიერ გაცემული დახმარება, რომელიც უდრის საშუალოთ 8 — 10 მანეთამდე თვეში, ვრცელდება მთელ კავშირის 300.000 უმუშეკარზე; გაცემული ყოფილა 1923—24 წლის განმავლობაში 21.000.000 მანეთი. უმუშევართა დახმარებასთან ერთად მოწყობილია სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებრივი სამუშაოები და ბგრეთვე საწარმოვო შრომის კოლექტივები. უმუშევართათვის საზოგადოებრივ სამუშაოებისათვის 1923—24 წელს მთავრობამ გადასდო 2. 300.000 მანეთი, ხოლო სათადარიგო ფონდიდან გაცემული იქნა კიდევ 800.000 მანეთი. სულ მაშასადამე — 3 მილიონზე მეტი. ამას გარდა იმავე მიზნისათვის გაცემული იყო საშუალებანი ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების მიერ სხვადასხვა წყაროებიდან.

ეს სამუშაოები სწარმოებდა რამდენიმე თვის განმავლობაში და ამ მუშაობას ჰქონდა მასიური ხასიათი, იღებდენ დღეში „დაახლოვებით 25.000 კაცს; კიდევ უფრო ფართო ხასიათს მიიღებს ეს საზოგადოებრივი სამუშაოები მიმდინარე 1924—25 წელში, რადგან სახელმწიფოს განზრახული აქვს გადასდოს ამ სამუშაოებისათვის 10. 000.000 მანეთამდე, გარდა იმისა, რასაც ადგილები გაიღებენ. მუშაობა იწარმოებს მთელი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება საწარმოვო—შრომის კოლექტივებს, ისინი მოწყობილი არიან შრომის ბირჟებთან. ეს კოლექტივები აერთიანებენ უმუშევართა საკმაოდ დიდ კადრებს სახელოსნოებში, ფაბრიკებში და სხვა წარმოებებში, რომლებიც მოქმედებენ კოლექტიურ გაერთიანების საფუძველზე. ამჟამად ამბ. გინდინის ცნობით, ასეთ კოლექტივებში მთელ საბჭოთა კავშირში გაერთიანებული არიან 50.000-ზე მეტი უმუშევარი, აქედან საბჭოთა რუსეთში — 34.000 კაცი, უკრაინაში — 14.000 კაცი; დანარჩენი—ბელორუსიაში. როგორც აღნიშნულ წერილის ავტორი ამბობს, „ამ კოლექტივებს სახელმწიფომ გაუწია არსებითი დახმარება სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების, სესხის მიცემის და სხვა დახმარების სახით. ამ დახმარების შემდეგი გაფართოება და გაღრმავება სავსებით დამოკიდებულია ადგილების, შრომის სახ. კომისარიატის და დაბალ საფეხურის პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოების „თვითმოქმედებასა და ინიციატივაზე.“ ასე სდგას საკითხი უმუშევართა დახმარების შესახებ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სოციალურ დაზღვევის სალაროებიდან დახმარების გაცემასთან ერთად ჩვენ გვაქვს, ჯერ ერთი, საზოგადოებრივი სამუშაოები და მეორეც — საწარმოვო შრომის კოლექტივები.*)

არაეითარ შემთხვევაში არ უარვყოფთ იმ არსებით მნიშვნელობას, რომელიც აქვს უმუშევართა დახმარების ამ სახეებს, მაგრამ მაინც უნდა აღნიშნოთ, რომ ყველა ეს დახმარება, რომელიც საბჭოთა ხაზინას არც ისე იაფად უჯდება, სრულიადაც საკმარისი არ არის. როგორც მკითხველი შენიშნავდა, თუ მთელი ყურადღება არა, 95 პროც. ამ ყურადღებისა მაინც მიქცეული აქვს დახმარების გაცემას ერთი მხრივ და საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობას, მეორეს მხრივ. ამ მიზნებისათვის ყოველ წლიურად იხარჯება ათეული მილიონები, მაგრამ ამაოთ, უმუშევრობა სრულიადაც არ მცირდება. რა თქმა უნდა დახმარებაც, საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობაც და სხვა ასეთები საჭიროა უმუშევართათვის, ვინაიდან ყველა ეს ღონისძიებანი ანელებენ უმუშევრობის სიმწვავეს, მაგრამ ყველაფერი ეს დროებითი ღონისძიებანია; დახმარების სახით მიღებული ფული შეჭმულია, საზოგადოებრივი სამუშაოები შესწყდა და უმუშევრობა კიდევ უფრო

*) გარდა ამისა უმუშევრებს ეძლევა სხვა გვარი დახმარებაც სხვადასხვა შეღავათების და პროფ-კავშირების მხრივ დამატებითი დახმარების სახით და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად ხდება საგრძნობი. და ეს ხდება იმიტომ, რომ ყველა ჩვენი ღონისძიებანი მიმართულია არა იმ მიზეზის წინააღმდეგ, რომელიც უმუშევრობას იწვევს, არა იმ საწარმოო ღონისძიებების გამომუშავებისაკენ, რომელსაც ჯერ ერთი,—შეუძლია ძუძმივი ხელფასი მისცეს უმუშევრებს და მეორეც, გაადიდოს ჩვენი წარმოება, — ე. ი. ჩვენი მატერიალური სიძლიერე, არამედ უმუშევრობის სიმწვავის განელებისაკენ, უმუშევართა მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ. ჩემის აზრით საკითხის ამ გვარად დაყენება არ არის სწორი. სიმძიმის ცენტრი უმუშევრობის საკითხში უნდა იქნეს გადატანილი სხვა სფეროში უმუშევართათვის ბუდნიე შემოსავლის წყაროების გამონახვის მხარეზე, ისეთ წყაროების, რომელიც ერთსა და იმავე დროს გაზრდის ჩვენი პროდუქციის, ჩვენი სიმდიდრის საერთო ჯამს, როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე ქალაქის ინდუსტრიის დარგში. როგორც ამხ. გინდინის წერილიდან სჩანს, ამჟამად საკითხის ამ მხარეს მიქცეული აქვს ეროვნული ყურადღება, მაგრამ როგორც მე აღნიშნე, არა იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა.

ვეებებით რა ეხლა საკითხა იმის შესახებ, თუ რა კეთდება ამ დარგში ამიერ-კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, ჩვენ უნდა აღნიშნოთ, რომ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამ დარგში არაფერი მუშაობა არ სწარმოებს. როგორც სჩანს, ჩვენ ამ საკითხში შესამჩნევათ ჩამოვრჩით სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს. მე მიმდინარეობაში მაქვს საზოგადოებრივი სამუშაოების და საწარმოო კოლექტივების მოწყობა უმუშევრებისაგან. ხოლო ამ დღეებში გავიგეთ ჩვენ ამხ. **იაშვილის** წერილიდან („შრომის მოწესრიგება ამიერ-კავკასიაში". იხ. „ამიერ-კავკასიის ეკონომიური უწყებები" № 10), რომ „ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს 1924 — 25 სამეურნეო წელში აქვს ცენტრიდან მიღებული 1.000.000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობას". თანხა როგორც ხედავთ, საკმაოთ დიდია ჩვენს ეხლანდელ საფინანსო პირობებში. სამწუხაროთ, არ ვიცი, როდის დაიწყებენ ბოლოს და ბოლოს ამ საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობას და როგორი საზოგადოებრივი ამუშაოებია საერთოდ განზრახული. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო შრომის სახალხო კომისარიატის, არამედ მთელი სახელმწიფოს თვალსაზრისით. საქმე ის კი არ არის, რომ შეეკითხო სხვადასხვა უწყებებს და აღმასკომებს, თუ როგორი მუშაობის წარმოებაა მათთვის საჭირო. ასეთი სამუშაოებები მრავალია. ზოგს უნდა ქუჩების შეკეთება, ზოგს ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება, ზოგს კიდევ არხების გაყვანა და სხვა. აშკარაა, რომ ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა საუწყებო თვალსაზრისით შეუძლებელია, ისინი თვითეულ რესპუბლიკაში წინასწარ დამუშავებული უნდა იქნეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვსთქვათ, თუ როგორი საზოგადოებრივი სამუშაოები იქნება ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ამა თუ იმ მომენტში. ეს წინასწარი მუშაობა ჯერჯერობით არ სჩანს. 1924 — 25 სამეურნეო წლის პირველი მეოთხედი კი უკვე თავდება. მეორეს მხრივ ამხ. იაშვილი იტყობინება, რომ ახლო მომავალში დაიწყება საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობაო. მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, იყო თუ არა ამ სამუშაოებების გეგმა წინასწარ განხილული საერთო საგეგმო კომისიებში. და თუ განხილული არ იყო, ეს მეტათ ცუდია. ეს დიდი შეცდომაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს ერთი მხარეა საკითხის. მე ყველაზე უფრო მაკვირვებს მეორე დებულება, რომელსაც აყენებს ამხ. იაშვილი. იმავე წერილში ის ამბობს: „რაც შეეხება მრომის კოლექტივებს, მათ ექნებათ უმუშევართათვის დროებითი შრომით დახმარების გაწევის ხასიათი. შრომის კოლექტივების შემადგენლობა პერიოდულათ უნდა იცვლებოდეს, რომ მათში უმუშევრების რაც შეიძლება მეტი რიცხვი იქნეს გატარებული... მრავალი ამხანაგები ადგილებზე შრომის კოლექტივებს უყურებენ არა როგორც უმუშევართათვის დროებითი დახმარების გაწევის საშუალებას, არამედ როგორც მიზანს. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საკითხისადმი ასეთი მიდგომის წინააღმდეგ (ყურსივი ჩემია ფ. მ.). აქ, მე ვფიქრობ, ამხ. იაშვილი, რამდენათაც ის გამოხატავს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის აზრს, შემცდარ პოზიციაზე სდგას. უპირველეს ყოვლისა, რას გულისხმობს ის შრომის კოლექტივების ქვეშ? თუ ეს უბრალო საქველმოქმედო დაწესებულებაა, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს წარმოებასთან, თუ ეს მართლ „უმუშევართათვის დროებითი დახმარების გაწევის საშუალებაა", როგორც ამას ამბობს ამხ. იაშვილი, მაშინ მე უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ამხანაგები დიდ შეცდომას სჩადიან, რომ მეტი არ ვთქვათ, როდესაც ასეთ არასერიოზულ საქმეს კიდებენ ხელს. მე ამ კოლექტივებს ვუყურებ როგორც სერიოზულ საწარმოო ორგანიზაციებს, რომლებსაც საქმის სერიოზულათ დაყენების პირობებში შეუძლიათ ორნაირი სარგებლობა მოიტანონ, სახელდობრ: 1) ისინი თანდათან გადიდებენ მატერიალური დოვლათის საერთო რაოდენობას, როგორც სასოფლო სამეურნეო, ისე სამრეწველო პროდუქტების რაოდენობას, და 2) ამით თანდათან შეამცირებენ უმუშევართა რიცხვს.

აი ნამდვილი გზა უმუშევრობის დასაძლევათ, გზა მის მოსასპობად...

რაც შეეხება უმუშევრებისათვის დახმარების მიცემას და მათთვის საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობას იმ სახით, როგორც ეს აქამდე ხდება, უნდა ვსთქვათ, რომ ამ გზით ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ. ყველა ამ ღონისძიებებს მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვთ, დახმარების მიცემა ანდა საზოგადოებრივი სამუშაობების მოწყობა იმ სახით, როგორც, მაგალითად, ჭაობების ამოშრობა, ანდა ქუჩების მოკირწყვლა, თავისთავად მეტად კარგი საქმეა, მაგრამ უმუშევრობის მოსპობის საქმეში—ის მხოლოდ პალიატივია, და ამის იქით ისინი ვერ მიდიან. სულ სხვა საქმეა საწარმოო კოლექტივების მოწყობა სახელოსნოების, ფაბრიკების ანდა ქარხნების სახით, ერთის მხრივ და დიდი საბჭოთა მეურნეობების მოწყობა კოლექტიურ საფუძველზე სოფლის მეურნეობის სფეროში, მეორეს მხრივ. მათ უკვე დროებითი ან შემთხვევითი ხასიათი კი არ ექნებათ უმუშევართათვის, როგორც დახმარებას და საზოგადოებრივ სამუშაოებს, რომლებიც ღღეს არის, ხვალ კი შეიძლება არ იქნეს, არამედ ისინი იარსებებენ ხანგრძლივათ, მუდმივათ. შეიძლება გვიპასუხონ, რომ ამისათვის საჭირო იქნება დიდი საბრუნავი თანხები, რომლებიც ჩვენ არ გვაქვს, და ბოლოს, შრომის კომისარიატის მოვალეობას არ შეადგენს ასეთი საქმეების გაკეთება. მაგრამ ასეთი პასუხი არ იქნება საფუძვლიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ საშუალებები არის, თუგინდ ის, რომელიც გადადებულია ცენტრის მიერ; შენდეგ, საქმე იმაში კი არ არის, რომ ყველაფერი ეს ფორმალურათ არ შეეხება შრომის სახალხო კომისარიატს, არამედ საქმე იმაშია, რომ შრომის კომისარიატი თავდაპირველათ ვალდებულია დაამუშაოს უმუშევრობასთან ბრძოლის გეგმა, შენდეგ ეს გეგმა უნდა გაატაროს სათანადო საერთო საგეგმო კომისიაში. თორემ გამოდის ისე, რომ მას, რასაც ნაწილი მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს უმუშევართათვის დახმარების გაწევის საქმეში, სახელდობრ საწარმოო კოლექტივების მოწყობას, რაზედაც ზევით არის ნათქვანი, ამბ. იაშვილის აზრით მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს, და პირიქით, რაც მართლაც დროებითი და შემთხვევითია, ის, ამბ. იაშვილის აზრით, ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია.

არა ნაკლებ გაკვირვებას იწვევს კიდევ ამბ. იაშვილის შემდეგი დებულება: „შრომის კოლექტივების შემადგენლობა პერიოდულათ უნდა იცვლებოდეს, რომ მათში უმუშევრების რაც შეიძლება მეტი რიცხვი იქნეს გატარებული". აი ეს უკვე სრულიად გაუგებარია. დაუშვათ, რომ უმუშევრების განსაზღვრულ ჯგუფს უფლება მისცეს მოაწყონ კოლექტივი. ამ კოლექტივმა მოაწყო რომელიმე სახელოსნო, ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა. დაუშვათ, რომ უმუშევრებმა შესძლეს საქმის კარგათ დაყენება, რამოდენიმე თვის შემდეგ კი მათ უბრძანებენ მიატოვონ საქმე და წავიდენ ქუჩაზე, რომ ადგილი დაუთმონ სხვა უმუშევრებს. ეს რაღაც ოთურმაა, და არა საქმე. ამ ლოგიკის მიხედვით უმუშევრებს ეხლაც შეუძლიათ წავიდენ რომელიმე ქარხანაში ანდა ფაბრიკაში და წინადადება მისცენ იქ მომუშავე ამხანაგებს მიატოვონ სამუშაო, რომ ადგილი დაუთმონ მათ. ეს აშკარად გაუგებრობაა. საკითხის ასე დაყენება ამქამათ ვერავის ვერ დააკმაყოფილებს. მდგომარეობა კი სერიოზულია და საჭიროა სასწრაფოთ იქნეს მიღებული ზომები. საშუალებები არის, საჭიროა მხოლოდ მათი მიზანშეწონილად გამოყენება საერთო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ყველა მშრომელთა სასარგებლოთ, რადგან არანორმალურია, როდესაც ერთს აქვს სამუშაო, მეორეს კი არ აქვს. უმუშევართა კადრი თანდათან იზრდება; ეს იმას ნიშნავს, რომ არიან ღარიბები სოფელშიც და ქალაქშიც და სახელმწიფო ღარიბია. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ხელისუფლების ყველა ორგანოებმა, ეს არ არის საუწყებო საკითხი. ეს ერთი. მეორე დებულება, რომელსაც მე ვაყენებ, ეს არის ის, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ახალ მუდმივ წყაროების შექმნას, საწარმოო კოლექტივების სახით, რომლებიც თანდათან შეამცირებენ უმუშევრობას.

ამიტომ საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მე მიზანშეწონილად მიმაჩნია ის, რომ იმ თანხების დიდი ნაწილი, რომელიც ეხლა იხარჯება უმუშევრებზე, მიდიოდეს არა დროებით დახმარებაზე და არა შემთხვევითი ხასიათის საზოგადოებრივი სამუშაოებების მოწყობაზე, არამედ წარმოების გადიდებასა და გაფართოებაზე. მხოლოდ ამაშია უმუშევრობის შემცირების და შემდეგ მისი სრული მოსპობის საწინდარი.

გაზეთი „კომუნისტი"
1929 წლის 18 დეკემბერი, № 289.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმუშევართათვის დახმარების მოწყობა ამიერ-კავკასიაში

I.

საკითხი, უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, ან და უკეთ რომ ვსთქვათ, უნუშეგრობასთან ბრძოლის შესახებ, ამ ჟამად უაღრესათ საყურადღებო და აქტუალური საკითხია. ამასთანავე ის სპეციალური საკითხი არის და ხელისუფლების განსაკუთრებულ ორგანოთა კომპეტენციას შეადგენს. შეიძლება „გარეშე" პირები სრულიადაც არ უნდა შეეჩრილიყვენ ამ საქმეში. მაგრამ რა გაეწყობა, მე უკვე ჩავიდინე ეს „ცოდვა".

როგორც მკითხველმა ალბათ უკვე იცის, ამხ. იაშვილის წერილის საპასუხოთ, რომელიც დაბეჭდილი იყო „ეკონომიჩესკი ვესტნიკ ზაკავკაზია"-ს გასული წლის მეათე ნომერში სათაურით: „შრომის მოწესრიგება ამიერ-კავკასიაში", მე დავწერე პატარა წერილი სათაურით: „უმუშევრობის პრობლემისათვის" და მოვათავსე „ზარია ვოსტოკა"-ს 18 ოქტომბრის 756 ნომერში. ამ წერილში მე კრიტიკულად შევხედე ამხ. იაშვილის ზოგიერთ დებულებებს და ვამტკიცებდი, რომ უმუშევრობასთან ბრძოლის პრაქტიკულ საკითხებში ჩვენ ჩასოყრჩით სხვა რესპუბლიკების საქმიანობას. ჩემს წერილში იყო აგრეთვე ზოგიერთი პრაქტიკული წინადადებებიც, რომელზედაც მე შემდეგში ვილაპარაკებ. მაგრამ ეხლავე უნდა განვაცხადო, რომ ჩემი წინადადება მე ძალით არას დროს არავისთვის არ მომიხვევია თავზე, არც ეხლა ვაკეთებ და ამ შემთხვევაში პირადათ არც ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატს და არც ამხ. იაშვილს არ შევებივარ. მე სახეში მყავდა საერთოდ ყველა ჩვენი საბჭოთა-პარტიული წრეები და ვფიქრობდი, რომ ჩემს წინადადებებს განიხილავდენ მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი თვალსაზრისით ჩვენი საერთო საქმის ინტერესებთან შეფარდებით.

სამწუხაროთ, არ ვიცი რატომ, ჩემი წერილის შინაარსს ზოგიერთ წრეებში სრულიად მოულოდნელი ახსნა მისცეს.

მე მოველოდი, რომ ჩემი წერილი გამოიწვევდა საქმიან პასუხს. მაგრამ ეგ არ მოველოდი იმას, რომ მოკამათეები გვერდს აუხვევდენ საქმის შინაარს, ერთის მხრივ, და მიმართავდენ ამა საკადრის პოლენიკურ ხერხს—მეორეს მხრივ. ის კი მოხდა, რომ ჩემმა ოპონენტებმა დაიწყეს ჩემს აზრებს ჯიუგნა, გადამახინჯება და შესწორება სურვილის მიხედვით, იმისათვის, რომ სახელი გაეტეხათ მკითხველის თვალში და ან რიგათ იოლი გამარჯვება მოეპოვებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე აქ ზოგიერთ მაგალითებს მოვიყვან ნათქვამის დასამტკიცებლათ.

შეტევა ორი მიმართულებით დაიწყო. ჯერ ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოდგან (ამხ. შვარცმა *) გამოიცალეშჭრეს, ხოლო მას გამოეხმაურა შემდეგ ამ.-კ. შრომის სახალხო კომისარიატი, (ამხ. იაშვილი. **) ასე მაგალითად, ამხ. შვარცი ჯკეთებს რა კომენტარიებს ჩემს სიტყვებს უმუშევართათვის დახმარებისა და საზოგადოებრივი სამუშაოების მნიშვნელობის შესახებ, შემდეგს ამბობს: „ამხ. მაბარაძე გვითითებს, რომ საზოგადოებრივ სამუშაოებზე უშედეგოთ იხარჯება ძალღონისა და თანხების 95 პროც.“ რომ „მისი აზრით საზოგადოებრივ სამუშაოებისათვის და უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით გაღებული ასიგნობები მიზანშეუწონელი და უსარგებლო ღონისძიებაა, რომელიც სრულებით ვერ ამცირებს უმუშევრობას„ (ხაზგასმული ჩემია. ფ. მ.)

სად ვსთქვი მე, რომ ყველაფერი ეს უსარგებლოა, რომ დახმარების გაცემა და საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია უსარგებლოა?

ამხ. შვარცმა ეს აზრი მე მომაწერა და ამიტომ იძულებული ვარ მოვიყვანო ჩემი წერილის ერთი ადგილი, იმისათვის, რომ სინამდვილე აღვადგინო. „როგორც მკითხველი დაინახავდა, თუ მთელი ყურადღება არა, ყოველ შემთხვევაში ყურადღების 95 პროც. ექცევა ერთის მხრივ, დახმარების გაცემას და მეორეს მხრივ საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციას. ამ მიზნით ყოველ წლიურათ ათეული მილიონები იხარჯება, მაგრამ მიუხედავათ ამისა, უმუშევრობა სრულებით არ მცირდება. რა თქმა უნდა, დახმარებაც, საზოგადოებრივ სამუშაოების ორგანიზაციაც და უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის სხვა სახეებიც აუცილებლათ საჭიროა. ვინაიდან ყველა ეს ღონისძიებები ცოტათი მაინც ამსუბუქებენ უმუშევართა მძიმე, მდგომარეობას, ცოტათი მაინც ასუსტებენ უმუშევრობის სიმწვავეს. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოთ დროებითი ღონისძიებებია“.

სად სწერია აქ, რომ ყველაფერი ეს ფუჭია, რომ ყველაფერი უსარგებლოთ კეთდება?

პირიქით, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ყველაფერი ეს საჭიროა, რომ ყველაფერი ეს აუცილებელია არის, ვინაიდან ის ასუსტებს უმუშევრობის სიმწვავეს. რომ ესეც არ კეთდებოდეს, უმუშევართა მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი შეიქმნებოდა. ეს ერთ-ერთი დასკვნაა, რომელიც ჩემი სიტყვებიდან გამომდინარეობს.

მეორე დასკვნა ზენოთმოყვანილ სიტყვებიდან ის არის, რომ უნდა ეძიოთ კიდევ სხვა გზები, სხვა საშუალებები გარდა დახმარების გაცემისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციისა უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით.

მაგრამ ამხ. შვარცმა არ მოისურვა არც ერთ ამ დასკვნის გაკეთება და მომაწერა მე სიტყვები და აზრები, რომელიც არ მითქვამს. აი ეს არის ის ჯიჯგნა და გადამაბინჯება აზრების, რომელზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი.

*) „ეკონომიჩესკი ვესტნიკ ზაკავკაზიაᲘ № 1—1925 წ. წერილი: „უმუშევრობის პრობლემის შესახებ ა. ჯ. ს. ფ. ს. რ.“

**) ხარია ვოსტოკა“ № 773, წერილი: „უმუშევრობის პრობლემა“

ამ მხრივ უნდა ითქვას სიმართლე, ამხ. იაშვილმა გაცილებით აჯობა ამხ. შვარცს. ამხ. შვარცი იძულებული შეიქნა ელიარებია, რომ „ამხ. მახარაძის მიერ ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკებში უმუშევრობასთან დაკავშირებით აღძრული საკითხები უაღრესად აქტუალური საკითხებია“, რომ „მართალია ამხ. მახარაძე, როდესაც სვამს საკითხს რესპუბლიკების შრომის კომისარიატების მუშაობის დავეგმვის შესახებ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტის დარგში“, და რომ დაბოლოს „უსათუოდ დიდი შეცდომა ჩაიდინა ა.-კ. შრომის კომისარიატმა, რომ თანხების განაწილებამდე არ იყო წინასწარ განხილული სახელმწიფო საგეგმო კომისიაში საკითხი უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ“. (ხაზგასმული ჩემია. ფ. მ.)

ამის აღიარება არ სურს ამხ. იაშვილს. მისი აზრით ყველაფერი რიგზეა, შეწუხება არ არის საჭირო, ვინაიდან „ჩვენი წარმოების გაფართოება წინ მიიწევს ბუნებრივი ნაბიჯებით“. და რომ „ჩვენ (ე. ი. ამხ. იაშვილი) ამხ. შმიდტთან ერთად (ს. ს. რ. კავშირის შრომის სახკომია) მზად ვიყოლიებთ სათადარიგო მშრომელთა არმიას, დავიცავთ მას დაქსაქსვისა და კლასიურათ გადაგვარებისაგან დანელა-ნელა დავაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას სამუშაო ძალაზე, რომელიც დღითი-დღე იზრდება. ერთი სიტყვით ყველაფერი რიგზეა, არავითარ დაბრკოლებებს ადგილი არც აქვს და არც მომავალში ექნება. თუ ეს ასეა, რა თქმა უნდა ყველა კმაყოფილი და დამშვიდებული უნდა იყოს.

მაგრამ ამხ. იაშვილის საუბედუროთ, მოიძებნა ერთი კაცი ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც არ დააკმაყოფილა ამხ. იაშვილის მიერ დახატულმა სურათმა და რომელმაც ამის შესახებ დასწერა გაზეთებში. სჩანს ამხ. იაშვილს ყველაფერი ეს არ მოეწონა და იმის მაგივრათ, რომ პასუხი გაეცა არსებითად ს. ს. რ. კავშირის პრაქტიკის და გამოცდილების მიხედვით, მან არც ა�iva, არც აცხელა, დაცინვითა და ხუმრობით დაიწყო ლაპარაკი. მისი თქმით ჩემი წინადადებიდგან გამომდინარეობდა თითქოს ის, რომ უნდა მიგვემართა ამხ. სერებროვსკისათვის გაეფართოებია ნავთის წარმოება რათაც არ უნდა დაჯდომოდა , მიუხედავად იმისა, რომ ნავთისათვის ბაზარი არ მოიპოვება, ან ამხ. ეოფიკაშვილისათვის გვეთხოვნა—გაადიდე აგურების წარმოება, მაშინ როცა მასზე არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს და სხვა და სხვა: ეს მან იმიტომ ჩაიდინა, რომ შემდეგ გაეკეთებია დასკვნა: „ამხ. მახარაძის წანადადებები შრომის კოლექტივების საწარმოო ორგანიზაციებად გარდაქმნისა და (წარმოიდგინეთ! ფ. მ.) ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსების შესახებ ვერაფითარ კრიტიკას ვერ უძლებენო“. ასეთ კატეგორიულ მტკიცების დროს ამხ. იაშვილი არ ეშყარება ს. ს. რ. კავშირის პრაქტიკასა და გამოცდილებას. ამ საქმეში—ამის შესახებ ცოტა ქვეეით ვილაპარაკებ—ასეთ სერიოზულ საკითხში, როგორიც არის საკითხი უმუშევრობის შესახებ—ასეთი მიუღებელი ხერხის ხმარების უადგილობა ჩემის აზრით ყველასათვის ცხადია.

შემდეგ ძალიან უცნაურია ის გარემოება, რომ ამხ. იაშვილმა წმინდა პოლემიკური მიზნით, საჭიროთ დაინახა გაეხსენებია ჩემთვის, რომ „შრომის სახალხო კომისარიატი აძლევს რა უმუშევართ დახმარებას, ქველმოქმედებას კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ეწვევა (როგორი გამოთქმაა!!! ფ. მ.) მათ მიმართ, არამედ თავის პირდაპირ მოვალეობას ასრულებსო", რომ „უმუშევარი, რომელიც დაზღვევის დახმარებას ღებულობს, მოწყალებას კი არ იღებს არამედ იმას, რაც მას უფლებით ერგება" და ასე შემდეგ და ამ რიგათ. მაგრამ საკითხავია, ვინღა დაობდა ამ ანბანურ ჭეშმარიტებათა შესახებ? საქმე იმაშია, რომ ვისაც ჩემი წერილი არ წაუკითხავს, ან და შეიძლება წაიკითხა კიდეც, მაგრამ უკვე გადააყენეს, მას შეუძლია იფიქროს ამბ. იაშვილის საკმაოთ ორ. აზროვან ქარაგმების შემდეგ, რომ სწორეთ ჩემი ნათქვამია „უმუშევართათვის დახმარების მიცემა ქველმოქმედება არისო", მაგრამ ამბ. იაშვილი ამათ დაუწყებდა ძებნას რაიმე ასეთ აზრს მარტო იმ წერილში კი არა, რომლითაც ის რატომღაც უკმაყოფილოა, არამედ მთელ ნაწერებშიაც კი, მაგრამ მაშინ რაღა საჭიროა ყველაფერი ეს?

განა ამაში მდგომარეობს საქმის შინაარსი? — რა თქმა უნდა არა. ყველაფერი ეს ნახმარია ჩემს წინააღმდეგ პოლემიკის მიზნით. მე ვამტკიცებ, რომ ასეთი ორ-აზროვანის და დემაგოგიურ გამოლაშქრებისათვის ჩემს წინააღმდეგ მე არავისთვის მით უმეტეს ამბ. იაშვილისთვის, არაეითარი საბუთი არ მიმიცია.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საქმის მხოლოდ ფორმალური მხარეა და ნამდვილი შინაარსი ამაში არ არის. მიუხედავათ ამისა საქმის ეს ფორმალური მხარეც ამ შემთხვევაში უაღრესად დამახასიათებელია. ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ პირადი მომენტები ხანდახან უდიდეს სახელმწიფოებრივ საკითხების გადაჭრის დროს, უდიდეს მნიშვნელობას თამაშობენ, რომ ჩვენ არა თუ არ გვიყვარს, როცა შეცდომებზე მიგვითითებენ, არამედ პირდაპირ ვერ ვიტანთ ამას.

ამ შენიშვნების შემდეგ, მე პირდაპირ საკითხის შინაარსზე გადავდივარ.

II.

უპირველეს ყოვლისა, საიდან და როგორ დაიწყო ჩამაი ჩვენს შორის, უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხების შესახებ.

გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დაახლოებით, მე გავიგე „ერძო წყაროებიდან, რომ საქართველოს შრომის კომისარიატს განხილული აქვს ტფილისში საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობა და რომ საამისო თანხები გაცემულია ცენტრში და მუშაობაც უკვე იწყებაო.

ამავე დროს ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. საზოგადოებრივ სამუშაოების ორგანიზაციის საკითხი არ განხილულა არც ა.-კ. და არც საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, და არც პრესაში იყო ამის შესახებ არავითარი ცნობა. მე არ ვიცოდი დამეჯერებია თუ არა კერძოთ მიღებულ ცნობებისათვის, მაგრამ სწორეთ ამ დროს გამოვიდა „ეკონომიჩესკი ვესტნიკ ზაკავკაზიაᲐ-ს მე-10 ნომერი, რომელშიაც იყო დაბეჭდილი ამბ. იაშვილის ზემოთ აღნიშნული წერილი. ეს წერილი მთლიანათ და სავსებით ადასტურებდა ჩემს მიერ კერძოთ მიღებულ ცნობებს. ეს ერთი.

მეორეც ის, რომ ამბ. იაშვილის, — ა.-კ. შრომის სახკომისარიატის ერთ-ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელის და მასაშადამე იმ ორგანოებისაც, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც განაგებენ სპეციალურად უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს,—ამ წერილში, ჩემის აზრით, შემცდარი და ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ საბიფათო წინადადებები იყო. ეს წინადადებები წინასწარ არ გარჩეულა არც სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, არც უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში და არც პრესაში.

ამხ. იაშვილს თავის წერილში ეს წინადადებები ისე კატეგორიულათ ჰქონდა გამოთქმული, რომ ცხოვრებაში რომ გაეტარებიათ ისინი მიზახშეუწონელი იქნებოდა და შეიძლება საზიანოც ყოფილიყო ზოგიერთ შემთხვევაში.

ჩემს აზრს საკმაოთ ასაბუთებდა აგრეთვე გაზეთ „პრავდა"-ს გასული წლის 7 დეკემბრის (279) ნომერში მოთავსებული ამხ. გინდინის წერილიც. ამ წერილს შემდეგი სათაური ჰქონდა: „პროლეტარულ სახელმწიფოს დახმარება უმუშევართათვის".

ამ მოსაზრებათა გამო მე საჭიროთ დავინახე მომეთავსებია პრესაში პატარა წერილი, რომელიც დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკა"-ს 18 დეკემბრის ნომერში (756). იქ, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული იყო უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხის სირთულე და სერიოზულობა, აღნიშნული იყო ის ღონისძიებები, რომლითაც საბჭოთა მთავრობა ებრძვის დღეს უმუშევრობას იმისათვის, რომ შეანელოს და შეასუსტოს მისი სიმწვავე.

შემდეგ მე მიუთითებდი იმ გარემოებაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკები ამ მხრივ ჩამორჩენ სხვა რესპუბლიკების საქმიანობას, რომ ჩვენი სათანადო ორგანოები გულგრილათ ეკიდებიან ამ საქმეს. იქ აღნიშნული იყო შემდეგ, რომ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში უნდა გაეტარებია უმუშევართათვის გადადებული თანხის განაწილებისა და საზოგადოებრივ სამუშაო ორგანიზაციის საკითხი. აღნიშნული იყო აგრეთვე ისიც, რომ ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატმა ვერ ისარგებლა ამიერ-კავკასიაში უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით გადადებული 200.000 მანეთით 1924—25 ფინანსიური წლის პირველ კვარტალში, რადგან თავის დროზე ვერ მიიღო სათანადო ზომები.

ყველა ამ შენიშვნებში იოტის ოდენა ბრალდება, არ იყო წამოყენებული არავის მიმართ, აღნიშნული იყო მხოლოდ შეცდომები.

გარდა ამისა წერილში აღნიშნული იყო ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის უყურადღებობა უმუშევართაგან შემდგარ შრომისა და საწარმოო კოლექტივების მიმართ, უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში, რაც სჩანდა ამხ. იაშვილის სახელმძღვანელო წერილიდან.

სერიოზული პასუხი გამოიწვია აგრეთვე ამხ. იაშვილის ერთმა წინადადებამ. ის სწერდა, რომ: „შ რ ო მ ი ს კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი ს წ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა პერიოდულათ უნდა გამოიცვალოსო". არ იყო აღნიშნული დროც კი*), რომლის განმავლობაშიაც უნდა მომხდარიყო ამ კოლექტივების შემადგენლობის გამოცვლა.

*) მხოლოდ შემდეგ განაცხადა ამხ. შვარცმა, რომელიც იცავს ამხ. იაშვილის წინადადებას „ჩვენი საწარმოო კოლექტივების შემადგენლობის პერიოდულათ შეცვლის" შესახებ და რომელიც ამ წინადადებას „აბსოლიუტურად აუცილებლად სცხობს უმუშევარ მოსახლეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე აღვნიშნავდი, რომ შრომის კოლექტივების შემადგენლობის პერიოდული შეცვლა არ იქნება სასარგებლო და მიზანშეწონილი, ვინაიდან ან ჯერ ერთი ეს ზომა დაამსხვრევს წარმოების უკვე მოწყობილ აპარატს, ხოლო მეორე მხრივ წაართმევს ბუშებს წარმოების გაუმჯობესების ყოველგვარ ხალისს.

დასასრულ მე ვამბობდი: „უმუშევარია კადრები თანდათანობით იზრდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქშიაც და სოფელშიაც არის ულარიბესი ხალხი, რომ საერთოდ სახელმწიფოც ღარიბია. ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება ხელისუფლების ყველა ორგანოებმა, ვინაიდან ეს საკითხი არ არის რომელიმე უწყების საკითხი. ეს ერთი. მეორე დებულება, რომელსაც მე ვაყენებ, ეს ის, რომ უმთავრესი ყურადღება უმუშევრობის მოსპობის მიზნით, ჩვენ უნდა მივაქციოთ უმუშევრობის შემასუსტებელ მუდმივ ახალ წყაროებს წარმოებების სახით. ამის გამო, საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით, მე ვფიქრობ, რომ იმ თანხების დიდი ნაწილი, რომლებიც ეხლა უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს და დროებით საზოგადოებრივ-სამუშაოთა წამოწყებას ხმარდება, უნდა მოხმარდეს წარმოების გაფართოების და გაზრდის საქმეს".

ამ დიდი ამონაწერის მოყვანა მე აქ იმიტომ დამჭირდა, რომ ნათელი მეყოს ის უთანხმოება, რომელიც უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხში არსებობს, ერთის მხრივ, ჩემსა და, მეორეს მხრივ, ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატს და პროფკავშირთა საბჭოს შორის.

ეს უთანხმოება ორნაირია:

1) მე ვაყენებ საკითხს უმუშევართათვის მარტო დამმარების აღმოჩენის შესახებ კი არა, არამედ გაცილებით უფრო ფართოდ სახელდობრ, საერთოდ უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ, მისი საფუძვლიანი ლიკვიდაციის მიზნით. ჩემი ოპონენტები კი (ამხ. იაშვილი და შვარცი) ფიქრობენ, რომ საკმარისია მხოლოდ დროებით დახმარების აღმოჩენა უმუშევართათვის, ვინაიდან მათი აზრით ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა ვითარდება და იზრდება და ის თანდათანობით ჩააბამს მუშაობაში ყველა უმუშევარს. მათ ამავე დროს მხედველობაში ყავთ თითქმის მხოლოდ ფიზიკურად მომუშავე კვალიფიციური მუშები.

2) ამ ძირითად განსხვავებისაგან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნებიც. სახელდობრ: ჩემის აზრით უმუშევართათვის დროებით სამუშაოთა ორგანიზაციასთან ერთად, საჭიროა ზრუნვა შრომის მუდმივ წარმოების შექმნაზე საწარმოო კოლექტივების, ან წარმოებათა სახით.

ამხ. ამხ. შვარცი და იაშვილი ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატისა და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს სახელით ფიქრობენ, თითქმის მთელი ყურადღება მიაპყრონ დროებითი დახმარების აღმოჩენის საქმეს კვალიფიციურ მუშე-

---

კერძო მესაკუთრეობისადმი ლტოლვის ტენდენციის ნეიტრალიზაციის" მიზნით, (როგორც სჩანს ეკვე მოუშუშავე მოსახლეობას ეს ტენდენციები არა აქვს, ასეთი დაკვნა უნდა გავაკეთოთ ამხ. შვარცის წინადადებიდან. ფ. მ.) რომ ეს დრო უნდა განისაზღვროს 6 თვიდან ერთი წლით! როგორც სჩანს ასე იოლი საქმე ყოფილა დროს განსაზღვრა! დაბოლოს ვინ და სად დაეკანონა ამ კოლექტივების შემადგენლობის შეცვლის აუცილებლობა, ამის შესახებ ყველა სდუმს. ამხ. იაშვილს კი საჭიროდაც არ მიუჩნია ამაზე რამეს თქმა, მიუხედავად ამისა, რომ მან ეს მოთხოვნილება ფრიად კატეგორიულად წამოაყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის, ხოლო დანარჩენებისათვის განზრახული აქვთ დროგამოშვებით საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობა. მაგრამ ესეც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ლაპარაკია და პლატონიური სურვილები. სინამდვილეში ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატს უმუშევართათვის საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობის დარგში არაფერი არ გაუკეთებია. ასე მაგალითად, ან.-კავკ. შრომის კომისარიატის ორგანოში „ვესტნიკ სოციალნაგო სტრახოვანია ზაკავკაზია„ (ნოემბერი, 1924 წელი № 2) ვკითხულობთ: „სომხეთში მოწყობილ ფრიად უნიშვნელო ხასიათის სამუშაოს გარდა (ალბათ ა. კ. შრომის კომისარიატის მონაწილეობის გარეშე. ფ. მ.) საზოგადოებრივი სამუშაოები ჩვენში, ამიერ-კავკასიაში დღემდის არ არის მოწყობილი". (გვერდი 10, ხაზი ჩემია. ფ. მ.)

ასე იყო გასული წლის ნოემბერში და ასეთივე მდგომარეობა არის ესლაც, ლაპარაკი კი უმუშევართათვის საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობის, დაქსაქსვისაგან მათი დაცვის შესახებ და სხვა რამდენიც გინდათ იმდენია.

რაც შეეხება შრომის და საწარმოო კოლექტივებს, ისინი ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ მათ. ამასთანავე მათ არ სურთ, რომ ამ კოლექტივებს უმუშევართათვის მუდმივი შრომის შესაძლებლობის ხასიათი ჰქონდეთ, ვინაიდან მათი აზრით იქ ჩამარხულია მუშათა კლასისათვის საზიანო და საშიში ტენდენციები (წვრილ მესაკუთრეობისა და სხვა). ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათი თვალსაზრისი ამ საკითხში სრულიად ეთანხმება ს. ს. რ. კავშირის შრომის კომისარიატის თვალსაზრისს. ამხ. იაშვილი ამ იმედით ათავებს თავის წერილს: „ასეთია შრომის სახალხო კომისარიატის ხაზი ს. ს. რ. კავშირის მასშტაბით; ეს ხაზი უნდა გავატაროთ ჩვენც ამიერ-კავკასიაში".*)

ამრიგად ამხ. იაშვილი მთელი ჩვენი უთანხმოების ამოწურვას უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხში ფიქრობს უბრალო განცხადებით: „ასეთი ხაზია ს. ს. რ. კავშირის მასშტაბითო".

მე ვფიქრობ, რომ ასეც რომ იყოს, ს. ს. რ. კავშირის მასშტაბით რომ იყოს მიღებული როგორც საერთო დირექტივა, ის ხაზი, რომლის გატარება უნდა მას აქ, ამიერ-კავკასიაში, ეს მაინც არ კმარა ამ ხაზის აბსოლიუტური სისწორის დასამტკიცებლათ.

მაგრამ საქმე ისაშია, რომ ამხ. იაშვილი დაიბნა, ან და მან არ იცის რის შესახებ ლაპარაკობს. მისი მტკიცება იმის შესახებ, რომ ს. ს. რ. კავშირის მასშტაბით ამ ხაზს ატარებენო, მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, არც ერთი ფაქტი ამ სიტყვებისა დასამტკიცებლათ მას არ მოუყვანია, რადგან ასეთები მას არ მოეპოვება.

მე კი ფაქტებით დავამტკიცებ, რომ მთელი ის ხაზი, რომელიც აღებული აქვს ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატს უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხში ეწინააღმდეგება იმ ხაზს, რომელიც ახლა თითქმის ყოველთვის ტარდება ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

*) „ზარია ვოსტოკა", № 773

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

დაგიწყებ ჩვენი უმუშევრობის მოძრაობის შესახებ არსებული სტატისტიკური მასალების მოკლე მიმოხილვით. რა თქმა უნდა, ეს მასალები ხშირად ერთმანეთს არ ეთანხმებიან და ცხადია, მარტო დაახლოებით გამოხატავენ ჩვენში არსებული უმუშევრობის ნამდვილ მდგომარეობას; ისინი ჩვენ ვერ წარმოგვიდგენენ იმ უმუშევართა ნამდვილ რიცხვს, რომლებსაც მართლა სჭირდება სამუშაო და ვერც იმათ რაოდენობას, რომლებიც დამატებით სამუშაოს ეძებენ, რომ გაუმჯობესონ თავისი და ოჯახის ნივთიერი მდგომარეობა.

ცნობილია, რომ რევოლიუციის შემდეგ შრომის დარგში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელიც სტატისტიკური კვლევა-ძიების გარეშე არის დარჩენილი. საქმე იმაშია, რომ თუ რევოლიუციამდე წინ, დიდ უმრავლეს შემთხვევებში, დაქირავებულ შრომას ოჯახის მარტო ერთი წევრი ეწეოდა, ახლა სამუშაოს დაკავებას და ხელფასის მოპოვებას ცდილობს ოჯახის თითქმის ყველა შრომის უნარიანი წევრი. ჩვენ, რომ შესაფერი მასალა მოგვეპოვებოდეს უმუშევარობა ყველა კატეგორიების შესახებ, მაშინ, ცხადია, უფრო ადვილად მოვაგვარებდით უმუშევრობის საქმეს და სულ სხვანაირი სურათი გვექნებოდა. მაგრამ ეს ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება.

უმუშევართა ყოველი წმენდა, რომელსაც ჩვენ საკმაოდ ხშირად ვახდენთ, მიზანს ვერ აღწევს, ვინაიდან არ შეიძლება აუკრძალო კაცს, რომ მან სამუშაო ეძებოს. აქედან ია გამოდის, რომ ყოველი წმენდის შემდეგ გაიყვლის 1—2 თვე და უმუშევართა რიცხვი აღწევს იმავე — და ხშირად უფრო მეტს — საფეხურს, რომელზედაც წმენდის მოხდენამდე იდგა.

ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: გასული წლის აგვისტოში ჩატარებული წმენდის მოხდენამდე ამიერ-კავკასიაში ირიცხებოდა 50. 000 მეტი უმუშევარი, ხოლო წმენდის შემდეგ ბირჟის აღრიცხვაზე დარჩა 22.000 უმუშევარი*), ესე იგი უმუშევართა რიცხვი ორჯერ მეტად შემცირდა. უკვე იმავე წლის ნოემბერში, ესე იგი 2 3 თვის შემდეგ, ამიერ-კავკასიის სამი ნთავარი ქალაქის (ტფილისი, ბაქო, ერევანი) შრომის ბირჟებზე, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობით, ირიცხებოდა 29. 443 უმუშევარი. ჩვენ რომ ანგარიშად ხელთ გვქონდეს ცნობები ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკების უმუშევართა რაოდენობის შესახებ, ალბად, ეს რაოდენობა იმდენივე და იქნებ მეტიც ყოფილიყო, რაც ჩვენ გვქონდა აგვისტოს წმენდამდე. რა თქმა უნდა, ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი მთელ საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

ერთ-ერთი საზომი მის გამოსარკვევად, თუ ვინ არის ნამდვილი უმუშევარი და ვის ჭირდება მუშაობა, ჯერ-ჯერობით არის უმუშევართა წევრობა პროფკავშირებში, მაგრამ ამის მიღებაც მარტო ნაძალადევად არის დასაშვები, საბჭოთა კავშირის შრომის კომისარიატის ცნობით ლმუშევარია საერთო რიცხვი და მათი კავშირებისადმი დამოკიდებულება შემდეგნაირად გვეხატება **).

*) იხ. ჟურნალი „ეკონომისტ ტრუდა" № 7—8, 1924 წ. ამხ. გიბდინის წერილი: „შრომის ბირჟათა ბუღალტერიის ახალი ფორმების გამო".

**) იხ. ამხ. იაკუბოვის წერილი „ნარია ვოსტოკა" № 761. 1924 წლის 24 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1923 წლის 1 იანვრისთვის ირიცხებოდა 641. 000 უმუშევარი, რაც შეადგენდა კავშირის წევრთა საერთო რაოდენობის 14 პროც. 1923 წლის 1 ივნისისთვის უმუშევრები შეადგენდა 1.050.000 კაცს (21,6 პროცენტს), ხოლო 1924 წლის 1 იანვრისთვის—1.240.000 კაცს (24,3 პროცენტს).

ეს ცნობები გვიჩვენებს, რომ პროფკავშირების წევრად მყოფი უმუშევრების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

ამ ცნობებში არ არის აღნიშნული, თუ რომელ კავშირში რამდენი უმუშევარია. ეს კი საყურადღებოა ვიცოდეთ, რომ გამოვარკვიოთ, როგორ უმუშევრებთან გვაქვს საქმე. ეგრო საყურადღებო მასალებს გვაწოდებს ამ მხრივ პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანო „სტატისტიკა ტრუდა". ამ მასალების მიხედვით*), უმუშევართა საერთო რიცხვი 78 საგუბერნიო შრომის ბირჟაში შემდეგია:

1924 წელს 1 იანვრისთვის ორივე სქესის უმუშევრები იყო 793.007 კაცი, მათ შორის სამრეწველო შრომის მაძიებელი 198.002 კაცი (24,9 პროც.), გონებრივის 288.227 კაცი (36,3 პროც.), შავი მუშა — 199.718 კაცი (25,2 პროც.), იმავე წლის 1 მაისისთვის უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 915.363-დე. აქედან სამრეწველო შრომის მაძიებელნი — 226,051 კაცი (24.7 პროც.). გონებრივის 312,437 კაცი (34,1 პროც.), შავი მუშა 251,966 კაცი (27,5 პროც.),

რამდენი იყო მამაკაცი და რამდენი დედაკაცი გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: 1924 წლის 1 იანვრისთვის უმუშევარ მამაკაცების რიცხვი უდრიდა 418.820-ს (32,9 პროც.), დედაკაცების — 374.087-ს (47,1 პრ.). იმავე წლის 1 მაისისთვის მამაკაცები იყო 506.980 (55,4 პროც.). დედაკაცები 408.483 (44,6 პროც.).

უმუშევართა საერთო რიცხვის მხრივ ეს ცნობები არ ეთანხმება წინა ცნობებს, მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს ზოგი მეტად საინტერესო რამ: ჯერ ერთი, უმუშევართა განაწილება სქესის მიხედვით და, მეორეც მათივე დანაწილება დარგებად. ამრიგად, უმუშევარ მამაკაცების და დედაკაცების პროცენტული ურთიერთობა გასული წლის 1 იანვრისთვის ყოფილა 52,9 და 47, 1, ხოლო იმავე წლის პირველი მაისისთვის — 55 და 44,6, ესე იგი ოთხი თვის განმავლობაში (იანვარი—აპრილი) უმუშევარ ქალთა რიცხვი საერთოდ გაიზარდა, მაგრამ მამაკაცების რიცხვთან შედარებით შემცირდა.

გარდა ამისა ოთხი მთავარი დარგის მიხედვით, უმუშევართა რაოდენობის რყევა ამ ოთხი თვის განმავლობაში შემდეგ სურათს იძლევა:

სამრეწველო შრომის მაძიებელთა ჯგუფი პირველი იანვრისთვის შეადგენდა 24,9 პროცენტს, პირველ მაისისთვის — 24,7 პროცენტს; გონებრივი შრომის მაძიებელთა ჯგუფი—36,3 და 34,1 პროცენტს; შავი მუშები—2,52 და 27,5 პროცენტს.

როგორც ეს ციფრები გვიჩვენებს, ამ დარგების უმუშევრებს 1924 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდი არაფერი ცვლილება არ განუცდია; პირველი იანვრისთვის

*) იხ. ჟურნ. „სტატისტიკა ტრუდა" № 5 (14), 1924 წ., გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი შეადგენდენ 86,5 პროცენტს, ხოლო პირველ მაისისთვის — 86,3 პროცენტს, მაგრამ თუ თვითოეულ ამ ჯგუფს ცალ-ცალკე განვიხილავთ, მაშინ დავინახავთ, რომ იმ დროს, როდესაც სამრეწველო ჯგუფი უცვლელად რჩება, გონებრივი შრომის მაძიებელთა ჯგუფი 2 პროცენტით იკლებს, ხოლო შავი მუშების რიცხვი მატულობს ორ პროცენტზე მეტს. სამწუხაროდ, 1924 წლის სხვა თვეების შესახებ საბჭოთა კავშირის უმუშევართა რიცხვის მაჩვენებელი მასალები ჩვენ ხელთ არ აღმოგვაჩნდა, მაგრამ იმის საჩვენებლად, თუ რამდენად უმართებულოა ჯერ კიდევ ჩვენი ცნობები უმუშევართა რაოდენობის შესახებ, მოვიყვან ორ ციფრს, რომლებსაც გვაწოდებს ჟურნალ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ში საბჭოთა კავშირის შრომის კომისარი ამხ. შმიდტი*). ამ ცნობების მიხედვით 1924 წლის 1 იანვრისთვის შრომის ყველა ბირჟებზე ირიცხებოდა მხოლოდ 641.000 უმუშევარი, ხოლო იმავე წლის 1 აპრილისთვის უკვე 1.400,000. ესე იგი სამი თვის განმავლობაში გადიდებულია 119 პროცენტით. აქ ჩვენ უკვე საქმე გვაქვს უდიდეს ზრდასთან მოკლე ხნის განმავლობაში. უნდა ვთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ცნობები უფრო ახლოს არიან სინამდვილესთან. ასე, მაგალითად, რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომის კომისარის, ამხ. ბახუტოვის ცნობით, დაახლოვებით იმავე დროს (აპრილი) აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა საერთო რიცხვი იყო 1.350.000, მათ შორის ფიზიკურ შრომის ხელობის მცოდნე უმუშევართა რიცხვი იყო 340.000 ანუ 25,2 პროც., დანარჩენი 180.000 კაცი განაწილებული იყო სხვა ჯგუფებზე. შემდეგ ამხ. ბახუტოვის ცნობებით, უმუშევართა შორის მამაკაცები შეადგენდა 52,3 პროც., ხოლო დედაკაცები — 47,7 პროცენტს, მცირეწლოვანი უმუშევრები შეადგენდა 8 პროც.**)

გადავდიეარ ამ.-კავკ. რესპუბლიკების უმუშევართა საკითხზე. ამ საკითხის შესახებ ჩვენ მოგვეპოება ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს შრომის სტატისტიკის გამგის, ამხ. კრუგლიკოვის მეტად საინტერესო წერილი, რომელიც დაიბეჭდა „ვოპროსი ტრუდა"-ს № 5—6 -ში***): ამხ. კრუგლიკოვის მიერ მოყვანილი მასალები შეეხება 1922 და 1923 წლებს.

ამ წერილიდან ბე მოვიყვან ყველაზე უფრო დამახასიათებელ ციფრებს. ასე, თუ ჩვენ აეიღებთ უმუშევართა საერთო რიცხვს და შეუფარდებთ მომუშავეთა საერთო რაოდენობას, ცალკე რესპუბლიკებისთვის მივიღებთ შემდეგ სურათს:

საქართველო. 1923 წლის 1 აპრილისთვის უმუშევარი იყო სულ 22.079 კაცი. იმავე წლის პირველ ოქტომბრისთვის მომუშავეთა რაოდენობა უდრიდა 78.251 კაცს, ხოლო უმუშევართა საერთო რიცხვი — 29.004 კაცს, რაც შეადგენდა მომუშავეთა 37, 1 პროცენტს. 1924 წლის პირველ იანვრისთვის მომუშავეთა რაოდენობა იყო 89,151 კაცი, უმუშევართა — 24,693, რაც შეადგენს მომუშავეთა 27,8 პროცენტს.

*) იხ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ", 1924 წ. № 225.

**) იხ. „ვოპროსი ტრუდა", 1924 წ., № 5—6. ამხ. ბახუტოვის წერილი: „შრომის სახალხო კომისარიატის უახლოესი ამოცანები", გვ. 5.

***) „შრომის ბაზარი და უმუშევრობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში 1922 და 1923 წლების განმავლობაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთი. 1923 წლის 1 აპრილისთვის მომუშავეთა რიცხვი იყო 14.699, უმუშევართა — 3.479 ანუ 23,7 პროცენტი. იმავე წლის 1 ოქტომბრისთვის ეს ციფრები უდრიდა — 16.782, 4.269, 25,2, ხოლო 1924 წლის პირველ იანვრისთვის — 16.925, 5.372, 31,7.

ადერბეიჯანი. 1923 წლის 1 აპრილისთვის მომუშავეთა რიცხვი იყო 101.169, უმუშევართა — 14.093 ანუ 13,9 პროც. 1923 წლის 1 ოქტომბრისთვის მომუშავეთა საერთო რიცხვი უდრიდა — 110.691, უმუშევართა — 19.202 ანუ 17,3 პროც. 1924 წლის პირველ იანვრისთვის ეს ციფრები იყო — 114.482, 21. 569, 18,8.

მთელს ჩრდილო-კავკასიაში. 1923 წლის პირველ აპრილისთვის უმუშევართა რაოდენობა უდრიდა 39. 651 კაცს. იმავე წლის პირველ ოქტომბრისთვის მომუშავეთა რიცხვი იყო — 205.724, უმუშევართა — 52.472 ანუ 25, 5 პროც. 1924 წლის პირველ იანვრისთვის მომუშავეთა რიცხვი იყო — 220.558, უმუშევართა — 51.634 ანუ მომუშავეთა 23,4 პროცენტი.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ თუ 1923 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე უმუშევართა საერთო რიცხვი 39.651-დან 52. 475-დე ავიდა, ესე იგი გაიზარდა 12.624 კაცით ანუ 32,1 პროცენტით და მომუშავეების 25,5 პროცენტს წარმოადგენდა, სამაგიეროდ 1924 წლიან იანვრამდე ეს რაოდენობა შემცირდა, როგორც რიცხვობრივად (52.475-დან დავიდა 51. 634-მდე), ისე მომუშავეთა რაოდენობასთან შედარებითაც (25,5 პროცენტიდან დაიწია 23.4 პროცენტამდე).

მაგრამ უმუშევართა შემცირება 1923 წლის ოქტომბრიდან 1924 წლის იანვრამდე ჩვენ მარტო საქართველოში გვაქვს, სადაც ეს რიცხვი 29.004-დან (1923 წლის ოქტომბერში) დაეწია 24.693-დე, ესე იგი შემცირდა 4.311 კაცით ანუ თითქმის 15 პროცენტით.

შემდეგ, ზემომოყვანილი მასალიდან ირკვევა, რომ ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკიდან ყველაზე მეტი უმუშევარი საქართველოზე მოდის — საერთო რიცხვის 47.8 პროცენტი. შემდეგ მიყვება აზერბეიჯანი, ესე იგი მარტო ბაქო და მისი რაიონი (41,8 პროც.), ხოლო ბოლოს სომხეთი, რომლის წილადაც უმუშევართა საერთო რიცხვიდან მოდის მარტო 10,34 პროც.

უმუშევართა საერთო რიცხვის 75,9 პროცენტი ხვდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ცენტრებს, მაზრებზე მოდის — 18 პროც., ხოლო დანარჩენი 6,1 პროც. უწევს რკინის-გზას. კერძოდ საქართველო რომ ავიღოთ, აქ ჩვენ სხვაგვარ ურთიერთობას ვივიღებთ: ტფილისს ხვდება საქართველოს ყველა უმუშევართა 55,2 პროცენტი, მაზრებს — 33.4 პროცენტი და რკინის-გზებს — 11,4 პროცენტი.

ამბ. კრუგლიკოვის მიერ მოყვანილი ცნობების მიხედვით ამიერ-კავკასიის უმუშევართა სქესობრივი შემადგენლობა 1924 წლის 1-ლ იანვრისთვის შემდეგია: ამიერ-კავკასიის სამ უმთავრეს ქალაქებში (ტფილისი, ბაქო, ერევანი) ქალები ერთად შეადგენენ ყველა უმუშევართა 34,2 პროცენტს; მაშასადამე, მთელ საბჭოთა კავშირთან შედარებით უმუშევარ დედაკაცთა პროცენტული რაოდენობა ბევრად ნაკლებია, რაც აიხსნება არა მარტო ჩვენი ეკონომია-მრეწველობის სუსტი განვითარებით, არამედ იმითაც, რომ ამიერ-კავკასიელი ქალი, განსაკუთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით ნისი მუსულმანური ნაწილი, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა კარჩაკეტილი ცხოვრებიდან და პირახეული დადის.

მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ამხ. კრუგლიკოვი უმუშევართა ჯგუფური დანაწილების შესახებ.

— ამრიგად, ამბობს ის — 1923 წლის იანვარში სამრეწველო შრომის მაძიებელი უმუშევრები შეადგენდენ ამიერ-კავკასიის ყველა უმუშევართა 30,5 პროცენტს, ხოლო იმავე წლის დეკემბერში — 26,7 პროცენტს. არასამრეწველო ჯგუფები 1923 წლის იანვარში შეადგენდენ 57,7 პროცენტს, ხოლო დეკემბერში დავიდა 52,7 პროცენტამდე. რანდენიმედ გაიზარდა შავმუშათა ჯგუფი. 12,7 პროცენტიდან 1923 წლის იანვარში, დეკემბერში ავიდა 14,8 პროცენტამდე. ტრანსპორტის მომუშავეთა ჯგუფი ირყევა 2,2 პროცენტიდან 1923 წლის იანვარში, 5,8 პროცენტამდე — დეკემბერში.

ეს ცნობები რომ საბჭოთა კავშირის შესახებ ცნობებს შეეადაროთ, მიეიღებთ, რომ უმუშევართა სამი მთავარი ჯგუფის (სამრეწველო, გონებრივი და შავი მუშები) პროცენტული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირში და ჩვენში (ამიერ-კავკასიაში) ერთნაირი არ არის. ასე, საბჭოთა კავშირის სამრეწველო ჯგუფი საერთოდ შეადგენს ყველა უმუშევართა 24—25 პროცენტს, ხოლო ჩვენში ეს ჯგუფი ტრანსპორტის უმუშევრებთან ერთად შეადგენს 32,5 პროცენტს. გონებრივი შრომის ჯგუფი საბჭოთა კავშირში შეადგენს, დაახლოვებით 35—36 პროცენტს, ჩვენში კი — 52,7 პროცენტს, ანუ ყველა უმუშევრების ნახევარზე მეტს. შავ-მუშათა ჯგუფზე ჩვენში მოდის 12—14 პროცენტამდე იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში ამ ჯგუფს უწევს 27 პროცენტი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი ჩვენთან შედარებით.

ეს მასალები მეტად საყურადღებოა უმუშევრობასთან საბრძოლველი ღონისძიებების გამომუშავების დროს და, რა თქმა უნდა, ის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რატომ არ ეიცით, რამდენად ხელმძღვანელობენ მით ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკები ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატიდან და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოდან. მარტო ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის უმუშევართა შემადგენლობაში შავი მუშები არ წარმოადგენენ დიდ პროცენტს, გვეუბნება იმას, რომ ჩვენში არც ისე დიდია სოფლიდან ჩამოსული უმუშევრების შეჯგუფება და სწორეთ ეს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში.

მართალია, ამხ. ნიშვილი ჩვენ გვასწავლის, რომ „როდესაც უმუშევრობის საკითხს ვწყვეტთ, პირველად საჭიროა მისი მიზეზების შესწავლა და ამის შესაფერად უნდა იქნეს მიღებული ზომები მის წინააღმდეგ საბრძოლველად“-ო, მაგრამ საქმით ჩვენ ვერ ვხედავთ მისი მხრით ამ შესწავლას, „ამის შესაფერ“ ღონისძიებების მიღებაზედაც რომ არ ვილაპარაკოთ. ეს კი, ვგონებ, შეადგენს მის პირდაპირ მოვალეობას.

ეხლა, რაც შეეხება ამიერ-კავკასიის უმუშევრობის მოძრაობას 1924 წლის განმავლობაში, ამ მხრივ, გარდა ზემომოყვანილ საზოგადო ცნობებისა, ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის ცნობებით შემდეგი სურათი გვეხატება თვალწინ — (ციფრები შეეხება ამიერ-კავკასიის სამ მთავარ ქალაქს — ბაქოს, ერევანს და ტფილისს):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბერში შრომის მაძიებელი იყო 10.543. ნოემბერში — 8.002. ამრიგად, შემცირება მოხდა 24,1 პროცენტით. მათ შორის სამრეწველო შრომის მაძიებელი იყო: ოქტომბერში — 2.614; ნოემბერში—2.280; შემცირებულია 12,8 პროცენტით. ნუშაძალის მოთხოვნილება ოქტომბერში უდრიდა — 5.015, ნოემბერში — 4.905; შემცირებულია 14,2 პროცენტით. ამ რიცხვიდან სამრეწველო შრომის მოთხოვნილება უდრიდა: ოქტომბერში — 1.521, ნოემბერში — 1.099; შემცირებულია 27,7 პროცენტით.

გასული წლის ოქტომბრის დამლევს უმუშევარი დარჩა 24.637 კაცი, ნოემბრის დამლევს — 29.443 კაცი; გაიზარდა 19.5 პროცენტით. სამრეწველო შრომის მაძიებელი უმუშევარი ოქტომბრის დამლევს იყო 5.737, ნოემბრის დამლევს-7.126; გაიზარდა 24,3 პროცენტით.

როგორც აღნიშნული იყო, ეს ციფრები შეეხება მარტო სამ მთავარ ქალაქს, ესე იგი დაახლოებით ამიერ-კავკასიის ყველა უმუშევართა 75—78 პროცენტს. თუ ამ სამ ქალაქს ერთად ავიღებთ, ერთი თვის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი გაზრდილა 24.637-დან 29.443-დე, ესე იგი გადიდებულია 4.806 კაცით, ანუ 19,1 პროცენტით.

ცალკე ქალაქების შესახებ ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: ამ დროს განმავლობაში უმუშევრობის ყველაზე მეტი ხრდა ემჩნევა ბაქოს, სახელდობრ, 13.838-დან 17.023-დე, ესე იგი 3.195 კაცით ანუ 23 პროცენტით. ტფილისში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 9.670-დან 11.197-დე ანუ 1.527 კაცით, 15,8 პროცენტით. ერევანში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა მარტო 34 კაცით ანუ 8,3 პროცენტით. ამავე დროს სამრეწველო შრომის მაძიებელთა ჯგუფის უმუშევართა რიცხვი აღნიშნულ დროს განმავლობაში გაიზარდა 5.733-დან 7.126-დე, ესე იგი გაიზარდა 1.393 კაცით ანუ 24,3 პროცენტით. დასასრულ, ზემოაღნიშნული ციფრები გვიჩვენებენ როგორც შრომის მიწოდების, ისე მოთხოვნილების შემცირებას. რაც შეეხება უმუშევართა სქესობრივ შემადგენლობას და სამ მთავარ ჯგუფად დანაწილებას, ამის შესახებ არ მოიპოვება ასე თუ ისე ტუყუარი მასალები. ასე თუ ისე, გარდა სამრეწველო ჯგუფის საერთო რაოდენობისა, ჩვენ ვიცით მარტო შემდეგი დარგების შესახებ: 1) საბჭოთა და შინა-მოსამსახურეების, ერთის მხრით და 2) შავ მუშების, მეორეს მხრით.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და შრომის სახალხო კომისარიატის მასალათა მიხედვით, უმუშევართა სამი აღნიშნული ჯგუფის მდგომარეობა ამიერ-კავკასიის სამ ქალაქში გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

საბჭოთა მოსამსახურეები ივნისში შეადგენდენ 25,3 პროცენტს, ოქტომბერში — 21,21 პროცენტს*); შინა მოსამსახურეები: ივლისში — 12.2 პროცენტს;

*) აქ საჭიროა აღვნიშნო შემდეგი: ამბ. შეარეს ჩემდამი მომართულ პასუხში საბჭოთა მოსამსახურეების შესახებ მოყავს სხვა პროცენტი, სახელდობრ, 44. ის ამბობს: „საბჭოთა მოსამსახურეები, რომლებსაც არა აქვთ არავითარი საწარმოო შრომის უნარი, შეადგენენ 44 პროცენტს". მაგრამ 1924 წლის მასალებიდან ეს არ სჩანს. მართალია, რომ 1923 წელს ეს ჯგუფი შეადგენდა უმუშევართა საერთო რიცხვის თითქმის 60 პროცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბერში — 12,56 პროცენტს; შავი მუშები: ივლისში — 14,5 პროც., ოქტომბერში — 12,17 პროც. სულ ივლისში — 52 პროც., ოქტომბერში — 44,94 პროც.

აქ დამახასიათებელია ის რა: იმ დროს, როდესაც 1923 წელთან შედარებით შავი მუშები 1924 წელს დგანან ერთსა და იმავე დონეზე, საბჭოთა მოსამსახურეები ძლიერ მცირდება, ესე იგი პროცენტულის მხრივ მათი რიცხვი კლებულობს თითქმის ორჯერ (56—60 პროცენტიდან 21,21 პროცენტამდე).

თუ ახლა ჩვენ გადავხედავთ ამიერ-კავკასიის სამი მთავარი ქალაქის უმუშევარ საბჭოთა მოსამახურეებს, შემდეგ სურათს მივიღებთ პროცენტულად:

	ივლისი	ოქტომბერი
ტფილისი . . .	54,1	41,7
ბაქო	34,9	51,9
ერევანი	11,0	6,4
სულ	100,0	100,0

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ, თუ 1924 წელს საბჭოთა მუშაკების უმუშევართა რიცხვი ყველაზე მეტი იყო ტფილისში, სამი თვის შემდეგ ტფილისი უკვე მეორე ადგილის დგას და პირველ ადგილს ბაქო იკავებს. საერთოთ, თუ ივლისში, ესე იგი გაწმენდამდე, ამ დარგის უმუშევრები ამიერ-კავკასიაში იყო 10.427 ანუ 25,3 პროც. ყველა უმუშევრებისა, იმავე წლის ოქტომბერში, ესე იგი წმენდიდან მოკიდებული ორი თვის შემდეგ, ისინი შეადგენდენ მხოლოდ 3.603 კაცს ანუ 21,2 პროცენტს. მაშასადამე შემცირება ყველაზე უფრო მკაცრად შეეხო ამ დარგის უმუშევრებს და განსაკუთრებითი სიმკაცრით ეს შემოკლება ნოხდა ტფილისში: გაწმენდამდე ტფილისში იყო 5.650 საბჭოთა მოსანსაურე, ხოლო წმენდის შემდეგ დარჩა მარტო 1.509 კაცი, ესე იგი 4.141 კაცით ან 73 პროცენტით ნაკლები.

ცხადია, უმუშევართა ასეთი დიდი რაოდენობა ასე მოკლე ვადაში (ორ თვეში) ვერ ჩადგებოდა სამსახურში, იგი პირდაპირ მოხსნეს აღრიცხვიდან. სხვა საქმეა, აქეს მთელ ამ მასას რაიმე საწარმოო შრომის უნარი, თუ იგი მოლიანად ღნიკოა, როგორც ამას ღსაბუთოდ ამტკიცებს ამა. შვარცი, მაგრამ ერთი კი ცხადია: უმუშევართა ასეთი მასის უბრალო მოხსნა აღრიცხვიდან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის გადაჭრას.

IV

გადავდივართ ინ ღონისძიებებზე, რომელსაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება უმუშევრობასთან ბრძოლაში. ის მცირეოდენი ციფრებიც კი, რომლებიც ზევით იყო მოყვანილი უმუშევრობის შესახებ, გვიჩვენებენ, რომ უმუშევრობის საკითხი ამჟამად შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების ერთ ყველაზე უფრო საყურადღებო ამოცანათაგანს.

მართლაც, საქმის ახლო გაცნობა გვარწმუნებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოები, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, შრომის კომისარიატსა და პროფკავშირების ორგანოებზედაც რომ არ ვილაპარაკოთ, უაღრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად დაინტერესებული არიან უმუშევრობის საკითხების გადაწყვეტით, ესე იგი უმუშევრობასთან საბრძოლელი ზომების გამომუშავებით და მოხმარებით ს. კ. სახკომსაბჭო, რ. ს. ს. მთავრობა, შრომის და თავდაცვის საბჭო, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია, ცალკე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები და თავდაცვის საბჭოს ეკონომიური განყოფილება ცხოველ მონაწილეობას იღებენ უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხის განხილვაში.

უმუშევრობის საკითხი — ამბობს ამხ. ბახუტოვი (რ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი) ჩვენ წინ დგას მთელი სიმწვავით. მის დასმასა და გადაწყვეტაში უნდა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს იგი. ამასთან ერთად უნდა დაუკავშირდეთ მიწადმოქმედების კომისარიატს იმ მიზნით, რომ ერთად დამუშავდეს ახალშენების დასახლების და მასში უმუშევრების გამოყენების საკითხი.

რამდენადაც შრომის ზოგ დარგში უმუშევრობა არ კლებულობს, საჭიროა დაისვას და გადაიჭრეს მაინ სხვა დარგის შრომაზე გადაყვანის საკითხი*).

ერთი სიტყვით. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ეწევიან მუდმივ და დაუღალავ შეერთებულ შრომას უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებების გამოსაძებნად და ცხოვრებაში გასატარებლად. უმაღლეს ცენტრალურ ორგანოებს ამ შემთხვევაში არც სათანადო ადგილობრივი ორგანოები რჩებიან უკან. და უნდა ვცნოთ, რომ როგორც ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ, ამ მხრივ მეტად ჩამორჩენილია როგორც ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკა, ისე ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებიც, შეიძლება, მარტო ადერბეიჯანის გამოკლებით.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის არსებობის 5—6 თვის განმავლობაში მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ უმუშევრობის და მასთან საბრძოლველი ღონისძიებების საკითხი, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ან პროფკავშირთა საბჭოს წინადადებით, დასმულიყოს სახალხო კომისართა ან უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ან ტფილისის აღმასკომში, ან თუნდაც გაშლილიყოს გაზეთების მსჯელობის საგნად. ამავე დროს, უმუშევრობა, როგორც ზევით დავინახეთ, ჩვენშიაც არა ნაკლებ მწვავედ დგას, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. მე არ ვიცი, რას აკეთებს ჩვენი შრომის კომისარიატი შრომის სხვა დარგებში, მაგრამ უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში, რომ ის მიუტოვებელ გულგრილობას და უმოქმედობას იჩენს, ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა; ეს გარემოება ამ მოკლე დროში, 6-7 თვის წინად, აღიარებული იყო საბჭოთა კავშირის შრომის კომისარიატის ოფიციალურ ორგანოში "ვოპროსი ტრუდა"-ში, მაგრამ რაღაც მიზეზით ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატმა ეს უყურადღებოდ ჩაატარა. საკითხი შეეხება უმუშევართათვის დახმარების მიცემას.

როგორც ვიცით, ის დახმარება, რომელსაც იძლევა შრომის სახალხო კომისარიატი სოც. დაზღვევის სალაროთა საშუალებით, წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად დახმარებას უმუშევართათვის. ამხ. გინდინის სიტყვით („პრავდა № 279, 1924 წ. 7 დეკემბერი), „იმ უმუშევართა წრე, რომლებიც

*) ჟურნ. „ვოპროსი ტრუდა" № 5—6. 1924 წ. წერილი: „შრომის სახალხო კომისარიატის უახლოესი ამოცანები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური დაზღვევის სალაროდან დახმარებას იღებენ, სულ იზრდება და ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მათი რიცხვი აღწევს 300000 კაცს. თანახმად უკანასკნელი ინსტრუქციისა, რომელიც შრომის სახალხო კომისარიატმა და პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ დაამტკიცა, დახმარების მიღების უფლება აქვს პროფკავშირთა ყველა უმუშევარ წევრებს, ხელობის მცოდნე უმუშევრებს იმისდა მიუხედავად არიან თუ არა პროფკავშირის წევრი, კავშირის არა წევრ მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ ნამსახურობის განსაზღვრული სტაჟი, სამსახურიდან განთავისუფლებულ წითელარმიელებს, მოზარდებს 14-დან 16 წლამდე და მთელ რიგ სხვა დარგის უმუშევრებს".

ამბ. გინდინის დასახელებულ წერილიდან ჩვენ ვტყობილობთ აგრეთვე საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს გასული წლის 17 აგვისტოს დადგენილების შესახებ, რომლითაც შრომის კომისარს უფლება ეძლევა, ხოლო ზოგჯერ ვალდებულიცაა, ხაწილობრივ გამოიყენოს სოციალური დაზღვევის საშუალებები სხვადასხვა სახის დახმარებისათვის. ამ განკარგულების თანახმად, საბჭოთა კავშირის შრომის კომისარიატმა შრომის ადგილობრივ ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარი. და აი, ამჟამად, ამბ. გინდინის სიტყვით, რომელიც გაცნობილია მთელ ამ საქმესთან, „ბევრ ადგილას, სოციალური დაზღვევის თანხები სახელმწიფოსა და ადგილობრივ ორგანოების მიერ გაღებულ თანხებთან ერთად ნაწილობრივ იხარჯება სახოგადოებრივ სამუშაოზე. ამ შემთხვევაში უმუშევრები თავიანთ კუთვნილ დახმარებას ღებულობენ გადიდებული ზომით (ორმაგად და ხან სამმაგადაც), მაგრამ არა დახმარების სახით, არამედ საზოგადოებრივი-სასარგებლო სამუშაოზე გაწეულ შრომის ხელფასის სახით. აქა-იქ თანხები ნაწილობრივ ებმარდება უმუშევართა შრომის კოლექტივებს, რომლებმაც გამოიჩინეს არსებობის ნამდვილი უნარი. თქმა არ უნდა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე უაღრესად მიზანშეწონილია, რადგან გარდა ნივთიერი შეღავათისა, უმუშევარს აძლევს საშუალებას გამოიყენოს თავისი შრომა და იფარავს სამუშაო ძალას დაქსაქსვისაგან".

ამბ. გინდინის ამ ჩემ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება, განსაკუთრებით ჩვენში და განსაკუთრებით ამიერ-ეავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის და პროფკავშირთა საბჭოს წხრით.

ჩვენ უფლება გვაქვს და ვალდებული ვართ, მოვსთხოვოთ მათ ანგარიში, რა გააკეთეს საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის და შრომის სახალხო კომისარიატის იმ დარიგებების ცხოვრებაში გატარების საქმეში, რომელზედაც ლაპარაკია ზემომოყვანილ ამონაწერში. სახელდრბრ: გაიღეს თუ არა მათ სოციალური დაზღვევის თანხებიდან რამე, ჯერ ერთი, საზოგადოებრივი სამუშაოების მოსაწყობად და მეორე, უმუშევართა საღი და არსებობის უნარით აღჭურვილი საშრომო კოლექტივების ფინანსიურად გასამაგრებლად. საკმარისი არაა, იძახო ყოველ გზა-ჯვარედინზე, რომ „მოსკოვმა სწორად დაადგინა", რომ „ჩვენ ამიერ-კავკასიაში მთლიანად ვატარებთ ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის ხაზს" და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, ნამდვილი ახრი ჩემი წერილისა, რომლის წინააღმდეგაც ასე უ-ხმატკბილებულად გამოვიდენ ამხ. შვარცი და ამხ. იაშვილი, მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური დახლვევის თანხები, რომელიც ამჟამად უმუშევრებს ურიგდება დახმარების სახით, შეიძლება და ზოგ შემთხვევაში უნდა გამოყენებულ იქნან სხვაგვარად, — ჯერ ერთი, საზოგადოებრივი სამუშაოების მოსაწყობად და, მეორე, — რასაც განსაკუთრებით ჰქონდა გასმული ხახი ჩემს წერილში, — იმ შრომითი კოლექტივების მოწყობასა და გამაგრებისათვის, რომლებსაც აქვთ საწარმოო დაწესებულების ხასიათი.

ხომ ამაზე ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებაც და მის თანახმად საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დარიგებებიც? მაგ რაღაშია საქმე?

ჩემი წინადადების წინააღმდეგ გამოსულნი ხომ ეს ამხანაგები, რომლებიც ვალდებული არიან გაატარონ ცხოვრებაში ცენტრალური ორგანოების დარიგებები, გამოდიოდენ შრომისა და თავდაცვის და შრომის სახალხო კომისარიატის ნათელი და განსაზღვრული დადგენილებების წინააღმდეგ, ეს ყველასათვის ნათელია. ახლა ჩვენთვის გასაგებია, რა ფასი აქვს, მაგალითად, ამხ. იაშვილის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „მოსკოვმა სწორად დაადგინა", „ჩვენში, ამიერკავკასიაში საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება მთლიანად უნდა გატარდეს".

რომ მოსკოვმა სწორად დაადგინა, ეს ჩვენ ახლა ვიცით. მაგრამ რა გააკეთეთ თქვენ, ამხ. იაშვილო, მოსკოვის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში?

რომ საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება ცხოვრებაში უნდა გატარდეს, ჩვენ ესეც კარგად ვიცით ამხ. იაშვილო. საქმე მხოლოდ იმაშია, რამდენად ანხორციელებთ ამას საქმით თქვენ, რომელიც მოწოდებული ხართ უშუალოდ გაატაროთ ჩვენში, ცხოვრებაში, ცენტრის დავალებები?

ამ კითხვებზე თქვენ უნდა გასცეთ პასუხი.

VI.

ახლა კი განვაგრძოთ.

ზეკით ნათქვამი იყო, რომ სოციალური დახლვევით უზრუნველსაყოფი უმუშევრების რიცხვი უკანასკნელ დროს გაიზარდა.

ასე, მაგალითად, ამხ. ბახუტოვის ცნობებით, რომელიც შეეხება 1924 წლის პირველ თვეებს. სოციალური დახლვევის საშუალებებიდან უზრუნველსაყოფ უმუშევართა რიცხვი უდრიდა ბირეებში აღრიცხვაზე აყვანილ ყველა უმუშეეართა 15 პროცენტს, ახლა კი (დაახლოებით 1924 წლის მაისისთვის) იგი აღწევს 25 პროცენტამდე, ხოლო ცალკე ქალაქებში (მოსკოვი და სხვ.) — 30 და უფრო მეტ პროცენტამდე.

„საჭიროა შემდეგისათვისაც ვეცადოთ გავაფართოვოთ უზრუნველსაყოფთა რაოდენობა, — ამბობს შემდეგ ამხ. ბახუტოვი*), — მივაღწიოთ ისეთ მდგომარე-

*) იხ. ხემოდასახელებული წერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობას, როდესაც დახელოვნებულ უმუშევარ ძალების (ფიზიკურ და გონებრივ) მთელი რაოდენობა მიიღებს დახმარებას. ამასთან ერთად, საჭიროა წაეახალისოთ კოლექტივების და არტელების მოწყობა, ყოველგვარად დაეხმაროთ სიცოცხლის უნარიან არტელებს და დავხუროთ სუსტები".

საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ყველაფერი ეს თქმულია არა გარჩევის ან ქამათის წესით, არამედ როგორც განსაზღვრული სახელმძღვანელო დებულებები.

ზევით იყო თქმული, რომ უკანასკნელ დროს ზოგ მსხვილ ქალაქებში სოციალური დაზღვევის თანხებიდან უზრუნველსაყოფ უმუშევართა წრე საგრძნობლად გაფართოვდა. ასე, მოსკოვი რომ აეიღოთ, დავინახავთ შემდეგს: 1923 წლის აგვისტოში შრომის ბირჟაში აღრიცხული 112.516 უმუშევრიდან დახმარებას ღებულობდა მარტო 21.249, ესე იგი 19 პროცენტი, ხოლო 1924 წლის პირველ აპრილისთვის 118.760 უმუშევრიდან ალაორო დახმარებას აძლევდა უკვე 41.456 პირს—ანუ მთელი მოსკოვის უმუშევართა 34,7 პროცენტს. შემდეგ, თუ 1923 წლია აგვისტოში დახმარება მიიღო მელითონეთა 34,7 პროცენტმა, 1924 წლის პირველ აპრილისთვის ეს პროცენტი უკვე 45,3-მდე ავიდა, იმავე რიცხვებში მქსოველების პროცენტი ეადრიდა—47,63 და 73,5, მბეჭდავების—23,9 და 69,2, საბჭოთა მომუშავეების—19 და 36,6, შავი მუშების—11,7 და 23, ქიმიკოსების—50 და 91,1. დახმარების მიმღებ პირთა რიცხვი იზრდება მოხარდთა შორისაც: მათგან 1923 წელს დახმარებას ღებულობდა 124 კაცი, ხოლო 1924 წლის მარტში უკვე 1.696 კაცი*).

ასეთ მდგომარეობაში იყო უმუშევართათვის დახმარების მიცემის საქმე დაახლოვებით 1924 წლის პირველ მეოთხედში. ეუნდა ვიფიქროთ, რომ მას შემდეგ დახმარებია მიმღებთა წრე უეჭველად გაიზარდა, რადგან ასეთი იყო შრომის სახალხო კომისარიატის დარიგება.

ახლა ვნახოთ, როგორ არის საქმე ლენინგრადში. როგორც ცნობილია, უმუშევართა რიცხვი იქ მეტი იყო, ვიდრე მოსკოვში. ასე მაგალითად, 1924 წლის 1-ლ მაისისათვის ლენინგრადის უმუშევართა რაოდენობა ეადრიდა 148.117 კაცს, მაგრამ იმავე წლის პირველ ივლისისათვის რამდენიმედ იკლო და დავიდა 137.243 კაცზე.

რამდენად გაფართოვდა დამზღვევ სალაროდან უმუშევართათვის დახმარების მიცემის საქმე, შემდეგიდან შეიძლება დავინახოთ. 1924 წლის დასაწყისისთვის დამზღვევი სალაროდან დახმარება ეძლეოდა ყველა დარგის 30.503 უმუშევარს, ანუ პირველი ჯგუფის უმუშევართა საერთო რიცხვის 47,1 პროცენტს (წინააღმდეგ მაისის 28.322 კაცისა).

მათგან დასელოვნებული სამრეწველო და სააღმშენებლო მუშების რიცხვი ეადრიდა 8.206 კაცს, ანუ 67,9 პროცენტს, საბჭოთა მუშაკები—6.778 კაცს, ანუ 25,5 პროც., შავი მუშები—8.320 კაცს, ანუ 33,2 პროცენტს.**)

შეიძლება ჩვენ გვითხრან, ეს რუსეთის საბჭოთა სოციალისტიურ რესპუბლიკის სატახტო ქალაქებში და ისიც მუშათა მოძრაობის მთავარ ცენტრებში

*) იხ. ჟურნ. „ვოპროსი ტრუდა" № 7—8, გვ. 155, 1924 წ.

**) იხ. ჟურნ. „ვოპროსი ტრუდა" № 10, გვ. 121—23, 1924 წ.

ხდებაო. სამწუხაროდ, მე ამჟამად ამ საკითხზე სხვა ქალაქების შესახებ ხელთ არა მაქვს ცნობები. მარტო ერთი ივანოვოვაზნესენსკის გუბერნიის შესახებ არსებობს ცნობები.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ დამზღვევი სალაროდან დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა 1924 წლის პირველ მეოთხედის განმავლობაში ძლიერ გაიზარდა. იმ დროს, როდესაც 1923 წელს დახმარებას იღებდა ყველა უმუშევართა 15 პროცენტი, 1924 წლის პირველ მეოთხედში შემდეგი მდგომარეობა დამყარდა:

გასული წლის იანვარში დახმარება მიიღეს 6.036 კაცმა (711-მა პირველი ჯგუფიდან და 5.325-მა მეორედან), რაც შეადგენდა ყველა უმუშევრების 14,8 პროცენტს. 1924 წლის თებერვალში დახმარების მიმღებთა რიცხვი გაიზარდა 7.315 კაცამდე (1.075 პირველი ჯგუფის და 6.240—მეორესი), რაც შეადგენს ყველა უმუშევართა 22,4 პროც. 1924 წლის მარტში დახმარება მიიღო 7.775 კაცმა (1.061 პირველი ჯგუფის და 6.714 მეორესი), რაც შეადგენდა ყველა უმუშევრების 22,3 პროც.

მაშასადამე, აქაც ჩვენ გვაქვს დახმარების მიმღებთა წრის საგრძნობი გაფართოება შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში. სჩანს, ხალხს არ სურს უძრავად იდგეს, მიისწრაფვის უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. წინ მიდის. ახლა საინტერესოა შეუფარდოთ ყველა ეს ცნობები იმას, რაც ხდება ამ დარგში ჩვენში.

ამ საკითხზე სიტყვა დაუთმოთ ამხ. კრუგლიკოვს, რომელიც გაცნობილია საქმეს. ჩვენ მიერ ზემოდ დასახელებულ მის წერილში იგი სხვათა შორის, შემდეგს ამბობს სოციალური დაზღვევის სალაროებიდან დახმარების გაცემის შესახებ*).

„ჩვენ ხელთ მყოფი ცნობების მიხედვით, დამზღვევ სალაროდან დახმარების მიმღებ უმუშევართა რიცხვი ამიერ-კავკასიაში საშუალოდ ძლივს აღწევს უმუშევართა საერთო რიცხვის 12 პროცენტს, ოცტაოდენი გადახრით ამა თუ იმ მხარეს ცალკე რესპუბლიკებში. აქაც საჭიროა აღვნუსხოთ, რომ უმუშევართა დახმარებისათვის დაწესებული შემოსავლის უმთავრესი მუხლი (ფონდი „B"—უმუშევართა შესახებ) მთლიანად ვერ იქნა გამოყენებული პირდაპირ დანიშნულებაზე, ცალკე რესპუბლიკათა დამზღვევი სალაროების მიზანშეუწონელი მომჭირნეობის მიზეზით. ამ სალაროების საფინანსო ანგარიშები ცხადად გვიჩვენებენ, რომ ხსენებული ფონდის საგრძნობი ნაშთები გადადიოდა თვიდან თვეზე, მიუხედავად პროფკავშირთა წევრებისა და სამრეწველო მუშათა შორის „უმუშევრობის მუდმივი ზრდისა". (ხაზი ყველგან ჩემია. ფ. მ.)

აქ უკვე ნამდვილი ბრალდებაა წამოყენებული, რაზედაც პასუხი უნდა აგოს ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატმა იმ მხრივ, რომ ის მნიშვნელოვანი თანხებიც კი, რომელიც მოეპოვებოდა ამიერ-კავკასიის დამზღვევ სალაროს, არ ყოფილა მოხმარებული უმუშევართა დახმარების საქმეზე და იმ დროს, როდე-

*) იხილეთ „ვოპროსი ტრუდა" № 5-6, 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც უმუშევართა რიცხვი იზრდებოდა, „დამზღვევი სალაროს ფინანსიური ანგარიშები თვიდან თვეზე გვიჩვენებდენ უმუშევართა ფონდის მნიშვნელოვან ნაშთებს".

კითხვა ისმება, სად იყო ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატი და რას აკეთებდა იგი ასეთ მოვლენათა პირობებში! ჩვენ ჯერჯერობით ამაზე არაფერი ვიცით. ტყვილა აღნიშნავს ამბ. კრუგლიკოვი, რომ „სამეურნეო ორგანოთა მუდმივი დავალიანების მიზეზით დამზღვევ სალაროებს ფული აკლდა და არ ეძლეოდა საშუალება მიეცა დახმარება ყველა გაჭირვებულ უმუშევართათვის და არა მარტო უმნიშვნელო ნაწილისათვის".

ჩვენ ყველაფერი ეს კარგად ვიცით, მაგრამ ის ხომ თვითონ აღნიშნავს იმ აღმაშფოთებელ მოვლენას, რომ დამზღვევი სალაროები არ ხარჯავდენ მთლიანად იმ თანხებს, რომელიც მათ ჰქონდათ. შრომის სახალხო კომისარიატი კი, რომელსაც პირდაპირი და განსაზღვრული დარიგება ჰქონდა მიცემული, არა თუ მთლიანად გამოეყენებია ეს ფული უმუშევართათვის დახმარების მისაცემად, არამედ გამოენახა სხვა წყაროებიც ამ დახმარების მისაცემად, ნებას აძლევდა ასეთნაირად აეხეიათ გვერდი კანონებისთვის.

დასაზღვევ გადასახადების შეტანის შემცირება ამ შემთხვევაში ვერ გაამართლებს იმას, რომ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში ასე ვიწრო და უმნიშვნელოა იმ პირთა წრე, რომლებსაც ეძლევათ დამზღვევი სალაროს დახმარება.

გაფართოვდა თუ არა ეს წრე 1924 წლის განმავლობაში? ამ საკითხის შესახებ ამბ. შვარცს ჩემთან კამათის დროს წამოცდა შემდეგი: „დახმარებაზე დატოვებულთა რიცხვი უმუშევართა საერთო რიცხვის 18 პროცენტიდან 12-მდე ჩამოყოდა". და ეს, არ დაგავიწყდეთ, იმ დროს ხდება, როდესაც ჩატარებულია უმუშევართა სასტიკი წმენდა, ესე იგი მათი რიცხვი შემცირებულა თითქმის 2—3 ჯერ.

ამბ. შვარცი ამის შესახებ, სხვათა შორის, ამბობს: „უნდა მივიღოთ აგრეთვე მხედველობაში, რომ შრომის ბირჟათა სასტიკი წმენდის შემდეგ, რაც ამ დღეებში დასრულდა ამიერ-კავკასიის ყველა ბირჟებში, დახმარება მოესპო უმუშევართა 60 პროცენტზე მეტს, ვინაიდან სასტიკად შემცირდა დამზღვევი გადასახადების შეტანა". აქ რაღაც ვერაა რიგზე: ერთ და იმავე დროს სასტიკი წმენდაც და დამზღვევი გადასახადების სასტიკი შემცირებაც, ხოლო შედეგად 60 პროცენტზე მეტი უმუშევრებისათვის დახმარების მოსპობა!

მაშ ვილა დაგრჩათ დახმარების გასაწევი?

კიდევ გასაგები იქნებოდა, რომ ასეთი წმენდის შემდეგ, ესე იგი ასეთი სასტიკი შემცირებისა და ამასთან ერთად დამზღვევი გადასახადების დაკლების გამო დახმარების მიმღებთა პროცენტი, ყოველ შემთხვევაში წინანდელი მაინც დარჩენილიყო. ამბ. შვარცი კი ამბობს, რომ ყოველივე ამის შემდეგ უმუშევართა 60 პროცენტზე მეტს მოესპო დახმარება. ამის გაგება ყოველად შეუძლებელია.

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ ცენტრის იმ დადგენილების შესახებ, რომ უმუშევართათვის გადადებულ თანხებიდან შეიძლება განსაზღვრული ნაწილი დაიხარჯოს უმუშევართა სხვა სახის დახმარებაზე, გარდა ნაღდი ფულის მიცემისა.

ჯერ კიდევ „ვოპროსი დრუდა"-ს მე-7—8 ნომერში ამხ. გინდინი სახელმძღვანელო წერილში: „შრომის ბირჟათა მუშაობის ახალი ფორმების გამო", სწერდა შემდეგს:

„უნდა ხელი ავიღოთ იმ შეხედულებაზე, რომ უმუშევართათვის გადადებული თანხები იხარჯება მარტო დახმარების მიცემაზე (ხაზი ავტორისაა), შრომის სახალხო კომისარიატმა უკვე მიუთითა ადგილებს, რომ საჭიროა დახმარებისათვის გადადებული თანხებით გაძლიერდეს ის თანხები, რომლებიც გაცემულია საზოგადოებრივი მუშაობის მოსაწყობად. ეს საქმე უნდა გაფართოვდეს. ამ თანხის ვარიერი გამოყენების ფორმები უნდა იყოს სხვა და სხვანაირი და მისი განსაზღვრული ნაწილი უნდა გამოყენებულ იქნას განსაზღვრული პირობების მიხედვით და თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის დარიგებისა, უნდა მოხმარდეს არა მარტო საზოგადოებრივ მუშაობის მოწყობას, არამედ ზოგჯერ ჯანსაღი და არსებობის უნარის მქონე საშრომო კოლექტივების ფულით გამაგრებას, გემოკეების კავშირის საშუალებით იაფ-ფასიანი სასადილოების მოწყობას, ღამის გასათევი ბინების გამართვას და აგრეთვე კულტგანმანათლებელი მუშაობის დაყენებას (კურსივი ჩემია. ფ. ბ.)

აქ ჩვენ გვაქვს ცენტრის მტკიცე და ნათელი დარიგება დამზღვევ სალაროებში უმუშევართა დასახმარებლად მყოფ თანხების საკითხზე. ეს დარიგება ითქმის მთლიანად ეთანხმება იმ ჩემ წინადადებებს, რომლებიც მე წამოვაყენე ჩემს წერილებში მაშინ, როდესაც მე ჯერ კიდევ არ ვიყავი გაცნობილი ამ დარიგებასთან.

მაგრამ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა და პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ჩემი წინადადებები ჩათვალა ცენტრის დარიგებების მოწინააღმდეგეთ და დაკმაყოფილდა ცარიელი განცხადებით: მოსკოვმა სწორად დაადგინაო.

მკითხველს შეეძლო ეფიქრა, რომ მახარაძე ამ საკითხში უხეევს ცენტრის ხაზს და რაღაც შეუფერებელ, უაზრო წინადადებას იძლევაო.

ახლა კი, ჩვენ უნდა შევეკითხოთ ამხ. იაშვილს, რომელიც სიტყვით ასე გულდაგულ იცავდა ცენტრის ხაზს, რა გააკეთა ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატმა ყველა იმ დარიგებათა ცხოვრებაში გასატარებლად, რომლებიც უკვე დიდი ხანია მიცემული აქვთ ადგილებს უმუშევართა ფონდის გამოყენების შესახებ?

V

უმუშევართა დახმარების შემდეგ სახეს წარმოადგენს საზოგადო სამუშაოები.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ სამუშაოებს, როგორც უმუშევართა დახმარებისათვის, ისე მრავალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის სამუშაოთა ასრულების მხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ წარსული წლის ნახევარში ამხ. გინდინი სწერდა, რომ „უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შორის საზოგადო სამუშაოებმა უნდა დაიკავოს ერთი უპირველესი ადგილთაგანი". მაგრამ ის იქვე დასძენდა: „რადგან შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სულ ამ წელში (1923—24) მიღები სეზონისათვის გადადებულია 2.500.000 მანეთი, ბუნებრივად იბადება აუცილებლობა, რომ საზოგადო სამუშაოების მოსაწყობი თანხა უნდა გამოიძებნოს ადგილობრივი წყაროებიდან და რომ ამ საქმეში ადგილებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური თაოსნობა. უკრაინა და ბელორუსია უკვე შედგენ ამ გზაზე და, წინასწარი ცნობების მიხედვით, უკვე საგრძნობი თანხები მოიპოვეს. იმ დარიგებაში, რომელიც შრომის სახალხო კომისარიატს მისცა უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა, სწორედ ასეა ნათქვამი: „მასიური ბასრათის საზოგადო სამუშაოების გაძლიერებული განვითარება და მათთვის სხვადასხვა, უმთავრესად ადგილობრივი წყაროებიდან საშუალებების გამოძებნა".

გინდინა მოყავდა ეს ადგილი და სწერდა: „უმუშევრობასთან ბრძოლის ამ ერთ ყველაზე მეტად საყურადღებო ზომათაგანის წარმატებით მიმართვა დამოკიდებულია ადგილების ენერგიაზე, საქმიანობაზე და თაოსნობაზე" (ბაზი ყველგან ჩემია. ფ. მ.)

უწინარეს ყოვლისა, მე აქ უნდა განვაცხადო, რომ ამ წერილში მე მიხდება დიდი ამონაწერების მოყვანა არა მათდამი სიყვარულის გამო, არამედ იმიტომ, რომ მათი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. საქმე ისაშია, რომ ამიერ კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები, რომლებიც ვალდებული იყვნენ არა თუ გაეცნოთ საზოგადოება ცენტრის მიერ უმუშევრობის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებისათვის, არამედ ცხოვრებაშიც გაეტარებიათ ისინი, ამაზე არ ზრუნაედენ. და როდესაც ამ სტრიქონების დამწერმა სცადა შეხებოდა გაზეთის ფურცლებზე ამ საკითხს ძალიან ზოგად ფორმებში, განაცხადეს, რომ ჩვენში ყველაფერი რიგზეა და აქ ცენტრის ხაზი უცვლელად ტარდება. მაგრამ, როდესაც ჩვენ მოგვიხდა ეს პიტალო სიტყვები შეგვედარებია სინამდვილისათვის, როდესაც ჩვენ მოგვიხდა დაგვეპირდაპირებინა ისინი ფაქტებისათვის, დავრწმუნდით, რომ აქ, უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში, სიტყვა და საქმე ძალიან შორს არიან ერთმანეთისაგან.

ცენტრში, რუსეთში სულ სხვანაირად კეთდება საქმე, ვიდრე ჩვენში, ამიერ-კავკასიაში; უკეთ რომ ეთქვათ, ჩვენში თითუმის არაფერი კეთდება. ყოველივე ამის გამო, მეტი დარწმუნებისათვის მე იძულებული ვარ ზოგი ფაქტები აქ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო. და, აი, მკითხველი ხედავს, რომ იმ დროს, როდესაც რუსეთში, უკრაინაში და ბელორუსიაში უკვე ორი წელიწადია, რაც გაძლიერებული ბრძოლა სწარმოებს უმუშევრობის წინააღმდეგ, ამიერ-კავკასია სდუმს, აქ თითქო არც კი არსებობს უმუშევრობა. და მარტო მას შემდეგ, როდესაც ცენტრმა თვითონ გადასდო ამიერ-კავკასიისთვის 1.000.000 მანეთი, 1924-25 წლებში უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველი საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად, ამხ. იაშვილი 1924 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, ესე იგი

ერთი მეოთხედი წლის დაგვიანებით გვამცნობს ჩვენ თავის წერილში ამის შესახებ. და როდესაც ცენტრი იძლევა განსაზღვრულ დარიგებას საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად ადგილობრივ საშუალებებიდ გამოძებნის შესახებ, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ გადადებული თანხა ამისათვის საკმარისი არ არის, ამბ. იაშვილს ჰგონია, რომ ეს გულისხმობს ადმასკომებთან მოლაპარაკების უბრალო მიმართვას, თუ რა სამუშაოები უნდა აწარმოონ მათ: „ადმასკომები ღარობია, ჩვენ მათ დახმარების ხელს უწოდებთ“-ო.

ასეთია შრომის სახალხო კომისარიატის ხაზი საბჭოთა კავშირის ფარგლებში—გვასწავლის ამბ. იაშვილი.

არა, ამბ. იაშვილო, თქვენ ვერ გაიგეთ, რა დაგავალეს იქიდან. თქვენ ვერ მოახერხეთ მოგეწყოთ საზოგადო სამუშაოები იმ ფულითაც კი, რომელიც ამ მიზნით დაგიხიშნეს, არა თუ ადგილობრივ გამოგეძებნათ რაიმე საშუალებები ამ დანიშნულებისთვის. ნუ გეწყინებათ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თქვენ ანუ თქვენმა კომისარიატმა ეს ყურადღებიდან გაუშვით. და მის მაგიერ, რომ გამოასწოროს დაშვებული შეცდომა, მის მაგიერ, რომ შეავსოს წარსული ნაკლი, ამბ. იაშვილი მართავს ჩემთან უადგილო კამათს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ აქ რალაც კეთდება. მაგრამ ეს ასე არ არის.

ჩვენ ვიცით, რომ 1924-25 ფინანსიური წლის პირველ მეოთხედისათვის (ოქტომბერი-დეკემბერი) გადადებული ფულიდან ამიერ-კავკასიას წილად ხვდა გვარიანი საგრძნობი თანხა 200.000 მანეთი. მაგრამ პირველმა მეოთხედმა უკვე დიდი ხანია გაიარა, და ეს ფულები თავის დროზე არ იქნა გამოყენებული. ამბ. იაშვილს არ სურს შეიგნოს სულ უბრალო ჭეშმარიტება. იგი, მაგალითად, ასეთ რამეს სწერს: „ჩვენ ხელს უწყობთ საზოგადო სამუშაოებს (ისევ უმუშევართათვის გადადებულ თანხებიდან) და ვაბანდებთ მაზე უმუშევრებს“. ეს ყველაფერი მარტო განზრახულია, კონკრეტულად კი ჯერ არაფერია. შემდეგ რას ნიშნავს: „ჩვენ ხელს უწყობთ საზოგადო სამუშაოებს“? ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. შრომის სახალხო კომისარიატმა აქ უნდა გამოიჩინოს გამჭრიახობა, თაოსნობა, თვითმოქმედება და არა მარტო „ხელი შეუწყოს“ სხვებს. საჭიროა ხელის განძრევა და გამოფხიზლება.

ხომ ჯერ დიდი ხანი არ გასულა მაგ შემდეგ, რაც ამბ. კრეგლიკოვი სწერდა ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის მისამართით:

„რაც შეეხება უმუშევრობის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღონისძიებები გასული პერიოდის განმავლობაში მეტად უმნიშვნელო იყო, ვინაიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში არსებულ ფინანსიურ და ეკონომიურ პირობებში უმუშევრობასთან ბრძოლის მეთოდები მეტად შეზღუდულია და თვითეულ რესპუბლიკის ობიექტიური შესაძლებლობანი არ იძლეოდენ მათი ამოწურვის საშუალებას. თუ შეეხებით ამ მიმართულებით გამოჩენილ თაოსნობას, უნდა აღვიაროთ, რომ არც ის ორგანოები, რომლებსაც სპეციალურად აქვთ დაკისრებული ამ საქმის გაძღოლა, არც ადგილობრივი ადმასკომები ამ დარგში არ გასცილებიან თავის მოღვაწეობის ჩვეულებრივ ფარგლებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. კრუგლიკოვს შემდეგ აღნიშნული აქვს, რომ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე უმუშევრობის წინააღმდეგ ან სულ არ არის მიღებული ღონისძიებები ან, სადაც მიღებულია, არ არის საკმაო და სწერს შემდეგს:

„უმუშევრობის საწინააღმდეგო სხვა ღონისძიებებმაც, რომლებიც შესამჩნევად არიან გავრცელებული საბჭოთა რუსეთში — არტელების და საზოგადო სამუშაოების მოწყობამ, ადგილობრივ პირობებში ვერ ჰპოეს ფართო გამოყენების და განვითარების ნიადაგი“... (ხაზი ჩვენია. ფ. მ.).

აქ შეუძლებელია თავის გამართლება საშუალების არქონით თუ ნაკლებობით ან მრეწველობის დაცემით, რადგან ეს მოვლენა საერთოა და არ შეადგენს მარტო ამიერ-კავკასიის დამახასიათებელ თვისებას. მართლაც და, ჩვენ საბჭოთა სახელმწიფოს რომ საშუალება არ აკლდეს, ან ზოგჯერ პირდაპირ უსაშუალებო რომ არ იყოს, ჩვენი მრეწველობა რომ დაქვეითებას არ განიცდიდეს, მაშინ ხომ თვით უმუშევრობაც არ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ისე სასტიკი ფორმით, როგორც ამჟამად არის. ისე რომ ეს გარემოება სრულიადაც ვერ გაამართლებს ჩვენი მოღვაწეობის სისუსტეს ამ დარგში: პირიქით, რაც უფრო მეტი ნაკლებობაა საშუალებების ან რაც უფრო დაქვეითებულია მრეწველობა, მით უფრო გაცხოველებული უნდა იყოს ჩვენი მოღვაწეობა უმუშევრობის საწინააღმდეგო საშუალებების გამოძებნის საქმეში, ვინაიდან სწორედ ამ დროს არის გამწვავებული თვით უმუშევრობაც.

სწორედ ფინანსიური საშუალებების ნაკლებობამ, ერთის მხრით, და უმუშევრობის გაძლიერებამ — მეორეს მხრით, გამოიწვიეს უმუშევრობასთან ბრძოლის ახალი ფორმები უნუშევრებისაგან შემდგარი სხვადასხვა არტელებისა და შრომის სამრეწველო კოლექტივების სახით. და სწორედ ამ საზზე ასტეხეს ჩემ წინააღმდეგ კამპანია ამხ. შვარცმა და იაშვილმა.

VI.

ერთი მთავარი წინადადებათაგანი, რომელიც მე წამოვაყენე, იყო და არის შემდეგი: უმუშევრობასთან ბრძოლაში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საღი და არსებობის უნარის მქონე კოლექტივების შექმნას და, ერთის მხრით, სამრეწველო დაწესებულებების სხვადასხვა სახელოსნოების და ფაბრიკების მოწყობასაც ქალაქებში და, მეორეს მხრით — კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობას სასოფლო-მეურნეობის დარგში.

ჩემმა მოკამათეებმა ეს დაუშვებლად ჩათვალეს, უმთავრესად, მიტომ რომ ცენტრი ამის წინააღმდეგია, ხოლო ჩვენ ცენტრის წინააღმდეგ, არ შეგვიძლია წავიდეთო.

ამხ. იაშვილს, რომლის სიტყვითაც ჩემი წინადადებები „ვერ ეძლებენ ეურაეითარ კრიტიკას“, მათ წინააღმდეგ მოჰყავს ორი საბუთი:

1) ბაზარზე გამოსულ საქონლის რაოდენობა სჭარბობს მოთხოვნილებას; აქ მას სახეში აქვს მარტო „ნაეთეულობის ზედმეტი წარმოება“. მაგრამ, ჯერ ერთი, რომ ვგონებ, ჩვენი მრეწველობა არ განისაზღვრება მარტო ნავთეულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დაშზადებით. მერე საიდან შეიტყო ამხ. იაშვილმა, რომ ჩვენი მთავრობა ამჟამად არ ცდილობს ნავთის საქმის გაფართოებას, რომ ჩვენ აქ მივედით იმ საზღვრებთან, რომლის იქით ალარ შეგვიძლია წასვლა?

ბაგრამ ნავთის საკითხში ჩვენს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატში დიდი არევ-დარევა სუფევს. საქმე იმაშია, რომ სულ რაღაც სამი კვირის წინად ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარმა ამხ. იაკუბოვმა შემდეგი დასწერა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ში (№ 761, 1924 წ. 24 დეკემბერი) არტელების და კოლექტივების მოწყობის შესახებ:

„ადერბეიჯანში განზრახულია ნავთის ჭების დამშუშავებელი კოლექტივების და არტელების შექმნა 2.000 უმუშევრისაგან".

ეს 2.000 კაცი, რომლების ჩაბმაც განზრახულია ადერბეიჯანის ნავთის საქმეში, რაღაცას მაინც ნიშნავს წარმოების გაფართოების მხრით. ამავე დროს კი ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. იაშვილი ასეთ გაფართოებას შეუძლებლად სთვლის. მოდი და გაარჩიე, ვინ არის აქ მართალი და ვინ არა. ბაგრამ ერთი ცხადია: აქ საქმე გვაქვს ნამდვილ ოთურმასთან, ბაგრამ ამ შემთხვევაში არა შრომის კოლექტივების საქმეში, არამედ სადღაც სხვა ადგილას.

ბაგრამ რაც უფრო ახირებულია, ეს ის, რომ ამხ. იაშვილი თავისი წერილის მთელი ორი სვეტის სივრცეზე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამჟამად შეუძლებელია ჩვენი მრეწველობ ს რაიმე განვითარება ან გადიდება და ყოველივე ანგარიშებს ამ მიმართულებით ის პირდაპირ დასცინის, რომ იმავე წერილში ოვითონვე უარყოს თავისი საკუთარი აზრი.

იგი ამბობს: „ამრიგად, ჩვენი მრეწველობის განვითარება ბუნებრივი გზით მიდის წინ".

მერე როგორ მოხდება ეს? თუ კი რამდენიმე სტრიქონით წინ ამხ. იაშვილი ამტკიცებდა, ვითომ, ნამდვილი „არითმეტიკული" და „ეკონომიური" ანგარიშების ძალით, რომ ჩვენში მხადდება ზედმეტი საქონელი, რომ ჩვენ არ გვყავს ყიდვის უნარის მქონე მომხმარებელი, რომ ამჟამად ჩვენში არ შეიძლება ლაპარაკი არაფითარ გაფართოებაზე, როგორ მოხდა, რომ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ეჭვმიუტანელად ამტკიცებს სრულიად წინააღმდეგს, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარება წინ მიდის და, უმუშევრები ნუ სწუხან, ვინაიდან ამხ. იაშვილი ბალე მოუწოდებს მათ წარმოების გასაფართოებლად — ყველაფერი ეს ამხ. იაშვილის საიდუმლოებას შეადგენს და ჩვენ მას ნუ გამოუდგებით.

2) ამხ. იაშვილის მეორე დასკვნა ჩემი წინადადების წინააღმდეგ, თუ რატომ არ შეიძლება ამჟამად უმუშევრობის ფონდის ნაწილი მოვახმაროთ „ახალი ქარხნებია, ფაბრიკების და სახელოსნოების აგებას" — ეს, თურმე, არის ის, რომ „უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო გეგმათა საბჭოთველოს მიერ გადადებულია 10 მილიონი ბანეთი არა ამხ. ძერჟინსკის, არამედ შრომის სახალხო კომისრის, ამხ. შმიდტის განკარგულებაში". „მრეწველობის მოწყობა კი, — ამბობს ამხ. იაშვილი, — შეადგენს ამხ. ძერჟინსკის ხელშეუხლებელ უფლებას".

აი ესეც საბუთი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფული გადაეცა შრომის სახალხო კომისარს და არა ამხ. ძერჟინსკის, რომელსაც ჩაბარებული აქვს წარმოება!

გამოდის, რომ ამით უქმდება ყველა დადგენილებები, ყველა დარიგებები, რომლებიც აქამდე არსებობენ და არავის გაუუქმებია, ისპობა მთელი ის პრაქტიკა, მთელი ის, შედარებით, პატარა გამოცდილება, რომელიც დაგროვილია საბჭოთა რესპუბლიკებში უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში.

არ არის მართალი, ამხ. იაშვილო. ჯერ კიდევ ამ დღეებში, „ზარია ვოსტოკა"-ს 7 იანვრის ნომერში (№ 772), ესე იგი ერთი დღით ადრე ამხ. იაშვილის წერილია მოვლინებამდე, რომელიც სასაცილოდ იგდებდა უმუშევართა საშრეწველო დაწესებულებების ნოწყობას, დაბეჭდილი იყო მოსკოვიდან მიღებული შემდეგი ცნობა, რომელიც მომყავს აქ სიტყვა-სიტყვით.

„შრომის სახალხო კომისარიატმა და პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ჰიილო შეთანხმებული პროექტი შრომის სახალხო კომისარიატის საშუამავლო ორგანოებში აღნუსხული უმუშევრებისათვის საშრომო დაბბარების აღმოჩენის შესახებ. პროექტის მიხედვით, საშუამავლო ორგანოების კომიტეტებს, საერთაშორისო პროფკავშირებთან შეთანხმებით, ეძლევა უფლება მოაწყოს საწარმოო და საავჭრო დაწესებულებები და აგრეთვე უმუშევართა საშრომო კოლექტივები. უმუშევართა საშრომო კოლექტივები და მათგან მოწყობილი საავჭრო და საწარმოო დაწესებულებები სარგებლობენ მთელი რიგი საგადასახადო შეღავათებით" (ხაზი ჩემია. ფ. მ.).

ეს პირდაპირ ლაპარაკობს ამხ. იაშვილის წინააღმდეგ. რაღას იტყვის ის ახლა? როგორია ცენტრის ხაზი ამ საკითხში: ის, რომელსაც მე ვატარებდი ჩემ წინანდელ წერილში და ვატარებ ამ წერილშიაც, თუ ის, რომელსაც ასე მოუფიქრებლად გვირჩევს ამხ. იაშვილი?

ცხადია, ამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ აქ შეუძლებელია არსებობდეს ორი აზრი. მაგრამ ამ შემთხვევაში, არ შეიძლება ვიკითხოთ ამხ. იაშვილის იმედი: ის უიმედოთ არის დაბნეული ამ საკითხში. საქმე იმაშია, რომ ზემომოყვანილ ცნობაში, ნამდვილად, არაფერი ახალი და, მით უმეტეს, მოულოდნელი არ არის ვისმესთვის, გარდა, შეიძლება, ამხ. იაშვილისა, ან ამხ. შვარცისა.

ის პროექტი, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ზემომოყვანილი ცნობა და რომელიც, უეჭველია, დამტკიცებული იქნება, ჯამს უკეთებს მხოლოდ იმას, რაც უკვე არსებობდა ცხოვრებაში.

უმუშევრობასთან ბრძოლის გამოცდილებამ სხვადასხვა ადგილას და ერთსა და იმავე დროს მიგვიყვანა უმუშევართა დახმარების სხვადასხვა სახეების და ფორმის შექმნამდე, როგორიცაა: დახმარება დამზღვევი სალაროებიდან, საზოგადო სამუშაოების მოწყობა, საშრომო არტელების და კოლექტივების შექმნა და სხვ. უკანასკნელ დროს წარმოიშვა საკითხი ამ საშრომო კოლექტივების უკვე ნამდვილ საწარმოო დაწესებულებად გადაქცევის შესახებ. საჭვუბარია, რომ მთელი ეს ისტორია როგორლაც სრულიად შეუმჩნეველად ჩატარდა ამიერ-კავკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის შრომის სახალხო კომისარიატისთვის. ამის გამო, მე საჭიროდ მიმაჩნია საქმისათვის, რომ რამდენიმედ შეეხო ამ საკითხს.

ამ მიზნისათვის მე ვისარგებლებ იმ მასალით, რომელიც მოყვანილია ამხ. ცელიკოვის საინტერესო წერილში; „საშრომო კოლექტივებისა და უმუშევრების შესახებ", („ვიპროსი ტრუდა" № 10, 1924 წელი.).

თანახმად ცელიკოვის მასალებისა, „უმუშევართა კოლექტივები", რომლებსაც პირველად არტელების სახე ჰქონდა და მიზნად ისახავდა მიეწოდებია უმუშევრებისათვის დროებითი საშრომო დახმარება, ჩვენში (რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკებში) ჯერ კიდევ 1922 წლის ნახევარში წარმოიშვენ, ესე იგი ორ-ნახევარი წლის წინად.

„რამდენადაც საზოგადო საშუალები, — ამბობს ამხ. ცელიკოვი, ჩვენი სახელმწიფოებრივი და აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის პირობებში არ შეიძლებოდა ფართოდ განხორციელებულიყო, იმდენად კოლექტივების მოწყობა წარმოადგენდა იმ დამხმარე საშუალებას, რომლის დახმარებითაც შრომის ბირჟებს შეეძლო, რამოდენიმედ მაინც, დაეკმაყოფილებინა უმუშევრების ნივთიერი მოთხოვნილებები. კოლექტივები (ანუ უკეთ არტელები) თავიდან არ მოითხოვენ დიდ ხარჯებს, მაგრამ თავისი მოღვაწეობის განვითარებასთან ერთად, შეუძლია მოედვას უმუშევართა საგრძნობ რაზმებს და მასთან ერთად არა მარტო შავ მუშებს, როგორც აბას, უმთავრესად, ადგილი აქვს საზოგადო მუშაობის დროს მისი მასიური ხასიათის გამო, არამედ ხელობის მცოდნე მუშებსაც, ესე იგი საშუშაო ძალის იმ ნაწილს, რომელსაც ყველაზე მეტი ღირებულება აქვს მრეწველობისათვის*).

„არტელების მოსაწყობად საჭირო საშუალებებს იღებენ მარტო ადგილობრივი წყაროებიდან (უმუშევართათვის დახმარების დასარიგებლად გადადებული თანხებიდან, პროფკავშირთა მიერ უმუშევრობასთან საბრძოლველად გადადებული თანხებიდან და სხ.) მოკლევადიანი სესხის სახით. სრულიად ცხადია, რომ ამ წყაროებიდან არტელებს არ შეეძლოთ ბევრის მიღება და საბრუნაკი თანხების უქონლობის გამო პირველ ხანებში ესაჭიროებოდათ ყოველნაირი შეღავათები".

ამხ. ცელიკოვის ანგარიშით, 1922 — 23 წლია დასასრულს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უკვე ირიცხებოდა 544 არტელი, რომლებშიაც დაბანდებული იყო 22.384 კაცი, განაწილებული შემდეგნაირად:

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში არტელების (საშრომო და ნიწარმოებელი) რიცხვი იყო 344; მათში ირიცხებოდა 15.194 უმუშევარი, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკაში იყო 194 არტელი 6.732 უმუშევრით, ბაშკირეთის ს. ს. რესპუბლიკაში იყო 6 არტელი 158 უმუშევარით.

როგორც ხედავთ აქ ამიერ-კავკასია მოხსენებული არ არის.

„უმუშევართა საერთო რიცხვთან შედარებით, არტელებში დაბანდებულთა რაოდენობა, რა თქმა უნდა, მეტად მცირეა. ამის ახსნა უნდა ვეძებოთ, ჯერ

*) მეტად დამახასიათებელია, რომ სწორედ ამხ. იანგილი და მის შემდეგ შვარციც, არ არიან თანახმა, რომ კოლექტივებში დაბანდდეს ხელობის მცოდნე მუშები. მათი აზრით, ამ დარგის მუშებისთვის უფრო შეაფერია საზოგადო მუშაობაში მონაწილეობა, ესე იგი სწორედ იმის წინააღმდეგ, რასაც გვეუბნება რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი, იმაში, რომ საბჭოთა ცხოვრებაში არტელების მოწყობის საქმე ახალი რამ იყო, მეორეც, იმაში, რომ შრომის ბირჟა იმ დროს დატვირთული იყო უმუშევართა აღრიცხვის და შრომის მოთხოვნილებისა და მიწოდების საქმის მოსაწესრიგებელი მუშაობით და არ შეეძლო საკმაო ყურადღება მიექცია არტელების მოწყობისათვის".

ვაღოცდილებამ მალე დაამტკიცა, რომ არტელები, როგორც უმუშევართა დახმარების ერთი სახეთაგანი, ვერ აკმაყოფილებდენ თავიანთ დანიშნულებას. ამის გამო შეუდგენ მათ გადახალისებას კოლექტივებად, რომლებიც სულ სხვა ნიადაგზე არიან აგებული.

„უმუშევარია გაერთიანების ახალ ორგანიზაციულ ფორმებზე გადასვლის აუცილებლობა, — ამბობს შემდეგ ამს. ცელიკოვი, — გამოიარკვა მალე არტელების წარმოშობის შემდეგ. ამ უკანასკნელთა კარჩაკეტილობამ და შრომის ბირჟის გავლენის გარეშე არსებობამ მრავალი არტელები მალე გარდააქცია წვრილ კერძომფლობელურ დაწესებულებად, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. უმუშევართა არტელები, განსაკუთრებით მწარმოებელი არტელები, რომლებიც სარგებლობდენ გადასახადების შეღავათებით და სხვა უპირატესობებით, შეიქმნენ საეკეთესო თავშესაფარი და ადგილი ყოველნაირი „საქმის ხალხის" და „წვრილი ხაზეინების" ნებაყუთრული სულისკვეთების გამოსაჩენად. არტელების მიერ მიღებული მოგება უკვე აღარ წარმოადგენდა იმ საშუალებას, რომელიც უნდა მოხმარებოდა არტელების გაფართოებების საქმეს, რომ მასში დაბანდებულიყო უმუშევარია მეტი რიცხვი, არამედ ხმარდებოდა სამეურნეო აღებ-მიცემობას უმთავრესად, იმისათვის, რომ მიეღო მოგება მოგებისათვის".*)

ახლა ვნახოთ, რამდენად გაამართლა ცხოვრებამ ეს კოლექტივები. მოუსმინოთ, რას ამბობს ამის შესახებ ჩვენი ავტორი:

„რომ კოლექტივები ჩვენს პირობებში წარმოადგენენ უმუშევართა გაერთიანების ყველაზე უფრო გაუმჯობესებულ ფორმას ორგანიზაციულის და ეკონომიურის თვალსაზრისით, ეს საკმაო სიცხადით დაგვანახა შრომის ბირჟების თითქმის ერთი წლის მუშაობის გამოცდილებამ. რასაკვირველია, იგივე გამოცდილებამ სრულიად ნათლად გვიჩვენა ისიც, რომ კოლექტივის ახლანდელ მდგომარეობაში ბევრი რამ კიდევ უნდა გაუმჯობესდეს, მაგრამ ეს უკვე მეორე საკითხია, რომელსაც ჩვენ ქვემოთ დაუბრუნდებით.

ახლა ვნახოთ, რამდენად წარმატებით მიმდინარეობდა შრომის ბირჟათა მუშაობა კოლექტივების მოწყობის საქმეში და რა ნაყოფი გამოიღეს უკანასკნელებმა უმუშევართა ფართო წრეებისათვის.

„თანახმად უკანასკნელი, თითქმის ამომწურავი ცნობებისა, რესპუბლიკათა მთელ კავშირში არიცხებოდა შრომის ბირჟის მიერ მოწყობილი 869 უმუშევართა კოლექტივები. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ცნობები სრული არ

*) როგორც ცნობილია, არტელების ამ დამახინჯებული და გადაგვარებული სახე აქვთ მხედველობაში ამბ. იაზვილს და შვარცს, როდესაც უარყოფითად უცქერიან არა მარტო არტელებს, არამედ კოლექტივებსაც. იმის მაგიერ, რომ ებრძოლონ ამ დამახინჯებას, იაზი პირდაპირ უარყოფენ ამ გაერთიანებათა ყოველგვარ მნიშვნელობას უმუშეერობასთან ბრძოლის საქმეში, ესე იგი გადაღვრილ წყალს ეწდა ბავშვიც გააყოლონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის და აგრეთვე კოლექტივებში დაბანდებულ უმუშევართა შეცვლას, რომელიც სწარმოებს დებულების მე-5 მუხლის ძალით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ კოლექტივებში საშრომო დახმარება მიეცა 50.000 უმუშევარზე მეტს, ესე იგი ორჯერ მეტ რიცხვს იმაზე, რაც იყო ორტელების არსებობის დროს".

შეიძლება თქვას, რომ ნთელი ეს უხარმაზარი მუშაობა საწარმოო კოლექტივებში უმუშევართა ასეთი დიდი რაოდენობით გაერთიანების გარშემო სრულიად შეუმჩნეველად ჩატარდა ამიერ-კავკასიისთვის.

და ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის: ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები თითქო არ კადრულობდენ დაბანდებულიყვენ ისეთ ღმნიშვნელო საქმეში, როგორიცაა უმუშევართა მშრომელი არტელების და კოლექტივების მოწყობა, რადგან მათ ეგონათ, ყველა ეს დაწესებულებები, ამხ. იაშვილისებურად რომ გამოვთქვათ, მარტო „ქაქსაევენ" მუშათა კლასს და ანვითარებენ მასში „წვრილ მესაკუთრულ მისწრაფებებს". და ამიტომ მათ არ სურდათ ხელი შოეკიდათ ასეთ არასაპატიო საქმისათვის, როგორიცაა მშრომელი კოლექტივების მოწყობა. და ისინი განზე დარჩნენ ამ მოძრაობიდან.

რაოდენათაც ადერბეიჯანი მაინც დაადგა მშრომელი კოლექტივების მოწყობის გზას, იმდენად ის ამას ჩადის ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოთა სურვილების წინააღმდეგ და უნდა ვთქვათ, რომ ადერბეიჯანი ამ გზაზე უკვე დაწოუკიდებლად მიდის, ყურს არ უგდებს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის დარიგებებს და ამ გზაზე უკვე აღწევს მნიშვნელოვან შედეგებს.

„ზარია ვოსტოკა"-ს წარსული წლის 15 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო შემდეგი ცნობა:

„უ მ უ შ ე ვ ა რ თ ა ს ა ნ ბ რ ძ ო ლ ა"

ბაქო. უმუშევართა ახალი კოლექტივების მოწყობისა და არსებული კოლექტივების გაფართოვების შემწეობით, კოლექტივების ბიუროს ნოემბერში შესძლო გამოეყენებია უმუშევართა 70 პროცენტი. ადერბეიჯანის სოციალურ დახმარების სალაროდან მიღებული 2.000 მანეთით მოხერხდა კარტონის დამამზადებელი სახელოსნოს გაფართოება, სადაც მოიდენილია რემონტი და დაიდგა ელექტრო-მამოძრავებელი. სახელოსნო საკუთარ უზრუნველყოფილია ეზთამბაქოს, ბაქკავშირის და სხვა კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან დაკვეთილ. სამუშაოებით. სახელოსნოში ამჟამად მუშაობს 90 კაცი; ახლო მომავალში განზრახულია მომუშავეთა რიცხვის 250-დე აყვანა. ამჟამად ყულ მუშაობს 22 კოლექტივი, რომელშიაც დაბანდებულია 750 კაცი, მათგან 611 მამაკაცი, 103 დედაკაცი და 44 მოზარდი. საშუალო დღიური ხელფასი უდრის 1 მ. 25 კაპ. ეწყობა ნავთის ჭების დამმუშავებელი კოლექტივი, რომელშიაც დაბანდდება 200—300 კაცი.

ამიერ კავკასიის შრომის სახალხო კომისარი ამხ. იაკუბოვი ფიქრობს, რომ ნავთის ჭების დამმუშავებელ კოლექტივში იმუშავებს 2,000-ზედ უმუშევარი. ხოლო ამის მიხედვით, რასაც ამ საკითხის შესახებ სწერს მისი მოადგილე ამხ. იაშვილი, გამოდის, რომ ყველაფერი ეს უნდა გაუქმდეს. მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის და არ ეშორჩილება ცალკე პიროვნებების ბრძანებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უმუშევართა მშრომელი კოლექტივები, რომლებიც აგრეთვე მწარმოებელ და სავაჭრო დაწესებულებების სახესაც ღებულობენ, უფრო მეტად განვითარდებიან, ისინი ჩვენშიაც წარმოიშობიან და განვითარდებიან და სულ უფრო მეტ როლს ითამაშებენ უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში.

თავიდან, როგორც ვიცით, ყველა ეს არტელები, კოლექტივები და სხ. ჩნდებოდენ სტიქიურად და მარტო დროთა განმავლობაში შეუძლენ მათ ორგანიზაციული ფორმით შექმნას. მოვიყვან ერთ ასეთ მაგალითს საქართველოს ცხოვრებიდან.

ქუთაისელ გაზეთ „წითელ ვარსკვლავში" ამას წინათ დაბეჭდილი იყო შემდეგი:

„ქუთაისის მეორე კოლექტივის—„ქოოპერატივის სასადილო. ეს სასადილო იმყოფებოდა საქართველოს მთლიანი საბჭოდრო კოოპერატივის რწმუნებულის განკარგულებაში. სხვადასხვა მიზეზების გამო ეს სასადილო იხურებოდა და მოსამსახურეთა უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი თავად მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის და არ დარჩენილიყო უმუშევრად მასში დაბანდებული 21 თანამშრომელი (ოჯახის წევრებიანად 65). მუშაობა ამ მოთხოვნილებით ჭაყოფილი დარჩა თვით კოოპერატივის რწმუნებულიც და სასადილო გადასცა კოლექტივს მთელი თავისი მოწყობილობით. აღნიშნულ კოლექტივის მოწყობას დიდი ინტერესით მოეკიდენ თანამშრომლები. ეს კოლექტივი პირველი სანიმუშო მაგალითი იქნება ქუთაისის სხვა დაწესებულებებისათვის".

აღნიშნული კოლექტივი სრულიად შემთხვევით წარმოიშვა. ალბად ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს საქართველოს სხვა ადგილებშიაც, მაგრამ მათ შესახებ ჯერ-ჯერობით ჩვენ ან არაფერი ვიცით, ან ვიცით ძალიან ცოტა. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს, საერთოდ ძალიან ნაკლებად აინტერესებს ეს საქმე. ეს, სხვათა შორის, სჩანს ყოფილი მწარმოებელი არტელის „გრუზდეტდა"-ს მაგალითიდან, რომელიც წარსულ წლის ივლისში სამკერვალო მრეწველობის სახელმწიფო ტრესტად გადაკეთდა.

ამ არტელის წარმოშობის ისტორია მოკლედ ასეთია: 1923 წლის იელისში გაუქმდა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს სამკერვალო განყოფილება სამუშაოს უქონლობის გამო და ეგონათ, რომ მრეწველობის ამ დარგს საქართველოში არა აქვს არავითარი ნიადაგი. 400-მდე მუშა-ქალი და კაცი გაყრილი იქნა ქუჩაში. მაშინ ამ საქმესთან ახლო მდგომ ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა გაანგრძოს ეს საქმე არტელური წესით. მოეწყო ხელოსნებული არტელი, რომელმაც მიიღო მარტო ინვენტარი და ფული არაფერი. საბრუნავი თანხის მიღება არსაიდან შეიძლებოდა. პროფკავშირთა საბჭოს დახმარება მარტო კეთილი სურვილების გამოთქმაში გამოიხატებოდა. მარტო არტელის ხელმძღვანელის, ამხ. კუშნერის დაუღალავი მეცადინეობის წყალობით არტელმა თანდათან თავი დააღწია დაბრკოლებებს და მრეწველობის ამ დარგის საქმე ისეთ მტკიცე ნიადაგზე იქნა დაყენებული, რომ საქართველოს თავდაცვის საბჭოს ეკონომიურმა განყოფილებამ, ბოლოს დაადგინა, გადაეკეთებინა ეს არტელი სახელმწიფო ტრესტად და ხელახლა გადაეცა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთვის. ამ ტრესტში ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანად მუშაობს 400 კაცზე მეტი. კარგი იქნებოდა, რომ ამხ. იაშვილს და შვარცს ესწავლათ რამე ამ გამოცდილებიდან.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები და აგრეთვე ცენტრის და ადგილების პროფესიონალური ორგანიზაციები, ამიერ-კავკასიის გამოკლებით, ამჟამად ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევენ მშრომელი კოლექტივების წოწყობას, ახალი სამრეწველო დაწესებულებების შექმნას და აგრეთვე არსებული კოლექტივების და არტელების მხარის დაჭერას და გამაგრებას.

ცნობილია, რომ უკვე რამდენიმე თვეა, რაც მოსკოვში შემუშავდა პროექტი უმუშევართა სწორეთ ასეთი კოლექტივების დაარსების შესახებ, უმუშევრობასთან საბრძოლველად. ამ პროექტის შესახებ ამხ. ცელიკოვი, ზემოდასახელებული წერილის დასასრულში იძლევა ასეთ დასკვნას:

„არ შეიძლება არ აღვიაროთ—ამბობს ის,—რომ პროექტის განხორციელება უაღრესად წასწევს წინ უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეს. ამჟამად სუსტი კოლექტივები შეიძლება გადაიქცეს ძალუმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რომლებიც შესძლებენ დახმარება გაუწიონ უმუშევართა მნიშვნელოვან ჯგუფებს".

ჩვენ დაგვრჩა შეეხოთ კიდევ ორ გარემოებას კოლექტივების გამოცდილებიდან.

ერთი მათგანი შეეხება ნივთიერად მოღონიერებულ კოლექტივების საერთადო სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოებისათვის გადაცემას. ამ ღონისძიებების მიზანშეწონილობა ეჭვს გარეშეა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შრომის ბირჟების ამოცანას შეადგენს უმუშევართათვის დროებით საშრომო დახმარების აღმოჩენა.

კოლექტივების გადაცემა სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების ხელში უნდა ხდებოდეს მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტივის ბირჟასთან დატოვება ზედმეტი ხდება იმ მხრივ, რომ მასში უკვე დაბანდებულია შრომის ბირჟასთან აღრიცხვაზე მყოფი აღნიშნულ პროფესიის და ხელობის ყველა უმუშევარი თუ არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც. (კურსივი ჩემია. ფ. მ.)

„შრომის ბირჟიდან კოლექტივების ჩამოცილება შეიძლება მოხდეს იმ მიზეზითაც, რომ ზოგიერთი მათგანი გადაკეთდება კოოპერატიულ დაწესებულებად"*).

მოსკოვიდან ამ წლის 5 იანვარს მოსული ზემომოყვანილი ცნობა საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ, უკვე იმას გვეუბნება, რომ მშრომელი კოლექტივების უმუშევრობასთან საბრძოლველ მუდმივ და არა დროებითი ხასიათის სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებად გადაქცევის საკითხი ამ შემთხვევაში უკვე საბოლოოდ არის გადაწყვეტილი და ამასთანავე გადაწყვეტილია იმ აზრით, როგორსაც მე ვაძლევდი ამ საკითხს ჩემს წერილში: „უმუშევრობის საკითხის გამო".

*) „ვოპროსი ტრუდა", 1924 წ. № 10. გვ. 22-25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბ

დაე ეს არ მოსწონდეს ამხ. იაშვილს და ამხ. შვარცს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მათ დასჭირდებათ ერთი რამის ჩადენა: თავიანთი უმუშევრობასთან ბრძოლის მთელი ტაქტიკის შეცვლა და მასთან ერთად მთელი იმ გამოცდილების გამოყენება, რომელიც აქვთ მიღებული ამ დარგში ჩვენი კავშირის სხვა ნაწილებში, ეს კი საჭიროა მშრომელი კოლექტივების ახალი დებულების ცხოვრებაში სისწორით გასატარებლად.

ეს ახალი დებულება სწყვეტს იმ საკითხსაც, რომელსაც სვამდა ამხ. შვარცი, სახელდობრ: „სად უნდა იყოს გადატანილი უმუშევრობასთან საბრძოლველ ღონისძიებათა სიმძიმის ცენტრი—საზოგადო სამუშაოებში და დამზღვევი დაწესებულებების დახმარებაში, თუ მწარმოებელი კოლექტივებია შექმნაში“? ის ამ კითხვაზე იძლეოდა გადაჭრილ პასუხს: „საზოგადო სამუშაოებში და არა მწარმოებელ კოლექტივებში“. ამხ. შვარცი უნდა დაგვეთანხმოს, რომ ეს კითხვა გამოცდილებითაც და კანონმდებლობითაც გადაწყვეტილია მწარმოებელი კოლექტივების სასარგებლოდ.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ საზოგადო სამუშაოები საბოლოოდ უარყოფილია. სრულიადაც არა—ასეთი მუშაობაც იწარმოებს, მაგრამ უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სრულიად საღი და არსებობის უნარის მქონე მწარმოებელი დაწესებულებების შექმნას.

შემდეგ ნეტად ბერავენ საკითხს მწარმოებელი კოლექტივების შეჯიბრების შესახებ, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებთან. ამხ. ცელიკოვი, რომელმაც შეისწავლა ეს საკითხი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს საკითხი „პირველი შეხედვით მართლაც სერიოზული და ყურადღების ღირსი გეგონებათ, მაგრამ ნამდვილად, მწარმოებელი კოლექტივების ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობის დროს, როდესაც ისინი პირდაპირ კაპეიკებით იწყებენ საქმეს, მას არავითარი ნიადაგი არ აქვს“, ხოლო რამდენადაც ეს მწარმოებელი კოლექტივები გაიზრდებიან და გამაგრდებიან, „ისინი უნდა გადაეცეს სათანადო სამეურნეო ორგანოებს.

ბოლოს, კოლექტივების შემადგენლობის ცვალებადობის პრინციპზე ამხ. იაშვილი თავის პირველ წერილში სწერდა ასე:

„კოლექტივების შემადგენლობა დროგამოშვებით უნდა იცვლებოდეს, რომ მათში გავატაროთ უმუშევარი რაც შეიძლება მეტი რაოდენობა“.

თითქოს აქ ყველაფერი ნათელია. მაგრამ, თუ უფრო დაკვირვებით მოვეპყრობით საქმეს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ საკითხი მიხანშეუწონლად და არა ხელსაყრელად არის დაყენებული, როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური მხრით. სწორედ ამაზე მიუთითე მე. მაგრამ ამხ. იაშვილის წამოყენებული ცვალებადობის დებულების დაცვა ჯერ აიღო თავის თავზე ამხ. შვარცმა, ხოლო შემდეგ თვით ამხ. იაშვილმაც; ამხ. შვარცი აღიარებს, რომ „კოლექტივების შემადგენლობის ცვალებადობა გადაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს მესაკუთრული ტენდენციების გასაბათილებლად, ხოლო ამხ. იაშვილი მარტო ინეორებს თავის წინანდელ დებულებას.

მაგრამ პირველ ნელ რედაქციასა და ახლანდელში მაინც არის ზოგიერთი განსხვავება; ასე, ამხ. შვარცი ფიქრობს, რომ ეს შეცვლა უნდა ხდებოდეს ექვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვეში ან წელიწადში ერთხელ, ხოლო იაშვილი ამ წესს არ ავრცელებს ადმინისტრატიულ აპარატზე. მაგრამ ორივე ისინი ერთხმად იმეორებენ, რომ ეს შეცვლა არავითარ გავლენას არ იქონიებს არც შრომის ნაყოფიერებაზე, არც თვით კოლექტივების საქმეთა გაუმჯობესებაზე.

მაგრამ მთელი ეს მტკიცება ცალიერ სიტყვებზეა დამყარებული და ერთი ფაქტითაც არ არის დასაბუთებული, უამისოდ კი ის გროშადაც არ ღირს.

აბა მოუსმინოთ, რას ამბობს ის კაცი, ვინც ახლოა გაცნობილი თვით კოლექტივების საქმიანობასთან:

„ამის შესაფერ გავლენას ახდენს კოლექტივების ნივთიერ მდგომარეობაზე დაწესებული ცვალებადობის პრინციპიც". ამას ამბობს ამხ. ცელიკოვი, რომელსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ეს საკითხი. და მის აზრს ჩვენთვის აქვს ულო სავა მნიშვნელობა. სამწუხაროთ ია ამ საკითხზე) არ ლაპარაკობს უფრო დაწვრილებით. მაგრამ ერთი აშკარაა: ცვალებადობის პრინციპი, რამდენადაც ია უყოყმანოდ ტარდება ცხოვრებაში, ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს კოლექტივების ნივთიერ მდგომარეობაზე.

მეორე მხრით მე ხელთ მაქვს ერთი მოწმობა სამარის შრომის განყოფილების გამოცდილებიდან ცვალებადობის პრინციპის გამოყენების საქმეში: „კოლექტივებში—ნათქვამია სახელმწიფო ვაჭრობის სამარის განყოფილების ანგარიშში—შეძლებისდაგვარად ტარდება ცვალებადობის პრინციპი" *).

სიტყვა „შეძლებისდაგვარად" გვეუბნება იმას, რამდენად ძნელია ამ ცვალებადობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება ყოველ შემთხვევაში იმ ულაპარაკო და აბსოლიუტურ ფორმით, როგორც გვირჩევენ ამხ. იაშვილი და შვარცი. მათი დებულება გახყენებულია. ცხოვრება ასეთ შემთხვევებში მოითხოვს უფრო მოქნილ, ადგილისა და დროის პირობებთან შეფარდებულ დებულებას, და სწორედ ანას ვერ ვხედავთ ხსენებულ ამხანაგების წინადადებებში.

მე უნდა შეევსო ერთ მეტად საინტერესო საკითხს, რომ აქაც ერთხელ და სამუდამოდ გავაქარწყლო ყოველივე გაუგებრობა და ორაზროვნობა. საქმე შემდეგშია:

როდესაც ამხ. იაშვილი ლაპარაკობდა საზოგადო სამუშაოების წაქეზების, დაქცეულ სახლების გაწმენდის, საბურთალოს ჭაობების ამოშრობის, გზების გაყვანის და სხ. შესახებ, მან სხვათა შორის სთქვა: „გვეტყვიან, რომ ეს ალმასკომების საქმეაო. მართალია. მაგრამ ალმასკომები ღარიბია; ჩვენ მათ ვეხმარებით; ჩვენ მათთან ვდებთ კონკრეტიულ პირობას ამა თუ იმ საზუშაოს შესახებ" (ხაზი ჩემია. ფ. მ.).

პირველ ყოვლისა, ერთი პატარა შენიშვნა. გაგიგია, რომ ამხ. იაშვილი ალმასკომების მიმართ აქ თამაშობს მდიდარი ამერიკელი ძიას როლს, როდესაც ეს ძია მოულოდნელად პატიობს გასაცდელისაგან რომელიმე თავის ღარიბ ძმისწულს სადღაც ევროპაში. ამხ. იაშვილმა კარგად უნდა იცოდეს, საიდან მოდიან თანხები, რომელიც იმყოფება შრომის სახალხო კომისარის განკარგულებაში, საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად. თუ ალმას-

*) იხ. „ეკონომისტ ტრუდა", № 10, გვ. 18, 1924 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომები ღარიბია, მაშინ შრომის სახალხო კომისარიატი მდიდარია? ასე როდი დგას საკითხი. მე მესმის, რომ აქ ამხ. იაშვილმა უბერხულად გამოთქვა თავისი აზრი. მაგრამ ამ უხერხულ გამოთქმას ზოგიერთები შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს. მართლაც რატომ არ უნდა ისარგებლოს ღარიბმა აღმასკომებმა ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მდიდარი ქისიდან?

მაგრამ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაშვებული შეცდომების სათავე ამაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს, როგორც ამხ. იაშვილის სიტყვებიდან სჩანს პირობა დაუდვია აღმასკომებთან ამა თუ იმ მეშაობათა ჩატარების შესახებ და წინასწარ ამ მუშაობათა გეგმები არც ამიერ-კავკასიის, არც ცალკე რესპუბლიკების სახელმწიფო გეგმათა სამმართველოებში არ წარუდგენია. ეს დაუშვებელია. მაგრამ ახლა ამიერ-კავკასიის საბ. ფედ. სოც. რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმათა სამმართველომ უკვე მიიღო ზომები იმისათვის, რომ მომავალში ალარ მოხდეს ასეთი შეცდომა.

მე უკვე ეახლოვდები დასასრულს. ყველა აღძრული საკითხები ითქმის ამოწურულია და მათზე გაცემულია ესა თუ ის პასუხი. ეს წერილი უფრო გრძელი გამოვიდა, ვიდრე მოველოდი.

მე ძალიან დიდხანს შევჩერდი ცალკე ამხანაგების აზრების გაკრიტიკებაზე, ეთქვათ პირდაპირ: ამხ. იაშვილის და შვარცის შეხედულებათა გაკრიტიკებაზე. მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ ამხ. იაშვილი და შვარცი არიან იმ დარგის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, რომლის შესახებაც თავიდან ბოლომდე ლაპარაკია ჩვენს წერილში. რომ ამხ. იაშვილი და შვარცი მარტო იაშვილი და შვარცი იყოს და არა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ყველაზე უფრო პასუხსაგები ნოვალეობა შრომის დარგში, მაშინ, რა თქმა უნდა, მათ შეხედულებებზე არ ელირებოდა სერიოზული ყურადღების მიქცევა. ამაევ დროს ზემოხსენებული ამხანაგები, რომლებიც დაყენებული არიან მეტად პასუხსაგებ პოსტებზე, არ აჩენენ სურვილს, გაუწიონ ანგარიში სინამდვილეს. ამის გამო მე არ დამრჩა სხვა გზა, რომ არ გადაეექეცა ეს სინამდვილე და არ მეპოვა იქ ფაქტები, რომ მეიძულებია ეს ამხანაგები, გაეწიათ მათთვის ანგარიში. ბოლო ფაქტები, როგორც ვიცით, ჯიუტი რამ არიან. მათ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო.

როგორია ის საბოლოო დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ წერილიდან?

საერთოდ ეს დასკვნები ეთანამეა იმ დასკვნებს, რომლებიც გამოუყვეს თავის წერილში ამხ. კრუგლიკოვს. მაგრამ მე ჩემს დასკვნებს რამდენიმედ სხვანაირად ვაყალიბებ.

1) უმუშევრობის საკითხი ჯერჯერობით ჩვენს წინაშე სდგას მთელი თავისი შინაარსით და მისი გადაწყვეტა მოითხოვს ჩვენგან სერიოზულ და გულდასმით ყურადღებას.

2) უმუშევართა რიგები, მიუხედავად მიღებული ზომებისა, არ მცირდება, არამედ იზრდება. შრომის ბირჟის აღრიცხვაზე მყოფი უმუშევრობის დროგამოშვებით წმენდა და არა პროლეტარული და უსტაჟო უმუშევრების აღრიცხვიდან მოხსნა, ბოლოს და ბოლოს მიზანს ვერ აღწევს, ვინაიდან ამ გზით არ შეიძლება უმუშევრობის მოსპობა. მარტო მრეწველობის საგრძნობ ზრდას, ესე იგი წარმოების და სასოფლო მეურნეობის გაფართოებას შეუძლია შეამციროს და შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ სრულიად მოსპოს უმუშევრობა, მაგრამ შეუძლებელია ამის ლოდინი. საბჭოთა ხელისუფლება უმუშევრობის წინააღმდეგ ღონისძიებს ყოველგვარ ზომებს. უმთავრესად, იმ მიზნით, რომ შეამსუბუქოს უმუშევართა მდგომარეობა და უმუშევრობის სიმწვავეე.

ეს ზომები შემდეგია: 1) დახმარების მიცემა სოციალური დაზღვევის სალაროდან, 2) საზოგადო საქმიანობების მოწყობა, 3) უმუშევართა არტელების და კოლექტივების მოწყობა და 4) საწარმოო და საავჭრო დაწესებულებების შექმნა, თანაბრად ცენტრის უკანასკნელ დარიგებისა.

3) გასაგებია, რომ ამ ღონისძიებებით ერთბაშად შეუძლებელია ყველა უმუშევრების დაკმაყოფილება, ხოლო თანდათანობით, ყველა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად სისტემატიური მუშაობით შეიძლება სულ უფრო მეტი უმუშევრების ჩაბმა საქმეში. მაგრამ უმუშევრობის სრული მოსპობა შეუძლია მარტო მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ძლიერ ამაღლებას, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი.

4) როგორც ზევით იყო თქმული, უკანასკნელ დროს, უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში საბჭოთა ხელისუფლება ყურადღებას აქცევს ყოველგვარ საწარმოო და საავჭრო დაწესებულებების შექმნას, რა თქმა უნდა, ყველა პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციებთან სრული თანხმობით. ასეთი მწარმოებელი დაწესებულებები უნდა შეიქმნან როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების სახით.

5) უმუშევართა დახმარების მოწყობის საკითხებში ადგილება ეთმობა დიდი დამოუკიდებლობა: მათ არ თხოვენ არავითარ შაბლონებს; მათ შეუძლია და ვალდებული არიან თავის ნებაზე გამოიყენონ ყველა ის ღონისძიებები, რომლებსაც ბინართავენ ცენტრში, თავის მხრითაც ბიიღონ ცალკე ზომები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კანონებს, მაგრამ ის, რაც მათ მოეთხოვებათ ეს არის-ბუდმივი ზრუნვა იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტ უმუშევრებს მიეცეს დახმარება.

6) ამიერ-კავკასია ამ საქმეში ჩამორჩა საბჭოთა სხვა რესპუბლიკებს: უმუშევართა დახმარების მოწყობის საქმე, შეიძლება ითქვას, აქ ჯერ-ჯერობით ერთ ადგილასაა გაყინული; იგი, როგორც ამბობენ, უნდა დავსძრათ მკვდარი წერტილიდან.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის და პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ორგანოებმა ახლობელ თვეებში უნდა გასწიონ ფართო კამპანია უმუშევართა დახმარების გარშემო, გამოიყენონ ამისთვის კანონით გათვალისწინებული უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალებები და დაიხმარონ ამ საქმეში ყველა დაწესებულებები და ორგანიზაციები.

7) ამასთან ერთად უნდა დაიწყოს უმუშევრობის საქმის შესწავლა, იმ ნამდვილი მიზეზების გამოძებნა, რომლებიც იწვევენ უმუშევრობას ცალ-ცალკე —ბაბაკაცებს, დედაკაცებს და მოზარდებს შორის; ავრეთვე უნდა გამოირკვეს უმუშევართა თვისებითი შემადგენლობა, პროფესიის და ბელობის მიხედვით და სოფლის უმუშევართა მიზეზეების გავლენა უმუშევრობის ზრდაზე ამიერ-კავკასიის ქალაქებში. ასეთი შესწავლა საგრძნობ დახმარებას გაგეიწევს უმუშევრობასთან ბრძოლაში.

გაზეთი „მუშა"
1925 წლის 3, 5, 7, 8, 14, 17, 18, 20, 21,
27 და 28 დეკემბერი და 1 მარტი,
№№ 27, 29, 31, 32, 37, 39, 40, 42, 43,
47, 48 და 49.

სატყეო მეურნეობის შესახებ.

ამ ზაფხულად[+6]) მე მომიხდა ყოფნა ბორის მაზრის ბორჯომის რაიონში, ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ზოგიერთ სოფლებში. ბევრი ისეთი რამ გავიგონე და დავინახე, რაც ჩემთვის სრულიად ახალია, მაგრამ ის, რაც მე გავიგონე და დავინახე, მხოლოდ წვეთია ზღვაში. განა შეიძლება ერთი თვალის გადაავლებით დაინახო და შეამჩნიო რაც სოფლად ხდება? რა თქმა უნდა, რომ არა. სამწუხაროდ, დრო და გარემოება ნებას არ მაძლევს გავაცნო მკითხველებს ყოველივე ის, რაც მე ჩემი მოკლე მოგზაურობის დროს ვნახე. შეიძლება ეს სხვა დროს შევასრულო. ამ წერილში მე მსურს მხოლოდ ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხს შეეხო. მე ვამბობ ტყის საკითხის შესახებ.

არ ყოფილა არც ერთი სოფელი, რომელიც მე ვინახულე, სადაც ტყის საკითხი მწვავედ არ იდგეს და სადაც გლეხებთან ლაპარაკის დროს ის ჩვენი მსჯელობის მთავარი საგანი არ ყოფილიყოს და ეს სრულებით შემთხვევით არ ყოფილა. უნდა ითქვას, რომ ყველა იმ რაიონებში, რომლებიც მე ამ ხელად ვინახულე, ტყის საკითხი მეტად მწვავედ დგას. როგორც ვიცით, ახალქალაქის მაზრა სრულიად მოკლებულია ტყეს, და თუმცა მოსახლეობა რამდენიმეთ შესჩვევია ამ ნაკლს, მაგრამ იგი ამ მხრით მაინც გამოუთქმელ გაჭირვებას განიცდის. ხალხი ჩამძერალა მიწაში და იე პირეტყეთან ერთად სცხოვრობს. მას არ აქვს ტყე საშენებლად და არც გასათბობად. ყოველივე ეს უნდა მიტანილი იქნას იქ ან ახალციხის მაზრიდან, ან ბორჯომის რაიონიდან. ორივე ეს რაიონი საკმარისად დაშორებულია ახალქალაქის მაზრის სოფლებს და მასთან გზებიც მეტად უვარგისი აქვთ, ან სრულებით არ აქვთ. ასში შეიძლება ხუთმა-ათმა მოსახლემ შესძლოს ასე შორი მანძილიდან ხე-ტყის შეძენა და შინ მიტანა. გლეხკაცობის დიდ უმრავლესობას ეს არ შეუძლია. მუშაობა და გლეხობა მთავრობამ უნდა რამე იღონოს და გაუწიოს ახალქალაქის გლეხობას ამ მხრით დახმარება. უამისოდ ამაოა ლაპარაკი ახალქალაქის მაზრაში რაიმე გაუმჯობესების შეტანაზე. ახალქალაქის გასაჭირი ხე-ტყის უქონლობით რთულდება კიდევ იმ გარემოებით, რომ თვით ახალციხის მაზრაში და ბორჯომის რაიონში ამ უკანასკნელ დროს მეტად მწვავედება ტ ყ ი ს კ რ ი ზ ი ს ი.

საქმე ისაა, რომ თუ ახალქალაქის მაზრაში ტყე მოისპო დაახლოვებით ამ ერთი საუკუნის წინეთ, ასეთივე ბედი მოვლის როგორც ახალციხის და ბორჯომის, ისე სხვა მაზრების ტყესაც ჩვენში. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ტყის მოსპობის პროცესი დასახელებულ რაიონებში საკმარისად ჩქარი ნაბიჯით წასულა წინ. ავიღოთ, მაგალითად, ბორჯომის რაიო-

ნი, ეგრედ წოდებული ბორჯომის მამული. ამ ორმოცდაათი წლის წინეთ ამ რაიონში ითვლებოდა 70.000 დესეტინა ტყე, ახლა კი აქედან მხოლოდ 40.000 დარჩენილა, ისიც მეტად დაზიანებული. რა მდგომარეობაშია ახალციხის ტყეები? იქ სამი მთავარი სატყეო აგარაკია: აწყურის, ქობლიანის და აბასთუმანის. ამ აგარაკების შესახებ ახლა ხელთ არ მაქვს სტატისტიკური ცნობები, მაგრამ გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ტყის არე ამ აგარაკებში თუ მეტი არა, განახევრდა მაინც. აქ მოქმედებდა კაცის ხელი, საქონელი და ხანძარი. მე ვიყავი ამ რაიონებში სწორედ ამ სამი წლის წინეთ და უნდა ვთქვა, რომ ტყის განადგურება არა თუ არ შეჩერებულა, არამედ კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. ითოდენა მოჭრილი ხე, რასაც დღეს თქვენ ხედავთ ამ რაიონებში, თუ წყლის პირად, თუ ხეობაში, თუ შეკრულ ტივებათ, ჯერ არავის ახსოვს.

ახლა არ იკითხავთ, ვინ ამზადებს და რისთვის ამზადებენ ამოდენა ხეტყეს? ამზადებენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები ერთი მხრით და სამაზრო აღმასკომები მეორე მხრით. და ამზადებენ უმეტეს ნაწილად ქალაქების საჭიროებისათვის, დამზადებლად გამოდიან თითქმის ყველგან ძველი „პოდრიადჩიკები", რომლებიც წინადაც და ახლაც ტყავს აძრობენ იმათ, ვინც ამუშავებს, ვინც ჭრის ხე-ტყეს, ვისაც გამოაქვს ის ტყიდან და ეზიდება თავისი ხარ-კამეჩით ან ტივით. არა ჰყავს ტყეს იმაზე უფრო უარესი მტერი, როგორც არიან ეს „პოდრიადჩიკები". ისინი მართლაც სრულიად დაუზოგველად და უწყალოდ ჩეხავენ და ანადგურებენ ტყეს. ამის შეძლებას აძლევენ მათ სხვადასხვა ორგანიზაციები, როგორც სამხედრო უწყება, რკინის გზა და ამ ბოლო დროს სატყეო ტრესტი. ამ ვაჭბატონებს ყოველთვის ხელში უჭირავთ ვებროელა მახდატები, რომლებითაც იმათ ენიჭებათ ყოველგვარი უფლება ტყეზე. და აბა ვინმემ გაბედოს და მათ წინააღმდეგობა გაუწიოს. ეს სისტემა უნდა მოისპოს. წინეთ გლეხებს ბაჟის გადახდით შეეძლოთ ტყის დამზადება და მისი გაყიდვა ბაზარზე, ახლა ამათ ეს უფლება აღარ აქვთ. და ამ ჯარიმოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის დაცვის საქმეში. ამ გვარად ტყის მოჭრის უფლება შეზღუდულია, შეზღუდულია გლეხებისათვის. დამზადების უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებს, ამ უკანასკნელ დროს—სატყეო ტრესტს. ამ გარეშოებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ აქ არსდება მონოპოლია. გლეხებს ეუბნებიან: თქვენ მოსჭერით და გამოიტანეთ ხე, რომელიც უთუოდ ჩვენ უნდა ჩაგვაბაროთ ამა და ამ ფასებში. ეს ფასები კი გლეხებისათვის მეტად მცირეა, მაგრამ ისინი იძულებული არიან მაინც იმუშაონ, რადგანაც ახალციხის და ნამეტურ, ბორჯომის რაიონებში, გლეხების შემოსავლის უმთავრესი წყარო ტყის დამუშავება იყო და არის დღესაც. და აი, ამას სჩივიან დღეს გლეხები ყველა სოფლებში, ჩვენ მოგვესპო და გვეცლება ხელიდან შემოსავლის ერთი მთავარი წყაროო. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ჩვენ ბევრ ადგილას ვითათბირეთ ამის შესახებ, ბევრი ვიმსჯელეთ იმაზე, თუ რა ღონისძიება უნდა იქნას გამონახული, რათა ეს უარყოფითი მხარე თავიდან ავიცილოთ; და ბევრი ფიქრის შემდეგ ჩვენ მივედით იმ დასკვნამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე, რომ ხელფასი ხის დამზადებელთ აუცილებლად უნდა გაუდიდდეს. ეს ერთად-ერთი გამოსავალია. ამით გლეხები დაკმაყოფილდებიან.

მაგრამ აქ არის კიდევ სხვა მხარე. ჩვენ წინაშე სდგას დღეს ასეთი საკითხი: დასაშვებია თუ არა ბორჯომის და ახალციხის, აბასთუმანის და ქობლიანის რაიონების ტყის დამუშავება კომერციული მიზნით? ამ საკითხის გადაჭრის დროს ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ორი გარემოება: 1) ბორჯომის და ახალციხის ტყეებს აქვთ განსაკუთრებითი დაცვითი მნიშვნელობა. ასე რომ, თუ ეს ტყეები გაიჩეხა ან შეთხელდა, ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გამოვესალმოთ პირველხარისხოვან კურორტებს, როგორიც არის ბორჯომი—ბაკურიანის ჯგუფი ერთის მხრით და აბასთუმანი მეორე მხრით, 2) უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ახალქალაქის გლეხკაცობის მოთხოვნილება ხე-ტყის მასალაში ჩვენ მოგვიხდება დავაკმაყოფილოთ უმეტეს ნაწილად დასახელებულ რაიონის ტყეებიდან. გარდა ამისა ბორჯომის რაიონის და ახალციხის მაზრის გლეხკაცობის ოჯახურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხე-ტყის მხრივ ადგილობრივ ტყეებიდან უნდა მოხდეს. თუ ყველა ამ გარემოებას მივიღებთ მხედველობაში, ჩვენ უთუოდ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ხსენებულ რაიონებში ხე-ტყის გატანა სხვადასხვა უწყებებისათვის და სამრეწველო მიზნით აუცილებლად აკრძალული უნდა იქნას ან დაყვანილი მინიმუმამდე მაინც.

მერე ჩვენ რას ვხედავთ სინამდვილეში? იმას, რომ ამ დამუშავებას აძლიერებენ რაც ძალი და ღონე აქვთ. ვინ, ან რომელი ორგანიზაცია არ ვინდათ, რომ აქ ხე-ტყეს არ ამზადებდეს კომერციული მიზნით. ახლა კიდევ სატყეო ტრესტის ახალი გეგმით მარტო ბორჯომის რაიონში ერთი წლის განმავლობაში კომერციული მიზნით უნდა დამზადდეს მილიონ კუბიკურ ფუტზე მეტი ხე-ტყე, ე. ი. გაცილებით მეტი იმაზე, რაც აქამდის მზადდებოდა. ალბად ასევე ფიქრობენ აბასთუმანის რაიონშიაც. ჯოჯოხეთში ძახილია და გაგება არაო—ამბობს ანდაზა. სწორედ ეს ანდაზა ზედგამოჭრილია ამ შემთხვევაში. ვიძახით ამ ტყეების უაღრეს მნიშვნელობაზე, განსაკუთრებითი კანონებს ვსცემთ იმათ შესახებ, მაგრამ ყველა ამას არავინ დაგიდევს. სატყეო ტრესტი და სხვა დამამზადებელი ორგანიზაციები ალბად ფიქრობენ, ტყე იმიტომაა გაჩენილი, რომ ის რაც შეიძლება ჩქარა გავჩეხოთ და მოვსპოთო. ისინი თითქო სწუხან იმაზე, რომ ტყე გაუჩეხავი რჩებათ. ზრუნავენ ისინი იმისათვის, რომ ტყეები დაცული იქნან? არა. რაც შეეხება ტყის მოშენებას, ეს იმათ ოცნებაში თუ არსებობს მხოლოდ, თორემ სინამდვილეში ამისთვის არავინ ფიქრობს. ტყის გაჩეხვა წარმოადგენს ისეთ სიმდიდრის გაფლანგვას, რომლის აღდგენა შეუძლებელი იქნება ან მეტად საძნელო. ადვილი გასაგებია, როცა გლეხი მიწის უქონლობის გამო ტყეს ჩეხავს და ახოს აკეთებს, რადგანაც იგი ამაში ხედავს ერთნაირ ვამოსავალს, მაგრამ ამ უკანასკნელ დროის გამოცდილებამ და პრაქტიკამ ჩვენი გლეხკაცობაც დაარწმუნა იმაში, რომ ტყის გაჩეხით იგი არა თუ იძენს, არამედ ზარალობს ორნაირად: 1. ისპობა ტყე, 2. გაჩეხილი ალაგი ორი-სამი წლის შემდეგ სრულიად უვარგისი ხდება. გლეხებმა თვითონ მიამბეს ამ ამის შესახებ. ამიტომ გლეხები დღეს თვითონ აყენებენ ტყის დაცვის საკითხს და ფიქრობენ ტყის გაშენებაზედაც. მათ ესაჭიროება ამ მხრით დამრიგებლები და ხელმძღვანელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, ასე ვერ იქცევიან ისინი, ვისაც ეს უფრო მოეთბოვება. ამას წინეთ გაზეთ „კომუნისტ"-ში № 191, 22 აგვისტოდან მოთავსებული იყო საუბარი სატყეო ტრესტის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, ბრეგვაძესთან. ეს საუბარი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანზე, რომ სატყეო ტრესტს მიზნათ დასახული აქვს მხოლოდ ტყის გაჩეხვა. მოკ. ბრეგვაძის ნათქვამიდან გამოდის, რომ თითქო იგი ბრუნავს მხოლოდ ტყეების რაც შეიძლება დაჩქარებით გაჩეხვაზე; გამოდის, რომ იგი თითქო სწუხს, რომ კიდევ დარჩენილა გასაჩეხავი ტყე. რა თქმა უნდა, როცა სატყეო ტრესტის აგენტები ასე „ბრუნავენ" ტყესათვის, იქ სატყეო მეურნეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მე ვიცი, რომ სატყეო ტრესტს კარგი განზრახვები აქვს, ის შეიძლება კიდევაც ფიქრობდეს სატყეო მეურნეობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებაა, მაგრამ მარტო კარგი განზრახვები საქმეს ვერ უშველიან. როგორც სჩანს, ტყეებისათვის ჩვენ დღემდის ვერ გეიშოვნია ნამდვილი მომვლელი, პატრონი. ყველანი მას შესაჭმელად უყურებენ. ჯერ იყო და ტყეების სვე-ბედი მიწათმოქმედების კომისარიატის ხელში იყო, შემდეგ ტყეების ერთი ნაწილი გამოყოფილი იქნა და ჯანმრთელობის კომისარიატს გადაეცა. უკანასკნელად კი ტყეა ახალი პატრონი გამოჩნდა—სატყეო ტრესტის სახით. დღეს თითქო შრომა განაწილებულია ამ სამ დაწესებულებას შორის: მიწადმოქმედების კომისარიატი თითქო იცავს ტყეს, სატყეო ტრესტი კი ამ დაცულ ტყეს სჩრის. ყოველივე ეს თითქო კარგადაა განწყობილი: მაგრამ სატყეო მეურნეობას ჩვენ აქ ვერ ეხედავთ, და როგორც იტყვიან, შვიდ გამდელის მიერ მოვლილ ბავშს მუდამ ცხვირპირი დამტვრეული აქვსო, ასეა ამ შემთხვევაშიაც.

არსებობს აუარებელი ფაქტები, რომ ტყის საქმე მეტად ცუდათ არის დღეს ჩვენში დაყენებული და ეს გარემოება სათანადო გამოძახილს ვერსად მოულობს. აი რას სწერს სვეთა შორის პირადათ მე ერთი ამხანაგი ხაშურის გაღმა მდებარე ყოფილ ციციშვილების კეებერიოელა ტყეების შესახებ: „ეს ტყე სრულებით გაანადგურეს... ესახლებიან გლეხები, ჩეხენ ტყეს და აკეთებენ ახოებს ისეთ ადგილას, რაც ორი წლის შემდეგ აღარ გამოადგებათ, რადგან ღვარი წარეცხავს... ტყის მცველები მართალია ხანდისხან ადგენენ ოქმებს, სასამართლოც თავის მხრივ ადებს ასეულს დამნაშავეთ, მაგრამ შემდეგ ასეთებს ანთავისუფლებენ და შემდეგ ისევე დაუსჯელად გრძელდება ამ ტყის განადგურება". ბოლოს ავტორი დასძენს: „თუ დაუყოვნებლივ არ იქნა რაიმე ზომები მიღებული ამ ტყეა გაზეხვის შესაჩერებლად, ჩვენ მოგველია მისი სრულიად მოსპობა და მდინარე მტკვრის ახლო-მახლო სოფლების და თვით თბილისის წალეკვაც"

ამგვარივე უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს ტყეები საქართველოს სხვა ადგილებშიაც. აი რას სწერს სხვათა შორის მეორე „კორესპონდენტი სამხრეთ-ოსეთში მდებარე ტყეებზე: „ტყის გამგეს ან მცველს აქ გავლილს თქვენ ვერ იპოვით... გლეხები აკეთებენ ახოებს, სდგამენ ჩუმად სახლებს და სჩეხავენ ახალგაზრდა ტყეს" ასეთივე სურათს ვხედავთ კახეთშიაც, იმერეთშიაც, გურიაში, სამეგრელოში. ტყე იჩეხება რკინის გზის მახლობლად, მთა-გორიან ადგილებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც დაბლობში ტყე უკვე თითქმის სრულებით მოსპობილათ უნდა ჩაითვალოს.

მეტი ფაქტების დასახელება ზედმეტად მიმაჩნია. ვიცი ,ზოგიერთები თავს შეურაცყოფილად ჩასთვლიან ზევით ნათქვამით. ისინი იტყვიან: ჩვენ სრულებით არ ეახადგურებთ ტყეს, ჩვენ ვჭრით ტყეს ოანახმად სატყეო უწყების ჩვენებისა და განკარგულებისა; და თუ სატყეო უწყება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახით უკანონოდ იქცევა, ეს ჩვენი საქმე არაა. და როცა თქვენ ამ უკანასკნელის წარმომადგენლებს შეეკითხებით, ისინი გიპასუხებენ: ჩვენ რა ვქნათ? ჩვენ გვიბრძანებენ ამდენი და ამდენი ხე დაგვინომრე მოსაჭრელად და ჩვენც ვასრულებთ ამ ბრძანებებსო. მართალია, ჩვენ ვბედავთ, რომ ამით ტყეს ეახადგურებთ, მაგრამ ჩვენ ბმა არ გვაქვს. გარდა ამისა, ერთი დანომრილი ხის მაგიერ რამდენიმე ხე იჭრება. ჩვენ ყველა ამის წინააღმდეგ უძლური ვართ რაიმე ზომები მივიღოთო. ერთი სიტყვით, ყველა თავს იმართლებს, რომ იგი არაფერ შუაშია. მაგრამ ეს სულ ტყუილია. ერთიც და მეორეც დაინტერესებულია მოგებაში; ან ერთსაც, ან მეორესაც სურს ვისმეს ასიამოვნოს, და ტყე კი ნადგურდება.. ასე ისპობა სახალხო სიმდიდრე.

აშკარაა, დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული საგანგებო, განსაკუთრებული ზომები ტყის დასაცავად. ყველა ჩვენმა პასუხისმგებელ პირებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ საქართველოს ტყეებს უფრო ფრთხილად და სათუთად უნდა მიეკარობა. საქართველო მთელ ჩვენ საბჭოთა კავშირში მეტად იშვიათი კუთხეა, რომ ის სულ. მთლად თითქმის კურორტს წარმოადგენს და აშკარაა, რომ ის. მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ა დ გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი უ ნ დ ა ი ქ ნ ა ს ამ მიზნისათვის.

მაგრამ თუ ჩვენ ტყეები გავანადგურეთ, საქართველო დაკარგავს ამ მნიშვნელობას; და ეს დიდი დანაკლისი იქნება საბჭოთა კავშირისათვის, რადგანაც მეორე ასეთი კუთხე აქ თითქმის არ მოიპოვება. ამიტომ საქართველოს ტყეებია დაცვაში დაინტერესებულია ბოლოს და ბოლოს მთელი ჩვენი კავშირი და საკავშირო მთავრობა.

მე საჭიროდ მიმაჩნია დავასახელო აქვე ზოგიერთი ზომები საქართველოს ტყეებია დაცვის მიზნით, მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია მიუთითო აქ კიდევ ერთ გარემოებაზე. თუ სამრეწველო მიზნებისათვის და ქალაქების საჭიროებისათვის შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება საქართველოში ხე-ტყის მასალის შემოტანა მაგ., რუსეთიდან, ადგილობრივ გლეხაცობის ოჯახურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უმეტეს ნაწილად უნდა მოხდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან. ეს გარემოება უთუოდ მიღებული უნდა იქნას მხედველობაში. ახლა გადავიდეთ იმ ღონისძიებათა დასახელებაზე, რომელზედაც მე ზევით ვამბობდი.

1. რაც შეიძლება დაჩქარებით გამოკვლეული და შესწავლილი უნდა იქნას ტყეების არე ტყის ჯიშების კვალიფიკაციით.

2. უნდა შეიზღუდოს ტყის ექსპლოატაცია კომერციული მიზნით. ზოგ ადგილას კი, როგორც, მაგ., ბორჯომის და აბასთუმანის რაიონში, სრულებით უნდა იქნას აკრძალული კომერციული მიზნით ტყის ექსპლოატაცია დროებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც, ან ყოველ ზემთხვევაში, ის დაყვანილ უნდა იქნეს მინიმუმამდე. ამ რაიონებში ტყის სარგებლობის უფლება უნდა ეძლეოდეს მხოლოდ ადგილობრივ გლეხობას თავის ოჯახურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. რადგანაც აქამდის ხე-ტყის დამზადება ხდებოდა უმეტეს ნაწილად რკინის გზის რაიონებში ან ისეთ რაიონებში, რომლებიც რკინის გზებთან ახლო მდებარეობენ, აქიერიდან ბაინც ხე-ტყის დამზადება გადატანილ უნდა იქნას უფრო დაშორებულ რაიონებში.

4. გამოცდილება და პრაქტიკა გვეუბნება, რომ საშენებელი ხის დამზადება ჩვენში, შპალებს და შეშას რომ თავი დავანებოთ, გაცილებით უფრო ძვირად ჯდება, ვინემ რუსეთიდან მოტანილი ხე-ტყის მასალა. აშკარაა, ეს გარემოება უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, როცა ჩვენი ტყის ექსპლოატაციაზე ვლაპარაკობთ. განსაკუთრებით აძას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება საგვემო კომისიის მხრით. სამაგიეროდ ჩვენში მოიპოვება სხვადასხვა ჯიშის ტყე, რომელიც მაგ. რუსეთში არაა და რომელსაც დიდი გასავალი აქვს უცხოეთში. ამიტომ ასეთი ჯიშის ხე-ტყის დამზადებას (წიფელა, მუხა, ურთხელი, კაკლის ხე, ბზა და სხვა) უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

5. მიეხედავათ იმისა, რომ ჩვენში თითქმის ყოველგან მოიპოვება ქვა, რომელიც ყოველთვის გამოდგება საშენებელ მასალად, მას მეტად იშვიათად ხმარობენ, ნამეტურ სოფლად; ყოველგან ცდილობენ ხის შენობის აგებას. ეს აიხსნება იმით, რომ წინეთ ჩვენში ხე-ტყე თავზე საყრელად იყო, და მეორეც, ხის შენობის აგება უფრო იოლი საქმეა. მართალია, ზოგ ადგილას როგორც, მაგალითად: ქვემო იმერეთი, სამეგრელო, გურია, ქვის ან აგურის შენობა სველი ჰაერის გამო, ჯანმრთელობის მხრით მიზანშეუწონელია, მაგრამ არა თუ საქართველოს დანარჩენ ნაწილებში, არამედ ნაჩვენებ ადგილებშიაც ბევრგან ქვის შენობების აგება უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება. მე ვფიქრობ, რომ დაწვრილებით ამის შესახებ აქ არაა საჭირო ყილაპარაკოთ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ქვის სახლებზე გადასვლა აუცილებელია და რაც ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესია. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ტყე ისპობა, ხე გაძვირდა, და იმავე დროს მშვენიერი სეშენებელი მასალა, როგორიც არის ქვა, გამოუყენებელი რჩება. ამით საგრძნობლად შემცირდება ტყის გაჩეხვა და განადგურება.

6. სათბობ მასალათ ჩვენში თუ განსაკუთრებით არა, უმეტეს ნაწილად მაინც შეშას ამარობენ, და ეს არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც. ამ მიზნით ყოველ წლივ აუარება ტყე იჩეხება, მასთან რაც დრო გადის, ეს ჩეხვა სულ უფრო და უფრო მატულობს. ეს დიდი უბედურებაა. მაგრამ ვეკითხებით თავის თავს: არის თუ არა ისეთი საშუალება, რომელიც თავიდან აგვაშორებს ამ უბედურებას, სულ თუ არა, ნაწილობრივ მაინც. სამწუხაროდ, დღემდის თითქმის არავის უფიქრია ამის შესახებ, მაგრამ ასეთი საშუალება ჩვენ გვაქვს ტყიბულის ქვანახშირის სახით. მაშინ, როდესაც ჩვენ ასეთი სათბობი მასალა საკმაოდ მოგვეპოვება, ჩვენ მამა-პაპურად განვაგრძობთ შეშის წვას: და ოდნავათ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ძველი დრო, როცა აუარება ტყე მოგვეპოვებოდა, სამუდამოდ წავიდა და ახლა აღარ შეგვიძლია ცხოვრების ძველებურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება. ამიტომ საჭიროა ახლავე შეუდგეთ შესაფერ ხრეების მიღებას— შეშის ხმარების თანდათანობით შეზღუდვას და მის ნაცვლად ქვა-ნახშირის ხმარების შემოღებას, სოფლად თუ არა ქალაქად მაინც, აუცილებლად. მე ვფიქრობ, რომ არა მარტო ქალაქებში შეიძლება ქვანახშირის ხმარების შემოღება როგორც საბობი მასალის, არამედ იმ სოფლებშიაც, სადაც ტყე არ მოიპოვება. საჭირო იქნება მხოლოდ ქვა-ნახშირის გადატანის და შესაფერი ფეჩების გაკეთების საკითხის მოგვარება. რას ვხედავთ, მაგ. ჯავახეთში, ახალქალაქის მაზრაში? იქ გასათბობად ხმარობენ საქონლის განავალს (წივა), რაც ყოველ-მხრივ მავნებელია და როგორც საბობი მასალა, სრულებით უვარგისი. ყველა ამ საკითხების გამოკვლევა უნდა იკისროს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ.

7. ტყის გამანადგურებელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ყავრის ხდა. ცნობილია, რომ საყავრე ხე იშვიათად მოიპოვება, ამიტომ ერთი საყავრე ხე რომ იპოვო, საჭიროა ათი ხე მაინც გააფუჭოთ. უკანასკნელ ხანებში საყავრე ხეების შოვნა მეტად გაძნელდა, თითქმის შეუძლებელი გახდა. მაგრამ ყავრის ადგილი ადვილად შეუძლია დაიჭიროს კრამიტმა, რკინამ. ყველაზე უფრო იაფი და ხელმისაწვდომი არის, რა თქმა უნდა, კრამიტი. მისი წარმოების მოწყობა შეიძლება ყველგან, ყველა თემში, ის ბევრად უფრო გამძლე და მკვიდრია, ვინემ ყავარი. გლეხობა ძველი დროიდან დაეჩვია ყავრის ხდას და ხმარებას, როცა ტყე მოიპოვებოდა თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მაგრამ ამ ჩვეულებას ახლა თავი უნდა დავანებოთ. ყავრის ალაგი უნდა დაიჭიროს სხვა მასალიდან გაკეთებულმა სახურავმა. ეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. სათემო და სამაზრო აღმასკომებმა უნდა თავის თავზე იკისრონ ამ საქმის ხელმძღვანელობა, ე. ი. კრამიტის ქარხნების მოწყობა. მე ვიცი, რომ ზოგიერთ ადგილას გლეხკაცობამ უკვე თვითონ შეიგნო ამის საჭიროება და ყავრის მაგიერ კრამიტით ხურავს თავის შენობებს. უმეტეს ნაწილად გლეხკაცობას მაინც შეუძლებლად მიაჩნია ყავრიდან კრამიტზე გადასვლა. მაგრამ ეს გადასვლა აუცილებლივ უნდა მოხდეს და რაც ჩქარა მოხდება, მით უკეთესია. ხელისუფლებას უნდა დახმარება გაუწიოს ამ საქმეში მუშათა კავშირებმა და კოოპერატიულმა ამხანაგობებმა.

8. საჭიროა ერთხელ კიდეე მიუთითოთ აქ ტყის ერთ დიდ მტერზე. ესაა საქონელი. საძოვრების ნაკლებობის გამო საქონელს ხშირათ ტყეში აძოვებენ. საქონელი აფუჭებს განსაკუთრებით ახალგაზრდა ტყეს, ეს დიდი პოროტებაა და ამის წინააღმდეგ უნდა მივიღოთ ზომები. საჭიროა, რომ თვითონ გლეხობა დავარწმუნოთ იმაში, თუ რამდენათ მავნებელია, როცა იქ საქონელი ძოვს. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. რჩევა-დარიგების გარდა აქ საჭიროა კიდეე სხვაგვარი ზომები, რომ ტყე დავიხსნათ საქონლისაგან.

9. უკანასკნელად უნდა მიეცეს დიდი ყურადღება ეგრედწოდებულ „პოდრიადჩიკების" გამოყენებას ტყის დამუშავების საქმეში. ხშირათ ამ „პოდრიადჩიკებს" „სპეცების" სახელწოდებით აჯილდოვებენ. ეს უდიდესი შეცდომაა და თვით „სპეცობის" შეურაცყოფა. თუ „სპეცობის" რაიმე აკლია ამ ვაგბატონებს, ეს მხოლოდ მდგომარეობს იმაში, რომ იმათ საუცხოოდ ეხერხებათ მუშების ძარცვა და დატყუილება. ერთი სიტყვით, აუცილებლად საჭიროა, რომ ეს ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქნილი და გაიძვერა „პოდრიადჩიკები“ რაც შეიძლება ჩქარა მოეიშოროთ თავიდან.

ესაა მთავარი ზომები ჩვენი ტყეების დასაცავად. მე არაფერი ვსთქვი აქ ჩვენი ტყეების დანაწილება-დაქუცმაცებაზე სხვადასხვა დაწესებულებებს შორის. უთუოდ ეს გარემოებაც საკმარისად დიდ როლს თამაშობს ჩვენი სატყეო მეურნეობის მოუწესრიგებლობაში. მაგრამ ამახე საჭიროა ცალკე მოვილაპარაკოთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ პირდაპირ დაუშვებელია, როცა ტყის და საძოვრის საკითხს არჩევს ჯანმრთელობის კომისარიატი, რომელსაც თავისი განსაკუთრებული ამოცანები და მიზნები აქვს.

ჩვენ არაფერი გვითქვამს ოგრეთვე ახალი ტყეების გაშენების შესახებ. ამაზე საჭიროა უფრო დაწვრილებით მოლაპარაკება ცალკე წერილში. აქ წამოყენებულ დებულებებზე ალბად ბევრი არ დაგვეთანხმება. შესაძლებელია ზოგიერთებს ჩვენ მიერ დასახელებული ღონისძიებები განუხორციელებელი მოეჩვენოს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ზემდეგ ხელი დაიბანონ და სთქვან, რომ ამის განხორციელება შეუძლებელი იყო. მაგრამ ასეთებს მე ვეტყვი, რომ იმათ გული არ შესტკივათ ამ საქმისათვის, თორემ განუხორციელებელი აქ სრულებით არაფერია. ჩვენ სხვაგვარ საყვედურსაც მოველით, სახელდობრ, ეი რას: ზოგიერთებმა შეიძლება ჩვენ დაგვწამონ ის, რომ საქართველოში ვითომც სრულებით უარს ვყოფდეთ ტყის ექსპლოატაციას კომერციული მიზნით. ეს რამდენიმეთ სიმართლეა. გამოცდილებამ და დაკვირვებამ მე იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ტყის გაჩრა ჩვენში საგრძნობლად უნდა შევზღუდოთ და სამაგიეროდ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი მადნეულობის და მადნეული წყლების ექსპლოატაციის და სამკურნალო ადგილების (კურორტების) მაქსიმუმამდე გამოყენებას. ტყე კი უნდა დავზოგოთ. მინერალური წყლების სახით ჩვენ ეკარგავთ ყოველ დღე აუარებელ სიმდიდრეს იმიტომ, რომ ვერ ვიყენებთ, იმიტომ, რომ ჩვენი შესანიშნავი საკურორტო ადგილები მოუწყობელია. ეი საით უნდა იქნეს ჩვენი ყურადღება მიქცეული. მაშინ ტყეც შეგვენახება და სიმდიდრეც აღარ დაგვეკარგება.

ჟურნალი „ეკონომიტი“,
1923 წლის სექტემბერი,
№ 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატყეო მეურნეობა

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა შორის სატყეო მეურნეობას უჭირავს განსაკუთრებულად საყურადღებო ადგილი. ეს ასე იყო წარსულში, ასეა დღესაც და უთუოდ ასე იქნება შემდეგაც. ხე და ხის მასალა, რასაც ფართო მაშტაბით იძლევა მხოლოდ ტყე, ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის თამაშობდა უდიდეს როლს და უსათუოდ ეს მნიშვნელობა მას არც მომავალში მოაკლდება. მართალია, რამდენადაც ვითარდებოდა ტექნიკა და იზრდებოდა საზოგადოების საწარმოო ძალები, იმდენად ადამიანი თანდათან და სულ უფრო და უფრო იყენებდა და იყენებს თავის სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სხვაგვარ მასალასაც, მაგ., ქვას, თიხას, რკინას, სპილენძს, ვერცხლს, ნიკელს და სხვადასხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა დროთა განმავლობაში ხის და ხის მასალის მოთხოვნილება არა თუ არ კლებულობს, არამედ ეს მოთხოვნილება თანდათან და სულ უფრო და უფრო მატულობს და იზრდება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ, რაც დრო გადის, ზევით ჩამოთვლილი ნივთიერებანი მრავალ შემთხვევაში იჭერენ ხის ადგილს. მაგრამ არის უამრავი შემთხვევები, როცა ვერც ქვა, ვერც ლითონი ან სხვა რაიმე ნივთიერება ვერ იჭერს ხის ადგილს. თქვენ წარმოიდგინეთ, მაგ., რომელიმე შენობის ყველა ნაწილი (კედლები, იატაკი, ჭერი, კარები, ფანჯრები და სხვ.), ქვისა და ლითონისაგან გაკეთებული, ან შინაური ავეჯეულობა (მაგიდა, სკამი და სხვ.) აგრეთვე ქვისა ან ლითონისაგან, ეს თითქმის წარმოუდგენელია, და რომც ეს შესაძლებელი იყოს, ამოდენა რკინეულის ან სხვა ლითონის შოვნა შეუძლებელი იქნებოდა.

პრიმიტიული შეხედულება ხეზე, ეს არის მისი გამოყენება უპირველეს ყოველისა—ერთი მხრით, როგორც საწვავი ან სათბობი მასალის (შეშა), და მეორე მხრით, როგორც საშენი მასალისა. ასეთი შეხედულება ხეზე და ტყეზე, შემოუშავდა ჯერ კიდევ ძველად, ე. ი. იმ დროს, როცა ადამიანთა მოსახლეობა დედამიწაზე სულ მცირე იყო და იმავე დროს დედამიწის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყეებით იყო დაფარული. იმ დროს ტყის დაზოგვაზე ანუ მოჭირნეობაზე ფიქრიც კი არაფის მოუვიდოდა თავში. სამწუხაროდ, ასეთი შეხედულება ტყეზე ახლაც საკმარისად გავრცელებულია, განსაკუთრებით კულტურულად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა რიცხვს ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყანაც ეკუთვნის. მაგრამ ჩვენ დროში, როცა ერთი მხრით დედამიწის მოსახლეობა საოცრად გადიდდა (ის აღწევს თითქმის 2.000 მილიონს) და როცა მეორე მხრით ტყეების დიდი ნაწილი ან სრულებით განადგურებული და მოსპობილია ან ძალზე შეთხელებული და მოსპობის გზაზე დამდგარი—ასეთი შეხედულება ყოველივე საფუძველს მოკლებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე იმაშია, რომ ტყეების როლი და მნიშვნელობა სრულებით არ შეიძლება ეფარგლება იმით, რომ ისინი იძლევიან ერთი მხრით საუკეთესო საწვავ ანუ სათბობ მასალას და მეორე მხრით საშენ მასალასაც. შეიძლება ითქვას, რომ ტყეების როლი და მნიშვნელობა პირდაპირ დაუფასებელია ადამიანთა სიცოცხლისათვის საუკეთესო და ჯანსაღი პირობების შესაქმნელად. დამტკიცებულია, რომ ტყეებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჰავისათვის (კლიმატიურ პირობებისათვის), მდინარეების წესრიგისთვის (რეჟიმი), მეტადრე მთაგორიან ადგილებში, წვიმის და თოვლის წყლის, მიწის ნიადაგში, უფრო ხანგრძლივ გასაჩერებლად, ქარის შესანელებლად და სხვადასხვა. ყოველივე ეს შემოწმებულია გამოცდილებით და მეცნიერულად დამტკიცებული. ცნობილია, რომ იქ, სადაც ტყეები მოისპო და განადგურდა, ჰავა შესამჩნევად გამოიცვალა გაუარესების მხრით, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ ჭაობიან ადგილებს. მაგრამ განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ტყეების მოსპობა მდინარეებზე და საერთოდ აღმოსავლურ ნალექების გაჩერებაზე ნიადაგში, მეტადრე, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, მთა-გორიან ადგილებში.

ტყეების მოსპობით ან იმათი განადგურებით აიხსნება შემდეგი მოვლენები: მდინარეებში წყლის საგრძნობლად დაკლება, ხოლო წვიმის და თოვლის დნობის დროს ისინი უეცრად ამოდიან ჩვეულებრივი კალაპოტიდან და დიდ მანძილზე ანადგურებენ ახლო-მახლო მდებარე ადგილებს, რითაც დიდ ზარალს აყენებენ მოსახლეობას. ტყეების გაჩეხის და განადგურების გამო პატარა მდინარეები, რომელთაც დიდი სარგებლობა მოაქვთ მოსახლეობისათვის, სრულიად ზრდებიან და იმათ წარსულს არსებობას გვაგონებენ მხოლოდ ლოდებით გავსებული ხეობები (მაგ. კახეთში); მაგრამ, როგორც უკ მოვა წვიმა, აქ ერთბაშათ მოვარდება ვებერთელა ნიაღვრები, რომელნიც ელვის სისწრაფით ლეკავენ ყველაფერს, რაც კი გზაზე ხვდებათ და შემდეგ ისევ ქრებიან. მოკლედ, რომ ვთქვათ, ტყეების განადგურებას და მოსპობას მოსდევს ქვეყნისა და მოსახლეობისთვის მრავალი უბედურება. ტყე აჯანსაღებს ჰავას, ინახავს წყლებს ნიადაგში, იცავს მდინარეებს, ანელებს ქარებს და სხვ. გარდა ყველა ამისა ტყე ამწვანიერებს მიდამოს. ის მბარე, ის ქვეყანა, რომელიც მოკლებულია ტყეს, და, მაშასადამე, უმეტეს ნაწილად მდინარეებსა და წყაროებსაც, იქ ადამიანი შვებას ვერ პოულობს, იქ მისი თვალი ვერ ხარობს, და საკმარისია ასეთ უდაბნოში სადმე გამოჩნდეს არა თუ ტყე, ერთადერ ბუჩქიც კი, რომ ადამიანმა შვება და ლხენა იგრძნოს. ზევით ნათქვამიდან მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს, როგორც სახალხო მეურნეობისათვის საერთოდ, ისე ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი სულიერი განწყობილებისათვის.

თავისთავად იგულისხმება, რომ ტყის ასეთი მნიშვნელობა ხალხმა შეიგნო და დააფასა უფრო მეტ შემდეგ, რაც ტყეების ფართობი საგრძნობლად შემცირდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ამიტომაც არის, რომ ტყეების მოვლას და იმათ რაციონალურ ექსპლოატაციას ჯანასკნელ ხანს მიქცეული აქვს უდიდესი ყურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა კავშირში საერთოდ დიდძალი ტერიტორიებია ტყით დაფარული. ბევრ ადგილას მოიპოვებიან სრულიად ხელუხლებელი ტყეებიც. ეს გარემოება შესაძლებლად ხდის ტყის ექსპლოატაციის გაძლიერებას და ზრდას საბჭოთა კავშირში, და ეს მით უფრო, რომ ჩვენ დღეს გვესაჭიროება დიდძალი ხე-ტყე, როგორც შინ მოსახმარებლად გაძლიერებული სოციალისტური მშენებლობისათვის, იაე გარეშე ბაზარზე გასატანად. მაგრამ მიუხედავად ამისა აუცილებლად საჭიროა თავიდანვე გავითვალისწინოთ ის, რომ ტყის ექსპლოატაციის საქმეში ადგილი არ დაურჩეს გადამეტებას, რომ ჩვენ არ გადაესცდეთ ტყის რაციონალურ ექსპლოატაციის საზღვრებს. რაც უნდა დიდი იყოს ჩვენში ტყის მარაგი, ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ ეს მარაგი თითქო ულეველია. ეს იქნებოდა უდიდესი შეცდომა, რომ მეტი არა ვთქვათ. საქართველოს ტყეების მიმართ კი ამ ქვეყნის მთიანი რელიეფის გამო, ეს იქნებოდა დანაშაული, რადგანაც ტყეებს აქ უაღრესად დაცვითი ხასიათი აქვთ. ეს ერთი. მეორე ის, რომ ჩვენში ტყეები, როგორც ყველასათვის ცნობილია, ძლიერ დაზიანდენ ახლო წარსულში მომხდარ რევოლიუციების დროს. მისამე გარემოება, რომელიც არასოდეს არ უნდა იქნას დავიწყებული, მდგომარეობს იმაში, რომ ამიერ-კავკასიაში საერთოდ და საქართველოში განსაკუთრებით, ტყეების თითქმის 80%-ს გარდა დაცვითი ხასიათისა, აქვს საკურორტო მნიშვნელობაც. ამიტომ ბევრად უმჯობესია ახლავე მიექცეს ამ გარემოებას სათანადო ყურადღება, სანამ გვიან არაა.

სამწუხაროდ, ორიან ისეთი სპეციალისტები, სხვადასხვა საპასუხისმგებლო კომისიებში რომ სხედან ან გაზეთებში რომ სწერენ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ, მაგ. „საქართველოს ტყეებს ათჯერ და ოცჯერ იმაზე მეტის მოცემა შეუძლია, რასაც ისინი დღეს იძლევიან ტყის დაუზიანებლად და ტყის ფართობის შეუმცირებლად" *). შეგიძლია განვაცხადო აქ მთელი პასუხისმგებლობით, რომ ეს სპეციალისტები სრულებით არ იცნობენ სინამდვილეში საქართველოს ტყეების დღევანდელ მდგომარეობას, და მსჯელობენ მხოლოდ განყენებულად.

სანამ გადავიდოდეთ იმის გამორკვევაზე, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ტყეები საქართველოში, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველების ყურადღება შევაჩერო იმ მიზეზების დასახელებაზე, რომლებიც იწვევენ ტყეების განადგურებას და ნოსპობას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ თუ შეუძლებელია საერთოდ ყველა ამ მიზეზების თავიდან აცილება, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი მათგანის აცილება არა თუ შესაძლებელია, არამედ ეს აუცილებლად საჭიროა.

საბედნიეროდ, ტყეს ახასიათებს ერთი უძვირფასესი თვისება,—ეს არის ის, რომ ტყე ახლდება, როგორც ბუნებრივად, ისე ხელოვნურა-

*) ასე. მაგ. გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს № 277-ში (13 ოქტ.—30 წ.) წერილში „Дозольно ошибок", რომელიც ეხება საერთოდ ამიერ-კავკასიის ტყეებს, ეკითხულობთ შემდეგს: „ტყეებია არსებულ მარაგების გამოყენება უდრის მხოლოდ 20 პროცენტსო". არავითარი დამამტკიცებელი საბუთი ამის ავტორს არ მოუყვანია. პირიქით, შემდეგ სტრიქონებში მის მიერ მოყვანილი ცნობები აბსოლუტურად ეწინააღმდეგებიან ამ დებულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც, თუ ამისათვის სათანადო პირობები დაცული იქნება. რომ ტყე არ ახლდებოდეს ან ერთი ან მეორე გზით, ტყე დედამიწაზე ახლა უთუოდ სრულებით მოსპობილი იქნებოდა. და ეს იმიტომ, რომ ტყეს საერთოდ ბევრი მტერი, ბევრი განმანადგურებელი ყავს. ავიღოთ, მაგ., ნავთი ან ქვანახშირი. ამ ნავთიერებითა ის მარაგი, რაც ბუნებიდან მოცემული გვაქვს, არა თუ არ მატულობს, არამედ სისტემატიურად კლებულობს და რამდენიმე ხნის შემდეგ მთელი მსოფლიოს მარაგი, როგორც ნავთის, ისე ქვანახშირის სავსებით გამოილევა. ასე რომ, ერთ ბედნიერ თუ უბედურ დღეს კაცობრიობა ულაეთოდ და უნახშიროდ დარჩება. ასევე იოქმის სხვადასხვა მადნებზედაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მადნისაგან გამოდნობილი ლითონი სხვადასხვა საბით კიდევ რჩება და როგორც არ უნდა დაიჯანგოს და გაბურდეს, მისი გამოყენება მაინც შესაძლებელია.

აი, ამაში მდგომარეობს მოკლედ ის არსებითი განსხვავება, რომელიც არსებობს ტყესა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის. ტყე, ასე ვთქვათ, იბადება, იზრდება და ბერდება და ამნაირად ის განუწყვეტლივ ახლდება. მაგრამ ეს წარმოადგენს შედარებით საკმარისად ხანგრძლივ პროცესს, რომელიც საუკუნოებით განისაზღვრება. და მასთან ეს განახლება თხოულობს განსაზღვრულ პირობებს, ურომლისოდ ტყის განახლება შეუძლებელია. ამიტომ მოხდა ის, რომ დიდძალი ტერიტორიები, რომლებიც სულ ახლო წარსულში დაფარული იყვნენ მშვენიერი ტყეებით, დღეს სრულებით გატიტვლებული არიან. მაგალითისათვის შორს წასვლა საჭირო არაა. ამიერ-კავკასიის ტერიტორიის მრავალ ადგილებში ტყეები მოისპენ უმეტეს ნაწილად დაახლოვებით უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში. ამიერ-კავკასიის სხვა ნაწილებთან შედარებით ტყეები უფრო დაცულ იქნენ საქართველოში, აზარბაიჯანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში. მაგრამ აქ არიან რაიონები, სადაც ტყეები თითქმის სრულიად განადგურებული და მოსპობილია (ყოფ. ახალქალაქის მაზრა, ნაწილი ახალციხის მაზრის, ყოფ. გორის და თბილისის ოლქების და სხვ.). ტყეების განადგურება ხდებოდა როგორც ბუნებრივი მიზეზებით, ისე ადამიანის მოქმედებითაც.

ტყის განადგურების და მოსპობის ბუნებრივ მიზეზებში პირველი ადგილი უჭირავს ტყის სიბერეს. ტყე ბერდება ისე, როგორც სხვა ორგანიული სხეული. თუ დაბერებული ხე თავის დროზე არ იქნა მოჭრილი და გამოტანილი ტყიდან, ის იქ ლპება. და აფუჭებს უფრო ახალგაზრდა ხეებს და ხელს უშლის იმათ ბუნებრივ ზრდას. ამას ერთვის მეხის დაცემა ხეზე, რომლის შემდეგ ტყეს ხშირად უჩნდება ცეცხლი (ბუნებრივი ხანძარი). იმ პერიოდში, როცა ხანძრის წინააღმდეგ არავითარი ბრძოლა არ სწარმოებდა და არც შეიძლებოდა რომ წარმოებულიყო, ამნაირად გაჩენილი ცეცხლი უდიდეს ზიანს აყენებდა ტყეებს და დიდ ფართობებზე სრულებით ანადგურებდა მათ. მაგრამ შემდეგ პერიოდში, რომელიც უახლოვდება რანდენიმედ ჩვენ დროს, ბუნებრივად წარმომდგარ ხანძარს ემატება ის ხანძარი, რომლის უშუალო მიზეზი არის უკვე თვით ადამიანი, ხან შეუგნებლად, ხან კი შეგნებულადაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველად ადამიანები ცხოვრობდენ უმეტეს ნაწილად ტყიან ადგილებში. და როცა თავის საჭიროებისათვის ისინი აჩაღებდენ ცეცხლს, ეს უკანასკნელი ხშირად ტყის ხანძრად იქცეოდა. შემდეგ ხანებში, და ეს გრძელდება დღემდის, მაგალ., ჩვენშიაც, ადამიანები, მიწის მუშა-გლეხები საყანე მიწის ფართობის გასადიდებლად ან ახალ საყანე მიწის მისაღებად განგებ აჩენენ ტყეში ცეცხლს. ცნობილია, რომ ასეთ ხანძრებს მეტად ხშირად ქონებია და აქვს ადგილი. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ აქ ტყის დიდი ხანძრები ბორჯომის რაიონში (გვირგვინას ტყის გადაწვა), აბასთუმნის აგარაკში და სხვ., რომელთაც ადგილი ჰქონიათ დაახლოებით 70-80 წლის წინად და რომელთა მიზეზი უთუოდ ხელოვნურად ცეცხლის გაჩენა უნდა ყოფილიყო. ასეთ ხანძრებს, როგორც ვამბობდით ზევით, ახლაც აქვს ადგილი, მხოლოდ ახლა ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლა რამდენიმედ მოგვარებულია, და ამიტომ შედარებით ისინი ახლა ნაკლებ ზიანს აყენებენ ტყეებს. უნდა ითქვას, რომ გლეხკაცობას ეხლა, მცირე გამონაკლისის გარდა, საკმარისად კარგად ესმის ტყის მნიშვნელობა და ამიტომ იგი თითონ ღებულობს ზოგიერთ ღონისძიებებს ტყის დასაცავად, როგორც ხანძრიდან, ისე სავა მავნებლობიდანაც.

შემდეგი გარემოება, რომელიც ხელს უწყობს ტყის განადგურება-მოსპობას არის საქონლის (პირუტყვის) ძოვება ტყის აგარაკებში. ეს ხდება უფრო შემოდგომაზე და ზამთარში, როცა საქონელს აბრუნებენ მთიდან და აგრეთვე გაზაფხულზე, როცა საქონელს დენიან ზაფხულობით მთებზე საძოვრად. საქონლის ძოვება ტყის აგარაკებში არ აძლევს საშუალებას ტყე განახლდეს ბუნებრივი ხრდის გზით. საქონელი აფუჭებს ახლად აღმოცენებულ ტყეს, და ამნაირად, თუ ამის წინააღმდეგ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, ტყე თანდათან ნადგურდება და ისპობა. ამნაირად, საქონლის ძოვება ტყეში დიდი ბოროტებაა; ამის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ სიძნელეს წარმოადგენა უმთავრესად საძოვრების სიმცირის გამო. მაგრამ თუ ჩვენ გვინდა ტყეების დაცვა, ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ, რადგანაც, როგორც ვამბობდით ზევით, ტყეების მოსპობა ან შემცირება ქვეყანას დიდ უბედურებას უქადის.

გადავდიოთ ტყით სარგებლობაზე მოსახლეობის სხვადასხვა გვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ჩვენ ელაპარაკობთ შეშაზე და საშენ მასალაზე. ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვყავს გლეხკაცობა. რევოლიუციამდე ტყეს ფლობდენ: ერთი მხრით ხაზინა (სახელმწიფო), მეორე მხრივ კერძო მემამულეები. მხოლოდ იშვიათად აქა-იქ ტყის პატარა ფართობები იყო გლეხების მფლობელობაში, და ისიც, რა თქმა უნდა, მდიდარი გლეხების. ტყის სარგებლობისათვის გლეხები ბევრს იხდიდენ, მასთან რა თქმა უნდა, მაშინ გადასახადის მხრივ არ იყო გარჩევა მდიდარსა და ღარიბ გლეხს შორის, უფრო მეტ შეიწროვებას აყენებდენ გლეხებს ტყით სარგებლობისათვის მემამულეები. ეს უკანასკნელები არც ტყეს ზოგავდენ და არც გლეხებს. ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილება იყო გლეხებსა და ტყის მფლობელთა შორის. გლეხები, როცა იმათი მოთმინების ფიალა გაივსებოდა, თვითნებურად ჩეხავდენ ტყეებს. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ბევრი ტყე გაიჩეხა გლეხების მიერ რევოლიუციების დროს. მაგრამ უკანასკნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ტყის მასიურ გაჩეხას ადგილი აღარა აქვს, ასე რომ, ხის მოჭრა ტყეში რამდენიმედ ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ამასთანავე გლეხებს ყოველდღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიეზომათ ტყის ცალკე ნაჭრები (საქართველოში, მაგ.—200.000 ჰექტარზე მეტი). სამწუხაროდ, ეს ტყეები, თუ სულ არა, სანახევროდ უკვე მოსპობილად უნდა ჩაითვალოს.

რა თქმა უნდა, თუ გლეხი თავის ახლოს ხედავს ტყეს, მის მოთხოვნილებას ხე-ტყის მასალაზე საზღვარი არ აქვს. ამიტომ საჭიროა ამას რაიმე საზღვარი დაედვას. საბჭოთა ხელისუფლების კანონები ტყის სარგებლობის შესახებ საკმარისად დიდ შეღავათებს აძლევენ გლეხკაცობას, განსაკუთრებით ღარიბ და საშუალო გლეხებს. მიუხედავად ამისა ამ კანონების დარღვევა საკმაოდ ხშირია და სამწუხაროდ, ვერც სასამართლოები და ვერც ადმინისტრატიული ორგანოები საკმაოთ ვერ იყენებენ ამ კანონებს ტყეების დაცვის საქმეში.

ამასთანავე საჭიროა ხე-ტყის მასალის ხმარების შეზღუდვა ან მის მაგიერ სხვა მასალის ხმარების შემოღება, მაგ. ქვის, აგურის, კრამიტის და სხვ. და სხვ. ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალად მოიპოვება საშენი ქვა და კარგი ღორსებისაც; ამასთანავე უნდა გაძლიერდეს აგურის კეთება, განსაკუთრებით კრამიტის და აგრეთვე ფიქალის ქვის გამოყენება როგორც სახურავი მასალისა, რომელიც ჩვენ ქვეყანაში საკმარისად მოიპოვება. ჩვენში გლეხკაცობა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, და აგრეთვე აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში, სახურავისთვის აქამდის ხმარობდენ თითქმის განსაკუთრებით ყავარს. ცნობილია, რომ ყავრის ახდამ ბევრ ადგილას, თითქმის სრულებით გაანადგურა ტყეები, განსაკუთრებით წიფლის ტყეები.

ამიტომ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გამოსცა კანონი ყავრის ახდის აკრძალვის შესახებ. ამ კანონმა უკვე დიდი ნაყოფი მოიტანა, მხოლოდ ალაგ-ალაგ ხდება მისი დარღვევა. სამწუხაროდ ვერ ტარდება ეს კანონი ჩვენ ავტონომიურ ერთეულებში. ამას წინად გაზეთებში იყო შოთავსებული ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ყავარი სჭირდებათ თურმე თამბაქოს მრეწველობისთვის რამოდენიმე მილიონ ცალობით ყოველ წლით, თუ ეს მართალია, იმ შემთხვევაში აფხაზეთის ტყეები მარტო ამ საქმეს მოუნდება. ამიტომ ყავრის ახდის აკრძალვა სასტიკად უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში. ამასთანავე, ჩემი აზრით, უნდა გადაისინჯოს ზოგიერთ ხე-ტყის საწარმოთა შემდგომი არსებობის მიზანშეწონილობა ერთის მარით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის და მეორე მხრით ტყის დაცვის თვალსაზრისით, (მაგ.—ბორჯომის საკასრე ქარხანა). ამ ქარხნის აგება ჩვენი სატყეო მრეწველობის მხრით ერთ-ერთი დიდი შეცდომა იყო და არის.

მე ვფიქრობ აგრეთვე იმასაც, რომ ხუგდიდის ქაღალდის ქარხანა, რომელიც ახლა შენდება და რომლის ნედლეულ ბაზად მიღებულია ზემო-სვანეთის ტყეები, მომავალში უთუოდ უნდა გადავიდეს სხვა ნედლეულზე, ან ახლავე უნდა დაწყებულ იქნას განსაკუთრებული ტყის გაშენება სპეციალურად ამ მიზნით (აკაცია, ალვის ხე და სხვ.). ეს იქნება გონიერული და მიზანშეწონილი ღონისძიება მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. მაგრამ ამ შემთხვევაში მეორე გამოსავალიც არის: გადასვლა ისეთ მცენარეზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ყოველ წლივ მოდის, მაგ. სიმინდზე, რომლის გამოყენებაც სხვადასხვა მიზნით ჩვენ დღემდისაც არ ვიცით. სიმინდის ჩალით ჩვენ შეგვეძლია უზრუნველვყოთ ქაღალდის წარმოება. თუ ეს ასეა, რად უნდა ვიხმაროთ ისეთი მცენარეები, რომელთა ზრდისთვის რამდენიმე ათეული და ასეული წლებია საჭირო და რომელთა გამოყენება სხვა საქმეში ბევრად უფრო სახეირო და მიზანშეწონილი იქნებოდა. და რომ ეს შესაძლებელია, ეს დამტკიცებულია როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულადაც. მართლაც, თუ ერთწლიანი მცენარით შესაძლებელია ქაღალდის წარმოება, ყოვლად დაუშვებელია მის მაგიერ დიდრონი და მრავალწლოვანი ხეების ხმარება. ეს ეწინააღმდეგება ყოველივე რაციონალიზაციას.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენ ზევით გვქონდა ნათქვამი, ჩვენ მივადექით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც დღეს ჩვენ წინაშე დგას, - ეს არის ტყეების გამოყენება მრეწველობისათვის, ტყეების ექსპლოატაცია მრეწველობის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმე ჩვენში არასოდეს არ მდგარა ჯეროვან სიმაღლეზე. პირიქით, სწორედ ამ დარგში სუფევდა ყოვლად უსინდისო პირწავარდნილი ექსპლოატაცია. სწორედ ამ დარგში მეფობდენ ყოველად გათახსირებული და ყოვლად უსინდისო მტაცებლები, რომლებიც ტყავს აძროობდენ და სისხლს სწოვდენ ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე ხალხს და იმავე დროს დაუზოგავად ანადგურებდენ თვით ტყესაც. ცნობილია, რომ ტყის მრეწველობაში ფულის მოგება სულ იოლი საქმეა. ტყის იმ მტაცებლურ ექსპლოატაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, ბოლო მოუღო მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ. რა თქმა უნდა ამას შემდეგ მდგომარეობა უნდა გამოცვლილიყო, და გამოიცვალა კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, ტყის ექსპლოატაციის ძველი წესები, იქ გამეფებული ძველი ზნე-ჩვეულებანი ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილან სავსებით. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ ამ საქმის წიაღში ახლაც განაგრძობენ არსებობას როგორც ვითომდა ამ საქმის სპეციალისტები, ისევ ძველი ექსპლოატატორები, ძველი „პოდრიადჩიკები" და მტაცებლები.

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ასეთი ხალხი ვერ შესძლებს ნაყოფიერათ მუშაობას. და ეს მართლაც ასე მოხდა. თუ სადმე, მრეწველობის რომელიმე დარგში არის გეგმის შეუსრულებლობა და ზარალიანობა—ეს პირველ ყოვლისა სატყეო მრეწველობაში. სამწუხაროდ ამის მიზეზს ხშირად ეძებენ არა იქ, სადაც ეს საჭიროა, და ამიტომაცაა, რომ ნამდვილ მიზეზს ვერ პოულობენ. ზოგიერთების აზრით ყველაფერი ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ტყეები სულერთიანად სატყეო მრეწველობის ხელში არაა. აქედან ამ უკანასკნელ დროს წამოსროლილ იქნა ლოზუნგი: „ტყეები მრეწველობას". თუ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მრეწველობას მიეცეს ხე-ტყე, ეს სავსებით სწორია, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ტყის დანიშნულება, მისი როლი და მიზანშეწონილობა საერთოდ ქვეყნის ეკონომიკაში, მარტო ამაში როდია. ჰაერ, მდინარეების რეჟიმი, მთების ფერდობებზე მდებარე ტყეები, იმათი უაღრესათ დაცვითი მნიშვნელობა, ტყეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის, გლეხკაცობის მრავალგვარ ნოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხე-ტყით და სხვადასხვა, განა ყოველივე ეს თავსდება ზევით მოყვანილ ლოზუნგში? რა თქმა უნდა, რომ არა, როცა ლაპარაკია ტყეების გადაცემაზე მრეწველობისათვის, მხედველობაში ქონდათ და აქვთ განსაკუთრებით სამრეწველო ხასიათის ტყეები და არა ყველა ტყეები.

ეს აშკარად სჩანს საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს ახალი დადგენილებიდან (№ 377. 27/8, 1930 წ.), რომლის მეორე მუხლი ამბობს: „გადაეცეს საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საკავშირო რესპუბლიკების ტყის ყველა სახელმწიფოებრივი ფონდები, გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებისა და დაცვითი ტყეებისა (რომლებიც იცავენ მდინარეების ნაპირებს, იბერეა ქვიშიან ნიადაგს), საკურორტო ტყეებისა და სხვ. და სხვ.“.

აქედან აშკარაა, რომ ასეთი ტყეები არ ითვლებიან სამრეწველო მნიშვნელობის ტყეებად. და თუ სადმე ჩვენს საბჭოთა კავშირში არსებობენ დაცვითი და საკურორტო ტყეები, ეს უწინარეს ყოვლისა ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში. დაცვითი ხასიათის და საკურორტო მნიშვნელობის მიკუთვნება საქართველოს (და აგრეთვე აფხაზეთის, იჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის) ტყეებისადმი ჩვენ ორგანოებს ბევრ რასმე ავალებს, და პირველ ყოვლისა, აქედან აუცილებლად სათანადო დასკვნები უნდა იქნან გამოტანილი. ეს დასკვნები უკვე გამოტანილია ამიერ-კავკასიის მთავრობის დადგენილებებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, მრეწველობის წარმომადგენლები ამ შეხედულებას როგორღაც ვერ ურიგდებიან, ან უფრო მართალი რომ ვთქვათ, ამ გარემოებას ისინი ანგარიშს ვერ უწევენ. ასე მაგ., „ზარია ვოსტოკა“-ს № 277-ში თითქმის მთელი ერთი გვერდი დათმობილი აქვს სატყეო მეურნეობას და სატყეო მრეწველობას და აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ან საქართველოს ტყეებს აქვს დაცვითი ხასიათი და საკურორტო მნიშვნელობა. პირიქით, ყველა წერილებში აშკარად გატარებულია ის აზრი, რომ ხსენებულ ტყეებს აქვს მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო მნიშვნელობა.

მეორე მხრით ამავე წერილებიდან ჩვენ ეტყობილობთ შემდეგს: ა.-კ. სატყეო ტრესტის 28 მსხვილი წარმოებათა სრული დატვირთვა უდრის ამჟამად 725.000 კუბიკურ მეტრს. მაგრამ ნედლი მასალის უქონლობის გამო ეს წარმოებები ძლივს სანახევროდ არიან დატვირთულნი. იმავე დროს კი ა.-კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განზრახული აქვს ხუთი წლის ბოლოს აიყვანოს წარმოება 1.152.000 კუბომეტრამდე, ე. ი. ორი წლის განმავლობაში გაადიდოს სატყეო ქარხნების დატვირთვა თითქმის 60%, მაგრამ ა.-კ. საგეგმო კომისიას, როგორც სჩანს, კიდევ უფრო მეტი მადა აღეძრა: ის ფიქრობს აიყვანოს ამ ქარხნების წარმოებითი უნარიანობა 2.256.000 კუბომეტრამდე, ე. ი. ორი-სანი წლის განმავლობაში გაადიდოს ხე-ტყის ქარხნების წარმოება სამჯერ, ანუ 211 პროც. უნებლიეთ ისმება კითხვა: თუ ახლა არ ყოფნით ტყის მარაგი, რაღა იქნება მაშინ, როცა ქარხნების წარმოებითი უნარიანობა გაიზრდება ერთი-ორად და ერთი-სამად. შეიძლება ასეთი ზრდა უნდა მოხდეს შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდულ ხე-ტყის ხარჯზე, მაგრამ ხსენებულ წერილებში ამახე სრულებით არაფერია ნათქვამი. პირიქით, იქ მხედველობაში აქვთ მხოლოდ ადგილობრივი ტყეები. როგორც ხედავთ, აქ დიდი გაუგებრობა და წინააღმდეგობაა. გარდა ამისა, მთავარი ისაა, რომ აქ მიღებული არაა ხედველობაში შემდეგი გარემოებანი: ა) ტყის ექსპლოატაცია ხდება არა მარტო სმუს-ის ხაზით, არამედ სხვა დაწესებულებების ხაზითაც (რკინის გზა, აღმასკომები და სხვ.), და ბ) სოფლის მეურნეობის აუცილებელი საჭიროებანი. რომ აქ არ ეწევა თითქმის სრულებით არავითარი ანგარიში ა.-კ. ტყეების უაღრესად დაცვითი ხასიათს და იმათ კულტურულ მნიშვნელობას—ეს ხომ უდაოა. ამას ამტკიცებს კიდევ შემდეგი გარემოება. ზევით დასახელებული წერილის ავტორის სიტყვით მთელ ა.-კავკასიაში ითვლება $4^1/_4$ მილ. ჰექტარი დაფარული ტყეებით. არ ეიცი, სად ამოიკითხა ავტორმა ასეთი ცნობა. შეშიძლია განვაცხადო აქ მთელი პასუხისმგებლობით, რომ ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს. ყოველ შემთხვევაში ის ძალზე გაზვიადებულია. მაგრამ, რაც ყველაზე უფრო ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ეს არის შემდეგი მტკიცება იმავე ავტორისა: „ა.-კ. სმუსის გამგებლობაში გადადის დაახლოებით სამი მილიონი ჰექტარი სამრეწველო მნიშვნელობის ტყეებისᲗ. თუ მართლა ამოდენა ტყის ფართობი უნდა გადაეცეს ა.-კ. სმუს-ს, ეს ფაქტიურად ნიშნავს, ა.-კ. თითქმის ყველა ტყეების, ყოველ შემთხვევაში იმათი ფართობის სამი მეოთხედის მაინც, სამრეწველო მნიშვნელობის ტყეებად მიღებას. ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ა.-კავკასიის ტყეებს თითქმის სრულებით არ ქონიათ არც დაცვითი ხასიათი და არც საკურორტო მნიშვნელობა. მაგრამ ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენ. აეიღოთ, მაგ., საქართველო, სადაც ა.-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით ყველაზე მეტი ფართობია დაფარული ტყეებით, ა.-კ. სახკომსაბჭოს უკანასკნელი დადგენილებით ა.-კ. სმუს-ს და რკინის გზას ერთად გადაეცა საკუთრივ საქართველოს ტყეებიდან მხოლოდ 322,4 ათასი ჰექტარი. ამ რაოდენობაში არ შედის აფხაზეთის ტყეებიდან გადასაცემად გამოყოფილი ფართობი, რაც არ იქნება 200.000 ჰექტარზე მეტი. ეს სულ შეადგენს დაახლოებით 500.000—600.000 ჰექტარს. ისმება კითხვა: საიდან-ღა ღებულობენ დანარჩენ 2.400.000 ჰექტარს. ეს პირდაპირ გაუგებარია, რადგანაც რამდენადაც ვიცი აზერბეიჯანის და სომხეთის ტყეების მთელი ფართობი რომ აეიღოთ, ამდენი არ გამოვა.

რას მოწმობს ყოველივე ეს? იმას, რომ ა.-კავკასიის მრეწველობის წარმომადგენლები არავითარ ანგარიშს არ უწევენ ამიერ-კავკასიის პირობებს, სრულებით არ აფასებენ ტყეების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაზედაც ზევით იყო ლაპარაკი და რაც თითქო ყველასათვის უდაო მეშმარიტებას უნდა შეადგენდეს. როგორ შეიძლება მოეწყოს ამ შემთხვევაში ტყეების დაცვა, ტყეების გაბახლება, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური გზით? ტყის ექსპლოატაცია და ტყის მოვლა-აღშენება ორი სხვადასხვა ფუნქციაა, ორი სხვადასხვა საქმეა. სამწუხაროდ, მრეწველობის ხელმძღვანელები ამას ალარ უწევენ ანგარიშს.

ტყის მოვლა-დაცვა ეს უდიდესი ამოცანა მთელი სახალხო მეურნეობისათვის—ამ შემთხვევაში უთუოდ დაიჩაგრება, ეს მოუტანს ზიანს ბოლოს და ბო-

ლოს თვით სატყეო მრეწველობას, რადგანაც ამას სულ ახლო ხანში აუცილებლად მოყვება ტყეების განადგურება და მოსპობა. ორი კურდღლის მიმდევარი ერთსაც ვერ დაიჭერს, ასე იქნება ამ შემთხვევაშიაც. მრეწველობას ისედაც რთული და მძიმე ამოცანები აქვს გადასაჭრელად, რომ მან კიდევ ტყის დაცვა, მოშენება და განახლება იკისროს. ცნობილია, რომ ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს ტყეები საკვებით ვერც წინედ აკმაყოფილებდენ და მით უმეტეს ვერც დღეს დაიკმაყოფილებენ მრეწველობის ყველა მოთხოვნილებას. ყველამ უწყის, რომ როგორც ამიერ-კავკასია საერთოდ, ისე საქართველო თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საშენი ხე-ტყის მასალით, საჭიროებენ ამ მასალის შემოზიდვას რუსეთიდან. რომ ეს შემოზიდვა შემცირდეს, და მთელი ის მოთხოვნილება ტყის მასალაში, რაც ამიერ-კავკასიის ფედერაციას აქვს დღეს დაეკისროს მარტო ადგილობრივ ტყეებს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტყეები სულ ცოტა ხნის განმავლობაში სრულიად განადგურდებიან. რა თქმა უნდა, ეს არავისთვის სასარგებლო არ იქნება. და გარდა ამისა, ეს გამოიწვევდა ხე-ტყის იმ ძვირფასი ჯიშების განადგურებას, რომლებიც ამიერ-კავკასიის ტყეებში მოიპოვებიან. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვეულებრივი საშენი ხე-ტყის მასალის შემოზიდვა რუსეთიდან ამიერიდან წარსულთან შედარებით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. საკითხის ასეთი გადაჭრა იქნებოდა ბევრად უფრო მიზანშეწონილი, რადგანაც ეს შეუწყობდა ხელს ამიერ-კავკასიის ტყეების განვითარებას, რასაც მოითხოვენ ადგილობრივი ჰიდრო-ტოპოგრაფიული, კლიმატიური და სხვა პირობები, ერთი მხრით და მცენარეების ძვირფასი ჯიშების დაცვა და იმათი უფრო რაციონალურად გამოყენება, მეორე მხრით. აქედან დასკვნა ასეთია: ამ.-კავკასიის ტყეებს რომ უმთავრესად სამრეწველო მნიშვნელობა მიენიჭოს, ამას ისეთი დიდი შეცდომა მოყვებოდა, რომლის გამოსწორებას ჩვენ ახლო მომავალში ველარ შეესძლებდით. დროა ეს ჭეშმარიტება შეიგნონ სატყეო მრეწველობის წარმომადგენლებმაც.

ხშირად ისმის საყვედური იმის შესახებ, რომ მრეწველობა თავის ქარხნებისათვის ვერ ღებულობს თავის დროზე ხე-ტყეს საჭირო რაოდენობით: ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: უწინარეს ყოვლისა, აუარებელი ფაქტები მოწმობენ იმას, რომ როცა სატყეო ტრესტის ქარხნები ნედლი მასალის უქონლობის გამო დგანან, იმ დროს ტრესტის მიერ დამზადებული მორები ტყეში ან გზაზე სადმე ყრია და ლპება. ეს ასეა დღესაც. ყველას შეუძლია ამ ფაქტის შემოწმება. ვინაა აქ დამნაშავე? ტრესტმა დღემდის ვერ მოაგვარა დამზადებული მორების ქარხანაში მიტანა, აბიტომ ხშირად მის მიერ დამზადებულ ხის მორებს სხვა ორგანიზაციები ეპატრონებიან. ჯერ არავის გამოუანგარიშებია, თუ რა ღირებულების ხე-ტყე ეკარგება ქვეყანას მარტო გაფუჭებული ხის მორების სახით. ესაა მტაცებლური ექსპლოატაცია. აქ ტყეს ფასი არ აქვს. ფიქრობენ მხოლოდ იმაზე, რაც შეიძლება მეტი ხე იქნას მოჭრილი. მტაცებლობა იწყება ხის მოჭრიდან და გრძელდება ქარხანაში, სადაც ხდება ხე-ტყის დამუშავება. პირდაპირ დაუჯერებელია, თუ როგორ მტაცებლურად, თუ როგორ დაუზოგავად ხდება ხე-ტყის დამუშავება სატყეო ტრესტის ქარხნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი პარტიის ორგანოებს გამოაქვთ დადგენილებები წარმოების რაციონალიზაციის შესახებ, მომჭირნეობის შესახებ, ყოველგვარ ნაყარის და ნარჩენების გამოყენების შესახებ. ტყის მრეწველობისათვის ყოველივე ეს თითქოს არც კი არსებობს. რომ ამ მხრივ რაიმე გაზვიადება არ დაგვწამოს ვინმემ, მოვიყვანს აქ ამონაწერი ჟურნალიდან: „Народное Хозяйство Закавказья" № 9, 1930 წ., „Потери лесной промышленности Грузии". („საქართველოს სატყეო მრეწველობის დანაკარგები"). ამ წერილის ავტორი ვ. ზ ა კ ა ნ დ ი ნ ი ასე იწყებს: „ამიერ-კავკასიის ფედერაციის სატყეო მრეწველობის და სატყეო მეურნეობის დანაკარგის საერთო ჯამი გამოიხატება საკმარისად დიდ თანხაში, რომელიც უდრის 4,5 მ ი ლ. მან., საკუთრივ საქართველოს მონაწილეობა ამ დანაკარგში საკმარისად დიდია, არ იქნება გაზვიადება თუ ვიტყვით, რომ დ ა ნ ა კ ა რ გ ი ა რ ი ს თ ი თ ქ მ ი ს ყ ო ვ ე ლ ფ ე ხ ი ს ნ ა ბ ი ჯ ზ ე, დაწყებული ხის მოჭრიდან და გათავებული დამზადებული პროდუქციის მომხმარებლებისათვის ჩაბარებით". ავტორი შემდეგ კონკრეტულად ასახელებს, თუ სად, რომელ საწარმოში ან რა სამუშაოს შესრულების დროს აქვს ადგილი დანაკარგს საქართველოს სატყეო მრეწველობაში და ბოლოს ასეთი დასკვნა გამოყავს: „ამ ნუსხით სრულებით არ ამოიწურება მთელი დანაკარგი, რადგანაც არის კიდევ დანაკარგთა მთელი რიგი, რომლის ღირებულება ჯერ კიდევ არ არის გამოანგარიშებული. თუ შეეჯამებთ ყველა აქამდის აღმოჩენილ დანაკარგს, ჩვენ ვღებულობთ საერთო ჯამს, რომელიც უდრის 2 მილიონ მანეთსო". ასეთია ყოველწლიური ზარალი საქართველოს სატყეო მრეწველობაში, მაგრამ ეს სრულებით არ გამოხატავს მთელ ზარალს, როგორც ამას ზემოთ დასახელებული წერილის ავტორი აღნიშნავს.

ყოველივე ეს მომდინარეობს საქმის წაყვანის არ ცოდნით, უყურადღებობით, უყაირათობით და შეიძლება მავნებელთა მუშაობითაც. ადამიანს პირდაპირ გული ემღვრევა, როცა ყოველივე ამას ხედავს. თუ თქვენ დაათვალიერებთ ისეთ ქარხნებს, როგორიცაა, მაგ. ზ უ გ დ ი დ ი ს და კ ო დ ო რ ი ს ს ა ხ ე რ ხ ი ქ ა რ ხ ნ ე ბ ი, რომლებიც აგებულია თითქო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად, თქვენ ადვილად შეამჩნევთ, რომ ასეთ საუკეთესოდ მოწყობილ ქარხნებშიაც კი ადგილი აქვს დიდ უყურადღებობას და შეიძლება მავნებლობასაც. აბა რით აიხსნება ის გარემოება, რომ აუარება ნაბერხის მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებენ როგორც სათბობ ძალას და დანარჩენს მდინარეში ყრიან. განა ამას ქვია „ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა"? განა არ შეიძლება ამ ნახერხის გამოყენება, როგორც საშენი მასალისა ბრიკეტების სახით, როგორც ეს ხდება სხვაგან? ოლონდაც რომ შეიძლებოდა, მაგრამ ამაზე არავის უფიქრია. შემდეგ ეს ორივე ქარხანა ამზადებს განსაკუთრებით საექსპორტო მასალას; ანიტომ აქ შედარებით ბევრია დაწუნებული მასალა, ფიცრების სახით, რომელთაც ორივე ქარხანაში ან სწვავენ ან ჩალის ფასად ყიდიან და აქამდის ვერ მოიფიქრეს, რომ ამ დაწუნებული მასალიდან შეიძლებოდა ხილის ყუთების გაკეთება, რომლებიც ჩვენ მეტად გვესაჭიროება და რომლებსაც ვიკვეთავთ ციმბირიდან და უკრაინიდან. ამას ამჩნევთ თქვენ მხოლოდ ზერელე დათვალიერების საშუალებით. აბა უფრო დაწვრილებით შეისწავლეთ და ნახავთ, თუ როგორი გულგრილობა და ყოვლად დაუშვებელი უყაირათობა აღმოჩნდება. გეკითხებით: თუ ასეა საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყენებული საუკეთესოდ მოწყობილ ქარხნებში, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ის ქარხნები, რომლებიც არ არიან აგებული „თანახმად ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვისა". აი სად უნდა ვეძიოთ სუსტი მხარეები და ვიწრო ადგილები სატყეო მრეწველობაში, და არა იმაში, რომ მას თითქოს ხელს უშლიან სხვა ორგანიზაციები. აი, სწორედ ამას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება კისგანაც ჯერ არს.

სატყეო მრეწველობის გვერდით არის კიდევ ერთი დაწესებულება, რომელიც ითვლება ხე-ტყის საკმარისათ ძსხვილ დამამზადებელ ორგანიზაციად. ეს დაწესებულებაა რკინის გზის სამმართველო. რასაკვირველია, გზის სამმართველოს ამისთვის არ სცალია, ის ანდობს ამ საქმეს განსაკუთრებულ ორგანიზაციას, ეს კიდევ თავის მხრივ სხვადასხვა სახელგატეხილ წინანდელ სისხლის მწოველ „პოდრიადჩიკებს". ეს უკანასკნელები ამზადებენ რკინის გზისთვის ხე-ტყეს ისე, როგორც ისინი ამას ეწეოდენ მეფის რეჟიმის დროს. სამწუხაროდ ამ „პოდრიადჩიკების" გაიძეერობა და თაღლითობა იკამდის მიდის, რომ იმათ გავლენის ქვეშ ვარდებიან ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგებიც. ერთი მხრით ეს ხალხი სრულიად დაუზოგველად ანადგურებენ ტყეებს, სადაც კი ხელში ჩაიგდებენ, მეორე მხრით,—ატყუილებენ ხის დამზადებაზე მომუშავე გლეხებს. რამდენჯერ არ დაწერილა გაზეთებში ამ ხალხის ოინებზე, იმათ მიერ ტყეების განადგურებაზე, რამდენჯერ არ მიუციათ ისინი პასუხისგებაში სასამართლოს წესით სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის: სახელმწიფო ფულების გაფლანგვა, მუშების დატყუილება, ანგარიშის გაუსწორებლობა, სატყეო კანონების დარღვევა და სხვ. და სხვ. მაგრამ არაფერი მათზე არ მოქმედობს, როგორც იტყვიან, ისინი წყლიდან თითქმის ყოველთვის მშრალი ამოდიან და ისევ წინანდურად განაგრძობენ ტყის მტაცებლურ ექსპლოატაციას, რაც იწვევს დიდ ზარალს მთელ სახალხო მეურნეობაში.

თუ ყველაფერი ეს რჩება დაუსჯელად, ეს აიხსნება იმით, რომ ისინი ამოფარებული არიან ისეთ დაწესებულებების ზურგის უკან, როგორიც არის რკინის გზა. რკინის გზის სამმართველო კი არ აქცევს ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას: ის დაინტერესებულია მხოლოდ საჭირო ხე-ტყის მასალის მიღებაში; სხვათა შორის რკინის გზის „პოდრიადჩიკები" დიდი ხანია რაც ეწევიან ქვემოსვანეთის ტყეების მტაცებლურ ექსპლოატაციას (ჩოლურის და ლენტეხის სატყეო აგარაკები). ეს ტყეები შეიძლება უკვე დალუბულად ჩაითვალონ. ეს გარეშოება მრავალმხრითაა სამწუხარო, უპირველეს ყოვლისა თვით ქვემო-სვანეთის და ლეჩხუმისათვის და შემდეგ იმათ ქვევით მდებარე ადგილებისთვის. ამ ტყეების განადგურების უშუალო შედეგია ზამთრობით და ზაფხულობით მდ. ცხენის წყლის ძალზე დაკლება და გაზაფხულ-შემოდგომაზე დიდი წვიმების და თოვლის დნობის პერიოდში სამაგიეროთ ძალზე ადიდება, როცა ხსენებული მდინარე ამოდის თავის კალაპოტიდან და ლეკავს ყველაფერს, რაც გზაზე ხვდება. რაც დრო გადის, ტყეების გაჩეხის გამო, ცხენის წყლის ადიდება თანდათან და სისტემატიურად მატულობს. მდ. ცხენის-წყლის თვითეული ასეთი ადიდება ნამდვილი უბედურებაა იმ ადგილებისათვის, სადაც ეს მდინარე გაივლის, მაგრამ ამისათვის განა იშუამებენ თავს ისინი, ვინც ამ უბედურების უშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ბიზეზად ითვლებიან? რამდენადაც ვიცით, მიუბედავად იმისა, რომ სათანადო ორგანოებმა აკრძალეს ხსენებულ აგარაკებში ხე-ტყის ექსპლოატაციის გაგრძელება რამოდენიმე წლით, რკინის გზის წარმომადგენლები ყოველგვარ საშუალებას ბიმართავდენ, რათა ეს აგარაკები კვლავ ჩაეგდოთ ხელში საექსპლოატაციოდ. ამას ასაბუთებდენ იმით, რომ თუ ეს აგარაკები მათ არ გადაეცათ, იმ შემთხვევაში საპილოს სახერხი ქარხანა ნედლი მასალის უქონლობის გამო უნდა დაიკეტოსო. მერწმ მისაღებია ეს მოსაზრება? განა შეიძლება ჩვენს დროში ასეთი მოსაზრებით გამართლებული იქნას ტყეების მტაცებლური განადგურება? მოჭრილი ხეების ადგილი ახალმა ტყემ უნდა დაიკავოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა განსაზღვრული პირობების შექმნა, ეს თხოულობს, რომ ტყე დაასვენო და იქ ტყის გასაზრდელი მუშაობა სწარმოებდეს. ამას თხოულობს ტყის რაციონალური ექსპლოატაციის წესები, მაგრამ ამას არ ცნობენ ისინი, ვინც ტყის ექსპლოატაციას აწარმოებენ.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა კიდევ საქართველოს ტყეების მდგომარეობის შესახებ. ვიმეორებ ამ ტყეების საფუძვლიანი გამოკვლევა ჯერ ჩვენ არა გვაქვს. მაგრამ ზოგიერთი შეურყეველი ფაქტები და დაკვირვებები გვეუბნებიან, რომ ის ადგილები, რომლებიც არსებული ცნობებით ტყით დაფარულად ითვლებიან, უკვე დიდი ხანია, რაც გატიტვლებული არიან და წარმოადგენენ ხრიოკ და უსარგებლო ადგილებს, უკეთეს შემთხვევაში ბუჩქნარებს. ზოგიერთი ტყეები, როგორც, მაგ. ქობდიანის და ბორჯომის აგარაკები, რომლებსაც საკეროორტო მნიშვნელობა აქვთ და მრავალი სხვა აგარაკები ამ უკანასკნელ დროს დაზიანდენ ძალზე ირაციონალური ექსპლოატაციის მეთოდებით. მარელისის ტყე, რომელიც ერთ დროს განთქმული იყო. ძალზე შეთხელდა, ასე რომ მოსპობის გზაზე დგას. ასე ითქმის კახეთის ტყეებზედაც, პანკისის და ახმეტის რაიონების გამოკლებით. ოსურგეთის მაზრის დასავლეთ ნაწილებში ტყეები უკვე გაიკაფა და იქ შეშაც კი აღარ იშოვნება. ასევე ზოელის ხეთის აგარაკსაც ზუგდიდის რაიონში სულ მოკლე ხნის განმავლობაში.

მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აღვნიშნოთ აქ აგრეთვე ზოგიერთი სასიხარულო და დადებითი მომენტები საქართველოს სატყეო მეურნეობაში, რასაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. მე ვამბობ იმაზე, რომ ტყის მოვლა-პატრონობის და განახლების საქმეში უკვე დაიწყო გარდატეხა, უკვე ვამჩნევთ გადაჭრილ ნაბიჯებს როგორც საქართველოს მიწსახკომის, ისე საკეროორტო სამმართველოს მხრით. ამ მიზნით მოწყობილია სანერგეები და სატყეო მეურნეობები. ხდება გატყევება საკმარისად დიდი ფართობების, როგორც ნერგების ან თესლის საშუალებით, ისე ბუნებრივი გზით. რა თქმა უნდა, ჯერ ეს მხოლოდ დასაწყისია. მე ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სატყეო მეურნეობაში გაჯანსაღების პერიოდი უკვე დაიწყო, ამიტომ ყოველგვარი ღონისძიებები უნდა იქნან მიღებული, რათა ეს დაწყებული საქმე ჩქარი ტემპით განვითარდეს.

ორიოდე სიტყვა კიდევ ტყეების მდგომარეობის შესახებ ჩვენს ავტონომიურ ერთეულებში: აბერისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში, შეიძლება ითქვას სრული პასუხისგებლობით, რომ ტყეების მოვლა-პატრონობა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკებში ბევრად უარეს მდგომარეობაშია, ვინემ საკუთრივ საქართველოში. ფაქტიური მასალა ამის შესახებ მე ხელში არ მაქვს. მაგრამ უამისოდაც ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ აქ, რომ არც ერთ ზევით დასახელებულ რესპუბლიკაში ტყის მოვლა-პატრონობას, როგორც ამას ოხოულობს თანამედროვე სატყეო მეურნეობა, ადგილი არა აქვს. ზედმეტია ლაპარაკი ტყის მოშენებაზე. პირადათ მე მქონდა შემთხვევა დამეთვალიერებია ტყე ხულოს რაიონში (აჭარისტანი), გოდერძის ულელტეხილიდან იმ ადგილებამდე, სადაც მოთავსებულია სახერხი ქარხანა. სხვა რაიონების შესახებ აჭარისტანში მე ვერაფერს ვიტყვი. ხოლო რაც შეეხება ჩემს მიერ დათვალიერებულ რაიონს, ტყეების მდგომარეობა იქ პირდაპირ საზარელ სურათს წარმოადგენს. ტყის განადგურების საქმეში იქ, როგორც სჩანს არ დაუკლია ხელი არც ბუნებას და განსაკუთრებით არც ადამიანს, ეტყობა რომ აქ ტყეები არა თუ მოკლებულია ყოველგვარ მზრუნველობას, როგორც მოსახლეობის, ისე თვით ხელისუფლების მხრივ. არამედ აქ თითქო მიზნათ დაუსახავთ ტყის მოსპობა. ვამბობ მხოლოდ იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე. ეს დაუშვებელია, ეს დიდი დანაშაულია. ვიმეორებ, მე არ ვიცი რა მდგომარეობაშია ტყეები აჭარისტანის სხვა რაიონებში და თუ სხვა რაიონების მდგომარეობა ამ მხრით რამდენადმე წააგავს ზემო-ხულოს რაიონის მდგომარეობას, მაშინ ჩვენ უნდა ვცნოთ ტყეების მდგომარეობა აჭარისტანში პირდაპირ კატასტროფიულად. და თუ დაუყოვნებლივ არ იქნა აქ მიღებული სასტიკი ღონისძიებები ტყეების დასაცავად, ტყეებს იქ სულ ახლო ხანში სრული მოსპობა მოელის. რამდენადაც მე ვიცი, ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს აგრეთვე აფხაზეთშიაც და სამხრეთ-ოსეთშიაც.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით მოხდეს ამ ავტონომიებში გარდატეხა ტყეების მოვლა-დაცვის და განახლების საქმეში.

ზევით ნათქვამიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობენ.

1. ტყეს აქვს მრავალმხრივი და უდიდესი მნიშვნელობა ბალხთა ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდია ტყის როლი იმ ქვეყნებში, სადაც ბევრია მთები, ფერდობები და ხეობები. ასეთ ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის ამიერ-კავკასია და განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომელსაც საქართველო შეადგენს. თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველო და მასში შემავალი ავტონომიები (აჭარისტანი, აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი) თავისი მინერალური და სამკურნალო წყლებით, თავისი საუცხოვო რბილი ჰაერით, სადაც ზღვის და მთის ჰაეა ერთად შეზავებული ქმნის საუკეთესო პირობებს კლიმატიურ სადგურების მოსაწყობად, სადაც ჩვენ გვაქვს ისეთი კურორტები, როგორც აბასთუმანი, ბორჯომი, გაგრა, წყალტუბო, შოვი, ქობულეთი და სხვ. ერთის სიტყვით, თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, საქართველოს ტყეებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიეცეს არა მარტო დაცვითი, არამედ იმავე დროს საკურორტო მნიშვნელობა. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ტყეებს ამავე დროს არ აქვს სამრეწველო მნიშვნელობა; მაგრამ პირველ რიგში მათ აქვთ დაცვითი ხასიათი და საკურორტო მნიშვნელობა ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

2. მეორე დასკვნა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს პირველი დებულებიდან მდგომარეობს იმაში, რომ ტყის დაცვის საქმე უნდა მიენდოს სავსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საკუროორტო მმართველობას, და არა იმ ორგანოებს, რომლებიც ტყის ექსპლოატაციას აწარმოებენ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მე ველაპარაკობ ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს ტყეების შესახებ. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ სატყეო მეურნეობა მჭიდროდ დაკავშირებულია მთელ სახალხო მეურნეობასთან, ქვეყნის მთელ ეკონომიკასთან და არა რომელიმე ერთ მის დარგთან, თუ გინდ მრეწველობასთანაც. მაგრამ განსაკუთრებით დიდია სატყეო მეურნეობის კავშირი სოფლის მეურნეობასთან და ჩვენში კიდევ ჯანმრთელობის საქმესთან. ის მოსაზრება, რომ ტყე და სატყეო მეურნეობა ჩვენში და საერთოდ ა.-კავკასიაში მხოლოდ მრეწველობასთან იქნას დაკავშირებული, მხოლოდ მრეწველობისაგან უნდა იქნეს დამოკიდებული და ამიტომ მისი მოვლა-პატრონობა, მისი დაცვა, და საერთოდ ყოველივე სატყეო კულტურული მუშაობა როგორც ტყის განახლების, ისე მისი ფართობის გადიდებისათვის მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობას უნდა დაეკისროს საკუთრებით, ეიმეორებ, ასეთი მოსაზრება შეუძლებელია მიღებულ იქნას. სწორედ ამასვე ამბობს საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებაც, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ და რომლის სავსებით გატარებას ცხოვრებაში ეწინააღმდეგებიან ა.-კავკასიის მრეწველობის ზოგიერთი წარმომადგენლები, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

3. გამოვდივართ რა ზევით აღნიშნულ ძირითად დებულებებიდან, ჩვენ ვცნობთ, რომ ტყეს და სატყეო მეურნეობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რადგანაც ტყეების არსებობაში, იმათ ზრდა-განვითარებაში არსებითად დაინტერესებულია მთელი მშრომელი ხალხი. პირველ ყოვლისა ტყეების მნიშვნელობაში და იმათ უდიდეს როლში ხალხის ცხოვრებაში სახელმწიფომ, პარტიამ და ხელისუფლებამ უნდა დაინტერესოს გლეხკაცობა, რომელიც ყველაზე უფრო ახლო დგას ტყესთან და ყველაზე უფრო შეუძლია მიიღოს აქტიური მონაწილეობა ტყის დაცვაში და მის მოვლა-პატრონობაში.

4. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყოველგვარი ღონისძიებანი, რათა ტყე ტყვილა-უბრალოდ არ იჩეხებოდეს, რათა ხე-ტყის გამოყენება, როგორც სათბობი, ისე საალმშენებლო მიზნით ხდებოდეს რაციონალურად და მიზანშეწონილად, რათა ტყის ექსპლოატაცია მრეწველობის და სხვა დაწესებულების მიერ ხდებოდეს თანახმად ამის შესახებ არსებულ კანონების საფუძველზე და ეს კანონები სასტიკად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში. გარდა ამისა ჩვენში საყოველთაოდ უნდა აკრძალულ იქნას ყავრის ახდა, რა საქმესაც ის არ უნდა ხმარდებოდეს, თანდათან შეზღუდვილ იქნას შეშის მოჭრა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იქნება, პირველ ყოველისა კი ქალაქებში, სადაც საჭიროა მის მაგიერ ქვანახშირის ხმარების შემოღება ფართო მასშტაბით.

ამასთანავე უნდა გაძლიერდეს ღონისძიებანი გატყევების საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

ყველა ეს ღონისძიებები არა თუ უზრუნველყოფენ ტყეების იმ ფართობების შენარჩუნებას, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაქვს, არამედ ხელს შეუწყობენ აგრეთვე ტყეების არსებულ ტერიტორიების გაფართოებასაც.

გაზეთი „კომუნისტი", 1930 წლის
22 და 23 ოქტომბერი, №№ 247 და 248.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ფოთის ჭაობების ამოშრობასთან და მდ. რიონზე ნაოსნობის განვითარებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში დაისახა, სხვათა შორის, ერთ თავის მთავარ მიზნად ფოთის ჭაობების ამოშრობა. ამაევ დროს ამავე ხელისუფლებამ მიიღო ზომები მდინარე რიონზე ნაოსნობის აღსადგენად, და ეს საქმე სულ ახლო მომავალში განხორციელდება. რა თქმა უნდა, თითოეულ ამ საქმეთაგანს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ეკონომიკისათვის, სახალხო მეურნეობის ზრდისა და განვითარებისათვის, ერთმანეთთან დამოუკიდებლადაც. მაგრამ საკმარისია რამდენიმედ ცოტა უფრო ახლო გაეცნოთ ამ ორ დიდ ამოცანას, რომ თქვენ დარწმუნდეთ იმათ დიდ დამოკიდებულებაში ერთი მეორესაგან.

ამ დღეებში მე მოვიხადა ოდნავ გაეცნობოდი ფოთის ჭაობებს და დამეთვალიერებია ის მუშაობა, რომელიც ახლა იწყება ამ ჭაობების ამოსაშრობად. ამავე დროს მე საშუალება მომეცა ქ. ფოთიდან პირველად მემოგზაურა მდ. რიონზე 15-16 კილომეტრის მანძილზე დიდი მოტორიანი ნავით. ჩემი ამ მგზავრობის ინიციატივა ეკუთვნის საკავშირო საქართველოს წყალთა სამმართველოს უფროსს ამხ. ნ. ბახტაძეს, რომელმაც მთხოვა ადგილობრივ დაშეთვალიერებია ყოველივე ეს. ამ მოგზაურობამ ჩემზე მეტად დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. აქ მე ვიხილე ბევრი ისეთი რამ, რაზედაც აქამდის მე, როგორც საერთოდ სჩვეულია ქართველებს, სრულიად არავითარი წარმოდგენა არ მქონდა და ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ყოველივე ეს ჩვენში არსებობდა. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დიდი უმრავლესობა ჩვენში, სულ მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, ამნაირივე მდგომარეობაში იმყოფება დღესაც. ამიტომ მეტი არ იქნება ხოგიერთი ჩემი შთაბეჭდილება ჩვენ მკითხველებს განვუზიარო, რათა მათში აღიძრას და გაძლიერდეს ინტერესი იმ დიდი საქმისადმი, რომელიც ამ ჟამად ფოთის რაიონში და რიონის ხეობაში დაწყებულია და კეთდება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ინტერესს და ყურადღებას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ამას შეუძლიან გაამხნეოს ის ადამიანები, რომლებიც იქ ეუშაობენ მეტად მძიმე პირობებში. რა თქმა უნდა, ამით მე სრულებით იმის თქმა არ მინდა, რომ ამის შესახებ ავსტეეთ ხმაურობა და ყვირილი, სანამ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიძლევია სიძნელენი და მიზანს არ მიგვიხწეია. მე ელაპარაკობ მხოლოდ საჭირო ყურადღებაზე როგორც პარტიის, ისე ხელისუფლების მხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიღოთ ჯერ რიონზე ნაოსნობის საკითხი. ბევრს ჩვენგანს, და მათ რიცხვში მეც, ეს საკითხი სამუდამოდ გადაჭრილი გვეგონა იმ აზრით, და რიონზე ნაოსნობა შეუძლებელი იყო*). თურმე ეს დიდი და მიუტოვებელი შეცდომა ყოფილა. მართალია, წინედ ნ. ნიკოლაძეს[1]) ეს საკითხი, როგორც აგრეთვე ფოთის ჭაობების ამოშრობის საკითხიც, მრავალჯერ აღუძრავს და საამისო პროექტებიც დაუმზადებია, მაგრამ ყოველივე ეს ფართო წრეებისთვის სრულიად უცნობი იყო, და საკითხი მიყრუდა. დღეს კი საესებით გამორკვეული და დამტკიცებულია, რომ ნაოსნობის აღდგენა რიონზე რკინის გზის სადგურ რიონამდე და, მაშასადამე, ქუთაისამდეც სულ ადვილად შეიძლება. რიონის კალაპოტის სრულიად მცირეოდენი გაწმენდით: ეს გაწმენდა საჭიროა განსაკუთრებით სამტრედიის შემდეგ, სამტრედიამდის კი პირდაპირ დღესაც შეიძლება შედარებით პატარა გემების მოძრაობა სრულიად დაუბრკოლებლად. როგორც ვთქვი ზევით, ეს საქმე დღეს შეიძლება უკვე დამთავრებულად ჩაითვალოს, ასე რომ მომავალი წლიდან მდ. რიონზე გაჩაღდება მდინარის გემების მიმოსვლა. თუ რა მნიშვნელობა ექნება და რა შედეგი მოყვება ამ საქმეს დასავლეთ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების წინ წასაწევად, ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. აქ მე აღვნიშნავ მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მე მივიღე რიონზე მოგზაურობის დროს, თუმცა მცირე მანძილზე. უნდა ვთქვა, რომ ეს პირდაპირ აუწერელი სილამაზეა, ეს რაღაც ხლაპრულ სურათს მოგაგონებთ და როცა მიდიხართ, თვალს ვერ აშორებთ რიონის მწვანე ტყით შემოსილ ნაპირებს. სად რკინის გზით მოგზაურობა, და სად მდ. რიონზე. არაეითარი შედარება. რა თქმა უნდა, რიონზე ნაოსნობის განსაკუთარებლად და უზრუნველსაყოფად უთუოდ საჭირო იქნება ამ მდინარის რეჟიმის შესწავლა და მისი მოწესრიგება.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ რიონი როდი ყოფილა ამ მხრით ერთად ერთი მდინარე ამ რაიონში, რომელზედაც შეიძლება ნაოსნობის გამართვა. ამავე რაიონში, რიონის როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ არის მთელი სისტემა მდინარეების, რომლებზედაც თითქმის ახლაც თავისუფლად შეიძლება პატარა გემების მიმოსვლა, და იმითი კალაპოტების ცოტაოდენი გაწმენდის შემდეგ ეს მიმოსვლა ხომ საესებით უზრუნველყოფილი შეიქნება. ეს მდინარეებია: რიონის მარჯვნივ ხოპი, ცივა და ცია (ულანასკნელის ტოტი), მარცხნივ: პიჩორა, რომელიც იწყება საჯავახო ნიგოითის მთებში და ჩადის პალიასტომის ტბაში, შემდეგ კაპრაჭა, რომელიც გამოდის ამ ტბიდან და ფერთდება მდ. მათალყვას. თითქმის ყველა ამ მდინარეებზე ჩვენ ეშინჯეთ დიდი მოტორიანი ნავით მოგზაურობა, და აქედან მე დავრწმუნდი, რომ განსაზღვრულ მანძილზე მაინც ყველა ეს მდინარეები ნაოსნობისათვის საესებით გამოსადეგია. მართალია, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შორ მანძილზე ნაოსნობა ამ მდინარეებზე არ შეიძლება, დაახლოვებით ამ მანძილის განსაზღვრა შეიძლება ჯერჯერობით ოცი—ოცდაათი ვერსით, მაგრამ ამასაც

*) რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით ის, რომ ფოთი—ტფილისის რკინის გზის გაკეთებამდე (1871 წ.) მდ. რიონზე დაბა ორპირამდე დადიოდენ გემებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს მნიშვნელობა მით უმეტეს, რომ ამ მდინარეებზე ნაოსნობის მოწყობა მჭიდროდ დაკავშირებულია ფოთის ჭაობების ამოშრობასთან. ყველა ეს მდინარეები, ცივა*) თავისი შტო ციათი, პიჩორა კაპრაჯა და რამდენიმედ ხობიც—მდებარეობენ პირდაპირ დაჭაობებულ ადგილებში, მაგრამ რა გასაოცარი სურათებია, როცა ამ მდინარეებზე მოგზაურობთ, განსაკუთრებით ეს ითქმის მდ. ცივაზე თავისი შტო ციათი და პიჩორაზე. იქ თვენ გრძნობთ თავს რალაც მომჯადოებელ არემარეში, სრულებით ახალ მხარეში. მე არ ვიცი, თუ ანაზე მეტი სილამაზე შეიძლება ადამიანის თვალმა იხილოს სხვა ადგილას. ჰალიასტომის ტბაც ასეთია და ჩვენ აქანდის არა თუ ვერ ვიყენებთ ამას, არც კი ვიცნობთ მას. აქამდის მხოლოდ ამ მდინარეებთან ახლო მცხოვრები გლეხობა იყენებს იმათ დიდის ვაი—ვაგლახით და წვალებით შეზის გადასაზიდავად თავის პრიმიტიულ ნაოების საშუალებით. ესაა სწორედ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, კულტურული და ტეხნიკური ჩამორჩენილობის დამამტკიცებელი საბუთი. მაგრამ ამ მხრით ჩვენ ქვეყანაში საბჭოთა წესწყობილების მეოხებით იწყება დიდი გარდატეხა, და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ყველა ზევით ჩამოთვლილ მდინარეების გამოყენება სათანადოდ მოეწყობა და იმათ მიდამოებში გაჩაღდება ახალი ცხოვრება.

საბჭოთა ხელისუფლება უკვე შეიჭრა იქ, სადაც ულსოვარ დროიდან საუსებით სტიქია ბატონობდა. გლეხებში ამ მდგომარეობამ დიდი აღტაცება გამოიწვია. ყველა ამ მდინარეების და უპირველეს ყოვლისა თვით რიონის სათანადოდ და ყოველმხრივად გამოყენებას მე ვუკავშირებ ფოთის ჭაობების ამოშრობას. როგორც იცით, ან რიონში დაჭაობებულია რამდენიმე ასი ათასი დესეტინა საუკეთესო მიწა. ეს შეიცავს რიონის ხეობის უდიდეს ნაწილს. ეს მიწები არა თუ სრულიად უნაყოფოთ ძევს, არამედ ისინი აფუჭებენ და სწამლავენ ჰაერს და მით საშინელ ვნებას აყენებენ მოსახლეობის ჯანმრთელობას. ამ ადგილების დაჭაობების ისტორია ჩვენთვის უცნობია, ის გამოკელეული არაა. ერთი რამ აქ აშკარაა, —ეს, ის რომ ამ ჭაობების დონე დაბალია როგორც მდ. რიონის, ისე ზღვის დონესთან შედარებით. და აი სწორედ უმთავრესად ეს გარემოებაა რომ ყველაზე ადვილად ამნელებს და ართულებს ფოთის ჭაობების ამოშრობის საქმეს. ეს ასე რომ არ ყოფილიყო დაჭაობებასაც ადგილი არ ექნებოდა და ეს დაჭაობება სისტემატიურად გრძელდება იმიტომ, რომ რიონი ყოველ წყალდიდობის დროს ამოდის კალაპოტიდან, და გადმოსული წყალი სისტემატიურად იგუბება ამ ჭაობებში, რადგანაც მას გასავალი აღარსად აქვა. აქედან აშკარაა, უპირველეს ყოვლისა ფოთის ჭაობიანი ადგილები ჩვენ უნდა დავიხსნათ ახალ-ახალი დაჭაობებისაგან მდ. რიონის მხრით, ე. ი. საჭიროა, რომ რიონის ნაპირები ამაღლებულ იქნან ისე, რომ წყალდიდობის დროს რიონმა აღარ გადმოიაროს თავის კალაპოტიდან ან მიუჩინოთ ამ ზედმეტ წყალს არხების საშუალებით სადენი პირდაპირ ზღვაში. ამ გზით სისტემატიური დაჭაო-

*) უნდა შევნიშნო აქ, რომ ამ სახელწოდებით ცნობილია ორი სხვადასხვა მდინარე, რომელთაგან ერთი მდინარე რიონის შტოა, მეორე კი მდ. ხობთან ერთვის პირდაპირ შავ ზღვას.

ბება, რასაც დღემდის აქვს ადგილი, შეჩერებულ იქნება და ეს უკვე თავის თავად, დიდი საქმე იქნება. გარდა ამისა ამ საშუალებით ჩვენ ვიხსნით თვით ქალაქ ფოთს წალეკვისაგან ყოველ წყალდიდობის დროს.

როგორც სჩანს, წყალია სამმართველოც სწორედ ასე მისდგომია ფოთის ჭაობების ამოშრობის ამოცანას, და სხვანაირად შეუძლებელიც იყო. პირველ ყოველისა ქ. ფოთის ერთი მხარე, საიდანაც ის ილეკება რიონიდან გადმოხეთქილი წყლით, შემოვლილია მიწის ზვინით (земляной вал), რომელიც ამიერიდან საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს ქალაქს წალეკვისაგან. ამგვარი მიწის ზვინი რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე კეთდება დღეს კიდევ წყალთა სამმართველოს მიერ ჭალადიდის რაიონში, რომლის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ არ მისცეს რიონს საშუალება ადიდების დროს ისედაც დაჭაობებულ ადგილებს კიდევ მიუმატოს წყალი. ამ ზვინების გაკეთებაზე მუშაობს დღეს იქ თითქმის ათასამდე კაცი. სამწუხაროდ, დროს უქონლობის გამო, ჩვენ ვერარ მოვასწარით ამ საშუშაოს დათვალიერება.

ჩვენ დავათვალიერეთ სხვაგვარი სამუშაო, რომელსაც აწარმოებს წყალთა გამგეობა სოფ. პატარა ფოთის რაიონში დაახლოებით 15-16 კილომეტრის მანძილზე ქ. ფოთიდან. ამ ჟამად აქ გაკეთებულია 3-4 არხი, რომლებიც იწყებიან მდ. რიონიდან და რომელთა დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მდ. რიონის ადიდების დროს, ზედმეტი წყალი მიიღოს რიონიდან და მიუშვას ის დაჭაობებულ ადგილებში სივრცით დაახლოებით 3.000 დესეტინამდე. როგორც ვიცით, ადიდებულ მდინარეს საერთოდ ყოველთვის მოაქვს ლექის (или სილა) დიდი რაოდენობა. გამოცდილება გვეუბნება, რომ—როცა ასეთი წყალი ნელნელა მიმდინარეობს, ის ლექს ტოვებს და სუფთა წყალი კი განაგრძობს დენას. ფიქრობენ, რომ ამ გზით რამდენიმე წლის, შეიძლება 5-10 წლის განმავლობაში ჭაობები თანდათან ამოივსებიან ამ ლექით (სილით) და, მაშასადამე, გაშრებიან. როგორც ხედავთ, ამას ჯერჯერობით უფრო ცდის ხასიათი აქვს; ნაყოფიერი შედეგის მიღება აქედან შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ. სისწორით ეს ჯერ თვით სპეციალისტებმა არ იციან. როგორც გადმომცა ამხ. ბახტაძემ, ასეთი ცდა მთელ ჩვენ კავშირში პირველი მაგალითია და ამიტომ ამ ცდით ცენტრში მეტად დაინტერესებული არიანო. ყოველ შემთხვევაში ერთი პრაქტიკული შედეგი ამ სამუშაოსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს არხებიც თავის მხრით უზრუნველყოფენ ქ. ფოთს წყალდიდობის ყოველივე ბიფათისაგან, რადგანაც ისინი მიიღებენ მდ. რიონიდან ადიდებულ წყალს, რომელიც დაწრეტის შემდეგ გადავა პალიასტომის ტბაში და აქედან კი მდ. კაპარჭას და მათალყვას საშუალებით ჩავა შავ ზღვაში.

როგორც ხედავთ, ამ არხების საშუალებით ჯერჯერობით შეიძლება ამოშრეს მხოლოდ ფოთის ჭაობების სულ მცირედი ნაწილი. რაც შეეხება საერთოდ ამ ჭაობების ამოშრობას, ჯერჯერობით სწარმოებს მხოლოდ იმათი შესწავლა და გამოკვლევა სხვადასხვა მხრით (ჰიდრომეტრიული, ჰიდროგეოლოგიური და სხვ.), და შემდეგ ყველა ამ გამოკვლევათა შედეგების მიხედვით უნდა შესდგეს თვით ამოშრობის გეგმაც. ამავე დროს განზრახულია ზოგიერთი მდინარეების კალაპოტების გაწმენდა დიდი ნავების და კატერების მიმოსვლისათვის, რაც თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრით ხელს შეუწყობს და გაადვილებს ამოშრობის მუშაობას. უნდა ითქვას, რომ ასეთი დიდი ჭაობების, როგორიცაა ფოთის ჭაობები, ამოშრობის გაწოცდილება ჩვენში არავის აქვს. ამიტომ საჭიროა, რომ ამ საქმეს სიფრთხილით მოვეკიდეთ, რათა ტყუილუბრალოდ არ დაიხარჯოს ფული (ფული კი ამ საქმეს მართლაც ბევრი სჭირდება); საჭიროა საგანგებით გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების (მაგ., იტალიის, მდ. პოს ჭაობების ამოშრობა) გამოცდილება.

როგორც ხედავთ, ფოთის ჭაობებია ამოშრობა მეტად სერიოზული ამოცანაა. ამ საქმეში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიჩქარით, რადგანაც ჩვენ ეხლავე გვესაჭიროება ეს ამოშრობა, რადგანაც ის მოგვცემს ჩვენ მიწის შედარებით დიდ თავისუფალ ფონდს უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის, მაგრამ მარტო აჩქარებით საქმე არ გაკეთდება, უკეთესია ცოტა გვიან, ვინემ აჩქარებით საქმე გაკეფუშოთ. ამოშრობის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, და არ უნდა გავიტაცოს მხოლოდ ერთმა რომელიმე დარგმა. ეს უნდა ითქვას, უმთავრესად, ორი დარგის: მელიორაციის და ჰიდროელექტროფიკაციის შესახებ; ეს ორი დარგი ყველაზე უფრო მჭიდროდ შეკავშირებულია ერთმანეთთან, ამიტომ მათი მუშაობა უნდა ხდებოდეს ერთი ერთმანეთთან შეფარდებით და შეთანხმებით.

ფოთის ჭაობების ამოშრობა ერთბაშათ არ მოხდება, ამას ჩვენ მივახწევთ თანდათან და სისტემატიური მუშაობით მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში; მაგრამ ჩვენ ამ მიზანს მივახწევთ. ამ საქმის მოგვარება ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ჩვენ სოციალისტურ აღშენებლობას. ის შექმნის ახალ ძლიერ ფაქტორს როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე მრეწველობის წინ წასაწევად. ამით ჩვენ შეგვემატება რამდენიმე ათეული და შეიძლება ასეული ათასი დესეტინა უნოყიერესი მიწების, სადაც შესაძლებელი იქნება მაღალი ტექნიკური კულტურის წარმოება. იქ უნდა გაშენდეს ჩაის, მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის და სხვა მცენარეთა პლანტაციები. იმედი არის, რომ ეს მიწები გამოდგებიან აგრეთვე კაუჩუკის კულტურისათვის, რაც ისე საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის და რაც ჩვენ იძულებული ვართ საზღვარგარეთიდან ვზიდოთ.

ყველა ეს ბრწყინვალე პერსპექტივები ოდნავაც ოკნებას არ წარმოადგენენ. ყველა ამას აქვს სერიოზული საფუძველი სინამდვილეში, საჭიროა ჩვენი მხრით ამ საქმეში უდიდესი ყურადღება და მუყაითობა.

მე ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სულ ახლო მომავალში დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის ნაპირების დღევანდელი სურათი სრულიად გამოიცვლება, თითქმის იმ შემთხვევაშიაც კი, თუ რომ გურიაში ნავთი არ აღმოჩნდა იმდენი, რომ მისი ექსპლოატაცია დღევანდელ პირობებში ხელსაყრელი არ გამოდგა. აქედან აშკარაა ისიც, თუ რამდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან ფოთის ჭაობების ამოშრობა და მდ. რიონზე და აგრეთვე ხოპზე, ცივაზე და პიჩორაზე ნაოსნობის გაჩაღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მიზნით, რომ მკითხველმა რამდენიმედ უფრო ნათელი წარმოდგენა იქონიოს ფოთის დაჭაობებულ რაიონზე და მის მდინარეებზე—მე აქ ვთავსებ ამ რაიონის სქემატიურ მოხაზულობას უმასშტაბოდ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. მახარაძე

საქართველოს ნაგალზე მეურნეობის განვითარების ზუთწლიანი გეგმა

★

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ)

VI

ყრილობა

★

1929 სახელგამი

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა[15])

გეგმის შედგენის სიძნელენი

ამხანაგებო, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის შესახებ მოხსენების თეზისები[19]) თავის დროზე გამოქვეყნებულ იქნა პრესაში და ვფიქრობ, ყრილობის დელეგატები უკვე იცნობენ ამ თეზისებს. მართალია, თეზისებში აღნიშნული ზოგიერთი ციფრები მეტ სისწორეს მოითხოვს, მაგრამ საქმე ციფრები კი არ არის, არამედ ის მთავარი ხაზი, რომელიც მოცემულია თეზისებში. ამიტომ ყრილობა უაღრესი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს ჩვენი გეგმის ამ მთავარ ხაზს. გარდა ამისა, ამხანაგებს საშუალება ჰქონდათ გაეცნობოდნენ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ ახლახან გამოშვებულ დიდტანიან წიგნს ქართულ და რუსულ ენებზე. ამ წიგნში, ამხანაგებო, მოცემულია ხუთწლიანი გეგმის მთავარი ელემენტების განმარტება. მართალია, ამ გამოცემას, როგორც მთელ გეგმასაც, რომელიც დაამუშავა ჩვენმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, მრავალი ნაკლი და დეფექტი აქვს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა მეტის-მეტად რთულ და ფრიად ძნელ ამოცანას წარმოადგენს. დასაბუთებლად ამისა, საკმარისია თუნდაც ის გარემოება, რომ ეს გეგმა წარმოადგენს მესამე ვარიანტს, ხოლო ზოგიერთი მისი შემადგენელი ნაწილი მეოთხე და მეხუთე ვარიანტს. ჩვენი მეურნეობის გეგმიანობის შესახებ, დიდი ხანია ლაპარაკი დაიწყეთ. ჯერ კიდევ 1920 წელს ლენინი პირდაპირ მიუდგა ამ საკითხს, და მას შემდეგ ლაპარაკი არ შეგვიწყვეტია გეგმიანობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ეხლა გახდა შესაძლებელი შეგვედგინა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, რომლის ერთ პატარა შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის გეგმაც.

ამხანაგებო, როგორც უკვე ვსთქვეთ, ამ გეგმას მრავალი ნაკლი აქვს. აქ სრულიად არ არის გამოხატული ყველა ჩვენი შესაძლებლობა; გარდა ამისა, ამ გეგმის ბევრი შემადგენელი ნაწილი, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო დარგები და ბევრი სხვა საკითხი, საკმაოდ არ არის დამუშავებული. ამის მიზეზი ძალიან ბევრია. პირველ ყოვლისა მუშაობის სიახლე, მეტადრე ჩვენი სპეციალისათვის, რომლებსაც მაღალი კვალიფიკაცია არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ და, გარდა ამისა, აკლიათ ასეთი გეგმების შესადგენათ საჭირო გამოცდილება, რადგან, როგორც ვიცით, ასეთ საკითხებს წინად არ მისდევდნენ.

მიუხედავად ჩვენი სპეციალისტების გამოუცდელობისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათი უმრავლესობა გეგმის შედგენას სერიოზულად უყურებდა და არ ზოგავდა თავის ცოდნას, გამოცდილებას და ენერგიას.

ეს გეგმა ჩვენთვის მეტად დიდ ღირებულებას წარმოადგენს ის მხრით, რომ პირველად არის მოცემული ჩვენი საბეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი ვარაუდი და პერსპექტივა. პირველად ეძლევა ყველა მუშის, ყველა მშრომელის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამ გეგმის განხორციელება საჭიროა და აუცილებელი. ჩვენ ნათლად და გარკვევით გვაქვს დასახული ამ გეგმის პრაქტიკულად შესრულების გზები, გათვალისწინებულია ის შეცდომები, რომლებსაც დღემდე ჰქონდა ადგილი და რომელნიც ჩვენს მომავალ მუშაობაში თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ყურადღების მაქსიმუმი, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი შეცდომები და დეფექტები, რასაც, მოსალოდნელია, ადგილი ექნება გეგმის განხორციელების პროცესში.

უნდა ვსთქვა, აქხანაგებო, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ნაწილია მორის, ყველაზე უკეთესად არის დამუშავებული მრეწველობის გეგმა. ამ მხრით გეგმა საკმაოდ შეეფერება ჩვენს მოთხოვნილებებს, მაგრამ, ცხადია, დეფექტები აქაც გვაქვს.

ზედმეტია იმის ნტკიცება, რომ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა შეიძლება იყოს მხოლოდ და მარტო სოციალისტური გეგმა, მხოლოდ პროლეტარულ სახელმწიფოს შეუძლია დაისახოს ასეთი ამოცანები. წინდაწინ დაგეგმოს სახალხო მეურნეობის მშენებლობის ყველა შემადგენელი ნაწილი, მისი ჰარმონიული და მიზანშეწონილი განვითარების მიზნით. ვიმეორებ, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლია დაისახოს და განახორციელოს ამგვარი დიადი ამოცანა.

ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა ჯერ კიდევ მთლად სოციალისტური არ არის, რომ მასში ჯერ კიდევ სჭარბობს კერძო მეურნეობა. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენს ის, რომ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა რაც შეიძლება ჩქარა გადაკეთდეს სოციალისტურად.

როგორც უკვე აღვნიშნე, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენა უაღრესად რთული და ძნელი საქმეა. მთავარ სიძნელეს ჯერ ერთი ის შეადგენს, რომ ჩვენ სახალხო მეურნეობას უნდა შეუქმნათ უმაღლესად ტექნიკური საფუძველი, მეორე—ჩავაყენოთ იგი სოციალისტურ კალაპოტში. ეს ამოცანა, რომ ტექნიკურად უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში იდგეს, ცხადია, ის ბევრად უფრო ადვილად გადაიჭრებოდა, რადგან იქ საჭირო იქნებოდა ამ ამოცანის პირველი ნახევრის მოგვარება. ჩვენ კი, ფიგურალურად რომ ვსთქვათ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დაეწიოთ და გაუსწროთ ამ ტექნიკურად და ეკონომიურად უაღრესად განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დროს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა წარვმართოთ სოციალისტური გზით.

ამხანაგებო, ეს ამოცანა დაგვისახეს ჩვენი პარტიის მე-14 [30]) და, მეტადრე მე-15 [31]) ყრილობებმა და ის, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავსჭრათ. ხუთწლიანი გეგმა იმ დირექტივის შესრულებას წარმოადგენს, რომელიც მოგვცა ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ მე-14 ყრილობამ.

რა თქმა უნდა, ამ გზაზე უდიდესი სიძნელეები გველოდება წინ. თქვენ იცით,—რომ ამ ნიადაგზე წაიჩოქა ბევრმა პარტიულმა ამხანაგმა. მაგრამ ჩვენ ამ გზით მაინც შეუჩერებლად მივდივართ.

ვიდრე ხუთწლიანი გეგმის მთავარ საკითხებზე გადავიდოდე, უნდა შევეხო კიდევ ზოგიერთ გარემოებას. სახელდობრ: საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ისეთი საწარმო არსებობს, რომელსაც საერთო საკავშირო მნიშვნელობა აქვს და ეს მომენტი ჩვენს გეგმაში ან სრულიად არ არის შეტანილი, ან მეტად სუსტი გამოხატულება ჰპოვა.

თუ გვინდა მთლიანი სურათი მივიღოთ, მეტად საჭიროა, რომ მომავალში ჩვენი გეგმის განხილვის დროს ამ საწარმოებმა საქართველოს სახალხო მეურნეობის გეგმაში ჯეროვანი გამოხატულება ჰპოვონ.

ცხადია, ამით არავინ არაფერს წააგებს, გეგმა კი მოიგებს, რადგან სურათი უფრო მთლიანი და ნათელი იქნება. მაგალითისათვის დავასახელებ „აზნეფტის" საწარმოებს, რომლებიც უდიდესი საკავშირო მნიშვნელობის გარდა, საქართველოს ეკონომიკაში ძალიან დიდ როლს თამაშობენ, რამაც ეჭვველად გამოხატულება უნდა ჰპოვოს ჩვენს გეგმაში. იგივე ითქმის ზოგიერთ სხვა, მაგალითად, სატრანსპორტო ხასიათის საწარმოების შესახებაც.

ჩვენი გეგმა, როგორც უკვე ვსთქვით, საკავშირო გეგმის ნაწილს შეადგენს და, ამასთანავე ერთად, დაკავშირებულია ამიერ-კავკასიის გეგმასთან. სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ დიდ ამოცანას: უაღრესად ბუმბერაზულია მეურნეობა ჩვენი კავშირისა, რომელიც გადაჭიმულია უდიდეს ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიას კი უჭირავს მსოფლიოს ერთი მეექვსედი, სხვადასხვა სიგრძედებზე და განიდებზე, სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში, დაწყებული პოლიარული და გათავებული სუბტროპიკული ზონებით.

ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, ამ უდიდეს სივრცეზე არსებობენ მრავალი სხვადასხვა ეროვნებით დასახლებული რაიონები. ამ ეროვნებებს ცარიზმის დროს ყოველნაირად სჩაგრავდნენ, ამიტომ ისინი ძალზე ჩამორჩენ კულტურულად და ეკონომიურად. გეგმას აუცილებლად უნდა გათვალისწინებია ეს გარემოება და მხედველობაში მიიღო პარტიის დირექტივა იმის შესახებ, რომ ჩამორჩენილი რაიონები გაეთანასწორებია და აემაღლებია წინწასულ და განვითარებულ ეროვნებათა დონემდე.

ამხანაგებო, საქართველოში, მის შემდეგ, რაც მას ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება და მოცემულ იქნა დირექტივა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა ეს მომენტებიც.

ასე, მაგალითად, ჩვენ, გეგმის შედგენის დროს, ვითვალისწინებდით იმას, რომ საქართველო ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილია (განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ეს უკანასკნელი გარემოება, რადგან საქართველო, აღებული მოლიანად, თავისი შემადგენელი ნაწილებით, ჩამორჩენილია კულტურულადაც). თუმცა საბჭოთა კავშირში არიან, რასაკვირველია, უფრო ჩამორჩენილი ტომებით დასახლებული რაიონები. ამავე დროს ჩვენ მივიღეთ მხედველობაში ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი არ შეიძლება გაუთანასწორდეს მთლიანად საბჭოთა კავშირის, კერძოდ, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის, უკრაინის და სხვების სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს. ცხადია, უანისოდ კავშირის ჩამორჩენილი ნაწილის გათანასწორება სხვა უფრო მოწინავე რაიონებთან, შეუძლებელია. ასე მიუდექით ჩვენც საკუთრივ საქართველოს, რომელიც გამოვყავით ცალკე, როგორც უფრო კულტურული ნაწილი. საქართველოს ჩამორჩენილი რაიონები კი, როგორიც არის აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი და აჭარისტანი, ვცდილობდით აგვეწია, რაც შეიძლება მაღლა.

თუ რამდენად გადავჭერით ეს ამოცანა, ამაზე ყრილობას შეუძლია იქონიოს მსჯელობა.

გარდა ამისა, ამ საერთო მოსაზრებებს უნდა დაურთო ერთი გარემოებაც. ეს გეგმა შედგენილია ხუთი წლის პერიოდისათვის. ამ გეგმით გათვალისწინებულია ჩვენი მეურნეობის განვითარების გზები წლების მიხედვით, ის, თუ რა თანხა უნდა იქნეს დაბანდებული ამა თუ იმ წელს, აგრეთვე რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ამა თუ იმ წელს, სად და რომელ საწარმოს უნდა ჩაეყაროს საძირკველი და როდის უნდა დამთავრდნენ და ამუშაუდნენ ეს საწარმონი. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რადგან გეგმა შევადგინეთ — გათავებულია, არავითარი ცვლილებები, არავითარი დამატებები აღარ არის საჭირო. ეს ასე არ არის. 5 წლის გეგმის გადასინჯვის დროს, ყოველ მორიგ წელს, რასაკვირველია, მოგვეხდება ამა თუ იმ ცვლილებების შეტანა ამ გეგმაში. მისი შესწორება, დამატება ან შემცირება იქ, სადაც ეს საჭირო იქნება. ფაბრიკა და ქარხანა, რომლის აგებაც გათვალისწინებულია გეგმით ერთ ადგილას, შეიძლება გადავიტანოთ მეორე ადგილას და სხვ. მაგრამ ხუთწლიანი გეგმა ამით, რასაკვირველია, არაფითარ შემთხვევაში არ ჰკარგავს იმ მნიშვნელობას, რომელსაც მას აძლევენ ჩვენი პარტია და ხელისუფლება.

ამხანაგებო, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენ გადაჭრით შეგვეძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს ეკონომიური და კულტურული სურათი ძირიანად გამოიცვლება.

კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში

გადავდიეთ რა თვით გეგმაზე, უპირველეს ყოვლისა, თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საკითხს. ეს დიაგრამა (უჩვენებს დიაგრამას), რომელიც იძლევა საერთო წარმოდგენას ამ დაბანდებებზე, არ აღნიშნავს იმ საშუალებებს და სახსრებს, რომელიც იქნება დაბანდებული სახალხო მეურნეობაში თვით მოსახლეობის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაგრამა იძლევა მხოლოდ სურათს იმ კაპიტალურ დაბანდებათა შესახებ, რომელიც იქნება გაწეული თვით სახელმწიფოს მიერ. ხუთი წლისათვის აქ ჩვენ გვაქვს ნავარაუდევი 664.613.000 მან.; თუ ამ ციფრს შევადარებთ იმ თანხას, რომელიც დაბანდებული იყო წარსულ ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობაში, მივიღებთ ზრდას 507,2%. თუ ამ კაპიტალური დაბანდებიდან გამოვაკლებთ წყალთა და რკინის გზის მშენებლობის თანხებს, მაშინ მივიღებთ ზრდას 440,4%. კერძოდ, კაპიტალური დაბანდება მრეწველობაში წარსულ წელთან შედარებით, იზრდება 555,9%-ით, უკეთუ დაბანდებებს სახალხო მეურნეობაში აიღებთ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, და შევადარებთ, თუ როგორ იზრდება კაპიტალური დაბანდებანი საერთოდ საბჭოთა კავშირის მასშტაბით და კერძოდ ჩვენში, მივიღებთ, რომ კაპიტალური დაბანდებანი საქართველოში იზრდება მეტის რაოდენობით და უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ამას აქვს ადგილი მთლად საბჭოთა კავშირში. მთლიანად საბჭოთა კავშირთან შედარებით საქართველოს სახალხო მეურნეობის ზრდა თითქმის ორჯერ მეტია. ეხლა აღვნიშნოთ, თუ როგორ ნაწილდება კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიხედვით.

კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში

ათას მანეთებში.

	27/28 წ.	28/29 წ.	29/30 წ.	30/31 წ.	31/32 წ.	32/33 წ.	5 წლში
კაპიტ. დაბანდ.	—	62.200	134.776	160.940	156.737	149.940	664.613
მათ შორის:							
მრეწველობა .	12.227	15.503	44.866	49.261	38.595	25.595	173.513
ელექტრომშენებლობა .	5.245	7.115	13.790	16.756	9.539	8.821	56.021 76.021
სოფლის მეურნეობა . .	5.322	14.824	27.560	30.916	48.000	57.098	186.398

გეგმის შედგენის შემდეგ გამოირკვა, რომ აუცილებელი ხდება კიდევ ცალი ჰიდროელსადგურის აგება, რომელზედაც დაიხარჯება დაახლოებით 20.000.000 მანეთი. სულ, ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში, ჩვენს სახალხო მეურნეობაზე დაიხარჯება 684.613.000 მან. აქედან სოფლის მეურნეობაზე დაიხარჯება არა 186.390.000 მან., არამედ 219.376.000 მან. ეს ხდება იმიტომ, რომ პირველ მაჩვენებელში არ შედის 38.232.000 მან., რომელიც უნდა დაიხარჯოს სპეციალურად სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის. მრეწველობაზე და ელექტრომშენებლობაზე კი სულ დაიხარჯება 249.534.000 მან. თეზისებში აღნიშნული ციფრები რამდენიმედ განსხვავდება აქედან. მაგ., სოფლის მეურნეობაში არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესულა 20 მილ. მანეთი, რომელიც გათვალისწინებული არის ჩაის ფაბრიკების ასაგებად. ჩაის ფაბრიკები კი ეკუთვნიან მრეწველობას, ამიტომ ეს შეცდომა შემდეგში გამოვასწორეთ და ციფრები სათანადოთ იქნა შეცვლილი. ეს ციფრები, ამხანაგებო, საერთოდ საბოლოო არ არის, შეიძლება საჭირო გახდეს შესწორების შეტანა დროსა და გარემოების მიხედვით. ცხრილში აღსანიშნავია ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში წლითი-წლობით არ მატულობს, ხუთწლედის დარგლებში, თუ შედარებას არ მოვიყვანთ 28-29 წ., 31-32 წლიდან კაპიტალური დაბანდება ყოველწლიურად კლებულობს. ეს არის, რა თქმა უნდა, ერთნაირი ნაკლი ჩვენი ხუთწლიანი გეგმისა. საჭირო არის გეგმის იმ მხრივ გადათვალიერება, რომ ეს შემცირება უკანასკნელ წლებში ახალი საალმშენებლო ობიექტების გამონახვის საშუალებით არ მოხდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ის გარემოება, რომ კაპიტალური დაბანდება მრეწველობაში ხუთწლედის უკანასკნელ წლებში ძალიან ეცემა, ეს უნდა გამოსწორებულ იქნეს. ელექტროშენებლობის დარგში ამ მდგომარეობას ალბად გამოაკეთებს ის, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ ახალ სადგურის აშენებას, რომელზედაც დაიხარჯება 20 მილ. მანეთი. სოფლის მეურნეობის დარგში კი კაპიტალური დაბანდებანი ყოველწლიურად იზრდებიან. აქ მოყვანილი ცნობები ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა არის ულიდესი მშენებლობის საალმშენებლო გეგმა და ჩვენ უნდა მოვეპყრათ დიდი სერიოზულობით და მთელი ჩვენი ძალების მობილიზაციის გზით, თუ გვინდა, რომ კაპიტალური დაბანდებანი საკუთარი იქნას განხორციელებული.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

მრეწველობის პროდუქციის ზრდა

გადავდივარ მრეწველობაზე. აქ დიაგრამაზე ჩვენ გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, მთელი ჩვენი ცენტრალური მრეწველობის საერთო პროდუქცია. მოვიყვანოთ ცნობა, თუ როგორ იზრდება ცენტრალური მრეწველობის საერთო პროდუქცია:

27-28 წ.	. . . . . 52.931.000	მან.
28-29 წ.	. . . . . 84.971.900	„
29-30 წ.	. . . . . 126.568.900	„
30-31 წ.	. . . . . 165.765.399	„
31-32 წ.	. . . . . 210.430.800	„
32-33 წ.	. . . . . 266.261.200	„

აქ მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, რომ ცენტრალური მრეწველობის პროდუქცია 27-28 წ. შედარებით იზრდება 403%-ით; ვნახოთ, თუ როგორ იზრდება ცენტრალური მრეწველობის პროდუქციის სასაქონლო ნაწილი, ე. ი. ის ნაწილი, რომელიც მრეწველობას ბაზარზე გააქვს.

27-28 წ.	48.329,6
28-29 წ.	78.004,2
29-30 წ.	116.823,1
30-31 წ.	153.830,2
31-32 წ.	196.542,4
32-33 წ.	250.671,4

ამრიგად პროდუქცია, რომელსაც მრეწველობა უშუალოდ გამოიტანს ბაზარზე 27-28 წლებთან შედარებით იზრდება 418,7%, როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორე შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს აბსოლუტურ ციფრებში ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის ზრდის შეუნელებელი ტენდენცია. აქ აღსანიშნავი არის ის, რომ მოყვანილ ციფრებში არ შედის პროდუქცია ელექტრო-მრეწველობის.

ტემპი მრეწველობის პროდუქციის ზრდისა

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო არის გეგმით გათვალისწინებული მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპი. როგორც ვიცით, საერთო პროდუქცია ჩვენში იზრდება 103%-ით; საკავშირო მასშტაბით ეს ზრდა ხუთწლედით გათვალისწინებულია ბევრად ნაკლები, და ოღრის ოპტიმალური ვარიანტის თანახმად 164%-ს მთელი ხუთწლედის განმავლობაში. ეხლა მე მოვიყვან ფაქტიურ ცნობებს ზრდის ტემპის შესახებ პროცენტებში, ცალკე წლების მიხედვით. საერთოდ მთელი მრეწველობის და სმუს-ის ხაზით:

მთელი მრეწველობა:		ს. მ. უ. ს.
28-29 წ.	60,5%	55,0
29-30 წ.	48,9 „	54,7
30-31 წ.	30,9 „	33,6
31-32 წ.	26,9 „	27,0
32-33 წ.	26,5 „	24,5

მაგრამ აქ საჭიროა განვმარტოთ ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. როგორც თქვენ შენიშნეთ, ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპი პირველ წლებში მეტად ძლიერია, ხოლო შემდეგ, ხუთი წლის დამლევისათვის, თანდათან მცირდება, ასე 60,5%-დან 26%-მდე, მაშინ, როდესაც საკავშირო მრეწველობის ზრდის ტემპი დაახლოებით სდგას ერთ დონეზე 22—23%.

აიხსნება ეს შემდეგი გარემოებით: ჩვენში მრეწველობა წინეთ თითქმის არ ყოფილა; ამიტომ ყოველი ახლად ამუშავებული ქარხანა ან ფაბრიკა აუცილებლად და ერთბაშად უდიდეს ეფექტს იძლევა. შემდეგში ეს ტემპი ცოტათი კლებულობს. თუმცა მაინც უფრო მაღალია, ვიდრე კავშირის მასშტაბით. ხუთწლიანი გეგმის ეს ნაწილი აუცილებლად გადათვალიერებულ უნდა იქნეს. ხუთწლედის უკანასკნელსა და პირველ წლებში ტემპი პროდუქციის ზრდისა სმუს-ის ხაზით მთელ მრეწველობასთან შედარებით, საგრძნობლად ნაკლებია. საჭირო არის ახალი ობიექტების გამონახვა, ქარხნების რაოდენობე ცვლაზე გადაყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განუწყვეტელი კვირის შემოღება. ამ მხრივ ყველა ეს ღონისძიებანი თუ ცხოვრებაში იქნება გატარებული—საგრძნობ ეფექტს მოგვცემს. ეხლა მე მოვიყვან ცნობას, თუ როგორ იზრდება პროდუქცია ცალკე სამრეწველო დარგების მიხედვით, ორ ჯგუფად—ძძიმე და მსუბუქ მრეწველობის დაყოფით.

აი ამის მაჩვენებელი:

ძძიმე მრეწველობის საერთო პროდუქცია

	27/28 წელი	32/33 წელი	ზრდა %%-ში
ქვანახშირი	92,02 ათ. მან.	10.443,0 ათ. მან.	1,034,4
შავი ქვა	2.290,0 „ „	21.550,0 „ „	649,1
ლითონი	4.855,1 „ „	11.191,9 „ „	130,5
საღმუ. მასალა	7.884,0 „ „	44.526,5 „ „	464,8
ქიმიური	171,7 „ „	2.734,1 „ „	1.492.4

. მსუბუქი მრეწველობა

	27/28 წელი	32/33 წელი	ზრდა %%-ში
ქსოვილები	4.140,3 ათ. მ.	28.115,0 ათ. მან.	579,1
ტანსაცმელი			
და ტუალეტი	2.324,0 „ „	41.460,0 „ „	1.684.0
ტყავეულობა			
(ფეხსაცმელი)	3.348,2 „ „	9.682,4 „ „	189,2
ქაღალდის მრეწ	656,6 „ „	7.200,0 „ „	—
პოლიგრ. მრეწ.	1.498,9 „ „	2.347,2 „ „	56,2
ფემო-კეფბის	17.918,9 „ „	60.922,1 „ „	940,0

საერთოდ ძძიმე მრეწველობის პროდუქცია იზრდება 414,4%-ით, მსუბუქი მრეწველობის—395,5%-ით, აქედან ის დასკვნა უნდა გაეაკეთოთ, რომ საერთოდ ძძიმე მრეწველობა იზრდება უფრო, ვინემ მსუბუქი.

ძძიმე და მსუბუქი მრეწველობა

ჩვენი მრეწველობა, როგორც თქვენ იცით, ორ კატეგორიათ იყოფა: ერთის მხრივ არის დარგი ან დარგთა ჯგუფი, რომლებიც ამზადებენ წარმოების საშუალებებს; მეორეს მხრივ—დარგი ან დარგთა ჯგუფი, რომლებიც ამზადებენ უშუალო მოხმარების საგნებს, მასიურ საგნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ იცით აგრეთვე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული კურსი ამ ორი ჯგუფის განვითარების საქმეში. ჩვენი მრეწველობის განვითარების ქვა-კუთხედათ ჩვენ მიგვაჩნია პირველი ჯგუფი. ამაზე არ შეეჩერდები, მე მგონია ყველამ იცის, რომ ასეთია ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი.

მაგრამ როგორია ამ ორი ჯგუფის ურთიერთ დამოკიდებულება. სრულიად საკავშირო მასშტაბით დაბანდებათა 78%-ტი ხმარდება „ა" ჯგუფს, ე. ი. მძიმე მრეწველობას, მაგრამ იქ წინადაც არსებობდა მძიმე მრეწველობა, არსებობს ლითონის მრეწველობა, მანქანათსაშენებელი მრეწველობა, რომელიც უკვე ვითარდება. ეს დარგები ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება; მიუხედავად ამისა პირველი ჯგუფის დარგები ჩვენ მაინც გვაქვს; როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის ჩვენში, საქართველოში? პირველ ჯგუფზე დაიხარჯება 111.671 ათასი მანეთი, ე. ი. 64,4%, ხოლო მეორეზე—61.842 ათასი მანეთი, ანუ 35,6%. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაცულია საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში.

მუშათა რიცხვი

მუშათა რიცხვი ცენტრიან მრეწველობაში ამჟამად უდრის 17.652. 1932-33 წელს კი ეს რიცხვი უნდა ავიდეს 33.214-დე, ე. ი. მუშათა რიცხვი გაიზრდება 159%-ით; საბჭოთა კავშირში კი მუშათა რიცხვი ოპტიმალური ვარიანტის თანახმად იზრდება 32%. როგორც ხედავთ, ჩვენში მუშათა რიცხვი იზრდება ოთხჯერ უფრო მეტი სისწრაფით, ვიდრე საბჭოთა კავშირში. აქ მოყვანილ ცნობებში არ შედის მოსამსახურეთა პერსონალი, როგორიც არის კანცელარიის მოხელენი, ინჟინრები, ტექნიკოსები, მრეწველობის აპარატში მოსაცსახურენი და სხვ.

შრომის ნაყოფიერების და ხელფასის საკითხი

შრომის ნაყოფიერების და ხელფასის საკითხი ჩვენ პირობებში, რა თქმა უნდა, უდიდეს ამოცანას წარმოადგენს. ჩვენ ვერ შეუსძლებთ საბჭოთა ეკონომიკის განვითარებას, თუ არ ავსწიეთ შრომის ნაყოფიერება. თუ როგორ იზრდება შრომის ნაყოფიერება და შრომის ხელფასი, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

	27-28 წ.	28-29 წ.	29-30 წ.	30-31 წ.	31-32 წ.	32-33 წ.
1. გამომუშავება 1 მუშაზე 26-27 წ. თვიურად .	338,3	397,3	451,6	513,1	593,1	653,6
2. საშუალო თვიური ხელფასი 1 მუშაზე	60,47	63,23	66,12	69,12	72,63	75,86

ამ ვარიანტით შრომის ნაყოფიერება იზრდება 93,2%-ით, და მუშის ნომინალური ხელფასი 25,5%-ით. საბჭოთა კავშირში კი შრომის ნაყოფიერება იზრდება ოპტიმალური ვარიანტის მიხედვით 110%-ით, ხელფასი 46,9%-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ხედავთ, ჩვენში დამოკიდებულება ხელფასს და შრომის ნაყოფიერებას შორის არ არის ნორმალური, ამიტომ ეს ნაწილი გეგმისა, როგორც ეს ნათქვამია თეზისებში, უნდა გადაეთვალიეროთ და მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზრდას 110%-მდე ხელფასის ნომინალური და რეალური-კი 71%-მდე. შრომის ნაყოფიერების ასეთი ზრდა, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული ხუთწლიანი გეგმით, ძლიერ დიდ ცვლილებებს შეიტანს პროდუქციის ზრდის საკითხში. ამას შეუძლია ძირიანად შეესცვალოს სურათი მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპისა და თავიდან აგვაშოროს უკანასკნელ წლებში ამ ტემპის შენელება.

თვითღირებულების და გასაყიდ ფასების შემცირება

ის, რასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, როდესაც მრეწველობის შესახებ ელაპარაკობთ, არის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხი—მშენებლობის გაიაფება და ფასების შემცირება. ამ ამოცანების სასურველად გადაჭრა წარმოადგენს აუცილებელ პირობას ჩვენი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. არ დავღალავ თქვენს ყურადღებას ამ საკითხზე ბევრი ლაპარაკით. ამაზე ისედაც ბევრს ლაპარაკობენ ყრილობებზე, კონფერენციებზე და თათბირებზე. მე აქ მოვიყვან მხოლოდ ერთ ადგილს ამხ. კრეიანოვსკის [52]) სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა მე-16 პარტიულ კონფერენციაზე. [53])

აი რას ამბობს იგი:

„თუ თქვენ წარმოიდგენთ, რომ შემცირების ეს 42%-ტი (საშუალოდ) შეადგენს ეკონომიას 12 მილიარდი მანეთის რაოდენობით, დავინახავთ, რომ თვითეული პროცენტი მშენებლობის ღირებულების შემცირებისა დაახლოებით იძლევა 400 მილიონი მანეთის ეკონომიას“.

აი, რა რეალური მნიშვნელობა აქვს თვითღირებულების შემცირებას. ამიტომაც ჩვენ მუდამ ხაზს ვუსვამთ ამ გარემოებას როგორც ისეთ რამეს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში, რაც ბოლოს და ბოლოს ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას ჩვენში. ჩვენი გეგმით, გათვალისწინებულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 30%-ით. მთელი საბჭოთა კავშირის ხაზით კი, ოპტიმალური ვარიანტის მიხედვით, გათვალისწინებულია 35%-ით. ამიტომ ჩვენშიდაც უნდა ვეცადოთ გაეატაროთ შემცირება საერთოდ მიღებულ პროცენტების ფარგლებში. ეს მით უმეტეს არის საჭირო, რომ საქართველოს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება შედარებით უფრო დიდია. ამიტომ მრეწველობის დარგთა მთელი რიგი დეფიციტიანია, რადგანაც მათ უბდებათ ნაწარმოების გაყიდვა პროდუქციის თვითღირებულებაზე უფრო დაბალ ფასებში. ფასების შემცირება (საბითუმო) გათვალისწინებული არის 20%-ით, დარგების მიხედვით ძირძე მრეწველობაში ფასები უნდა შემცირდეს 20%-ით, მსუბუქ მრეწველობაში 21,5%-ით. საბჭოთა კავშირის ხაზით კი ოპტიმალური ვარიანტი გულისხმობს 24%-ით შემცირებას. რა თქმა უნდა, ჩვენშიაც უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ საბჭოთა კავშირისთვის საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდ დაწესებულ პროცენტს. გეგმით გათვალისწინებული არის საალმშენებლო მასალის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 29,1%-ით, აღმშენებლობა კი უნდა გაიაფდეს 47%-ით. თუ როგორ შემცირდება თვითღირებულება მრეწველობის პროდუქციისა, მრეწველობის „ა" და „ბ" ჯგუფში, ამას გვიჩვენებს აი ეს ცნობები:

„ა" ჯგუფში

სამადნო მრეწვ.	31,3%
შავი ქვის „	35,0 „
ქვანახშირის „	34,1 „
ლითონის „	33,9 „
საალმშენებლო	29,1 „
აგურ-კრამიტის და კირის	34,0 „
ტყისა და ხის დამუშავ.	30,2 „

„ბ" ჯგუფში

ქსოვილების მრეწველ.	29,4%
აბრეშუმის სახვევ „	35,3 „
საპნის „	27,9 „
ტყავეულობის „	21,0 „
ზეთსახდელ „	34,7 „
საკონსერვო „	43,4 „
თამბაქოს „	27,6 „

საფაბრიკო საქარხნო თვითღირებულება პროდუქციისა სმუს-ის ხაზით უნდა შემცირდეს 30%-ით, საშუალო პროცენტი შემცირებისა—ჯგუფი „ა" უდრის 25,5%-ს, ჯგუფი „ბ" 30,4%-ს.

ელექტროფიკაცია

ეხლა გადავდიეარ ელექტროფიკაციაზე. ეს საქმე ჩვენში საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება, უფრო სწრაფად, ვიდრე სხვაგან. გეგმა იძლევა ჰიდრო-ელსადგურების რიცხვის შემცირებას, ეს ბუნებრივია; რაც უფრო მეტი დრო გავა ხუთი წლის მანძილზე, სადგურების რიცხვი მით უფრო შემცირდება, რადგან ჩვენ გადავდიეართ რაიონულ სადგურებზე, რითაც პატარა სადგურები თანდათან გაუქმდებიან. წარსული ხუთი წლის განმავლობაში ამას ადგილი არ ქონია. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ამ მხრივ საგრძნობ ეფექტს მივიღებთ. ჩვენი ელექტროსადგურების ძალა უდრის 20.850 ათას კილოვატს, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის მივიღებთ 86,944 ათას კილოვატს. ელექტროენერგიის გამომუშავება 31,7 მილიონი კილოვატ-საათიდან ავა 431,3 მილიონ კილოვატ-საათამდე. მოხმარება კი 27,7 მილიონი კილოვატ-საათიდან 375,3 მილიონ კილოვატ-საათამდე.

ასეთია ზრდის ზოგადი მაჩვენებლები. ამასთან უნდა ითქვას, რომ დიდ გარდატეხას ჩვენ მიეღებთ 1932/33 წელს. ეს იმით აიხსნება, რომ ამ წლებში დაიწყებს მოქმედებას რიონჰესი, თვალსაჩინოთ გაიზრდებიან ზაჰესის და აბჰესის აგრეგატები.

ჩვენ უკვე ზევით აღვნიშნეთ, რომ ელექტროფიკაციაზე დაიხარჯება დაახლოვებით 76.000 ათასი მანეთი.

უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, ის, თუ ვინ იქნება ელექტროენერგიის მთავარი მომხმარებელი. უწინარეს ყოვლისა—მრეწველობა. ენერგიის უდიდესი რაოდენობა მოხმარდება ჩვენს მრეწველობას, მაგრამ ელექტროენერგიის მოხმარება განსაკუთრებით გაიზრდება მაშინ, როცა ჩვენ ავამუშავებთ ფერო-მარგანეცის ქარხანას, რომლის ნაყოფიერება თანდათან გაიზრდება: 31-32 წელს იგი გამოიმუშავებს 40.000 ტონას, 32-33 წელს—50 ათას ტონას, ხოლო 33-34 წელს გეგმით გათვალისწინებულია 150 ათას ტონამდე გამომუშავება. ეს მოითხოვს 400 მილიონ კილოვატსაათზე მეტ ენერგიას და, რადგან ზაჰესი და რიონჰესი ამ დროისათვის უკიდურესათ დაიტვირთებიან, საჭირო გახდება უფრო მძლავრი ჰიდრო-ელსადგურების აგება, მაგრამ ამაზე მე კიდევ ვილაპარაკებ ქვემოდ, ხოლო ეხლა მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციფრი, რომელიც გვიჩვენებს ენერგიის ხარჯს თვითეულ საბრეწველო მუშაზე: 1928-29 წ. თვითეულ მუშაზე იხარჯებოდა 498 კილოვატ საათი, ხოლო 33 წლის დამლევისათვის დაიხარჯება 2.720 კილოვატ-საათი. თქვენ ხედავთ, თუ რა კოლოსალურ ზრდას აქვს აქ ადგილი. სახლში მოხმარება ენერგიისა ქალაქის მოსახლეობის თვითეულ სულზე 28-29 წელს შეადგენს 25 კილოვატ-საათს, ხოლო 32-33 წელს კი 39,1 კილოვატ-საათს.

მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა

საგეგმო კომისიამ დღემდე ვერ შესძლო მრეწველობის მუშაობის ფინანსიური მაჩვენებლების გამორკვევა მთელი ცენტრალური მრეწველობის ხაზით, სმეს-ის ხაზით კი ეს შესაძლებელი შეიქნა. ხუთწლედით გათვალისწინებული არის მოგება 35.430.900 მან. რაოდენობით. ამასთანავე ხუთწლედში დაგროვდება საამორტიზაციო თანხა 13.566.400 მან. ამრიგად, მრეწველობის საკუთარი დაგროვება ხუთწლედში გამოიხატება 28.825.500 მან. მოგებიდან უნდა გამოირიცხოს სხვადასხვა საჭიროებისათვის შემდეგი თანხა:

1. წინა წლების და ზარალის დასაფარავად	1.493,3	ათ. მან.
2. სხვადასხვა გადასახადების და ანარიცხების . .	13.459,5	„ „
3. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი და სამრეწველო ფონდი	1.991,5	„ „
4. გრძელვადიანი საკრედიტო ბანკის	2.588,0	„ „
5. უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების საჭიროებისათვის	641,4	„ „
	20.171,7	ათ. მან.

ამ მაჩვენებლებიდან აშკარად სჩანს, რომ მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა საკმარისად გაუმჯობესდება ხუთი წლის ბოლოსათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალურ დაბანდებათა განაწილება სხვადასხვა მიზნებისათვის

ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ნაწილდება ის 173.513.000 მან., რომელიც გადადებული არის კერძოდ მრეწველობისათვის (უელექტროფიკაციით). ამ თანხის განაწილების სურათს გვიხატავს შემდეგი:

1. ახალი წამოწყებები	145.757.000 მან.	84%
2. არსებულ ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტ-რუქცია და გაფართოება	18.986.000 „	10,9 „
3. კაპიტალური რემონტი	2.921.000 „	1,7 „
4. სამეცნიერო კვლევითი მუშაობა	5.749.000 „	3,4 „
სულ . . .	173.513.000 მან.	100%

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ კაპიტალური დაბანდება უმთავრესად მიმდინარეობს ახალი აღმშენებლობის ხაზით. ეს ასედაც უნდა იყოს, რადგან საქართველოს პირობებში, რომელიც წარმოადგენდა წვრილ მრეწველობის ქვეყანას, მხოლოდ ეხლა იწყება მრეწველობის ნამდვილი განვითარება. ამიტომ ხუთწლედით გათვალისწინებული კაპიტალური თანხები უმეტეს ნაწილად ხმარდება ახალ მშენებლობას.

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება

სოციალური დაზღვევა

ხუთწლიანი გეგმით დაზღვეულთა რაოდენობა გადიდებული იქნება 122.000-დან 152.400-მდე, ეს შეადგენს ზრდას 24,5%.

სოციალური დაზღვევის ხარჯები 16 მილ. მან.-დან გადიდდება 22,5 მილ. მანეთამდე. ზრდა უდრის 41%-ს.

პენსიონერთა რიცხვი გაიზრდება (როგორც ეს გათვალისწინებულია არსებული ცნობების მიხედვით) 9.380-ან 17.800-მდე, ე. ი. 90%.

დახმარება ქალშვილების უმუშევარ წევრთათვის გაიზრდება თვეში თითო კაცზე 16 მანეთიდან 26 მან. 20 კაპიკამდე.

გარდა ამისა, დასაკვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საჭიროებისათვის ამ ხნის განმავლობაში დაიხარჯება 3,5 მილიონი მანეთი.

თქვენ იცით, რომ საწარმოებში შემოღებული იქნება 7 საათის სამუშაო დღე. აგვარად, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 44,6 საათიდან შემცირდება 40 საათამდე. საზღვარგარეთ ამჟამად სამუშაო კვირის ხანგრძლივობა შეადგენს 47-დან—49,6 საათამდე.

ქალაქისა და სოფლის კეთილდღეობის დონე საერთოდ აიწევს 50 პროცენტით, ამასთან შემოსავლის თითო სულზე ზრდა (აქ მხედველობაშია მთელი კავშირის მოსახლეობა) შეადგენს 70 პროცენტს. რეალური სამუშაო ხელფასი მოიმატებს 70%, თუ მხედველობაში მივიღებთ ერთი მხრით რეალური ხელფასის გადიდებას, ხოლო მეორეს მხრით—მოხმარების საგნების გაიაფებას. ამას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან. როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქცია შესამჩნევად იზრდება. გეგმით გათვალისწინებული არის სამრეწველო პროდუქციის მოხმარების ზრდა 455%. ეს პროცენტი სავსებით უზრუნველყოფს მშრომელთა კეთილდღეობას.

უმუშევრობის შემცირება

აქვე უნდა ითქვას, რომ უმუშევრობის საკითხი მთლიანად კიდევ ვერ გადაწყდება მომავალი ხუთი წლის განმავლობაში. უმუშევრობა მთელ კავშირში, ხუთწლედის დამტკიცებული ვარიანტით შემცირდება 54 პროცენტით, ხოლო ჩვენში, სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით — 30 პროცენტით.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას ვემყარებით, როცა ვითვალისწინებთ უმუშევრობის ასეთ შემცირებას. ჩვენ ვემყარებით იმ ღონისძიებებს, რომლებსაც გავატარებთ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში. როგორც, მაგ., შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, მრეწველობის ზრდა, ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგება და სხვ. ყველა ეს ღონისძიება გაადიდებს მუშათა რიცხვს და მუშათა ახალ რაზმებს ჩააბამს წარმოებაში,

აგრეთვე, ის ღონისძიებანი, რომელნიც ამ ხნის განმავლობაში მიღებული იქნება სოფლის მეურნეობის ხაზით და სოფლის კეთილდღეობის საგრძნობლად გასაუმჯობესებლად — აღარ აიძულებს სოფლის ზედმეტ მოსახლეობას წავიდეს ქალაქში სამუშაოს საშოვნელად. ამგვარად, საწარმოო ძალების გადიდება სოფლის მეურნეობაში, ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგება, სოფლად ახალი კულტურების მოშენება, მიწების მორწყვა, ჭაობების ამოშრობა და ყველა ის ღონისძიება, რომლის განხორციელებაც განზრახულია ამ ხნის განმავლობაში, შეამცირებს სოფლის ღარიბი მოსახლეობის ქალაქში გადასვლას. აი ის ფაქტორები, რომლებმაც უნდა შეამცირონ უმუშევრობა; მაგრამ შეიძლება თუ არა საკმაოდ ჩავთვალოთ უმუშევრობის შემცირება 30 პროცენტით? პარტიამ უნდა მიაღწიოს უმუშევრობის უფრო მეტად შემცირებას, ხოლო ყრილობამ უნდა დაავალოს ცკ-ს შეიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

მუშათა საბინაო მშენებლობა

ამასთან დაკავშირებით სდგას საკითხი მოსახლეობისათვის საბინაო ფართობის საშუალო ნორმის შესახებ. ამჟამად ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობების მიხედვით თითო სულზე მოდის ბინის საცხოვრებელი ფართობი 5,6 კვ. მეტრის რაოდენობით. ეს ნორმა ნაწილდება ამგვარად: მუშებზე საშუალოდ მოდის 4,6 კვ. მეტრი, კერძოდ ფაბრიკა-ქარხნების მუშებზე — 5,7 კვ. მეტრი. ხუთი წლის დამლევისათვის განზრახულია ეს ნორმა გადიდებულ იქნეს 7,5 კვ. მეტრამდე თითო სულზე. არსებულ საბინაო ფართობს განზრახულია მიემატოს 1.158.000 კვ. მეტრი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი საბინაო მშენებლობა მოითხოვს 134 მილ. მანეთის დაბანდებას. სახელმწიფო საგეგმო კომისია კი ამ პერიოდის განმავლობაში ვარაუდობს მხოლოდ 52.182.000 მან. დაბარჯვის შესაძლებლობას. ამ თანხიდან ადგილობრივ სახსრებზე მოდის — 33.287.000 მან.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი მილიონი მანეთის დამატებით, რომელიც შესდგება აღმასკომების შემოსავლის ანარიცხებიდან, საშუალური საბინაო ფონდის წყაროებიდან ნავარაუდევია 7.800.000 მან. დახარჯვა.

საბინაო ქირის საშუალო ნორმა ამჟამად შეადგენს 17,3 კაპ. კვ. მეტრზე, ხუთი წლის დამლევისათვის კი სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით ქირის ნორმა გაიზრდება 22 კაპ.-მდე. აი, საერთოდ ის ცნობები, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ მუშათა კლასის კეთილდღეობის საკითხებთან. ცხადია, ეს საკითხი მეტად დიდი და მნიშვნელოვანია და მისი ამოწურვა ზემომოყვანილი ცნობებით შეუძლებელია.

სოფლის მეურნეობა

ნათესი არეს დინამიკა

საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას უდრიდა ნათესი არე 27-28 წელში და როგორ გაიზრდება იგი 32-33 წლისათვის. საბჭოთა კავშირის მასშტაბით მთელი ნათესი არე ოპტიმალური ვარიანტის მიხედვით უნდა გაიზარდოს 22,5%-ით. საქართველოში ჩვენ მიზნად ვისახავთ ნათესი არეს გადიდებას 25,1%-ით. როგორც ხედავთ ტემპი ზრდისა საქართველოში უფრო სწრაფია აღებული, ვიდრე საბჭოთა კავშირში. ნათესი არეს ზრდას დიდად შეუწყობს ხელს მორწყვა და ჭაობების ამოშრობა (მელიორაცია). 27-28 წელში, რომელიც ამ ხუთწლედის გამოსავალ წლად ითვლება, მთელი ნათესი არე საქართველოში უდრიდა 810.200 ჰექტარს, 32-33 წელში კი იქნება 1.001.500 ჰექტარი. მოსახერხებელია თუ არა ნათესი სივრცის მეტად გადიდება? ყოველ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ამ ზრდის დაპირისპირება მთელი საბჭოთა კავშირის ნათესის სივრცის ზრდასთან მაინც მეტია. ეხლა, თუ ავიღებთ, როგორ ნაწილდება ნათესი არე სხვადასხვა კულტურების მიხედვით, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ნათესი არეს განაწილება:

	1927-28 წ.	1932-33 წ.	ზრდა %%-ში
ნათესი არე 1000 ჰექტარზე	800,2	1.001,5	25,1
მ ა თ შ ო რ ი ს:			
მარცვლეული კულტურა	758,6	872,9	15,1
ტექნიკური კულტურა	22,3	54,6	144,8
სხვა კულტურები	19,3	74,0	—

ჩვენში, როგორც ხედავთ, მარცვლეული კულტურის ნათესი არე იზრდება 15,1%-ით, საბჭოთა კავ. 14,3%-ით, ტექნიკური კულტურების ფართობი ჩვენში იზრდება 144,8%-ით, საბჭოთა კავშირის მასშტაბით კი ოპტიმალური ვარიანტის მიხედვით 61,2%-ით. როგორც ხედავთ აქაც ტემპი უფრო მაღალი არის აღებული, ვიდრე მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბით. თუ ჩვენ ეხლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვყოფთ ტექნიკური კულტურებიდან ისეთ კულტურებს, როგორიც არის თამბაქო, ბამბა, კენაფი,—მათი ზრდა 5 წლის განმავლობაში შეადგენს: ბამბის 27-28 წელთან შედარებით 413,5%; კენაფი—898,2%-ს, თუთუნი—149,4%-ს. შეიძლება ითქვას, რომ ტემპი ნათესი არეს ზრდისა უზრუნველყოფილი არის, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალში მრეწველობა დაუბრკოლებლივ მოვამარაგოთ ზემოდასახელებული კულტურების ნედლეულით.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია

მას შემდეგ რაც ჩვენ გავეცანით, თუ როგორ გადიდდება ნათესი არე, როგორი ცვლილება მოხდება ამ მხრით, საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ ეფექტს გამოიღებს ყოველივე ეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის საქმეში. თუ როგორ იზრდება საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მისი სასაქონლო ნაწილი, და აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების პროდუქცია, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

	1927-28 წ.	1932-33 წ.	ზრდა %%-ში
1. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულება 26/27 წ. ფასებში (ათას მან.)	268.010,6	384.122,9	43,3
მათ შორის:			
მცენარეულობა	170.425,1	251.612,2	47,6
ტექნიკური კულტურა	15.537,3	32.361,1	108,3
მეცხოველეობა	97.585,55	132.510,7	35,8
2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო ნაწილის ღირებულება 26/27 წ. ფასებში (ათას მან.)	81.792,4	158.689,0	94,0
მათ შორის:			
მცენარეულობა	46.776,8	94.266,1	102,0
მესაქონლეობა	35.115,6	64.422,9	83,5
ტექნიკური კულტურა	14.572,1	31.867,2	118,7

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია იზრდება 43,3%-ით, საბჭოთა კავშირის მასშტაბით კი მიღებული არის ოპტიმალური ვარიანტის მიხედვით 54,7%. როგორც ხედავთ საბჭოთა კავშირის მასშტაბით უფრო მაღალი ტემპია აღებული, ვიდრე ჩვენში. ასეთსავე სურათს აქვს ადგილი სხვა კულტურების მხრით. მცენარეულობის საერთო პროდუქცია ჩვენში იზრდება 47,6%-ით, საბჭოთა კავშირში კი—57%-ით. მესაქონლეობის საერთო პროდუქცია ჩვენში იზრდება 34,8%-ით, საბჭოთა კავშირში კი—50,3%-ით. გეგმის ეს ნაწილი აუცილებლად გადათვალიერებული უნდა იქნეს იმ მხრით, რომ გაუთანასწორდეთ საბჭოთა კავშირის მასშტაბით გათვალისწინებულ ზრდას. ეხლა თუ ავიღებთ სოფლის მეურნეობის სასაქონლო ნაწილის პროდუქციას, დავინახავთ, რომ ჩვენში ის იზრდება 94%-ით, საბჭოთა კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირში კი—105%-ით. მცენარეულობის სასაქონლო პროდუქცია—ჩვენში იზრდება 102%-ით, საბჭოთა კავშირში კი—142%-ით. მესაქონლეობის პროდუქცია ჩვენში იზრდება 83,5%-ით, საბჭოთა კავშირში კი—97%-ით (მხედველობაში მიღებულია ხუთწლედის ოპტიმალური ვარიანტი). ამრიგად, ჩვენ ვხედავთ როგორც საერთო პროდუქციის, ისე მისი სასაქონლო ნაწილის ზრდა ჩვენში დიდათ ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირში. ცხადია, ეს უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს პურეულ ბალანსზე, თუ ჩვენი მიღწევა უფრო დიდი არ იქნა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია. ამ შემთხვევაში კვლავ უნდა შემოვზიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქცია სხვა მეზობელ რესპუბლიკებიდან და შეიძლება საზღვარ-გარეთიდანაც. რომ ეს პროცესი შევანელოთ, საჭიროა აუცილებლად განვახორციელოთ თუ მეტი არა, ზრდის ის ნორმები მაინც, რომელიც გათვალისწინებული არის საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ჩვენ გეგმაში გვაქვს მესაქონლეობის დარგის ისეთი ნაწილი, როგორიცაა შინაური მეფრინველეობისა და მელორეობის განვითარება. ეს საკითხი საკმაოდ არ არის დამუშავებული. თუ გეგმის ამ ნაწილს გადავსინჯავთ, გადავათვალიერებთ და გამოვიყენებთ მასეების ინიციატივას, აუცილებლად მეტ ზრდას მივაღწევთ, ეს კი დადებითად იმოქმედებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდებაზე. ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ თამბაქო ბოროტება არის, მაინც უნდა მივაქციოთ ყურადღება მის განვითარების საქმეს, რადგან ის არის საექსპორტო პროდუქტი. მეორე მხრივ მომავალში უნდა ავიღოთ კურსი იმ კულტურების გადიდებაზე, რომლებიც შეიძლება არა მარტო შინაურ მოხმარების საგნებად გამოვიყენოთ, არამედ უმთავრესად ექსპორტისათვის. ასეთი კულტურები ჩვენ გვაქვს, მაგ., ჩაი, სამკურნალო მცენარეები და სხვ. იმ მიზნით, რათა თქვენ სრული წარმოდგენა გქონდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, თუ რომელი კულტურა რას მოგვცემს, როგორ გაიზრდება, მე მოვიყვან კიდევ რამოდენიმე ცხრილს: მარცვლეულობისა, მესაქონლეობისა და ტექნიკური და სპეციალური კულტურების შესახებ, აი, ეს ცხრილები:

	1927-28 წ.			1932-33 წ.		
	საერთო პროდუქცია	სასაქონლო ნაწილი	საქონლიანობა %	საერთო პროდუქცია	სასაქონლო ნაწილი	საქონლიანობა %
ხორბალი	20.269,0	101,3	0,5	28.911,9	—	—
ქერი	4.167,6	245,9	5,9	5.237,2	235,7	4,5
სიმინდი	32.010,0	16,0	0,05	44.460,1	5.468,2	12,3

როგორც ამ ცხრილიდან ხედავთ, მარცვლეულის პროდუქციის სასაქონლო ნაწილი ძალიან მცირე იყო 27-28 წელში. საშუალოდ 27-28 წელში საქონლიანობა უდრიდა—1, 4%, 32-33 წელში იქნება—7, 8%-ტი. აშკარაა, ეს სრულებით არაა დამაკმაყოფილებელი ჩვენთვის; ამიტომ გეგმა უნდა გადაისინჯოს იმ მხრით, რომ მივიღოთ გაცილებით ამაზე მეტი პროცენტი ხორბლეულობის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლო ნაწილისა, უმთავრესად პურის, რადგანაც დღეს ხორბლეულობის საქონლიანობა ემყარება თითქმის მხოლოდ ქერზე და სიმინდზე. ეხლა მოვიყვანთ ცნობას ტექნიკური კულტურების შესახებ.

ტექნიკური კულტურა	1926-27 წ.		1932-33 წ.		პროცენტებში ზრდა	
	საერთო პროდუქ.	სასაქონ. ნაწილი	საერთო პროდუქ.	სასაქონ. ნაწილი	საერთო პროდუქ.	სასაქონ. ნაწილი
მათ ზორის:						
ბამბა	734,3	660,9	5.117,3	5.015,0	596,9	658,8
თამბაქო	14.557,3	13.751,6	25.107,6	24.856,5	72,5	80,8
დანარჩენი ნათესები . .	3.764,6	1.299,1	16.989,8	5.992,9	351,3	355,9
მრავალწლ. ნერგეული .	57.478,4	27.853,5	72.525,8	45.241,7	26,2	62,4
მათ შორის:						
მევენახეობა	4.906,1	17.453,1	40.392,6	24.235,6	15,7	38,9
ჩაი	465,7	465,7	5.267,2	5.267,8	1.031,2	1.031,2

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ბამბა თითქმის 100%-ით გამოდის ბაზარზე. იგივე ითქმის თამბაქოს და ჩაის შესახებ. ნაკლებ საქონლიანობას აქვს ადგილი მევენახეობის დარგში. საერთო მაჩვენებელი კი, როგორც ხედავთ, კარგი არის, მაგალითად, ჩაის საერთო პროდუქცია იზრდება 1.031,2%-ით. ეხლა მოვიყვანთ მაჩვენებლებს მეცხოველეობის პროდუქციის შესახებ. ცნობები მოცემულია 1926-27 წ. უცვლელ ფასებში.

	1927-28 წ.		1932-33 წ.		ზრდის %	
	საერთო პროდუქ.	სასაქონ. ნაწილი	საერთო პროდუქ.	სასაქონ. ნაწილი	საერთო პროდუქ.	სასაქონ. ნაწილი
მესაქონლეობა	76.555,4	28.251,2	100.374,3	50.155,6	31,1	77,5
მეფრინველეობა	17.775,3	4.199,2	24.932,3	7.863,4	40,3	87,3
მეფუტკრეობა	595,1	191,2	805,5	325,2	35,4	70,1
მეაბრეშუმეობა	2.559,7	2.474,0	6.398,6	6.077,7	140,6	145,7
სულ მეცხოველეობა . . .	97.565,5	35.115,6	132.510,7	64.422,9	35,8	83,5

მესაქონლეობის პროდუქცია იზრდება 31,1%-ით. სასაქონლო ნაწილი კი 77,5%-ით, სულ მეცხოველეობის პროდუქცია იზრდება 35%-ით, სასაქონლო ნაწილი კი 83,5%-ით. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ჩვენ უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მეფრინველეობის განვითარებას და მაშინ კიდევ უფრო კარგ შედეგებს მივიღებთ. ზევით მოყვანილ ცხრილებში მეტად საინტერესოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის კულტურის სწრაფი განვითარება. ჩვენ, აქ ვაკეთებთ უდიდეს ნახტომს. ჩაის პლანტაციების ფართობი იზრდება 1931,6%-ით, მაშინ როცა მევენახეობის ფართობი იზრდება 5%-ით, მებამბეობის -313,5%-ით. როგორც ხედავთ, მევენახეობის საქმე ამ ხუთწლედში კიდევ ვერ გამოკეთდება და მისი ზრდა მეტად მცირეა: რა თქმა უნდა, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდევ მარცვლეულ მეურნეობას, მებოსტნეობას და მებაღეობას.

არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის წიგნიდან, რომელიც ამიერ-კავკასიას შეეხება. აი რას ვკითხულობთ იქ ჩვენ: „ამიერ-კავკასია არის უმთავრესად აგრარული ქვეყანა და მას ქალაქისა და მუშათა ცენტრის საკვები პროდუქტები თითქმის საესებით ჩრდილოეთ-კავკასიიდან შეაქვს. ამიერ-კავკასია იქიდან ღებულობს პურს, საქონლის საკვებს, ბოსტნეულის საგრძნობ რაოდენობას, მაგალითად, ხახვს, კარტოფილს და სხვა. ასეთი მდგომარეობა ამიერ-კავკასიისათვის არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს“.

დიახ, ამხანაგებო, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ამიერ-კავკასიისათვის. ეს ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს. ზოგიერთი ამხანაგები საქ. სახელმწ. საგეგმო კომისიაში ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ საქართველო და ამიერ-კავკასია მთლიანად ტექნიკური კულტურების ქვეყანას წარმოადგენსო, ამიტომ ისინი ბმირად ივიწყებენ მარცვლეული მეურნეობის ინტერესებს. ეს უეჭველად დიდი შეცდომა იყო.

ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვამცირებთ ტექნიკურ კულტურების მნიშვნელობას ჩვენში. მაგრამ მასთან ერთად ყურადღება უნდა მივაქციოთ მარცვლეული კულტურების განვითარების საქმესაც. თვით ტექნიკური კულტურების განვითარების ინტერესიც მოითხოვს ჩვენგან ყურადღება მივაქციოთ სწორედ მარცვლეულ კულტურებს, რადგან თუ გლეხს არ ექნება პური, სიმინდი, თავისთავად ცხადია, იგი არავითარ შემთხვევაში არ მოკიდებს ხელს ტექნიკურ კულტურებს და იძულებული იქნება დაიწყოს სიმინდის თესვა.

ეს მდგომარეობა ჩვენ ზედმეტად გვაიძულებს, რომ მომავალში ჩვენს სახალხო მეურნეობაში მარცვლეული კულტურების ზრდა გავითვალისწინოთ გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე დღემდე იყო.

გარდა ამისა, დაუშვებელია, რომ კარტოფილი, ხახვი და სხვა ბოსტნეული შემოგვქონდეს ჩრდილოეთ-კავკასიიდან, იმ დროს, როცა ეს კულტურები ყოველმხრივ ყოველთვის შეგვიძლია აქვე მოვიყვანოთ სამყოფად.

ჩვენ უნდა ავიღოთ მტკიცე კურსი, რომ ერთსა და იმავე დროს განვავითაროთ როგორც მარცვლეული კულტურები, ისე ბოსტნეულობა. გეგმა კი ამას არ ითვალისწინებს. გეგმის ეს ნაწილი არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს ცნობილი და ყრილობამ უნდა მისცეს დირექტივა მარცვლეული კულტურების საქონლეობის გადიდების შესახებ. მათ შორის პურის და სიმინდის საქონლეობის უფრო მეტად გადიდების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლიანობის გადიდება

ამბანაგებო, საჭიროა აქ შევჩერდეთ კიდევ მოსავლიანობაზე. უნდა გითხრათ, რომ ეს საკითხი ჩვენს წინაშე წამოიჭრა შემდეგნაირად: წარსული წლის დეკემბრის საკავშირო ცაკის სესიაზე მიღებულ იქნა დეკრეტი მოსავლიანობის 35 პროცენტით გადიდების შესახებ. ეს ჩვეთვის სრულიად მოულოდნელი იყო; საქმე იმაშია, რომ სანამ სესია ასეთ დადგენილებას გამოიტანდა საბჭოთა რუსეთში, საბჭოთა უკრაინაში ამ საკითხს ამზადებდენ პრაქტიკულად, ახდენდენ გამოცდებს და სხვა. გამოყოფილ იქნა საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისია, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჩვენში მოსავლიანობის გადიდება 35%-ით ხუთი წლის განმავლობაში მართლაც შესაძლებელია, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შენთხეევაში აღებულია საერთო გლეხური მეურნეობა. რაც შეეხება კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობათ, იქ მოსავლიანობა გადიდებული უნდა იქნეს 2-3-ჯერ. როგორც გოქვით, ჩვენში ეს საკითხი სულ არ არის შესწავლილი; ჩვენი სპეციალისტების აზროვნება დღემდე ისე იყო მომართული, რომ მათ ვერაფრით ვერ შესძლეს ჩვენი მუშაობის ახალ პირობებთან შეგუება. ისინი აზროვნებდენ ძველებურად, როცა ჩვენი მეურნეობა კუს ნაბიჯით ვითარდებოდა ან ერთ დონეზე იდგა. საჭირო გახდა ზეგავლენის მოხდენა, და ბოლოს მივახწიეთ იმას, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო მოსავლიანობის გადიდების შემდეგი ტემპი:

მოსავლიანობის გადიდება

	ინდივიდუალ. მეურნ.	კოლექტ. მეურნ.
პოპლეული	19,0%	50,9%
სიმინდი	18,3 „	42,0 „
თამბაქო	15,4 „	38,5 „
ბამბა	68,8 „	108, 0 „
ყურძენი	38,0 „	68,0 „

საერთო შემოსავალი ერთი ჰექტარიდან

ინდივიდუალ. სექტ.	152 მან.
კოლმეურნეობა	226 „

საშუალო მოსავლიანობა წარსულ 27 28 წ.

ხორბალი	1	ჰექტ	7,72 ცენტნ.
ქერი	„	„	9,25 „
სიმინდი	„	„	10,57 „
ბამბა	„	„	4,8 „
ჩაი	„	„	11,25 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როგორც იცით, კოლექტიური მეურნეობები სახალხო მეურნეობაში ჯერ-ჯერობით მცირე როლს თამაშობენ; ამიტომ ჯერ კიდევ დიდია ინდივიდუალურ მეურნეობათა როლი, ხუთი წლის ბოლოს გათვალისწინებულია პურისა და სიმინდის მოსავლიანობის გადიდება 17-18%-ით. ეს ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. იქნება ჩვენ ვერ შეეძლოთ მოსავლიანობის მთელი 35%-ით გადიდება, მაგრამ ჩვენ უნდა ვიხმაროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, რომ მთლიანად შევასრულოთ საკავშირო ნორმა. საქართველოს პირობებში ეს შესაძლებლობა არსებობს. აქ მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ შემდეგ გარემოებას: არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო გეგმა დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი. ამიტომ აუცილებელი ხდება გეგმის გადათვალიერება სათანადო შესწორებების შეტანის მიზნით.

მელიორაცია

სოფლის მეურნეობაში უდიდეს როლს თამაშობს მელიორაცია. დიდხანს არ შეეჩერდები ამაზე, ვიტყვი მხოლოდ, რომ მთელი იმ მიწის ფართობის სივრცე, რომელიც სამელიორაციო მუშაობას საჭიროებს საქართველოში, უდრის 7.38 ათას ჰექტარს. აქედან ამოსაწრობია 216 ათასი ჰექტარი, ხოლო მოსარწყავია 522 ათასი ჰექტარი. ხუთი წლის დამლევისათვის მორწყული და ამომშრალი სივრცე იქნება 180 ათასი ჰექტარი. გეგმის მიხედვით, კაპიტალური დაბანდება ამ დარგში გათვალისწინებულია 33.410.000 მანეთის რაოდენობით (მოსახლეობის სახსრების გარდა).

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

არ დავიწყებ თქვენს ყურადღებას იმ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ჩამოთვლით, რაც შეტანილი უნდა იქნეს სოფლის მეურნეობაში, ვიტყვი მხოლოდ, რომ გეგმის მიხედვით სოფლის მეურნეობას მივაწოდებთ იმდენ სხვადასხვა მანქანებს, გუთნებს, სათიბ და სალეწ იარაღს და სხვა, რომ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს მხოლოდ 50%-ით.

მართალია, აქ იქნება ისეთი მანქანებიც, რომლებიც სოფლის მეურნეობას დააკმაყოფილებს მთელი 100%-ით, მაგრამ იქნება ისეთებიც, რომლების მოთხოვნილება დაიფარება მხოლოდ არა უმეტეს 20-30%-ისა.

გარდა იმ სამასამდე ტრაქტორისა, რომლებიც ამჟამად მოგვეპოვება, სოფლის მეურნეობას ხუთი წლის განმავლობაში კიდევ შეემატება 100 ზედმეტი ახალი ტრაქტორი. რა თქმა უნდა, საქმე ტრაქტორების რიცხვში არ არის, საქმე იმაშია, თუ როგორ გამოვიყენებთ ტრაქტორებს, რამდენათ ვიყენებთ ჩვენ ამჟამად ტრაქტორების არსებულ რაოდენობას. დაე, ამხანაგებმა ადგილებიდან გულწრფელად თქვან—რამდენი პროცენტით ვიყენებთ ამ ტრაქტორებს. მე მაქვს ცნობები, რომ ზოგ ადგილას ტრაქტორებს იყენებენ 25-30-40 პროცენტით, ხოლო ზოგან სულაც ვერ იყენებენ, ან იყენებენ სხვა მიზნებისთვის. ამჟამად ჩვენ გვაქვს უკრაინის გამოცდილება მანქანა-ტრაქტორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სადგურების მოწყობის, რაც ნამდვილ რევოლიუციას ახდენს სოფლის მეურნეობის სფეროში. ამ საშუალებით ტრაქტორებს მთელი 100%-ით იყენებენ. მეორეს მხრივ, ეს სადგურები სასარგებლო არიან იმით, რომ ისინი ხელს უწყობენ კოლექტივიზაციას. მთელი სოფლები ექცევიან მანქანა-ტრაქტორების ზეგავლენის ქვეშ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ეწევიან კოლექტივიზაციას, ქმნიან მისთვის პირობებს. ამიტომ ყრილობამ ამ მხრივ შესაფერისი მითითებანი უნდა მისცეს ცენტრალურ კომიტეტს და სხვა სათანადო ორგანოებს, რათა ახლო მომავალში შევსძლოთ ტრაქტორის ექსპლოატაციის ამ ფორმაზე გადასვლა.

სახალხო მეურნეობის პროდუქცია

რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მთელი სახალხო მეურნეობის როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ზრდაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ხუთწლიან გეგმით, მოვიყვანოთ აქ შემდეგი ცხრილი:

	1927-28 წ.	1932-33 წ.	ზრდა %%-ში
1. ცენტრალური მრეწველობის პროდუქცია	52.981,3	266.261,2	403,0
2. ელექტრომშენებლობის პროდუქცია	6.094,0	82.676,0	1.256,7
3. ნეოილი კუსტარული მრეწვ. პროდუქცია .	57.779,0	72.411,0	25,3
4. მსხვილი და წვრილი მრეწვ. და ელექტროფიკაცია ერთად	116.804,3	421.348,2	260,9
5. პროცენტი საერთო პროდუქციასთან შედარებით	31,0	52,3	—
6. სოფლის მეურნეობის პროდუქცია	268.010,6	384,122,9	43,3
ს უ ლ	378.720,9	805.471,1	113,0

როგორც ხედავთ, სახალხო მეურნეობის პროდუქცია იზრდება 27-28 წ. შედარებით 113%-ით, რაც საკმარის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. აქედან სჩანს, რომ მრეწველობა ნამდვილად გადააჭარბებს სოფლის მეურნეობას და ხუთი წლის შემდეგ ჩვენ გვექნება არა აგრარული-სამრეწველო საქართველო, არამედ სამრეწველო-აგრარული, თუ, რასაკვირველია, შევსძელით ამ გეგმის შესრულება. 52,3% ბვედრითი წონისა მრეწველობის და ელექტროფიკაციის პროდუქციისა, საერთო სახალხო მეურნეობის პროდუქციაში იმას ნიშნავს, რომ ტონის მიმცემი, ხელმძღვანელი, ჰეგემონი და კონიუნქტურის მომწესრიგებელი ხუთი წლის ბოლოსთვის იქნება მრეწველობა. და ეს იქნება უდიდესი მიღწევათა საგანი კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა.

მთავარი ამოცანა, რომელიც შეუწყვეტლივ იქნება ჩვენს წინაშე მთელი ხუთი წლის მანძილზე, და ალბად მეორე ხუთწლედშიაც, არის პროდუქციის თ ვ ი თ ღ ი რ ებ უ ლ ებ ის შ ე მ ც ი რ ებ ა. პროდუქციის ზრდის არავითარი მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა არ ექნება, თუ ჩვენში არსებული ფასები არამც თუ არ გაუთანასწორდა, არამედ არ იქნა უფრო დაბალი ევროპის სახალხო მეურნეობის პროდუქციის ფასებისა. ხელმეტი მოგება, რომელსაც კაპიტალიზმი იძენს უკანასკნელ ხანებში, ეს არის ფასების პოლიტიკის შედეგი. ჩვენი ფასების პოლიტიკამ კი ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტურ დაგროვებას, მუშათა კლასის და გლეხობის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს. აი, ეს ის ამოცანაა, რომელიც ჩვენ აუცილებლად უნდა გადავჭრათ. ჩვენ, მართალია, გათვალისწინებული გვაქვს პროდუქციის თვითღირებულების და ფასების შემცირება. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ფასები ჩვენში ძლიერ მაღალია, მაშინ ჩვენ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებლად საჭიროა მივაღწიოთ თვითღირებულების უფრო მეტად შემცირებას და პროდუქციის უფრო მეტ გაიაფებას.

კოოპერაცია და ვაჭრობა

ამ დარგში ჩვენ გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები: 1) კოოპერაციის წევრთა ზრდა, 2) მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირების დონე. უპირველესად ყოველისა მივაქციოთ ყურადღება სამომხმარებლო კოოპერაციას.

აი მისი ზრდის მაჩვენებელი ციფრები.

	წევრთა რაოდ.	%-ტი ზრდისა
27-28 წ.	341.100	95,8%
32-33 წ.	667.900	

ეხლა მოვიყვანთ მაჩვენებლებს ყველა სახის კოოპერაციის შესახებ:

	1927-28 წ.	1932-33 წ.	ზრდა %%-ში
წევრთა რიცხვი:			
სამომხმარებლო კოოპერაცია	341,1	667,9	95,8
სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია	155,5	327,1	110,4
სარეწაო კოოპერაცია	7,5	75,3	909,9
საალმშენებლო საბინაო კოოპერაცია	1,3	2,9	119,5
საიჯარო-საბინაო კოოპერაცია	4,0	18,0	350,5

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება სარეწაო კოოპერაციის წევრთა რიცხვი, იგი თითქმის 10-ჯერ დიდდება, შემდეგ ზრდის მეტად სწრაფი ტემპი გვაქვს აღებული საიჯარო-საბინაო კოოპერაციის ხაზით. ასეთივე მდგომარეობა არის სას.-სამ. კოოპერაციის ხაზითაც. თუ ავიღებთ სხვადასხვა კოოპერაციის ზრდას და ერთმანეთს შევადარებთ, მეტ ზრდას ვამჩნევთ სამომხმარებლო კოოპერაციას. ეხლა თუ განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის კოოპერაციაში შეკავშირების საქმის ზრდას ცალ-ცალკე ქალაქად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სოფლად, და შემდეგ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, მივიღებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

წელი	ქალაქად			სოფლად		სულ რესპუბლიკაში	
	წელიწადი ოდენობა	% კოოპ. შეკავ.	წელიწადი ოდენობა	% კოოპერატ. კოოპ. შეკავ.	% კოოპერატ. სხვ.	წელიწადი ოდენობა	% კოოპ. შეკავ.
1927-28	151,7	39,6	170,1	15,9	44,7	321,8	22,1
1932-33	251,6	58,0	376,3	32,4	91,0	627,9	39,4

მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, როგორც ხედავთ მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირება 1927-28 წელს უდრიდა 22,1%-ს, 32-33 წელში კი იქნება 39,4%.

ვაჭრობა

ახლა გადავიდეთ ვაჭრობაზე. აქ გვაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, ბრუნვის, შემოტანა-გატანის შემდეგი მაჩვენებლები:

	1927-28 წ.	1932 33 წ.	ზრდა %%-ში
1. სას.-სან. პროდუქტების დამზადება	27.032,1	123.210,5	355,8
2. საერთო ბრუნვა	509.287,0	814.800,0	60,0
3. მთელი იმპორტი	113.216,2	160.310,6	41,6
4. მთელი ექსპორტი	60.932,8	192.202,2	215,4

როგორც ხედავთ, ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება დამზადება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და შემდეგ კი ექსპორტი. იზრდება აგრეთვე საერთო ბრუნვა. ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს, რომ სახელმწიფო ვაჭრობამ ამ ხუთი წლის განმავლობაში დიდი ცვლილებები უნდა განიცადოს, ცხადია, დადებითი მხრით. ამასთან, რასაკვირველია, ამ გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებულია ყველა ეკონომიური ფაქტორები და ის ცვლილება, რომელსაც მოვახდენთ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში.

ახლა მე მინდა მოვიყვანო მაჩვენებლები იმის შესახებ, თუ რას შემოვიტანთ ჩვენ, რას გავიტანთ, რა რაოდენობით და რა ცვლილებები მოხდება ამ მხრივ ხუთი წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი საქართველოდან

ათას მანეთებში

სას.-სამ. პროდუქტების დასახელება	1927-28 წ.	1932-33 წ.
1. სიმინდი	—	—
2. პოსტნეული	500	2.928,8
3. ჩაშბა	—	—
4. თამბაქო	8.042	11.947,0
5. კენაფი	36	343
6. სხვადასხვა ბილეული	2.844,1	5.987,6
7. ფუნდუკი და ბერნაული თხილი	2.119,8	3.055,0
8. ფორთოხალი, მანდარინა და სხვა	2.000	1.919,3
9. ღვინო და ყურძენი	3.556,3	3.635,5
10. ტყავეული	599,1	914,9
11. მატყლი	1.388	1.464,6
12. კვერცხი	—	417,3
13. აბრეშუმის პარკი	594,1	378,0
14. დანარჩენი პროდუქცია	1.032,7	2.537,7

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ აბრეშუმის პარკის ექსპორტი მცირდება, მცირდება აგრეთვე ექსპორტი მატყლის და სხვადასხვა სას.-სამ. პროდუქციის. საგრძნობლად იზრდება ექსპორტი პოსტნეულობის, სხვადასხვა ხილეულის და სრულიად ახლად ეწყობა ექსპორტი კვერცხისა. ცხადია, რომ ამ მაჩვენებლებით, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ძალიან დიდი ზრდა გვაქვს ექსპორტის (57,1%), მაინც არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ. საჭირო არის განვითარება ისეთი დარგების, რომელიც მოგვცემს უფრო მეტ საშუალებას ექსპორტის გადიდებისათვის. განსაკუთრებით ვაქცევ თქვენს ყურადღებას მეფრინველეობის განვითარებას.

ახლა მოვიყვან ცნობას სამრეწველო პროდუქტების ექსპორტის შესახებ.

სამრეწველო პროდუქტების ექსპორტი

ათას მანეთებში

სამრეწვ. პროდუქტ. დასახელება	1927-28 წ.	1932-33 წ.
1. საალმშენებ. ქვა და ბარიტი	791,2	2.404
2. ქვანახშირის და ბორჯომის	1.694,5	15.300
3. ლითონის მრეწველობა	821,3	821,3
4. ტყის მრეწველობის პროდუქცია	311,6	3.833,2
5. ქიმიური მრეწველობა	—	617,5
6. გემო-ქვების „	18.212,6	47.076,2
7. ბამბის „	875	4.660
8. მატყლის „	632,6	5.901
9. აბრეშუმის „	3.356,5	13.152
10. ტანსაცმელი და ტეალეტი	450	2.300
11. ქაღალდის მრეწველობა	—	2.500
12. პოლიგრაფიული მრეწველობა	663	663
13. სამხატვრო-სამეცნიერო მრეწველობა	797,0	4.528,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის ზრდა ჩვენში იწვევს სამრეწველო ხასიათის პროდუქციის ექსპორტის ზრდას ოთხნახევარჯერ უფრო მეტს. საერთოდ ექსპორტი კი იზრდება ორნახევარზე მეტად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძალიან სწრაფად იზრდება ექსპორტი მინერალური ხასიათის პროდუქციისა. ყველაზე უფრო სწრაფად კი იზრდება ექსპორტი ბორჯომის მინერალური წყლისა და ქვანახშირის. გვემატება სულ ახალი საგანი ექსპორტისათვის ქაღალდის მრეწველობის სახით, საკმაოდ იზრდება აგრეთვე გაზიდვა გემო-კვების მრეწველობის პროდუქციისა. საერთო ანალიზი, რომელიც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენი ქვეყანა არის გამზიდველი სამრეწველო პროდუქციისა და ეს ექსპორტი ამ ხუთი წლის განმავლობაში წლითი-წლობით იზრდება და ფეხდაფეხ მისდევს ჩვენი მრეწველობის საერთო განვითარებას. ძალიან ნაკლებად გაგვაქვს ჩვენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამ ასორტიმენტში სრულიად არ არის მარცვლეულის პროდუქცია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი ემყარება განსაკუთრებით ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურათა პროდუქციას.

ეხლა მოვიყვან ცნობას იმპორტის შესახებ.

აი ამის მაჩვენებელი: (იხ ცხრილი მე-255 გვ.).

საერთოდ იმპორტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა მცირდება 20,7%-ით 27-28 წელთან შედარებით; მაგრამ აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენ კიდევ დიდძალი მარცვლეულობის პროდუქციის შემოტანა გვიხდება. თუ 27-28 წ. შემოგვქონდა 23 მილ. მან. ღირებული მარცვლეულობის პროდუქცია, 32-33 წელში უნდა შემოვიტანოთ 19.300.000 მან. ღირებულება. ეს არის უდიდესი ნაკლი, ასეთი უმნიშვნელო შემცირება შემოზიდვის ნიშნავს იმას, რომ საქართველოში მარცვლეულობის განვითარებას ექცევა არა საკმაო ყურადღება. გარდა ამისა, აღსანიშნავია. ის გარემოება, რომ საქართველოს დღეს შემოაქვს მილიონ ნახევარი მან. ღირებული ბოსტნეულის პროდუქცია, 32-33 წელში კი ასეთი შემოზიდვა სრულიად წყდება: თუ ამ გეგმას განვახორციელებთ, ეს უთუოდ იქნება უდიდესი მიღწევა. ჩვენ უნდა შევამციროთ უფრო მეტის რაოდენობით ხორცის და თევზის შემოზიდვა. სამრეწველო პროდუქციიდან თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ ტყის მასალის შემოზიდვა იზრდება. საჭირო არის ტყის ექსპლოატაციის, მოვლისა და გაშენების რაციონალიზაცია ისე, რომ ტყის მასალის შემოტანა ნაკლებ დაგვჭირდეს. ამისათვის საჭიროა ტყის ექსპლოატაციის საქმის გაუმჯობესება, მომჭირნეობის რეჟიმის შექმნა ისე, რომ არც ტყეები განადგურდეს და ტყის მასალის იმპორტიც შევამციროთ. საერთოდ, თუ შევადარებთ სამრეწველო პროდუქციის გაზიდვას შემოზიდვასთან, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩვენ მეტი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. ამ მდგომარეობის შეცვლა მოსახერხებელი არის და ეს უნდა შეეცვალოთ ჩვენ, მაგ., უნდა ვეცადოთ ჩაი სრულიად ამოვშალოთ იმპორტიდან, აგრეთვე საპონი, ტყავი და სხვ.

მე უკვე ავღნიშნე, რომ მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ პურის პროდუქტების დამზადებას, რომელთა შემოტანაც ამ პერიოდის განმავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპორტი (ათას მან.) 26-27 წ. ფასებში

სას.-სამ. საქონელი	1927-28 წ.	1932-33 წ.	%% 32-33 წ. 27-28 წ. შედარებ.
1. პური	23.000	19.300	
2. ჯრბო-კარაკი-ტონი და სხვ.	1.500	—	
3. ბოსტნეული	1.500	—	
4. მაპვილფვბა საქონელი	3.000	3.000	
5. ბორცეული და თევზეული	1.200	1.200	
6. ბილეული	600	300	
7. სავადასტვა პროდუქცია	3.000	3.000	
ს უ ლ	33.800	26.800	79,3%
სამრეწველო საქონელი:			
8. მცენარეულობის ზეთი	950	1.400	
9. ტყის მასალა	2.000	4.000	
10. ყოველგვარი მანუფაქტურა	24.000	36.000	
11. გალანტ., შეკერილი ტანსაც. და სხვ.	2.000	2.000	
12. სილიკატი	3,500	5.000	
13. ელექტროსაქ. (იარაღ. მანქანები და სხვ.)	7.000	15.000	
14. ტყავეული	600	2.000	
15. ფეხსაცმელი	2.500	2.000	
16. ქაღალდი	1.700	500	
17. ასანთი	600	800	
18. კალოშები	1.500	3.000	
19. შაქარი	11.200	18.500	
20. ბარილი	750	900	
21. ჩაი	950	1.200	
22. საპონი	350	1.000	
23. ნავთი	2.180	2.800	
24. ლითონის ნაწარმოები	2.000	5.000	
25. ცემენტი	1.500	—	
26. ლითონი	5.000	10.000	
27. სხვადასხვა სამრეწვ. საქონლ.	4.000	12.000	
ს უ ლ	74.280	423.100	165,7
მთელი ჯამი	108.080	149.900	138,7

ლობაში მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ, აქეთკენ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ყურადღება, რადგან ეს შესაძლებლობა უეჭველად გვაქვს.

მაგ., პურის შემოტანა 23 მილიონიდან შეგვიძლია შევამციროთ, ყოველ შემთხვევაში 10 მილიონამდე მაინც.

ეხლა სამრეწველო საქონლის შესახებ. აქ, პირიქით, შემოტანა ზრდას გვიჩვენებს, რაც საეჭვოთ გასაგებია. ხუთი წლის განმავლობაში იმპორტის ზრდა შეადგენს 38,7%.

ამრიგად, საქონლის გატანა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე შემოტანა, საერთოდ გატანა იზრდება 38.000.000 მანეთით, ანუ 173,2 პროცენტით. რა გაგვაქვს უმთავრესად? თამბაქო, სხვადასხვა ხილი, მანდარინი, ფორთოხალი, ღვინო და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. სამრეწველო წარმოებებიდან უმთავრესად გაგვაქვს გემოკვების პროდუქტები. აქ მთავარ როლს თამაშობს თამბაქო-პაპიროსი. ეხლა ამ პროდუქტების გატანა უდრის 18 მილიონ მანეთს, ხუთი წლის დამლევს კი შეადგენს დაახლოვებით 47 მილიონ მანეთს.

ექსპორტი და იმპორტი

მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ექსპორტ-იმპორტი, ე. ი. აღებ-მიცემობა უცხოეთთან. 27-28 წ. ჩვენი ექსპორტი შეადგენდა 6.769.000 მანეთს, 32-33 წელს კი ექსპორტი მიაღწევს 53.526.600 მან., აქ ზრდა 690,7% უდრის. ექსპორტში, ცხადია, მთავარ როლს თამაშობს მარგანეცი, რომლის გატანაც 24.568.000 მანეთს მიაღწევს (ამჟამად გაგვაქვს დაახლოებით 5.136.000 მან.)

ტ რ ა ნ ს პ ო ტ რ ტ ი

რკინის გზები

ეხლა უნდა შევეხო ტრანსპორტის საკითხს. ზედმეტია ლაპარაკი ტრანსპორტის უდიდეს მნიშვნელობაზე და იმაზე, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს იმ ზრდასთან და წარმატებასთან, რომელსაც ჩვენ მივაღწევთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ტრანსპორტის საკითხებს, როგორც ვიცით, უშუალოდ განაგებენ საკავშირო ორგანოები, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ვთქვი, სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებაში ჩვენ ნაკლებ არ ვართ დაინტერესებული, შეიძლება უფრო მეტადაც. ამ დარგს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შავი ზღვის სანაპირო რკინის-გზის დამთავრება ხუთი წლის ბოლოს. 1931 წელს კი ეს გზა გაყვანილი იქნება სოხუმამდე.

ამ გზას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. იგი 700-800 კილომეტრით ამოკლებს მანძილს ამიერ-კავკასიის ცენტრებსა და კავშირის ცენტრს შორის, ამასთან ამსუბუქებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც ამჟამად არსებობს ამიერ-კავკასიის რკინის-გზაზე, რადგან ეს უკანასკნელი ვეღარ აკმაყოფილებს ტვირთის ბრუნვის გადიდებულ მოთხოვნილებას. როდესაც ეს გზა გაიხსნება, ტვირთის ნაწილი გადაზიდული იქნება ამ გზით, შემცირდება ხარჯები, შემოკლდება დრო და შემსუბუქდება ამიერ-კავკასიის რკინის-გზის მძიმე მდგომარეობა.

აღარაფერს ვამბობ ამ გზის უდიდეს მნიშვნელობაზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ზუგდიდის მაზრის მოსახლეობისათვის, და განსაკუთრებით აფხა-

ზეთისათვის, ეს გზა დიდ როლს ითამაშებს. მისი საერთო სიგრძე შეადგენს 210 კილომეტრს. ამ გზის გაყვანისათვის დაიხარჯება 45 მილ. მანეთი.

შემდეგ უნდა დავასახელოთ ის შტოები, რომლებსაც უმთავრესად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამასთანავე დაკავშირებული არიან ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და მის ახლო დარგებთან. ასეთია: ტყვარჩელ-ოჩამჩირე, თელავ-ახმეტი, ზუგდიდი-ჯვარი, გორი — ცხინვალი. ამას უნდა დაუმატოთ შტო: ოზურგეთი—ჩოხატაური.

იმ გზებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იქნება გაყვანილი ხუთი წლის განმავლობაში, დაიხარჯება 60.400.000 მანეთი. მე ვფიქრობ, ეს ხარჯები მალე ანაზღაურდება, რადგან ყველა ჩემ მიერ ჩამოთვლილი გზა გამოყენებული იქნება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავშირის მრეწველობის საჭიროებისათვის.

მიმოსვლის სხვა საშუალებები

გზა-ტკეცილებზე განზრახულია დაიხარჯოს 44.600.000 მანეთი, ავტო-ტრანსპორტზე—6.250.000 მანეთი, წყლის ტრანსპორტზე—20.000.000 მან. სულ 130.250.000 მანეთი. მაგრამ აქ უნდა ავღნიშნო ზოგიერთი მონაცემები: მაგალითად, გზატკეცილების საერთო სიგრძე ნავარაუდევია 6.400 კილომეტრის რაოდენობით. აქედან საკავშირო მნიშვნელობისა იქნება 1.600 კილომეტრი, რესპუბლიკანურის—1.400 და ადგილობრივის—3.400 კილომეტრი.

საკავშირო მნიშვნელობის გზებზე განზრახულია დაიხარჯოს 24.000.000 მან., რესპუბლიკანურზე-8.000.000 მან. და ადგილობრივ მნიშვნელობის-9.000.000.

ჩვენი ნავთსადგურებისათვის გათვალისწინებულია: ბათომის და ფოთის ნავთსადგურების გაუმჯობესება-გაფართოებაზე 13.000.000 მან., აქედან ბათომის ნავთსადგურზე—8.000.000 მან., ხოლო ფოთის ნავთსადგურზე 5 მილ. მანეთი.

სოხუმის ნავთსადგურის ასაგებად დაიხარჯება 5.600.000 მან. ყველა ეს ხარჯი გაღებული იქნება საკავშირო ბიუჯეტით.

ავტო-ტრანსპორტი

თქვენს ყურადღებას შეეხერებ ავტო-ტრანსპორტზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და რომელიც აუკილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სხვა სახელმწიფოებში ავტო-ტრანსპორტი დღეს მეტოქეობას უწევს რკინის გზებს. ჩვენს პირობებში ეს ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან ჩვენი გზები ჯერ კიდევ იმდენად ცარგად არ არის მოწყობილი, რომ ტრანსპორტის განვითარება დაუბრკოლებლივ მიმდინარეობდეს. ამ ხუთი წლის განმავლობაში, 19 ხაზის ნაცვლად, საქართველოში გვექნება 38 ხაზი, 1.254 საავტომობილო კილომეტრის ნაცვლად—2.819 კილომეტრი. ავტომობილების რიცხი 214-დან გადიდებული იქნება 302-მდე. ამასთან საგრძნობლად გაიაფდება გადაყვანა გადაზიდვის ფასი.

შინაგანი სანაოსნო გზები

მე უნდა შეეხერდე ჩვენს შინაურ სანაოსნო გზებზე. ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობას შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს ეს და იკითხოს—სად არის საქართველოში ეს შინაგანი სანაოსნო გზებიო, მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი მდინარეები, სადაც შეიძლება ნაოსნობის განვითარება. ჩვენ ერთ დროს ვამუშავებდით ამ საკითხს, განსაკუთრებით მდინარე რიონზე ნაოსნობის განვითარების საკითხს, ჩვენ ხელშეკრულებაც კი დავსდეთ დონი-ყუბანის სანაოსნო საზოგადოებასთან, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ნაოსნობა მდ. რიონზე. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე არ არის გადაჭრილი, როგორც რიგია. დონი-ყუბანის სანაოსნო საზოგადოებამ გამოგზავნა ორი გემი, რომლებსაც უწოდეთ—„ნინოშვილი" და „ელიავა". მეორე დღესვე პირველი რეისის შემდეგ, ერთმა გემმა ველარ შესძლო სიარული, ხოლო მეორე უნუგეშო მდგომარეობაშია. ორივე გემი აღმოჩნდა ძველის-ძველი. ისინი არ შეეფერებიან ჩვენს პირობებს. ამ მხრივ შეცდომა დაუშვეთ, რომ თავის დროზე არ მივაქციეთ ჯეროვანი ყურადღება ამ საკითხს. ამ ხუთი წლის განმავლობაში დიდ ეფექტს უნდა მივაღწიოთ ჩვენი სანაოსნო გზების განვითარების საქმეში, როგორც ეს აღნიშნულია იმ მოხსენებაში, რომელიც ამ დღეებში გადმომცა ამ უწყების მეთაურმა ამხ. სპრინკველმა. ხუთი წლის განმავლობაში ნაოსნობის მანძილი რიონზე 101 კილომეტრიდან გაგრძელებული იქნება 150 კილომეტრამდე, ე. ი. სამტრედიიდან ქუთაისამდე, ამასთან რიონის აუზში შეეა ფიჩორი 35 კილომეტრის სიგრძით, სადაც მოეწყობა ნაოსნობა, მდ. ცივა—20 კილომეტრია და მდ. ცია 6 კილომეტრი. საჭიროდ მიმაჩნია ავღნიშნო აქვე, რომ მე პირადათ ორი წლის წინედ ვიმგზავრე კატერით ამ მდინარეებზე; შემდეგ არის მდ. სუფსა, რომელზედაც შეიძლება ნაოსნობა 15 კილომეტრის მანძილზე. ამგვარად, ხუთი წლის დანლევს შინაურ სანაოსნო გზების სიგრძე შეადგენს 256 კილომეტრს (ბმა—ადგილიდან: ენგური). ენგურის საკითხი ჯერ არ არის გამორკვეული. ჯერ-ჯერობით შესაძლებელია მხოლოდ ხე-ტყის გადაზიდვა, რაც შეეხება ნაოსნობას მდ. ენგურზე, ამის შესახებ ჯერ არაფის დაუსვამს ეს საკითხი. იმ მდინარეებზე კი, რომლებიც ჩამოკთვალეთ, ნაოსნობა საკმაოდ რეალურია და მათ უდიდესი მნიშვნელობა ექნება ფოთის ოლქის შექმნასთან დაკავშირებით.

შემდეგ განზრახულია არხის გაყვანა შავი ზღვის ნაპირად. ეს არხი მდ. რიონს შეაერთებს ენგურთან, მისი დანიშნულებაა—სვანეთის ხე-ტყის მიტანა ფოთში წყლით. ამას გარდა, განზრახულია მდ. რიონის შეერთება ფოთის ნავთსადგურთან რაბიანი (шлюзовый канал) არხით, რაც საშუალებას მოგვცემს ზღვის გემები უშუალოდ დავტვირთოთ და გადავტვირთოთ.

ეს საკმაოდ ფართო პროგრამაა ტრანსპორტის განსავითარებლად ჩვენში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება სრულებით ახალი სანაოსნო გზების გამოყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ-კულტურული მშენებლობა

ხარჯები სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე

ამახანაგებო, თქვენს წინაშე დიაგრამაა, რომელიც გამოხატავს საერთო დებულებებს და ხარჯებს სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე, ე. ი. განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე.

ეი ამ ხარჯების ცხრილი:

გათვალისწინებული ხარჯები საერთო ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ საჭიროებაზე (სამმართველოთა შესანახ ხარჯების გამოკლებით)

	27-28 წ.	28-29 წ.	29-30 წ.	30-31 წ.	31-32 წ.	32-33 წ.	5 წელში
1. განათლება, მეცნიერება, ხელოვნ.	16.427,7	20.611,4	31.679,0	36.223,0	41.871,0	51.613,0	18.1997,4
2. ჯანმრთელობა .	5.538,5	9.758,4	9.430.0	11.057,0	12.750,0	14.530,0	54.527,4
3. სოციალ. უზრუნველყოფა	600,6	378,1	1.728,1	2.122,0	3.294,0	4.642,9	12.464,3

როგორც ხედავთ, ყველაზე მეტად ხარჯები იზრდება განათლებაზე (შედარებით), შემდეგ სოციალურ-უზრუნველყოფაზე და მერმე მიდის ჯანმრთელობა. საჭირო არის მივიღოთ ზომები, რომ ამ ხარჯებმა გამოიღოს ეფექტი. განსაკუთრებით ეს ითქმის განათლების დარგში, რომელიც დღემდე ვერ იძლევა კარგი ხარისხის პროდუქციას და ხშირად თანხები სრულიად უმიზნოდ ბანდდება ამ დარგში. ეხლა მოვიყვან ცნობებს განათლების დარგის პროდუქციის შესახებ ამ ხუთწლედში.

	27/28 წლ.	28/29 წლ.	29/30 წლ.	30/31 წლ.	31/32 წლ.	32/33 წლ.
1. სპეციალური განათლების დაბალი საფეხურის სკოლა . .	711	1.600	3.556	4.117	5.688	7.433
2. სპეციალური განათლების საშუალო საფეხურის სკოლა.	554	1.034	1.152	4.256	1.244	1.320
3. უმაღლესი სკოლა . .	—	414	492	808	804	894

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება პროდუქცია დაბალი სპეციალური საფეხურის სკოლისა, შემდეგ საშუალო სპეციალური სკოლისა. საჭიროა კიდევ გავიმეოროთ, რომ აქ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხარისხს

ეხლა ავიღებ სასკოლო ასაკამდე აღზრდის ციფრებს. საბავშო ბაღი 1927-28 წელს იყო 89, 32-33 წ. კი იქნება 282. ბავშვების რიცხვი 27-28 წ. უდრიდა 7.533-ს, 32-33წ. კი შეადგენს 14.323-ს. ამბანაგებო, ბავშვების ჩაბმა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ეხლა შეადგენს 4,25%-ს, ხუთი წლის შემდეგ კი შეადგენს 9.6%-ს. როგორც კი გამოქვეყნდა ტფილისში ეს ციფრები, მუშა-ქალთა ერთმა ჯგუფმა პროტესტი განაცხადა. მე მაქვს ამონაწერი გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-დან, რომელშიაც როზა ლიუქსემბურგის სახელობის ფაბრიკის მუშა-ქალთა ჯგუფი სწერს შემდეგს: „კულტურული მშენებლობის ხუთ წლიანი გეგმა ითვალისწინებს სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას. საბავშო ბაღების რიცხვი საქართველოში ამჟამად უდრის 89, ბაგების 9-ს, 32-33 წ. კი საბავშო ბაღების რიცხვი გაიზრდება 282-მდე, ხოლო ბაგების 33-მდე, საბავშო ბაღებსა და ბაგებში ბავშვების რიცხვი გაიზრდება 5.938-დან 13.923-მდე. ჩვენ როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშებს, ეს ზრდა საკმაოდ არ მიგვაჩნია. სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელზე ეხლა იხარჯება სახალხო განათლებისათვის გადადებული თანხის 7,5%-ტი, ხუთი წლის შემდეგ-კი ხუთწლიანი გეგმით დაიხარჯება მთელი თანხის 7%-ტი.

ეს ციფრები განმარტებას არ საჭიროებენ.

„მაშინ, როდესაც მუშა-ქალი და გლეხი-ქალი გამოდიან ახალი ყოფა-ცხოვრების ფართო გზებზე, როცა საბავშო ბაღების და კერების მოთხოვნილება ყოველ წლობით გაიზრდება უფრო და უფრო სწრაფად, ამ დროს საბავშო ბაღები, და კერების, სოციალისტური ყოფა-ცხოვრების ამ დამკვრელი ბრიგადების ზრდა ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის საერთო ზრდას. ისინი ვინც ასეთ გეგმას გვიდგენენ ღრმად სცდებიან. ისინი სრულიად ვერ აფასებენ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ფართო ლტოლვას ახალ ცხოვრებისაკენ, ვერ ხედავენ იმას, რომ ხუთი წლის შემდეგ მრავალი ათასი ადამიანის ყოფა-ცხოვრება ბევრად უფრო კულტურული იქნება, ვიდრე ეხლა. ჩვენ ვანგრევთ ძველ ყოფა-ცხოვრების ციხე—სიმაგრეს, ვამსხვრევთ უმეცრების და უკულტურობის ბორკილებს; ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ხდება უფრო და უფრო პირველხარისხოვან პრაქტიკულ ამოცანად და არა უბრალო ლოზუნგად. სწორედ ამიტომ ჩვენ მუშა-ქალები მოვითხოვთ კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ამ მუხლის შესწორებას და ტფილისის პარტკონფერენციისაგან ველით სათანადო გადაწყვეტილებას. საბავშო ბაღების და ბაგეების ქსელს სახალხო განათლების ბიუჯეტში უნდა დაეთმოს მეტი ადგილი, ვიდრე მას ეხლა აქვს დათმობილი". მუშა-ქალები საესებით მართალი არიან. იმათი პროტესტი უთუოდ უნდა იქნას მიღებული მხედველობაში—ამ ხუთწლედის თითოეული ცალკე წელის სამუშაო პროგრამის შედგენის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებითი განათლება.

პირველ დაწყებით განათლებას იძლევიან ოთხწლედები. გეგმით გათვალისწინებულია, რომ ბავშთა კონტინგენტი 231.868-დან 32-33 წ. აყვანილ იქნეს 322.545-მდე (აქვე იგულისხმება სკოლის ჰასაკ გადაცილებულნიც). სკოლების რიცხვი გაიზრდება 2.328-დან 2.729-მდე. ამჟამად თუ 8-11 წლის ჰასაკის ბავშთა საერთო რიცხვის 59,6% აკმაყოფილებენ სკოლები, ხუთი წლის ბოლოს ეს პროცენტი აიწევა 74,1%-მდე. ასეთი მდგომარეობა იქნება მთელ საქართველოში ავტონომიებთან ერთად. ავტონომიების გამოკლებით-კი საქართველოში ხუთი წლის დამლევს სასკოლო ჰასაკის ბავშთა საერთო რიცხვის 83,9%-ს დააკმაყოფილებენ ჩვენი სკოლები 71,0%-ის ნაცვლად.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები

ცხრაწლედების რიცხვი შემცირდება 83-დან 69-მდე. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების რიცხვი კი გაიზრდება 104-დან 322-მდე. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. აღაა წინათ საქართველოს განათლების სახალხო კომისარმა ამხ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ ამ სკოლებში საქმე ვერ არის დაჩაკმაყოფილებლად დაყენებულია. მე ზეგით, სხვა ნიზეზის გამო, უკვე ვთქვი და ეხლაც ვამბობ, რომ საქმე რაოდენობა კი არაა, არამედ ღირსებაა, თუ ეს სკოლები ღირსებით არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას მაშინ მათი რიცხვის გადიდებას მნიშვნელობა არ ექნება და ამის შესახებ ყრილობამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი და განათლების კომისარიატს მისცეს სათანადო მითითება, რომ გაუმჯობესდეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების ხარისხობრივი მდგომარეობა.

პროფტექნიკური განათლება

ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია კიდევ 9 ახალი საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის, 6 პროფესიონალური სკოლის, 21 ჭრა-კერვის სკოლის გახსნა, ამჟამად მათი რიცხვი უდრის 11-ს. შეიდწლედების რიცხვი 276-დან შემცირდება—129-მდე. ამ ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია საყოველთაო სწავლების შემოღება ყველა ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას რასაკვირველია, არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით. საყოველთაო სწავლების განხორციელება განზრახულია აგრეთვე დაახლოებით 8 მაზრაში.

რომელია ეს მაზრები? ეს არის უმთავრესად დასავლეთ საქართველოს მაზრები და ტფილისის მაზრა.

სასკოლო ჰასაკის მოწაფეთა რაოდენობა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში

ცნობებს სასკოლო ჰასაკის მოწაფეთა რაოდენობის შესახებ საჭიროა დაუმატოთ კიდევ შემდეგი: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეს რაოდენობა 63 პროცენტიდან ხუთი წლის დამლევისათვის აყვანილი იქნება 90 პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტამდე, აჭარისტანში — 54 პროცენტიდან 71 პროცენტამდე, სამხრეთ-ოსეთში — 20-დან 76 პროცენტამდე.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ სამი ჩამორჩენილი მაზრა: ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს, რომლებშიაც სასკოლო ქსელის საშუალებით განხრახულია სასკოლო ჰასაკის მოწაფეთა რაოდენობის აყვანა ახალციხის მაზრაში 26 პროცენტიდან 72,5 პროცენტამდე, ახალქალაქის მაზრაში — 48,6-დან 72,4 პროცენტამდე და ბორჩალოს მაზრაში — 34,9-დან 78,9 პროცენტამდე.

ჩვენ გვყავს დაახლოებით 80.000 11-15 წლის ჰასაკის ბავშვი, რომელნიც სკოლის გარეთ არიან დარჩენილნი. მათთვის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გათვალისწინებულია განსაკუთრებული 2-წლიანი სკოლების გახსნა, წლიურად გაიხსნება 100 სკოლა, სულ კი ხუთი წლის განმავლობაში 400 სკოლა.

ამხანაგებო, განათლების სფეროში კიდევ არსებობს ერთი ფრიად სერიოზული საკითხი. როდესაც სკოლების შესახებ ვლაპარაკობთ, სახეში ყნდა ვიქონიოთ, რომ 5 წლის დამლევამდე ჩვენ ვერ შევსძლებთ სკოლის ჰასაკის ყველა ბავშვების მოთავსებას სკოლაში, მხოლოდ ზოგიერთ მაზრაში და ქალაქში განუახორციელებთ საყოველთაო სწავლებაა და 5 წლის დამლევისათვის საქართველოში სკოლის გარეთ დარჩენილ სასკოლო ჰასაკის ბავშთა რაოდენობა დაახლოვებით 25,9%-ტი იქნება. ეს გარემოება გაადიდებს წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვს. წარსული რეჟიმების ერთ წყეულ მემკვიდრეობათაგანს წარმოადგენს წერა-კითხვის უცოდინარობა სრულ ჰასაკოვანი მოსახლეობის შორის, ეს არის ბოროტება, რომელიც აფერხებს ჩვენს წინმსვლელობას. ამიტომ ხუთ წლიანი გეგმით განზრახულია მოსდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მთელს მოსახლეობაში 14 წლის ჰასაკიდან 39 წლამდე.

საინტერესოა ვიცოდეთ წერა-კითხვის რამდენი უცოდინარი გვყავს ამჟამად. სხვადასხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები ამ რიცხვს სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ. ასე, საქართველოს სახალხო განათლების კომისარმა ამხ. კანდელაკმა თავის მოხსენებაში ტფილისის პარტკონფერენციაზე განაცხადა, რომ უმჯობესია უცოდინართა რიცხვი მეტი ვიგულისხმოთ, ვიდრე ნაკლებით. მან თქვა, რომ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 15-დან 39 წლამდე შეადგენს 380 ათასამდე კაცს. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია ამ მოსახლეობას ვარაუდობს 289 ათასის რაოდენობით, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ 5—6 წელიწადი ვახდენთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, მაინც უცოდინართა რაოდენობა არ კლებულობს. ასეა თუ ისე, ჩვენ ამჟამად ვდგევართ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მეტად სერიოზული ამოცანის წინაშე. ნე აქ უნდა მოვიყვანო ტფილისელი მუშების წერილი, რომელშიაც ისინი სერიოზულად გამოესმაურენ ამ გარემოებას. ეს წერილი მოწმობს, რომ მუშებს შეგნებული აქვთ ამ ამოცანის გადაწყვეტის მთელი მნიშვნელობა, ეს კი ამ საკითხის ნოგვარების ნამდვილი საწინდარია. ბოლოს და ბოლოს ამ ამოცანას ჩვენ გადავწყვეტთ. აი რას ამბობენ ტფილისელი მუშები.

„კულტურული რევოლიუცია დღის წესრიგში სდგას, მშრომელთა ფართო მასების კულტურული ამაღლების გარეშე ჩვენ შორს ვერ წავალთ. წერა-კითხვის უცოდინარობა, უვიცობა, უკულტურობა მძიმე ტვირთად აწევს საბ-

ჭოთა ქვეყანას და ხელს გაიშლის სოციალიზმის შენებაში, აფერხებს სოციალისტური გზით სვლას, არ არის საკმარისი ჩვენი სკოლების, კლუბების, სალიკვიდაციო პუნქტების, საბავშო ბაღების, მუშაკების ქსელი, კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, კულტურული რევოლიუციისათვის ბრძოლის გაწლის გენერალური გეგმა სრულიად სამართლიანად ითვალისწინებს ჩვენი სახალხო განათლების და აღზრდის მთელი სისტემის მნიშვნელოვან ზრდას და გაფართოებას. ნრავალ მილიონ მანეთს ხარჯავს მუშური მთავრობა სახალხო განათლების საქმეზე. ყოველწლიურად მატულობს სახალხო განათლების საქმეზე გადადებული თანხების რაოდენობა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ღარიბია, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია მთლიანად დავაკმაყოფილოთ სახალხო განათლების დარგში წარმოებული მუშაობით მუშებისა და გლეხების გაძლიერებული მისწრაფება კულტურისაკენ.

ამიტომ, ჩვენ, მუშები, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც მუშურ სახელმწიფოს დახმარება უნდა აღმოუჩინონ მუშებია, გლეხების და მშრომელების ფართო მასებმა.

ჩვენ განზრახვა გვაქვს გამოვსცეთ კულტურული მშენებლობია და, პირველ რიგში, წერა-კითხვის უცოდინარობის და მაკრეეიდნეობის ლიკვიდაციის სესხი.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები იმ მილიონებს, რომელსაც ისინი სესხად მისცემენ მუშურ სახელმწიფოს, არა მარტო ხელსაყრელ პირობებში შეინახავენ ამ ფულს, არამედ ამით დაეხმარებიან მუშურ სახელმწიფოს — გახსნას მან ახალი სკოლები, გამოაცვლა ათასობით ახალი წიგნები, ააგოს ახალი კლუბები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელთა ფართო მასები მხურვალედ დაუჭერენ მხარს ჩვენს წინადადებას".

უნდა გითხრათ, რომ ეს მეტად სერიოზული წინადადებაა მუშათა მხრით. ეს ყველაზე სერიოზული მოპყრობაა საქმისადმი და აქ არ შეგვიძლია არ მივესალმოთ ამას. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა ჩვენთვის აუცილებელია. ეს გეგმა ჩვენ ჯერ არა გვაქვს. ის წინადადება, რომელიც ამხ. კანდელაკმა ტფილისის კონფერენციაზე თავის მოხსენებაში წამოაყენა, ამტკიცებს, რომ ამხ. კანდელაკს ეს გეგმა არა აქვს მოფიქრებული. აი რას სწერს ის: „ვინ შეიძლება იყოს პირველი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე. რასაკვირველია, კომკავშირი, კომუნისტური ახალგაზრდობა, რომელიც იძლევა 5.000 კაცს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ახლავე დასაწყებად. თვითეულ კომკავშირელზე 3 უცოდინარი. ჩვენ გვყავს აგრეთვე მასწავლებლობის ჯდიდესი არმია. ექიმების და აგრონომების დიდი რაოდენობა, სტუდენტების უდიდესი არმია. მასწავლებლები და სოფლის ინტელიგენცია. გამოდის, რომ ამ მუშაკთა ნებაყოფლობითი ჩაბმის ასეთი წესით ჩვენ ყოველწლიურად შეესძლებთ დაახლოვებით 40 — 50 ათასი და მეტი კაცის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას".

ამრიგად, კომკავშირის, სოფლის ინტელიგენციის, ე. ი. ექიმების, აგრონომების და სხვათა ჩაბმით, ჩვენ შეესძლებთ ყოველწლიურად 40-50 ათასი კაცის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწინარეს ყოვლისა, მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამ საქმეში აგრონომებისა და ექიმების ჩაბმის. ეს ყოვლად დაუშვებელ საქმეს წარმოადგენს, რადგან ჩვენ უიმისოდაც გვაკლია ექიმები, და განსაკუთრებით აგრონომები, რომლებიც ისედაც ზედმეტად არიან დატვირთული თავიანთ სპეციალური მუშაობით. მათ ხშირად აცდენენ ასეთი დავალებებით: საჭიროა რომელიმე კამპანიის ჩატარება, მაგალითად, სესხის ან სოფლის სამეურნეო გადასახადის და სხვ. და ერეკებიან აგრონომებს მაშინ, როდესაც აგრონომი თავის უშუალო საქმეს უნდა აკეთებდეს. ზოგჯერ ექიმს იწვევენ ისეთი კაბპანიის ჩასატარებლად, რითაც ხელს უშლიან მას გაუძღვეს თავის პირდაპირ საქმეს.

და, აი, ამ დროს განათლების სახალხო კომისარი წინადადებას იძლევა ჩავაბით ექიმები და აგრონომები ანბანის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. ეს ასეთი მოპყრობა საქმისადმი არასერიოზულად მიმაჩნია.

შემდეგ ამხ. კანდელაკის გეგმის მიხედვით ამ გეგმის მთლიანი განხორციელების შემთხვევაშიც კი გამოდის, რომ სამი წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობა მოიპობა 150 ათას უცოდინართა შორის მაშინ, როდესაც მისივე გამოანგარიშებით, უცოდინართა რიცხვი 380 ათას კაცს უდრის. ამგვარად, სამი წლის შემდეგ, თუ მთლიანად განვახორციელებთ ამხ. კანდელაკის გეგმას, მაინც და გვრჩება 230 ათასი უცოდინარი.

რაღა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაა ეს?

როდესაც მე ამის შესახებ ამხ. კანდელაკს შევეკითხე, მიპასუხა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ნაწილობრივ ჩაატარებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხოლო დანარჩენს სახელმწიფო ორგანოებიო. ამბანაგებო, ასე არ შეიძლება მსჯელობა. მე ასეთი წინადადება მეტისმეტად ოპტიმისტურად მიმაჩნია. ჩვენ ყველანი ძალიან მოხარულნი ვიქნებოდით ერთ წელიწადში მოგვეხდინა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია; მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიოთ ჩვენ ფინანსიურ და ტეხნიკურ შესაძლებლობას. არ უნდა დავიიწყოთ, რომ ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოგვიხდება ისეთ ჩამორჩენილ მოსახლეობაში, როგორიც არის მაგალითად თურქები და სხვ.. რომელთათვისაც ჩვენ ხშირად უბრალო წერა-კითხვის მცოდნე მასწავლებლებსაც კი ვერ ვშოულობთ.

ხუთი წლის დამლევს ჩვენ მთელს კავშირში წერა-კითხვის მცოდნე, ოპტიმალური ვარიანტის მიხედვით, გვეყოლება 80%-ტი. ამრიგად, უცოდინარი დაახლოებით დარჩება 19-20%-ტი.

ამ ამოცანას ხელი უნდა მოჰკიდოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომ საქმე ნამდვილად მიეიყვანოთ ბოლომდე.

სოციალისტური კადრის მომზადების საკითხი

უმაღლესი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხს ცალკე შევეხები. არსებულ ცნობების მიხედვით, საქართველოში ამჟამად გვყავს დაახლოებით 600 ინჟენერი. ხუთი წლის განმავლობაში მოვამზადებთ კიდევ 700 კაცამდე. ეს არის საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობები. ამავე ცნობებით, ჩვენ ამჟამად გვყავს 480 აგრონომი, ხუთი წლის განმავლობაში მოვამ-

ზადებთ კიდევ 650 აგრონომს. ახალი 650 აგრონომის მომზადების შესახებ არაფერს ვიტყვი, მაგრამ არსებული 480 აგრონომის შესახებ ჩემს თავს ნებას მივცემ ეგები გამოვთქვა და აი რატომ: მე ვკითხულობ სად მუშაობენ ეს აგრონომები? ამბობენ, რომ ისინი მუშაობენ ტფილისში. რისთვის გვჭირდებიან ისინი აქ. რათ არიან ისინი აქ?

სამრეწველო ტექნიკუმში ჩვენ ამჟამად გვყავს 300 კაცი. ხუთი წლის განმავლობაში მოვამზადებთ 1.490 კაცს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში მოვამზადებთ 1.349 კაცს.

მთელს საბჭოთა კავშირში 20.000 ინჟენერია, მაგრამ განზრახულია მათი რიცხვის გადიდება 54.000-მდე, ტექნიკოსია— 2.000, მათი რიცხვი გადიდდება 60.000-მდე. აგრონომია—11.000, ეს რიცხვი გადიდდება 34.000-მდე.

გარდა ამისა, ამ ხნის განმავლობაში განზრახულია მუშების ხელახალი კვალიფიკაციის მოხდენაც. საბჭოთა კავშირში განზრახულია 800.000 მუშის კვალიფიკაციის გადიდება. მაგრამ ცხადზე-უცხადესია, სრულებითაც საკმარისი არ არის ვილაპარაკოთ გამოშვებული სპეციალისტების რაოდენობის შესახებ.

უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გამოშვებული სპეციალისტები ჩვენი საბჭოთა სპეციალისტები იყვნენ.

სახალხო განათლებაზე, რომ ლაპარაკი გავათავოთ, ყრილობის ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის მასწავლებლობას. დიდი ხანია, ამხანაგებო, ვლაპარაკობთ სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ ხუთი წლის განმავლობაში ამას უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რათა მასწავლებლების გასამრჯელო იმ დონემდე მივიყვანოთ, რომელიც შეეფერება სოფლის მასწავლებლობის მდგომარეობას და რომელიც საშუალებას მისცემს მას ადამიანურად იცხოვროს. ამისათვის საჭიროა, რომ მისი გასამრჯელოს დონე გაუთანასწოროთ მუშების ხელფასს მაინც.

სამკითხველოები და კლუბები

ჩვენ გვაქვს აგრეთვე არასისტემატიური მასიური განათლების ზოგიერთი მაჩვენებელი, ესაა სახალხო სამკითხველოები, კლუბები, კინო-თეატრები და რადიო.

სახალხო სამკითხველოების რიცხვი 447-დან ხუთი წლის დამლევისათვის გადიდებული იქნება 699-მდე. ზრდა უდრის 56,4%-ტს, კლუბების რიცხვი 28-29 წელს უდრიდა 144-ს, 32-33 წელს გადიდებული იქნება 168-მდე, კინო-თეატრები 59-დან—168-მდე, ზრდის პროცენტი უდრის 194,7. პოლიტგანათლების ბაზით რადიო-მიმღებთა რიცხვი 111-დან 665-მდე ავა. ზრდა— 499%.

მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატის და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების, აგრეთვე ც. კ.-ის აგიტპროპის ყურადღება უნდა მივაქციოთ ფილმების შინაარს, რათა მათი ღირსება შინაარსის მხრით გაუმჯობესდეს.

სახალხო ჯანმრთელობა

გადავდიეარ ჯანმრთელობის დაცვის საკითხზე. ჯანმრთელობის დაცვის დარგში გვგმა, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ბრძოლას სოციალურ ავადმყოფობებთან, როგორიცაა, მაგ., მალარია, ტუბერკულიოზი და ვენერიული ავად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფობანი. შემდეგ გეგმა ითვალისწინებს სანიტარული საქმისა და სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების ორგანიზაციას.

ამბანაგებო, მიუხედავად დიდი წარმატებისა სოციალურ ავადმყოფობასთან ბრძოლის მხრით, ჩვენში მდგომარეობა მეტად მძიმეა. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გეგმით გათვალისწინებულია ბრძოლა, პირველ ყოველისა მალარიასთან. ამჟამად ჩვენ გვაქვს 12 სამალარიო სადგური, 3 სამალარიო პუნქტი, 1 დისპანსერი, ორი ტროპიკული ინსტიტუტი, აქედან ერთი ტფილისში, მეორე სოხუმში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაწესებულებებს არა აქვთ საკმაო რაოდენობის ქინაქინა მოსახლეობისათვის მისაწოდებლად. ხუთი წლის დამლევისათვის სამალარიო სადგურების რიცხვი გადიდებული იქნება 43-მდე; ამასთან, განზრახულია გაძლიერდეს ქინაქინის გაცემაც.

ამჟამად გვაქვს 4 სატუბერკულიოზო დისპანსერი, ხუთი წლის დამლევისათვის კი განზრახულია მათი რიცხვის აყვანა 24-მდე, სანატორიუმების საწოლების რიცხვი გადიდდება—2.535-მდე, ამჟამად კი არის 910.

გეგმით გათვალისწინებულია 6 ახალი ვენერიული დისპანსერი და 23 ვენერიული პუნქტის გახსნა. ნოწყობილი იქნება 5 ვენერიული რაზმი.

ამჟამად ერთ საწოლზე მოდის 7.454 კაცი. საჭიროა ეს ნორმა ჩამოვიყვანოთ 2.000-მდე (საზღვრითი ნორმა). ამისათვის საჭირო იქნება მოვაწყოთ კიდევ 1.800 საწოლი.

ეხლა სანიტარული დახმარების ორგანიზაციის შესახებ. ამ საქმეში ჩვენ მოვიკოჭლებთ, არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც, და ისეთ ქალაქშიაც კი, როგორიცაა ჩვენი „კეთილმოწყობილი" ტფილისი. სანიტარული ექიმი საქართველოში 40-ია. ხუთი წლის დამლევისათვის მათი რიცხვი გადიდდება 73-მდე. მაშინ თვითეულ ექიმზე მოვა 52 ათასი მცხოვრები უტფილისოდ, ახლა კი 97.000. სანიტარიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ ნაგებობებს, როგორიცაა წყალსადენი, კანალიზაცია, აბანოები და სხვ. ეს, სწორედ რომ ვთქვათ, უფრო კომუნალურ მეურნეობას ეხება. ყოველ შემთხვევაში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი თავს დაინტერესებულად სთვლის ამ საქმით. წყალსადენი ამჟამად 10 ქალაქში გვაქვს, ეს ქალაქებია: ტფილისი, ბათომი, სოხუმი, ახალქალაქი, გორი, სიღნაღი, ახალციხე, ჭიათურა, შაუმიანი და ფოთი. გარდა ამისა, ჩქარა უნდა დამთავრდეს წყალსადენი ქუთაისში.

მე კარგად არ ვიცი, თუ რას წარმოადგენენ ეს წყალსადენები. რაც შეეხება კანალიზაციას, იგი მხოლოდ ორ ქალაქშია: ტფილისსა და ჭიათურაში.

ტფილისის წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას და სწარმოებს მისი გადაკეთება, მუშაობა კანალიზაციის გასაყვანად სწარმოებს ბათომში, ქუთაისში და ზოგიერთ სხვა ქალაქში.

ბოლოს, ქალაქების სანიტარული მდგომარეობის მესამე მაჩვენებელია აბანოები. ტფილისში აბანოები თუმცა ბლომადაა, მაგრამ მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებას ეს აბანოები სათანადოდ ვერ აკმაყოფილებენ. სხვა ქალაქებში აბანოები ან სრულებით არაა ან თუ არის, ისეთ მდგომარეობაშია, რომ უკეთესია სრულებით არ იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა საკითხები

სააღმშენებლო მასალები

სანამ ჩემი მოხსენების დასკვნაზე გადავიდოდე და გავაშუქებდე საკითხს, თუ რას მოგვცემს ხუთწლიანი გეგმა სოციალიზმის მშენებლობისათვის, მინდა შეეხო კიდევ ზოგიერთ მტკივნეულ საკითხებს. ჩვენი უბედურება ის არის, რომ იძულებულნი ვართ შემოვიტანოთ თითქმის მთელი სააღმშენებლო მასალა. ცემენტი, ხე-ტყის მასალა, რკინა და სხვ. ხუთი წლის ბოლოსთვის ჩვენ გვექნება მიღწევები იმ მხრივ, რომ ცემენტი საკუთარი გვექნება და არა თუ ჩვენთვის საკმაო რაოდენობით, არამედ კიდევაც გავიტანთ მას.

ჩვენი გაჭირვება კიდევ ის არის, რომ არ შეგვიძლია საკმაოდ დავამზადოთ ისეთი მასალა, როგორიც არის აგური, კირი და სხვა. ხუთწლიანი გეგმის თანახმად ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს, მაგრამ არა საკმაოდ და ამ ნაწილში ჩვენ უნდა შევასწოროთ გეგმა. საჭირო არის სააღმშენებლო მასალის მრეწველობის განვითარება ადგილობრივად, რაც მოგვცემს საშუალებას უფრო გავაიაფოთ მშენებლობა.

ეხლა ჩვენს წინაშე დგას სოციალისტური შეჯიბრების, განუწყვეტელ სამუშაო კვირის შემოღების და სხვა საკითხები. თუ ჩვენ ვერ უზრუნველყავით ჩვენი წარმოება საჭირო ნედლეულით, ცხადია, რომ მთელი ჩვენი სამუშაოები არარად იქცევა და აქ ვერც სოციალისტური შეჯიბრება გვიშველის და ვერც განუწყვეტელი სამუშაო კვირა.

ამხანაგებო, ჩვენ მბედველობაში უნდა ვიქონიოთ ჩვენი საპერსპექტივო გეგმის შესრულება და ყველამ, ხოლო პირველ რიგში სამეურნეო ორგანიზაციებმა, უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხს.

კინო მრეწველობა

ჩემს მოხსენებაში ზევით გაკვრით შევეხე კინო-მრეწველობას. კინო-მრეწველობა ჩვენში ამ უკანასკნელ დროს გაჯანსაღების გზაზე დგას. კინო-მრეწველობამ დღემდე კიდევ საესებით ვერ გაამართლა ის იმედები, რომელსაც მასზე ვამყარებდით, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, ვიმეორებ, ამ დარგში მივაღწიეთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კინო-მრეწველობის განვითარების საკითხში უეჭველად გვაქვს ყველა უპირატესობა იმისათვის, რომ ეს საქმე საოთანადო სიმაღლეზე დავაყენოთ. დარწმუნებული ვარ, რომ თუ საოთანადო ღონისძიებებს ვიხმართ, კინო-მრეწველობა ნორმალურ განვითარებას მიაღწევს და მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს სახალხო მეურნეობაში. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ კინო-მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო არის მძლავრი საალმშენებლო ორგანიზაცია

ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი მშენებელი ორგანიზაცია — „სამშენი", რომელმაც, როგორც თქვენ ყველას საკმაოდ კარგად მოგეხსენებათ, საესებით ვერ გაართვა თავი მის წინაშე მდგომ ამოცანებს. ამიტომ საჭიროა ჩვენ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დროს სერიოზულად დაუფიქრდეთ ამ გარემოებას. უნდა მიეცეს დავალება ს. მ. უ. საბჭოს და სახკომსაბჭოს, რათა შეიქნას ნამდვილად მძლავრი ორგანიზაცია რესპუბლიკანური მასშტაბით, რომელმაც უნდა შესძლოს სათანადო სიმაღლეზე დააყენოს მშენებლობის საქმე.

სამეცნიერო საგამომკვლევო მუშაობა

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია საკმაო დიდი თანხა, ხუთ მილიონ მანეთზე მეტი, სამეცნიერო საგამომკვლევო მუშაობისათვის. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიცნობთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეების მდგომარეობას. ის არასაკმაო მასალები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ვერ იძლევიან ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა სრულს და ნამდვილს სურათს. ამიტომ სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობა ს. მ. უ. საბჭოს ხაზით და სხვა მიმართულებითაც უნდა გავაძლიეროთ. სამეცნიერო მუშაობა მოითხოვს ჩვენგან უაღრესად სერიოზულ ყურადღებას, იმისათვის, რომ ხუთი წლის დამლევისათვის და უფრო ადრეც, გამოვარკვიოთ ის ობიექტები, რომლების დამუშავებაც შესაძლებელი იქნება მომავალში.

წვრილი ხელოსნური მრეწველობა

წვრილი ხელოსნური შინამრეწველობის დარგში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს და ხუთი წლის დამლევისათვის კიდევ უფრო დიდი წარმატება გვექნება იმ მხრივ, რომ ხელოსნურ საწარმოთა უდიდესი უმრავლესობა კოოპერატიულად შეკავშირდება და მოხდება მთელი ამ მრეწველობის ბრუნვის სოციალიზაცია თითქმის 99%-ით. საქმე იმაშია, რომ მრეწველობის ეს დარგი ჩვენში, როგორც ყველა სხვა რესპუბლიკებშიაც, ძალიან დიდ როლს ითამაშებს უმუშევრობისა და საკონლის ნაკლებობის შენელების საქმეში.

ამიტომ მთელ საბჭოთა კავშირში ამ დარგს მიეცეული აქვს სერიოზული ყურადღება. ამ მხრივ ჩვენი გეგმა საესებით შეთანხმებულია საკავშირო გეგმასთან.

კომუნალური მეურნეობა

როცა ვლაპარაკობთ კომუნალურ მეურნეობაზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მარტო ჩვენი ქალაქები, არამედ სოფლებიც, მშენებლობა სოფლად. ამ მხრივ ჩვენ საშინელი სურათი გვეშლება: არ არის საკმაო სასმელი წყალი, არ გვაქვს აბანოები, მე ალარაფერს ვიტყვი კეთილმოწყობის სხვა მხარეებზე. ამიტომ საჭიროა მიექცეს სერიოზული ყურადღება კომუნალურ მეურნეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო-მშენებლობა

საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობის ქვაკუთხედს უნდა შეადგენდეს ელექტრონის მრეწველობა. ნაცოდნე პირთა გამოანგარიშებით თეთრი ნახშირის რაოდენობა საქართველოში უდრის დაახლოებით $3^1/_2$ მილ. ცხენის ძალას, ვფიქრობ, რომ ეს ციფრი მცირეა, ნამდვილად კი გაცილებით მეტი იქნება. მაგრამ საქმე ამაში არ არის. საინტერესოა ვიცოდეთ, ხუთი წლის დამლევს, მას შემდეგ, როცა ზაჰესი, რიონჰესი, აბჰესი მიაღწევენ სრულ ძალოვნებას, ამ თეთრი ნახშირის რამდენი პროცენტი იქნება გამოყენებული? ძალიან უმნიშვნელო. ვფიქრობ, რომ ეს თეთრი ნახშირი საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს მრეწველობას.

ხუთი წლის დამლევს ზაჰესი და აბჰესი საესებით იქნებიან დატვირთულნი. შემდეგ საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გეგმით განზრახულია ალაზნის 7 ათასი ცხენის ძალიანი ჰიდრო-ელსადგურის მოწყობა, რომელიც დაკმაყოფილებს მთელი კახეთის მაზრის მოთხოვნილებას. მას მისდევს გუმისტას ჰიდრო-ელსადგური 2.500 ცხენის ძალით, რომელიც უმთავრესად დაკმაყოფილებს ქალაქ სოხუმის მოთხოვნილებას, გალიზგას ჰიდრო-ელექტრონული სადგური 7.000 ცხენის ძალით, რომლის დანიშნულებაა ტყვარჩელის ქვანახშირის სამუშაოთა დაკმაყოფილება; აჭარისტანში ან დამთავრდება უკვე დაწყებული ელსადგური, ან აიგება ახალი, დაახლოებით 25.000 ცხენის ძალიანი სადგური. განზრახულია ელსადგურის აგება ოზურგეთში—2.000 ცხენის ძალიანი, გარდა ამისა „აზნეფტი" თავის ნავთის სახდელს ქარხნებში აწყობს ოროქლ-ტურბინის სადგურს.

ამგვარად, ხუთი წლის ბოლოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იქნება სარაიონო სადგურების უდიდესი ქსელი, რომელიც ენერგიით უზრუნველყოფს დიდ სამრეწველო ცენტრებს, მაგრამ ფერო-მარგანეცის ქარხნის დაკმაყოფილება ენერგიით აქ არ არის გათვალისწინებული. ამისათვის საჭირო ხდება ახალი ჰიდრო-ცენტრალის აგება, რომელიც იქნება რეგულიატორი. ამრიგად, ხუთი წლის დამლევს აგებული იქნება ახალი უფრო ძლიერი სადგური 100 ათასი ცხენის ძალით. ასეთი სადგურის აგება აუცილებლად საჭიროა. ეს სადგური იქნება ცენტრალური, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვეთ, მოაწესრიგებს დანარჩენი სადგურების მოქმედებას. ეს ახალი სადგური განზრახულია აიგოს თოფარავანზე (ახალქალაქის მაზრა).

სამთო-საქარხნო მრეწველობა

შემდეგი დარგი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, არის სამთო-საქარხნო მრეწველობა; ჯერ-ჯერობით ჩვენ ვეწევით ბარიტის, დიატომიტის და ფლორიდინის წარმოებას, მაგრამ ვფიქრობ, რომ შემდეგ ხუთ წელში შეუდგებით სხვა მინერალების დამუშავებასაც. აქაც უნდა აღვნიშნოთ ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის დღევანდელი მძიმე მდგომარეობა. გეგმით გათვალისწინებულია დიდი ტეხნიკური, გაუმჯობესებანი ქვანახშირის ამოღების და ექსპლოატაციის საქმეში, გადაწყვეტილია ბრიკეტის ქარხნის აგება. აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესად განზრახულია სათბობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არა მარტო მრეწველობაში, არამედ ყოფა-ცხოვრების დარგში ჩვენი ტყეების დაცვისათვის.

ქიმიური მრეწველობა

ქიმიურ მრეწველობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მრეწველობას დიდი მომავალი აქვს. განსაკუთრებით აზოტის წარმოებისათვის, რაც უდიდეს როლს ითამაშებს, როგორც ნიადაგის განაპოხიერებელი მასალა.

მარგანეცის მრეწველობა

ეხლა რამდენიმე სიტყვა მარგანეცის მრეწველობაზე. ცნობილია, რომ ამ მრეწველობას თავიდანვე მტაცებლური ექსპლოატაციის ხასიათი ქონდა. ოკანა-სკნელ ხანებში, განსაკუთრებით გასული წლის განმავლობაში აქ დიდი გაუმჯობესება მოხდა მარგანეცის ამოღების, გარეცხვის და გადაზიდვის საქმეში; მე აქ აღარ შევეხები ფერო-მარგანეცის წარმოებას, რომლის მნიშვნელობა ჩვენ სახალხო მეურნეობაში მეტად დიდი იქნება. ასევე უნდა ითქვას ნავთის მრეწველობაზე, ამაზე ალბად დაწერილებით ილაპარაკებს ჩემი თანამომხსენებელი ამხ. გ. ყურულიშვილი.

ნავთის მრეწველობა

უნდა ითქვას, რომ ნავთის მრეწველობის დარგში დღემდე არა გვაქვს საგრძნობი შედეგები. აეიღოთ შირაქის ნავთი. ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ აქ ამოსთქა შადრევანმა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მიყუჩდა. ეს საქმე საჭიროებს დაჩქარებას. მარტო 100 ათასი მანეთის გადადება გამოკვლევის მოსახდენათ მომავალ წელს სერიოზულ ეფექტს ვერ მოგვცემს, საჭიროა მეტი ყურადღება, უფრო მეტი თანხების დაბანდება ამ საქმეში. შემდეგ გურიის ნავთი: ამდენი ხანია მუშაობენ და დღემდე არაფინ დაინტერესდა გამოერკვია—მართლა არის თუ არა იქ ნავთი და საჭიროა თუ არა მუშაობის გაგრძელება. ანიტომ საჭიროა შეუდგეთ ნავთის მრეწველობის საკითხების გადაჭრას, რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა გამოირკვეს, შეეძლებთ რაიმე შედეგების მიღწევას ნავთის საქმეში, თუ ეს უნაყოფო მუშაობაა.

სატყეო მეურნეობა

არსებობს აზრი, რომ საქართველო ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, ძალიან მდიდარია ხე-ტყით. მართლაც, ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველო ამ მხრივ საბედნიერო გამონაკლისს წარმოადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეგვიძლია დაუფიქრებლად ვანადგურეთ ტყე.

ვფიქრობ, თქვენ ჩემზე კარგად იცით, რომ ჩვენი ტყეების ექსპლოატაცია არასოდეს არ სწარმოებდა ისე ძლიერ, როგორც ამჟამად. თუ დაათვალიერებთ ტყის რაიონებს, აუცილებლად ნახავთ, რომ ეს რაიონები ამოჩეხილია და რჩება ტიტველი გორები.

თქვენ იცით, რომ ჩვენში თითქმის არ არის ისეთი ადგილი, სადაც არ იყოს სახერხი ქარხნები, ყველასათვის ეს მეტი შემოსავლიანი წყაროა, ამ საქმეს ყველა მისდევს. ამ ბოლო დროს მიყრუებულ რაიონებსაც კი მიადგნენ ტყის გასაჩეხათ. მაგალითად, ქვემო სვანეთში — და ეხლა მიდიან უფრო მაღლა და მაღლა მდინარე ენგურის, ცხენის წყალის და რიონის სათავეებისაკენ.

როგორც იცით ჩვენში ტყეები მდებარეობენ მთების კალთებზე და თუ ეს ტყეები მოისპობა, მდინარეებში წყლის დონე დაიკლებს, ხოლო წვიმის დროს კი მოვარდება ძლიერი ნიაღვარი და წალეკავს ყველაფერს. აი, ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენში ტყეების 90%-ს, თუ მეტს არა, დაცვითი ხასიათი აქვს. ეს ტყეები იცავენ ჩვენს მდინარეებს, აწესრიგებენ მათ რეჟიმს და ხელს უწყობენ ჯანსაღ ჰაერს. ჩვენი ტყეები უდიდეს როლს თამაშობენ კურორტებისათვის. უკვე დროა სერიოზული ზომები იქნას მიღებული ტყეების დასაცავად, იმათ გასაშენებლად და ტყის რაციონალური ექსპლოატაციისათვის. ჩვენი სპეციალისტები სატყეო საქმეში თითქმის გაიყვნენ ერთ წერტილზე. ტყეების მტაცებლურად განადგურება კი გრძელდება. საბედნიეროდ, სატყეო საქმის ნამდვილი მცოდნენი ჩვენში ძალიან ცოტანი მოიპოვებიან. ჩვენ მოგვიხდება მოვიწვიოთ სატყეო საქმის მცოდნე რამდენიმე სპეციალისტები საზღვარგარეთიდან, ისე როგორც ვიწვევთ სპეციალისტებს ჩვენი მრეწველობის საჭიროებისათვის. უნდა მოვიწვიოთ ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ ჩვენი რელიეფის მსგავსი სატყეო მეურნეობის საქმე. აი ის, რის თქმაც მინდოდა ტყეების შესახებ.

ჩაის კულტურა

ჩვენ გაძლიერებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩაის საქმის განვითარებას. ხუთი წლის დამლევისათვის უნდა გვქონდეს 40.000 ჰექტარი ჩაის პლანტაციები. ეს უდიდესი მიღწევა იქნება. რა თქმა უნდა, ეს 40.000 ჰექტარი სავსებით ამ ხუთი წლის განმავლობაში შედეგს ვერ მოგვცემს. ეს იქნება მხოლოდ შემდგომ ხუთწლედში. მე-2 ხუთი წლის დამლევისათვის ყოველწლიურად დამზადდება 21 მილ. კილოგრამი ჩაი, რაც შეადგენს ომის წინადროინდელი მოხმარების 66%. ეს იმას მოწმობს, რომ ჩაით ჩვენ მალე არა თუ მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებთ, არამედ შეიძლება კიდეეაც გადავაქციოთ ის ექსპორტის საგნად. აჭარისტანში, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებში და აფხაზეთში ჩვენ გვაქვს არა ნაკლებ 150.000—160.000 ჰექტარი ჩაის კულტურისათვის გამოსადეგი მიწა, რაც საკმარისია ამ კულტურის შემდგომ ზრდას. მეორე მხრივ ჩვენ უზრუნველვყოფთ თავს უცხოელთა დამოკიდებულებისაგან ჩაის მხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურორტო საქმე

ამ საქმეს დღემდე შედარებით მცირე ყურადღება ექცეოდა. უნდა ვთქვა, რომ კურორტების მხრით საქართველოს შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების უდიდესი ნაწილი. საუცხოო კლიმატიური სადგურები, მინერალური წყლები, მთის ჰაერი,—ყოველივე ამას შეუძლია საკურორტო საქმე ჩვენში ფართოდ განავითაროს, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში უდიდეს როლს ითამაშებს. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსული ამხანაგები ხშირად გვეკითხებიან, რა საგებლობას გაძლევთ თქვენ ეს კურორტები, და როდესაც ჩვენ ვეპასუხებთ, რომ ჩვენი მშენელობისათვის კურორტები არა თუ არაფერს არ გვაძლევენ, არამედ იძლევიან ზარალს, ისინი პირდაპირ გაკვირვებულნი რჩებიან. ავიღოთ თუნდაც, კურორტი წყალტუბო. ამ კურორტს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხეთ მისი ისე მოწყობა, როგორც საჭიროა. მართალია, ამ ორი-სამი წლის განმავლობაში იქ არის მიღწევები, მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ წყალტუბო ისეთ კურორტად გადაიქცეს, რისი ღირსიც იგი არის. არაფერს ვამბობ ისეთ კურორტზე როგორიც არის აბასთუმანი, ბორჯომი და სხვ.,—ყველა ესენი საჭიროებენ უდიდეს ყურადღებას. საქართველოში არის ყველა პირობები, რომ ის გადაიქცეს კურორტების საუკეთესო კუთხედ მთელ საბჭოთა კავშირში.

ტ უ რ ი ზ მ ი

ამხანაგებო, მე მინდა მიგითითოთ კიდევ ერთ ჩვენთვის სრულიად ახალ დარგზე, რომელსაც შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს, მაგრამ, რომელსაც დღემდე ყურადღებას არ ვაქცევდით. ეს არის ტურიზმის განვითარება. ცნობილია, რომ ტურიზმი საკმარისად დიდ სარგებლობას აძლევს ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არის საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, გერმანია და სხვ. ჩვენში კი, სადაც ტურიზმის განვითარებისათვის ყველა წინასწარი პირობები მოიპოვება, ეს საქმე სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული. ჩვენ მხოლოდ ახლა ვფიქრობთ მივაქციოთ მას ყურადღება, ამიტომ საჭიროა მოკლე დროში შემუშავებულ იქნას განსაკუთრებული გეგმა ტურიზმის განსავითარებლად.

ბ ი უ ჯ ე ტ ი

ადგილობრივი ფინანსები

დიდი საალმშენებლო გეგმა მოითხოვს ჩვენი ფინანსიური საშუალებების ისეთნაირად აღრიცხვას, რომ თვითეული კაპიკი გამოყენებული იქნეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ჩვენ უნდა ვისწავლოთ თანხების ხარჯვა იმ რიგათ, რომ ის იძლეოდეს რაც შეიძლება მეტ სანეურნეო და საწარმოო ეფექტს. ეს გვაკლია ჩვენ დღეს, ამიტომ, ჩვენ გაცილებით მეტს ვხარჯავთ ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ მიზნისათვის, ვიდრე ეს საჭირო არის. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ვერ შეურიგდით ჯერ კიდევ იმ აზრს, რომ თვითეული კაპიკი უნდა იხარჯებოდეს ისე, რომ ჩვენ მივიღოთ სათანადო შედეგი. მთელი ეს ხუთი წელი იქნება—წლები არასაწარმოო ხარჯების შემცირების და იმავე დროს საწარმოო ხასიათის ხარჯების გაძლიერების—ეს არის თუ გნებავთ დედა-აზრი მთელი ჩვენი ხუთწლიანი გეგმისა. ეს კი არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენ დავსძლიოთ კერძო სექტორი და გავაძლიეროთ სოციალისტური მშენებლობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენის მხრივ საკმაოდ არ არის შესწავლილი ყველა საშემოსავლო წყაროები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებას ქმნის ავრეთვე ის მოვლენა, რომ დღემდე როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ა/კავკასიის მასშტაბით არ არის გამომუშავებული მტკიცე საბიუჯეტო უფლებები. ხშირად ჩვენ ვაკეთებთ იმას, რასაც უნდა აკეთებდეს საბჭოთა კავშირი და საბჭოთა კავშირი აკეთებს იმას, რასაც უნდა ვაკეთებდეთ ჩვენ. ამ პირობებში, ცხადია, ყველაფრის გამოანგარიშება შეუძლებელია. ეხლა სწარმოებს მუშაობა საბიუჯეტო უფლებების ჩამოსაყალიბებლად და ამას შეუძლია ჩვენი ბიუჯეტი შესცვალოს შემცირების ან გადიდების ხაზით.

მე დიდხანს არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას ბიუჯეტის საკითხზე. თუ ავიღებთ შეერთებულ (Сводный) ბიუჯეტს, რესპუბლიკანურს და ადგილობრივს, მომავალი ხუთი წლის მანძილზე, მივიღებთ შემდეგ სურათს:

საქართველოს სსრ ბიუჯეტი 28-29 წ. 32-33 წ. (ათას მანეთებში)

შემოსავალი	27-28 წ.	28-29 წ.	29-30 წ.	30-31 წ.	31-32 წ.	32-33 წ.	5 წელში	ზრდა %%-ში
შეერთებული ბიუჯეტი . .	66.139,1	90.358,2	125.223,6	145.585,1	151.431,5	169.763,3	682.361,7	156,7
ზრდის % წინა წელთან შედარებით . . .	—	3,66	38,6	16,3	4,0	12,1	—	—
აქედან ა) რესპუბლიკანური ბიუჯეტი . .	27.709,5	49.465,8	85.322,2	1.022-469,5	107.064,7	119.642,6	463.964,8	331,8
ზრდის % წინა წელთან შედარებით . . .	—	78,5	72,5	20,1	4,4	11,7	—	—
ბ) ადგილობრივი ბიუჯეტი .	49.571,9	59.508,9	74.023,7	83.162,5	89.481,6	100.949,3	4.077.126,0	103,6
ზრდის %-ტი წინა წელთან შედარებით .	—	20,0	24,4	12.3	7,6	12,8	—	—

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ხუთი წლის ბოლოს შეერთებული (Сводный) ბიუჯეტი გაიზრდება 156,7%. თუ ეხლა ამ ბიუჯეტის შემადგენელ ცალკე ნაწილებს ავიღებთ, დავინახავთ, რომ ყველაზე სწრაფად იზრდება რესპუბლიკანური (სახელმწიფო) ბიუჯეტი, სახელდობრ 331,8%-ით; რაც შეეხება ადგილობრივ ბიუჯეტს, ის მეტად ნელი ტემპით იზრდება.

ეხლა მოვიყვანთ ცნობას, თუ რისგან შესდგება ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროები.

აი, ამის ცნობები: ცალ-ცალკე, ადგილობრივი, სახელმწიფო და შეერთებული ბიუჯეტის შესახებ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი ბიუჯეტი

შემოსავალი	27-28 წ.	32-33 წ.	სულ 5 წელში	32-33 წ. %%-ით 27-28 წ. მიმართ
1. საგადასახადო				
1. სას.-სამ. გადასახადი	1.471,3	2.057,1	8.892,6	39,8
2. სარეწაო გადასახადი	7.068,2	19.777,3	69.247,5	179,8
მათ შორის გადარიცხვა	2.053,7	19.427,3	67.715,7	846,0
3. საშემოსავლო გადასახადი	1.053,6	1.447,1	6.283,0	37,3
4. სახამართლოსა და საპოტარო ბარეგები	324,5	519,2	1.927,5	60,0
5. ადგილობრივი ხარჯი და გამოსაღები	3.033,2	7.848,4	30.526,8	161,3
მათ შორის საფუძველ გადასახადი	440,0	3.486,2	12.933,7	692,3
6. სხვა გადასახადი	2.046,6	16,0	57,0	—
1—6 სულ საგადასახადო	14.967,4	31.665,1	116.934,9	111,6
2. არასაგადასახადო				
7. ტყე	648,4	1.660,0	6.362,9	156,0
8. სოფლის მეურნეობის შემოსავ.	823,2	1.350,0	5.255,4	63,9
9. შრეწველობა	839,8	2.845,0	10.127,4	238,8
10. საქონ. ბრუნვა	34,9	108,6	455,6	211,2
11. კომუნალური მეურნეობა	6.263,0	8.648,0	38.255,4	38,1
12. კომ. წამოწყებანი	11.583,0	17.685,0	77.871,7	52,7
13. გადარიცხვა არა საგადასახადო სახ. ფონდიდან	65,1	697,5	3.039,1	971,4
14. სხვა არა საგადასახადო	1.414,9	—	—	—
7-14 სულ არასაგადასახადო	21.672,3	32.994,1	143.262,0	52,2
3. სესხი	3.755,0	6.018,6	28.168,9	60,3
1. მიზნობ. დახმარ. სპეც. სახსრებ. და კაპიტალებიდან	1.239,6	—	1.918,4	—
2. საბიუჯეტო ნაშთები	977,3	1.680,0	7.949,7	71,9
3 სუბვენცია და დოტაცია	6.912,9	26.986,7	10.2718,8	290,4
4. გადარიცხვა სახ. კრედიტ.	47,4	1.604,8	6.173,3	3.285,6
1—4 სულ	49.571,9	100.949,3	407.126,0	103,6
ეხუბვენციო და უდოტაციო	42.659,0	73.962,6	304.407,2	73,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკანური ბიუჯეტები (ათას მანეთებში)

შემოსავალი	27-28 წ.	32-33 წ.	სულ 5 წელში.	32-33 წ. %%-ით 27-28 წ. მიმართ.
I. საგადასახადო:				
1. სას-სამ. გადასახადი	2.290,9	3.285,0	13.735,0	43,4
2. სამრეწველო გადასახადი	6.401,8	28.663,2	101.012,3	344,7
3. საშემოსავლო გადასახადი	3.769,8	5.788,5	24.815,3	53,5
4. სასამართლოს და სასანიტარო ხარჯები	346,1	553,9	2.415,6	60,0
5. სხვა გადასახადები	13,0	32,0	137,0	146,2
1—5 სულ საგადასახადო	12.821,6	38 322,6	142.115,2	198,9
II. არასაგადასახადო				
6. ტყე	1.612,6	4.150,0	16.000,0	155,8
7. წიალი	11,4	350,0	1.368,8	2.970,2
8. სასოფლო მეურნ. შემოს.	344,8	382,0	1.715,0	10,8
9. მრეწველობა	455,2	4.209,0	12.038,2	822,6
10. ვაჭრობა და ბანკები	207,3	655,8	2.253,0	216,4
11. დაბრუნებული საბიუჯეტო სესხი	3,0	22,0	89,0	633,3
12. სხვა არასაგადასახადო	112,9	202,4	898,4	78,9
6—12 სულ არასაგადასახადო	2.758,2	9.970,8	34.362,4	261,5
1—12 სულ საგადასახადო და არასაგადასახადო	15.579,8	48.293,4	176.477,6	216,8
III. სუბვენცია და დოტაცია	12.129,8	71.349,2	287.487,3	488,2
I—III. სულ	27.709,6	119.624,6	463.964,8	331,8

ნაკრები ადგილობრივი და რესპუბლიკანური ბიუჯეტი (ათას მანეთებში)

შემოსავალი	27-28 წ.	32-33 წ.	სულ 5 წელში.	32-33 წ. %%-ით 27-28 წ. მიმართ.
I. საგადასახადო				
1. სას.-სამ. გადასახადი	2.290,9	3.285,0	13.735,0	43,4
2. სარ. გადასახადი	11.416,3	29.013,2	102.544,1	154,1
3. საშემოსავლო გადასახადი	4.823,4	7.233,6	31.098,3	50,0
4. სასამართლოს და სანიტარო ხარჯები	607,6	1.073,1	4.343,1	60,0
5. ადგილობრ. ხარკ. და გამოსალ.	3.003,2	7.848,4	30.526,8	161,3
მათ შორის: საუთო გამოსალები	440,0	3.486,2	12.933,7	692,3
6. სხვა საგადასახადო	2.059,6	48,0	194,5	—
1—6 სულ საგადასახადო	24.264,0	48.503,3	182.441,8	99,9
II. არასაგადასახადო				
7. ტყე	1.622,6	4.150,0	16.000,0	155,8

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსავალი	27-28 წ.	32-33 წ.	სულ 5 წელში.	32-33 წ. %%-ით 27-28 წ. მიმართ.
8. წიალი	11,4	350,0	1.368,8	2.970,2
9. სოფლის მეურნეობის შემოსავალი	1.168,0	1.732,0	6.970,4	48,3
10. მრეწველობა	1.296,0	7.054,0	22.165,6	444,3
11. საკონლის ბრუნვა	242,2	764,4	2.708,6	215,6
12. კომუნალური მეურნეობა	6.263,0	8.648,0	38.255,4	38,1
13. კომუნალ. წამოწყ.	11.583,0	17.685,0	77.871,7	52,7
14. სამეუჯეტო სესხ. დაბრუნება	3,0	22,0	89,0	633,3
15. სხვა არასაგადასახადო	152,8	202,0	2.792,0	103,2
7—15 სულ არასაგადასახადო	23.717,0	40.607,4	168.222,4	71,2
1—15 სულ საგადასახადო და არასაგადასახადო	47.981,0	89.110,7	350.664,2	85,7
III. სესხი	37.755,0	6.018,6	28.168,9	60,3
4. სამეუჯეტო ნაშთები	977,3	1.683,0	7.949,7	71,9
5. სუბვენცია და დოტაცია	12.129,8	71.349,2	287.487,2	488,2
6. გადარიცხვა სახ. კრედიტიდან	47,4	1.604,8	6.173,3	3.285,6
7. სხვა	1.239,6	—	1.918,4	—
1—7 სულ	66.130,1	169.763,3	682.361,7	156,7
ესუბვენციოთ და უდოტაციოთ	54.000,3	98.414,1	394.874,5	82,2

როგორც ხედავთ ადგილობრივ ბიუჯეტში საგადასახადო წყაროებიდან შემოსული თანხები იზრდება 111,6%-ით (საშუალოთ), კერძოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 27-28 წ. შედარებით იზრდება 39,8%-ით, სარეწაო გადასახადი 179,8%-ით, საშემოსავლო გადასახადი 37,3%-ით, ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები 161,3%-ით, არასაგადასახადო შემოსავალი იზრდება საშუალოდ 27-28 წ. შედარებით 52,2%-ით. ყველაზე უფრო იზრდება შემოსავალი მრეწველობისაგან (238,8%-ით), შემდეგ კერძოდ ტყის მრეწველობისაგან (156%), მაგრამ რაც საინტერესო არის, ეს ისაა, რომ იზრდება სუბვენცია და დოტაცია. თუ 27-28 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაცემული იყო 6.912.900 მან., 32-33 წ. უნდა გაიცეს 26.986.700 მან., ე. ი. იზრდება სუბვენცია-დოტაცია 27-28 წ. შედარებით 290,4%-ით. სულ საშუალო საშემოსავლო წყაროებიდან შემოსული თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში იზრდება 103,6%-ით, ნაკრები ბიუჯეტი იზრდება საშუალოდ (შემოსავალი) 256,7%-ით. საგადასახადო წყაროებიდან შემოსული თანხები იზრდება 199,9 %-ით, მათ შორის—ყველაზე სწრაფად იზრდება სარეწაო გადასახადი (254,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

%-ით, ადგილობრივი ხარკი და გამოსაღები 261,3%-ით). არასავადასახადო წყაროებიდან შემოსული თანხები იზრდება 71,2%-ით, როგორც ადგილობრივ ბიუჯეტში, ისე ნაკრებ ბიუჯეტში სუბვენცია და დოტაცია იზრდება. ასე მაგალ., თუ 27-28 წ. ნაკრებმა ბიუჯეტმა მიიღო სუბვენციის და დოტაციის სახით 12.129.800 მანეთი, 32-33 წელში გათვალისწინებულია, რომ მან უნდა მიიღოს 71.349.200 მან. აქ სუბვენცია და დოტაცია იზრდება 588,2%-ით, ადგილობრივ ბიუჯეტში კი უფრო მცირეთ, ანუ 390,4%-ით. განსხვავება, როგორც ხედავთ დიდია, მაგრამ მდგომარეობა ჩამაფიქრებელი არის და ჩვენი ბიუჯეტი ამ ხუთი წლის განმავლობაშიდაც იძულებული არის ისულდგმულოს სუბვენციით და დოტაციით. ასეთივე მდგომარეობაა რესპუბლიკანურ ბიუჯეტშიდაც. აქ სუბვენცია-დოტაცია იზრდება 12.129.800 მანეთიდან 27-28 წ.— 71.340.200 მანეთამდე—32-33 წელში. ჩვენთვის აქ მაჩვენებელი არის ნაკრები ბიუჯეტი, ადგილობრივი და რესპუბლიკანური მისი შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ჩვენ უნდა გაუწიოთ ანგარიში იმას, თუ რა სურათი გვაქვს ჩვენ შეერთებული ბიუჯეტის მიმართ. აქ ამხანაგები მიაქცევენ ყურადღებას, რომ შემოსავალი გადასახადებებიდან იზრდება. ზოგიერთს ეს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ თუ შევიგნებთ ჩვენ იმას, რომ ხუთწლიანი გეგმა არის პროლეტარიატის კლასიური შეტევის გეგმა—კულაკების, ნეპმანების და ახალი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაშინ ჩვენთვის აქ ახალი არაფერი იქნება. საგადასახადო პრესი აუცილებლად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ეს იყო წარსულში. შეტევა კერძო სექტორის წინააღმდეგ გულისხმობს უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური საშუალებებით ბრძოლას, და ეს საშუალებები არის საგადასახადო პოლიტიკა. ეხლა მე მოვიყვან ცნობას მხოლოდ შეერთებული ბიუჯეტიდან, თუ რაზე დაიხარჯება ყველა ეს თანხები. შეერთებული ბიუჯეტი 27-28 წ. შეადგენდა უსუბვენციოთ და უდოტაციოთ 54.300.000 მან. დოტაციით და სუბვენციით—66.130.100 მ. 32-33 წელში ჩვენ გვექნება შეერთებული ბიუჯეტით 169.763.300 მან., უსუბვენციოთ და უდოტაციოთ კი 98.414.100 მან.. თუ შევაერთებთ ჩვენს ბიუჯეტს და გამოვიყვანთ ჯამს ხუთი წლის ბოლოსათვის, დავინახავთ, რომ ეს ჯამი იქნება 682.361.700 მან. აქედან სუბვენცია და დოტაცია იქნება 394.874.500 მან. აი ეს თანხა უნდადაიხარჯოს შემდეგ საჭიროებებზე: (იხ. ცხრილი 278 გვ.)

ამ ცხრილში ყველაზე საინტერესო არის ის სურათი, რომელსაც იძლევა სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდება. ასე მაგალითად: თუ მრეწველობამ შეერთებული ბიუჯეტიდან 27-28 წ. მიიღო 940.800 მან., 32-33 წ. მიეცემა 6.034.800 მან., სულ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი მრეწველობა მიიღებს შეერთებული ბიუჯეტიდან 65.343.800 მან. სოფლის მეურნეობას 27-28 წ. არაფერი არ მიუღია. 32-33 წელში კი მიიღებს 23.445.000 მან. მთელი ხუთი წლის განმავლობაში კი—71.386.000 მან.. საგზაო მშენებლობაზე ბიუჯეტის ხარჯით 27-28 წ. დაიხარჯა 1.221.600 მან., 32-33 წ. დაიხარჯება 5.493.200 მან., სულ ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 20.051.300 მან.. კომუნალურ საქმეზე 27-28 წ. დახარჯული არის 13.215.100 მან., 32-33 წ. დაიხარჯება 19.814.000 მან., სულ ხუთი წლის განმავლობაში კი—87.349.600 მან.. ელექტროფიკაციაზე ბიუჯეტის სახით დაიხარჯება სულ ხუთი წლის გან-

შეერთებული (ადგილობრივი და რესპუბლიკანური) ბიუჯეტი
(ათას მანეთებში)

გასაველი	27-28 წ.	32-33 წ.	სულ 5 წელში	32-33 წ. %%-ით 27-28 წ. მიმართ
ა. 1. საერთო მართველობა	6.462,7	7.694,2	35.320,7	+ 19,1
2. სასამართლოს და წესრიგის დაცვა	3.783,2	5.161,5	22 030,0	+ 136,4
3. განათლება, მეცნიერება და ხელოვნება	16.427,7	51.613,0	181.997,4	+ 214,2
ა) I და II საფ. სკოლების, შვიდწლედების და ცხრაწლედების ხარჯები	6 983,2	20.575,0	77.529,1	+ 194,6
ბ) დაბალი და საშუალო პროფტექნიკური სკოლების ხარჯები	1.728,6	14.181,0	45.123,5	+ 720,4
4. ჯანმრთელობის დაცვა	5.538,5	14.530,0	54.527,4	+ 162,3
5. სოციალური უზრუნველყოფა	600,6	4.642,0	12.464,3	+ 672,9
6. სოფლის მეურნეობის საოპერაციო ხარჯები	3.053,1	10.420,7	35.878,6	+ 241,3
7. საშარაგო ფონდები	2.106,9	1.943,9	8.082,1	— 8,0
8. სესხების დაფარვა	2.829,2	3.417,7	13.454,7	+ 20,8
9. სხვადასხვა ხარჯები	1.385,6	1.870,6	9.134,7	+ 35,0
1—9 სულ „ა"—მიხედვით	42.187,5	101.293,6	372.889,9	+ 140,1
ბ) ფინანსიური სახსრების მიწოდება სახალხო მეურნეობისათვის:				
10. სასოფლო მეურნეობა	—	23.445,0	71.386,0	—
11. მრეწველობა	940,8	6.034,8	65.343,7	541,5
12. ელექტროფიკაცია	—	1.140,0	13.026,0	—
13. საქონლის ბრუნვა და კოოპერაცია	—	1.234,0	3.500,0	—
14. საგზაო მშენებლობა	1.221,6	5.493,2	20.051,3	349,7
15. საკურორტო შენებლობა	—	1.250,0	4.000,0	—
16. კომუნალ. მეურნ.	5.319,5	9.528,7	40.585,8	79,1
17. კომუნ. წამოწყ.	13.215,1	19.814,0	87.349,6	49,9
18. ბრძოლა უმუშევრობასთან	—	530,0	1.712,8	—
19. სხვა.	445,0	—	2.536,6	—
10—19 სულ „ბ"—მიხედვით	21.142,0	68.469,7	309.471,8	223,9
1—19 სულ	63.329,5	169.763,3	682.361,7	168,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალობაში ჩვენი ბიუჯეტიდან 3.500.000 მან. საერთოდ სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდება საქართველოს შეერთებული ბიუჯეტის ხაზით ხუთი წლის განმავლობაში გამოიხატება 319.471.800 მანეთში. აი ის ხაზი, რომელიც აღებული არის სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების საქმეში. აღსანიშნავია, რომ ეს არის კაპიტალური დაბანდებანი, ამ თანხაში არ შედის საშმართველოს და სხვა ხარჯები.

ᲛᲝᲚᲘᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

რამდენიმე სიტყვა მოსახლეობის ზრდის შესახებ. 27-28 წ. საქართველოს მთელი მოსახლეობა 2.730.000 კაცს უდრიდა, 32-33 წ. ეს ციფრი 3.011.400-მდე გაიზრდება, თუ მივიღებთ საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტემპს ამ ხნის განმავლობაში 10.3%. ქალაქების მოსახლეობის ზრდა ნაგარაუდევია უფრო სწრაფად, ვინემ სოფლის. ასე, ქალაქების მოსახლეობა დაახლოებით მოიმატებს 13,7%, ხოლო სოფლის—9,3%. საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ზრდა ნაგარაუდევია ცოტა უფრო სწრაფი ტემპით, სახელდობრ 11,8%-ით. დასასრულ, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვით შევეხო სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდას ჩვენი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი.

დავიწყოთ საოფლო მეურნეობიდან. ხუთი წლის ბოლოს გლეხთა მეურნეობის საერთო რიცხვიდან 16,4% ანუ დაახლოებით 71.800 გლეხთა მეურნეობა გაერთიანებული იქნება კოლმეურნეობაში, ეს შეადგენს დაახლოებით მთელი მოსახლეობის 15,6%, ანუ აბსოლუტურ რიცხვებში 359.000 მცხოვრები გაერთიანებული იქნება კოლმეურნეობებში. კოლექტიური მეურნეობა ხუთი წლის ბოლოში მოგვცემს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 12,6%, მთელი განსაზოგადოებული სექტორი კი—13,9%-ს [1]). აბსოლუტურ რიცხვებში რომ ავიღოთ, 5 წლის ბოლოს კოლმეურნეობანი მოგვცემენ 48.360.000 მან. პროდუქციას, საბჭოთა მეურნეობანი კი მხოლოდ 5.061.500 მან. ნათესი ფართობი, რომელიც დაჭერილი ექნება განსაზოგადოებულ სექტორს,—ხუთი წლის ბოლოს ედრება 16,8%. აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო განსაზოგადოებული სექტორის მუშაობაში საბჭოთა მეურნეობების სუსტი მონაწილეობა. ხუთი წლის ბოლოში კოლექტიური მეურნეობების მფლობელობაში იქნება 218.100 ჰექტარი მიწა. საბჭოთა მეურნეობების მფლობელობაში-კი—16.200 ჰექტარი. ეს არის კულტურული მიწა. თუ ავიღებთ ნათეს ფართობებს, კოლექტიურ მეურნეობებს ექნება 160.000, საბჭოთა მეურნეობებს კი—8.400 ჰექტარი. აი, ეს არის სუსტი მხარე ჩვენი გეგმისა. ეს საკითხი უნდა ჩაითვალოს დაუმუშავებლად და ნაბიჯი უნდა გადავდგათ საბჭოთა მეურნეობების უფრო მეტად განსავითარებლად. საკი-

[1]) აქ არაა მხედველობაში მიღებული, ერთი მხრით, ის საბჭოთა მეურნეობები, რომელთაც სასწავლო და სასვენებელი ხასიათი აქვთ და, მეორე მხრით, სამაბრო აღმასკომების საბჭოთა მეურნეობები. ეს აიხსნება მით, რომ საგეგმო კომისიას ამის შესახებ ცნობები არ ქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როა მოეწყოს მარცვლეულის დიდი საბჭოთა მეურნეობანი. აქ არ შემიძლია არ მიუთითო ერთ დიდ შეცდომაზე, რომელიც ჩაიდინეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელმძღვანელებმა. ცენტრიდან მიცემული იყო დავალება, რომ მოწყობილიყო ერთი დიდი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა, რომლის განკარგულებაში უნდა გადასულიყო რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწა. ეს საკითხი შესასწავლად გადაცემული ჰქონდა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს, რომელმაც ამ საკითხზე წარმოადგინა დასკვნა, რომ საქართველოში თითქო არ იყოს არავითარი შესაძლებლობა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად. ეს აზრი გაიზიარა სახელმწიფო საგეგმო კომისიამაც, და ამრიგად,შეიქნა ისეთი მდგომარეობა, ვითომც საქართველოს არ შეეძლოს გამოყოს საკმარისი სათესი არე საბჭოთა მეურნეობისათვის. ასეთი დასკვნის გამართლება არავითარი მოსაზრებით არ შეიძლება, აქ აუცილებლად აქვს ადგილი საბჭოთა მეურნეობის განვითარების სათანადოთ დაუფასებლობას, და რომ ეს ბომავალში არ განმეორდეს, ყრილობამ უნდა მისცეს ხელმძღვანელ ორგანოს კატეგორიული ხასიათის დავალება, რათა საკითხი საბჭოთა მეურნეობათა მოწყობის შესახებ საჩქაროდ დამუშავებულ იქნეს და დაწყებულ იქნეს საამისოთ პრაქტიკული მუშაობა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო აქ ერთი ბეტად დამახასიათებელი გარემოება, რომელიც გამოიხატება შემდეგში: სოფლის მეურნეობის პროდუქციის საქონლიანობა 32-33 წელში იქნება 41,3%, კოლმეურნეობათა კი—43,6%, საბჭოთა მეურნეობების 93,2%. ეს მაჩვენებლები აშკარად ლაპარაკობენ, რომ ჩვენ კურსი უნდა გვეჭიროს პირველ რიგში საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიური მეურნეობების განსავითარებლად. ცხადია, ამავე დროს არ უნდა ვივიწყებდეთ დახმარების აღმოჩენის ღარიბ და საშუალო გლეხების ინდივიდუალურ მეურნეობებისათვისაც.

ეხლა თუ გადავალთ მრეწველობაზე, დავინახავთ, რომ განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა 32-33 წ. ედრება 99,7%, კერძო სექტორის-კი—0,3%-ს. როგორც ხედავთ, მთელი მრეწველობა 5 წლის ბოლოს პროლეტარიატის ხელში იქნება. ეს მაჩვენებელი ლაპარაკობს იმაზე, რომ ყოველგვარი ეჭვი, ვითომც მრეწველობას არ ექნება გეგემონიის როლი მთელ საბალხო მეურნეობაში ხუთი წლის ბოლოსათვის, უკუგდებული უნდა იქნეს. ამას უნდა მიემატოს ელექტრო-მრეწველობა მთელი 100%. შემდეგ, როგორი იქნება ამ მხრით საავაჭრო ბრუნვის მდგომარეობა, მთელი საავაჭრო ბრუნვა 1927-28 წ. შეადგენდა 509.846.000 მან., ხოლო 32-33 წელს ის ნავარაუდევია 814.800.000 მან. სოციალისტური სექტორი ამ ბრუნვაში შეადგენდა 1927-28 წ.—391.670.000 მან., ე. ი. 77%, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის 782.597.000 მან., ე. ი. 96%. სოციალისტური სექტორის პოზიცია საავაჭრო ბრუნვაში, ამრიგად იზრდება 99%-ით. კერძო სექტორზე 27-28 წ. მოდიოდა 117.660.000 მან., 32-33 წლისათვის კერძო სექტორის ბრუნვა შემცირდება 72,6%-ით. უნდა აღენიშნო კიდევ, რომ საბითუმო ვაჭრობიდან კერძო სექტორი სრულიად იდევნება. იგი ინარჩუნებს თავის პოზიციას მაოლოდ საცალო ვაჭრობაში. აქაც 93% საცალო ვაჭრობისა იქნება სახელმწიფოს და კოოპერაციის ხელში. ვაჭრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგში ჩვენ დასახული გვაქვს უფრო მეტი ტემპი ზრდისა, ვიდრე ეს არის მიღებული მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობაში განსაზოგადოებული სექტორი გაიზრდება 1.006%-ით, ხოლო კერძო სექტორი—25,6%-ით, შინახელოსნური მრეწველობის ბრუნვის 98%-ი იქნება სახელოწოფოს ხელში. მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირება გაიზრდება 70%-ით; კოლმეურნეობების განვითარებას ვითვალისწინებთ 16—20%-მდე. თავისთავად იგულისხმება, რომ კოოპერატიული და კოლექტიური პროცესების განვითარების საშუალებით აუცილებლად უნდა შეჩერდეს ინდივიდუალურ მეურნეობათა რიცხვის ზრდა, და არამც თუ შეჩერდეს, არამედ გეგმა ითვალისწინებს იმათ რიცხვის შემცირებას 12%-ით. მთელი სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში მიაღწევს 52%-მდე, ე. ი. პროდუქცია სოციალისტური სექტორის 2-ით გადააჭარბებს კერძო სექტორს. ასეთია ის შედეგები, რომლებიც ჩვენ უნდა მივიღოთ ხუთი წლის ბოლოს ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მეოხებით.

გეგმას შევასრულებთ.

ამხანაგებო, გვაქვს თუ არა ჩვენ ისეთი პირობები, რომლებიც ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფენ? ერთ-ერთ პირობად მე მივიჩნია დარიონება, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციულ საკითხებთან. დღემდე ჩვენი ორგანიზაციები დაქაოსული იყვნენ, სამაზრო აღმასკომებს არ ჰქონდათ ისეთი ოპერატიული ფუნქციები, რაც არსებითად მათ უნდა ჰქონოდათ. მაგრამ წვრილი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულებისათვის, როგორიც არიან დღეანდელი მაზრები, შედარებით დიდი ფუნქციების და უფლებების მინიჭება მიზანშეწონილი არ იყო; უფრო დიდი და მძლავრი ერთეულების შექმნა ხელს შეუწყობს როგორც მუშაკთა, ისე მატერიალურ სახსრათა უკეთ გამოყენებას.

შემდეგ რა არის საჭირო ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად? ეს არის გეგმის პროპაგანდა და პოპულიარიზაცია ფართო პარტიულ და უპარტიო მასებში. მასების აქტიურობა, მასების დაინტერესება, აი კიდევ ერთ-ერთი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს გეგმის განხორციელებას. მაგრამ გეგმის განსახორციელებლად უმთავრესია ჩვენ პარტიის რიგების მთლიანობა და შეკავშირება.

პერსპექტივებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ხუთი წლის დამლევისათვის თვალსაჩინოთ შეიცვლება საქართველოს ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა: ჯერ ერთი, შეიქმნება ახალი სამრეწველო ცენტრები, მეორე—მოხდება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია. ჩვენ შევიღებთ პროლეტარული ბაზისის გაძლიერებას თვით ტფილისში, შემდეგ ამ ბაზისის შექმნას და გაძლიერებას ჭუთაისში, ბათომში, ფოთში, ჭიათურაში და მრავალ სხვა ადგილას. მაშასადამე, თვალსაჩინოდ შეიცვლება საქართველოს **მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა.** მაგრამ, ვიმეორებ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ სინამდვილეში რამდენად განვახორციელებთ ამ გეგმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი უცხოელი ჟურნალისტი ჩვენი ხუთწლიანი გეგმის შესახებ ერთ გერმანულ გაზეთში სწერს შემდეგს:

„ეს არის ყველა დროის უდიდესი და ბუნებრივად თანამედროვე ექსპერიმენტი. არა თუ ორიგინალური, არამედ თავისებურიც. საწყალი ბებერი ევროპა! თუ ეს ექსპერიმენტი წარმატებით დაგვირგვინდა, თუნდაც სამი მეოთხედით, მაშინაც უეჭველი იქნება საბოლოო გამარჯვება. ეს იქნება სოციალიზტური მეთოდის გამარჯვება, „გამოუფიტავი, რწმენის უნარიანი და ნიჭიერი ხალხის გამარჯვება“!

ამას ამბობს ბურჟუაზიული ჟურნალისტი ხუთწლიანი გეგმის გაცნობის შემდეგ. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ბურჟუაზიულ მწერალზე ეს ჩვენი, მისი აზრით, ექსპერიმენტი. ნე კი ვამბობ, რომ ჩვენ შეესრულებთ ამ გეგმას არა სამი მეოთხედით, არამედ გადაჭარბებით, და ეს იქნება ჩვენი გამარჯვება, სოციალიზმის გამარჯვება და ამასთან ერთად, ეს იქნება იმ ანდერძის შესრულება, რომელიც ლენინმა დაგვიტოვა (ტაში).

საბოლოო სიტყვა [54])

ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ ჩემი და ამხ. ყურუღლიშვილის მოხსენებათა [55]) გარშემო გამართულ კამათში საკმაოდ არ იქნა გამოაშკარავებული ყველა ჩვენი ძირითადი ნაკლი, ჩვენი ძირითადი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. პირველ ყოვლისა, კამათის დეფექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადგილებიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა ძლიერ ცოტა ილაპარაკეს ხუთწლიანი გეგმის შესახებ. შეიძლება ამხანაგებმა თქვან, რომ მათ არ მისცეს ამის შესაძლებლობა, მაგრამ თუ კი ისინი მოისურვებდენ, ყოველთვის შეეძლოთ მიეღოთ კამათში მონაწილეობა, განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა ითქვას ეს ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლებზე; არც ერთ მათგანს სიტყვა არ აუღია ხუთწლიანი გეგმის შესახებ სალაპარაკოდ. განა ეს მათ არ შეეხებათ? გეგმა ხომ ხუთი წლისათვის არის შედგენილი, დასახულია განსაზღვრული გზა, ყრილობაზე კი საჭიროდ არ თვლიან გამოვიდენ და გამოთქვან თავისი აზრი.

ხმა: ჩვენ არ მოგვეცეს ამის შესაძლებლობა.

ეს ვერაფერი გასამართლებელი საბუთია, რადგანაც, თუ კი ამას ვინმე მოისურვებდა, მას რიგ გარეშეც შეეძლო მიეღო სიტყვა. მაგრამ, სამწუხაროთ, ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია.

ხმა: ავტონომიურ რესპუბლიკებიდან არც კი ჩაწერილა არავინ.

აი ხედავთ, თურმე არც ჩაწერილან. სანამ საქმის არსებითი მხარეზე გადავიდოდე, მე ნსურს გავსცე პასუხი იმ შეკითხვებზე, რომელიც მე მივიღე. აი მაგალითად, ასეთი შეკითხვა: გათვალისწინებულია თუ არა ხუთწლიანი გეგმით ახალციხე-ბორჯომის რკინის გზის გაყვანა და თუ არა, რატომ.

მე მოხსენებაში ვთქვი, რომ ამ ხუთწლედში ახალციხე—ბორჯომის რკინის-გზის გაყვანა არ არის გათვალისწინებული. ხოლო რა იქნება შემდეგში, ამას დავინახავთ.

შემდეგ შეკითხვაში ნათქვამია: რა მდგომარეობაშია ბახმაროზე შარაგზის გაყვანის საკითხი, გათვალისწინებულია თუ არა ეს გზა ხუთწლიანი გეგმით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ასეთ დეტალებზე მე ვერ შეეჩერდებოდი ჩემს მოხსენებაში. ცხადია, ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი გაყვანა გათვალისწინებულია ჩვენი გეგმით.

მეკითხებიან აგრეთვე: შეიძლება თუ არა განვავითაროთ ნაოსნობა მტკვარზე ზაჰესის ზემოთ.

ამბანაგებო, რამდენადაც ვიცი, ზაჰესის ზემოთ ნაოსნობის განვითარება არ შეიძლება, ხოლო ქვემოთ შეიძლება მხოლოდ შდ. ალაზნის შესართავიდან ქვევით.

შემდეგ მეკითხებიან: რატომ არაფერია ნათქვამი ხუთწლიანი გეგმის მასალებში პოლიგრაფიული მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

მასალებში არის ამის შესახებ ნათქვამი. მართალია, მხოლოდ ის, რომ ჩემს მოხსენებაში, მე არაფერი მითქვამს ამის შესახებ. ამბ. ყურულიშვილმა კი თქვა, რომ ძველი მანქანების და ლინოტიპების გადაკეთებაზე დაიხარჯება 1 მილ. მანეთამდეო.

არის კიდევ ასეთი შეკითხვა: კულტურულ რევოლიუციასთან დაკავშირებით, საჭიროა შემცირებულ იქნეს სპირტიანი სასმელების მოხმარება და თამბაქოს წევა, მოხსენებაში კი ამის შესახებ არაფერი არის ნათქვამი.

ამ მხრივ ამხანაგი სრულიად სამართლიანად გვისაყვედურებს, ჩვენს ხუთწლიან გეგმაში არ არის ყველა საკითხი გათვალისწინებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ არ ვიბრძოლებთ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ და სხვ.

შემდეგ, ზოგიერთი ამხანაგები ადგილობრივი ბიუჯეტის გასაძლიერებლად გვირჩევენ გამოუშვათ შინაგანი სესხი ნაცვლად იმ ლატარიებისა, რომელსაც აწყობენ სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოება, ბავშვთა მეგობრების საზოგადოება და სხვ.

ის, რასაც უშვებენ ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოება და ბავშვთა მეგობრების საზოგადოება — არ არის სესხი. სესხის საკითხი დასმულია, მას ამუშავებენ, მაგრამ ეს არის საკავშირო მნიშვნელობის საკითხი. აი ყველა შეკითხვა, რაც მე მივიღე.

ამბანაგებო, მე არ მქონდა შესაძლებლობა სრული ჯამი გამეკეთებია ჩემი მოხსენების გარშემო "გამართული კამათისათვის", რადგანაც მე ვფიქრობდი, რომ საბოლოო სიტყვის თქმა საღამოს სხდომაზე მომიხდებოდა. ამის გამო ჩემს სიტყვაში მე შემიძლიან აღვნიშნო მხოლოდ ის მთავარი მომენტები, რომელთაც კამათის დროს ორატორები შეეხენ.

უწინარეს ყოვლისა, მე უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება: აქ გამოსული ამხანაგები სრულიად არ უწევდენ ანგარიშს იმ თეზისებს, რომელიც დამუშავებული და გამოქვეყნებული იყო და რომლის გაცნობაც ამხანაგებს თავისუფლად შეეძლოთ; ეს კიდევ არაფერი, ამხანაგები ჩემს მოხსენებასაც კი არ უწევდენ ანგარიშს. მე კი ჩემი მოხსენება სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახელით კი არ გამიკეთებია; ეს მოხსენება, რა თქმა უნდა, დამუშავებული იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის მასალების მიხედვით, მაგრამ ამას გარდა, მე სხვა მასალებითაც ვსარგებლობდი. ჩემი მოხსენება შედგენილი იყო იმ მითითებების მიხედვით,

რომელიც ჩვენ გვქონდა ცენტრალურ კომიტეტში და სახალხო კომისართა საბჭოში მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თავისი გეგმა შეადგინა. ეს მოხსენება საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ბუთწლიანი გეგმის შესახებ მე გავაკეთე ცენტრალური კომიტეტის სახელით. აქ საკმაოდ დიდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, მე არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, რომ არც ერთი გამოსული ამხანაგი არ შეეხო ჩემს მოხსენებას, არამედ ყველა ლაპარაკობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გამოცემული წიგნის მიხედვით. ასეთ მიდგომას მე შეცთომათ ვთვლი. იმ კრიტიკას, რომელიც იქ გადიშალა, ჩემს მოხსენებასთან საერთო თითქმის არაფერი ჰქონია.

საქმე იმაშია, რომ ჩემს თეზისებში და მოხსენებაში, მე ხშირად არ ეთანხმები იმ ხაზს, რომელიც აქვს გატარებული თავის მასალებში სახელმწიფო საგეგმო კომისიას და მრავალ შემთხვევაში ვიძლევი სულ სხვა გეზს. აქ გამოსულმა ამხანაგებმა ეს გარემოება თითქოს ვერც კი შეამჩნიეს.

ეხლა ვილაპარაკოთ არსებითად. უწინარეს ყოველისა, მე უნდა განვაცხადო, რომ სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის საკითხში მე არ ვეთანხმები ამხ. ყურულიშვილის აზრს. რა თქვა ამხ. ყურულიშვილმა? მან თქვა, რომ თუ ჩვენ ანგარიშს გაუწევთ ზოგიერთ ამხანაგების აზრს, იძულებული ვიქნებით შევზღუდოთ ჩვენი გეგმა სატყეო მრეწველობისაო, ეს ერთი; მეორე — ჩვენი სპეციალისტები არ გვაძლევენ საშუალებას, არ გვაძლევენ ნებას ნოესჭრათ ხეები. ისინი ბებერი ტყის მოჭრის ნებასაც არ გვაძლევენო. ჩემს რეპლიკაზე იმის შესახებ, თუ რას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს — ტყის დაცვას, თუ მის ექსპლოატაციას, — იგი ნიპასუხებს: ორივე ეს პრობლემა მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ არ უნდა გაგვიტაცოს მარტო ტყის დაცვამ, მარტო ტყის დაცვა როდი უნდა გავაძლიეროთო.

რა თქმა უნდა, სატყეო მეურნეობაში, უწინარეს ყოველისა, ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ანგარიში არ უნდა გაუწიოთ ჩვენი მრეწველობის ინტერესებს.

რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე ტყეებს-სახელმწიფოსათვის? საკითხს ჩვენ სრულებითაც ისე არ ვაყენებთ — თითქოს ჩვენ უნდა შევზღუდოთ სატყეო მრეწველობა, ჩვენ ელაპარაკობთ, რომ საჭიროა სატყეო მეურნეობის რაციონალური ნიადაგზე დაყენება, ტყეების რაციონალური გამოყენება.

რაც შეეხება მეორე საკითხს, მე ვფიქრობ, რომ ამხ. ყურულიშვილა ცოტათი სცდება. ის ამბობდა, რომ ჩვენი სპეციალისტები გვიკრძალავენ გადაბერებული ტყის მოჭრასო. მე კი ვამბობ: პირიქით, ჩვენი სპეციალისტები გვეუბნებიან — ასეთი გადაბერებული ხეები მოჭერით რამდენიც გნებავთო. ისინი არა თუ არ გვიკრძალავენ მოჭრას, პირიქით, ხშირად არა სწორ ცნობებსაც-კი გვაძლევენ ამ მხრივ, გვაწვდიან გადაჭარბებულ ცნობებს ტყეების მარაგის შესახებ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მაგალითად, ბორჯომის საკასრე ქარხანასთან დაკავშირებით. სპეციალისტებმა გადაჭარბებული ცნობები მოგვცეს ხე-ტყის მარაგის შესახებ ბორჯომის რაიონში, ისე რომ ამ რაიონის ხე-ტყე, მათი აზრით, რამდენიმე ათეულ წელიწადს უნდა გვყოფნოდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სწორი ცნობები და ამას წინათ ნედლეულის ნაკლებობის გამო ჩვენს წინაშე წამოიჭრა საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის საკასრე ქარხნის დახურვის შესახებ. ამიტომ სახალხო კომისარიატთა საბჭო იძულებული შეიქნა ნება დაერთო, რომ ტყე მოეჭრათ მომავალი წლის ნორმის ანგარიშში, რაც მართალი გითხრათ, დანაშაულს წარმოადგენს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. მაგრამ ამასთან ერთად, ჩვენ დავადგინეთ პასუხის გებაში მივსცეთ, ყველა, ვინც ასეთი არასწორი ცნობები მოგვაწოდა ნედლეულის მარაგის შესახებ.

შემდეგი საკითხი. საჭიროა თუ არა გავაძლიეროთ ტყეების დაცვა. მე ვამბობ, რომ ჩვენ უთუოდ უნდა გავაძლიეროთ ტყეების დაცვა, რადგანაც ეს საქმე ჩვენში ძალიან მოისუსტებს.

ამბანაგებო, ჩვენი ტყეები სხვა სიმდიდრის—მინერალური წყლების- წყაროსაც წარმოადგენენ. ტყეები უზრუნველყოფენ ჩვენი კურორტების არსებობას, და თუ ჩვენ არ ვიზრუნეთ ტყეების დაცვის გაძლიერებაზე, დავკარგავთ ყველა მეტად ძვირფას სიმდიდრეს.

მე ხშირად მქონია საუბარი ამის შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან და უკრაინიდან ჩამოსულ პასუხისმგებელ ამხანაგებთან. როდესაც ისინი ჩვენს ტყეებს ხედავენ, ამბობენ: დაიცავით თქვენი ტყეებიო. ისინი მუდამ და ხაზგასმით იმეორებენ ამას, როდესაც გაეცნობიან ჩვენს ტყეებს და მათი ექსპლოატაციის პირობებს, რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სრულებით უნდა შევწყვიტოთ ტყის ექსპლოატაცია. შემცდარი იქნებოდა ის,ვინც ჩემს სიტყვებს ამ ყრილობაზე ასე გაიგებდა. სცდებიან თუ ფიქრობენ, რომ მე წინააღმდეგი ვარ ტყეების ექსპლოატაციისა. მე მხოლოდ ვამბობ, რომ ეს ექსპლოატაცია ჩვენში დღემდე არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე და რომ ტყის მოჭრა სწარმოებს არა მთელი სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით, არამედ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ ცალკე დარგის ინტერესების მიხედვით.

ეხლა ტყის გაშენების შესახებ. ამ მხრივ მე სრულებით ვეთანხმები ამხ. ყურულიშვილს. ალბათ, ამბანაგებს აჩსოვს, რომ მე რამდენჯერმე აღვძარი ეს საკითხი, ვსწერდი იმის შესახებ, რომ ჩვენში ტყის გასაშენებლად არაფერი კეთდება და სხვ. წარსულ წელს საკურორტო სამმართველო შეუდგა ტყის გაშენებას ბორჯომის რაიონის ერთ პატარა სივრცეზე, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ასე რომ, ტყის გაშენების საკითხში, მე ვფიქრობ, ჩემსა და ამხ. ყურულიშვილს შორის სრული თანხმობაა: ორივენი ვაღიარებთ, რომ ტყის გაშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეს უნდა მოკიდოს ხელი უმთავრესად მიწსახკომმა და საკურორტო სამართველომ, რომლებიც ჩვენს ტყეებს განაგებენ.

შემდეგ,აქ მწვავე კამათი გამოიწვია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხმა. ეს რომ დაკვრითი ამოცანაა, მე ვფიქრობ, არავისათვის სადავო არ უნდა იყოს. ჩვენ უნდა მოვიკრიფოთ მთელი ჩვენი ყურადღება, დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები, ფეხზე დავაყენოთ მთელი საზოგადოებრივობა იმისათვის, რომ შეესძლოთ, რაც შეიძლება ჩქარა გადავსჭრათ ეს საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტა ამჟამად სდგას ჩვენს წინაშე, როგორც დიდი პრაქტიკული ამოცანა. ჩვენ ვფიქრობდით, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის არსებობის თავზე ეს ბოროტება აღმოფხვრილი იქნებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა; არის ცნობა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა კი არ შემცირდა, პირიქით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაძლიერდა კიდეც. ეს იმითი აიხსნება, რომ ჩვენ არ გვყოფნის საამისოდ ტექნიკური და ფინანსიური შესაძლებლობანი. თუ წინათ ამ ამოცანას ჩვენ დიდი ენტუზიაზმით, დიდი გატაცებით ვაყენებდით, ამჟამად იგი უფრო კონკრეტულად სდგას ჩვენს წინაშე. საჭიროა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ამოცანის განსახორციელებლად.

ამასთან დაკავშირებით, მინდა შეეჩერდე ამხ. კანდელაკის [16]) გამოსვლაზე.

მე ვფიქრობ, რომ ამხ. კანდელაკმა უნდა მოგვცეს სათანადო კონკრეტული გეგმა. სწორედ მან უნდა მიგვითითოს, თუ რა ზომებია საჭირო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის და რა უნდა გავაკეთოთ, რა უნდა ვიღონოთ, რომ მიზანს მივაღწიოთ.

უბრალო დასახელება იმისა, რომ სარატოვის ოლქში ესა და ეს არის გაკეთებულია, საქართველოს პირობების გაუთვალისწინებლად, არაფერს არ მოგვცემს. ჩვენში გეგმა სხვანაირად უნდა შესდგეს, ვიდრე სარატოვის ოლქში. მე უნდა ვთქვა პარტიულ ყრილობაზე, რომ ერთხელ ჩვენ უკვე დაუშვით შეცდომა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული შეიქნა ეს შეცდომა თავის თავზე აეღო. ამხ. კანდელაკის მოხსენების გამო ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო წინადადება აჭარისტანში საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ. თქვენ ალბათ იცით, თუ რა გამოვიდა აქედან.

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ჩვენ არ გქონდა კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა მომზდარიყო აღნიშნული ამოცანის ცხოვრებაში გატარება.

ამიტომაც მე ვამბობ, რომ საჭიროა დამუშავებულ იქნას გეგმა ჩვენი პირობების მიხედვით და ანგარიში გაეწიოს ყოველგვარ წვრილმანს და, რაც უმთავრესია, ჩვენს შესაძლებლობას. ამხ. კანდელაკს ასეთი გეგმა ჯერ-ჯერობით არ წარმოუდგენია.

შემდეგ ამბობენ, რომ ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის განხორციელება სამ წელიწადში შეიძლებაო. ძალიან კარგი, განვახორციელოთ სამ წელიწადში, ამის წინააღმდეგ არავინ არის. საბჭოთა კავშირში და ჩვენში წერა-კითხვის ლიკვიდაციისათვის გეგმით გათვალისწინებულია 5 წელიწადი, მაგრამ ერთი წელიწადი უკვე თავდება, ასე რომ ფაქტიურათ რჩება 4 წელი. ამბობენ, რომ შეიძლება სტუდენტები ჩავაბათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეშიო. სტუდენტობას მართლაც შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ამ საქმეში, უწინარეს ყოვლისა, კომკავშირს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სწარმოებს უმთავრესათ ზამთარში, როდესაც გლეხობა თავისუფალია თავის მუშაობისაგან. თქვენ რომ ეხლა, ზაფხულის პერიოდში მიხვიდეთ გლეხთან და უთხრათ მას სკოლაში წამოდიო, იგი ვერ წავა. მეორეს მხრივ სტუდენტებიც ვერ წავლენ ზამთარში სოფლად. რა თქმა უნდა, ყველა ეს მომენტი უნდა გავითვალისწინოთ. აი რას ამბობდა ამხ. კრუპჟანოვსკი მე-XVI-ტე პარტკონფერენციაზე: „ჩვენ მიზნათ ვისახავთ მივაღწიოთ იმას, რომ აქტიური ასაკის მუშები წერა-კითხვის სრული მცოდნენი გახდნენ, გავატაროთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სულ ცოტა რომ ვთქვათ, 18 მილიონ მოზრდილთა და მოზარდთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, საჭიროა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციო პროფესიონალურ სკოლაში, აგრარული განხრით, მოექცეს ის ხუთი მილიონი გლეხი აქტივისტი, რომლებსაც ჩვენ სოციალისტურ სექტორში მოუწოდებთ".

აი, ამხანაგებო, ეს უკვე ცოტად თუ ბევრად, კონკრეტული გეგმაა. ხოლო, როდესაც ლაპარაკია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე და გათვალისწინებული არაა სკოლების დაარსება იმ 11-15 წლის ასაკის ბავშვებისთვის, რომლებიც სკოლებში ვერ მოხვდნენ და რომლებიც ავსებენ წერა-კითხვის უცოდინართა კადრებს, რა თქმა უნდა, ეს არ ვარგა და ასეთ გეგმას ჩვენ ვერ მოვიწონებთ. მე გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ თუმცა მე საძნელოდ მიმაჩნია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სამი წლის განმავლობაში, მაგრამ რაკი ყრილობა ასეთ დავალებას მოგვცემს, ცხადია, ჩვენ ეს უნდა შეავასრულოთ. საჭიროა დავავალოთ ცენტრალურ კომიტეტს, რომ სათანადო ორგანოების მეშვეობით, რაც შეიძლება ჩქარა დამუშავდეს კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს სამი წლის განმავლობაში, დაწყებული მიმდინარე წლიდან.

მესამე საკითხი, რომელიც სუსტად არის გაშუქებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მასალებში და ჩემს მოხსენებაში, — (ამბ. ყურულაშვილი უფრო დაწვრილებით შეეხო ამ საკითხს) ეს არის მშენებლობის საკითხი. აი, სად მოგისუსტებთ ჩვენ, და მართალი იყვნენ ის ამხანაგები, მუშები, რომლებიც გამოიყვანენ აქ და განაცხადეს—თუ ეს მდგომარეობა არ შევცვალეთ ჩვენი ხუთწლიანი გეგმის შესრულება გაძნელდებაო. რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ? ვაშენებთ, შეიძლება ითქვას, დიდებულ შენობებს ქარხნებისთვის, მაგრამ ვის რათ უნდა ასეთი ქარხანა, როდესაც ის ორჯერ-სამჯერ მეტი გიჯდება, ვიდრე საჭიროა; საკმარისი იქნებოდა უფრო უბრალო შენობების აგება. უნდა ითქვას, რომ მშენებლობა ჩვენში მოისუსტებს. აიღეთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ისეთი სახლისათვის, რომელიც წყნეთის ქუჩის კუთხეში ააგეს, ჩვენ ციხეში უნდა ჩაგვესვა ამ შენობის ხელმძღვანელები და მე ამას კიდეც მოვითხოვდი. ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს,

ავიღოთ მაუდის ფაბრიკა. მე ეს შენობა არ მინახავს, მაგრამ ამბობენ — ის ევროპიის სასახლეს მოგაგონებსო. ამ მხრივ ამხანაგებო, საჭიროა მოვახდინოთ გარდატეხა. ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ საცხოვრებელი და საფაბრიკო შენობების სათანადო ტიპი. სხვათა შორის, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ამას წინათ მიიღო დადგენილება შენობებისათვის ტიპიური პროექტების გამომუშავების შესახებ.

ამხანაგებო, მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი საშენი მასალის შესახებ. საშენი მასალა ჩვენ ვგონებ საკმაოდ მოგვეპოვება. ჩვენ მრავლად გვაქვს ყოველგვარი ხარისხის ქვა. რა მდგომარეობაშია ჩვენი აგურის საქმე? მე არ შესმის, რატომ არაფერი თქვა ამბ. ავაქოვმა გუშინ იმის შესახებ, რომ სწორედ იმ დაწესებულებას, რომლის სათავეში იგი დგას, ძალიან სუსტად აქვს დაყენებული ეს საქმე. მათ აქვთ აგური, მაგრამ ის იმდენად ძვირია, რომ მყიდველს ვერ შოულობდენ. აი, ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, რადგანაც აგურს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგია, რომ ამჟამად შენდება ცემენტის ქარხანა. ეს ქარხანა უნდა აშენდეს, უნდა დაეკვალოს სახკომსაბჭოს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ახეა ორგანოებს, რომ ეს ქარხანა დროზე იქნეს დასრულებული და მისი აგება არ გაჭიანურდეს რამდენიმე წლის მანძილზე. ცემენტი მეტად საჭირო მასალაა, ამიტომ საჭიროა დავაჩქაროთ ამ ქარხნის აგება.

შემდეგ, მე მინდა შევაჩერო ყურადღება კიდევ ერთ გარემოებაზე. ხუთწლიანი გეგმა ჩვენ განვიხილეთ სახალხო კომისართა საბჭოს, ეკონომიური საბჭოს და ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ყურადღება მიექცა კაპიტალურ დაბანდებათა ქვემავალ მრუდე ხაზს ხუთწლედის განმავლობაში. ეს იცის ყველამ, იცის ამხ. ავაქოვმაც. ჩვენ ვამბობდით, რომ საჭიროა ამ ქვემავალი მრუდე ხაზის გამოსწორება. ჩვენ შეეიტანეთ ზოგიერთი შესწორება ამ მხრივ და ავღნიშნეთ, რომ უთუოდ საჭიროა გავითვალისწინოთ საანოტო-ქიმიური ქარხნის აგება; შემდეგ გვაქვს ტყვარჩელის მშენებლობა. ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმაც და სახკომსაბჭომაც გააკეთეს ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

არ ვარგა ახირება, საჭიროა აშკარად ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რაც არის და არ უნდა გამოვიგონოთ ის, რაც ყველამ უწყის, გარდა, მაგალითად, მარტო ამხ. ავაქოვისა. ერთგვარად ეს ამბანაგ გოდაბრელიძესაც შეეხება.

მე ვეთანხმები ამხ. გოდაბრელიძეს თვითღირებულების შემცირების საკითხში, მაგრამ ეს ხომ ჩვენც გვაქვს გათვალისწინებული და ამხ. გოდაბრელიძე ჩვენთან ერთად იღებდა მონაწილეობას თეზისების შედგენაში. ჩვენ 35%-ით ვამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას ამ ხუთი წლის განმავლობაში. მე ვეთანხმები ზოგიერთ ამხანაგებს, რომ შესაძლებელია ასეთმა შემცირებამ ჩვენ არ მოგვცეს ისეთი ეფექტი, როგორც საბჭოთა კავშირში, რადგანაც ჩვენ გვაქვს ისეთი პროდუქტები, რომელთა თვითღირებულების შემცირება 35%-ით არ არის საკმარისი და ასეთი შემცირების შემდეგაც ამ პროდუქტების ფასი საშუალოდ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე კავშირში.

ეხლა შევჩერდეთ ცალკე გამოსვლაზე. უწინარეს ყოვლისა, ამხ. გაბუნიას შესახებ. უნდა ვთქვა, რომ ამხ. გაბუნია მე საერთოდ ნაკლებად გავიგე. საქმე იმაშია, რომ ამხ. გაბუნიას ყველაფერი რაღაც საშინელებად ეჩვენება; ვერ გამიგია რატომ ამხ. გაბუნია დაუფრთხია პროფ. ვირსალაძის წიგნს. ამ წიგნს იგი დიდ შიშში და საგონებელში ჩაუგდია. მართლაც პროფ. ვირსალაძე თავის წიგნში ამბობს, რომ მთელი საქართველო მალარიით არის დაავადებულია. ეს ასე არ არის, ამხანაგებო. მე ვესაუბრე პროფ. ვირსალაძეს ამ საკითხის შესახებ, და, სხვათა შორის, უთხარი, რომ იგი არ არის მართალი, რომ, რა თქმა უნდა, მალარია ჩვენი ხალხისათვის დიდი უბედურებაა, მაგრამ ყველა როდია მეთქი მალარიით დაავადებული: აი, მაგალითად, მე საქართველოში ვცხოვრობ, მაგრამ არა ვარ მეთქი მალარიით იყათ. საქმე იქამდინ მივიდა, რომ ასეთი განცხადებებით დააშინეს სპეციალისტები, რომლებიც ჩვენ მოსკოვიდან გამოვიწვიეთ და რომლებიც უნდა გაგეგზავნა ჩაის პლანტაციების რაიონებში მიწათმოწყობის სამუშაოთა შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენებაში მე ავღნიშნე, რომ მიღებულია ზომები მალარიის წინააღმდეგ, მაგრამ როგორც სჩანს, ეს არ აკმაყოფილებს ამხ. გაბუნიას.

სრულიად მართალი იყო ამხ. გაბუნია, როდესაც ამბობდა, რომ გეგმაში არ არის გათვალისწინებული მოსახლეობის სახსარი. ეს მართალია, მაგრამ ეს მეტად რთული და მძიმე ამოცანაა. მე განზრახული მქონდა შევხებოდი ამ საკითხს მოხსენებაში, მაგრამ გამომრჩა. მართლაც, ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ყველა ის სახსარი, რასაც ამ პერიოდის განმავლობაში თვითდაბეგვრის, საგზაო, ნატურალური ბეგარის და მასიური ინიციატივისა და თვითმოქმედების სახით შეიტანს თვით მოსახლეობა ჩვენ სოციალისტურ მშენებლობაში. ამხანაგებო, მე ვიმეორებ, რომ უდიდესი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ბოლოს და ბოლოს დამოკიდებულია ჩვენ ნებისყოფაზე, რომელმაც სათანადო ინიციატივა უნდა იკისროს, ეს არის მოსახლეობის აქტივობის გამოიაშკარავება. ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ამხანაგებო, არის მთელი რიგი პირობები, რაც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ჩვენი გეგმის შესრულებას.

უწინარეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გამომუშავებულ გეგმას ბევრი ნაკლი და დეფექტი აქვს. მაგრამ შეუძლებელია შეცდომები არ იყოს, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მათი შემცირება, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს გეგმა საერთოდ არაფრად არ ვარგა, რომ იგი რაღაც დომხალია, როგორც ამხ. ავაქოვმა განაცხადა, ეს არ არის ჯანსაღი მიდგომა, ეს არ არის ის ჯანსაღი კრიტიკა, რომელიც ჩვენ გვასწავლის, რომელსაც ჩვენ წინ მივყევართ.

შესაძლებელია, ამხანაგებმა თქვან, რომ მე ვიყო თითქო კრიტიკის თუ თვითკრიტიკის წინააღმდეგი. სრულიადაც არა. მე ნგონია კარგია ისიც, რაც ამხ. ავაქოვმა თქვა. თუ მისი სიტყვები ნამდვილად გულწრფელი იყო, ეს ჩაფიქრებს ამხ. კვირიკაძესაც, ამხ. მახარაძესაც, ამხ. ყურულაშვილსაც და სხვა ამხანაგებს იმის შესახებ, რომ რამდენადაც შესაძლებელია აღმოფხვრან ყველა ეს დეფექტები. მე ვწუხვარ მხოლოდ იმას, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ხუთწლიანი გეგმის გარშემო არ იყო საკმაოდ ფართო. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში იმას, რაც აქ იყო თქმული, უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში.

ჩემს მოხსენებაში მე ვლაპარაკობდი იმის შესახებ, თუ რა პირობებია საჭირო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად. უნდა განვაცხადო, რომ მარტო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა კიდევ არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ გეგმის შესრულება. პირველი ამოცანა ამ მხრივ ეს თ ვ ი თ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა ა ყ ვ ე ლ ა დ ა რ გ შ ი, რადგანაც ეს შემცირება მოგვცემს უდიდეს ეკონომიას და ამასთანავე ის გვასწავლის ჩვენ მშენებლობას, ორგანიზაციულ მუშაობას, ეს კი თავი და თავი საქმეა. ყოველგვარი გეგმის ყოველგვარი ამოცანის შესრულების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციულ მხარეს, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. შესაძლებელია ჩვენ ორგანიზაციულად სწორად ავაშენოთ, მაგრამ ვერ დავაყენოთ საქმეზე ს ა თ ა ნ ა დ ო ხ ა ლ ხ ი. აი რა გვიშლის კიდევ ხელს: ლენინი ამბობდა—ხ ა ლ ხ ი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერჩევა ეს ყველაფერიაო. თქვენი დეკრეტები ეს ქაღალდის ნაგლეჯიაო. მე აქ ვერ ვიტყვი, თუ რა უწოდა მან ამ დეკრეტებს. ლენინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მთავარი საქმე ხალხის შერჩევაა, რომ საჭიროა ადგილზე შესაფერისი ხალხი იყოს დაყენებულიაო. სრულებით არ არის სავალდებულო, რომ ეს ხალხი სპეციალისტები იყვნენ. სპეციალისტი-კომუნისტები ჩვენ ჯერ ცოტა გვყავს, ჩვენ მხოლოდ ახლა ექმნით მათ, მაგრამ საჭიროა, რომ იმ კომუნისტებმა, რომლებიც სხედან ადგილებზე, იცოდნენ საქმის ვითარება, რომ ისინი წვდებოდნენ მათთვის დაკისრებული საქმის არსებით მხარეს; ისინი არ უნდა დაყიალობდნენ აქეთ-იქით, არ უნდა კმაყოფილდებოდნენ სხვადასხვა მიელინებებით და სხვა. მე მინდოდა ამ საკითხს პრესაში შეეხებოდი, მინდოდა აღმენიშნა, რომ ზოგიერთი ამხანაგები მეტად გატაცებული არიან მივლინებებით და სრულებით არ ფიქრობენ იმის შესახებ, რომ საჭიროა ყოველი კაპიკის და, რაც მთავარია, ყოველივე წუთის დაზოგვა. ჩვენში ჯერ კიდევ ყველგან არ არის შეგნებული დამოკიდებულება, კომუნისტურ-ლენინური დამოკიდებულება დაკისრებული საქმისადმი. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ხალხი. ეს იმას არ ნიშნავს. რომ ისინი უსათუოდ ინჟინერები იყვნენ, სრულიადაც არა, მაგრამ მათ ისე უნდა დააყენონ საქმე, რომ ინჟინერ-ტექნიკოსი, აგრონომი და სხვ. გრძნობდეს, რომ მას ყავს უფროსი, რომ არის ფხიზელი თვალი, რომელიც მას ხედავს, რომელიც მას ხელმძღვანელობას უწევს. აი რა არის საჭირო ამ გეგმის შესასრულებლად იმ პირობების გარდა, რომელზედაც მე გუშინ ვილაპარაკე ჩემს მოხსენებაში და რომლებიც აღნიშნულია ჩვენს საერთო პარტიულ დირექტივებში. თუ ასე მიუდგებით ჩვენს მოვალეობას, შესაძლებელია ერთგვარი მიბევე-მოხვევა დაგვჭირდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დაკისრებულ საქმეს ბოლომდე მიეიყვანთ და ხუთწლიან გეგმას მთლიანად განვახორციელებთ (ბჭუხარე ტაში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა

ამხ. ფ. მახარაძის თეზისების პროექტი საქართველოს კომპარტიის მე-VI ყრილობისათვის

(ბეჭდებულია ყრილობის მიერ ერთხმად)

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა მიზნათ ისახავს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზიციას მაქსიმალურათ, გაძლიერებული ტემპით, ე. ი. სოციალისტური პოზიციის განვითარების ჩქარ ზრდას, რაც საბჭოთა ქვეყანაში კაპიტალიზმის ფესვების საბოლოო და დაჩქარებით აღმოფხვრის ძირითად პირობას წარმოადგენს. ამგვარად, ხუთწლიანი გეგმის შესრულება უდიდესი ნაბიჯია წინ ჩვენი სოციალიზმის განსახორციელებლად.

2. ხუთწლიანი გეგმა, ერთი მხრივ, კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის შრომის რაციონალურ განაწილებას ემყარება, მეორე მხრივ, იმ რაიონების შედარებით უფრო ჩქარი ტემპით განვითარებას, რომელნიც კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი არიან.

ამიტომ ხუთწლიანი გეგმის შესრულება პარტიისა და ხელისუფლებისაგან ისეთ პოლიტიკას მოითხოვს, რომლის მეობებით ჩამორჩენილი რაიონები დაწინაურებულ რაიონებს უნდა დაეწიონ და კულტურულად და ეკონომიურად მათ გაუთანასწორდენ. მაგრამ ეს პოლიტიკა მთელი კავშირის ერთიანი გეგმის შესრულებასთან საესებით უნდა იყოს დაკავშირებული.

3. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანმა გეგმამ ჩვენი ქვეყნისათვის უნდა გაითვალისწინოს ყველა ის საერთო დებულება, რომელსაც საერთოდ ემყარება მთელი კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა. ამასთან საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი საერთოდ, და კერძოდ კი მრეწველობის, უფრო ჩქარი უნდა იყოს, ვიდრე მაგალითად, რსფსრ-სა ან უსსრ—ში, ვინაიდან საქართველო ჯერ კიდევ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც წვრილი და შინამრეწველობა სჭარბობს; საქართველოს სოფლის მეურნეობა კი უფრო მეტადაა ჩამორჩენილი, თუ მხედველობაში არ მიეიღებთ სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურათა ზოგიერთ დარგს.

4. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანმა გეგმამ ჩვენს ქვეყანაში უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ყველა იმ ბუნებრივი სიმდიდრის მაქსიმალური გამო-

ყენება, რაც აქამდე მეტწილად ხელუხლებია. ხუთწლიანმა გეგმამ უნდა შესცვალოს საქართველოს სახალხო მეურნეობა. აუცილებელია პირველ რიგში წარმოების ისეთ დარგთა განვითარებას შეუდგეთ, რაც ახლანდელ აგრარულ-სამრეწველო საქართველოს სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად გადააქცევს.

მშენებლობის გეგმა და კაპიტალური დაბანდება

5. ზემოალნიშნულთან შეფარდებით ჩვენი მშენებლობის გეგმა მომავალ ხუთწლედისათვის ექვსჯერ მეტ კაპიტალურ დაბანდებებს ითვალისწინებს, ვიდრე ეს გასულ ხუთწლედში გვქონდა. გასულ ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობახე სულ 110 მილ. დაიხარჯა. მომავალ ხუთწლისათვის ნავარაუდევია დაიხარჯოს 684.500.000 მ., რამაც საბოლოოთ საქართველოს ინდუსტრიალიზაციის უდიდესი ზრდა უნდა მოგვცეს. ამ სახსრების დაბანდება ისეთი მიმართულებით უნდა წავიდეს, რომ მომეტებული ნაწილი საწარმოო საშუალებათა წარმოების დარგებს მოხმარდეს. მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა მომავალ ხუთი წლის განმავლობაში 555,9% შეადგენს გასული ხუთწლედის დაბანდებასთან შედარებით (25.104.000 მან. გასულ ხუთწლედში და 173.513.000 მ. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში.).

კაპიტალური დაბანდებანი ჯგუფ „ა"-ში შეადგენს 111.671.000 მან. ან 64,4%, ჯგუფ „ბ"-ში—61.842.000 მან. ან 35,5%.

მრეწველობის განვითარება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ენერგეტიკასთან. მრეწველობის განვითარების ჩქარი ტემპი ქმნის ელექტროფიკაციის განვითარების წარმატებითი ტემპის აუცილებლობას. ამისდამიხედვით ელექტროფიკაციის დარგში გასულ ხუთწლედში გაღებულ 29.857.000 მან. ნაცვლად გეგმა მომავალი ხუთი წლისათვის 74.000 000 მან. ითვალისწინებს.

სასოფლო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობა 5 წლის განმავლობაში 219.000.000 მან. შეადგენს სასოფლო მეურნეობის საინდუსტრიალიზაციო დაბანდებათა ჩართვით (მოსახლეობის სახსრების გამოკლებით); გასულ ხუთწლედში კი ეს დაბანდება ოდრიდა 15,5 მილ. მანეთს.

6. მიუხედავათ იმისა, რომ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმით კაპიტალურ დაბანდებებზე მრეწველობაში წინა ხუთწლედთან შედარებით უფრო მეტი თანხაა გათვალისწინებული, დასაგეგმი პერიოდის ბოლო წლების დაბანდებანი საკმაოდ მაინც ვერ ჩაითვლება; მათი ოდენობა ნაკლებია პირველ 2—3 წლის დაბანდებებზე. ამიტომ აუცილებელია კაპიტალური ხარჯების გადიდება ბოლო წლებში გეგმაში სათანადო თანხების შეტანით გეოლოგიური გამოკვლევების და სხვა ღონისძიებათა ინტენსიური წარმოებისათვის.

მრეწველობა

7. ხუთწლიანმა გეგმამ მრეწველობაში უნდა დასახოს მაქსიმალური ტემპი იმ დარგების განვითარებისა, რომელნიც ჩვენი ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებასთან არიან დაკავშირებულნი (მარგანეცის ამოღება და ფერომარგანეცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოება; ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის მაქსიმალური ამოღება, ამასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის სალითონო მრეწველობის პრობლემის გადაჭრა; შირაქის ნავთის სამრეწველო ამოღების დაჩქარება და ნავთის სხვა საბადოების გამოკვლევათა ჩქარი ტემპი; სამთამადნო მრეწველობისა და ელექტროფიკაციის ზრდის ბაზაზე—ქიმიური მრეწველობის ფართე ორგანიზაცია და სხვა.)

ამასთან აუცილებელია დიდი ყურადღება მიექცეს იმ დარგების მაქსიმალურ განვითარებას, რომელნიც სასოფლო მეურნეობის პროდუქციის (აბრეშუმი, ჩაი, თამბაქო, შაქარი, რძე, ტყავი, საფეიქრო და საკონსერვო მრეწველობა და სხვ.) გადამუშავების შესაძლებლობას იძლევიან.

8. სატყეო საქმე საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უდიდეს დარგს წარმოადგენს. სატყეო და ქაღალდის მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებანი ხუთი წლის განმავლობაში 35 მილ. შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამჟამად სატყეო მეურნეობის წარმოება არა საკმაოდ რაციონალურია და აუცილებლად უნდა ჩაითვალოს მიმდინარე ხუთწლედში იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს სატყეო მეურნეობის რაციონალურ ორგანიზაციას, დაცვის გაძლიერების, ნარგავთა გაშენებისა და სწორი სამრეწველო ექსპლოატაციის მრხივ.

9. ხუთწლიან გეგმაში აუცილებელია გადათვალიერებულ იქნეს საკითხი ადგილობრივ სამრეწველო ნედლეულის გამოყენების შესახებ, ზოგიერთ ნედლეულის (თამბაქო, ბამბა, ხილი და მწვანილი, რძე და საღვინე-სასპირტე ნედლეული) გადამუშავების პროკენტის მაქსიმალური გადიდების მხრივ, კერძოდ დამუშავდეს გეგმა სამკურნალო ნედლეულის გადამუშაებებისა და ქიმიო-ფარმაცევტიული მრეწველობის ორგანიზაციის შესახებ.

10. ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია 403%-ით იზრდება (52.931 ათ. მანეთიდან 1927-28 წ. 266.261 ათ. მანეთამდე, 1932-33 წ.); აქედან ჯგუფი „ბ"-ს (მსუბუქი მრეწველობა) პროდუქცია—395%-ით და ჯგუფი „ა"-ს (მძიმე მრეწველობა) პროდუქცია—414%-ით. მაგრამ პროდუქციის ზრდის ყველა შესაძლებლობა გეგმით არ არის ამოწურული: ამიტომ ხუთწლედის ბოლო წლებში პროდუქციის ზრდის ტემპი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

სამრეწველო ხასიათის საწარმოთა გათვალისწინებული მოცულობის გაფართოებასთან ერთად, მრეწველობის პროდუქციის უფრო მეტი ზრდის მიზნით, აუცილებლად ჩაითვალოს არსებულ საწარმოებში მაქსიმალური დატვირთვის შესაძლებლობის გამოყენება განუწყვეტელი საწარმოო კვირის 2-3 თვის მუშაობის შემოღებით.

11. სახელმწიფო მრეწველობის გეგმაში გათვალისწინებულ ზრდის ტემპი უზრუნველყოფს ცენზიან მრეწველობიდან კერძო სექტორის სრულ გაძევებას. თუ 1927-28 წ. ცენზიან მრეწველობაში კერძო სექტორი 1,4%-ს შეადგენდა, ხუთწლედის ბოლოს კი ის სრულიად კარგავს თავის პოზიციებს.

12. ხუთწლიანი გეგმით უზრუნველყოფილია უფრო დაჩქარებული ტემპი საქართველოს მრეწველობის ზრდისა, ვიდრე სსრ მთელ კავშირში (საქართველოს მრეწველობის პროდუქციის ზრდა 403% შეადგენს სსრ კავშირში კი ეს ზრდა 167% უდრის), ამავე დროს გათვალისწინებულია მრეწველობის განვითარების კიდევ უფრო ჩქარი ტემპი საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში. ავტონომიურ რესპუბ-

ლიკების მრეწველობის კიდევ უფრო ჩქარი ზრდა გვაძლევს ამ მრეწველობის ხვედრითი წონის გადიდებას საქართველოს მთელი ცენზიანი მრეწველობის პროდუქციაში: აფხაზეთში 1,9%-დან 3,7%-მდე, აჭარისტანში 2,3%-დან 3,2%-მდე, სანხრეთ-ოსეთში 0,1%-დან 0,6%-მდე (აქ მხედველობაში არ არის მიღებული ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე საკავშირო მნიშვნელობის წამოწყებათა არსებობა, როგორც მაგალითად, ტყეარჩელი აფხაზეთში და ნავთსახდელი ქარხანა აჭარისტანში, რომელნიც ავტონომიური რესპუბლიკების მრეწველობის ხვედრით წონას კიდევ უფრო ადიდებენ). გეგმაში გათვალისწინებულის დასამატებლად, აუტონომიურ რესპუბლიკებში აუცილებელია განვითარების პერსპექტივის შქონე კიდევ სხვა დარგების გამოჩინება.

13. ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა ხუთი წლის განმაელობაში 664,9%-ით არის გათვალისწინებული (1927-28 წ. 7.478 ათ. მან., 1932-33 წ. 57.966 ათ. მან.), რაც ნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი მრეწველობის ჩამორჩენილობა, აგრეთვე ის, რომ მრეწველობის საერთო ზრდაში მას შეუძლია აასრულოს მნიშვნელოვანი როლი, რისთვისაც აუცილებელია მისი უფრო განვითარების გათვალისწინება. ადგილობრივი მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა ვერ არის საკმაოდ დამუშავებული, მოკლე დროში აუცილებელია მისი სათანადოთ გადამუშავება.

ხუთწლიანი გეგმით კომუნალურ მეურნეობაში ნავარაუდევია დაბანდება 38,5 მილ. მან. რაოდენობით, კერძოდ ტფილისის კომუნალურ მეურნეობაში ხუთი წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნება 22,5 მილ. მან. კომუნალური მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალაქის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისათვის. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობა ერთობ არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ არამც თუ აუცილებელია გეგმით გათვალისწინებულ ხარჯების გაწევა (წყალსადენი, კანალიზაცია, მასიური მოძრაობის საშუალება და სხვ.), არამედ აუცილებელია მათი გადათვალიერება გადიდების მხრივ.

14. წვრილი შინამრეწველობის საერთო პროდუქცია 57,8 მილ. მანეთიდან 1927-28 წ. იზრდება 72,4 მილ. მანეთამდე. აქედან კოოპერაციაში გაერთიანებულ შინამრეწველთა პროდუქცია 12,8 მილ. მანეთიდან 71,3 მილ. მანეთამდე, ე. ი. კოოპერაციაში გაერთიანების ხვედრითი წონა 21,9%-დან 98,5%-ს აიწევს.

სასოფლო მეურნეობის კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხთა მეურნეობის რაოდენობა უნდა გაიზარდოს: საკრედიტო ამხანაგობებში 30,2%-დან 51,9%-მდე, სპეციალურ ამხანაგობებში 6,9%-დან 1927-28 წ. 22,9%-მდე 1932-33 წ. წვრილი შინამრეწველობის ხუთწლიანი გეგმა ვერ არის სათანადოთ დამუშავებული, განსაკუთრებით ამ მრეწველობის ნედლეულით მომარაგების ნაწილი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სახელმწიფო მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, წვრილი შინამრეწველობა თავის მნიშვნელობას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს, როგორც ბაზრისათვის დამატებითი პროდუქციის მიცემის, ისე უმუშევრობის შენელების მხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტროფიკაცია

15. ხუთწლიანმა გეგმამ პირველ ყოვლისა მრეწველობის ელექტრო-ენერგიით მომარაგება უნდა გაითვალისწინოს. მრეწველობის ელექტრო-ენერგიით მომარაგება ერთ მუშაზე აუცილებელია მაქსიმალურად გადიდდეს. გეგმა უნდა იქნეს გადათვალიერებული ფერო-მანგანეცის წარმოების ელექტრო-ენერგიით უზრუნველყოფისა და ქიმიური მრეწველობის განვითარების მხრივ. ამისათვის აუცილებელია ამ ხუთი წლის განმავლობაში ახალი ჰიდროცენტრალის აგება, აგრეთვე აუცილებელია ხაჰესისა და რიონჰესის სიმძლავრის მაქსიმალურ საზღვრამდე აყვანა.

რიონჰესის დამთავრებისა და ახალი ჰიდრო-ცენტრალის ორგანიზაციის გარდა, აუცილებელია შემდეგი ახალი სადგურების დაწყება და დასრულება: აჭარისტანის, გუმისტის, გალიზგის, ალაზნის, აბაათუმნის და სხვ.

16. აუცილებელია დიდი ყურადღება მიექცეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის ელექტრო-ენერგიით მომარაგებას. გეგმით გათვალისწინებული ზრდა სოფლის მეურნეობის ელექტრო-ენერგიით მომარაგებისა 0,024 კს-დან 9,39 კს-მდე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ ელექტრო-ენერგიით უფრო მეტი მომარაგება არის სასურველი.

ამასთან ამავე ხუთწლედში აუცილებელია მოგვარდეს საკითხი ელექტრო-ენერგიის საოჯახო მოხმარების შესახებ (ვათბობა, ოჯახურ საჭიროებათა დაკმაყოფილება და სხვ.).

მუშათა კლასის ზრდა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება

17. მრეწველობის განვითარებასთან ერთად წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ხელის რაოდენობაც იზრდება. გეგმით წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი რაოდენობით მუშა-ხელის ჩაბმა წარმოებებში. საქართველოს სამრეწველო ხასიათის საწარმოებში 1927-28 წ. 22.659 კაცი ითვლებოდა, გეგმით 1932-33 წლისათვის 43.051 კაცი არის გათვალისწინებული, რაც 90% ზრდას გვაძლევს. ნაკლები, მაგრამ საკმაოდ საგრძნობი ზრდა გვაქვს მშენებლობაში ჩაბმულ პირთა მიმართ (1927-28 წ.—14.084 კაცი, ხუთწლედის ბოლოს კი—21.606 კაცი). საჭიროა აღინიშნოს, რომ ხუთწლედში დაქირავებულთა 30%-ით ზრდის დროს სამრეწველო ჯგუფი 90%-ით იზრდება. მუშა-ხელის რაოდენობის ეს ზრდა საგრძნობლად შეამცირებს უმუშევრობას (უმუშევრობა დაახლოებით 30%-ით შემცირდება), მაგრამ ეს შემცირება არ არის საკმაო და აუცილებელია გეგმაში მთელ რიგ ღონისძიებათა გათვალისწინება, რომელიც უმუშევრობის კიდევ მეტად შემცირებისაკენ იქნება მიმართული.

18. მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მისი უზრუნველყოფა ტექნიკური ძალებით, სპეციალისტებით და კვალიფიციური მუშა-ხელით. მრეწველობის მოთხოვნილებაა 20.000 ახალი მუშა ხელით დაკმაყოფილება კვალიფიციური მუშაკების მომზადებას მოითხოვს. გეგმით გათვალისწინებული კვალიფიციურ მუშა-ხელის განსაზღვრული რაოდენობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც საფაბრიკო-საქარხნო და პროფესიონალურ სკოლებში, ინდივიდუალური მოწაფეობის გზით, აგრეთვე გადამზადების სხვა საშუალებით ემზადება, არ არის საკმარ. აუცილებელია გეგმაში დამატებითი ხარჯების შეტანა კვალიფიციური მუშა-ხელის ახალი კადრების მოსამზადებლად. ამ მიზნისათვის მრეწველობამ უფრო მეტი სახსრები უნდა გაიღოს.

განსაკუთრებული ყურადღება ტექნიკურ ძალების მომზადებას უნდა მიექცეს. გეგმაში საჭირო ტექნიკურ ძალთა რიცხვის შეტანა (20 მუშაზე 1 ტექნიკური მუშაკი) მინიმალურ ნორმად უნდა ჩაითვალოს; ამ ნორმის მისაღწევად აუცილებელია ყოველგვარი ზომების მიღება.

19. აუცილებელია რეალური ხელფასის ზრდა მრეწველობაში—71%-მდე ავიყვანოთ, ეს ზრდა ნომინალური ხელფასის გადიდებით და ფართო მოხმარების საგნებზე ფასების დაკლების გზით უნდა მიეიღოთ. აღნიშნულ ოდენობამდე ხელფასის ზრდის უზრუნველსაყოფად გეგმაში გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერების ზრდა საშუალოდ 93%—110%-მდე უნდა იქნეს აყვანილი.

20. ყოფა-ცხოვრებისა და მუშების კულტურული დონის ამაღლების საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა საბინაო მშენებლობას აქვს. ხუთი წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობაზე მრეწველობის ხაზით 16.922.500 მან. არის გათვალისწინებული და სხვა ორგანიზაციების ხაზით—52.200.000 მან.

მოსახლეობის ერთ სულზე ბინის ფართობის გათვალისწინებული შემცირება 5,48 კვ. მ-დან 5,20 კვ. მ-მდე სრულიად მიუღებელია. ხუთი წლის განმავლობაში ისეთ მდგომარეობას უნდა მივაღწიოთ, რომ ამ მხრივ ჩვენი ქალაქები კავშირის სხვა რესპუბლიკების ქალაქებს გაუთანასწოროთ (7,5 კვ. მ.). მრეწველობის გაიაფების გზით გეგმაში გათვალისწინებული თანხა მშენებლობის უფრო მეტ მოცულობისთვის, ვიდრე ეს გეგმაშია გათვალისწინებული, უნდა იქნეს გამოყენებული.

ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა და გეგმის შესრულების უზრუნველყოფა.

21. გეგმით გათვალისწინებულ ოდენობით კაპიტალური მშენებლობის შესრულება უმთავრესად დამოკიდებულია მრეწველობის ხარისხობრივ მაჩვენებლების ზრდაზე მეტწილად, პროდუქციის თვითღირებულების დაკლებაზე: ყოველივე ეს სამრეწველო მშენებლობის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს, როგორც ეს საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XV ყრილობის რეზოლიუციაში არის მოხსენებული. საქართველოს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება მაღალია და ამის გამო საწარმოთა მთელი რიგი დეფიციტური იყო; ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ მთავარ საკითხად თვითღირებულების მნიშვნელოვანი დაკლება უნდა ვაღიაროთ. გეგმით გათვალისწინებულ 30% დაკლების ნაცვლად, თვითღირებულების დაკლება 35%-ით უნდა გავითვალისწინოთ. მრეწველობის ცალკე დარგებში და განსაკუთრებით მრეწველობის „ა" ჯგუფში, საჭიროა კიდევ უფრო მეტი დაკლების გათვალისწინება. ყრილობა აღნიშნავს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლების სუსტად ჩატარებას ადგილობრივ მრეწველობაში — ცალკე უწყებათა საწარმოებში და წინადადება შემოაქვს მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები სათანადო დირექტივების შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე მრეწველობის პროდუქციაზე 20%-ით და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზე 21,5%-ით საბითუმო ფასების დაკლება მიღებულ იქნეს ცვლილებებით, ცალკე დარგებში, სადაც ამჟამად შედარებით მაღალი ფასები არის, აუცილებელია კიდევ უფრო მეტი დაკლების გათვალისწინება, განსაკუთრებით ეს მძიმე მრეწველობაშია აუცილებელი.

22. მშენებლობაზე რამოდენიმე ასეულ მილიონ მანეთის ხარჯების გაწევის დროს მშენებლობის გაიაფება მოგვცემს დიდ ეფექტს. გეგმით გათვალისწინებული მშენებლობის გაიაფება 47%-ით არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. გაიაფების ნორმად უნდა მიღებულ იქნას საკავშირო გეგმაში გათვალისწინებული ნორმა (50%), რომლის შესრულებაც რეალურად შესაძლებელია. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს საალმშენებლო მასალის თვითღირებულების და გასაცემ ფასების უფრო მეტ შემცირებას, ვიდრე ეს გეგმითაა გათვალისწინებული.

მშენებლობის გაიაფების და მისი ნორმალურ საფუძველზე ორგანიზაციამოწყობის მიზნით, საგანგებულად იქნას აღიარებული მძლავრი რესპუბლიკანური საალმშენებლო ორგანიზაციის შექმნა.

23. გეგმით გათვალისწინებული დიდი საალმშენებლო პროგრამა მოითხოვს საალმშენებლო მასალის წარმოების განვითარებას ისეთი ტემპით, რომ მშენებლობა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს. შედგენილი გეგმა არასაკმარისად ითვალისწინებს ამ ამოცანის განხორციელებას. ამიტომ აუცილებელია გეგმის ამ ნაწილის გადასინჯვა და საალმშენებლო მასალის წარმოების უფრო მეტი ტემპით გათვალისწინება, კერძოდ კირის წარმოება უნდა იქნას ისეთ დონემდე აყვანილი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ მრეწველობას და აღარ ექნება ადგილი დეფიციტს, რომელიც გეგმაში ნაანგარიშევია 46.000 ტონას რაოდენობით. აუცილებელია აგრეთვე გეგმის გადასინჯვა იმ მხრით, რომ შესაძლებელი იქნეს აგურზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადგილობრივი მრეწველობის სათანადო განვითარების საშუალებით და ამით აუცილებელი მოსალოდნელი დეფიციტი 39 მილიონ ცალი აგურის რაოდენობით. ამასთანავე ერთად საჭიროა საგრძნობლად განვითარდეს სახურავი მასალის წარმოება (კრამიტი და სახურავი ფიქალი).

სასოფლო მეურნეობის განვითარება

24. მნიშვნელოვან სახსრების დაბანდება სოფლის მეურნეობაში და მრეწველობის განვითარების ჩქარი ტემპი იძლევა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის შესაძლებლობას. კაპიტალური დაბანდებანი აჩქარებენ ტერიტორიის მოწყობას (მელიორაცია, მიწადმოწყობა, გადასახლება და დასახლება და სხვ.), უღარიბესი გლეხობის მუშა-საქონლით უზრუნველყოფას, სასუქის გამოყენებას არა მარტო ტეხნიკურ კულტურათა დარგში, არამედ იმ მიწების გასაუმჯობესებლადაც, რომელიც ითესება პურეულით, თესლბრუნვის განვითარებას, სათანადო ზომების მიღებას სასელექციო თესლეულის მასალათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასავრცელებლად და სხვა და სხვა ზოოტექნიკურ და აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას.

25. ხუთწლიან გეგმაში საკითხი მოსავლიანობის გადიდების შესახებ უნდა გადასინჯულ იქნას. ეს საჭიროა უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენში მოსავლიანობა ჯერ კიდეე მეტად დაბალ დონეზე სდგას და მოითხოვს ცვალებათა რადიკალურ ხომებს და მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებას. პურეული კულტურის მოსავლიანობის ზრდა 17-18%-ით არაა საკმარისი. საქართველოსთვის აუცილებელია ზრდის საშუალო ნორმის აყვანა არა ნაკლებ 35%-სა. აუცილებელია სათეს ფართობის 25%-მდე გადიდება.

26. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით სდგას საკითხი მესაქონლეობის განვითარების შესახებ. ვლეხების რაოდენობა, რომელთაც არა ჰყავთ მუშა-საქონელი საკმარისად დიდია. ამიტომ მუშა-საქონლის 10%-ით გადიდება არაა საკმარისი. თითქმის საგლეხო მეურნეობის 40%-ს არ გააჩნია სას.-სამეურნეო იარაღი, რაც მეტად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. საჭიროა ხუთწლიანი გეგმის გადასინჯვა იმ ანგარიშით, რომ ეს მდგომარეობა თავიდან აცილებულ იქნეს.

საქართველოს პირობებში მეწველი საქონლის მოშენებას დიდი მომავალი აქვს და ამიტომ აუცილებლად მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მეცხვარეობის განვითარებას იმ მიმართულებით, რომ მიხდეს მატყლის ხარისხობრივი გაუმჯობესება.

27. გეგმით გათვალისწინებული მეფრინველეობის ზრდა არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. საქართველოში მეფრინველეობის განვითარებისათვის არსებული მეტად ხელსაყრელი პირობები მხედველობაში იქნას მიღებული და გეგმაც აუცილებლად ამ დარგის გადიდების მიმართულებით გადასინჯული.

28. ხუთწლიანი გეგმის უმთავრესი ამოცანაა შეაჩეროს სოფლის მეურნეობათა დაყოფა-დაქუცმაცება და ამავე დროს დააჩქაროს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. გლეხთა მეურნეობების კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანება 15-20%-მდე ჩვენს პირობებში ამდა�არაა საკმარისი. საქართველო წვრილი მეურნეობის ქვეყანაა და ამიტომ განსაკუთრებით აუცილებელია კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების ტემპის დაჩქარება.

არანორმალურად ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ 5 წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობაზე იხარჯება 24.000.000 ნანეთი, ხოლო მისი საერთო პროდუქცია კი ფასეულ გამოხატულებაში ხუთწლედის ბოლოს უდრის დაახლოებით 5 მილიონ მანეთს. გადაისინჯოს გეგმა იმ ანგარიშით, რომ ხუთწლედის ბოლოს ჩვენ გვექნეს საბჭოთა მეურნეობების საერთო პროდუქციის უფრო მეტი ეფექტი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია გეგმაში. აშასთანავე ერთად აუცილებელ საჭიროებად იქნას აღიარებული მებოსტნეობა-მემწვანილეობის საბჭოთა მეურნეობების მოწყობა და აგრეთვე საკითხის შესწავლა ხორბლეულობის საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის შესაძლებლობის შესახებ.

29. მიწათმოწყობა უნდა ჩაითვალოს აუცილებელ პირობად სოფლის მეურნეობის ახალ გზებზე გადასვლისათვის. მიწათმოწყობის ტემპის გაძლიერება გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებით აუცილებელია საქართველოს პირობებში, ვინაიდან აქ ადგილი აქვს ხშირ ხარვეზიანობას და მიწის ნაკვეთების ერთი-მეორისაგან შორიშორას.

30. ტექნიკურ კულტურათა განვითარებასთან ერთად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პურეულ კულტურათა განვითარებას. ამ ხუთწლედის განმავლობაში პურეული კულტურის განვითარებას, მის ფართობის და მოსავლიანობის ზრდა-განვითარება განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მაგრამ ამან არ უნდა მოახდინოს გავლენა სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა (მებაღეობა, მეღვინეობა, ჩაი, ბამბა, აბრეშუმი, თამბაქო, კენაფი, მანდარინები, სამკურნალო მცენარეულობა და სხვ.) განვითარების საქმეზე. პირიქით, ყველა ამ კულტურათა გაძლიერებული განვითარება უნდა იყოს ჩვენი ყურადღების ცენტრი.

31. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო ნაწილი იზრდება 101%-ით, შედარებით 1927-28 წელთან (78.908.100 მანეთიდან 158 მილიონ მანეთამდე); თუ 1927-28 წელში ბაზარზე გადიოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის 30,8%-ი, 1932-33 წელში ეს პროცენტი მიაღწევს 41,3%.

სოფლის მეურნეობის სასაქონლო ნაწილი უმთავრესად იზრდება ტექნიკურ ან სპეციალურ კულტურათა ხარჯზე; ხორბლეულ კულტურათა ხახით კი საქონლიანობა მეტად მცირეა. გეგმით გათვალისწინებული ზრდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საქონლიანობისა 30,8%-დან 41,3%-დე, უნდა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად, ვინაიდან ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სამნიშვნელო მექანიზაციას, სათეს ფართობის გადიდებას და მოსავლიანობის 35%-მდე გადიდებას სხვადასხვა აგრიკულტურულ და აგროტექნიკურ ღონისძიებათა საშუალებით. გეგმა უნდა გადაისინჯოს იმ მხრით, რომ მივიღოთ ხორბლეულ პროდუქტთა საქონლიანობის უფრო მეტი ზრდა.

32. სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში წყლის მეურნეობის სათანადოთ დაყენებას ჩვენში შეუძლია დიდი როლი ითამაშოს. ხუთწლიანი გეგმით განზრახულია სამელიორაციო სამუშაოთა წარმოება-ჩატარება 239 ათას ჰექტარ ფართობზე (ალაზანი, ტირიფონი, სამგორი, მაწველი, ელდარი და კოლხიდის დაბლობი). ამ საქმეზე უნდა დაიხარჯოს 33.400.000 მანეთი. კოლხიდის ჭაობების გეგმის განხორციელება არასაკმარისად ჩაითვალოს და წინადადება მიეცეს სათანადო ორგანოებს გადასინჯონ ეს გეგმა და გაითვალისწინონ ამისათვის აუცილებელი სახსრები.

ამ სამუშაოთა ტემპის დაჩქარებას აუცილებლად მიექცეს ყურადღება, რათა ამით შესაძლებელი გახდეს შემდგომ ხუთწლედში ახალ სამუშაოთა დაწყება.

სერიოზული ყურადღება მიექცეს აგრეთვე წვრილ სამელიორაციო სამუშაოთა ჩატარებას გლეხობის სახსრთა გამოყენებით.

კულტურული მშენებლობა

33. კულტურულ მშენებლობის ხუთწლიან გეგმაში გითვალისწინებულია სოფლის და ქალაქის მოსახლეობის კულტურული ზრდა, რომელიც უზრუნველჰყოფს მუშათა და გლეხთა ფართო მასების სოციალიზმის პრაქტიკულ მშენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში ჩაბმას. ამ მიზნით განზრახულია საყოველთაო სავალდებულო სწავლების სასკოლო ქსელის გაფართოება, წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლების რიცხვის გადიდება და მასიური პროფტეხნიკური მომზადება.

ბუთწლედის განმავლობაში კულტურულ-განმანათლებელ საქმეზე დასახარჯ თანხების რაოდენობა უდრის 221.952 ათას მანეთს: წინა ბუთწლედში დახარჯულია 51 მილ. მანეთი.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ყოველგვარი სახის და საფეხურის სკოლების მოსწავლეთა ზრდა (საბავშო ბაღების—134,5%, პირველი საფეხურის მოწაფეთა—38,7%, სალიკვიდაციო პუნქტების 190,2%, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების—216,6%, ქოხ-სამკითხველოების—56% და სხვ.).

საყოველთაო სავალდებულო სწავლება უმცირეს ეროვნებათა მაზრებში ხუთი წლის განმავლობაში იზრდება 40%-ით, საქართველოში (ავტონომიური რესპუბლიკებისა და უმცირეს ეროვნებათა მაზრების გარდა)—21%. ბიუჯეტის ზრდაც კულტურულ-განმანათლებელ დარგში დიდი ტემპით მიმდინარეობს. საქართველოში, ავტონომიური ერთეულების გარდა, ბიუჯეტის ეს ნაწილი იზრდება—230%-ით, აფხაზეთში—432%, აჭარისტანში—324% და სამხრეთ-ოსეთში 597%-ით.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოსახლეობაში მოხდეს 15—39 ჰასაკამდე, სამი წლის განმავლობაში 1929-30 წლიდან დაწყებული, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საბოგადოებრივი და ინდივიდუალური თვითმოქმედება (ახ. ლენ. კომ. კავშირთა ორგანიზაცია, კოოპერაციები, პროფკავშირები და სხვა დაწესებულებანი). წინადადება მიეცეს სათანადო ორგანოებს გამოიმუშაონ კონკრეტული გეგმა.

ყველა სახის და საფეხურის სკოლებში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მტკიცე კლასიური ხაზის გატარებას. უღარიბესთა ფონდისათვის გეგმა ითვალისწინებს 10 მილიონ მანეთამდე თანხას.

გეგმა განსაზღვრავს კვალიფიციურ მუშაკთა რიცხვს, რომელიც აუცილებელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, მომზადებული იქნება დაბალი ტიპის პროფტეხნიკური სკოლების მეშვეობით 6.500-დე მუშა, კურსებზე კი—8.917-დე, სულ დაახლოებით 15.018-დე, ხოლო გადამზადებული მოკლეადიანი კურსების საშუალებით ხუთი წლის განმავლობაში 30.000 მუშამდე.

რაც შეეხება უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთათვის საჭირო კვალიფიციურ მუშებს, უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით კი აგრონომების, ბეითალთა, პედაგოგიური ძალების მხრივ. გეგმა ითვალისწინებს საჭირო სპეციალისტების მხოლოდ ნაწილს. გეგმის თანახმად მომზადებული იქნება 700 ინჟენერი და სოფლის მეურნეობისათვის კი 600 აგრონომი, რაც არაა საკმარისი.

ცნობილ იქნეს, რომ კულტურულ მშენებლობის ერთ დეფექტთაგანს წარმოადგენს გამომცემლობის გეგმის უქონლობა. დაევალოს სათანადო ორგანოებს შეიმუშაონ მთელი გამომცემლობის გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო ჯანმრთელობის დაცვა

34. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სანიტარულ-პროფილაქტიურ ღონისძიებათა გაძლიერებას და სოციალურ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლას და აგრეთვე მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების გაფართოებას (ახალი საავადმყოფოებისათვის ნავარაუდევია 8.300.000 მანეთი, საწოლების რიცხვი იზრდება 3.588-დან 5.668-მდე. იქნება სპეციალური ინსტიტუტები მალარიასთან, ტუბერკულიოზთან და სხვა დაავადებასთან საბრძოლველად, ფართოვდება დედათა და ბავშთა დაცვის საქმე, სწარმოებს კურორტების კეთილმოწყობის გაუმჯობესება, ეწყობა ახალი სანატორიები და პანსიონატები და სხვ.). სოციალურ დაავადებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას სპეციალურ დაწესებულებათა გახსნისათვის საჭირო ასიგნობათა გადიდებით და მოსახლეობისათვის უფასოდ ქინაქინის მიწოდებით.

დედათა და ბავშთა დაცვის გეგმა გაფართოვდეს სათანადო ქსელის გადიდებით. მწვავე ნაკლებობა ფსიქიატრიული დახმარების დარგში უნდა შეივსოს არსებული ქსელის მაქსიმალური გადიდებით.

გაფართოვდეს გეგმა საელმწიფო მნიშვნელობის სანატორიუმებისა და კურორტების მშენებლობის და მიექცეს მათ კეთილმოწყობას განსაკუთრებული ყურადღება. დამუშავდეს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების შესწავლის და მოწყობის გეგმა საჭირო თანხების გათვალისწინებით.

გეგმის წარმატებით შესრულების მიზნით საჭიროდ იქნას აღიარებული სპეციალურ სამალარიო კომიტეტის ორგანიზაცია.

მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვის საქმის ასეთი გაფართოებისა, ის მაინც ვერ ჩაითვლება საკმარისად. კერძოდ არაა საკმარისი საწოლების რიცხვის გადიდება, სამკურნალო ქსელის განვითარება სოფლად და სათანადო დაწესებულებათა ორგანიზაცია სოციალურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბ ი უ ჯ ე ტ ი

35. შეერთებული ბიუჯეტის (სახელმწიფო და ადგილობრივი) საერთო ზრდა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვნად. თუ გასულ ხუთწლედში ბიუჯეტის საერთო რაოდენობა უდრიდა 216.434.000 მანეთს, ამ ხუთწლედისათვის ის ნავარაუდევია 682.361.000 მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტის მთავარი მიმართულება ხასიათდება იმით, რომ სოციალურ-კულტურულ საჭიროებაზე გათვალისწინებული ხარჯები შეადგენს 249 მილიონ მანეთს, ხოლო მრეწველობაზე კი 182 მილიონს.

გეგმით გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. დიდი ზრდისთვის აუცილებელია შემოსავლის ახალი ობიექტების გამონახვა.

აუცილებლად საჭიროა დამატებითი მთლიანი ფინანსიური გეგმის დამუშავება, რომ უფრო ნათლად გამომჟღავნდეს სახალხო მეურნეობის ცალკე ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილთა ფინანსიური ურთიერთ-დამოკიდებულებანი. აუცილებელია აგრეთვე სახალხო შემოსავლის საკითხის შესწავლა.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

36. ხუთი წლის განმავლობაში ტრანსპორტის განვითარებაზე ნაეარაუდევი ხარჯები 130.321.000 მან. რაოდენობით (აქედან რკინის გზა—60.400.000 მან.; გზატკეცილები—44.600.000 მ., ავტოტრანსპორტი—5.250.000 მან.; წყლის ტრანსპორტი—20 მილ. მან.) სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს საესებით ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ წინადადება მიეცეს სათანადო ორგანოებს დაამუშაონ საკითხი ტრანსპორტზე, მომეტებულად ურელსო გზებზე, დაბანდებათა გადიდების შესაძლებლობის შესახებ. აუცილებელია გზატკეცილების შეკეთების გაძლიერება, დაკეტილ გზების აღდგენა და ახალი გზების გაყვანით ჩამორჩენილ რაიონების მდგომარეობის გაუმჯობესება. გზატკეცილებზე კაპიტალური დაბანდებანი 44.600 ათ. მან. რაოდენობით ახალ-გზების გასაყვანად უნდა გამოვიყენოთ, კერძოდ ისეთ რაიონებში, როგორიცაა: ახალციხე, ახალქალაქი, ბორჩალო, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მაზრების ზოგიერთი რაიონი და სხვ.

რკინის გზის ახალი მშენებლობის (შავი ზღვის, გორი-ცხინვალი, ტყვარჩელი-ოჩამჩირე, თელავი-ახმეტა, ოზურგეთი-ჩოხატაური) დარგში განსაკუთრებული ყურადღება შავი ზღვის რკინის გზის გაყვანის ტემპის დაჩქარებას უნდა მიექცეს.

37. ნავთსადგურთა მშენებლობის დარგში გეგმა უნდა გადაკეთდეს იმ მხრივ, რომ კაპიტალური დაბანდებანი ნავთსადგურთა დეფიციტიანობის მიზნისათვის იქნეს გამოყენებული. ტვირთბრუნვის უფრო მეტად გადიდებისათვის აუცილებელია ლონისძიებათა ახლავე დამუშავება. ამას გარდა, აუცილებელია დაეისახოთ ამოცანა ნაოსნობის (მდ. რიონი, მტკვარი და სხვ.) განვითარებისა, უფრო მეტის მასშტაბით, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

ს ა ქ ო ნ ლ ი ს ბ რ უ ნ ვ ა

38. გათვალისწინებულია საქონლის ბრუნვის განვითარება—509.287.000 მანეთიდან 1927-28 წ. აყვანილ იქნეს—814.800 ათას მანეთამდე 1932-33 წ. (60%). ცალკე სექტორთა განვითარება დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. საცალო ვაჭრობაში კერძო სექტორის მნიშვნელობა კლებულობს და ხუთწლედის ბოლოს მისი ხვედრითი წონა 5,8% უდრის, იმ დროს, როცა 1927-28 წ. იგი 40% უდრიდა. საბითუმო ვაჭრობიდან კერძო სექტორი საესებით იდევნება. ყურადღება უნდა მიექცეს საერთო საქონლის ბრუნვაში კოოპერაციის ხვედრითი წონის გადიდებას. საბითუმო ხაზით მისი ხვედრითი წონის ზრდა უფრო მეტი უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის შედეგები

39. ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შემდეგ, მრეწველობის როლი საქართველოს სახალხო მეურნეობაში საგრძნობლად იცვლება.

1927-1928 წელს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქცია 378.700.000 მან. შეადგენდა. აქედან სოფლის მეურნეობის პროდუქცია—268.000.000 მან. (ჩვეულებრივი წონა 70,8%), მრეწველობის—110.700.000 მან. სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში მრეწველობის ხვედრითი წონა 29,2%-დან 459%-მდე იზრდება.

40. სახალხო მეურნეობის (მრეწველობა და სოფლის მეურნეობა) პროდუქციაში სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა—18,6%-დან 54,1-მდე იზრდება. ამასთან პირდაპირ დაკავშირებით ხუთწლედის ბოლოს ჩვენი ქვეყანა აგრარულ-სამრეწველო ქვეყნიდან სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად იქცევა. ამით სოციალისტური სექტორი მთელი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი ხდება, რაც უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

41. სოფლის მეურნეობის ხაზით ხუთწლიანი გეგმის შესრულება განსაზოგადოებული სექტორის (საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი) ზრდას იძლევა. სოციალისტური სექტორის პროდუქციის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში—1,5%-დან (1927-1928 წ.) 16,2%-მდე (1932-33 წ.) იზრდება, საიდანაც კოლმეურნეობებმა 13,3% უნდა მოგვცეს. სოფლის მეურნეობის მთელი განსაზოგადოებული სექტორი 1932-33 წ. სოფლის მეურნეობის საქონლური პროდუქციის 13,9% მოგვცემს წინააღმდეგ 1,5% 1927-28 წ. აქ არ შედის ჩაის პროდუქცია, მევენახეობა, მებაღეობა და მეფინდვრეობა.

კაპიტალურ დაბანდებათა 219 მილ. მანეთიდან (სოფლის მეურნეობის საინდუსტრიალიზაციო კიპიტალური დაბანდების ჩათვლით—38 მილ. მან.), რომელიც სოფლის მეურნეობისათვის არის გათვალისწინებული, განსაზოგადოებულ სექტორზე 114.000.000 მან. დაიხარჯება, ე. ი. 52% (საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, სატყეო მეურნეობა, სოფლის ელექტროფიკაცია და სხვ.).

აუცილებელი პირობები ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის

42. ხუთწლიანი გეგმის განხორციელების გარანტიას წარმოადგენს ყველა მშრომელის, განსაკუთრებით მუშათა კლასის აქტივობის ზრდა, შრომითი დისციპლინის განმტკიცება და ფართო მუშათა მასების კიდევ უფრო მეტი საწარმოო უნარიანობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენა.

43. ხუთწლიანი გეგმის შესრულება მოითხოვს სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ განვითარებას, წარმატებით ბრძოლას ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან და ფართო მუშათა და გლეხთა მასებს შორის სისტემატიური განმარტებითი მუშაობის ჩატარებას ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობის შესახებ.

აუცილებელია მოხდეს მუშათა ყველა შემოქმედებითი ძალის მობილიზაცია ხუთწლიანი გეგმის შესრულების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, შრომითი დისციპლინის განმტკიცების, თვითღირებულების დაკლებისა და საწარმოო გეგმათა შესრულების ირგვლივ. უნდა გამოვიყენოთ მუშათა მასების ინიციატივით წარმატებით დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება. იგი უნდა გახდეს ჩვენი მშენებლობისა და შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად.

ამასთან აუცილებელია გამოიცვალოს ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის გეგმა და მათი საქმიანობის ტემპი შეუთანხმდეს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ზრდის ტემპს.

ჩვენი ყოველდღიური მუშაობა მიმართული უნდა იყოს დიად სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

44. ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ყველაზე მთავარი და ყველაზე აუცილებელი პირობა არის კომპარტიის შინაგანი მთლიანობის განმტკიცება, ბრძოლა ყოველგვარ გადახრასთან და შემარიგებლობასთან და განსაკუთრებით ამ ეტაპზე უფრო საშიშარ მემარჯვენე გადახრასთან და მასთან შემარიგებლობასთან. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ დიდ სამუშაოთა წარმატებით შესრულება.

ინდუსტრიალიზაციის დღე სოციალიზმის დაჩქარებას ემსახურება

ინდუსტრიალიზაციის დღე უკვე ჩატარდა მთელ კავშირში ამიერ-კავკასიის გამოკლებით, გასული აგვისტოს 6-ს. ახლა—20 სექტემბერს—ის უნდა ჩატარდეს მთელ ამიერ-კავკასიაში. ჩვენ ვიცით, რომ ინდუსტრიალიზაციის დღემ ყველგან გამოიწვია უდიდესი ენტუზიაზმი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასში; ის ყოველგან ჩატარდა მუშების უდიდესი აღფრთოვანებით. ეს გარემოება უტყუარი ნიშანია იმის, რომ ლენინურმა კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე, ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან, სრულიად სწორი ხაზი აილოცეს ნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ მუშათა კლასი ჩვენში შეურყევლად სდგას სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, რომ იგი მართლაც დაინტერესებულია სოციალიზმის განხორციელებით, რომ მისთვის სოციალიზმის დამყარება წარმოადგენს დღეს ერთად ერთ უმთავრეს და გადაუდებელ ამოცანას. და მართლაც, თუ მუშათა კლასი მასიურად და მონდომებით არ ჩაებმება სოციალისტურ მშენებლობაში, ე. ი. თუ მუშათა კლასმა არ გამოიჩინა ამ საქმეში უდიდესი ენტუზიაზმი და აღფრთოვანება, უამისოდ სოციალიზმის საქმე წინ ვერ წავა. სწორედ ასე ესმოდა ამხ. ლენინსაც მუშათა კლასის აქტიური მონაწილეობა სოციალიზმის განხორციელების საქმეში.

მეორე მხრით, უნდა ვიცოდეთ, რომ ენტუზიაზმი და აღფრთოვანება საჭიროა განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენ დასაძლევი გვაქვს უდიდესი სიძნელეები და გაჭირვებები. ყველა ეს სიძნელე და გაჭირვება კარგად იცის მუშათა კლასმა, რადგანაც ყველა ამას იგი თავის თავზე გრძნობს, მასთან ყოველდღე ეს უპირველეს ყოვლისა მან უნდა გადაიტანოს, მან უნდა დასძლიოს. მიუხედავად ამისა, მუშათა კლასი სრულებით არ ფიქრობს უკან დახევას, მას სრულებით არ ეშინია სიძნელეების და გაჭირვების. უმთავრესი სურვილი, რომელსაც იგი გამოსთქვამს, მდგომარეობს იმაში, რომ, რაც შეიძლება დაჩქარდეს საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რაც შეიძლება კიდევ გაძლიერდეს ინდუსტრიალიზაციის ტემპი, რაც იმავე დროს ნიშნავს სოციალიზმის განხორციელების დაჩქარებასაც. ჩვენმა მუშებმა კარგად იციან ის, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ე. ი. ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს მეტად ჩქარი ტემპით, რაც აქამდის არავის არ მოსწრებია. მაგრამ იმავე დროს მუშათა კლასი ხედავს, რომ ეს ტემპი კიდევ არაა საკმარისი. საბჭოთა ქვეყნის პირობები, მისი საშინაო და საერთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა, მისი სოციალისტური განვითარება, ყოველივე ეს დაეინებით თხოულობს, რომ ინდუსტრიალიზაციის ტემპი კიდევ უფრო მეტად იქნას დაჩქარებული. ინდუსტრიალიზაციის დღე, რომელიც თვით მუშების ინიციატივით იქნა მიღებული და მუშებისავე ხელმძღვანელობით ტარდება ცხოვრებაში, აშკარად მოწმობს იმას, რომ მუშათა კლასს ზედმიწევნით აქვს შეგნებული ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა და იგი მთელი თავის ძალღონით და ენერგიით მზადაა ხელი შეუწყოს მის განვითარებას კიდევ უფრო ჩქარი ტემპით.

რა განსხვავებაა ამ მხრით მუშათა კლასსა, ერთი მხრით, და იმ მემარჯვენე იდეოლოგებს შორის, მეორე მხრით, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს ჩვენ მოგვეელინენ. ნემარჯვენეები ფიქრობენ, რომ კომუნისტურმა პარტიამ აიღო არასწორი გეზი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების საქმეში: სახელდობრ, ისინი ამტკიცებენ, ან უფრო მართალი რომ ვთქვათ, მათ სურთ დაგვიმტკიცონ, რომ იმ ჩქარ ტემპს, რომლითაც ხდება დღეს ჩვენში ინდუსტრიალიზაციის განვითარება, მუშათა კლასი ვერ აიტანს; ამიტომ, იმათი აზრით საჭიროა ამ ტემპის შენელება. მუშათა კლასი კი გვეუბნება, რომ, მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ დიდ გაჭირვებას განვიცდით, მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კიდევ უფრო დაჩქარება, მისი ტემპის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებაო. აქედან აშკარად სჩანს, რომ მემარჯვენეები სასტიკად ცდებიან, როცა ისინი იწუნებენ ინდუსტრიალიზაციის ჩქარ ტემპს და თხოულობენ მის შენელებას. აქედან ნათლად სჩანს, რომ იმათ ვერ აღღეს ალლო მუშათა კლასს, ვერ გაიგეს დღევანდელი მომენტის არსებითი მხარე და საერთოდ ისინი საშინლად დაიბნენ.

ინდუსტრიალიზაციის დღის წამოყენებით მუშათა კლასმა გასცა საუკეთესო პასუხი მემარჯვენეებს, რადგანაც ამ დღის მთავარი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს ინდუსტრიალიზაციის ტემპის კიდევ უფრო გაძლიერებას და დაჩქარებას. ამ მხრით ინდუსტრიალიზაციის დღეს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა არ ამოიწურება ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის ზედმეტი ნივთიერ საშუალებათა მიწოდებით. ინდუსტრიალიზაციის დღეს აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც. ესაა კომუნისტური პარტიის მთავარი გეზის შემოწმება და გამართლება სინამდვილეში მუშათა კლასის მიერ.

ინდუსტრიალიზაციის დღე საუკეთესო პასუხია აგრეთვე იმ ჩინელ გენერლებისა და თეორბანდიტებისათვის, რომლებმაც ავანტიურა თავდასხმა მოახდინეს ჩინეთის აღმოსავლეთის რკინის გზაზე და რომლებიც ახლა კიდევ ომით გეემუქრებიან. როცა კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენ ყაჩაღურად თავს გვესხმიან, მუშათა კლასი უპასუხებს მათ მით, რომ აფართოებს და ამაგრებს სოციალიზმის ეკონომიურ ბაზას, ამჭიდროებს თავის რიგებს, აძლიერებს შრომის დისციპლინას. ინდუსტრიალიზაციის გაძლიერება არის იმავე დროს სოციალისტური მუშათა კლასის პოზიციების გამაგრება და გაძლიერება, არა მარტო შინ, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის თითოეულ ნაბიჯს ანგარიშს უწე-

ვენ საერთაშორისო იმპერიალისტური ძალები. ისინი აფასებენ ჩვენი მუშების ნაბიჯებს იმ მხრით, შეუძლიათ იმათ გამოიწვიონ მუშათა კლასში დაქსაქსვა-დარღვევა თუ შეკავშირება-გაერთიანება. რა თქმა უნდა ყველა ისეთი ნაბიჯი და ღონისძიება, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრება, შეუწყვეტელი მუშაობა, ინდუსტრიალიზაციის დღე და სხვ. იწვევენ მუშების შეკავშირება-გაერთიანებას და მათში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, და არა დაქსაქსვა-დარღვევას. იმპერიალისტების მეთაურებს იმდენი ჭკუა კი აქვთ, რომ ეს დაინახონ და მას ანგარიში გაუწიონ. რა თქმა უნდა, ყველამ კარგად იცის, რომ მუშათა კლასის როლი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და თავდაცვის საქმეში მარტო შრომის დარგით არ ამოიწურება, იგი მუდამ მზადაა დაიცვას საბჭოთა ქვეყანა იარაღითაც.

ინდუსტრიალიზაციის დღე გარდა ამისა ჩინებული პასუხია საერთაშორისო მენშევიზმის ყველა მოციქულებისათვისაც, რომლებიც გამუდმებით გაიძახიან, რომ საბჭოების ქვეყანაში მუშათა კლასი დამონებულია, მას წართმეული აქვს ყოველგვარი ინიციატივის შესაძლებლობა, იგი ყურმოჭრილი მონაა კომუნისტური პარტიის ხელში, მასში ჩამკვდარია ყოველივე მაღალი გრძნობაო. იმათი მტკიცებით მუშები საბჭოების ქვეყანაში მუშაობენ მათრახის ქვეშ, რაიმე აღფრთოვანებაზე ან ენტუზიაზმზე აქ ლაპარაკიც არ შეიძლებაო. გამოდის, რომ მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშაობენ მუშები თავისუფლად, ენტუზიაზმით და აღფრთოვანებით. განა ამაზე მეტი სიყალბე და სიცრუე შეიძლება? დეე, ინდუსტრიალიზაციის დღის მაგალითზე ახლა მაინც ჭაიგონ ამ ვაებატონებმა, თუ რაოდენ სიყალბეს და რაოდენ სისულელეს ჩადიან ისინი საბჭოთა ქვეყნის მიმართ!

ინდუსტრიალიზაციის დღე, სოციალისტური შეჯიბრება, მუშათა გამომგონებლობა ყველასათვის თვალსაჩინოთ გვაჩვენებენ, თუ რა ფართო სარბიელი და რა დიდი გასაქანი აქვს დათმობილი საბჭოთა ქვეყანაში მუშების შემოქმედებითი ნიჭს, იმათ ინიციატივას და მათ თვითმოქმედებას. ეს გარემოება ბრმებისათვისაც კი ცხადი უნდა იყოს.

ინდუსტრიალიზაციის დღეს უნდა მოყვეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დღე. მუშაობა და მზადება კოლექტივიზაციის დღისათვის აქა-იქ უკვე დაწყებულია. დღეიდან ეს მუშაობა უნდა გაძლიერდეს. მეტად საგულისხმიეროა, რომ კოლექტივიზაციის დღის ინიციატივა ეკუთვნით თვით გლეხებს. თავის თავად იგულისხმება, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დღის მოწყობაში და ჩატარებაში მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ქალაქის მუშებმაც. კოლექტივიზაციის დღე უნდა იქნას გამოყენებული პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხკაცობას შორის კავშირის განსამტკიცებლად. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდუსტრიალიზაციის დღე ჩვენ არ უნდა გავიგოთ ვიწროდ, ისე, თითქო აქ იგულისხმებოდეს მხოლოდ ინდუსტრიის განვითარება და სოფლის მეურნეობა აქედან გამოთიშული იყოს. პირიქით, ინდუსტრიალიზაციის დღე მიზნათ ისახავს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნასაც მაღალ ტექნიკურ საფუძველზე. საკავშირო პროფესიონალური კავშირების საბჭოს დადგენილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ის თანხები, რასაც მოგვცემს ინდუსტრიალიზაციის დღე, უნდა მოხმარდეს ერთი მხრით ინდუსტრიის დასოფლის მეურნეობისათვის წითელსპეციალისტთა კადრების გაძლიერებას და მომზადებას და, მეორე მხრით სამანქანო-სატრაქტოროსადგურების მოწყობის საქმეს. აი როგორ ფიქრობს მუშათა ორგანიზაციების ცენტრი, აი როგორ ზრუნავს სოციალისტური პროლეტარიატი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაზე. აი რა მჭიდრო კავშირი სუფევს ქალაქის მუშებს და მშრომელ(ღარიბ და საშუალო) გლეხებს შორის. ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის დღეები არსებითად ერთ და იმავე დიად საქმეს ეშსახურებიან: ესაა სოციალიხტური გარდაქმნის პროცესის დაჩქარება ჩვენში, როგორც ქალაქად ისე სოფლად.

ფაბრიკა-ქარხნების მუშები ერთი (არა სამუშაო) დღის ხელფასს დებენ ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად. მე ვფიქრობ, რომ ინდუსტრიალიზაციის დღე ამა თუ იმ სახით უნდა გავრცელდეს მოსამსახურეებზედაც. *შეიძლება აქ შეგვხვდეს რაიმე ტეხნიკური სიძნელე, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს. მაგრამ თავისთავად ეს პირდაპირ გამომდინარეობს ინდუსტრიალიზაციის დღის იდეისაგან. ამ საკითხის დასამუშავებლად უნდა იზრუნოს პროფსაბჭომ.

დასასრულ, ვუსურვებ საქართველოს და ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს წარმატებით ჩაეტარებინოს ინდუსტრიალიზაციის დღე—20 სექტემბერი. ვისურვებ, რომ ამიერ-კავკასიის მუშებს გამოეჩინოთ ამ დღეს ისეთივე ენტუზიაზმი და აღფრთოვანება, როგორიც გამოიჩინეს 6 აგვისტოს მთელი საბჭოთა კავშირის დანარჩენ ნაწილების მუშებმა. ესაა ჩვენი გენიოსი—მასწავლებლის—ლენინის უდიდესი ანდერძი,—სოციალიზმის მშენებლობა და მისი დაჩქარება.

მაშ გაუმარჯოს მუშათა კლასის ზემოქმედებით ნიჭს და ინიციატივას!

გაუმარჯოს ინდუსტრიალიზაციის დღეს! გაუმარჯოს სოციალიზმს!

ბორჯომი, 10 სექტემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები.

1) **„კვალი“**. ჟურნალი „კვალი“ ყოველკვირეული ქართული ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა ქ. ტფილისში 1893 წლიდან 1904 წლამდე. 1897 წლამდე ამ ჟურნალის ფაქტიური რედაქტორი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **გიორგი წერეთელი** (იხილეთ ამავ. ფ. მახარაძის თხზულებათა მე-V ტომის შენიშვნები—I), ხოლო 1898 წელს ის გადავიდა სამოქმედო პოლიტიკის ასპარეზზე ახლად გამოსულ ქართველ სოციალ-დემოკრატების, ე. წ. „მესამე დასელების“ ხელში. ამგვარად ამ წლიდან ეს ჟურნალი გახდა ქართველი მარქსისტების ლეგალური თეორეტიული და პრაქტიკული ორგანო.

2) **ფინიკიელნი**. ფინიკიელებათ ცნობილია ისტორიაში უძველესი ხალხი, რომელიც მოსახლეობდა ფინიკიაში—სირიის ვიწრო სანაპირო ზოლზე ლივანის მთებსა და ხმელთაშუა ზღვის შორის. ფინიკიელნი იყვნენ საუკეთოვო მეზღვაურნი და განთქმული იყვნენ ვაჭრობით. მათ დაარსეს მრავალი ახალშენები და მოდიოდენ ბალტიის ზღვამდეც.

3) **ალექსანდრე მაკედონელი**. ალექსანდრე მაკედონელი მაკედონიის ცნობილი მეფე იყო, რომელმაც დაიპყრო აუარებელი ქვეყნები.

4) **ვენეციელი და გენუელი ვაჭრები**. ვენეცია და გენუა საშუალო საუკუნის იტალიის განთქმული დამოუკიდებელი საეაჭრო ქალაქები იყო.

5) **ვახტანგ მე-VI**. ვახტანგ მე-VI ქართლის მეფე იყო. ის 1703 წლიდან 1712 წლამდე განაგებდა ქართლის სამეფოს, ხოლო შემდეგ კი მეფე იყო.

6) **ალბუღა**. ალბუღა საბეხის და მთელი სამეხეთოს მთავარი იყო. მან შეადგინა კანონები, რომლებიც შეტანილია ვახტანგ მე-VI კოდექსში. ცხოვრობდა მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში.

7) **ხახანაშვილი**. ალექსანდრე სოლომონის-ძე ხახანაშვილი ცნობილი მკვლევარი იყო. მან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, რის შემდეგ დაინიშნა (1888 წ.) ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტში ქართული ენის და სიტყვიერების ლექტორათ, ხოლო 1900 წლიდან კითხულობდა ლექციებს ქართული სიტყვიერების ისტორიის შესახებ მოსკოვის უნივერსიტეტშიც. ჰქონდა ასზე მეტი ნაბეჭდი ნაშრომი, რომელთაგან მთავარია: 1) Очерки по истории грузинской словесности (4 ტომი), 2) ქართული სიტყვიერების ისტორია (2 ტომი), 3) ბატონყმობა საქართველოში, 4) Пределы расселения грузин в Малой Азии, 5) გუჯრები, 6) Дворянские родословные акты და სხვ. გარდაიცვალა 1912 წ. 6 ივლისს ქ. სამარაში.

8) **ერეკლე მე-II.** ერეკლე მე-II ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე იყო. მისი ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და გამომუშავებულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულება.

9) **სოლომონ დიდი.** სოლომონ დიდი იმერეთის მეფე იყო. ის მეფობდა მეთერამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. მან სახელი გაითქვა მთელი რიგი გამარჯვებებით და ამისათვის მიეცა სახელწოდება **დიდი.** დასაფლავებულია გელათში.

10) ნათქვამია **„ორივე საქართველოს სამეფო"**, რადგანაც საქართველო ორად იყო გაყოფილი: ქართლ-კახეთად და იმერეთად.

11) **ი. ხატისოვი.** ბ. ი. ხატისოვი ტფილისის ქალაქის თავი იყო; ის გაიყვანა ამ თანამდებობაზე სომხების ბურჟუაზიულმა წრეებმა.

12) აქ რამდენიმე სტრიქონი გამოტოვებულია ცენზორის მიერ.

13) აქ რამდენიმე სტრიქონი გამოტოვებულია ცენზორის მიერ.

14) აქ რამდენიმე სტრიქონი გამოტოვებულია ცენზორის მიერ.

15) **„სახალხო ფურცელი".** გაზეთი „სახალხო ფურცელი" ქართველი ფედერალისტების ყოველდღიური ცენტრალური ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა ქალაქ ტფილისში 1917-21 წლ.

16) **თედო ღლონტი.** თედო ღლონტი მაშინ ქართველი ფედერალისტების ერთ-ერთი ბელადი იყო და ილაშქრებდა ჩვენს წინააღმდეგ. საქართველოში მომხდარ თებერვლის გადატრიალების შემდეგ ის მემარცხენე ფედერალისტი გახდა. ამ ჟამად ის ჩვენი პარტიის წევრია და ამიერ-კავკასიის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი.

17) **სარიკამიში.** ქალაქი და სამხედრო ბაზა სარაკამიში ამ ჟამად ოსმალეთს ეკუთვნის.

18) **ტრაპიზონი.** ქალაქი ტრაპიზონი ოსმალეთის ნავთსადგურია შავ ზღვაზე.

19) **კრილოვი.** ი. ა. კრილოვი (1768—1844) ცნობილი რუსი მწერალი. ის უმთავრესად სწერდა არაკებს, აგრეთვე კომედიებს და პატარა მოთხრობებსაც. ის თავის არაკებში, სადაც ადამიანი გამოყვანილი ყავდა მხეცის სახით, ილაშქრებდა ადამიანის უარყოფითი მხარეებისა და საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

20) შიდა რუსეთის ყოფილი გუბერნიებია.

21) **ფედერალისტები.** ქართველი ფედერალისტები, რომლებიც აგრეთვე თავის თავს სოციალისტ-ფედერალისტებს უწოდებენ, მეტად მერყეევი, ჩამოუყალიბებელი პარტიაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პარტია წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-XX საუკუნის დასაწყისში, 1905 წლის რევოლიუციამდე, მას ჯერ კიდევ არ გააჩნია რაიმე განსაზღვრული პოლიტიკური პლატფორმა; ის დღევანდლამდე ქანაობს უკიდურეს შოვინიზმს, რომელიც ზოგჯერ კაცთმოძულებამდე აღწევს (ქართველი ფედერალისტების დამოკიდებულება ოსებისა, რუსებისა, სომხებისა და სხვებისადმი) და სოციალ-რეფორმიზმის შორის. სოციალისტ-ფედერალისტები, თუმცა ყველა თავიანთ გამოცემაში სწერენ, რომ ისინი რევოლიუციონურ პარტიას წარმოადგენენ, მაგრამ მათი რევოლიუციონერობა მხოლოდ წმინდა კონტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონურ მოქმედებათა და გამოსვლებში აშკარავდება. ამ ვაჟბატონებიც, რევოლიუციონურ, მეყვირალა სიტყვებს, ისე როგორც მენშევიკებისაც, თან სდევთ კონტრ-რევოლიუციონური და რეაქციონური მოქმედებანი და საქმეები. ამ პარტიის სულის ჩამდგმელნი (როგორც განსვენებული არჩილ ჯორჯაძე) როგორღაც აპერხებდენ ქართული ეკლესიის, ქართველი ბურჟუაზიის, გლეხობის, მუშების ინტერესების დაცვის ერთად შეთვისებას. ქართველი ფედერალისტების პარტია პირველ ხანებში წარმოადგენდა მცირე ინტელიგენტურ წრეს პირებისას, რომელნიც თავისი სოციალური მდგომარეობით ეკედლებოდენ ან ბურჟუაზიას ან თავადაზნაურობას. მაგრამ დაინახეს რა, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა, ხოლო მეორეს მხრივ სოციალისტური ფრაზეოლოგია, ამ ვაჟბატონების მიერ თანდათან შეთვისებული, ავალებს მათ მშრომელ ხალხთან უფრო ახლო დგომას, ეს პარტია ბოლო დროს ცდილობს მუშებს და გლეხებს დაუახლოვდეს, ამასთან მხოლოთ **ქართველ მუშებს და გლეხებს**. ამგვარათ ნაციონალისტური სარჩული ჰერმაფროდიტულ პარტიაში გადამჭრელ როლს თამაშობს. საერთოდ ფედერალისტები საქართველოში წარმოადგენენ მეტად სუსტ პარტიას, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობს. დამფუძნებელ კრებაში ეს პარტია რამდენიმე დეპუტატითაა წარმოდგენილი" (ფილიპე მახარაძე: „მენშევიკური პარტიის დიკტატურა საქართველოში").

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენში სოციალ-ფედერალისტების პარტიის ერთმა ნაწილმა რამდენიმეთ შესცვალა დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან (გაზ. „ტრიბუნა"-ს ჯგუფი) და თანდათან დაუახლოვდა კომუნისტურ პარტიას, რის შემდეგ მიღებულ იქნა ჩვენს პარტიაში. მისი მთავარი ნაწილი კი მეხშევიკებთან ერთად ეწევა არალეგალურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ საქართველოში.

22) **„თანამედროვე აზრი"**. გაზეთი „თანამედროვე აზრი" ქართველი სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) ყოველდღიური ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა 1915-16 წ.წ. ქ. ტფილისში.

23) **არჩილ ჯორჯაძე**. არჩილ ჯორჯაძე იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დამაარსებელი და ბელადი. მისი მოკლე ბიოგრაფია ასეთია: დაიბადა ქ. ტფილისში 10 იანვარს 1872 წ.. სწავლობდა ტფილისის პირველ გიმნაზიაში და ითვლებოდა პირველ მოწაფედ. მისი მეთაურობით მოწაფეებს სალიტერატურო წრე ჰქონდათ შედგენილი და სცემდენ ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც „შრომა" ერქვა. გიმნაზია არჩილ ჯორჯაძემ დაამთავრა 1891 წელს, რის შემდეგ შეიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ რადგან იქაურმა ჰავამ ცუდათ იმოქმედა მის აგებულებაზე, მიატოვა პეტერბურგი და გადავიდა ვარშავის უნივერსიტეტში. რამოდენიმე ხნის შემდეგ ის ისევ დაბრუნდა პეტერბურგში და შეიდა ახალ ფაკულტეტ"ე: საბუნებისმეტყველო ნაწილზე. შემდეგ ის თავის ცოდნის გასაფართოებლათ და აგრეთვე ფილტვების დასუსტების გამო, წავიდა საზღვარგარეთ. საქართველოში დაბრუნებისას მან მიყო ხელი მწერლობას, მან მოასწრო მრავალი წერილების დაბეჭდვა: გამოსცა თავისი ნაწერების ოთხი ტომი. 1913 წლის იანვარში ძალზე დასუსტე-

ბის გამო ის გაემგზავრა ქალაქ ბათომს საექიმოთ. მით მაინც ვერ უშველა თავ და 21 მარტს (1913 წელს) გარდაიცვალა.

24) **ფონიძე.** „ფონიძე" ფილიპე მახარაძის ფსევდონიმი იყო.

25) ე. ი. 1916 წლის სექტემბრის.

26) **რიაბუშინსკი.** რიაბუშინსკი პ. პ. რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი კაპიტალისტი და ბანკირი იყო. 1917 წლის ზაფხულში ერთ-ერთ თათფირზე ემუქრებოდა მუშებს სიმშილით დახრჩობას. ახლა ემიგრაციაშია.

27) **დროებითი მთავრობა.** იგულისხმება თებერვლის რევოლიუციის დროინდელი დროებითი მთავრობა.

28) **დონსკოი.** დონსკოი ცნობილი თეთრგვარდიელი იყო.

29) **ჟორდანია.** ნოე ჟორდანია ქართველი მენშევიკების ცნობილი ბელადია. ამჟამათ ის იმყოფება ხაზღვარ გარეთ და ეწევა იქ აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ.

30) **გეგეჭკორი.** ევგენი გეგეჭკორი ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ბელადია. ის იყო მე-III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, წევრი სოციალდემოკრატიული (მენშევიკური) ფრაქციისა. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე. ხოლო საქართველოს (მენშევიკური) რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, მისი საგარეო საქმეთა მინისტრი. ამ ჟამათ გაქცეულია მენშევიკური მთავრობის სხვა წევრებთან ერთად საზღვარგარეთ.

31) **კარაულოვი.** კარაულოვი ცნობილი თეთრგვარდიელი იყო.

32) **კალედინები.** კალედინი ცნობილი თეთრ-გვარდიელი გენერალი იყო.

33) **კორნილოვები.** კორნილოვი ცნობილი თეთრგვარდიელი გენერალი იყო. 1917 წლის იელისის ცნობილი დღეების შემდეგ ის დანიშნულ იქნა რუსეთის არმიის მთავარსარდლათ. 1917 წლის აგვისტოში მან გაილაშქრა ლენინგრადზე, რათა ჩაეხშო რევოლიუცია. მაგრამ მისი ეს ლაშქრობა მარცხით დასრულდა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კორნილოვი დატუსაღებულ იქნა, მაგრამ მალე გაიქცა დონზე, იქ გამოეცვალა თავის თანამოაზრე კალედინს მოხალისეთა ჯარის სარდლობაში, მაგრამ 1918 წელს იანვარ-თებერვალში დამარცხებულ იქნა წითელი გვარდიის მიერ და დაიღუპა უკან დაბრუნების დროს.

34) **ამიერ-კავკასიის სეიმი.** ამიერ-კავკასიის სეიმი მოწვეულ იქნა ქართველი მენშევიკების თაოსნობით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. მასში მონაწილეობას იღებდენ ის დეპუტატები, რომლებიც არჩეული იყვნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში. ცოტა ხნის შემდეგ ეს სეიმი მენშევიკებმა დაშლილად გამოაცხადეს, ვინაიდან ამიერ-კავკასია დაყვეს ცალკე რესპუბლიკებად.

35) **რკპ(ბ) მე-X ყრილობა.** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-X ყრილობა შესდგა 1921 წლის მარტში (8—16).

36) **ეს წერილი** დაწერილი უნდა იყოს დაახლოვებით 1921 წლის ნოემბერში.

37) **ოზურგეთის რკინის გზა.** ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ ამბ. ფილიპე მახარაძე სწერდა ჯერ კიდევ 1900 წელს ჟურნალ „ქვალში":

„ოზურგეთის **ქალაქის** თვითმართველობა“ (იხ. ამხ. ფილიპე მახარაძის „ხუნელებათა პირველი ტომი გვერ. 230—231).

38) **გზატკეცილის გაყვანა ზემო სვანეთში.** როგორც ვხედავთ ამ გზატკეცილის გაყვანა ზემო-სვანეთში უკვე დაწყებულია.

39) **კრეიტანოვსკი.** გ. მ. კრეიტანოვსკი დაიბადა 1872 წ. სამარაში. ხელობით ის არის ინჟენერი-ტეხნოლოგი. მუშაობდა პეტერბურგის რევოლიუციონურ ჯგუფში, რომელიც პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის გრძოლის კავშირის“ წინამორბედი იყო. 1895 წ. დატუსაღებული იყო ამ ჯგუფის საქმის თაობაზე და გადასახლებული სამი წლით აღმოსავლეთ ციმბირში. 1903 წ. მე-II პარტყრილობაზე არჩეული იყო ცეკაში. 1905 წ. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ელექტროფიკაციის საქმის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი იყო. უკანასკნელ ხანებამდე საგეგმო კომისიის თავმჯდომარე იყო. ამჟამათ საელექტროფიკაციო საქმის კომიტეტის თავმჯდომარეა.

40) **სტრუმილინი.** სტრუმილინი ცნობილი ეკონომისტია.

41) **გრომანი.** გრომანი ცნობილი ეკონომისტია მავნებელთა ჯგუფიდან.

42) ეს ეხება 1924 წელს, როდესაც ამხ. ფილიპე მახარაძე დანიშნული იყო ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეთ.

43) **რადეკი.** ამხ. რადეკი (კარლი) მომხსენებელი იყო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოების სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე. ამ ჟამათ ამხ. რადეკი „იზვესტიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრია.

44) **ტროცკი.** ტროცკი ამ ჟამათ განდევნილია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საზღვრებიდან თავისი ანტი-საბჭოთა და კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის.

45) როგორც დღეს სჩანს ნათლად, ჩვენი სოციალისტური მეურნეობის განვითარება არ წავიდა სახელმწიფო კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ. სახელმწიფო კაპიტალიზმს აღარ დაურჩა ჩვენში ისეთი ადგილი, როგორსაც ფიქრობდა ამხ. ლენინი და მის შემდეგ ამხ. ფილიპეც. ჩვენში მტკიცეთ დაიწყო ფეხის მოკიდება სოციალისტურმა ნეურნეობამ სახელმწიფო კაპიტალიზმის გარეშე.

46) იგულისხმება 1925 წლის.

47) **ნ. ნიკოლაძე.** ნიკო ნიკოლაძე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო. ფოთის ქალაქის თავად ყოფნის დროს თავი ისახელა ბაობების ამოშრობისა და მდინარე რიონზე ნაოსნობის მოწყობისთვის ბრძენვით.

48) **„საქართველოს სახალხო მეურნეობა“** წარმოადგენს ამხ. ფილიპეს მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშ.) მე-VI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებას და საბოლოო სიტყვას, რომელიც მის მიერაა შესწორებული და შევსებული და რომელიც ცალკე წიგნათ გამოვიდა 1929 წელს.

49) **მოხსენების თეზისები.** მოთავსებულია აქვე, იხილეთ გვერ. 291.

50) **მე-XIV ყრილობა.** საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-XIV ყრილობა შესდგა 1925 წლის დეკემბერში.

51) **მე-15 ყრილობა.** საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-XV ყრილობა შესდგა 1927 წლის დეკემბერში.

52) **კრუიუანოვსკი.** იხილეთ შენიშვნა მე-39.

53) **მე-16 კონფერენცია.** საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-XVI კონფერენცია შესდგა 1929 წლის აპრილში.

54. ესაა საბოლოო სიტყვა, რომელიც მან სთქვა ამ მოხსენების შემდეგ.

55) **ყურულიშვილის მოხსენება.** აქ იგულისხმება ამხ. გიორგი ყურულიშვილის მოხსენება საქართველოს სახალხო მეურნეობის შესახებ.

56) **კანდელაკი.** იგულისხმება ამხ. დავით კანდელაკი. ამ დროს ის საქართველოს განათლების სახალხო კომისარი იყო. ამ ჟამად ის არის ნორვეგიაში ჩვენი კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	83-
რედაქციისაგან	

I.

ჩვენი კვეყნის ეკონომიური განვითარება	5
1. საგარეო აღებ-მიცემობა	7
2. საშინაო აღებ-მიცემობა	13
3. მრეწველობა	18
საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში	24
I. მოკლე მიმოხილვა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობისა უძველეს დროიდან მეთერამეტე საუკუნის გასვლამდე	24
II. მცხოვრებნი	30
ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის შესახებ	49
ნავთის მრეწველობა და თანამედროვე წარმოების სისტემა	58
გაუგებარი გაუგებრობა	64
„ეროვნული ეკონომისტი"	68

II.

ომი და ეკონომიური კატასტროფა	84
ფულის კრიზისის შესახებ ამიერ-კავკასიაში	87

III.

ნავთის მრეწველობა საბჭოთა საქართველოში	90
ნატურალური გადასახადი და გლეხობა	92
სატყეო მეურნეობა ჩვენში	95

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი . . . 101

ახალი ეკონომიური პოლიტიკა 112

ხალხის ერთი დიდი ნატვრის განხორციელება 122

გზა-ტკეცილის გაშვანა ზემო-სვანეთში 124

გეგმიანი მეურნეობა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამოცანები . . 131

უმუშევრობის პრობლემა 157

უმუშევართათვის დახმარების მოწყობა ამიერ-კავკასიაში 162

სატყეო მეურნეობის შესახებ 197

სატყეო მეურნეობა 205

ახალი ამოცანები ფოთის ჭაობების ამოშრობასთან და მდინარე რიონზე ნაოსნობის განახლებასთან დაკავშირებით 220

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა . 229

I. გეგმის შედგენის სიძნელენი 229

II. კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში 232

III. მრეწველობა 234

IV. მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება 241

V. სოფლის მეურნეობა 243

VI სახალხო მეურნეობის პროდუქცია 250

VII. კოოპერაცია და ვაჭრობა 251

VIII. ექსპორტი და იმპორტი 256

IX. ტრანსპორტი 256

X. სოციალურ-კულტურული მშენებლობა 259

XI. სხვადასხვა საკითხები 267

XII. ბიუჯეტი 272

XIII. მოსახლეობა 279

XIV. გეგმას შეეასრულებთ 281

XV. საბოლოო სიტყვა 282

საქ. სახ. მეურნეობის განვითარების 5-წლიანი გეგმა. ამხ. ფ. მახარაძის თეზისების პროექტი. ს. კ. პ. (ბ) მე-VI ყრილობისთვის . . 291

ინდუსტრიალიზაციის დღე სოციალიზმის დაჩქარებას ეხმარება 305

შენიშვნები 315

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეცდომების გასწორება.

გვ.	სტრიქ.		დაბეჭდილია	უნდა იყოს.
34	11	ზევ.	მოყიყვანოთ	მოვიყვანოთ
60	3	„	გეგმას	გემებს
85	3	„	მეგობრესო	მეგობრებსო
111	12	„	წელბში	წლებში
122	3	ქვ.	სოფლის მეურნეობის გატანა	სოფ. ნაწარმოების გატანა
178			VI	სრულიად არ უნდა იყოს
182	1	ზევ.	„ვოპროსი დრუდა"	„ვოპროსი ტრუდა
213	22	„	ფაქეტბი	ფაქტები
221	2	„	და რიონზე	რომ რიონზე
230	6	„	ის მხრით	იმ მხრით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 3 მან.

უდა 60 პაპ.

ტფილისი. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა, რუსთაველის პრ.
მთავლიტი № 1226. 10/IV-31 წელ. № 703. ტირაჟი 3.0